

ԲՈՅՈՒՓՆԱԿԱՆ ԿՈՅՆԱԾԻ

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

**კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს
ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი**

**გიორგი ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის
სახელმწიფო მუზეუმი**

დღიგიტრი ყიფიანი

თს ზუღეგანი

ათ ტოგად

დიმიტრი ყიფიანი

თ ხ ზ უ ლ ე ბ ა ნ ი

ტომი V

**ავტობიოგრაფიული ნაწარები
დღიურები
მემუარები**

შეადგინა, რუსული ტექსტები თარგმნა, შენიშვნები,
კომენტარები და საძიებლები დაურთო

თამაზ ჯოლოგუაძე



საქართველოს ეროვნული
ბიბლიოთეკა

თბილისი 2020

UDC (უაკ) 336.712:332(479.22)+94(479.22),1864“+340
ყ-561

დიმიტრი ყიფიანის ატომეულის მეხუთე ტომში შესულია ავტობიოგრაფიული ნაწერები, დღიურები და მემუარები. შემდგომ ტომებში შევა საჯარო სიტყვები, 1832 წლის შეთქმულების საგამომძიებლო კომისიისთვის დიმ. ყიფიანის მიერ მიცემული ჩვენებები, ჩანაწერები, დაუმთავრებელი თხზულებები და, დასასრულ, ოფიციალური, საქმიანი და კერძო მიმონერა.

დიმიტრი ყიფიანის ნაწერები, რომელთა მნიშვნელოვანი ნაწილი აქამდე არ გამოქვეყნებულა, მრავალმხრივ საინტერესო მასალაა XIX საუკუნის ქართული საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრებისა და საზოგადოებრივი აზრის შესწავლისათვის და, ვფიქრობთ, დაინტერესებს როგორც სპეციალისტებს, ისე XIX საუკუნის საქართველოს ისტორიით დაინტერესებულ მკითხველს.

რედაქტორები:

ბეგო ბეჟუაშვილი

რევაზ გოგია

ISBN 978-9941-463-37-2 (დიმიტრი ყიფიანი. თხულებანი)

ISBN 978-9941-9640-9-1 (V ტომი)

© თამაზ ჯოლოგუა, 2020



ԲՈՅՈՒՄՅԱՆ ԿՈՅՆԱՆԻ

ს ა რ ჩ ე ვ ი

ავტობიოგრაფიული ნაწარები

სამეგრელოს მთავრის სახლი და დიმიტრი ყიფიანი..	11	314
საუბარი მიხეილ ნიკოლოზის ძესთან ბორჯომში 1885 წლის 11 ოქტომბერს.....	34	325
იმ ფაქტების შესახებ, რომლებმაც ქუთაისის გუბერნიის თავადაზნაურობის მიმართ ხელისუფლების ზოგიერთი წარმომადგენლის გულისწყრომა გამოიწვია ...	38	328

დღიურები

დღიური 1857-1858 წლებისა.....	79	355
დღიური 1867 წლისა.....	119	385
დღიური 1882 წლისა.....	123	387

მეშუარები

(თარგმანი ნ. ტატიშვილ-ყიფიანისა და კ. ყიფიანისა)	135	401
---	-----	-----

შენიშვნები და კომენტარები

ტექსტისათვის.....	311
დამონმებანი	490
შემოკლებანი	506

საძიებლები:

პირთა.....	509
გეოგრაფიულ სახელთა.....	581

ავტომობილური ნაწარები

სამეგრელოს მთავრის სახლი და დიმიტრი ყიფიანი

ამ წლის აგვისტოს დამდეგს სამეგრელოში ვახლდი უგანათლებულესს მთავრინას ეკატერინე ალექსანდროვნას.¹ იმისი შვილის მამულების საქმეებზედ ერთი ლაპარაკი ჩამოგვივარდა, ყოვლითურთ კერძობითი, საშინაო, რომლისაც გარეთ გამოტანა გამოსადეგი არ უნდა ყოფილიყო არც ერთის იმ საუბარში მონაწილეთაგანისათვის, რადგან მონაწილენი ვიყავით მხოლოდ: თვით მთავრინა, ძმა იმისი და მე. – აგვისტოს ნახევარს გამოვბრუნდი იქიდან, – ამ ნოემბრამდის სოფელში ვიყავ² და ამ თვის 13-ს ჩამოველ ქალაქს, სადაც ერთი კვირით³ ჩემზედ უნინ ჩამობძანებულიყო მთავრინა თავისი შვილებით.

აქ დამხვდა მრავალ-გვარად გავრცელებული მითქმამითქმა ზემოხსენებულს ლაპარაკზედ და – ვითომც იმ ლაპარაკის მიზეზით – ჩემს სამეგრელოდამ ქვევითად მგზავრობაზედ და იმაზედაც, რომ ვითამ ვერ ჩამებარებინოს მე მთავრინასთვის ანგარიში – ზოგის სიტყვით – ოთხასი თუ ხუთასი თუმნისა; ზოგის სიტყვით – ათიათასი თუმნისა და ზოგისა – ოცდაათი-ათასი თუ ორმოცი-ათასის თუმნისა. –

მე ჩემის მხრით საქვეყნო ზრახვას მეტად ვერიდები და საზოგადოობითის აზრისა მეტად გარეშეუწერელი ხათრი მაქვს გულში დანერგილი; და თვითან უგანათლებულესის მთავრინასი და იმისი მაღალი ხარისხის პატივისცემა მეტად საგრძნობელად დამიძს – და ამასთანავე უნდა გამოცხადებით აღვივარო, რომ თვითან ჩემი ღირსებაც მეტად ძვირფასად მიმაჩნია, რომ ამდენს უცნაურს მითქმა-მითქმას ყური არ ვათხოვო და

ქალაქის ზღაპარს ქვეშარიტების ნათელი არ მივაყენო, რომ ნამდვილი საგანი თვალთ დასანახავად გამოჩნდეს. –

ამ ჭორების წყაროს თუ შეცთომა ან მიუგნებლობა ჰბადებს რამე, განმარტება არის უსაცვილოდ საჭირო; და თუ განზრახვა არის იმისი წარმომდგენი, იქნება ეს განზრახვაც თავისთავად გამოირკვეს ამ მოთხრობაში.

ჯერ კი ერთს ვიტყვი, – მე აქ ისეთს არას ვახსენებ და არას წარმოვსთქვამ, რომ ან წერილობითს საბუთებზედ არ ეფუძნებოდეს და ან ისეთის პირების დამონმებაზედ, რომელნიც დიდად მალალს ხარისხზედა ჰსდგანან საზოგადოებაში.

1859-დამ 1867-მდის აპეკუნად ვიყავ მთავრის სახლის საკუთრებაზედ კანონის ძალით, და 1867-დამ ამ 1868-ის აგვისტომდის იმავე საკუთრების მმართველად, პატრონებისაგან რწმუნების წერილის ძალით.⁴

მაგრამ რაც ქვემოთ მომყავს, იმის ასახსნელად ახლავე უნდა ვსთქვა, ან აპეკუნად როგორ გავხდი; – ან აპეკუნობა რომ გაუქმდა, მაშინ მაინც რატომ აღარ გამოვეცალე და ვეკილობა რალათ მივიღე?

ჩვეულებითი პასუხი ეს უნდა იყოს: „უეჭველია, თქვენი სურვილი იქნებოდაო“. – მაგრამ საქმეც ეგ არის, რომ როგორც ეს გარემოება, ისე სხვა მრავალი აქ სათქმელი საგანი, ჩვეულებას გარეშეთია.

1857-ში მთავრინა ე. ა. პეტერბურლს მიბძანდებოდა თავისის შვილებითურთ და საფიქრებელი იყო, რომ იქ დიდ-ხანს დაჰყოფდნენ.

ამ მიზეზით ყმა და მამულზედ აპეკუნების დაყენება ურჩიეს და ამასთან მთავრობამ გარიგება მოახდინა, რომ იმათი საცხოვრებელი ყოველივე აღწერილ იყო, ესე იგი ინვენტარია შედგენილიყო იმათის საკუთრებისა.⁵

აპეკუნად დანიშნა მთავრინამ სიძე თავისი და ძმა;⁶ და იმათთან მეც დამასახელა.

მე ამაზედ გადაწყვეტილი უარი მოვახსენე მაშინვე და მიზეზები პირველს იმათგანს დაწვრილებით ვაცნობე.

ორს წელიწადს უკან ისინიც გადადგნენ.

მაშინ მთავრინამ მევე მომმართა წერილით, პეტერბურლიდამ, და მაფიცა ჩემი კაცობრიობა, ჩემი ქრისტიანობა, რომ მე მეპატრონა იმის ობლების საკუთრებისათვის.

იმავე დროს საჩივარი მოუვიდა მთავრინასი მაშინდელს ნამესტნიკს,⁷ – აპეკუნებსა და ადგილობრივს ჩინოვნიკებს შორის ესეთი უთანხმოება დათესილა, რომ იმის მიზეზით მრთელი სამთავრო მამულის წმინდა შემოსავალი ამ ორს წელიწადში დამდგარა მხოლოდ 277 მანათიო. –

მე რომ პეტერბურლიდამ ხსენებული წერილი მომივიდა, მაშინ რადგან ნამესტნიკის სოვეტის ჩლენად ვიყავ,⁸ პირდაპირ ფელდ-მარშალს წარუდგინე, რომ იმისი ნება შემეტყო და მთავრინასთვის პასუხი ისე მომეხსენებინა. –

კნიაზმა ალექსანდრე ივანიჩმა ბარიატინსკიმ გამომკითხა, რა მიზეზია, რომ უარზედა ჰსდგეხარო; და მოისმინა ჩემი მიზეზების მოხსენება,⁹ – მაგრამ მაინც მიბძანა, მე მსურს რომ თქვენს ხელში იყოს დადიანის მამულიო და გთხოვთ აპეკუნობა იკისროთო.

ამ გვარს თხოვნას უარი აღარ გაებედებოდა და დავდეგ აპეკუნად 1859-ის წლის აპრილის თვეში.¹⁰

ორ-სამ თვეს უკან უმაღლესად დამტკიცებული დარიგებაც გამოვიდა, რომლითაც ჩემს ხელში ჰკრებოდა სამივე ხარისხი აპეკის უფლებისა და ანგარიში კი მხოლოდ მთავრინასათვის უნდა მეძლია.

ასე ვიყავ სრულის უფლების მექონ აპეკუნად 1867-ის იანვრის 4-მდის.

ამ რვა წელიწადს აპეკუნობით როგორ რა ვიმოქმედე მალე ვიტყვი, აქ კი ეს უნდა ვსთქვა, რაც საკუთრად მე გადამხდა ამ ჩემის აპეკუნობისათვის.

როდესაც მე დავდეგ აპეკუნად, მაშინ აპეკასა და სამეგ-

რელოს მმართველობას ისეთი უთანხმოება ჰქონდათ შუა ჩამოვარდნილი, რომ იქაური ჩინოვნიკების გულის მოგება ველარასფრით ვერ მოვახერხე; – ეს კიდევ არაფერი: ერთი უფროსი იმათგანი ოცის წლის მეგობარი იყო ჩემი და დავჰკარგე იმისი მეგობრობა;¹¹ მეორე მოყვარე არის ჩემი დიად მახლობელი, მაგრამ დასაკარგავად აღარ ვჰზოგავდით ერთმანერთსა;¹² – ნამესტნიკი დიდად მწყალობელი იყო ჩემი, მაგრამ ისე განარისხეს ჩემზედ ჩემის აპეკუნობის მიზეზით, რომ სახელმწიფო სამსახურიდამ დამითხოვეს, ესე იგი – სოვეტის ჩლენობის თანამდებობიდამ გადამაყენეს და მომიჭრეს ჯამაგირი, რომელიც მაცხოვრებდა ჩემის წოდების შესაბამად.¹³

ამ ჩემს ზნეობითს გაჭირვებასთან, ჯაფაც რომ ვახსენოთ ნივთიერებითი, მაგალითად: წერა მრთელი რვეულებისა, არზებისა თუ საჩივრებისა; ხშირი მგზავრობა ამ ჩემს ხნიერებაში და ისეთს გზებზედ, რომელნიც რკინის გზებს ძალიან შორს ჩამოუვარდებიან; უფრო ხშირად მეგრელიაში ცხენით სიარული; რამდენჯერმე ისე შორი მგზავრობაცა, როგორც პეტერბურლსა და პარიჟსა...¹⁴ ბოლოს გამოდის, რომ ამდენნაირად ჩემის გაცოდვილების სამაგიერო დაწესებულს შემოსავლის წილს გარდა, სხვა არა ყოფილა რა, თუ არ ერთი ოდენ ვალდებულება, რომელსაც სვინდისი მაგრძნობინებდა, რომ ბოლო გამეტანებინა ობლების ყოფაცხოვრებაზედ კაცობრივის მზრუნველობისათვის.

რა რომ ეს ასე იყო, მაშინ მაინც რატომ აღარ მოვიხადე ეს მძიმე ტვირთი, როდესაც ყმანვილი მთავარი თავისს სრულწლოვანებას ეწია.

ველარ მოვიხადე მთავრინას ცრემლებს მიზეზით.

მთავრის სრულწლოვანება იყო შარშან 4 იანვარს, – და იმ დღეს გაუქმდა აპეკაცა.¹⁵ მაშინ პეტერბურლს ვიყავ, აქედამ იმისთვის დაბარებული, რომ ვმსახურებოდა მთავრის საქმის გარდამწყვეტასა, რა რიგათ უნდა დამყარებულიყო სვე იმისი შემდეგისათვის.

ყველამ იცის, რომ ეს საქმე დაბოლოვდა ისეთის ხელმწიფე იმპერატორის მონყალებითა, რომლის წინაშე სხვა არა გამოითქმის რა, თუ არ მადლობა მხურვალე და გარეშე-უნერელი.

ეს რომ იქ ასე გათავდა, აქ ყმანვილს კნიაზს სამართლის წინაშე მაგიერი აღარა ვინა ჰყავდა და შესაძლებელი იყო დიდი ზარალი მისცემიყო, მეტადრე იმ საქმეებში, რაც რომ ჯერ გადაუნყვეტელი იყო და ამისთვის ვეჭილის დაყენება იყო აუცილებლად საჭირო. უნდა მეთქვა ეს მთავრინასათვის და კნიაზისათვის; უნდა რწმუნების წერილის შავიც შემედგინა. ეს ჩემი ვალი მოვიხადე; მაგრამ დრო მიდიოდა და ისინი ამაზედ ჩემთან ლაპარაკს თითქო ერიდებოდნენ.

იანვრის დამლევს კი კაცი გამომიგზავნეს, უმთავრესი გამგებლობა მამულებისა კნ. გრიგოლს უნდა მივანდოთო და ადგილობრივ მართვა კნ. კოსტანტინე – დადიანებსაო და თქვენ რას იტყვიოთ.

მე ყოვლითურთ მოვუნონე ეს აზრი, რადგან ორნივე ღვიძლი ბიძანი არიან კნ. მინგრელსკისა და, მაშასადამე, უმახლობელესნი და უზუნებთადესნი პატრონნი და მზრუნველნი.

მაგრამ – რამდენსამე დღეს შემდეგ მთავრინამ თავის შვილის დასწრებით მევე დამიწყო თხოვნა, გრიგოლ დადიანის მაგივრად უმთავრესი გამგებლობა შენ მიილეო ჩვენს სამეგრელოში მოსვლამდინაო და მოსვლის იმედი ჰქონდათ შვიდიოდე თვეს უკან, იმავ წლის სექტემბერში.

აი ჩემი სიტყვა, რაც მე ამის პასუხად მოვახსენე და რაშიაც მთავრინამ და იმისმა შვილმა შემოკლება იქნება ჰპოვონ რამე და ცვლილება სრულებით ვერა:

„მე თქვენს საქმეს მეტად დიდხანს ვადექი, რომ თქვენი სურვილი აღარ შევიწყნარო და რამდენსამე თვეს კიდევაც აღარ გემსახუროთ. მაგრამ გთხოვთ გულდასმით მომისმინოთ, რასაც ეხლა მოგახსენებთ: თქვენ ისე უზომოთა გაქვთ გული ჩემზედ მონდობილი, რომ ამასწინეთ დაუმაღავად

მითხარით, ამბობენ, ვითამ აპეკას აეკლოს ჩვენი საცხოვრებელი. ეს ამბავი არა თუ შესაძლებელია, ძალიან ხშირათაც მომხდარა ამგვარი საქმე.

ამ მიზეზით გთხოვთ ცოტას ხანს დაივინყოთ, რომ მე გელაპარაკებით და სხვა ისეთი გამოიხატოთ ვინმე აქა, რომ თქვენგან ამაზედ ეჭვი არა შეიძლებოდეს რა:

ის ამას გეტყვისთ:

ამბავი მოგსვლიათ, ყიფიანმა აიკლო თქვენი ოჯახიო და თქვენ ეს ამბავი არა გჯერათ. ქება და დიდება თქვენს გულსა და თქვენს გრძნობასა, რომ არა გჯერათ, მაგრამ – მართალი რომ იყო? მაშინ რა გამოვა, აბა ერთი დაუფიქრდით! – ყმა და მამულის გამგებლობა რომ იმასვე მიანდოთ თქვენს დაბრუნებამდისინ, ანგარიში ხომ თვითან თქვენ უნდა ჩამოართვათ. – მაშინ ეგ ამბავი თუ გამართლდა, თქვენ ხომ ველარას იტყვიოთ. ყოველი კაცი ამას იფიქრებს მადლობის გადახდა დაუმძიმდათ და ეს შავი ცილი იმიტომ მოუგონეს, რომ ქვეყანაში თავი ამითი გაიმართლონო, – და თუ საქმეს გრიგოლსა და კოსტანტინეს მიანდობთ, იმათ ყიფიანის დასანდობი მიზეზი სრულიად არა აქვთ რა და რაც აღმოჩნდება მოურიდებლად იტყვიან, რადგან იმისი ვალი არა აწევთრა.

ამისთვის მე წრფელის გულით გირჩევთ ყიფიანი ახლავე განათავისუფლოთ და თქვენი საქმე, როგორც აპირებდით, ისევ ისე გრიგოლსა და კოსტანტინეს მიანდოთ და ანგარიშებიც იმათვე მოათხოვნინოთ“.

ღმერთმა ხომ იცის, რომ მართლის გულით იყო ეს რჩევა, მაგრამ არ მიიღეს.

სამიოდ დღეს უკან დამიბარა მთავრინამა და ცრემლებით თხოვნა დამიწყო, ნება მომეცი, რომ ჩემი მაზლის გრიგოლის სახელზედ დაწერილი ქალაღი შენს სახელზედ გადავანერინო.

უარი ველარ მოვახერხე. ათიოდე დღეს დავრჩი კიდევ იქა, ჩემს შვილებთან,¹⁶ და იქიდან წამოსვლის წინაღამეს მომიტა-

ნეს მთავრინასაგან და იმისი შვილისაგან ორი დაბეჭდილი პაკეტი, ერთი კზ. კოსტანტინე დადიანისა და მეორე ჩემს სახელზედ.

ეს უთუოთ რწმუნების წერილები იქნება მეთქი, ვსთქვი ჩემს გუნებაში, მაგრამ რა მიზეზია, რომ დაბეჭდილები გამომიგზავნეს და ასე გვიან? სჩანს, არა ნდომიათ, რომ ადრევე გამეშინჯა ეს ქალაქები. –

ისევ ისე დაბეჭდილი ჩავანყე პორტფელში და თან წამოვიღე. აქ მე და კნიაზმა კოსტანტინემ ერთათ გავჰხსენით. – მართლად რწმუნების წერილები ყოფილ იყო: ერთი – კზ. კოსტანტინესი, მოკლე, რომლითაც იმას მიენდობოდა ადგილობრივ მამულების მართვა და ტყეების მოვლა; ანგარიში კი ჩემით უნდა ეძლია პატრონებისათვის. მეორე იყო ჩემი, ვრცელი, რომლითაც მე მანდობდნენ მამულებისა და სამამულო საქმეების მართვასა და წარმოებასა; მაგრამ ამ რწმუნების წერილში, – სხვა ნაკლებობას გარდა, რაც მაშინვე ტელეგრამით ვაცნობეთ და დამატებითი ქალაქი გამოვსთხოვეთ, ერთი ეს ნაკლებობაც იყო, რომ არაფერი ხსენება არა იყო არც კოსტანტინესი და არც ჩემი უფლებისა ანუ ვალდებულობისა, რომ მე იმისაგან ანგარიში მეთხოვა რამე. მაგრამ ჩვენ ამას მაგდენი მნიშვნელობა არა მივანერეთრა; ან აქედამ რა წარმოსდგებოდა, ამას სულ აღარ დაფიქრებევართ; მაინც რა უნდა დაგვმართვიყო ისეთი, რომ მე და კნ. კოსტანტინე დადიანი, რომელთაც ერთმანერთის გულითადი პატივისცემა და სიყვარული გვაქვს, ამ ექვსიოდ-შვიდ თვეს ერთათ ვეღარ მოვთავსებულყავით და ერთმანერთისათვის ვეღარ გაგვეძლო! –

კნ. კოსტანტინე მიიქცა მეგრელიადვე თავისს ახალს თანამდებობაში შესასვლელად და მე დავრჩი აქ, რომ აქედამ, ან თუ საქმე მოითხოვდა, იქ მისვლითაც, ხელი გამემართა, სადაც ჩემი რჩევა ან შენევნა დასჭირდებოდა რამე. – არსება ჩვენის თანამდებობისა ასე განვსაზღვრეთ მაშინ: ის უნდა

ყოფილიყო უმახლობელესი განმგე მამულისა და კანტორის მოთავე, ანგარიშის შემდგენი და შემომონებელი; – მე უნდა ვჭყოფილვიყავ გამმინჯავი და პატრონებისათვის მიმწოდებელი იმ ანგარიშისა, რასაც კნ. კოსტანტინე ჩამაბარებდა და მმართვეი მისანერ-მოსანერის საქმეებისა.

ამასთან ჩემი ვალი იყო, რომ როდესაც პატრონები მობძანდებოდნენ, მეც მივსულიყავ სამეგრელოში, იქ დავხვედრიყავ და ჩამებარებინა როგორც საკუთრება იმათი, ისე ანგარიშები, საქმეები, საბუთები და ყოველივე, რაც რამ იმათი მებარა ან ჩემს უწყებაში იყო.

ორის კვირით ადრე მოგწერ ჩვენს პარიჟიდან გამოსვლასაო, მითვლიდა მთავრინა; მაგრამ ფოთიდან მომივიდა პირველი ამბავი:¹⁷ მთავრინა თავისი შვილებით ხვალ გამობძანდება ფოთსაო!

მართლად მეორეს დღეს კნ. მინგრელსკიმ დეპეშით მაცნობა იქიდამ, მშვიდობით გამოვედითო და სად როდის ვნახოთ ერთმანერთი, ამას ცალკე შეგატყობინებთო.

მამ საქმე ისე მოეწყო, რომ იმათი მიგებება, ფოთიდან სამეგრელოში წამოძლოლა, დაბინავება და გამასპინძლება, ყოველივე უმახლობელესს განმგეს დაანვა კისერზედ!

როგორ უნდა მიმხვდარ იყო მაზლი და ბიძა, რასაც სძალი და ძმისწული განიზრახვიდნენ: ჯერ პირდაპირ ბორჯომს ინებებდნენ წასვლას მათთა უ მ ა ლ ლ ე ს ო ბ ა თ ა თ ვ ი ს¹⁸ სალამის მისართმევად, თუ მაინცა და მაინც მაშინვე სამეგრელოში დაბინავებას დააპირებდნენ?

კნ. კოსტანტინე უსაცილოდ პირველს აზრს უნდა დასდგომიყო; და რადგან მთავრინა ამაზედ არ ეთანხმა, ანგარიში ძალიან სანყენად შეეშალათ.

მომივიდა ეს ამბავი და ვსწუხდი ჭემმარიტად.

გამოვიდა მას აქეთ თვე-ნახევარი და ქვიშხეთში დეპეშა მივიღე, მთავრინა ხვალ ნაშუადღევს სურამის სტანციამში მობძანდება და ეგების იქ დაჰხვედეთო.

სტანციაში ველარ ჩაუსწართ მე და ჩემმა ცოლშვილმა, მაგრამ ორი ვერსტი რომ გამოეველოთ გზაზე შევხვდით და მაინც დიდად ვისიამოვნეთ. – მერე ბორჯომს ავედით და ორს-სამს დღეს იქ დავეყავით. ბორჯომიდან გამოვლით მთავრინამ ოჯახი გამიბედნიერა და ჩემი პურ-მარილი მიირთვა.

სამსავე ამ შემთხვევაში ჩვეულებითი ყურადღება იყო მთავრინასაგან ჩემზედ მოვლინებული. სახის-მეტყველება იმისი მოგვითხრობდა, როგორც მეგონა და მწამდა, ისეთს სიამოვნებას, რომელსაც ამ გამოთქმის მეტი სხვა გამოთქმა აღარა სჭირდება რა, არც სიტყვითი და არც საქმითი.

საუბარში კი გამოერევოდა ხოლმე ცოტა რამ სამღურავი კნ. კოსტანტინესი, მაგრამ ისიც თითქო ღრუბელი გადაგვირბენდა რალაცა, დიად მსუბუქი, და დიად ულონო რომ დაეჩრდილობებინა თვალებიდამ გამომნათი სიამოვნება მთავრინასი, რომ მშობელს ქვეყანაში იმყოფებოდა და გარს ევლებოდნენ უმახლობელესნი ნათესავნი და ერთგულნი. –

გამოთხოვების დროს ვჰკითხე:

– ახლა, დედოფალო! როდის და სად ინებებთ, რომ გიახლოთ და მოგართვათ ანგარიშები, საქმეები და სხვა და სხვა?

– აი, გორდს მოვეწყობით როგორც იქნება და ტელეგრაფით გაცნობებ. იმედი მექნება, რომ ჩვენთან იქ მოსვლას არ დაიზარებ. –

ეს ტელეგრამმა მომივიდა ივლისის დამლევს და აგვისტოს 1-ს გორდს აველ თაყვან-საცემად.

მაგრამ – არ დამხვდნენ იქ არც კნ. კოსტანტინე დადიანი და არც კოსტანტინე ნიჟარაძე, – და უიმათოთ ჩემი ანგარიშების დაბოლოება შეუძლებელი იყო, რადგან იმათგან ანგარიში არა მქონდა რა ჩაბარებული შარშანდლისა და წლევეანდლის წლისა.

ერთი იმყოფებოდა ლეჩხუმს, მეორე ფოთს, და მანამდისინ გორდს ამოვიდოდნენ, რამდენსამე დღეს მე იქ მოცდენილი უნდა ვჰყოფილვიყავი, ყოვლად უსაქმოდ.

ამ ჩემს უქმად ყოფნაში ჩამოგვივარდა ის ლაპარაკი, რომ-
ლიდამაც ეს მოთხრობა დავიწყე.

სანუხარია ჩემთვის დაწვრილებით მოგონება იმ ლაპარაკისა და წარმკითხველიც რომ არ შევანუხო, აქ მხოლოდ არსებას მოვიყვან იმისას, – და ამასაც დიდად შემოკლებულს.

გორდს ამოვიდნენ ჩემთან ორნი პირნი, რომელთაც შეკრულობის წერილით მიწვრილი ჰქონდათ მთავრის ნაყმევებისათვის გადაკვეთილი ადგილების მიზომა და ახალის დებულებით ოქმების შედგენა. წელიწადია რაც ამ საქმეს ვადგევართო, შემომჩვილეს, და ფულს კი არა ვინ რას გვაძლევს რაც გვერგებო, ეხლა ერთი ასიოდე თუმანიც არის თუ არ მოგვიხერხეთ, აქედამ ფეხის მოცვლა არ შეგვიძლია, რადგან ადგილების მზომავები, მწერლები და მოენეები თავისს ჯამაგირს ჩვენა გვთხოვენო და თუ ჩვენ ჩვენი არ მოგვეცემა, ისინი საიღამ გავისტუმროთო.

რადგან არც უგანათლებულესი კნიაზი კოსტანტინე ბძანდებოდა იქა, არც კნ. ნიჟარაძე და არც მე გამაჩნდა საკმაო ფული, მეტი ღონე არ იყო, ისევ მთავრინას უნდა დავსესხებიყავით და ამ განზრახვით დილის სალამის დროს ვეახელ მის უგანათლებულესობას.

ჩვენს მტერსა და ორგულს დამართვია, რაც მე მაშინ დამართეს.

ჯერ – ცივი უარი; მერე – ამ უარის მიზეზები; მერე...

„თურმე... ას თუმანზედ მეტი თვითანაც აღარ გააჩნდა რა მთავრინასა და ისიც ამდენი ხალხის სმევა-ჭმევისათვის ეყოფოდა თუ არა, მანამდისინ ხაზინიღამ პენციას მიიღებდა, ვინ იცის; –

„თურმე... კნ. კოსტანტინეს მიზეზით ისეთს გაჭირვებაში ბძანდებოდა, რომ რაც გააჩნდა სულ შემოეხარჯა, რადგან მამასისხლად ყიდულობდა ყოველსავე და მერე სადა! თავისს საკუთარს სამფლობელოში; –

„თურმე... ყოვლისავე ამის მიზეზი ყოფილა თვითმნებელობითი მოქმედება კნ. კოსტანტინესი...

„და თურმე... ყოვლისა ამისი დამნაშავე ვყოფილვარ მე, რადგან თავი ისე მიმინებებია კნიაზი კოსტანტინე დადიანი-სათვის, რომ ანგარიშიც აღარ მომიკითხავს.

თუ ამ ანგარიშის მოკითხვისა რწმუნების წერილში მე მ არ თ ლ ა არა მიწერიარა, – ესეც ჩემი ბრალი ყოფილა: მე რ ო მ პ ა ტ ი ო ს ნ ე ბ ა მ ქ ო ნ ი ყ ო, ამას პეტერბურღშივე ვიტყოდი და ქალაღდს იქავე გავასწორებინებდი; –

„ამასობაში მამული თურმე სულ ავაოხრეთ, გავაფუჭეთ, გავაბნიეთ და შემოსავალი სად რაში გავაქრეთ, აღარც თავი ჩანს და აღარც ბოლო...“

ასე განგვირისხდა დედოფალი, და როდის?

მაშინ, როდესაც ჯერ არა თუ განხილული, წარდგენილიც არა ჰქონდა არავისი ანგარიში; – მაშინ, როდესაც სიტყვითაც არა თქმულ-იყორა, რა იყო დახარჯული თუ გაბნეული და რა მიზეზით. –

ერთის სიტყვით, ამ საუბრის კილო ისეთს ხმაზედ შეგვივარდა, რომ დავინყებული შეიქნა შესაბამი პატივიცა ჩემის პირადის ღირსებისა, – თავგადადებული ჩემგან მსახურე-ბაცა იმათი და ეს გარემოებაცა, რომ იმ ფულს გარდა, რაც ან სარგებლით იყო გაცემული ან ჯამაგირად, პენციად და მონყალებად დარიგებული, ან ძველსა თუ ახალს ვალში მი-ცემული, – თვით მისს უგანათლებულესობასა ჰქონდა ჩემგან სხვა და სხვა დროს მიღებული ნ ა ლ დ ა თ ბევრით უმეტეს ა თ ი ა თ ა ს ი ს თუმნისა.

შევამცნევიწე მთავრინას, რომ ამ საუბარში, მართალია განუზრახავად, მაგრამ ისეთის სიტყვის წარმოთქმა იწება, რომ კაცებში დაუსჯელად არავის ეთქმის, – და ამ სიტყვის ჩემი კადრება მრთელს ქვეყანაზედ სხვას რომ შესძლებიყოს ვისმე, იმას მაინც არ უწდა ეწებებინა... და გულ დაკოდილი, ასე ახირებულად შეურაცხ-ყოფილი და შეგინებული, გამო-ველ გარეთ. იქწება ჩვეულებაზედ უფრო მდაბალი საღამი მივართვი გამოსვლაზედ, კარგად აღარ მახსოვს. –

ის დღე და მეორე დღე ჩემი ანგარიშების თვალის გადავ-
ლებას მოვანდომე და 9 აგვისტოს მივართვი მთავრინას ჩემი
აპეკუნობის ანგარიშები.

უკანასკნელი ანგარიში იყო 1866-ის წლისა.

ამ წლის ანგარიშით ძირსა რჩებოდა 17 130 რ. 45 კ.

ოჰ! გრზნეულო, საკრულავო რიცხვო!!

რადგან ერთის საანგარიშო წლის გადანარჩენი, სადაც კი
ანგარიში არის რამე, მეორე წლის ანგარიშში გადანარჩენად
ჩაითვლება და იმ წლის შემოსავალში ჩაინერება; და ამასთან
რადგან არ ვიცოდი, 1867-ისა და 1868-ის წლების ანგარიში
როგორი გამოვიდოდა, ან სად და როდის მივიღებდი ამ ანგა-
რიშისათვის საჭირო რიცხვებსა და საბუთებსა, მე ვჰსთხოვე
მთავრინას, ორი თვე ვადა ებოძებინა ჩემთვის, რომ ამ ვადა-
დინ ჩამებარებინა ეს ფული ან ამ ფულის სხვა
საბუთები, გინათამასუქები.

ნაღდათ იყო ეს ფული ჩვენს ზანდუკში, თუ ფულის მაგიე-
რად ბილეთები ენყო იქა ან თამასუქები, როგორ მეცოდინე-
ბოდა, როდესაც ხაზინადარი ფოთს იყო და დაკეტილი ზან-
დუკი უიმისოთ არ გაიღებოდა.

მთავრინამ ისეთი სულგრძელობა იხმარა მაშინ, რომ მომ-
ცა ვადა. ვემთხვიე ხელზედ და გამოვეთხოვე.

გორდის გზა ქვეითად ჩამოვიარე ბუმბუას ხილამდინ.¹⁹

ვისაც აქ უვლია, ყველამ იცის, რომ ახალს ნანვიმარზედ
ან ნვიმაში, ძალიან ძნელი არის ამ გზაზედ ცხენით სიარული.
კისრის მოტეხას ისევ ქვეითად ჩავლა სჯობია ამ ექვსიოდ
ვერსტისა მეთქი, ვსთქვი ჩემს გუნებაში, და თუმცა ოტია ჩი-
ქოანმა მითავაზა და თან გამომაყოლა თავისი ცხენი,²⁰ მაგრამ
მაინც ფეხით ჩამოვედი.

ეს იყო ნამდვილი მიზეზი ჩემის იქილამ დაქვევითებისა.

10 აგვისტოს მოველ ქუთაისს; იქ დამხვდა კოსტანტინე
ნიჟარაძე, ავათმყოფი ფოთილამ ამოყვანილი. – რაც ჩემთვის
საჭირო საბუთები ჰქონდა, თუ ებარა, გამოვართვი, შინ წა-

მოვიღე, ქვიშხეთს, და იქიდან 11 სექტემბერს გავგზავნე უკანასკნელი ჩემი ანგარიში 1867 და 1868-ისა.²¹ –

გავგზავნე ეს ანგარიში პირდაპირ კნიაზ მინგრელსკისთან და არა მთავრინასთან, როგორც იმისთვის, რომ ახლა კნიაზ მინგრელსკი თვითან იყო სრულ წლოვანი პატრონი თავისი საკუთრებისა, ისე იმისთვის, რომ რაც მე გარდასაცემი ფული, ან ფულის საბუთები თუ თამასუქები მქონდა, სულ მამულის შემოსავლისა იყო და იმას უნდა ჩაჰბარებოდა.

აპეკუნობით კი აღარ ვაძლევდი ამ ანგარიშს, ვექილობით ვაძლევდი და რა რომ აპეკა გაუქმდა, მას აქეთ შემოსავლიდან ძირსა რჩებოდა რამე თუ არა, ეკუთვნოდა პატრონს და აღარა დედას იმისას.

ამ ანგარიშს რომ ვჰგზავნიდი, 11 სექტემბერს, ქალაქი მივაღვენი და ვაცნობე, რომ 1867-ისა და 1868-ის წლის ანგარიშში მხოლოდ ის ფული შემაქვს, რაც ჩემს ხელთ იყო; – და იმ 21 120 მანათის ანგარიში კი, რომელიც ადგილობრივ შემოსულა და ჩემამდე არ მოუწვია, კნ. კოსტანტინე დადიანისაგან უნდა მიიბაროს. რაც ახლა ამ ანგარიშით მე უნდა მრჩებოდეს ჩასაბარებელი ფული (სულ 9463 რ. 73 კ.) მე ვაბარებ ჩემგან ზედწარწერს თამასუქებს 5729 მანათისა და 50 კ-სა. დანარჩენი 3734 და 23 კოპეკისას ვსთხოვ იმ 4224 მანათიდან დაიჭიროს, რომელიც მე მერგება ამ 1867-სა და 1868-ის შემოსავლიდან.*

რა რომ ფულის ანგარიში ამაზედ დავაყენე, საჭიროდ ვჰპოვე – კნიაზ მინგრელსკისათვის თვალი გადამეველებინა იმისი საკუთრება-მამულის მდგომარეობაზედ. –

1857-ში შედგენილის ინვენტარიის აღწერილობით მენგრელიის მთავრის საკუთარი მამულიდან შემოვიდოდა ფულად (აქ უნდა ვთქვათ, რომ ამ შემოსავლის რაოდენობა მთავრის დროს ხან მეტი იყო, ხან ნაკლები, იმ შემოსავლის მიხედვით, რაზედაც აპეკას უფლება აღარა ჰქონდა; მაგალითად:

* ამ ანგარიშით ჩემი რჩებოდა მათზედ 489 მანათი და 77 კოპეკი. –

ნავეების ბაჟი; მოქალაქეობისა²² და ვაჭრობის ბაჟი; – ბილეთების ფული; და – ძველი საქმეა – კონტრაბანდის საზღვევი.* მამულიდამ შემოვიდოდა წელიწადში ფულად სულ 6700 მანათამდინ; სხვა შემოდოდა ხორაგად, რომელიც მაშინვე იხარჯებოდა, და ნადობად, მუშაობად და შინაყმობად, რაც ოჯახს დასჭირდებოდა.

პირველს ორს წელიწადში აპეკას არც ინვენტარია ჰქონდა და არცა რა სხვა ბეჯითი რამე ცნობა მამულის შემოსავლისა და გასავლისა; ჰქონდა მხოლოდ შტატი, ან მართვაზედ რა უნდა დახარჯულიყო, ან პენციებზედ და სხვა შესანიშნავებზედ, რაც მთავრინასაგან მენგრელიდამ გასვლის დროს იყო დანესებული და ყოველს ამ ხარჯს გადარჩა მაშინ 277 მანათი კოპ-ით, ესე იგი, წელიწადში 138 მან. კოპეიკებით.

შემდგომში, 1859-ის აპრილიდამ, ესე იგი, ჩემს აპეკუნობაში, ეს შემოსავალი თან და თან მატულობდა და ყოველს დანესებულსა და დაუნესებულს, – ანუ ხმოვანსა და უხმოს ხარჯს გარდა, ყოველს წელიწადს რჩებოდა, ერთი-ერთმანერთზედ ანგარიშით, არა ერთი ორად, არა ერთი ოთხად, არცა ერთი ათად, – თვითქმის ერთი ასთხუთმეტად; ესე იგი თექვსმეტი ათასი მანათი (16 000 რ.).

თავისი რიგით ამ შემოსავალმაც აი როგორ იმატა კიდევაც:

1. 1861-ში კავკასიის კომიტეტში²⁴ განხილულ იქმნა აპეკის საჩივარი სამეგრელოს ადგილობრივს მთავრობაზედ და უმაღლესის დამტკიცებით გადასწყდა ეს საჩივარი მცირე წლოვანის მთავრის სასარგებლოდ და ამას დაჰყვა ხ ე ლ მ ნ ი ფ ე

* ეეჰუ! როგორ თუ კონტრაბანდა უხსენებიაო! მკვდრებსაც აღარ უსვენებს საფლავშიო! მაგრამ აქაც დიად შემცდარნი ბძანდებიან წალმა-უკულმა მიმთქმელ-მომთქმელნი! აქ საძრახისი არავისი რა არის, თუ არ იმათი, რომელნიც ქურდულად ვაჭრობდნენ. სადაც იმათ მთავრის მოხელეები მოასწრებდნენ, საზღვევს ახდევინებდნენ და ამითი ისპობოდა კონტრაბანდა. მთავარი ამითი დიდად ეწევოდა სახელმწიფო ხაზინას და კანონიერს აღებ-მიცემობას. იმისი საძრახისი აქ სრულიად არა არის რა.²³

იმპერატორის მოწყალება, რომლითაც ებოძა მცირე ნლო-
ვანს 24-ს წლის არენდა, წელიწადში ათასი თუმანი, – 10 000 რ.

2. 1867-ში გადასწყდა მენგრელიის მთავრის საქმე: სრულ-
ასაკოვანმა თავის ნებით დასთმო თავისი წოდება და ამისთ-
ვის ხელმწიფე იმპერატორმა საკუთარი მამული
საუფროსოდ, საშვილიშვილოდ დაუმტკიცა და ამას გარდა
უბოძა ერთი მილიონი მანათი, – რომლისათვის, მანამდისინ
თავნი მიეცემოდეს, ხაზინიდან ეძლევა სარგებელი ხუთიათა-
სი თუმანი, – 50 000 რ.

3. თუმცა ყმა და მამულზედ მრავალი დავა იყო ატეხილი,
მაგრამ აპეკამ მაინც იმდენი საკუთრება დაუმკვიდრა კნიაზს
მინგრელსკის, რომ ნაყმევების სამსახურის სამაგიეროდ მიე-
ცემა ხაზინიდან თითქმის ოცდა ჩვიდმეტიათას ხუთასი თუ-
მანი (375 000 მან.) და აქედამ რომ გამოირიცხოს: ა) 15 000
მ. კნ. დავით ჭავჭავაძისათვის მიცემული; ბ) 9874 მანათი და
კ. ქუთაისის ხაზინიდან ერთი ორად გარდმოცემული;²⁵ და
გ) რაც ნაყმევებისათვის გადაკვეთილის ადგილ-მამულების
მიცემაზედ დაიხარჯება, – ან მართლად მამულის აღწერაზედ
და სხვა და სხ. მაინც დარჩება კიდევ თავისუფლად 200 000
მ. რომელსაც კანონიერი სარგებელი ექნება წელიწადში ათას
ორასი თუმანი, – 12 000 რ.

4. იმავე ნაყმევებისაგან, როდესაც დებულების ოქმები
დაურიგდებათ, – სახნავ სათესისა, მამულისა, საბალახისა და
ტყის გარდასახადი რომ ჩავარდეს კომლზედ 15 მანათი და სა-
მოსახლო ადგილზედ 3 მ. წელიწადში შემოუვა კნ. მინგრელს-
კის არა ნაკლებ – 63 000 მანეთისა.

5. სხვა რაც თავისუფალი ადგილები რჩება რამდენიმე ასი-
ათასი დესეტინა ტყეები, მინდვრები და საიჯარო ადგილები,
იმ ანგარიშით, რომ რაც ნაყმევებს ეძლევა, ერთი იმდენი მა-
ინც ნაბატონევსა ჰრჩება, და იმის მიხედვით, როგორს განმ-
გებლობასაც დააწყობს თავისი მამულისას, კნიაზს მინგრელ-
სკის შემოუვა წელიწადში კიდევ არა ნაკლებ, 63 000 მ.

ამგვარად კნ. მინგრელსკის წლიური შემოსავალი გამოითქმის შემდეგის რიცხვებით:

1857-დამ 1859-მდინ წელიწადში 138 მან. 50 კ.

1859... 1861... 16 000 –

1861... 1867... 26 000 –

1867-დამ ბატონყმობის დებულების აღსრულებამდის 76 000 – და იმ დღიდან უნდა შემოუვიდეს არა ნაკლებ 200 000 მ.*

ადგილობრივი მენგრელიის მმართველი²⁷ 1859-ში უმაღლესის მთავრობის წინაშე ამტკიცებდა, შეუძლებელიაო, რომ მენგრელიის მთავარს წელიწადში 16 000 მანათზედ მეტი შემოუვიდესო. მაგრამ ახლა იმისი ადგილ-მამულების საქმეები და ფინანსები ისეა მოყვანილი, რომ ამ უკიდურესად დიდს შემოსავალს გადაეჭარბება ერთი ათორმეტად და ნახევრად; და თუ აპეკის პირველის წლის შემოსავალი ავიღეთ, გადაეჭარბება თვითქმის ერთიათას ოთხას ორმოცდა ცხრამეტად.²⁸

შემდგომთ განმარტებათაგან აღმოჩნდება ამისი მიზეზები:

პირველს ორს წელიწადს არა თუ მრავალი ახალი დავა აუტეხეს აპეკასა, ზოგიერთს ისეთს მთავრის საკუთრებასაც წაეტანნენ, როგორც, მაგალითად, განარჯიას მუხურს, რომლისაც მფლობელობა მმართველობამ თვითან დაუმტკიცა მთავარსა.²⁹

უფრო მრავალი დავა შემდეგ ასტყდა, ჩემს აპეკუნობაში.

ამ დავების უმთავრესი წყარო ის იყო, რომ მთავრის ოჯახი სამარადისოდ გასული ეგონა ქვეყანას სამეგრელოდამ და დამკვიდრდა იმისი საკუთრების დამარღვეველი აზრი, რომელსაც ანდაზა წარმოსთქვამს, ბრალი მორეულთაო. ამ აზრის ხალხში დამკვიდრებას მაშინვე თან დაჰყვა სიძულვილიცა აპეკასა და ადგილობრივის მთავრობას შუა, ასე რომ ცალს მხარეზე მარტო აპეკა დარჩა და მეორეზედ ხალხი და მმართველნი მისნი.³⁰

მაგრამ მაინც აპეკას დაბოლოებითად არც ერთი საქმე არ წაუტია და ამოგებით კი ზოგი ისეთი სადავო ადგილ-მამულები

* აქ არ ვანგარიშობ 18 000 მანათს, რომელიც პენციად ეძლევათ მათს სიცოცხლეში თვით მთავრინას და დანარჩენს მისს შვილებს.²⁶

ამოიგო, როგორც, მაგალითად, ფაქუში, ოცარცე, რომელზედაც დიდი დავები იყო მთავრობის დროსვე;³¹ – თურჩუ და თეკლათის ტყე, რომელზედაც მთავარს ეცილებოდნენ საკმაოდ დიდნი თავადთა გვარნი: ჩიქოანები, მხეიძეები, ქოჩაქიძეები და სხვა.

ამ საქმეებისა, და სხვა მრავალის წვრილი სადავო საქმეების საწარმოებლად აპეკას შეეძლო მოსაქმენი ანუ ვექილეები დაეყენებინა, ესე იგი, ისე მოქცეულ-იყო, როგორც ახლა თვითან კნიაზი მინგრელსკი უნდა მოიქცეს, – და გასამრჯელოს დაჰპირებიყო, როგორც უფრო ხშირად აძლევენ ახლა სადავო ფასის ათის თავსა;³² მაგრამ აპეკა თვითან აწარმოებდა ამ საქმეებსა და ამით ხარჯი შეამცირა რამდენიმე ათასის თუმნობით.

სამართლის მხარე ეს არის იმ მამულისა, რომლისაც მფლობელობაში შედის ახლა კნიაზი მინგრელსკი.

რა რომ 11 სექტემბერს ყოველი ეს ზემოთ თქმული წერილით ვაცნობე კნიაზს მინგრელსკის, მთავრინასაც მაშინვე მივსწერე, რომ 1866-ის წლის ანგარიშით გადანარჩენი 17 130 რ. 45 კ. მიმდევრო ანგარიშში მივათვალე იმ ფულებს, რაც 1867-ში და ამ 1868-ში ჩემს ხელში შემოვიდა და ეს ანგარიში, სულ 42 702 მანათისა და 23 კოპეიკისა, თამასუქებითურთ, კნიაზს მინგრელსკის გავუგზავნე მეთქი.

18-ს იმავე სექტემბერს მთავრინას წიგნი მომივიდა ნომრიანი, 2 იმ თვეს დაწერილი, სააპეკო ფული რომ დაგრჩათ 17 000 მანათიო, იქიდან ვალი გაისტუმრეთ ჩემის ძმისათვის აღებული 15 000 მანათიო.

11 სექტემბრამდინ რომ მომსვლიყო ეს წიგნი, მაშინ სხვა იქნებოდა; მაგრამ 18-ს მომივიდა, რადგან აქ გამოგზავნათ, ტფილისს, როდესაც მე ქვიშხეთში ვიყავ, – და ამ ბრძანებას როგორღა შევასრულებდი. – 20 იმ თვეს ფორტითვე მოვახსენე, იმ ფულის თამასუქები კნიაზს მინგრელსკისთან მაქვს მეთქი გავგზავნილი ჩემის სახელის ზედწარწერით, რომლითაც ჩემი ამ ფულების აღების უფლება იმაზედ გადადის, ვისს

ხელშიაც თამასუქები იქნება მეთქი. – ამაზედ შეწყდა ჩვენ-
შორის მიწერ-მოწერა ამ ნოემბრამდის.

ამ ნოემბრის 13-ს ქალაქს ჩამოველ და ჩემს სტოლზედ
დამხვდა ამავე თვის 3-ს მოწერილი წიგნი მთავრინასი, რო-
მელშიაც სწერია ესა:

„არ შემიძლია გამოთქმა ჩემის განკვირვებისა, როდესაც
თქვენი წიგნი მივიღე 11-ს სექტემბრისა, რომლიდამაც ვჰხე-
დავ, რომ აპეკისაგან თქვენთან დარჩენილის ფულისათვის
ა ხ ა ლ ი გ ზ ა მიგიციათ, არა მიმხედ თქვენისავე 9-ს აგვის-
ტოს წერილისა, რომელთანაც ანგარიშს რომ მაძღვედით
თქვენის 9 წლის აპეკუნობისას (აქ შეცთომა არის: აპეკუნად 8
წელიწადს ვიყავ და არა 9-ს³³) ჩემის შვილის, კნიაზ მინგრელ-
სკის მამულზედ, სიტყვითაც და წერილითაც გამომიცხადეთ
თქვენი მ ზ ა დ ყ ო ფ ნ ა, რომ აპეკისაგან გადანარჩენი 17 130
მან. 45 კ. ორის თვის ვადაზედ ჩემთვის ჩაგებარებინათ.

რადგან ეს ასე ვიცოდი და ამასთან რადგან ჩემის ძმისათ-
ვის თქვენ 15 000 მან. გისესხნიათ, მე ვარჩიე ამ ვალის გას-
ტუმრება იმ აპეკისაგან გადანარჩენის ფულიდამ, როგორც
მოგწერეთ 3 სექტემბერს და ეს ჩემი განკარგულება ვაცნობე
ბარონს ა. პ. ნიკოლაისაცა.

ამ განკარგულების შეცვლა არ შეიძლება და აპეკისაგან
გადანარჩენი ფული რისთვისაც არის დანიშნული, იმას უნდა
მოჰხმარდეს, მით უმეტესად, რომელ აპეკას – მერმეთ მამუ-
ლის მართვის ანგარიშში შეტანა ამ ფულისა, არ არის ჯერო-
ვანი, რადგან აპეკა სხვა არის, და მამულის მართვა სხვა.

მე არა მსურს, რომ აპეკის ვალი ჩემის შვილის საკუთრე-
ბაზედ ან იმისს შემოსავალზედ გადვიდეს რამე და ამის გამო
განმეორებით გთხოვთ, მოწყალეო ხ ე ლ მ ნ ი ფ ე ო, იმ ფული-
დამ, რომელიც აპეკისაგან გადარჩა და რომელიც, მაშასადა-
მე, თქვენა გაქვთ ახლა, 15 000 მანათით ზემოხსენებული ვა-
ლი გაისტუმროთ და დანარჩენი მე გამომიგზავნოთ ნაღდათ;
რაიცა შეეხება გავასხებულის ბარათებსა, რადგან იმ ბარა-

თებით ფული თქვენ გაგიციათ თქვენის საკუთარის ნებითა, ამ ვალებს გასტუმრება რჩება თქვენსავე პასუხის გებაზედ“.

აი ბრძანება რიგიანი და ლოლიკური!

მაგრამ! ოჰ! რა დიდი განი სძევს პირველს შეხედვასა და კარგად გაშინჯვას შუა.

აბა ერთი ანალიტიკურად გადავავლოთ თვალი ამ წერილსა!

„აპეკისაგან დარჩენილის ფულისათვის ა ხ ა ლ ი გ ზ ა მიგიციათო!“ –

არა! რაც ერთის წლის ანგარიშით ძირსა რჩება, ის რომ მეორე წლის ანგარიშში შემოსავალს მიეთვლება, – ამას ახალი გზის მიცემა არ ეთქმის, რადგან სულ ასე მოდის ანგარიში მას აქეთ, რა რომ ფულის თვლა და ანგარიში დაარსებულია.

მ ზ ა დ ე ო ფ ნ ა გამომიციხადეთო, რომ აპეკის გადანარჩენი ფული ორს თვეზედ ჩემთვის უნდა ჩაგებარებინათო. –

არა თუ მ ზ ა დ ე ო ფ ნ ა, ვ ა ლ დ ე ბ უ ლ ე ბ ა განუცხადე ჩემი, რომ ამ ვადაზედ ჩამებარებინა ეს ფული, – ანუ თ ა მ ა ს უ ქ ე ბ ი ა მ ფ უ ლ ი ს ა, და ეს მეორე პირობა სწორეთ იმ აზრით ჩაფუნერე, რომ – როდესაც ამ პირობასა ვსდებდი, ესე იგი 9-ს აგვისტოს, მე არ შემეძლო ცოდნა, – ნაღდათ იყო მაშინ ეს ფული ზანდუკში, თუ ხაზინის ბილეთებად, თამასუქებად, თუ გირაობის წერილებად, – რადგან ეს ზანდუკი, – ანუ ყოველივე ანგარიში კნ. ნიჟარაძეს ებარა, და ნიჟარაძე მაშინ ფოთს გვეგულებოდა. – აღმოჩნდა მერე, რომ სულ კანონიერ თამასუქებად იყო ეს ფული გადაქცეული, და სასარგებლოდ გაცემული აპეკისაგან; ზედ წარვანერე ამ თამასუქებს ჩემი სახელი და ამითი ვისს ხელშიაც მივიდოდა, ფულის ამოგებაც იმისი ნება იქნებოდა და ასე გავგზავნე; გავგზავნე, მართალია, მთავრინასთან კი აღარა, პირდაპირ იმასთან, ვისთვისაც თვითან მთავრინას უნდა გარდაეცა ჩემგან რომ მიღებული ჰქონიყო; ანუ – ასე ვსთქვათ – კნიაზ მინგრელსკის მამულიდამ შემოსული ფული, რომელიც დიდხანს თუ პატარა ხანს ჩემთ ხელთ იყო, შევიტანე იმავე მამულის სალაროში, შევინახე

იმავე კნიაზ მინგრელსკის ზანდუკში, ან თვითან იმას ჩავაბარე. როგორც უნდა ითქვას სულ ერთია, – და აღარა დედას იმისას მთავრინასა, რომელსაც 1867 წლის 4 იანვარს აქეთ სიმართლე აღარა მიუძღვის რა არც ამ ფულზედ და არცა რა სხვას თავისი შვილის საკუთრებაზედ, თუ არა ისევე ძველებურად, შინაურულად.

„ეს ჩემი განკარგულება ბარონ ა. პ. ნიკოლაისათვისაც მიცნობებია და ამ განკარგულების შეცვლა აღარ შეიძლება“.

გულით ვსწუხვარ, როგორც ბარონის აქ ხსენებასა, ისე ამას, რომ მთავრინა თავისს განკარგულებას უცვალებლათა ჰსთვლის. ბევრით უმჯობესი იქნებოდა, რომ ეს განკარგულება სულ არ ენებებინა: 15 000 მანათის ვალი უნდა გასტუმრებულ იქმნეს თქვენ რომ ფული დაგრჩათ იქიდამაო, მაშინ, როდესაც რაც ჩემთ ხელთ იყო, ყოველივე 11 სექტემბერს კნ. მინგრელსკის გავუგზავნე და მე რაღა დამრჩებოდა; – ამას გარდა ეს 15 000 მანათი ვალად სწორეთ იმ პირობით არის აღებული, რომ გასტუმრებულ-იქმნეს იმ ფულიდამ, რომლისაც ხელის ხლება მთავრინას არა ჰსურს და, მე ვიტყვი, არც ეკუთვნის. – მაგრამ სადაც გამსესხებელი პირობით არის დახათრიჯამებელი თავისი ფულის მიღებაზედ დასახელებულის შემოსავლიდამ, ამ შემოსავლის ხელის ხლება ჰსურს ვისმე თუ არა, ან ეკუთვნის ვისმე თუ არა, იმას რა ენაღვლება.

„გადანარჩენი ფული რისთვისაც არის დანიშნული, იმას უნდა მოჰხმარდესო“. –

საქმეც ეგ არის, რომ ამაზედა ვართ სხვა და სხვა აზრისა. კნიაზმა მინგრელსკიმ თავისი ფული რასაც უნდა მოახმაროს, ვის რა ეკითხება და სხვათა შორის დედას იმისას.

„აპეკას მერმეთ მამულის მართვის ანგარიშში შეტანა ამ ფულისა არ არის ჯეროვანი, რადგან აპეკა სხვა არის და მამულის მართვა სხვაო“. –

თუ ბოლო სწორეა ამ აზრისა, აზრიც საფუძვლიანი იქნება, რადგან მხოლოდ თავისს ბოლოზედ არის ეს აზრი დაფუძ-

ნებული. – აბა ვნახოთ, აპეკა და მართვა მამულისა მართლა სხვა და სხვა არის, თუ არა?

პირველის შეხედვით აქაც შეიძლება ყოყმანი:

მცირე წლოვანის მთავრის საკუთრებაზედ დაწესებული აპეკა და კნიაზი მინგრელსკის მამულის მართვა უეჭველია სხვა და სხვა უნდა იყოს.

მაგრამ – საქმე ეს არის, რომ მცირე წლოვან მთავრად ინოდება სწორეთ ის პირი, რომელსაც ახლა, სრულ წლოვანობას აქეთ, ეწოდება კნიაზი მინგრელსკი.

მთავრის საკუთრება, რომელზედაც 1867-ის იანვრის 4-ამდის აპეკა არსებობდა, სწორეთ ის მამული არის კნ. მინგრელსკისა, რომელზედაც ვექილის მართვა იყო იმ დროს აქეთ დაწესებული.

დასასრულ იმ 4 იანვრამდინ აპეკუნად ვიყავ მე და იმ დღეს აქეთ ვექილად ვიყავ მევე, იმავე მამულზედ.

ახლა ვჰგონებ ცხადი იყოს, რომ რაშიაც მე ანგარიშს ვაძლევ, ის საქმე, როგორც უნდა აიღონ და როგორც უნდა დაიღონ, ისევე ის გამოვა.

ამას ყოველსავე ესეც უნდა თან დაერთოს, რომ უგანათლებულესს მთავრინას ყოვლად უეჭველია დიდი უფლება აქვს თავისი შვილის საქმეებზედ, ვითარცა მშობელს დედას, და უმეტესი უფლება ჰქონდა კიდევ 1867-ის 4 იანვრამდის, ვითარცა ღლავნი-ოპეკუნშას;³⁴ მაგრამ იმ დღეს აქეთ კი სიმართლე სრულიად აღარა მიუძღვის რა ფულზედ, რომელიც არის საკუთრება იმისი შვილისა, რა დროსაც უნდა იყოს ნაშოვნი.

ჩემი უკანასკნელი ანგარიში კნიაზს მინგრელსკის სწორეთ იმ მიზეზით გავუგზავნე, რომ იმისთვის უნდა გამეგზავნა, რადგან პატრონიც ის იყო და ჩემი ვექილად დამყენებელიცა.

„მე არა მსურსო, რომ აპეკის ვალი ჩემის შვილის საკუთრებაზედ ან იმის შემოსავალზედ გადავიდეს რამეო“. –

ყოვლითურთ პატივის-მცემელი ვარ იმ სახიერის გრძნობისა, რომლისაგანაც ეს სურვილი დაბადებულა; თუმცა კი თვით

სურვილი ვერ არის ისეთის თვისებისა, რომ ხვალინდელს შემოსავალზედ გუშინდელი ვალის გადატანა შეაყენებინოს ვისმე; – მაგრამ აქ აპეკისაგან ვალი სრულიად არა გადადისრა არც მამულზედ და არც შემოსავალზედ, ამიტომ რომ აპეკისაგან ვალი არა დარჩენილარა. რაც ვალი არის, სახელდობრ 1867-ში არის აღებული, როდესაც აპეკა აღარ იყო და რასაკვირველია სხვაზედ არა რაზედ გადაგვატანინებენ, თუ არ იმჯიბზედ, ან იმ ქისაზედ, რომლის იმედიტაც არის აღებული.

მთავრინას ჰნებავს, რომ რაც მე ფული მრჩება იქილამ 15 000 მანათით ვალი გავისტუმრო და დანარჩენი ნაღდათ მივართვა. საკვირველია! კილოტაც არა არის რა თქმული იმ 489 მანათისა, რაც რჩება ჩემი იმათზედ უკანასკნელის ანგარიშით.

„რაიცა შეეხება გავასხებულის ფულის ბარათებსა, რადგან ფული თქვენის ნებით გაგიციათ, ვალეების გასტუმრება თქვენსავე პასუხის გებაზედ რჩებაო“.

ფულების გასესხება ნება კი არა, ვალდებულება იყო ჩემი. ზოგიერთი წვრილი ვალი, მაგალითად: კნ. ავალიშვილისა; კნ. ალ. ერისთავისა; დეკანოზის რომანოზ ბორისოვისა, მაჭავარიანისა, თურქისტანიშვილისა, მე ჩემს შესახვედრს წილში ჩავიგდე; და დანარჩენი, 17 130 მან. და კობ., რომელზედაც მთავრინა იწერება, გასესხებულია არათუ ჩემის ნებით ანუ უფლებით, უმეტესი ნაწილი თვით მთავრინას სურვილით, ნებით, ანუ დამტკიცებით; და თუ მისს უგანათლებულესობას ეს გარემოება დავიწყებული აქვს, ადვილად მოვეხმარები ამის მოგონებაზედ.

ამ მოთხრობის წამკითხველი ღირსეულად დააფასებს, უეჭველია, იმ მიზეზსა, რომლიტაც ეს უკანასკნელი წიგნის გარჩევა ასე დაწვლილებით თვით მთავრინას ველარ მოვახსენე. ისეთი უსაზღვრო პატივისცემა დამიცს მისის უგანათლებულესობისა, რომ ამდენის წასაკითხის წაკითხვით აღარ მინდოდა შემენუხებინა და ამისგამო იმავე 13-ს ამ თვისას მხოლოდ ეს მოვახსენე წერილით, გულის-სინრფელითა მსურს-მეთქი

შეურყვეველად დაცვა უღრმესის თქვენდა პატივისცემისა და გთხოვთ სანდო პირს მიანდოთ ვისმე ჩემგან პასუხის მოთხოვნა როგორც ხსენებულს წიგნზედ, ისე სხვა საკითხავებზედაც, რაც თქვენის შვილის მამულის შესახები იქნებოდეს მეთქი. –

გუშინწინ, ამ თვის 21-ს, უკანვე მომივიდა 11-ს სექტემბერს მინგრელსკისთან გაგზავნილი თამასუქები. კნ. მინგრელსკიმ მამაშას³⁵ დაუკითხავად ვერ მიიღოო და უგანათლებულესმა მთავრინამ კი დაბრუნება ჰბრძანაო. – ამასთან ვითამც ესეც ებრძანებინოს:

„მართალია, მივსწერეთ, რომ დავით ჭავჭავაძისათვის 15 000 მანათი მიეცა, მაგრამ ეს ხომ არ მიგვინერია, ვალი აიღე და მიეციო; თუ თითონ არა ჰქონდა, ვინ ეხვეწებოდა ისესხეო, რა რომ ისესხა, თავათვე გასცეს პასუხიო“. –

მე ამას მ ნ ე რ ე ნ; მაგრამ – გავკადნიერდები და ვიტყვი, რომ სრულიად არა მჯერა: მეტად შარიანია, მეტად ღვლარძნილია ეს აზრი და მეტად წყვილიადეულია, რომ მისის უგანათლებულესობის ნათქვამს მიემსგავსებოდეს როგორმე.

ახლა, ღვთის გულისათვის, რა შეცთომით ან რა განზრახვით არის ამდენი ქათქათი, ამდენი მითქმა-მოთქმა ქალაქში გაჰვრცელებული, ამ პატარა რვეულის გამომთხოვი?

სამეგრელოს მთავრის სახლისათვის იმისი საკუთრების დასამკვიდრებლად და იმ ხარისხზედ დასამყარებლად, რომელზედაც ახლა განისვენებს ეს სახლი, – მე გარდამხდა, – გამოტეხით უნდა ვსთქვა ახლა, – მრავალი ზნეობითი შრომა და მრავალი ნივთიერებითი ჯაფა, – ჩემის შრომის დაჯილდოება, გარეშე ჩემის გრძნობისა და ჩემის სინდისისა, არასფრით არ შეიძლება. ჩემი ჯაფა კი უნდა დაჯილდოვებულ-იქმნეს; სრული სიმართლე მიმიძღვის ამაზედ და აი რას ვითხოვ:

„რაც გეფიცებათ, იმისგულისათვის, – ა ხ ლ ა მ ა ი ნ ც დ ა მ ა ნ ე ბ ე თ თ ა ვ ი – ჩემის ცოლშვილისათვისაც მიმახედვინეთ!“

23 ნოემბერი 1868.

ტფილისი

საუბარი მიხეილ ნიკოლოზის ძესთან ბორჯომში 1885 წლის 11 ოქტომბერს

ქუთაისში 5 ოქტომბერს გამართული ვახშმის შემდეგ დიდ მთავართან საფუძვლიანი საუბრის აუცილებლობა შეიქნა.¹

გავრცელებული ხმების მიხედვით, მის უმაღლესობას ყარაიაზში ნასვლა, იქიდან ბორჯომში დაბრუნება, ამის შემდეგ კი – ოქტომბრის შუა რიცხვებამდე – პეტერბურგში გამგზავრება ჰქონდა განზრახული.

ჰოფმაისტერმა ა. ფ. ტოლსტოიმ, რომელსაც 11 ოქტომბერს მივმართე და დიდ მთავართან შეხვედრა ვთხოვე, მითხრა – დიდი მთავრის ნახვა თუ გსურთ, პირდაპირ კი არ უნდა ეწვიოთ, ნებართვა რამდენიმე დღით ადრე უნდა მიიღოთო; ამასთანავე, დასძინა – მის უმაღლესობას თქვენი სურვილის შესახებ წერილობით მოვახსენებ, თუმცა არა მგონია, მიგიღოთ; და თუ მიგიღებთ, ეგ შუადღის 1 საათამდე არ იქნებაო. თუმცა ნახევარ საათში ჰოფმაისტერისგანვე მომივიდა შეტყობინება – მისმა უმაღლესობამ თქვენთან შეხვედრა 12 საათზე იწებო. გამოვცხადდი სასახლეში და მალე მიხმეს კიდევაც.

– გამარჯობა! რას მეტყვით?

– მომიტევეთ, თქვენო უმაღლესობავ, ასე მოულოდნელად რომ გეწვიეთ. მოსვლა იმან გამაბედვინა, რომ მინდა მოვასწრო გადმოგცეთ იმერეთის თავადაზნაურობის გულწრფელი სურვილი. ისინი თქვენ და თქვენს უავგუსტოეს ოჯახს კეთილდღეობასა და ჯანმრთელობას უსურვებენ.

– გმადლობთ, დიდად მადლობელი ვარ!

– კიდევ დამავალეს გადმოგცეთ, თქვენო იმპერატორობითო უმაღლესობავ, რომ თავადაზნაურობას ახსოვს თქვენი ხანგრძლივი მმართველობა ჩვენს მხარეში და საჭიროებათა დაკმაყოფილებისა და გასაჭირის დაძლევის იმედსა და სასოებას ისევ თქვენზე ამყარებს.

– ეგ მე ქართველი თავადაზნაურობისგანაც მომისმენია,² მაგრამ საკითხავი ის არის, თუ რა ფორმით უნდა აღსრულდეს ეს იმედები და სასოება. მოდით, ამაზე საუზმის მერე ვისაუბროთ, ახლა კი სასაუზმოდ წავიდეთ.

საუზმის შემდეგ დიდმა მთავარმა შემიყვანა თავის კაბინეტში, პირისპირ დამსვა სავარძელში და მკითხა:

– კონკრეტულად რით შემიძლია იმერეთის თავადაზნაურობას დავებმარო? თუ ეს „პრიკაზის“ ვალებს ეხება,³ დამეთანხმებით, ეს მეტისმეტ უხერხულობას შექმნის.

– არა, თქვენო უმაღლესობავ! მათ ვალების საკითხი კი არ ანუხებთ, არამედ ის მორალური შევიწროება, რომელსაც, როგორც ჩანს, გარკვეული დროიდან განიცდიან.

– დაასახელეთ ფაქტები. ფაქტების გარეშე საქმეზე ვერ ვიმსჯელებთ.

– ყველა იმ აზრზეა, რომ ადგილობრივებს არც სახელმწიფო სამსახურში დანიინაურების საშუალებას აძლევენ, არც – განათლების სფეროში და საერთოდ, სიტყვამ „ადგილობრივი“ როგორღაც შეურაცხმყოფელი შინაარსი შეიძინა.⁴ თუ ეს ყველაფერი მისი უდიდებულესობის, ხელმწიფე იმპერატორის, ნების გამოხატულებაა,⁵ ჩვენ ამას დავემორჩილებით, მაგრამ თუ ეს ასე არ არის, მაშინ ამ მორალური ტვირთისგან გათავისუფლებაში უნდა დაგვეხმაროთ.

– **მე ვარ თავდები**, რომ არც მონყალე ყურადღება ხელმწიფე იმპერატორისა ქართველთა მიმართ, არც მისი რწმენა ქართველთა ერთგულებისა იოტისოდენადაც კი არ შეცვლილა. ხელმწიფე იმპერატორი ისევე კეთილგანწყობილია თქვენ მიმართ, როგორც – მისი მამა და პაპა.

– თქვენი უმაღლესობის ეს სიტყვები უაღრესად მნიშვნელოვანია ჩვენთვის და გვამშვიდებს კიდევაც.

– თუმცა იყო ერთი შემთხვევა, უფრო ზუსტად, ორი შემთხვევა, რომელთაც შეეძლო თქვენი შეშფოთების გამოწვევა: გამოიცა განკარგულება, რომელიც რაღაც გაუგებრობის გამო ან სულაც შეცდომით დაიბეჭდა – სამხედრო ნაწილში შერჩევისა და ხელმძღვანელ თანამდებობებზე დანიშვნისას ისევე, როგორც ეს ყველგან ხდება, რუს ოფიცრებთან მიმართებაში დაცული ყოფილიყო პროპორცია; იყო კიდევ ერთი განკარგულება, რომელიც სამოქალაქო ნაწილს ეხებოდა და რომლის მიხედვითაც, საპოლიციო პოსტებზე ადგილობრივი მცხოვრები არ უნდა დანიშნულიყო. მაგრამ ეს განკარგულებები – ჯერ ერთი, ისინი არც უნდა გამოქვეყნებულიყო – ზოგადი ხასიათისა იყო და მაინცადამაინც ქართველების წინააღმდეგ არ ყოფილა მიმართული. თავდები ვარ, რომ ასეთი რამ აზრადაც არ მოსვლია არავის. **გიმეორებთ და შეგიძლიათ სხვებსაც უთხრათ, რომ არამცთუ ხელმწიფე იმპერატორს, უმაღლესი ადმინისტრაციის არც ერთ წარმომადგენელს იოტისოდენადაც კი არ ეპარება ეჭვი ქართველთა ერთგულებაში და ამიტომ არც ქართველთა დაჩაგვრის სურვილი შეიძლება ჰქონდეს ვინმეს.** გამორიცხული არ არის, არასწორად ყოფილიყო გაგებული ის შემთხვევა, რომელიც სომხურ სკოლებთანაა დაკავშირებული. მაგრამ ეს, თქვენც მოგეხსენებათ, არაფრით არ უკავშირდება ქართველ მოსახლეობას. თავად დონდუკოვთან დაკავშირებით თავიდან შიშიც კი არსებობდა – ქართველებისადმი მისი განსაკუთრებული სიყვარული და მიკერძოება ხომ არ დააზარალებდა სხვა ხალხების ინტერესებს. იგი არასდროს არ მალავდა თავის თანაგრძნობას ქართველთა მიმართ. ეს მან „პრიკაზთან“ დაკავშირებითაც დაამტკიცა. მართალია, შუამდგომლობა მე აღვძარი ბარონ ნიკოლაისთან ერთად, მაგრამ თავადი დონდუკოვიც დაჟინებით ამტკიცებდა, ქართველები მონარქიული ყურადღების ღირსნი არიანო და ხელმწიფემაც ქართველებს ვალის ნახევარი ჩამო-

ანერა. თავადი დონდუკოვი კედლად დგას თქვენ დასაცავად და არ დაუშვებს თქვენი ინტერესების ხელყოფას.

– მე ვერაფერს ვიტყვი თავად დონდუკოვის სანინაალმდეგოდ, მაგრამ, თქვენო უმაღლესობავ, თუ აღმოჩნდა ისეთი ფაქტი, როგორიც, მაგალითად, ერთ-ერთი აქაური გიმნაზიის დირექტორის ღია განცხადებაა: მე იმას მივალწევ, რომ გიმნაზიაში მხოლოდ რუსები იყვნენ და არც ერთი – ადგილობრივიო; ან კიდევ – ცირკულარით დაწესებულია, რომ პირველდანიყებით სკოლებში სწავლება მხოლოდ და მხოლოდ რუსულ ენაზე უნდა იყოს, ხოლო ვისაც ქართული ენის სწავლა სურს, საკუთარ სახლში ისწავლოსო. ასეთ შემთხვევებს, თქვენო უმაღლესობავ, თქვენი უავგუსტოესი ყურადღება რომ მივაპყრო, ხომ არ ჩათვლით შესაძლებლად, ეს ყველაფერი თქვენს ყურამდე მივიტანო და ხომ არ მიბრძანებთ, რა გზით უნდა შევძლო ეს?

– ღვთის გულისათვის! უთხარით ბარონ ნიკოლაის ან სტარიცკის და ისინი შემატყობინებენ. ცირკულარს რაც შეეხება, დანამდვილებით ვიცი, რომ მის სანინაალმდეგოდ იანოვსკიმ განკარგულება გასცა, რომ სასწავლებლებში სწავლების ენა პირველ ორ წელიწადს იყოს მშობლიური და მხოლოდ ამის შემდეგ – რუსული. დამშვიდდით! თქვენ წინააღმდეგ არავითარი მტრობა არ არის, ხოლო თუ გაუგებრობები წარმოიშვა, საჭიროა მათი აღმოფხვრა.

– ეს, თქვენო უმაღლესობავ, ჩვენი მოვალეობაა, და პირნდინდად აღსრულდება კიდევაც.

– დარწმუნებული ვარ. თქვენ ახლა შინ გაემგზავრებით?

– პირდაპირ ქუთაისში, თქვენო უმაღლესობავ.

– მაშ, გისურვებთ ჯანმრთელობას.

ეს ყველაფერი ჩანერილია ჩემ მიერ იმავე დღეს.

11 ოქტომბერი 1885.

ბორჯომი

**იმ ფაქტების შესახებ, რომლებმაც
ქუთაისის გუბერნიის თავადაზნაურობის მიმართ
საქალაქის უფლებების ზომიერითი წარმომადგენლის
გულისწყრომა გამოიწვია**

I

1885 წელს, მაისის დამლევის საიმპერატორო თავად-აზნაურთა სათადარიგო კრებამ ქუთაისის გუბერნიის წინამძღოლად ამომარჩია¹ (სახეში მაქვს იმერეთის თავად-აზნაურობა – ქუთაისის გუბერნიასვე ეკუთვნიან: სამეგრელო, აბხაზეთი, სამურზაყანო, სვანეთი და ბათუმის ოლქი. ამ სამთავროების თავად-აზნაურობა ჯერ-ჯერობით საგუბერნიო კრებებში მონაწილეობას არ იღებენ. არჩევნების უფლება აქვს იმერეთის და გურიის თავად-აზნაურობას).

ივლისში უმაღლესად დამტკიცებული ვიყავ. მაცნობეს მარიანობის თვეში და 17-ს ამავე თვისას ჩემს თანამდებობის ასრულებას შეუდექი. საკრებულო ტაძარში² ერთგული სამსახურის ფიცი მივეცი და იმავე დღეს, გუბერნატორთან ერთად, ბათუმში წავედი,³ სადაც მოვალედ ვრაცხდი ჩემს თავს საიმპერატორო სახლის უავგუსტოეს წევრებს დავხვედროდი: დილით 18 აგვისტოს ბათუმში უნდა მოსულიყო დიდი მთავარი მიხეილ ნიკოლოზის-ძე, რომელიც 19 წლის განმავლობაში ჩვენს ქვეყანაში „ნამესტნიკად“ იყო. დიდ მთავარს თან ახლდა უავგუსტოესი მეუღლე დიდი მთავრინა ოლგა თეოდორეს ასული.

გზაში, სანამ ბათუმში ჩავიდოდით, საგანგებო საქმეთა აღმასრულებელი გუბერნატორის მოხელე გუბერნატორის

სახელით მეკითხებოდა: – ბათუმში რად მიდიხარო? ხოლო ბათუმში მისვლისთანავე, ვეახელი თუ არა კავკასიის მთავარმართებელს პატივის-საცემად, მთავარმართებელმაც მკითხა: „თქვენ აქ რაღა გინდათ?“

შეიძლება, ყველა ამის შემდეგ, ჩემი მოვალეობის წინააღმდეგ, უმჯობესი იქმნებოდა, უკან გავბრუნებულვიყავ, ხოლო გვიანდა იყო და იძულებული ვიყავი დავრჩენილვიყავი, შევხვედროდი დიდ მთავარს და იმას ბორჯომამდე ვხლებოდი.

თითქმის ყოველ სადგურზე საჩქაროთ ჩამოვდიოდი ვაგონიდან და ადგილობრივ თავად-აზნაურობას ვარდგენდი მათ უდიდებულესობათ. დიდძალი ხალხი ვაშას ძახილით სიხარულს აცხადებდა.

როგორც ეტყობა, ყველა ეს არ მოსწონდა თ. დონდუკოვ-კორსაკოვს, რაიც ჩვენ მით უფრო გვაკვირვებდა, რომ დონდუკოვს უნდა სმენოდა, რომ ჩვენს თვალში უბრალო თავადის და დიდ მთავარს შუა განსხვავება უნდა ყოფილყო.

ოქტომბრის დამდგომს მისი დიდებულება ბორჯომიდან ხელმეორედ ბათუმში მობძანდა. დაბრუნებისას, ქუთაისში, ქალაქმა ვახშამი გაუმართა. ვახშმის დროს ჩვეულებრივი სიტყვები წარმოსთქვეს. მაგრამ ვახშამს დაესწრნენ ზოგიერთი ქართველების მოძულე პირები, რომელნიც ჩვენი ქვეყნის საუბედუროთ ამ ბოლო დროს გათამამდნენ და ფარულად ჩვენს წინააღმდეგ მოქმედებენ. ამ პირთ საშუალებით მეორედ დღესვე ხმა გავრცელდა, ვითამ ქალაქის თავმა⁴ და მე, ჩვენს მისალოც სიტყვაში, აშკარად გავატარეთ ის აზრი, რომ დღევანდელის მდგომარეობით უკმაყოფილონი ვართ. ამ ხმების გავრცელების აზრი ის იყო, რომ თ. დონდუკოვში აღედრათ ქართველების წინააღმდეგ განრისხება და დიდის მთავრის თვალშიაც ჩვენს სიტყვებს უადგილო საჩივარის ხასიათი მისცემოდა. მაგრამ, საქმე ის არის, რომელ ჩვენს სიტყვებს? ქალაქის თავმა აღნიშნა: „დიდი მთავრის მმართველობის დროს ჩვენი შიდა რუსეთთან გაერთიანება⁵ თითქმის განხორციელ-

დაო, ხოლო ამ ჟამად კიდევ გვაშორებენ რუსეთსაო. ამისათვის ჩვენი უსაზღვრო ერთგულება ხელმწიფე იმპერატორისადმი არ იცვლებაო“. მეც თავად-აზნაურობის მხრივ იგივე ერთგულება შევფიცე დიდ მთავარს.

ამ მითქმა მოთქმას შეიძლება ცუდი შედეგი მოჰყოლოდა. ამისათვის ჩემის აზრით, საჭირო იყო, სათავეშივე მომესპო უსაფუძვლო მითქმა მოთქმა და მომელაპარაკნა დიდ მთავართან, რადგან თ. დონდუკოვთან მოლაპარაკებას ყოველთვის მოვასწრებდი, დიდი მთავარი კი პეტერბურგს 13 ოკტომბერს ნაბძანებას აპირებდა.

გადავწყვიტე 11 ოკტომბერს ბორჯომში მისვლა. მთავარმა დიდის მოწყალებით მიმიღო და ნება მომცა გულწრფელად მეთქვა მისთვის, რომ ჩვენს სიტყვაში ანწყოს დახასიათება გვინდოდა და ამ დახასიათებაში არავითარ საჩივარს ადგილი არა ჰქონია მეთქი.

მართლაც, ყველა ეს მაშინ აზრადაც არა მქონდა. ხოლო ეხლა გავბედე და მოვახსენე დიდ მთავარს, თავად-აზნაურობა ამ ბოლო დროს შეწუხებულია იმ გარემოებით, რომ ზოგიერთი ადმინისტრაციის მოხელე ცუდის თვალთ გვიყურებს, რაიც ეწინააღმდეგება მეფის ჩვენდამი ნდობას და წყალობას, რომელსაც ყოველთვის გვიცხადებდა, როგორც მართლმადიდებელ, რუსეთის თვითმპყრობელობას თავისი ნებით შეერთებულ ხალხს. მოვახსენე, სახელმწიფო სამსახურშიაც გვაწინროვებენ მეთქი; სასწავლებლებში აღარ გვიღებენ და საზოგადოთ გვაგრძნობინებენ, რომ მეგობრულად აღარ გვექცევიან, ისე, როგორც გვექცეოდნენ 80 წლის განმავლობაში.

აი სიტყვა სიტყვით რა მიპასუხა დიდმა მთავარმა:

„ჩემი თავი თავდება, რომ არც ხელმწიფის მოწყალებით ქართველებისადმი შეიცვალა და არც მისი ღრმა რწმენა ქართველების ერთგულებისა. ხელმწიფეს ისეთივე სიყვარული აქვს თქვენი, როგორი სიყვარულიც ჰქონდათ თქვენდამი მის მამას და პაპას... ქართველების შეწინროება არავის არასო-

დეს აზრად არა ჰქონია. მე გიმეორებთ და შეგიძლიანთ სხვებსაც უთხრათ, რომ არამც თუ ხელმწიფე იმპერატორს, არც ერთ ადმინისტრაციის მაღალ მოხელეს **ქართველების მხრივ ერთგულების ეჭვი არა აქვს**. ამიტომ არავის არ აქვს სურვილი ქართველების დაჩაგვრისაო“.

„თქვენი უმაღლესობის ამგვარ სიტყვებს ჩვენთვის დიდი მნიშვნელობა აქვთ – ისინი გვამშვიდებენ, მოვახსენე დიდ მთავარს. თქვენო უმაღლესობაე! რომ აღმოჩნდეს იმგვარი ფაქტი როგორც აი ეხლა ხანს იყო, ერთ ერთი გიმნაზიის დირექტორი იკვებოდა, საქმე იქამდის უნდა მივიყვანო, რომ არც ერთი ქართველი არ მივიღო გიმნაზიაშიო; ან კიდევ, რომ სოფლის სკოლებში დანყებითი სწავლა რუსულ ენაზედ ჰსურთ შემოიღონ და ამ რიგად სწავლის ასპარეზი პოლიტიკის ასპარეზად გადააკეთონ, რაიც ჩვენდამი სრულიად უადგილოა, ყველა ეს მართალი რომ აღმოჩნდეს, ნებას მომცემთ თუ არა, გაცნობოთ ხოლმე და თუ მომცემთ ნებას, რა გზით შეგატყობინოთ ამგვარი ფაქტები?“

„გთხოვთ! მოახსენეთ ამა და ამ კაცს. ის მე შემატყობინებს... დამშვიდდით, თქვენს წინააღმდეგ არავითარი მტრობა არ არის“.⁶

რასაკვირველია, მე სრულიად დავმშვიდდი. მაგრამ თავად-აზნაურობის დამშვიდებაც იყო საჭირო. საგანგებო კრება რომ მომეხდინა გუბერნატორის ნებართვით და თავად-აზნაურობისათვის გამომეცხადა დიდი მთავრის ნალაპარაკევი, ეს გარემოება ჩვენს არამოკეთებებს ხელმეორედ მისცემდა შემთხვევას, გადაესხვაფერათ და გადაეკეთათ ჩვენი სიტყვა ისე, როგორც გადააკეთეს ვახშამზე წარმოთქმული სიტყვა. ამიტომ ამას სხვა ვამჯობინე. ჩავწერე ყველა, რაც ბძანა ბორჯომში დიდმა მთავარმა, რომ მისი სიტყვები გამეზიარებინა ყველასთვის, ვისაც კი აინტერესებდა. ჩემის აზრით, ამგვარს ჩემს საქციელს არავითარი მითქმა-მოთქმა არ უნდა გამოეწვია.

ამიტომ 11 ოკტომბრის საუბარი დაწვრილებით ჩავწერე. ერთი პირი ქუთაისის გუბერნატორს მივართვი, ხოლო მეორე თავად-აზნაურთა დეპუტატთა კრების კანცელარიაში დავტოვე.

გენერალმა სმეკალოვმა ჩემგან წარდგენილი პირი თ. დონდუკოვ-კორსაკოვს წარუდგინა. სათავად-აზნაურო კანცელარიაში წერილის კითხვა დაინყეს. ბევრმა კიდევაც გადანერა წერილი. და ამრიგად წერილი, რომელშიაც სასიხარულო და დასამშვიდებელი სიტყვები ეწერა, გავრცელდა ჩვენს საზოგადოებაში. აი სწორედ ეს, როგორც შემდეგ დავინახავთ, მე დიდ დანაშაულებად ჩამეთვალა.

სხვათა შორის დიდ მთავარს, პეტერბურგში რომ ბრუნდებოდა, 13 ოკტომბერს ტფილისის სადგურზედ ქალაქ ტფილისმა ჩაი გაუმართა. იქ დიდ მთავარს თ. დონდუკოვთან ჰქონდა ლაპარაკი ჩემს შესახებ. მის აღმატებულებას მწუხარება გამოუცხადებია იმის შესახებ, რომ ქართველთა და ადგილობრივ ადმინისტრაციას შორის ამგვარი უსიამოვნება ხდება.

ათი დღის შემდეგ ამისა ტფილისში ჩავედი. იქ, რასაკვირველია, თავდა-პირველად მთავარ-მართველს წარუდექ. თ. დონდუკოვმა დამინყო თუ არა ლაპარაკი, თავდაპირველად თავისი განრისხება გამოაცხადა ქუთაისის და ტფილისის მოურავთა მიმართ ჩაის და ვახშმის გამართვის გულისათვის⁷ და შემდეგ ამისა მეც უკმაყოფილება გამომიცხადა იმის შესახებ, რომ მის აღმატებულებას რაღაც არარსებულ შევიწროებაზედ ჩამოვუგდე ლაპარაკი. ხოლო ამასთან არ უარჰყო, რომ მართლაც სახელმწიფო სამსახურში ადგილობრივ მცხოვრებლებთ აგრე რიგად დიდ შეღავათს არ აძლევენ. რაც შეეხება სწავლა-განათლებას, მთავარმართველმა ბრძანა, რომ სწავლა-განათლების საქმე საერო განათლების სამინისტროს ეხება და ამიტომ აქ ვერას ამბობს.

„ჩვენ ხომ ორმოცი წელიწადია, რაც ვიცნობთ ერთმანეთს,⁸ – მითხრა ბოლოს მთავარმართველმა, – ეხლანდელი

უსიამოვნება, რასაკვირველია, არ დაუშლის ამ ჩვენს ნაცნობობას. მე ქალღმერთი გავაგზავნივ თქვენს სახელზე. ამ ქალღმერთზე პასუხი მომეცით და საქმე გათავადებო“.

როგორც შემდეგ ვიხსენებ, საქმე მხოლოდ ეხლა იწყებოდა.

1885 წ. 1 ნოემბერს გენერალ სმეკალოვისაგან ქალღმერთი მომივიდა. ქალღმერთი ნათქვამი იყო, რომ მთავრმართებელმა ჩემი მისვლა დიდ მთავართან და მასთან ლაპარაკი უმაღლეს ხარისხამდე უადგილოდ მიიჩნია და ამიტომ მთხოვს აუხსნა ჩემი საქციელი. თავის მხრივ გენ. სმეკალოვი მეკითხებოდა, მართალია თუ არა, რომ ჩემი დიდ მთავართან ნალაპარაკევი საჯაროდ გამოვაქვეყნე?

როცა გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლს ეუბნებინ, ესა თუ ის მისი საქციელი უმაღლეს ხარისხამდე უადგილოა, ეს იმას ნიშნავს, რომ წინამძღოლს შენიშვნას აძლევენ. ხოლო, კანონის ძალით, შენიშვნას მხოლოდ მაშინ აძლევენ წინამძღოლს, როდესაც მისი დანაშაულობა პირველ დეპარტამენტის სამმართველო სენატში არის გარჩეული და აღიარებული.

ამიტომ, გავეცი რა პასუხი ქალღმერთი დაყენებულ ზოგიერთ კითხვებზე, მიუმატე, რომ შეიძლება ჩემი დიდ მთავართან მისვლა უადგილო იყო, მხოლოდ ამ მისვლამ ჩვენ ყველანი დაგვამშვიდა. და ამაში მე უფრო ღირსებას ვხედავ, ვიდრე დანაშაულობას. **რაც შეეხება სასჯელს, სასჯელი მომისაჯეს, ვიდრე გამოძკითხეს და არა იმ გზით, რა გზითაც კანონი მოითხოვს.** გენერალ სმეკალოვს ვუპასუხე, რომ ერთი პირი ჩემის წერილისა 11 ოქტომბერს მას მივართვი და მეორე პირი სათავად-აზნაურო კანცელარიაში გავგზავნე, რადგან ამრიგად ავასრულე ის, რაც მიბძანა მთავარმა, როდესაც მითხრა: **ყველას აცნობეთ, რაც ვითხარითო.**

შემდეგ ამისა კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველმაც შემეკითხა ზოგიერთ ფაქტის შესახებ, რომლის შესახებ

უნდა მომეხსენებინა დიდი მთავრისათვის იმ შემთხვევაში, **თუ ისინი აღმოჩნდებოდნენ.**

ბ. მზრუნველმა არავითარი ყურადღება არ მიაქცია იმას, რომ ჩემს სიტყვებში უფრო მეტი ეჭვი იყო, ვიდრე დამტკიცება და მეკითხებოდა: რომელ გიმნაზიაში, ან რომელმა დირექტორმა სთქვა ის, რაც მე აღვნიშნე. რაიც შეეხება სახალხო სკოლებს, ბ. იანოვსკი მთხოვდა, გამომიგზავნეთო პირი არარსებულ ცირკულიარისა.

ამ ქალაქის კილო იმისთანა იყო, როგორც არ უნდა იყოს სამოსწავლო ოლქის მზრუნველის და წინამძღოლის მიწერ მონერაში. წინამძღოლი არაფერში არ ექვემდებარება მზრუნველს და მისი ხელქვეითი არ არის, ამიტომ მოვახსენე მზრუნველს, რომ მხოლოდ მაშინ გავცემ პასუხს იმის კითხვებზე, როდესაც მზრუნველი მიჩვენებს იმ კანონს, რომლის ძალითაც მაძღვეს ამგვარ კითხვებს.⁹ სწორედ ერთი თვის შემდეგ, 26 დეკემბერს 1885 წლისა, პეტერბურგიდან თ. დონდუკოვისაგან შემდეგი ქალაქი მომივიდა:

„ხელმწიფე იმპერატორს შეუტყვია, რომ დიდ მთავარს, მიხეილ ნიკოლოზის ძეს, იმის ყოფნის დროს კავკასიაში თქვენი მიღება უნებებია და რადგან თქვენ ლაპარაკის სურვილი გამოგიცხადებიათ, დიდ მთავარს კერძო ხასიათის ლაპარაკი ჰქონია თქვენთან. ხოლო თქვენ ყველა ეს ჩაგინერიათ და **საყოველთაოდ გაგიმყლავნებიათ.** მისი იმპერატორობითის დიდებულების აზრით, სრულიად მართალი იყო დიდი მთავარი მიხეილ ნიკოლოზის ძე, როდესაც გითხრათ სხვებისათვის გადასაცემად, რომ ხელმწიფე იმპერატორი ქართველების ერთგულებაში ისე არის დარწმუნებული, როგორც იყვნენ დარწმუნებული ხელმწიფის მამა და პაპა. მაგრამ ყველაფერი ეს თქვენ ნებას არ გაძლევდათ კერძო ლაპარაკი ჩაგენერთ, გაგვერცელებინათ და თავად-აზნაურთა სადეპუტატო საკრებულოს ოფიციალ არქივებში გაგვეზავნათ. ეს თქვენი საქციელი ხელმწიფე იმპერატორის აზრით უადგილო იყო და ამი-

ტომ კეთილ ინება და დამავალა საყვედური გამომეცხადებინა თქვენთვის. გიცხადებთ რა მის დიდებულების უკმაყოფილებას თქვენდამი, ამასთან უნდა მოგახსენოთ, რომ მე, როგორც კავკასიის უფროსმა, არა ვიცი რა სხვადასხვა დაწესებულების იმგვარ მოქმედებაზე, რაზედაც თქვენ მიგიქცევიათ დიდი მთავრის ყურადღება. ამიტომ გთხოვთ დაწვრილებით ამიხსნათ, რამ გაიძულათ და რამ გათქმევინათ ის, რაც სთქვით. აგრეთვე ამიხსენით ისიც, რის ახსნაც არ მოიხურვეთ ბ. მზრუნველის შეკითხვის გამო. და ამასთან უნდა გითხრათ, რომ კილო თქვენის წერილისა ბ. მზრუნველთან არც ოფიციალ მიწერ-მოწერას, არც ბ. მზრუნველის ღირსებას არ ეკადრება“.

მივიღე თუ არა ეს ქალაღდი, რომელშიაც განმეორებული იყო ჩვენთვის სასიხარულო ამბავი ხელმწიფე იმპერატორის ქართველებისადმი ნდობისა, იმ წამსვე შევყარე მაზრის წინამძღოლები და ყველა ეს მოგახსენე. რაიც შეეხება საყვედურს, საყვედური მივიღე სრულის მოწინებითა და მორჩილებით.¹⁰

თუმცა იმ გარემოებამ კი დამაფიქრა, რომ ჩემ საქციელში გარეგანი ხასიათი, ფორმა იყო მხოლოდ გაკიცხული და სხვა ნაირად კი მე ვერ მოვიქცეოდი, რადგან შეუძლებელი იყო. და რაიც შეეხება დამამტკიცებელ საბუთებს, რომელსაც მთხოვდნენ ხელმეორედ, ყველა ეს გენერალ სმეკალოვს გადავეცი, რომელიც პეტერბურგს მიდიოდა და იქ თავის მხრივ გადასცემდა თ. დონდუკოვს.¹¹

საჭირო არ არის იმის თქმა, რომ ჩემს საბუთებს არავითარი ყურადღება არ მიაქციეს და არავითარი ცვლილება არ მოახდინეს სამოსწავლო უწყებაში. მე კი წყრომა გამომიცხადეს, როგორ თუ ვაგბედე და დიდ მთავართან აღვძარი ამ კითხვებზე ლაპარაკი.

წყრომა და გაჯავრება ჩემს წინააღმდეგ გასაგები არ იქმნებოდა, ყველა ამას რომ საფუძვლად სხვა რაიმე არა ჰქონოდა. და აი ამ რამეზე გვინდა ჩამოვადგოთ ლაპარაკი.

1.

იმავე დღეს, 23 ოკტომბერს, როდესაც ტფილისში თ. დონ-დუკოვს წარუდგეი, ტფილისშივე გენერალი სმეკალოვიც ვინახულე.

გაიგო რა ჩემგან, რომ ხვალ ქუთაისში დაბრუნებას ვაპირებდი, გუბერნატორმა მითხრა, რომ ქუთაისში მას ერთი გარემოება ანუხებს. საქმე ის არის, რომ ოდესაში ადმინისტრაციულის წესით განდევნილი იყო ოზურგეთის მაზრის თავადი მელიტონ ნაკაშიძე. ოდესაში მას ნებართვა აუღია შიდა გუბერნიებში დროებით წასვლისა. ხოლო შიდა გუბერნიების მაგიერ ნაკაშიძე ქუთაისში მოსულა და მოუწერია გუბ. სმეკალოვისთვის, ნება მომეცით ორი თვე დავრჩე სამშობლოში მამულის თაობაზედ საქმეების მოსაწყობად. „მაგრამ ამასთან ისიც მიუმატებია, მითხრა გუბერნატორმა, მაღლობელი ვიქნებო, თუ ნებართვას მომცემ, და თუ არ მომცემო, მაინც დავრჩებო. რა უდიერობაა! ხომ არ უნდა, რომ მოვეფერო! საჭიროა ამ კაცის დაჭერა და გასტუმრება ოდესაში. ხოლო ამაში ხელს მიშლიან თ. დათა მიქელაძე და ოზურგეთის აზნაურები – ქარცივაძენი. გთხოვთ, დამეხმაროთ ამ საქმეში. მიქელაძე თქვენ დაგიჯერებთ. ურჩიეთ **გამცეს** გაქცეული კაცი. ნაკაშიძე ხშირად არის იმასთან, ნამდვილად ვიცი. წინააღმდეგ შემთხვევაში იძულებული ვიქნები, **დავაჭერინო მიქელაძე და მეტეხის ციხეში ჩავასმევინო**. ამისათვის წერილობითი ნებართვა მაქვს მთავარმართებლისაო“.

ცოტა არ იყოს, უცნაური იყო ეს თხოვნა. მე სიტყვა მივეცი, მოველაპარაკე მეთქი თ. მიქელაძეს და ქუთაისში მისვლისთანავე, იმ დღესვე მოვიწვიე თ. მიქელაძე.

თ. დათა თ. ალექსანდრე მიქელაძის შვილია, მარშლად ნამყოფის, გვარდიის პოლკოვნიკის. ახალგაზრდა განათლებული კაცია და საზოგადოებაშიაც ღირსეული ადგილი უჭირავს. სმეკალოვთან ლაპარაკის დროს მიქელაძე დავახასიათე როგორც **ინტელიგენტი**. სმეკალოვმა ეს სიტყვა დაცინვით გა-

იმეორა. მაშასადამე, ყმანვილკაცის წინააღმდეგ სხვა რამეც ჰქონია გულში.

თ. მიქელაძე მეორე დღესვე მოვიდა ჩემთან. იმისგან გავიგე, ნაკაშიძე იმის დის ქმარი ყოფილა და როგორ არ უნდა მიელო თავის სახლში.¹² „ნაკაშიძე ერთხელ იყო ჩემთან, მითხრა თ. დათამ, – არავითარი დანაშაულობა, რამდენადაც ვიცი, არ ჩაუდენია, უსიამოვნება ჰქონდა მხოლოდ ნათესავებთან მამულის თაობაზედ. ის კი ვიცი, თავის დღეში სასამართლოში არ ყოფილა. ამიტომ არ მესმის, რად უნდა **გავცე** გუბერნატორს ჩემი ნათესავი, რომელსაც კანონით არც ერთი უფლება არა აქვს წართმეული? პოლიციელ კაცად ან მოხელედ ხომ არ მრაცხს, რომ დაუყოვნებლივ ავასრულო უკანონო განკარგულება პოლიციისა? თუ მემუქრებიან, ძალას ვიხმართო, ეგ ხომ უკანონობაა! არ უნდა გამკიცხონ, რომ ამ უკანონო განკარგულებას არ დავემორჩილო“.

მე ვეცადა დამემშვიდებინა თავადი და შინ გავისტუმრე.

სმეკალოვი რომ დაბრუნდა ქუთაისში, მე დანვრილებით აუხსენ გარემოება და უთხარი, რაც მითხრა თ. მიქელაძემ. სმეკალოვმა ახლა კი შემდეგი მითხრა: „მე აზრად არა მქონდა უსიამოვნება მიმეყენებია თ. მიქელაძისათვის და არც მისი დატუსაღება მინდოდა. მაგრამ მიქელაძეს ეცოდინება, სად არის ნაკაშიძე, მისწეროს წერილი და ურჩიოს, ან ჩემთან მოვიდეს, ან ოდესაში წავიდეს. სხვა არა იყოს რა, ქარცივაძეების მდგომარეობას მაინც დაუფიქრდეს. ნაკაშიძე დადის ქარცივაძეებთან. თუ ნაკაშიძემ ჩემი ბძანება არ აასრულა, ქარცივაძეებს დავაჭერინებ და ციხეში გავაგზავნიებ. ძალიან გთხოვთ, მისწეროთ თ. დათას, ურჩიოს თავის ნათესავს – დამემორჩილოს. როგორ ან ვის სახელზედ მისწერს ამას, არ ვკითხავ და არც დავეძებო“.

თუმცა ჩემთვის უსიამოვნო იყო ამ არა კანონიერ საქმეში გარევა, ხოლო გუბერნატორს უარი ვერ უთხარი და პირობა მივეცი, მივწერ მეთქი.

„მაშ მე მოვიცდი, რას გიპასუხებთ. ხვალ ზეგ პასუხი უნდა მოვიდესო“.

მაგრამ მეორე დღეს დილით ჩემთან მოვიდა საგანგებო საქმეების გუბერნატორის მოხელე, თ. ჭავჭავაძე¹³ და მითხრა, ბრძანება მომივიდა, გამოვიხმო თ. მიქელაძე ქუთაისში და თუ მელიტონ ნაკაშიძე არ გამცა, ციხეში უნდა გავგზავნო.

– ნუ თუ ასეა? როგორ? გუბერნატორის თხოვნით გუშინ თ. დათას ნერილი მივწერე. პასუხი მხოლოდ ხვალ უნდა მოვიდეს. გუბერნატორმა მითხრა, მოვიცდიო. შეუძლებელია, რომ დღეს აღარ ახსოვს ის, რასაც გუშინ მეუბნებოდა მე, როგორც თავად-აზნაურთა წინამძღოლს.

– უნდა მოგახსენოთ, თ. მიქელაძე უკვე დეპეშით გამოვიხმე. მოვა თუ არა, უნდა დავაპატიმრო, თუ არ გასცა ნაკაშიძე.

– იქნება რაიმე ახალი გარემოება აღმოჩნდა?

– ახალი არაფერი არ აღმოჩენილა.

– მაშ თუ ეგრეა, მიქელაძესთან ერთად მეც უნდა დამაპატიმროთ.

ჭავჭავაძემ ჩვენი ლაპარაკი გადასცა გუბერნატორს.

– ეს რა ამბავია, უთქვამს გუბერნატორს, იქნებ ყიფიანს ჰგონია, რომ მისი **დათხოვნა** სამსახურიდამ ძნელი იყოს!

თ. მიქელაძეს ხელი არ ახლეს, ხოლო ქარცივაძენი დააპატიმრეს და მეტეხის ციხეში გაგზავნეს. რამდენიმე თვის შემდეგ გაანთავისუფლეს დეპეშის ძალით პეტერბურგიდამ, სადაც იმ ჟამად იმყოფებოდნენ თ. დონდუკოვი და გენ. სმეკალოვი.

ჩემთან ამის შესახებ ხმა არ ამოუღიათ.

2.

მეორე შემთხვევა. ერთ შაბათს ქუთაისის გუბერნიის საგლეხო საქმეთა დანესებულებაში სხდომა უნდა ყოფილიყო. ყველა წევრი შეიყარნენ. თავჯდომარეს და ელოდებოდნენ, ე. ი. გუბერნატორს. გუბერნატორი არ მოვიდა და მის მაგი-

ერ ვიცე-გუბერნატორი გაიხლათ და დაიჭირა თავჯდომარეს ადგილი.

– გუბერნატორი ავად ხომ არ არის? დავეკითხე მე და ამ ჩემს კითხვაში არავითარი დაფარული აზრი არ იყო. მე ვიცოდი, გუბერნატორი ქუთაისიდან არ წასულა.

ბარონ ბრიუგგენმა (ვიცე-გუბერნატორმა) მიპასუხა: „გუბერნატორი კარგად არის. კანონის ძალით მე უნდა ვიყო მის მოადგილედ“.

– უკაცრავად, ბარონ. თქვენ სრულიად კანონიერად იჭერთ იმის ადგილს, როდესაც გუბერნატორი წასულია სადმე, ან ავად არის.

გადავსინჯეთ კანონები. ჩემი განმარტება მართალი გამოდგა.

გუბერნატორ სმეკალოვს ჩემზედ უთხრეს, რომ მე შეუდექი თუ არა ჩემი თანამდებობის აღსრულებას, შფოთს ვბადავ. ამის შემდეგ ყოველთვის მორიგ სხდომებზე თავჯდომარეობდა ხოლმე ვიცე-გუბერნატორი, რომელიც ავადმყოფ გუბერნატორის მინდობილობით მის ადგილს იჭერდა.

3.

მესამე გარემოება. 1886 წ. მაისში გუბერნატორ სმეკალოვის თავჯდომარეობით ქუთაისში გაიხსნა სხდომა ოლქის და მაზრის უფროსებისა, მომრიგებელ მოსამართლეებისა, ქალაქის მოურავებისა და თავად-აზნაურთა წინამძღოლები-სა. ამ სხდომაზე უნდა გაერკვიათ, რა საშუალებით და ზომებით ხალხთ-აღრიცხვა უნდა მოეხდინათ მომავალ სამხედრო ბეგარის საჭიროებისათვის.

მე ორ სხდომას დავესწარი. ამ სხდომებზე გამოირკვა ის შემცდარი აზრი, რომელიც ადმინისტრაციას თავად-აზნაურობის მიმართ აქვს შემდგარი.

როგორც ვსთქვი, სხდომებს უნდა გამოერკვიათ, თანახმად უმაღლესის დამტკიცებულის სახელმწიფო საბჭოს აზ-

რისა, რა საშუალებით შეიძლება საოჯახო სიების შედგენა **ხარჯ-მიმცემ**¹⁴ ხალხის ნაწილის აღრიცხვისათვის.

რადგან აქ ლაპარაკი თავად-აზნაურობაზე და სამღვდელ-ლოებაზე არ იყო, ამიტომ მთავარმართებელს სადაც ჯერ არს უშუამდგომლია და დაუმტკიცებინებია ის აზრი, რომ სხვა ნოდებებიც ხალხთ-აღრიცხვის სიების შედგენაში ერთ-გვარ წეს რიგს უნდა დაემორჩილნენ. ახალი კანონი ფურც-ლებზე იყო დაბეჭდილი და ამ ფურცლების სათაურში ეწერა: კანონთა დეპარტამენტის თავჯდომარე დეპუტით იტყობინე-ბა, სახელმწიფო საბჭოში ეს კითხვა დამტკიცებულ იქმნა.

– როგორ, რანაირად დაამტკიცა სახელმწიფო საბჭომ, როგორც დამატებითი კანონი, თუ სხვანაირად?

– ჰო, ჰო, სწორედ როგორც დამატებითი კანონი, რომე-ლიც თავად-აზნაურობასაც ეხება, – მომიგო გუბერნატორმა.

– თუ თქვენ ამას ამტკიცებთ, ჩემ კითხვას უკან ვიღებ.

შემდეგ ამისა მეორე კითხვაც აღიძრა. სახელდობრ, სიე-ბის შედგენა რა რიგით უნდა მომხდარიყო. გამოსთქვეს აზრი, უნდა გაიხსნასო მაზრის უფროსების თავჯდომარეობით სა-მაზრო კრებები, რომელნიც შესდგებიან სათავად-აზნაურო წინამძღოლებისაგან, მომრიგებელ მოსამართლეებისაგან და სხვ.

მე შევნიშნე: ამგვარი წესი კანონით დაწესებულ მოხელე-თა ხარისხის პატივისცემის გაუქმება იქმნება მეთქი.

– როგორ?

– მაზრის უფროსი VI ხარისხის მოხელეა, მაზრის წინამ-ძღოლი კი V ხარისხისაა.

აქვე კანონებში ჩავიხედეთ. აღმოჩნდა ჩემი სიტყვების სი-მართლე. – მაშინ სთქვეს: წინამძღოლების დაპატიჟება საჭი-რო არ არისო.

ერთმა მაზრის უფროსმა სთქვა: განა არ ვიცით, სათავად-აზნაურო პროტოკოლები რა წესით შეადგინეთო.

– რა პროტოკოლები?

გუბერნატორმა იმ წამსვე ამ საგანზე შეგვანწყვეტინა ბაასი იმ მოსაზრებით, რომ ამჟამად სხვა საგანი გვაქვს განსახილველიო. ამიტომ, რა იყო სათავად-აზნაურო პროტოკოლები, ეს საგანი მაშინ ჩემთვის გამოურკვეველი დარჩა.

– მაშასადამე, – ბრძანა მაზრის ერთ-ერთმა უფროსმა, – თავად-აზნაურებს თავისუფალი მიმოსვლის ქალაქები (პასპორტები) ჩვენ არ უნდა მივცეთ ხოლმე.

– უკაცრავად, რა ქალაქები იგულისხმეთ?

– თავისუფალ წასვლისათვის სხვა მაზრაში, სხვა გუბერნიაში.

– ბატონო, ამგვარ პასპორტებს თავად-აზნაურებს ხომ სადეპუტატო კრება აძლევს. იმპერიის საზღვრებში თავად-აზნაურები საპასპორტო წეს-რიგისაგან ხომ განთავისუფლებულნი არიან.

– ჰო, მაშ, ბატონებო, როგორი წესი დავანესოთ სიების შედგენისათვის? – გაგვანწყვეტინა კიდევ გუბერნატორმა.

– ჩემის აზრით, თქვენო აღმატებულება, – სთქვა ერთმა მაზრის უფროსმა, – ეგ საგანი ჩვენ, მაზრის უფროსებს, უნდა მოგვანდოთ. ზოგან ჩვენ თვითონ, ზოგან თანაშემწენი, მოხელენი და ან სამაზრო კანცელარიის გადამწერელნი თვითეულ **სახლს დავივლით** და საოჯახო სიებს შევადგენთ. ამრიგად ნამდვილ ცნობებსაც შევკრებთ, საქმესაც მალე გავათავებთ.

– თავადების ოჯახებშიაც შევლენ თქვენი გადამწერლები? – ვიკითხე მე, – მგონი, ეს ძლიერ უხერხული იქმნება. რად გინდათ ამნაირი წესი? თავადების საოჯახო სიები წინამძღოლებმა უნდა შეადგინონ. ეს მათი პირდაპირი მოვალეობაა.

ყოველი ჩემი ამგვარი შენიშვნა მით უმეტესად ეჩოთირებოდათ, რომ მის წინააღმდეგ საბუთს ვერა ჰპოულობდნენ. ზოგიერთ სახეებზე აშკარად ვკითხულობდი გაკვირვებას: რაღა უფროსი ვარ მაზრისა, თუკი წინამძღოლი ჩემზე მაღლა დგას და თუ მე ან ჩემს გაგზავნილს უფლება არა აქვს ყოველ სახლში თავისუფლად შევიდეს.

4.

ზემოდ სათავადაზნაურო პროტოკოლების შედგენაზედ გვეკონდა ლაპარაკი. ამ საგანმა ძლიერ დამაინტერესა. თურმე სამხედრო გუბერნატორს სმეკალოვს თავად-აზნაურების მიმართ ის ზომა მიუღია, რომელიც სოფლის საზოგადოებისათვის არის შემოღებული. სოფლის საზოგადოებათ საერო კრების დადგენილებით მავნე პირების განდევნის უფლება აქვთ მინიჭებული. თავად-აზნაურობასაც აქვს ამგვარი უფლება, თუმცა სხვა ხასიათისა, ისეთი, როგორიც წარჩინებულ წოდებას უფრო ეკადრება და რომელსაც მეტი ზნეობრივი ხასიათი აქვს. დამნაშავე აზნაურს ხშირად სათავად-აზნაურო არჩევნებში მიღების უფლება ერთმევა. სათავად-აზნაურო კრების ხმის უმეტესობის გადანყვეტილებით ეს უფლება ხან დროებით ერთმევა კრების ახალ დაწყებამდე, ხან ხანგრძლივად. ყოველ შემთხვევაში აზნაურს შეუძლია აღადგინოს თავისი ღირსება.

ასე თუ ისე, თითქოს ეს კანონი არ არსებობსო, ერთხელ გუბერნატორ სმეკალოვის ბრძანებით მაზრის უფროსებს შეუყრიათ თავად-აზნაურობა. ძალა დაუტანებიათ, რომ შეედგინათ პროტოკოლები ზოგიერთი აზნაურის გაძევებისათვის.

ეს უკანონო ბრძანება სამ მაზრაში აღსრულებულ იქმნა. წინამძღოლებმა ამ ფაქტის სინამდვილე შემიმოწმეს, მაგრამ საუბედუროდ პროტოკოლები ხელში არ დარჩათ, რადგან საქმეს მაზრის უფროსები აწარმოებდნენ.

ამ საგნის გამოკვლევის დროს მე აშკარად ვმოქმედებდი, – დასამალი არა მქონდა რა, – და ჩემი გაბედვა ისე აღსხნეს, ვითამ მე ადგილობრივი ადმინისტრაციის დამცირება მსურდა.

5.

მეხუთე გარემოება. როცა 1885 წ. 23 ოკტომბერს გენერალმა სმეკალოვმა მელიტონ ნაკაშიძის ამბავი მიაბზო, ამასთანავე სხვა გარემოებებზედაც მიათითა ჩემი ყურადღება: ოზურგეთის მაზრის უფროსს უბრძანეო,¹⁵ ზოგიერთ აზნაურ-

რებისათვის უკანონოდ მითვისებული სახაზინო მამული ჩამოერთვა და ეს მამული სახაზინო ქონებათა აგენტიისათვის უნდა ჩაებარებინათ. წარმოიდგინეთ, საიდანმაც მაზრის ახალი წინამძღოლი გამოჩნდა, პეტრე ნაკაშიძე, რომელიც ჩემი განკარგულების აღსრულებას ხელს უშლის. ყველაფერი ეს ძლიერ უსიამოვნოა ჩემთვის, – მითხრა ა. მ. სმეკალოვმა, – დამეთანხმეთ, რომ ამ საქმეს უყურადღებოდ ვერ დავტოვებ. ნაკაშიძე სასამართლოში უნდა მივცე.

– თქვენ უნდა მისცეთ სასამართლოში?

– რასაკვირველია! წარმოიდგინეთ, თურმე უთქვამს, უფლება მაქვს, დავუშალო აგენტებს მამულის ჩამორთმევაო.

– მაზრის წინამძღოლს ამგვარი უფლება არა აქვს. მხოლოდ საქმე ის არის, რა წესით გინდათ მისცეთ პასუხის გებაში!

– ძლიერ ადვილად. მივწერ პროკურორს და საქმე გათავებულ იქმნება.

– ალექსეი მიხაილოვიჩი, ეგ შეუძლებელია. სამართველო სენატის I დეპარტამენტის ნება დაურთველად წინამძღოლს სასამართლოში ვერავინ მისცემს.

გენერალმა სმეკალოვმა გაშტერებულმა შემომხედა, ხოლო აღარა სთქვა რა.

არ ვიცვი, მისცეს სასამართლოში თ. პეტრე ნაკაშიძე თუ არა, საქმე კი ამამი მდგომარეობდა:

ერთ დიდ მამულში მისულა მაზრის უფროსი, გზირებით და ყაზახებით. მათ მოჰყვა სახაზინო მამულების მართველობის აგენტიც. მამულები აზნაურებისათვის და თავადებისათვის უნდა წაერთმიათ; ის მამული, რომელიც რუსეთის შემოსვლიდამ გურიში, ე. ი. 1829 წ., ამ მემამულეთა სრულ მფლობელობაში იყო და სხვა ვინმე მათ არავინ ედავებოდათ. ეს გარემოება აცნობეს თუ არა თ. ნაკაშიძეს, ნაკაშიძე მაზრის უფროსთან მივიდა და უთხრა: იმპერატორ ალექსანდრე II-ის კანონმდებლობის შემოღებიდამ ადმინისტრაციას აღარ აქვს

უფლება ჩამოართვას ვინმეს მამული, თუ იგი პირი ამ მამულის დიდი ხნის მფლობელობაშია. თ. ნაკაშიძე, როგორც წინამძღოლი, საჭიროდ ჰრაცხს მოაგონოს იგი გარემოება ადმინისტრაციას და დაარწმუნოს, რომ უკანონო მოქმედებას შეიძლება ცუდი შედეგი მოჰყვესო.

ამ თავის ჩარევით თ. ნაკაშიძემ საქმე სისხლის ღვრამდე არ მიიყვანა; და ამისათვის იგი სასამართლოში უნდა მიეცათ!

ზემოაღნიშნული ფაქტები საკმარისად ღალატებენ, რომ ქუთაისის საგუბერნიო ადმინისტრაციას, მაღალს და დაბალს, ცრუ და მავნე შეხედულება შეუდგენია თავად-აზნაურობაზედ, შეხედულება, რომელიც ხელმწიფე იმპერატორის კურთხევის დროს გამოთქმულს აზრს და გრძნობებს ენინა-აღმდეგება. საუბედუროდ გარემოებამ ამ სამწუხარო გარემოებათა გულში ჩამაყენა. მე, ტფილისის მარშლად ნამყოფი, უკვე გამოცდილი ვიყავი ამგვარ საქმეებში და ამიტომ უყურადღებოდ, რასაკვირველია, ვერ დავტოვებდი თავად-აზნაურობის ღირსების დამამცირებელ იმ ფაქტებს, რომელთაც, დღიდან ჩემის ახალ თანამდებობის აღსრულებისა, თითქმის დღე მუდამ ნავანყდებოდი ხოლმე. საჭირო იყო გამეგო, კანონების უცოდინარობისაგან მოზდიოდათ ყველაფერი ეს, თუ მოხელეები და ადმინისტრატორები ჰბაძავდნენ იმას, ვინც კავკასიის მმართველობის სათავეში იდგა?

ქვემოთ აღნიშნული ფაქტები ნათელ პასუხს იძლევიან ამ კითხვაზედ. ხოლო სანამ ამაზედ დავინყებდე ლაპარაკს, საჭიროა გაგიზიაროთ ზოგიერთი საზოგადო მოსაზრებანი:

ერთ-ერთი ღვთაებრივი თვისება თვითმპყრობელობისა იმაში მდგომარეობს, რომ იგი კანონზედ მაღლა დგას და ამიტომ შეუძლიან ხელმწიფური მონყალეა გაილოს, რაიც კანონში არ არის აღნიშნული. ძველ დროიდან ქვეშევრდომთა ზოგიერთ ნაწილებს უფლება ეძლეოდათ, მიემართათ ღვთაებრივ უფლების წყაროს მიმართ. ჩვენშიაც თავად-აზნაურთა კრებულს აქვს ამგვარი უფლება, თავად-აზნაურობის მიერ იმ

კითხვების აღძვრა ხელმწიფის წინაშე, რომლის გადაწყვეტა კანონს არ ძალუძს. როდესაც ცდილობენ გზა დახლართონ თავად-აზნაურობასა და ხელმწიფის შორის და მათ შორის კედელს აგებენ, აშკარაა, განსაკუთრებით, თუ ამ თავად-აზნაურობას არავითარი დანაშაულობა არ მიუძღვის, თავად-აზნაურობის ჩამოყენება სურთ იმ საპატიო ადგილიდამ, რომელიც მას უჭირავს სახელმწიფოში.

არსად რუსეთში თავად-აზნაურობას არ ართმევენ ხელმწიფესთან თავისუფლად თხოვნის გაგზავნის უფლებას ისე, როგორც უშლიდნენ და აბრკოლებდნენ ქუთაისის თავად-აზნაურობას. იმ აზნაურობას, რომელიც, მისის შეხედულებით, ღირსია უმაღლესის წყალობისა.

აი კიდევ რამდენიმე მაგალითი, რომელიც დამამახსოვრდა მე. იგინი ზემოდ მოყვანილ ფაქტებთან ერთად ნათელს ჰფენენ ამ საგანს:

6.

35 წლის წინად თ. სპირიდონ წერეთელს შვილი, მერაბ, ეყოლა. მაგრამ შემდეგში თ. წერეთლის დაქორწილება უკანონოდ იქმნა ცნობილი, ცოლს უნდა გაჰყოფდა და მისი შვილიც უკანონო შვილად იქმნა ცნობილი. თ. მერაბი კარგი ყმაწვილი კაცი იყო. უკანონო მდგომარეობა ზნეობრივად ჩაგრავდა. თავად-აზნაურობას არა ჰსურდა ამ ყმაწვილის გამორიცხვა თავის წრიდამ და ამიტომ უმაღლესად ხელმწიფე იმპერატორის წინაშე იშუამდგომლა, გაიღოს მონყალება და მერაბ წერეთელს მხოლოდ თავადობის უფლება [შეუნარჩუნოს], მამულზე კი, რომელიც სპირიდონ წერეთელს დარჩა, მერაბი ხელს იღებდა.

1883 წ. აგვისტოში თ. დონდუკოვმა გვაცნობა, რომ მას შეუძლებლად მიაჩნდა ამგვარი თხოვნა, რადგან წერეთელს თვითონ შეეძლო მიემართა უმაღლეს მთავრობასთან თხოვნების მიმღებ კომისიის საშუალებით.

რასაკვირველია, მთავარმართებელს ამგვარ შემთხვევაში თავისი აზრის გამოთქმის უფლება აქვს. მაგრამ თავად-აზნაურობის შუამდგომლობას, პირდაპირ ხელმწიფე იმპერატორის სახელობაზედ მიმართულს, არამც თუ მთავარმართებელი, არც ერთი მის იმპერატორობითის დიდებულების ნამესტნიკი არა ჰბედავდა.

ბედკრულ მერაბ წერეთელს ცუდი რჩევა მისცეს. მის კერძო თხოვნას არავითარი ძალა არა ჰქონდა და თავის თხოვნაზედ უარი მიიღო.

(7)

„თავად სამსონ ლუარსაბის ძე აბაშიძეს ვილაც სომხის მიერ მიყენებული შეურაცხყოფის გამო, რომელმაც თვითონ დაარტყა აბაშიძეს, აჰყარეს წოდებრივი უფლებები და გადაასახლეს. სამსონ აბაშიძე საყოველთაო პატივისცემით სარგებლობს. ამიტომ იმავე 1882 წ. საგუბერნიო სათავადაზნაურო კრებამ თანაგრძნობა გამოაცხადა აბაშიძის მიმართ და დაადგინა, ხელმწიფე იმპერატორის წინაშე მსჯავრდებულის შეწყალების თაობაზე ეშუამდგომლა. მაგრამ თავადმა დონდუკოვ-კორსაკოვმა ამაზეც თავისი სახელით პირდაპირ განაცხადა: შუამდგომლობის აღძვრა შეუძლებელია, რადგან აბაშიძის ხვედრის შესამსუბუქებლად საკმარის საფუძველს ვერა ვხედავო.“¹⁶

7.

სათავად-აზნაურო დეპუტატთა საკრებულოს საერო გადასახადის შემოსავლიდამ ეძლევა ფული შენობის და სხვა ხარჯთა გასაძღოლად. ერთხელ როგორღაც საერო გადასახადთა ხარჯთ-აღრიცხვის დამტკიცება დაგვიანდა. დეპუტატთა საკრებულოს თავისუფალი ფული არა ჰქონდა და ამიტომ გუბერნატორის საშუალებით მთავარმართებელს

მიჰმართა და სთხოვა სესხად 3010 მან. საგანგებო თანხილამ. ვალს დაუბრუნებდა, შემოუვიდოდა თუ არა ფული საერო თანხილამ.

მთავარმართებლის კანცელარიამ გვიპასუხა: დეპუტატთა საკრებულოს შეუძლია ისესხოს ფული ვინმე მდიდარ თავადისაგან და მერე, როცა საერო თანხილამ შემოუვა, ამ თავადს გაუსწორდესო.

თუ მართლა თ. დონდუკოვის აზრიც ამნაირი იყო, არ შეიძლება არა ვსთქვათ, ამ აზრში დაცივნაა იმ დაწესებულებებისა, რომელიც თუმცა სათავადოა, ხოლო ამავე დროს მმართველობის ორგანოა. ამ ორგანოს მოქმედების შეჩერებას არ შეუძლია არ შეაჩეროს სხვა სამმართველო ორგანოების მოქმედება. თუ დეპუტატთა კრებამ დროზედ ვერ მოამზადა სააზნაურო აკტები, სასამართლოების მოქმედება იქმნება დაბრკოლებული, დაბრკოლებული იქმნება ყმანვილების შესვლა სასწავლებლებში და თვით სახელმწიფო სამსახურიც და ბევრი სხვა რამ. არა მგონია, ჩვენი ქვეყნის უფროსს მმართველს ეკადრებოდეს დაცივნა ერთ-ერთ სამმართველო დაწესებულების კანონიერ მოთხოვნილებათა მიმართ.

ხელქვეითი ყოველთვის უფროსების ბრძანებას დაუყოვნებლივ ასრულებენ, მიუხედავად იმისა, კანონიერია ეს ბრძანება თუ უკანონო. ამიტომ რა გასაკვირია ქუთაისის ადმინისტრაცია ხშირად უკადრისად ექცეოდა თავად-აზნაურობას – იგი მაღალ მთავრობის იარაღი იყო.

ადგილობრივი ადმინისტრაცია ძლიერ იყო ჩემზედ გაგულისხმებული. შემდეგმა გარემოებამ კი უფრო გააცეცხლა. მკითხავდნენ, რას აპირებ, როგორ უნდა მოვიქცეთ იმ თხოვნების შესახებ, მთავარ-მართებელმა რომ დაგვიბრუნა. მე ვეუბნებოდი, მომავალ მორიგ საგუბერნიო კრებაზედ ეს კითხვა უნდა მოხსენდეს. თუ კრება დაამტკიცებს, რომ საჭიროა უმაღლეს მთავრობასთან შუამდგომლობა, ჩვენ უნდა ვისარგებლოთ მეთქი ამ ჩვენის კანონიერის უფლებით.

თუმცა ყველა ზემომოყვანილი უმაღლესს ხარისხამდე აზრზედა ადმინისტრაციას, ხოლო ეს კიდეც საკმარისი საბუთი არ იყო სამსახურიდამ ჩემი დათხოვნისა. ამისათვის საჭირო იყო რაიმე წერილობითი საბუთი.

ამგვარი საბუთიც მალე ჩაიგდეს ხელში. ეს საბუთი იყო ჩემი წერილი ეგზარხოსთან, 1886 წლის 8 ივნისს მიწერილი.

მე არა ერთხელ მითქვამს ოფიციალ ქალაქებში და ჟურნალ-გაზეთებშიაც, რომ მთელი ჩემი სიცოცხლე უმაღლესს ბრძანებების ღირსების დაცვაში გავატარე. მაგრამ ერთი რამ არ მესმოდა – რად ამახინჯებდნენ სიმართლეს უმაღლესს სახელობაზედ მირთმეულ ქალაქებში? განა ეს უმაღლესს ბრძანებების ღვთაებრივ ხასიათს ეკადრებოდა?

ამ განმარტების შემდეგ გავარჩევ სულიერ მამასთან მიწერილ ჩემს წერილს, რომელიც მე დიდ დანაშაულობად ჩამეთვალა. ხოლო ჯერ უნდა ვსთქვა ორიოდ სიტყვა გარემოების შესახებ, რომელმაც ეს წერილი გამოიწვია.

ტფილისის სემინარიელებმა ერთ დღეს თავის რეკტორს, პროტოირეი ჩუდეცკის, სცემეს. 1886 წ. მაისის დამლევს ერთმა სემინარიელთაგანმა ჩუდეცკი სასიკვდილოდ დასჭრა.¹⁷ საქმეს მიკერძოებულად რომ არ მოჰკიდებოდნენ, მიზეზი შეგირდების სიძულვილისა თავისი უფროსისადმი გამომჟღავნებოდა, სიბოროტე სათავეშივე მოსპობილ იქმნებოდა და საქმე ისე აღარ გამწვავდებოდა. ხოლო ჩუდეცკის მოკვლამ ღრმა შთაბეჭდილება მოახდინა ეგზარხოსზედ, რომელმაც დასაფლავების დროს სიტყვა წარმოსთქვა და ამ სიტყვაში მძულვარება გამოსთქვა იმ ხალხის წინააღმდეგ, რომელსაც მკვლელი ეკუთვნოდა. ეს სიტყვა თითქოს ელექტრონის ძალით მოედო მთელს ჩვენს ქვეყანას და ღრმად ააშფოთა ჩვენი ქრისტიანი ხალხი. – ამ დროს მე ქუთაისში ვიყავ. იქ 30 მაისს მითხრეს, ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურობა ძლიერ აღელვებულაო და თხოულობს ეგზარხოსისაგან წარმოთქმული სიტყვების უარ-ჰყოფას.

რა სიტყვები უთქვამს?

„დანყევლილ იყოს ის ქვეყანა, რომელიც ამგვარ მკვლევლებს ჰზადავსო“.

მკვლელი ქართველი იყო. მაშასადამე, საქართველოს ეგზარხოის საქართველოს სწყევლიდა?

აღელვება ხალხისა უმაღლეს ხარისხამდე ავიდა. მშვიდნი და მორჩილნიც კი ამბობდნენ, ხალხის ამგვარი შელახვა არ გაგონილა საქართველოშიო. საქმე ისე გამწვავდა, რომ ეგზარხოის პოლიცია დასტრიალებდა და უღრმესი დროიდან მართლმადიდებელ საქართველოს სამწყსოში ეშინოდათ, მწყემსი არ შეურაცხყოფილიყო. ამ ხმებმა ჩემამდენაც მოაღწიეს. ჩემი მწუხარება მით უფრო დიდი იყო, რომ აშკარად ვხედავდი, მგრძობიარე იმერეთის ხალხის თავმოყვარეობა ძლიერ შელახული იყო. მე იმერეთის თავად-აზნაურობის წინამძღოლი ვიყავ, ამიტომ ჩემი მოვალეობა იყო, მეჩვენა ის საშუალება, რომლითაც ხალხის დაშოშმინება შეიძლებოდა და მუქარა ეგზარხოის მიმართ მისთვის თავიდან ამეცილებინა.

ამ მოსაზრებით ზიგნისს ეგზარხოის წერილი მივწერე.¹⁸ აი ეს წერილი:

„თქვენო მაღალუსამღვდელოებავ!

მოწყალეობა მოიღეთ და თუ ვცოდავ, რომ გავრცელებულ ხმებს ავყევი, ცოდვა ჩემი მომიტევეთ. ხოლო უნდა მოგახსენოთ, ხალხში ხმა დადის, თქვენ დაგინყევლიათ ის ქვეყანა, რომლის მწყემსად ითვლებით და რომელიც თქვენგან, როგორც ქრისტეს მსახურისაგან, სიყვარულს და სათნოებას მოელოდა.

სხვა ხმაც დადის, გარდა თქვენი ღირსების შეურაცხყოფისა.* სახელდობრ ის, ვითამ თქვენ თქვენი სამწყსოს წინაშე ცოდვილ სიტყვების წარმოთქმისათვის ბოდიშის მოხდა

* როდესაც იერარხი ქვეყანას სწყევლის, წყევლა მისი მის ღირსებას ამცირებს.

გსურდესთ. თუ ყველა ეს მართალია,* უფალო, მაღალსამღ-
ვდელოების ღირსება მოითხოვს შეურაცხმყოფელის ადამი-
ანის შეურაცხპყოფილ ქვეყნიდამ დაუყოვნებლივ წასვლას.**
ამას წრფელის გულით გეუბნებათ თქვენი სამწყსოს წევრი,¹⁹
რათა ახალი შეცდომის*** გამეორება ააცდინოს ქვეყანას.

ხოლო თუ ყველაფერი ეს მართალი არ არის, ჩემი ცოდვის
მოსატყვევებლად დაე, მაკურთხოს თქვენმა მწყემსმთავრულმა
მარჯვენამ“ .****²⁰

9 ივნისს მის მაღალუსამღვდელოებისაგან, ეგ ზარხოსისა-
გან, საპასუხო წერილი მომივიდა. ეგ ზარხოსი მწერდა, პრო-
ტოირეი ჩუდეცკის დამარხვის დროს წარმოთქმული სიტყვა
გაზეთ „კავკაზ“-შიაო დაბეჭდილი (№139). რაც შეეხება გავ-
რცელებულ ხმებს, ამაზედ ლაპარაკი ეგ ზარხოსის ღირსების
დამცირება იქმნებოდაო.

– მადლობა ღმერთს, – ვიფიქრე. – მაშასადამე, უსაფუძ-
ვლო ხმები გაუვრცელებიათ. მაგრამ „კავკაზში“ რა სწერია?

„კავკაზში“, „რუსკი კურიერში“ და სხვა გაზეთებშიაც ეგ-
ზარხოსისაგან წარმოთქმული შემდეგი სიტყვებია მოყვანი-
ლი: „მკვლელი კი არ არის ჯალათის ღირსი, არამედ ის საზო-
გადოება, სადაც ამგვარი ავაზაკები იზადებიან... იტირეთ და
იკრძალვეთ „прещения Господня“, თქვენ, ავაზაკების თანამგ-
რძნობნო და თანაშემწენო“.

საეკლესიო სლავიანური სიტყვა „*прещение* Господне“
ჰნიშნავს განდევნას, გამორიცხვას, ე. ი. ანათემას, წყევლას!

ამის შემდეგ ეგ ზარხოსი საქართველოდამ წავიდა. პიატი-
გორსკში მთავარმართებელი და პობედონოსცევი – წმ. სინო-
დის ობერპროკურორი – ინახულა და ისევ უკან დაბრუნდა.²¹

* ე. ი. თუ დაუწყევლია ქვეყანა და ბოდინის მოხდა ჰსურს.

** მკაცრი სიტყვებია, ხოლო თუ მართლა დაუწყევლია, სიმკაცრე
ეკარგებათ.

*** ე. ი. სამღვთო ღირსების შეგინება.

**** წერილის სათავეში და ბოლოში ვსთხოვდი ცოდვის მიტყვე-
ბას, თუ რომ ჩემამდე მოღწეული ხმა უსამართლო გამომდგარიყო.

26 აგვისტოს ქუთაისის ვიცე-პრეზიდენტისაგან²² ოფიციალური ქაღალდი მომხივდა. მწერდა, უმაღლესი ბრძანების ძალით წინამძღოლის თანამდებობისაგან 4 აგვისტოს დათხოვნილი ხართო და საცხოვრებლად სტავროპოლში უნდა წახვიდეთო. ამ ქაღალდთან ერთად მთავარმართებლის გუბერნატორისადმი 22 აგვისტოს მიწერილი პირიც გამომიგზავნეს.

უმაღლესი ბრძანება უმორჩილესად აღვასრულე. ცოტა რამ დაბრკოლება ფულის მხრივ აღმომაჩნდა – საგზაო და იქ საცხოვრებელი ფული უნდა მომემზადა. მალე ეს დაბრკოლებაც ვსძლიე. –

ამასთან, მიხდოდა გამეგო, რა საბუთები ჰქონდა მთავარმართებელს, რომ მე, არჩეულ წინამძღოლს, სამსახურის უფლება წამართვეს, ჩემი ბინიდან გამაძევეს, არც სასამართლო, არც გამოძიება, არც სიტყვა მათქმევინეს თავის გასამართლებლად, არც ის მითხრეს, ჩემი ხალხის წინაშე რა დანაშაულობა მიმიძღვის.

თ. დონდუკოვ-კორსაკოვის [წერილის] პირში აი რა ამოვიკითხე – მთავარმართებელი შინაგან საქმეთა მინისტრს სწერდა: „ქუთაისის გუბერნიის თავად-აზნაურობის წინამძღოლმა ყიფიანმა ნება მისცა თავის თავს და ეგზარხოსს **ცრუ** ხმებზე (1) დაფუძნებული უადგილო წერილი მისწერა. წერილი შეურაცხყოფს (2) ეგზარხოსს, თითქოს მის დაშინებას (3) სცდილობს და ამასთან ოფიციალ ბლანკზეა დაწერილი (4). ამ წერილში ყიფიანს, აშკარაა (5) ქართველური მამულიშვილობა (6) უნდოდა გამოეჩინა, რომელიც **ვითომ-და** შეურაცხყოფილი მამულის ღირსების დასაცავად გამოდიოდა (7) და მით თანამემამულეთა თვალში თავისი თავი აემალლებინა (8). ეს **სხვათა შორის იმითაც მტკიცდება (9)**, რომ ყიფიანმა ქართველ საზოგადოებაში თავისი წერილი ეგზარხოსისადმი გაავრცელა ისე, როგორც შარშან დიდ მთავართან, მიხეილ ნიკოლოზის ძესთან, ნალაპარაკევი ჩასწერა და გაავრცელაო“.

როცა თ. დონდუკოვს ეგზარხოსისაგან მოუვიდა ეს წერილი, თ. დონდუკოვმა მოვალეობად ჩათვალა, შინაგან საქმეთა მინისტრის საშუალებით ხელმწიფის ყურადღებამდე მიეტანა. – შინაგან საქმეთა მინისტრმა უქვეშევრდომეს ქალაქში დაწვრილებით აუხსნა საქმის გარემოება, რის შედეგიც უმაღლესი ბრძანება იყო.

მთავარმართებელმა და შინაგან საქმეთა მინისტრმა ხელმწიფეს უმაღლესი ბრძანება გამოსთხოვეს და მით თავიანთ უკანონო საქციელს ხელი წააფარეს, ვინაიდან სახელმწიფოში ყოველი სახელმწიფო და საზოგადოებრივი სამსახური კანონის მფარველობის ქვეშ იმყოფება და რათა ამ საშუალებით ხელიდამ კანონის მფარველობა გამომაცალონ, მთავარ-მართებელი და მინისტრი იძულებულნი იყვნენ ხელმწიფისათვის სიცრუე ეთქვათ და ჩემი უდანაშაულო მოქმედება დიდ დანაშაულობად ჩაერიცხათ.

აი ამისი საბუთებიც:

1) თ. დონდუკოვს თავისუფლად შეუძლია ჩემი წერილი დაამახინჯოს, ხოლო მე ვამტკიცებ – არც ერთ კანონმდებლობაში არ არის კანონი, რომელიც ადამიანს სჯის მხოლოდ იმისათვის, რომ მის ყურამდე **ცრუ ხმებმა** მიაღწიეს. თ. დონდუკოვი ბრძანებს, მე ცრუ ხმებით ვხელმძღვანელობდი და წერილი ამ ხმებზე ავაშენეო. განა მე კი ეს ხმები ნამდვილ ამბად მიმაჩნდა? პირ-იქით, ვამბობდი, ეს შეუძლებელი ამბავია მეთქი.

2) და თუ რომ ხმა მართალიც ყოფილიყო, დამშვიდებულად რომ შევხედოთ გარემოებას, ჩემს წერილში, რომლითაც ვაფრთხილებდი, ცუდი შედეგი არ მოჰყვეს ამ ხმებს მეთქი, დაშინებისა და შეურაცხყოფის კვალს ვერავინ ჰპოვებს. თუ მიტანილი ამბავი მართალი არ არის, რაშია იმ კაცის დანაშაულობა, რომლის ყურადღებამდე მივიდა ეს ამბავი?

3) არც ერთი რუსული ენის მცოდნე ადამიანი არ იტყვის, რომ სიტყვებს **გაფრთხილებას** და **დაშინებას** ერთი და იგივე მნიშვნელობა ჰქონდეს.

4) ეგზარხოსს ჩემთან პირადი ცნობა არ ჰქონდა და სრულიად თავისუფალი იყო უყურადღებოდ დაეტოვებინა უცნობი პირისაგან მიწერილი ამბავი. მაგრამ ჩემს თვალში გარემოება მძიმე და საშიშო იყო, ეგზარხოსს პოლიცია იცავდა და ამიტომ აზრადაც არ მომსვლია ჩემი ოფიციალური ვინაობა დამემალა.

5) „ყიფიანს, აშკარაა, ქართველური მამულიშვილობა უნდოდა გამოეჩინაო“.

ყველა ამაში აშკარაა მხოლოდ ერთი გარემოება. თ. დონდუკოვს არა ერთი და ორი წელიწადი უცხოვრია კავკასიაში. ხოლო აშკარაა, თავის დღეში არ ჩაფიქრებულა, „რა ხალხია ქართველი ხალხი?“

ამ საგნის გამორკვევა მეტი არ იქმნებოდა და წერილის ბოლოში ამ საგანს დაუბრუნდები.

6) გუბერნიის წინამძღოლი თავად-აზნაურობის წარმომადგენელია მთავრობის წინაშე. მაშასადამე, უმაღლეს წოდების კანონიერი მცველია. და რომ თავად-აზნაურობის უფლება და ღირსება ხშირად ილახება ჩვენში, ამის მაჩვენებელია ამ წერილში მოყვანილი საბუთები, ჩემი დიდ მთავართან ლაპარაკის შედეგი, რომელსაც თ. დონდუკოვი თავის უკანასკნელ ბრალმდებელ აკტში იხსენიებს და რომლის გულისათვის ორჯელ უსამართლოდ ვიყავ დასჯილი.

7) მე დიდი კაცი არა ვარ. მიუხედავად ამისა, უნდა აღვნიშნო, ტფილისის გუბერნიის მარშლად სამჯერ (სამ სამი წელიწადი) ვიყავ არჩეული,²³ ტფილისის ქალაქის თავი ვიყავი, 1885 წ. ერთხმად ქუთაისის თავად-აზნაურთა წინამძღომლად ამომირჩიეს და თუ ამას ისიც მიუმატე, რომ მე თავისდღეში ამ თანამდებობებს არ დავეძებდი, აშკარად გამოჩნდება, რომ ჩემი ამაღლება თანამემამულეთა თვალში საჭირო არ იყო. ვფიქრობ, ჩემს თანამემამულეთა შორის მეტი მნიშვნელობა მაქვს, ვიდრე სასურველია, და თუმცა ეს ჩემს თავმოყვარეობას ბევრს ეუბნება, მაგრამ, ცოტა არ იყოს, მანუხებს. – ჩემი

ანინდელი მდგომარეობა სხვა არაფრით არ არის დამსახურებული.

8. 9. 10) მართალი არ არის, ვითამ მე ვცდილობდი ჩემი წერილის ხალხში გავრცელებას. დიდი ცდა არ არის საჭირო ამგვარი ამბების საზოგადოებაში გავრცელებისათვის და დასამალიც არა მქონდა რა.

11) „Le plus sourd est celui qui ne veut pas en Tendre“.*

მე რამდენჯერმე განვმარტე, რომ ვასრულებდი დიდი მთავრის ბრძანებას, უმაღლესადაც მოწონებულს. ხოლო ამას ყურადღებას არ აქცევენ.

ზემოდ ვსთქვით, ქუთაისის თავად-აზნაურობა განსაკუთრებული ყურადღებისაც ღირსია მეთქი.

მე, როგორც თავად-აზნაურობის სათავეში მდგომს, შემდეგი უმაღლესად ნაბრძანები „გრამოტები“** მქონდა შენახული:

1. 14 აპრილს 1840 წ. იმპერატორ ნიკოლოზ I-ის მიერ ნაბოძები: საყვარელ და ერთგულ იმერეთის ხალხს, რომლის მეფისადმი ერთგულება და არა ჩვეულებრივი ვაჟკაცობა, რომელიც იმერეთის მილიციამ 1838 წ. აბხაზების წინააღმდეგ ბრძოლაში გამოიჩინა²⁴ და მით ხელმწიფის მადლობა და წყალობა დაიმსახურა, ამ სამსახურისათვის სახელმწიფოს და ხელმწიფის სამსახურში სახმარებლად დროშა ეძლევა.

2. 19 თებერვალს 1871 წ. იმპერატორ ალექსანდრე II-ის მიერ ნაბოძები: ქუთაისის გუბერნიის თავად-აზნაურობას კავკასიის მთიელებთან გამიწეული ბრძოლისათვის უმოწყალესად დროშა ებოძება.²⁵ დროშა კურთხეული და შენახული უნდა იყოს კეთილშობილ წოდების ტახტისა და სამშობლოსადმი ღვანლის სახსოვრად.

* „გამოყრუებული ის არის, ვისაც გაგონება არა ჰსურს“.

** „გრამოტა“ (რუს. Грамота) – სიგელი.

3. 16 იანვარს 1857 წ. იმპერატორ ალექსანდრე II-ის მიერ ნაბოძები საყვარელ და ერთგულ ქუთაისის გუბერნიის ყველა წოდების ქვეშევრდომთ: „ქუთაისის გუბერნიაში მტრის მოულოდნელი შემოსევის დროს, წარსულ ომიანობის განმავლობაში,²⁶ თავად-აზნაურობაში ძველებურმა სამხედრო სულმა იჩინა თავი, რაც წარსულ ხანაში ამ წარჩინებულ წოდებას ისე ამშვენებდა. იგი რაინდულის გაბედულებით, დიდი და პატარა, მტერს გაუმიკლავდა და მამაცურად ომს და ომის უბედურებას დაუხვდა. ქუთაისის გუბერნიის ზოგიერთი მცხოვრებლები, განსაკუთრებით გურულები, იძულებულნი იყვნენ სახლ-კარი მიენებებინათ და მტრის ხელში ჩაეგდოთ. ხოლო რაც უფრო მწვავედებოდა მათი უბედურება, სამხედრო სული მით უფრო იზრდებოდა მათში და მასთან ერთად იზრდებოდა სამშობლოსადმი და მამაპაპეულ მართმადიდებელ სარწმუნოებისადმი ერთგულება და სურვილი საერთო მტერთან ბრძოლისა, რაც მტრის გასაშტერებელი გმირულის თავგანწირულებით დაამტკიცეს. თავად-აზნაურობას და გუბერნიის ყველა წოდებას ჩვენ გულწრფელ მადლობას და წყალობას ვუცხადებთ“.

ვერავინ ვერ იტყვის, თავად-აზნაურობაში გაჰქრა ის გმირული სული, რომელიც ასე იზიდავდა ხელმწიფის ყურადღებას. თუ ეს ასეა, რითი უნდა ავხსნათ, რომ ქუთაისის სამაზრო და საგუბერნიო ადმინისტრაცია ისე ექცევა ამ თავად-აზნაურობას, თითქოს ივინყებს, ხალხში რა ადგილი უჭირავს მას. იგი თავად-აზნაურობას გლეხებთან ათანაბრებს, ყოველ სიტყვას ამ წოდების კანონიერი წარმომადგენლისას უადგილოდ მიიჩნევს და უყურადღებოდ სტოვებს. ადმინისტრაცია იქამდის მივიდა, რომ ნაბოძებ დროშების წართმევაც ჰსურდა.

თ. დონდუკოვ-კორსაკოვმა 2 სექტემბერს 1886 წ. ქუთაისში ყოფნის დროს (ტფილისიდან დეისტვიტელნი ტაინი სო-

ვეტნიკ პობედონოსცევს აცილებდა) წინამძღოლის მოადგილეს უთხრა,²⁷ ყიფიანი პირადად არის **დასჯილი**, თავად-აზნაურობა აქ არაფერ შუაშიაო.

საცა რამე კანონიერი წეს-წყობილება არსებობს, ყიფიანი, როგორც კერძო პირი, დასჯილი ვერ იქმნებოდა, რადგან დანაშაულობა არა ჩაუდენია რა. იგი იყო დასჯილი, როგორც თავად-აზნაურობის წინამძღოლი, იმ თავად-აზნაურობისა, რომელიც არაერთხელ წინადაც იყო შეურაცხყოფილი (მერაბ წერეთლის საქმე, სამსონ აბაშიძისა და სხვ.).

ახლა დაუბრუნდეთ კითხვას: „რა ხალხია ქართველები?“

ქართველი ხალხი ახალგაზრდა ხალხი არ არის. იგი დამოუკიდებლად ძველის დროიდან მეთვრამეტე საუკუნის დამლევამდე სცხოვრობდა. ისტორიულად იწყო სიცოცხლე 300 წ. ქრისტეს დაბადებამდე.

უკანასკნელი ექვსი საუკუნე ამ ხალხის სიცოცხლე მრავალტანჯული და წვალებული იყო. ძველის დროიდან მართლმადიდებლობა მიიღეს და მთელ სიცოცხლეს სარწმუნოების და ეროვნების დაცვას ანდომებდნენ. მტერი ბევრი ჰყავდათ: ოსმალი, სპარსი, მთიელნი. შეუპოვარი ჩინგის ხანის ურდო, ჯალალ ედინი, მურვან ყრუ, ლანგ თემური, რომელიც უთვალავ ჯარით ექვსჯერ დაეცა საქართველოს. ერთხელ და ორჯელ არ უკუუგდია საქართველოს დასავლეთ ცივილიზაციაზედ მიმართული მძლავრი ხმალი მტარვლებისა. ქრისტიან მფლობელებს კარგად ესმოდათ მართლმადიდებელ საქართველოს დამსახურება მსოფლიო ისტორიის წინაშე, ვინაიდან საქართველომ, უთვალავ მტრებით გარშემორტყმულმა, შეინახა სამოციქულო წმინდა ეკლესია.

მაგრამ ხანგრძლივმა ბრძოლამ დაჰკლალა და შეასუსტა საქართველო და საქართველომ მიჰმართა ჩრდილოეთ მონარქს. იგი ცნობიერად და თავისი ნებით შევიდა რუსეთის მართმადიდებელ თვითმპყრობელ სამეფოში. საქართველო რუსეთის საქართველოდ გადაიქცა. არც ერთი ქართველი, როგორც

ნამდვილი რუსი, არ ზოგავდა და არ ზოგავს თავის ქონებას და სიცოცხლეს საერთო საქმის და მამულის სამსახურში.

რუსთა სისხლი 60 წლის განმავლობაში იღვრებოდა კავკასიაში. ხოლო ამასთან ქართველთა სისხლიც იღვრებოდა. – ქართველებმა რუსეთის მფარველობის ქვეშ უმაღლესს კეთილდღეობას მიაღწიეს.²⁸

ქართველი ხალხი, როგორც ვსთქვი, ახალგაზრდა ხალხი არ არის, ამიტომ კარგათ ესმის, ვისი წყალობით ეღირსა ეს კეთილდღეობა.²⁹

ვინც გვიცნობს, ან ვუყვარვართ, ან პატივსა გვცემს. ვინც არ გვიცნობს, როგორც, მაგალითად, ჩვენი ეხლანდელი ადმინისტრატორები, რომელნიც საუბედუროდ დასავლეთ გუბერნიებიდან მოვიდნენ საქართველოში და გვექცევიან ისე, როგორც პოლონელებს, ისინი, რაც გახდეს, ჩვენს გამწარებას და გაბოროტებას სცდილობენ.

მაგრამ ამას ვერ მიაღწევენ.

რატომ?

იმიტომ, რომ ჩვენ მეომარი ხალხი ვართ და, როგორც მეომარი ხალხი, პატიოსანი და ამასთან დაბერებულიც და ამიტომ ადვილად ვერავინ მოგვატყუებს.

ერთი კითხვა კიდევ და გავათავე.

თ. დონდუკოვი საშინელ დანაშაულობაში მამტყუნებს და ამბობს, ქართველი პატრიოტის როლს თამაშობსო.

რა დანაშაულობაა ამაში? ერთს თავი მოსწონს მოსკოვის პატრიოტობით, მეორეს ვოლოგჟანინის, მესამეს რიაზანის!!!

არა, თავადო! მე როლს კი არ ვთამაშობ, მე ნამდვილი ქართველი პატრიოტი ვარ. მხოლოდ იმისთანა არა, როგორც თქვენ გგონივართ.

პატრიოტის მოვალეობაა თავის ქვეყნისადმი სიყვარულის ჩანერგვა და არა განკერძოება და განშორება.

14 ნოემბერი 1886 წ.

[სტავროპოლ-კავკაზსკი]

უკვე მეათე თვეა, ვიმყოფები ისეთ მდგომარეობაში, რომელიც ძალიან ჰგავს სამარტოო პატიმრობას. საკუთარი სახსრების სიმწირე იმის საშუალებას არ მძლევს, ოჯახი თან მყავდეს. აქაური არახელსაყრელი კლიმატის გამო, ექიმების ცნობით, ჩემი ჯანმრთელობა იმდენად მოშლილია, რომ ცხოვრების ახლანდელ პირობებში მისი აღდგენა შეუძლებელია.³⁰

ერთადერთი ხსნა ისააო, მეუბნებიან, რომ შეწყალება უნდა ითხოვო. გენერალ-ადიუტანტი ა. ს. შერემეტევი* ჩემი ცოლისადმი გაგზავნილ ამა წლის 11 ივლისის (№6391) წერილში რჩევას იძლევა – შეწყალების თხოვნით პირდაპირ თავად დონდუკოვ-კორსაკოვს მიმართეთო.³¹

მაგრამ არავინ აღმოჩნდა კეთილისმყოფელი, რომელიც ამიხსნიდა, თუ სახელდობრ რის გამო უნდა ვითხოვო შეწყალება.

ჩემ წინააღმდეგ წამოყენებული ბრალდებები კი შემატყობინეს, მაგრამ იქ არსად ჩანს, თუ რა შეიძლება იყოს შეწყალების თხოვნის საფუძველი.

მთავარ ბრალდებად დასახელებულია ეგზარქოსისადმი გაგზავნილი 1886 წლის 8 ივნისის ჩემი წერილი.

ცნობილია – როცა ბრალდება წერილობით აქტს ეყრდნობა, დამონმებული უნდა იყოს თვითონ ამ წერილობითი აქტის შინაარსი, უკეთ რომ ვთქვათ, მაინცადამაინც ის, რაც მოცემულ წერილში წერია და არავითარ შემთხვევაში – ისეთი გარემოებები, რომელთა შესახებაც იქ არაფერია ნათქვამი. ეგზარქოსისადმი გაგზავნილი ჩემი წერილი ისეთს არაფერს შეიცავს,

* აქ შეცდომა ან ტექსტის ავტორს აქვს დაშვებული, ან – პუბლიკატორს. უნდა იყოს არა **ა. ს. შერემეტევი**, არამედ **ს[ერგეი] ა[ლექსის] ძე შერემეტევი**.

რაც ასეთ საშინელ ბრალდებას გაამართლებდა, რადგანაც, პირველ რიგში, წერილი ვარაუდზეა აგებული: **„თუ მართალია, რომ თქვენ ქვეყანა დასწყევლეთ... თქვენ გემუქრებათ სამღვთო ღირსების შეგინება... ხოლო თუ ყველაფერი ეს მართალი არ არის, ჩემი ცოდვის მოსატყვევლად დაე, მაკურთხოს თქვენმა მწყემსმთავრულმა მარჯვენამ“**.

თვითონ არქიეპისკოპოსისათვის შესაძლოა შოკის მომგვრელი ყოფილიყო ვარაუდზე აგებული მიმართვა, მაგრამ მისთვის შეწყალების თხოვნა აზრსაა მოკლებული იმდენად, რამდენადაც მიმართვის საფუძველი სწორედაც რომ ვარაუდი იყო. აი, ჩემი წერილის პირველი სიტყვები: **„მონყალება მოიღეთ და თუ ვცოდავ, რომ გავრცელებულ ხმებს ავეყვი, ცოდვა ჩემი მომიტყვევთ“**.

თავს ნებას მივცემ, ვთქვა: წერილის დასაწყისში აღნიშნულია, რომ ჩემი დამოკიდებულება აგებულია ვარაუდზე და ეს აზრი წერილის ბოლოშიც არის გამეორებული. ეს გარემოება, თავის მხრივ, საფუძველს აცლის ჩემ მიმართ წამოყენებულ ბრალდებას და, შესაბამისად – შეწყალების თხოვნის საჭიროებას.

მაგრამ საქმე ისაა, რომ ბრალდებას საფუძვლად დადებული აქვს არა წამდვილი შინაარსი წერილისა, არამედ მისი დედააზრის, დანიშნულებისა და ფორმის განმარტება; და ეს განმარტება სავსებით თვითნებურია. კერძოდ:

1. „ყურმოკრულ ცრუ ხმებზე დაყრდნობით, – ნათქვამია ჩემზე,³² – მან თავს უფლება მისცა, საქართველოს ეგზარქოსისათვის მიემართა უკიდურესად შეუფერებელი, შეურაცხმყოფელი და მუქარის შემცველი წერილით...“

მაგრამ ამ გავრცელებულ ხმებს მე სინამდვილედ არ ვაცხადებდი; პირიქით, პირდაპირ ვუწოდე „დაუჯერებელი“. აზრი ჩემი წერილის უადგილობის შესახებ ერთობ საკამათოა და ვერ იქცევა ბრალდების საფუძვლად, თუმცა ამ საკითხს ორიოდ სიტყვით ქვემოთ კიდევ დავუბრუნდები სხვა ისეთ

ფაქტთან დაკავშირებით, რომელიც ასევე უადგილოდაა მიჩნეული. ჩემი წერილი შეურაცხყოფელი მაშინ იქნებოდა, ჩემამდე მოღწეული ხმები ეჭვმიუტანელ სიმართლედ რომ მიმელო და წინასწარ არ მეთხოვა მიტევება იმის გამო, რომ ვარაუდს ვეყრდნობოდი. მუქარად კი მიჩნეულია გაფრთხილება – იმავე ხმების მიხედვით, შესაძლებელი იყო ეგზარქოსისთვის შეურაცხყოფა მიეყენებინათ, თუკი გავრცელებული ხმები მართალი აღმოჩნდებოდა. ნებისმიერი სხვაგვარი განმარტება ჩემი სიტყვებისა უდავოდ და უეჭველად წინააღმდეგობაში იქნება როგორც თვითონ წერილის დედააზრთან, ისე – ჩემს განზრახვასთანაც. შესაბამისად, არც ეს ბრალდება იძლევა საფუძველს, ვითხოვო შეწყალება.

2. ბრალს მდებენ, რომ ჩემი წერილი ოფიციალურ ბლანკზე იყო დაწერილი. მაგრამ მე ეგზარქოსს ვერ მივმართავდი როგორც კერძო პირი და არც ეგზარქოსი იქნებოდა ვალდებული, ასეთი მიმართვისთვის რაიმე მნიშვნელობა მიენიჭებინა. მე სწორედაც რომ თავადაზნაურობის წინამძღოლის სახელით ვწერდი; იმ წინამძღოლისა, რომელიც მოწოდებულია, თავადაზნაურულ ფენაში სიმშვიდე სუფევდეს. თავადაზნაურობა კი შემწოთებული იყო თავისი ყველაზე წმინდა, რელიგიური, გრძნობების შებლალვის გამო. ხმები ამის შესახებ დიდხანს არ წყდებოდა მთელს მხარეში და გაზეთებიც თვეების განმავლობაში ავრცელებდნენ ამ ხმებს. დაზღვეული ვიქნებოდი თუ არა საყვედურებისაგან, თუკი იმ ფენაში, რომელსაც წარმოვადგენ, აღმოჩნდებოდნენ ფანატიკოსები, რომლებიც, სხვა ქომავსა და მოსარჩლეს რომ ვერ ნახავდნენ, თვითონვე იძიებდნენ შურს? ასე იყო თუ ისე, ჩემი წერილი საზოგადოებისათვის მალე გახდა ცნობილი, მან აღელვებული ხალხი დაანყნარა და ამით მე ჩემი მოვალეობა შევასრულე. ამის გამო შეწყალების თხოვნა არ უნდა მჭირდებოდეს.

3. „ამ წერილით, – ნათქვამია შემდეგ, – მას, ჩანს, უნდოდა თავგადაკლული ქართველი პატრიოტის როლი გაეთამაშა“.

არა მარტო ამ წერილში, არამედ მთელი ჩემი ცხოვრების განმავლობაში, რაც თავი მახსოვს, არ განვმორებივარ ამ როლს, ანუ პირდაპირ რომ ვთქვა, არ შემინყვეტია ვყოფილიყავი ის, ვინცა ვარ. წესით, არც უნდა გაჩენილიყო ეჭვი, რომ ქართული პატრიოტიზმი წმინდა წყლის რუსული პატრიოტიზმია. თუ ამ მხრივ ეჭვები არსებობს, ეს სრული უცოდინარობის შედეგია. ბათუმის ოლქის დაკავებამდე კიდევ შეიძლებოდა თქმულიყო, რომ იქ ქართველები და თურქები ცხოვრობენ, ამჟამად კი ისინი ყველანი რუსები არიან – ნებაყოფლობით, გააზრებულად გახდნენ რუსეთის თვითმპყრობლის ქვეშევრდომები და, ამდენად, რუსებად იქცნენ.³³ ისიც მართალია – იმ ჩვენმა ადმინისტრატორებმა, ოდესღაც დასავლეთ გუბერნიებში რომ მსახურობდნენ, როგორც ჩანს, ვერ შეძლეს გათავისუფლებულიყვნენ საკუთარი წარმოდგენებისგან, თუ როგორ უნდა ხალხის მართვა და ამიტომ აქ ქართველებს ისე უყურებენ, როგორც იქ პოლონელებს უყურებდნენ. ისინი ჩვენში ეძებენ ანტაგონიზმს მთელი თავისი საშინელებებით და, მიუხედავად იმისა, რომ ანტაგონიზმი აქ ბუნებრივი ვერ იქნება, უკვე ცუდია, რომ ეძებენ. თუკი ჩვენში წარმოიშობა ხოლმე ადგილობრივი მნიშვნელობის გაუგებრობები, ეჭვის აღმძვრელი და შეუფერებელი გარემოებები, ადმინისტრაციული უტაქტობანი – ეს ყველაფერი შედეგია ჩვენი წარსულისა და ჩვენი აწმყოს უცოდინარობისა.

არადა, არსი საკითხისა მარტივზე მარტივია: ჩვენი წარსული – ეს არის მთელი ხუთი საუკუნის განმავლობაში ყოველი მხრიდან გარშემორტყმულ მტრებთან განუწყვეტელი, ყოველდღიური ბრძოლა მართლმადიდებლობისა და მართლმადიდებლობით განსაზღვრული ხალხოსნობის დასაცავად. ჩვენი აწმყო კი ამდენი ხნის ბრძოლისა და ტანჯვა-ვაების შემდეგ შეიძლებოდა ყოფილიყო სანატრელი სულის მოთქმა:

რომ არ ვხვდებოდეთ ზოგიერთ გულის მომშხამველ მცდელობას, ჩაგვაყენონ ისეთი ხალხების რიგში, რომლებიც იარა-

ღით არიან დაპყრობილნი და არავითარი საერთო ჩვენთან არც ჰქონიათ და არც აქვთ;

ჩვენ, რუსული რეჟიმის დაქვემდებარებაში ნებაყოფლობით შესულებს, ზოგჯერ ისე რომ არ გვიყურებდნენ, როგორც დამორჩილებულ-დამონებული მხარის აბორიგენებს;

ხანდახან რომ არ გვესმოდეს ხელისუფლების საყვედური ისეთი გარემოებების გამო, რომლებსაც, სადაც წესი და რიგია, არავითარი საფუძველი არ უნდა ჰქონდეს და, შესაბამისად, ეს საყვედურები უადგილოა.

4. შემდეგ ნათქვამია: „იცავს თავისი სამშობლოს თითქოსდა შეურაცხყოფილ ღირსებას და ამით სურს, საკუთარ თავს განსაკუთრებული მნიშვნელობა მიანიჭოს თვისტომთა თვალში“.

განკერძოების აღძვრის გაუგებარი სურვილის გამომხატველი ასეთი შეფასება უეჭველი დადასტურებაა იმისა, რომ არც საქართველოს, არც ქართველებს არ იცნობენ. მას შემდეგ, რაც საქართველო რუსეთს შეუერთდა, ჩემი სამშობლოს, საქართველოს, ღირსებას მხოლოდ რუსეთის მტერმა შეიძლება შეუქმნას საფრთხე; ან კიდევ, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ჩემი სამშობლოს შეურაცხყოფა მხოლოდ რუსეთის შეურაცხყოფელს შეუძლია. მაგრამ მე საუბარი მქონდა და მაქვს არა სამშობლოს, არამედ ჩვენი რელიგიური გრძნობების შეურაცხყოფაზე. პროტესტი ასეთ შემთხვევებში გამოითქმის ან პირდაპირ, ან საზოგადოებრივი ფენის წარმომადგენლის მეშვეობით. მე აღვასრულე მხოლოდ ვალი უმაღლესი ნოდების წინამძღოლისა და ჩემი მიმართვით თავიდან იქნა აცილებული სხვათა გამომხაურებანი.

რაც შეეხება სურვილს, რომ თვისტომთა თვალში საკუთარ თავს მნიშვნელობა მივანიჭო, არა ერთი და ორი მორალისტი დაფიქრდება და, ცხადია, იკითხავს: რატომ არის ეს დასაძრახი? საკუთრივ მე რაც შემეხება, არ შემიძლია არ ვთქვა – არაფერს არ შეუძლია თვისტომთა თვალში ჩემი მნიშვნელობის აზიდვა იმაზე მაღლა, რა მნიშვნელობაც დიდი ხანია

რუსეთისათვის ნახევარ საუკუნეზე მეტი ხნის განმავლობაში სამსახურით მაქვს მოპოვებული: 1854 წელს ქართველ აზნაურთაგან პირველს მერგო პატივი, აყვანილი ვყოფილიყავი ნამდვილი სამოქალაქო მრჩევლის ხარისხში, 1866 წელს იმავე წრიდან პირველს მებოძა ნიშნები წმ. ვლადიმირის II ხარისხის ორდენისა.³⁴ და თუ ჩემმა სამსახურმა მსჯავრდებულად უნდა მაქციოს, მაშინ, ცხადია, არც დრტვინვა-უკმაყოფილების საფუძველი მქონია ჩემი დღევანდელი მდგომარეობის გამო.

5. კიდევ ნათქვამია: „ეს (ანუ წინა ბრალდება), გარდა სხვა გარემოებებისა, იქიდანაც ჩანს, რომ მან სცადა ქართველ საზოგადოებაში გაეგრცელებინა მის მიერ ეგზარქოსისათვის გაგზავნილი წერილის ასლები“.

ასეც რომ ყოფილიყო, რა დანაშაული ჩანს ამაში? არსებითი მიზანი ჩემი წერილისა ხომ ის იყო, რომ წყევლის შესახებ გავრცელებული ხმებითა და, შესაბამისად, რელიგიური გრძობების შეურაცხყოფით გამოწვეული აღშფოთება უმაღლესი ფენის წარმომადგენლის გამოსარჩლებით ჩამეცხრო! და ეს მიზანი მიღწეულ იქნა! მოხერხდებოდა თუ არა ეს იმ შემთხვევაში, თუ ჩემი წერილი მკაცრ კანცელარიულ საიდუმლოდ დარჩებოდა? მე აქ მიწევს გავიმეორო სხვა შემთხვევის გამო ნათქვამი აზრი იმის შესახებ, რომ შეუძლებელია საზოგადო მოღვაწეს თავისი ამომრჩევლებისაგან რაიმე ჰქონდეს დამალული. ხოლო ის, რომ ასეთი წერილები ჩვენში სწრაფად და ყოველგვარი მონდომების გარეშე ვრცელდება, იცის ყველამ, ვინც ჩვენს მხარეს იცნობს. ჩემდათავად დაბეჯითებით ვამბობ – არ გამომიჩენია მცირეოდენი მონდომებაც კი ხსენებული წერილის გასავრცელებლად; ისევე, როგორც იოტისოდენადაც კი არ შევუწყობ ხელს წინამდებარე ნაწერის გავრცელებას, თუმცა ხელსაც არ შევუშლი, რამდენადაც ვერავითარ საამისო გონივრულ საფუძველს ვერ ვხედავ.

აი, ყველა ის ბრალდება, რომლებიც ჩემთვის ცნობილია და ამას მოჰყვა უმაღლესი ბრძანება თავადაზნაურობის წი-

ნამძღოლობიდან ჩემი გადაყენებისა და საცხოვრებლად ქალაქ სტავროპოლ-კავკაზსკის მიჩენის შესახებ.

შესაძლებელია, მსგავსი ბრალდებები კიდევ მოიპოვებოდეს სათადარიგოდ, მაგრამ მე მათ შესახებ არაფერი ვიცი და ამიტომ თქმითაც ვერაფერს ვიტყვი.

ზემოთ ჩამოთვლილი ბრალდებებისთვის კი ისეთი მნიშვნელობაა მინიჭებული, რომ არ მოერიდნენ, უშუალოდ ხელმწიფე იმპერატორი შეენუხებინათ და მისგან გამოეთხოვათ ბრძანება, რომელსაც მოჰყვა ის, რაც მოჰყვა.

ასეთი გადამჭრელი ნაბიჯი, სხვაგვარად რომ ვთქვათ, კანონით გათვალისწინებული ისეთი მოთხოვნის უგულვებლყოფა, რომლის მიხედვითაც, მოსამსახურე პირის დასჯა არ უნდა მოხდეს სათანადო დანესებულებებში მისი ბრალეულობის განხილვის გარეშე, ხომ არ ნიშნავს იმას, რომ კიდევ არსებობს სხვა, დაფარული, მიზეზი, რომელიც არ არის ნახსენები ჩემ წინააღმდეგ წამოყენებულ ბრალდებებში?

იყო ასეთი მიზეზი! იგი ბრალდების დასკვნითი ფორმულირების ბოლო პუნქტში ჩანს: „მან სცადა ეგზარქოსისადმი გაგზავნილი თავისი წერილის ასლები საზოგადოებაში გაეფრცელებინა, როგორც ეს შარშანაც გააკეთა, როცა დიდ მთავარ მიხეილ ნიკოლოზის ძესთან საუბრის ჩანაწერი გაავრცელა“.

ამით საქმეს ნათელი ეფინება.

დიახ! 1885 წლის შეხვედრაზე თავადაზნაურობამ მეტი პატივი მიაგო დიდ მთავარს, ხოლო მე იმავე დიდ მთავართან პირად საუბარში მის მიმართ გაცილებით მეტი გულახდილობა და მეტი ერთგულება გამოვამჟღავნე, ვიდრე თავად დონდუკოვ-კორსაკოვისადმი. ამას ვალიარებ!

1885 წლის 23 ოქტომბერს თავადმა დონდუკოვ-კორსაკოვმა პირადად გამომიცხადა თავისი გულისწყრომა იმის გამო, რომ გავკადნიერდი და მისი გვერდის ავლით მოვახსენე დიდ მთავარს თავადაზნაურობის რალაც წუხილის შესახებ, თუმცა ჩემი განმარტების შემდეგ ხელი გამომიწოდა და

მითხრა: ეს, რასაკვირველია, ჩვენს ორმოცწლიან ნაცნობობას ხელს ვერ შეუშლისო.

გადის სულ რაღაც ორი-სამი კვირა და ფორმალურ შეკითხვას ვიღებ – გენერალ სმეკალოვის ოფიციალურ წერილში ეწერა: „მთავარმართებელი, გაეცნო რა დიდ მთავართან თქვენი საუბრის ჩანაწერს, თქვენს საქციელს მიიჩნევს უკიდურესად უადგილოდ და სურს დაწვრილებით განუმარტოთ, რატომ გააკეთეთ ეს?“

მაშასადამე, ჯერ პირისპირ შეხვედრისას მისაყვედურეს, შემდეგ გუბერნატორის მეშვეობით საყვედური წერილობით გამომიცხადეს და, თანაც, ისევ ახსნა-განმარტება მომთხოვეს.

კანონით გათვალისწინებული ჩემი თანამდებობრივი უფლებების მკაცრი დაცვით დავწერე ახსნა-განმარტება და ისიც დავსძინე, რომ მოქმედებით, რის გამოც მკიცხავენ, თავადაზნაურობა დავამშვიდე და ამაში მე ვხედავ ჩემს დამსახურებას და არა – საფუძველს სასჯელისა, რომელიც საქმის სათანადოდ გარკვევისა და არსებული წესის დარღვევით გამომიტანეს.

საქმის გარჩევამ, რასაკვირველია, დაადასტურა ჩემი მოქმედებების ეჭვმიუტანელი კანონიერება და ამის შემდეგ ორიდან ერთი გზა რჩებოდა:

ან საქმე განსახილველად უნდა წარდგენოდა მმართველ სენატს და ასეთ შემთხვევაში კომპეტენტურ განხილვას შეეძლო დაედასტურებინა, რომ მთავარმართებელს უფლება არა აქვს სასჯელი დაადოს თავადაზნაურობის წინამძღოლს;

ან წინასწარვე განეჭვრიტათ მოსალოდნელი შედეგი და საკუთარი განკარგულების აღსასრულებლად უმაღლესი სასწავლო გამოეთხოვათ.

იმავე 1885 წლის დეკემბერში უკვე პეტერბურგიდან უშუალოდ დონდუკოვ-კორსაკოვისგან მივიღე მოწერილობა, რომლითაც მატყობინებდა იმპერატორის მიერ ჩემ მიმართ გამოთქმულ საყვედურს იმის გამო, რომ დიდი მთავრის ნათ-

ქვამს – გადაეცით ყველას მისი უდიდებულესობის დამამშვი-
დებელი სიტყვებით, მე წერილობითი ფორმა მივეცი.

ეს საქმე მაშინ ამით დამთავრდა.

მაგრამ 1886 წელს, ივლისში, ეს ყველაფერი გაიხსენეს ეგ-
ზარქოსისადმი გაგზავნილი ჩემი წერილის გამო და კიდევ ერ-
თხელ გამოითხოვეს უმაღლესი ბრძანება, რომლის ძალითაც
ვიმყოფები დღეს ამ მდგომარეობაში.

მე მტკიცედ ვიდექი და ვდგავარ იმ აზრზე, რომ ისეთ სა-
ხელმწიფოში, როგორიც რუსეთია, მონარქის ნება, რაშიც ან
რა ფორმითაც არ უნდა იყოს იგი გამოვლენილი, როგორც
უმაღლესი ძალაუფლების გამოხატულება, უცილობლად უნ-
და იქნეს აღსრულებული. თუმცა ეს არ იძლევა არც უფლება-
სა და არც შესაძლებლობას, ვინმეს დასჯის მიზნით მონარქს
რაიმე საქმე წარედგინოს სათანადო წესით დადგენილი წი-
ნასწარი განხილვის, ანუ ყოველივე ზედმეტისა და ყოველგ-
ვარი სიცრუისგან განმეხდის გარეშე.

ამ წესით ჩემს საქმესთან დაკავშირებული არსებითი მნიშ-
ვნელობის საკითხები ექვემდებარებოდა განხილვას: თავა-
დაზნაურობის წინამძღოლის პასუხისმგებლობის საკითხი
უნდა გარჩეულიყო მმართველი სენატის I დეპარტამენტში,
ხოლო ამიერკავკასიიდან ადმინისტრაციული წესით პირის
გაძევების საკითხი – მთავარმართებლის საბჭოში.

მაგრამ ამ დაწესებულებებს გვერდი აუარეს, რათა გაუნ-
მენდელი საქმე საიმპერატორო ტახტამდე დაუბრკოლებლად
მიეტანათ.

ასე დაირღვა არსებული კანონი სამსახურებრივი პასუხის-
მგებლობის შესახებ და ამით ხელყოფილ იქნა ჩემი უფლება,
ჩემი სიმართლე და ჩემი ნახევარსაუკუნოვანი სამსახური.

4 აგვისტო 1887 წ.

ქ. სტავროპოლ-კავკაზსკი

დღიურები

დღიური 1857-1858 წლებისა

კავკასიის მეფისნაცვლის¹ მიერ ჩემს სახელზე გამოგზავნილ 30 სექტემბრის მონერილობაში (№4012) ნათქვამია:

„სამეგრელოს მართვა-გამგეობისთვის სპეციალური საბჭოს დაარსების გამო² აუცილებელია დადგინდეს ან განსვენებული მთავრის, გენერალ-მაიორის, მთავარ დავით დადიანის, ოჯახის კუთვნილი ქონება და შემოსავალი, შედგეს ხსენებული ქონებისა და შემოსავლის ინვენტარიზაცია და შესაძლებელი სიზუსტით განისაზღვროს, თუ რა ოდენობის ფულადი გადასახადი უნდა იქნეს შემოღებული ნატურალური გადასახადის ჩასანაცვლებლად.

ეს ღონისძიება უნდა განხორციელდეს იმისათვის, რომ ხელშეუხებლად იქნეს დაცული სამეგრელოს ყოფილი მთავრის ობოლთა კერძო საკუთრების უფლება და, ამდაგვარად, მთელი თავისი სისრულით გამოვლინდეს ხელისუფლების ზრუნვა ასეთი დამსახურებული ოჯახის წევრთა მიმართ. შესაბამისად, მხედველობაში გვაქვს რა ამ საქმის განსაკუთრებული მნიშვნელობა, მას თქვენს აღმატებულებას მივანდობ იმ იმედით, რომ საქმე თქვენდამი ჩემი პირადი ნდობის შესაფერისად შესრულდება.

ქონებისა და შემოსავლის დადგენა, რასაკვირველია, უნდა მოხდეს ან წერილობითი აქტების საფუძველზე, ან კერძო პირთა გამოკითხვის მეშვეობით. წერილობითი აქტების შესახებ უნდა მიმართოთ მის უგანათლებულესობას, მთავრის მეუღლე ეკატერინე ალექსანდრეს ასულს ან

მის რწმუნებულს. რაც შეეხება გამოკითხვებს, საჭირო იქნება მათი სათანადო ფორმით დამონშება. საამისოდ მთელი ამ საქმის შესრულებისას თქვენი თანმხლებნი იქნებიან მთავრის ქვრივ დადიანის ნდობით აღჭურვილი პირი და სამეგრელოს მმართველის³ მიერ დანიშნული ჩინოვნიკი.

როცა ზუსტად დადგინდება მთელი ქონება, რომელსაც აქედან შვილებითურთ გამგზავრებული ქვრივი მთავრისა სამეგრელოში დატოვებს და ის შემოსავალი, მას რომ შემოსდის, თქვენმა აღმატებულებამ უნდა შეიმუშაოს ღონისძიებები, რომლებიც, ჯერ ერთი, ამ ქონებას გაფლანგვა-განიავეებისგან დაიცავს და, ამას გარდა, ნატურალურ გამოსაღებს სრულად ან ნაწილობრივ მუდმივი ფულადი გამოსაღებით ჩაანაცვლებს.

ამ მოსაზრებების თაობაზე უნდა შეუთანხმდეთ სამეგრელოს მმართველს, დაკისრებულ საქმესთან დაკავშირებული მოქმედებების ყველა შედეგი გააცნოთ უშუალოდ ქუთაისის გენერალ-გუბერნატორს⁴ და, მისი თანხმობით, საბოლოო მოხსენებასთან ერთად წარმომადგინოთ ინვენტარიზაციის უწყისი, რომელსაც თან უნდა დაერთოს შესაბამისი აქტები.

ხსენებული დავალების შეძლებისდაგვარად შესამსუბუქებლად, თანაშემწედ გინიშნავთ ამიერკავკასიის საკარანტინო-საბაჟო ოლქის მმართველს, სამოქალაქო მრჩეველს – ჩილიაევს, რომელსაც დავალებული აქვს, იმოქმედოს თქვენი განკარგულებებისა და მითითებების მიხედვით“.

2-5 ოქტომბერი – ეს მონერილობა 1 ოქტომბერს მივიღე და მეორე დღესვე სამოქალაქო მრჩეველ ჩილიაევთან ერთად თბილისიდან გავემგზავრე. 5 ოქტომბერს უკვე ქუთაისში ვიყავი. დავალებული მქონდა, ქალაქები ჩამებარებინა როგორც ქუთაისის გენერალ-გუბერნატორისთვის, რომელ-

საც, თავის მხრივ, ჩემს მივლინებასთან დაკავშირებული შესაბამისი განკარგულებები უნდა გაეცა, ისე – სამეგრელოს დედოფლისთვისაც. გენერალ-გუბერნატორს ქუთაისში ვერ ჩავუსწარი: ჯვარში იქაურებსა და კაზაკებს შორის შეიარაღებული შეტაკება მოხდა და იქ იყო ნასული, რათა ეს საქმე პირადად მოეგვარებინა.⁵

ვერ გავარკვიე, იქ რამდენ ხანს დაყოვნდებოდა; არც ის ვიცოდი, იძლეოდა თუ არა სამეგრელოში შექმნილი ვითარება ჩემი იქ ჩასვლის საშუალებას ან, ჩასვლის შემთხვევაში, სად უნდა მენახა იგი. 5 რიცხვში შიკრიკს წერილი გავატანე გენერალ-ლეიტენანტ გაგარინთან, ვთხოვდი ნებართვას, პასუხს არაუგვიანეს 8 რიცხვამდე დავლოდებოდი.

ამასობაში თავადი გაგარინი ქუთაისში დაბრუნდა – 7 რიცხვში, ღამით. მეორე დღეს ნარვუდექით და მივიღეთ რჩევა, რაც შეიძლება სწრაფად გავმგზავრებულიყავით გორდში, მთავრის ქვრივ ეკატერინე ალექსანდრეს ასულთან, რომელიც გასამგზავრებლად ემზადებოდა და ერთი სული ჰქონდა, როდის ვენწეოდით.⁶

ვინაიდან სამეგრელოში ჩინოვნიკთა ნაკლებობაა, გენერალ-მაიორ კოლიუბაკინს ჩინოვნიკის მიჩენა გაუჭირდებოდა და ამიტომ თავადმა გაგარინმა თანმხლები პირი თვითონ დამინიშნა – საარმიო კავალერიის მაიორი აბაშიძე; ამასთანავე, გასცა განკარგულება, გაეყოლებინათ ჩემთვის ორი გადამწერი, ორი მებარგული და ორი კაზაკი. ამას გარდა, მთავრის ქვრივ დადიანისთვის გადასაცემად გამატანა მთავარსარდლის ადიუტანტის, თავად გორჩაკოვის, მიერ წინააღმდეგ ჩამოტანილი პაკეტი. ნამდვილი სამოქალაქო მრჩეველი, ბ-ნი კრუზენშტერნი კი მაცნობებდა, რომ ამ პაკეტში იდო მეფისნაცვლის შეტყობინება, რომლის მიხედვითაც, მთავრის შვილების მიერ სამეგრელოში დატოვებული ქონების მეურვეთა შერჩევა თვითონ მისი – მთავრის ქვრივის – სურვილზე იყო დამოკიდებული.

8 ოქტომბერი. მივიღე რა თავად გაგარინისგან ოფიციალური შეტყობინება (№1090), იმავე 8 რიცხვში გავემგზავრე ქუთაისიდან და მეორე დღეს უკვე სამეგრელოს დედოფალთან ვიყავი გორდში.

მიუხედავად იმისა, რომ ჯერ კიდევ თბილისში ვიცოდი, მთავრის ქვრივისგან მისი ამჟამინდელი მდგომარეობის შესახებ მეტ-ნაკლებად მწვავე საყვედურების მოსმენა მომინევდა, შეხვედრის პირველი საათები ჩემთვის მაინც მეტისმეტად მძიმე გამოდგა. მე კარგად არ ვიყავი ჩახედული საქმეში, თუ რამ განაპირობა უფროსი შვილის სრულწლოვანებამდე სამეგრელოს დედოფლის ს.-პეტერბურგში მინვება და ამიტომ ასეთ მდგომარეობაში აღმოვჩნდი: ან ჩუმად უნდა ვყოფილიყავი და მესმინა მისი საყვედურები და დრტვივა, ან კიდევ დამერწმუნებინა იმ ღონისძიების გარდაუვალობაში, მის საყვედურებს რომ იწვევდა. პირველი გზა არ იქნებოდა შესაფერისი, ჯერ ერთი, ჩემი ფუნქციის გამო და, გარდა ამისა, უმაღლეს ჩინოვნიკობასაც მივეკუთვნებოდი და მეფისნაცვლის პირადი ნდობითაც ვიყავი აღჭურვილი; მეორე გზა რთული არ იქნებოდა, საქმის გარემოებები რომ მცოდნოდა. ისლა დამრჩენოდა, საყვედურები მესმინა მოთმინებით და არ დამეკარგა იმედი, რომ თვითონ მისივე სიტყვები მომცემდა მდგომარეობიდან ღირსეულად გამოსვლის საშუალებას.

ყველაზე მაგარ-მაგარ გამოთქმებს მთავრის მეუღლე ფლიგელ-ადიუტანტ ჩერტკოვის, ნამდვილ სამოქალაქო მრჩეველ დიუკრუასის, გენერალ-მაიორ კოლიუბაკინისა და, დასასრულ, ქუთაისის გენერალ-გუბერნატორის, თავად გაგარინის, მისამართით ხმარობდა: ადანაშაულებდა მათ ცალკეული მოქმედებებისა თუ ცალკეული განკარგულებების გამო; დაასკვნიდა, რომ ან ვერც ერთი მათგანი ვერ ხედავდა ჭეშმარიტებას, ან მონდომებულნი იყვნენ, ჭეშმარიტებას მეფისნაცვლამდე ვერ მიეღნია. –

ხაზგასმულმა ყურადღებამ, რომლითაც მე მის ჩივილსა და საყვედურებს ვუსმენდი, მთავრის მეუღლე ბუნებრივად მიიყვანა შეგნებამდე, ჩემი განმარტებებიც მოესმინა: თავადი გაგარინი, – ვთქვი მე, – მის წინააღმდეგ ვერ წავიდოდა თუნდაც ახლო ნათესაობის გამო. გაგარინი ხომ მისი დის მეუღლეა!¹⁷ გენერალ კოლიუბაკინს მის ოჯახთან ყოველთვის თითქმის მეგობრული ურთიერთობა ჰქონდა; დიუკრუასი პირდაპირი და კეთილმოსურნე ადამიანის რეპუტაციით სარგებლობს; ჩერტკოვს არ ვიცნობდი, მაგრამ მისი აქ ყოფნიდან იმდენად ცოტა დროა გასული, რომ შეუძლებელია, სამეგრელოს საქმეებში მონაწილე მხარეებიდან რომელიმეს მიმართ, უკიდურეს შემთხვევაში, მიკერძოებული ინტერესი გასჩენოდა. ჩამოთვლილთაგან ვერც ერთი ვერ წარუდგენდა ხელმძღვანელობას გაყალბებულ სურათს. არც იმას გამოვრიცხავდი, რომ, ვთქვათ, საქმისადმი მიდგომის მხრივ ყველა ცდებოდა, მაგრამ, მოდით, ვნახოთ მათ მიერ წარდგენილ მოხსენებათა შედეგი. მმართველობის წესი, რომლის წინააღმდეგაც თითქმის მთელი სამეგრელო წავიდა, მთავრის სრულწლოვანებამდე შეიცვალა სხვა, დროებითი, წესით. მთავარი პეტერბურგშია მიწვეული. იქ გაცილებით უკეთ, ვიდრე სხვაგან – მით უფრო, შინ – არის შესაძლებელი მისი მოვალეობის შესაფერისი აღზრდა-განათლების მიღება; ოჯახის ყველა შემოსავალი მთავარს შენარჩუნებული აქვს; გარდა ამისა, ხელმწიფემ მას თავისი გულუხვობით დაუნიშნა 30 ათასი მან. წელიწადში. შეუძლებელია ამაში დავინახოთ სხვა რამ, თუ არა მხოლოდ და მხოლოდ მეფური კეთილმოწყალება.

განმარტებებმა მთავრის მეუღლე დააფიქრა. ეს კი საკმარისი აღმოჩნდა, თავისუფლად მევლო მიზნისკენ, რომელსაც ინსტრუქცია ან დაკისრებული დავალება კი არ მიკარნახებდა, არამედ – მოვალეობა, დამემშვიდებინა მგლოვიარე მანდილოსანი და დავხმარებოდი სულიერი ძალების მოკრებაში, რათა მშვიდად და ნდობით აღვსილი დასდგომოდა შორეულ გზას. ეს კი არა მხოლოდ მისთვის და მისი შვილებისთვის

ვის, არამედ, და განსაკუთრებით, მთელი ამ მხარისთვის იყო აუცილებელი – იმ ყველაფრიდან, რაც მე ვნახე და მოვისმინე გორდში ჩასვლამდე, გამოდიოდა ერთადერთი დასკვნა: თუ დედოფალი არ შეწყვეტდა შეურაცხყოფილის მდგომარეობაში ყოფნას, ადვილი შესაძლებელი იყო, სამეგრელოდან მის გასვლას არეულობა მოჰყოლოდა.

ჩემმა ძალისხმევამ, ყოველ შემთხვევაში, ერთი შეხედვით მაინც, ნაყოფი ძნელად, მაგრამ მაინც გამოიღო: რამდენიმე საათის შემდეგ მთავრის მეუღლე საყვედურიან კილოს უკვე იშვიათად უბრუნდებოდა. სამოქალაქო მრჩეველი ჩილიაევი ამ საქმეში ენერგიულად მეხმარებოდა. მისი შემწეობით – სამართლიანობა მოითხოვს, ეს ითქვას – გორდში ჩვენი ყოფნის პირველი ორი დღის განმავლობაში მთავრის მეუღლე სრულიად დამშვიდდა, საყვედურები შეწყვიტა, შეეგუა აზრს, რომ გამგზავრება მოუწევდა, დაგვეთანხმა, რომ ამჟამინდელი მმართველობითი ცვლილებები მისი სამფლობელოსთვის უდავოდ სასარგებლო იყო, უკიდურეს შემთხვევაში, მისი შვილებისთვის მაინც და, დასასრულ, მკაფიოდ გაიაზრა სამეგრელოდან გასვლისას სიმშვიდის შენარჩუნების აუცილებლობა. ერთი სიტყვით, იგი სავსებით მიენდო ხელმწიფის კეთილმონწყალებას და, ვგონებ, არ შეეცდები, თუ ვიტყვი – მთავრის მეუღლე გამოიყენებს მთელ თავის გავლენას (ვინც რა უნდა თქვას, სამეგრელოში მას გავლენა აქვს), რათა მისი გამგზავრებისას აქ უკმაყოფილების ხმა არ ისმოდეს. –

მივალწიე რა ყოველივე ამას, ამასთანავე, ვალდებული ვიყავი, როგორც კერძო პირი, ნავსულიყავი დათმობაზე და დამეკმაყოფილებინა მთავრის მეუღლის ერთი მტკიცე და დაჟინებული მოთხოვნა. იგი დაბეჯითებით მოთხოვდა თანხმობას, მისი შვილების მამულების მეურვეობა ჩემს თავზე ამელო. მთავრის მეუღლე იმ პირობასაც აყენებდა, რომ თანხმობა სამეგრელოში ჩემდამი დაკისრებული დავალების ამონურვის შემდეგ გამომეცხადებინა, რასაკვირველია, თუკი იმ მიზეზებს, რომელთა

გამო შეიძლება ახლავე უარი მეთქვა, სხვაც არ დაემატებოდა. უარის მიზეზები მასთან არც დამიმალავს: მოვალეობა მეურვისა ფრიად მნიშვნელოვანია როგორც სინდისის, ისე – კანონის წინაშე, პასუხისმგებლობა კი უნდა შეესაბამებოდეს იმ ნდობას, ობლების დედა და კანონები რომ აკისრებს მეურვეს. პატიოსან ადამიანს კი შეიძლება სურდეს რაგინდარა, ოღონდ არავითარ შემთხვევაში – წოდება მეურვისა.

9 და 10 ოქტომბერი ამგვარ მოლაპარაკებებში გაილია.

11 ოქტომბერი – მივიღე მთავრის მეუღლის მომართვა (№26):

1. მისი ოჯახის კუთვნილ ადგილ-მამულთა მდგომარეობის გამორკვევისას ჩემ გვერდით იქნება მთავრის სახლთუხუცესი – პრაპორშჩიკი, თავადი დავით ჩიქოანი, რომელსაც თანაშემწეობას გაუწევს თავადი სიკო ჩიქოანი. სამთავრო ოჯახის მხრიდან ისინი წარმოადგენენ აგრეთვე იმ ცნობებსა და აქტებს, რომლებსაც მე ჩავთვლი საჭიროდ. –

2. იმ მამულების აღწერისას, რომელიც მთავრის მეუღლის სამუდამო მფლობელობაშია, ჩემი თანმხლები პირები იქნებიან მისი სახლთუხუცესი – პრაპორშჩიკი, თავადი დათა ჩიქოანი, რომელსაც თანაშემწეობას გაუწევს აზნაური გოგისა ყიფიანი. ისინიც წარმომიდგენენ საჭირო ცნობებსა და აქტებს.

3. ზოგიერთი პირი სარგებლობს დროით გამონვეული სირთულეებით, იტაცებს და აჩანაგებს სამთავრო ტყეებსა და მის მიდამოებს. მთავრის მეუღლე მთხოვს სათანადო განკარგულებას, რათა მეურვეობის დაწესებამდე მისი კუთვნილი ტყეები სათანადოდ იყოს დაცული. –

4. მისი გამგზავრების შემდეგ დარჩენილ შენობა-ნაგებობებსა და მოძრავ ქონებას მიანდობს თავის ერთგულ ხალხს – ზემოთ დასახელებულ თავადებს, რომლებიც თავის დროზე წარმომიდგენენ შესაბამის დავთრებს.

5. ვინაიდან მე საქმეები სვანეთსა და ლეჩხუმშიც მექნება, მიიჩნევს, რომ იქ გამგზავრება გაცილებით მოსახერხებელი იქნება ახლავე, სანამ მოახლოებულ ზამთარს გზები არ ჩაუკეტავს; და

6. გადმომცემს სამეგრელოს მთავრის კუთვნილ სავალო ვალდებულებებთან დაკავშირებულ ქალაქებს და მთხოვს, გადავცე ისინი სამეგრელოს მმართველ საბჭოს დასამონმებლად და მეურვეობისთვის გადასაცემად. პუნქტები 1, 2, 4 და 5 ცნობად მივიღე, მე-2 პუნქტის გათვალისწინებით იმავე **11 რიცხვში** ოფიციალური თხოვნით (№3) მივმართე სამეგრელოს მმართველს, გაეცა განკარგულება, რათა სამეგრელოში აკრძალულიყო ხელის ხლება ყოველგვარი უძრავი თუ მოძრავი ქონებისთვის, რომელიც უკანასკნელი წლების მონაცემებითა და კერძო თუ საუფლისწულო უფლებებით უშუალოდ სამეგრელოს სამთავრო ოჯახის სარგებლობაში შედიოდა. ამასთანავე, გენერალ-მაიორ კოლიუბაკინს შევატყობინე მომართვის მე-4 პუნქტის შინაარსიც – იმ პირებს, რომლებსაც შენობა-ნაგებობებისა და სხვა ქონების დაცვა-შენახვა აქვთ დავალებული, ადგილობრივი ხელისუფლებისგან ჯეროვანი დახმარება უნდა გასწეოდათ. –

მე-6 პუნქტში ნახსენები სავალო ვალდებულების, 70 ათასი მანეთის, მიღება და შენახვა ერთობ მოუხერხებლად მივიჩნიე, რადგან ქვაშიხორში ჩასვლამდე ჯერ სვანეთი და ლეჩხუმი უნდა მომეველო. ვაცნობე ეს ყველაფერი მის უგანათლებულესობას და ვთხოვე, დანიშნულ ადგილას საბჭოს ჩამოსვლამდე თანხა შესანახად სახლთუხუცესებისთვის მიეზარებინა. როგორც მოგვიანებით ვნახავთ, მთავრის მეუღლე ჩემს თხოვნას სრული გაგებით მოეკიდა. –

მთავრის მეუღლის ზემოხსენებული მომართვის შემდეგ, **12 ოქტომბერს**, მისგანვე კიდევ ერთი უწყება მომივიდა (№31): იმდენად, რამდენადაც სახლთუხუცესი, თავადი დავით ჩიქოანი, მთავრის მეუღლის გამგზავრებასთან დაკავშირებუ-

ლი საქმეებით არის დაკავებული, სვანეთსა და ლეჩხუმში ჩემი თანმხლები იქნება პორუჩიკი, თავადი სიკო ჩიქოანი. –

იმავე რიცხვით (№32) მთავრის მეუღლე დადიანმა გამო-
მიგზავნა სახელობითი სია იმ პირებისა, რომლებიც სამთავ-
რო ოჯახს ემსახურებოდნენ და ამის მერეც იმავე სამსახურ-
ში რჩებოდნენ. მთავრის მეუღლე მათ სიცოცხლის ბოლომდე
ფულად გასამრჯელოს უნიშნავდა, მე კი მთხოვდა, თანხა
დროულად გამეცა ხოლმე. – სიაში ჩამოთვლილ შვიდ პირს
დანიშნული ჰქონდა ჯამაგირი 50-დან 200 მანეთამდე, სულ
580 მანეთი წელიწადში.

გადანყვეტილი მქონდა, დედოფლის რჩევისამებრ, სვა-
ნეთში გამგზავრება არ გადამედო, თუმცა ჩემზე მომაგრებუ-
ლი მაიორი, თავადი აბაშიძე არ ჩანდა და ამის თაობაზე გორ-
დიდანვე 10 რიცხვში თავად გაგარინს მივწერე.

13 რიცხვში პასუხი მივიღე. ალექსანდრე ივანეს ძე მწერ-
და, რომ იმავე დღეს, საღამოს, თვითონ იქნებოდა გორდში
და იმ დროისთვის თავადი აბაშიძეც იქ გამოცხადდებოდა.
მართლაც ჩამოვიდნენ, მაგრამ აღმოჩნდა, რომ სამგზავრო
ცხენები არ იყო საკმარისად და მათი დაქირავება ხონში მოგ-
ვინევდა. ამ მიზეზით გორდიდან გასვლას 15 რიცხვამდე ვერ
შევძლებდი.

ამასობაში მთავრის მეუღლესთან ერთ-ერთი საუბრისას
– იგი უკვე სრულიად დამშვიდებული კილოთი ლაპარაკობდა
შვილებსა და იმ ქონებაზე, რომელიც უნდა დაეტოვებინა –
მან მითხრა, რომ მთავრის ოჯახის კუთვნილი ცხენების ჯოგი
და ნახირი მთაში ჰყავდა გაშვებული და დრო იყო მათი ბარში
ჩამორეკვისა. საზამთრო სადგომების მომზადება, აგრეთვე,
გამოსაზამთრებლად საჭირო საკვებით მწყემსებისა და პი-
რუტყვის უზრუნველყოფა ძველთაგანვე დამკვიდრებული
ნესით ბეგრად ჰქონდა დაკისრებული ზუგდიდის ამჟამინდე-
ლი ოლქის რამდენიმე სოფელს: ჭაქვინჯს, ხობულეთს, აბას-

თუმანს, ზუგდიდს, სადარიას და სხვ. ახლანდელ ვითარებაში აღვილი შესაძლებელი იყო, მათ ბეგრისთვის თავი აერიდებინათ და ამიტომ მთავრის მეუღლე მთხოვდა, მისი ოჯახისთვის ამ აგრერიგად მნიშვნელოვანი საქმისთვის სათანადო ყურადღება მიმექცია. –

მე მაშინვე, კერძოდ, **13 რიცხვში (№6)**, ამის თაობაზე გენერალ-მაიორ კოლიუბაკინს ოფიციალური თხოვნით მივმართე.

15 ოქტომბერი – დილით, ზუსტად გორდიდან გასვლის წინ, მომივიდა მთავრის მეუღლის სახელზე 12 რიცხვში გაგზავნილი მიმართვის (№30) პასუხი – ნუსხა სავალო ვალდებულებისა მთავრის მეუღლისა და სახლთუხუცეს დავით ჩიქოანის ხელმოწერით. თანხა შესანახად დავით ჩიქოანს მიუღია.

10 საათზე გორდიდან გავედი. 7 საათის მგზავრობის შემდეგ ოყურეშში ჩავალწიეთ. გზა ცუდია. იგი ცხენისწყლის მარჯვენა ნაპირს მიუყვება, ოყურეშამდე 2 კილომეტრში, ხის ხიდით, რომელსაც ქვის ბურჯები აქვს, მარცხენა სანაპიროზე გადადის. ხის ნაწილი ხიდისა შესაკეთებელია დაუყოვნებლივ.

16 ოქტომბერი – ჩავედი სოფელ მურში, მანძილი – 30 ვერსი. პირველი ნახევარი გზისა იმაზე უარესია, რაც აქამდე გავიარეთ; გზის მეორე ნახევარი ცხენისწყლის ხან მარცხენა ნაპირს მიუყვება, ხანაც – მარჯვენას და გადის მურისა თუ აღვის ულამაზეს ხეობაში, რომელიც სიგრძით 10 ვერსამდეა, სიგანით – 3 ვერსამდე. ლეჩხუმში იგი ერთადერთია, რომელიც მოფენილია გორაკებით, ბექობებით, ფერდობებით, მათაა მწვერვალებით. ყველგან ადამიანის შრომის კვალი ჩანს: მოვლილი და დამუშავებულია სახნავები, ვენახები. – მურის ხეობას გვირგვინად ციხე ადგას. იგი მთაზე, ზედ დადიანთა სასახლის თავზეა ნამომართული და მურისკენ მიმავალ გზებს: პირდაპირ – სამეგრელოს, აღმოსავლეთით – რა-

ჭის, დასავლეთით – ცხენისწყლის, ანუ სვანეთიდან გამოშვალ ხეობებს აკონტროლებს.

17 ოქტომბერი – ჩავედით სადადიანო სვანეთის პირველ სოფელში – ლენტეხში. მანძილი – დაახლოებით 35 ვერსი. გზა ალაგ-ალაგ ძნელად გასავლელია: გადასალახავია ღრანტეები, უფსკრულები, ზემოდან ციცაბო კლდეები დაგცქერით. ზოგან გზა მთიდან ჩამოშლილი ქვა-ლორლითაა ჩახერგილი, ავდრებში მოვარდნილი ღვარცოფისგანაა განადგურებული. ბილიკები ბევრგან ექვსიოდე გოჯის სიგანისა თუ იქნება. მიუხედავად ამისა, ჩვენ ეს გზა ისე გავიარეთ, თითქმის არ ჩამოვქვეითებულვართ. ამ გზის საჭიროების თაობაზე დღეს არსებულზე უფრო მკვეთრი მოთხოვნა რომ არსებობდეს, მისი შეკეთება სულაც არ უნდა იყოს რთული. ცხენისწყლის ერთი ნაპირიდან მეორეზე ორი-სამი ხიდის გადება მდგომარეობას გამოაკეთებს. ამჟამად გზა მურის ხიდიდან ძირითადად მარჯვენა ნაპირს მიუყვება – დროებითი ხიდებით მხოლოდ ორჯერ გადადის მარცხენა ნაპირზე. მურსა და ლენტეხს შორის, თითქმის შუაში, მდინარის მარცხენა ნაპირზე, მდებარეობს ჩოლურის ციხესიმაგრე, რომელიც მოქმედია და აქ ორი კომლი მოჯალაბეა დასახლებული. ჩვენ იქაურობა უნდა დაგვეთვალიერებინა, მაგრამ მდინარეზე გადასვლა შეუძლებელი აღმოჩნდა.

მეორე ციხესიმაგრე ლენტეხშია. იგი როგორც თქმულეებებსა და გადმოცემებში, ისე ცოცხალთა მეხსიერებაშიც შიშის მომგვრელადაა წარმოსახული. ეს ციხესიმაგრე გზების ჩამკეტია სვანეთსა ზოგადად და ლეჩხუმს შორის და ამჟამადც შიშისმომგვრელია სვანებისთვისაც და მეგრელებისთვისაც, რადგანაც დადიანების იმ ქვეშევრდომთა საპყრობილეაა გადაქცეული, დანაშაული რომ აქვთ ჩადენილი. – ეს ციხესიმაგრეც მოქმედია.

სწორედ ლენტეხში უნდა შევუდგე დაკისრებულ საქმეს და ამიტომ აქვე განვმარტავ, თუ რა გზებითა და ხერხებით ვაპირებ მუშაობას:

უნდა შევადგინო როგორც უძრავი, ისე მოძრავი ქონების დანვრილებითი აღწერილობა.

უძრავი ქონების აღწერა უნდა მოხდეს სოფლის თანამდებობრივ პირთა და უხუცესთა მიერ ფიცის ქვეშ მიცემულ ჩვენებებზე დაყრდნობით. ამ გზითვე უნდა აღირიცხოს ადგილ-მამულისგან მიღებული შემოსავლები. –

სოფლის თანამდებობრივ პირთა და უხუცესების მიერ ფიცის დადებას ჩემი თანმხლებნიც უნდა დაესწრონ: სამოქალაქო მრჩეველი ჩილიაევი, მაიორი, თავადი აბაშიძე და პორუჩიკი, თავადი სიკო ჩიქოანი. ეს უკანასკნელი იმ დრომდე, ვიდრე სახლთუხუცესი, პრაპორშჩიკი, თავადი დავით ჩიქოანი არ ჩამოვა.⁸ ამათ გარდა, გადავწყვიტე, ფიცის დამსწრეთა რიცხვში სამეგრელოს საბჭოს წევრი, პრაპორშჩიკი ფარნაოზ გელოვანიც ჩავრთო. იგი გენერალ-მაიორმა კოლიუბაკინმა საკუთარ წარმომადგენლად დანიშნა და სვანეთსა და ლეჩხუმში თან უნდა მახლდეს. მართალია, ამის შესახებ ოფიციალური შეტყობინება ჯერ არ მომსვლია, მაგრამ თავადმა გელოვანმა მისდამი გაგზავნილი მიწერილობა წარმომიდგინა.

ცნობები შემდეგი ძირითადი საკითხების შესახებ უნდა შევკრიბო:

1. რა საზღვრებშია მოქცეული მამული?
2. არის თუ არა საზღვრებთან დაკავშირებული დავები?
3. არის თუ არა მთავრის უფლებების თაობაზე საზღვრებს შიდა ტერიტორიებთან დაკავშირებული დავები?
4. რამდენი სული ცხოვრობს მამულში; რა შენობა-ნაგებობები დგას მამულში და აქედან რომელია საზოგადოებრივი და რომელი – მთავრის საკუთრება; რა ქონებაა ამ შენობა-ნაგებობებში; მინის რა მოცულობა უჭირავს სახნავ-სათესს, ვენახებს, ბაღებს, ტყეებს, სათიბებს, საძოვრებს? და 5. ვის რა ევალება გადასახადების, ბეგრისა თუ სხვა ვალდებულებების სახით? –

საზღვრების თაობაზე თვითონ მოსახლეობისგან მიღებულ ცნობებს, რასაკვირველია, იურიდიული ძალა ვერ ექნე-

ბა. ადგილ-მამულის ადმინისტრირების ამჟამინდელ პირობებში ეს არც არის აუცილებელი. რაც შეეხება მიწასთან დაკავშირებულ სამიჯნე თუ შიდა დავებს, ამას ჩვენ ან ნაფიცი პირებისგან, ან კიდევ ჩემი თანმხლები ადგილობრივი ხელმძღვანელი პირებისა თუ დედოფლის წარმომადგენლებისგან გავიგებთ. ასეთ შემთხვევაში შეძლებისდაგვარად გასაგები გახდება, თუ რა მდგომარეობაშია ამჟამად ხსენებულ დავებთან დაკავშირებული საქმეები – მიმდინარეობს თუ არა მათი წარმოება ან რომელ სტადიაზეა ეს საქმეები შეჩერებული. სადავო მამულებით სარგებლობა, თავისთავად ცხადია, გარძელება ისე, როგორც ეს ჩემამდე იყო.

მოსახლეობის კამერალურ აღწერას მე არ ჩავატარებ. ეს დროსაც ბევრს ნაიღებს და არც დაკისრებული საქმისთვისაა აუცილებელი, თუმცა ცალკე სიებში აღვნიშნავ: კომლთა რაოდენობას, ოჯახის უფროსთა სახელებს, ოჯახის მამაკაც წევრთა რაოდენობასა და ყველა სახის ბეგარას. –

შენობა-ნაგებობებსა და სხვა ქონებას შეძლებისდაგვარად დავათვალიერებ პირადად და შედეგებს სპეციალურ აქტებში ჩავწერ. –

დასასრულ, მიწის ფართობები, რასაკვირველია, განისაზღვრება არა ზუსტად, არამედ – მიახლოებით.

ასე და ამგვარად, თითოეული სოფლის მიხედვით შედეგება:

ა) ფიცის ტექსტი და ნაფიც პირთათვის განკუთვნილი კითხვები;

ბ) ნაფიცი პირებისგან მიღებული ჩვენებები;

გ) აქტები შენობა-ნაგებობებისა და მათი მიკუთვნილობის შესახებ;

დ) აქტები ქონების შესახებ; და

ე) გლეხებისა და მათზე დაკისრებული საბეგრო ვალდებულებების ჩამონათვალი.

ამ მონაცემებზე დაყრდნობით შედეგება სამეგრელოს სამთავრო ოჯახის კუთვნილი ქონების საინვენტარო უწყისი, რომელსაც დაემატება სპეციალური დანართები:

1. ფიცის ფურცლები და ნაფიცი პირებისგან მიღებული ჩვენებები;

2. აქტები არსებული ქონების შესახებ;

3. ახსნა-განმარტებანი სადავო საკითხების შესახებ; და

4. გლეხებისა და მათზე დაკისრებული ბეგრის სია.

ამას გარდა, ყველა ამ მონაცემზე დაყრდნობით შესაძლებელი გახდება სამთავრო ოჯახის შემოსავლის საერთო ტაბელის შედგენა.

რაც შეეხება მოძრავ ქონებას, ვითარება შესაბამის აღწერილობებსა და აქტებში უნდა აისახოს. –

იმისათვის, რომ არ განყდეს აუცილებელი კავშირი წინასწარგანზრახულ სამუშაოებს შორის, აგრეთვე, აღინიშნოს გეგმის შეცვლის ან საქმეთა შენელების გამომწვევი გარემოებები, გადავწყვიტე ამ ჟურნალის შედგენა. იგი უნდა იქცეს პასუხად სამეგრელოში ჩემ მიერ ჩატარებულ სამსახურებრივ საქმეებთან დაკავშირებულ კითხვებზე და, სხვათა შორის, მხარეში შექმნილი ვითარების ზოგიერთ განზოგადებულ შეფასებასაც უნდა შეიცავდეს.

მოვხაზე მუშაობის გეგმა და საქმეს **18 ოქტომბერს** სოფ. ლენტეხში შევუდექი. –

იმავდროულად, მხედველობაში უნდა მიმელო შემდეგი გარემოება:

სამეგრელოს სამთავრო ოჯახი მისდამი დაქვემდებარებულად მიიჩნევს თავისუფალი სვანეთის სამ სოფელს: ლატალს, ლენჯერსა და კალას. ამ სოფლების მცხოვრებლებს კომლზე 2 მისხალი თოფისწამალი აქვთ დაკისრებული. ჩავთვალე, რომ იქ გამგზავრებისა და ჩვენებების ადგილზე მიღების არავითარი აუცილებლობა არ არსებობს. მით უმეტეს, ამ დროს ეს უაღრესად სახიფათოცაა – პირველივე გაავდრება მთელი ზამთრის განმავლობაში მიმოსვლის ყოველგვარ საშუალებას მოსპობს. ამიტომაც მურში ყოფნისას თადარიგი დავიჭირე და იქაურ მამასახლისთა ჩემთან დაბარების განკარგულება

გავეცი: პირველი ორი სოფლიდან – ლენტეხში, ხოლო მესამე სოფლიდან – ლაშხეთში.

ლენტეხში დანყებულნი შრომა თავიდანვე დიდად შემიმსუბუქა, თითქმის გამინახევრა, შემდეგმა გარემოებამ – ჩემდა მოულოდნელად აღმოჩნდა, რომ დადიანთა სამფლობელოში ჯერ კიდევ 1847 წლიდან არსებობს სიები, რომლებშიც თითოეული გლეხის გასწვრივ ყველა საბეგრო ვალდებულება მითითებული. სიის თითო ეგზემპლარი თითქმის ყველა სოფელს აქვს და იგი ხელოსანთან⁹ ან მამასახლისთან ინახება.

ამიტომაც მეტ-ნაკლებად გაძნელებულ საშუალებებზე – სიის მიხედვით გლეხთა გამოძახებასა და რთული თუ მარტივი საბეგრო ვალდებულებების შესახებ მათ დანვრილებით გამოკითხვაზე – უარი ვთქვი და მხოლოდ მარტივი საკითხის გარკვევით შემოვიფარგლე: იგივეა თუ არა ამა თუ იმ სოფლის სიაში აღნიშნული მოსახლეობის რაოდენობა, რამდენით მეტია, რამდენით ნაკლებია და ასრულებენ თუ არა ისინი იმავე საბეგრო ვალდებულებებს, რომლებიც სიაშია მითითებული? – ამის შემდეგ მამასახლისთა მიერ წარმოდგენილ სიაზე დაყრდნობითა და ზემოაღნიშნული გეგმის მიხედვით უნდა შედგეს იგივე სია რუსულ ენაზე. ამავე დროს, არ არის საჭირო დამატებითი შრომა კომლთა რაოდენობაში ცვლილებების შესატანად, რამდენადაც საბეგრო ვალდებულებები არსებითად – მცირეოდენი განსხვავებით – იგივე რჩება, რაც უკვე დადგენილია.

ამ ფორმით თითოეული სოფლის მიხედვით სახელობითი სიისა და საბეგრო ვალდებულებების შედგენა, როგორც განსაკუთრებული მნიშვნელობის გარემოება, ჩემს უახლოეს თანამშრომელს, სამოქალაქო მრჩეველ ჩილიაევსა და მაიორ აბაშიძეს დავაკისრე.

ასე და ამგვარად, **18 ოქტომბრისთვის** უკვე აღებული მაქვს ლენტეხელების ჩვენებები. იქაური ციხეც შემოწმებულია; – ვინაიდან ლატალელები და ლენჯერელები არ ჩამო-

ვიდნენ, გადავწყვიტე, მათ უკან მობრუნებისას შევხვდე, თუ ჩამოვლენ, ცხადია...

ლენტეხი, როგორც ზემოთ ითქვა, სადადიანო სვანეთის პირველი სოფელია. მასშივე შედის 7 ერთმანეთისგან დამოუკიდებელი სოფელი, რომელთაც ერთმანეთისგან მცირემცირე მანძილი აშორებს და უკლებლივ ყველა სამეგრელოს მთავრის საკუთრებას წარმოადგენს. **19 ოქტომბერი** ლენტეხიდან ჩოლურში გადასვლას მოუხდა. დაახლოებით 20 ვერსია. – სოფელ ჩოლურში, თავის მხრივ, რამდენიმე სოფელი შედის და დადიანის ხელქვეით თავადებს, გარდაფხაძეებს, ეკუთვნის. გზა ამ სოფლისკენ ცხენისწყლის მარჯვენა ნაპირს მიუყვება. ეს გზა უკეთესია, ვიდრე – ჩვენ მიერ ადრე გამოვლილი, თუმცა ერთგან ზვავები იცის. საკუთრივ ჩოლური ცხენისწყლის ორივე ნაპირზე მდებარეობს და იქამდე მისაღწევად ადამიანს ფონის გავლა ან ხიდზე გადასვლა უწევს. –

20 ოქტომბერი ჩოლურიდან სოფელ ლაშხეთში გადასვლას დასჭირდა. მანძილი დაახლოებით 15 ვერსია. – საერთოდ გზა ლენტეხიდან ლაშხეთამდე ნაკლებად სახიფათოა, თუმცა ზოგან ბილიკის სიგანე ხრამების თავზე ოთხიოდე გოჯი თუ იქნება.

ლაშხეთის საზღვრებში სამეგრელოს მთავარს ეკუთვნის: ლუჯის ციხე, რომელიც თავისუფალი სვანეთისკენ მიმავალ გზაზე, ხემკურის ხეობაში, მდებარეობს, და სოფელი სასაში. – ლუჯის ნაცვალმა, აზნაურმა კიკოლა ახვლედიანმა, 21 რიცხვში მომახსენა, რომ სულ რაღაც საათ-ნახევრის წინ დაბრუნდა კალადან, სადაც ჩემი სახელით იქაურ მამასახლისებთან იყო გაგზავნილი. მამასახლისებმა მას უთხრეს, რომ თავისუფალმა სვანებმა ქუთაისში კონსტანტინე დადიშელიანის შეპყრობის შემდეგ¹⁰ მის ძმებს, ისლამსა და თენგიზს, ერთსულოვნება შეჰფიცეს და მძევლებიც მისცეს. ამის გამო მათ არც იქიდან წამოსვლა და ჩვენთან შეხვედრა შეუძლიათ

და ვერც რომელიმე რუსს შეუშვებენ თავიანთ ტერიტორიაზე. ახვლედიანის შენიშვნაზე, რომ მე ქართველი და თავისუფალ სვანეთში მცხოვრებ აზნაურ ყიფიანთა მოგვარე ვარ, მათ უპასუხეს – რუსული ხელისუფლების მიერ გამოგზავნილი ქართველი რუსად მიგვაჩნიაო. დარწმუნებული ვარ, სხვა დროს ისინი – ყოველ შემთხვევაში, ყიფიანები მაინც – ჩემთან სიამოვნებით გამოცხადდებოდნენ, მაგრამ მხედველობაში მივიღე სვანეთის საქმეებთან დაკავშირებული დაძაბულობა და თავისუფალ სვანეთში გამგზავრების ცდუნება უკუვაგდე. არადა, ლუჯიდან, რომელიც ხეშკურის ხეობას კეტავს, სწორედ ამ ხეობის გავლით თავისუფალ სვანეთში გადასვლას 3-4 საათი თუ მოუწოდებოდა. ლუჯის ციხე ძველი დროიდანვე დანაშაულის ჩამდენ მეგრელთა სატუსალო იყო. იგი, მსგავსად მურის, ჩოლურისა და ლენტეხის ციხეებისა, მოქმედია; მართალია, თანამედროვეობის კვალობაზე ერთობ ცუდად არის იარაღით აღჭურვილი, მაგრამ სვანეთის პირობებისთვის საკმარისად მტკიცეა.

სოფელ ლაშხეთში რამდენიმე სხვა სოფელიც შედის და ისინი ერთმანეთთან სახნავებითაა გადაბმული. ლაშხეთი სადადიანო – უკეთ რომ ვთქვათ, ცხენისწყლის – სვანეთის უკანასკნელი დასახლებაა. ამის იქით, ცხენისწყლის სათავეებისაკენ, არ არის არავითარი დასახლება. ვიმყოფები თავისუფალი სვანეთის საზღვარზე, რომელსაც სადადიანო სვანეთისგან მაღალი ქედი ყოფს და ალბათ ინტერესმოკლებული არ იქნება, მოვიყვანო ზოგადი ცნობები ამ უკანასკნელის შესახებ:

დასახლებული სოფლების მოსახლეობა, ერთად აღებული, დაახლოებით 500 კომლს შეადგენს. აქედან სამეგრელოს მთავარს ეკუთვნის ლენტეხის ყველა, კერძოდ, 129 კომლი და ლაშხეთის სოფელ სასაშის 27 კომლი. დანარჩენი ეკუთვნით თავად გარდაფხაძეებს, თავად გრიგოლ დადიანს, თავად გელოვანს და იმ მეზობლებს, რომლებიც, თავის მხრივ, დადიანს არიან დაქვემდებარებულნი. მთელი ეს მოსახლეობა

ინოდება სვანებად. გარეგნულად ეს სოფლები, რომლებშიც თითოეული სახლი იმავდროულად ქვის ციხე-კოშკს წარმოადგენს, არაფრით განსხვავდება სადადიშქელიანო და თავისუფალი სვანეთისგან, თუმცა ენა აქაური მოსახლეობისა იგივეა, რაც – ლეჩხუმლებისა. რაც შეეხება ენგურის სვანეთს, იქ, გარდა დადიშქელიანებისა, ეს ენა თითქმის არავინ იცის. აქაურთა რწმენა მართლმადიდებლურია, რელიგიური წეს-ჩვეულებებიც ტიპიკონის მიხედვით სრულდება. ენგურის სვანეთში მართლმადიდებლობის ისტორიული კვალი ძლივსაა ჩანს და პრაქტიკულად იმაში გამოიხატება, რომ პატივს სცემენ ძველ ტაძრებსა და ზოგიერთ ისეთ წესსა თუ ჩვეულებას, რომლებიც ადრინდელ ქრისტიანულ წეს-ჩვეულებებს მოგვაგონებს. –

გეოგრაფიულად ცხენისწყლის, ანუ სადადიანო სვანეთი ორ უზარმაზარ ქედს შორის არის მოქცეული. ჩრდილოეთით ენგურის ხეობაა თავისი მოსახლეობით, სამხრეთით – ლეჩხუმი, თუმცა ენგურის სვანეთიდან წელიწადის უმეტეს დროს თითქმის ყოველგვარი მიმოსვლა ჩაკეტილია, ლეჩხუმის მხრიდან კი მიმოსვლა – ყოველ შემთხვევაში, საქვეითო – შეუწყვეტილად არის შესაძლებელი.

ადგილობრივი სახელწოდება სვანებისა, რომლებიც საკუთარ თავს **შონებს** უწოდებენ, ფრიად საყურადღებოა; ცხენისწყლის სვანებს ეწოდებათ **სადადიანო**, თავისუფალ სვანებს – **სამეფო**, დადიშქელიანებისას – **საბატონო**.

21 ოქტომბერს დავათვალიერეთ ლუჯის ციხე და ფიცის ქვეშ მივიღეთ ცნობები სოფელ სასაშის გლეხობისგან.

22 ოქტომბერი ლაშხეთის ამ სოფლიდან სოფელ სახეოში გადასვლას დასჭირდა.¹¹ მანძილი – არა უმეტეს 5 ვერსისა, თუმცა სწორედ აქედან იწყება ყველაზე გრძელი და მძიმე გზა და ამიტომ ღამის გათევა აქ მოგვიწია. აქვე მივიღე გენერალ-მაიორ კოლიუბაკინის 18 რიცხვით დათარიღებული მო-

მართვა (№ 10) – მაცნობებს, რომ სვანეთსა და ლეჩხუმში ჩემს თანმხლებ პირად სამეგრელოს საბჭოს წევრს, თავად გელოვანს, ამწესებს, სამეგრელოში კი თანმხლებ პირად დაინიშნება საბჭოს სხვა წევრი, თავადი პეტრე დადიანი. ამას გარდა, ჩემთან იქნებიან ოლქების უფროსები, რომლებიც დამეხმარებიან როგორც დაკისრებული მოვალეობის შესრულებაში, ისე მგზავრობასთან დაკავშირებული სირთულეების დაძლევაში.

აქვე მივიღე შეტყობინება ლენტიხიდან, რომ სვანებიდან არავინ ჩამოსულა¹² და, უფრო მეტი, ჩემ მიერ იქ გაგზავნილი პირებიც 22 რიცხვია და ჯერაც არ დაბრუნებულან. ლუჯის ნაცვლისგან მიღებული ცნობების საფუძველზე გადავწყვიტე, რომ არ ღირდა ლენტიხში დაბრუნება და უმჯობესი იქნებოდა, მეორე გზა – ზემოხსენებული ლეხერისა¹³ – მომესინჯა.

23 ოქტომბერი ლაშხეთიდან სოფელ ორბელში გადასვლას დასჭირდა. 11 საათის სავალია, ანუ დაახლოებით 70 ვერსი. გზა ჯერჯერობით საკმაოდ კარგია. მას მივყავართ ლეხერის მწვერვალისკენ, რომელიც აგვისტოს შუა რიცხვებიდან თოვლითაა დაფარული. აღმართი 15 ვერსამდეა. ამას მოსდევს იმავე სიგრძის დაღმართი მწვერვალიდან ლაჯანურის ვიწრობამდე. დაღმართი ციცაბოზე ციცაბოა. თითქმის ვერტიკალურ დაქანებებზე მოკლე-მოკლე ზიგზაგებით უნდა დაეშვა და ამიტომ ეს გზა უკიდურესად დამღლეელია. შემდეგ გზა ლაჯანურის ხეობაში შედის და 40-ჯერ მაინც – თუ უფრო მეტჯერ არა – მდინარის ფონებზე გადასვლა-გადმოსვლა მოგვინია.

24 ოქტომბერს, დილით, ორბელში მომიტანეს ამბავი იმ კატასტროფის შესახებ, რომელიც ქუთაისში მომხდარა. 20 რიცხვში, დილაადრიან, კონსტანტინე დადიშქელიანს სასიკვდილოდ დაუჭრია თავადი გაგარინი და მისსავე სახლში ორი ჩინოვნიკი მოუკლავს¹⁴ – ახლა უკვე იმის შიში მაქვს, ჩემ მიერ ლატალსა და ლენჯერში გაგზავნილებს რამე არ მოუვიდეთ; ტოპოგრაფთა კორპუსის ოფიცერ შაბანოვისა და მისი

თანმხლები პირების ბედიც მალეღვებს. ჯერ კიდევ ქუთაისში მითხრეს, რომ ისინი სვანეთში ადგილმდებარეობის გადასაღებად იყვნენ გაგზავნილნი.

თავად ფარნაოზ გელოვანს და მის სიძეს, თავად ოთარ გარდაფხაძეს, ამბის გაგება და მათი იქიდან გამოხსნა ვთხოვე. ამის სანაცვლოდ ოთარს ჩემი მხრიდან ჯილდოსა და მეფისნაცვლის წინაშე შუამდგომლობასაც დავპირდი. –

ორბელიდან ლაილაშში გადასვლას 1¹/₂ საათი სჭირდება. მანძილი დაახლოებით 8 ვერსია.

25 რიცხვში ჩვენებები ლაილაშის მცხოვრებლებისგან მივიღეთ. ლეჩუმში ეს ერთადერთი სავაჭრო ადგილია. სოფელში სომხები და ებრაელებიც ცხოვრობენ, თუმცა გზების უვარგისობის გამო, საეჭვოა, აქ ვაჭრობის საქმის განვითარება იყოს შესაძლებელი. ნაფიცმა პირებმა სხვათა შორის უჩვენეს:

1. რომ მთავრის ეზოს მოსამრგვალებლად ვაჭარ ჯანუეებს ჩამორთმეული აქვთ ოთხი დღიური მინა, რაც მათ თავიანთ სამეურნეო საქმეებში დაბრკოლებებს უქმნის.

2. რომ მთავრის მოჯალაზე ნანიკა მესხაძეს ებრაელი ვაჭრების ჩასასახლებლად ჩამორთმეული აქვს საეზოვე ფართობი, თუმცა ამის სანაცვლოდ არა აქვს მიცემული სხვა ფართობი.

3. რომ აზნაურებს, ლევან და დათიკელა ასათიანებს, სოფლის მამასახლისების მიერ წითელაურის პირას თვითნებურად აქვთ ჩამორთმეული სამი დღიური მინა; და 4. ლაილაშელი ვაჭრები – სომხები და ებრაელები – უკიდურესად შევიწროებულნი არიან იმიტომ, რომ არ ჰყოფნით საძოვრები საქონლისთვის და ტყე – შეშისთვის. სოფლის მცხოვრებნი კი, რომლებსაც იგივე გასაჭირი ადგათ, მათს წილ საძოვრებსა და ტყეში არ უშვებენ. –

მხედველობაშია მისაღები ისიც, რომ ყველა ამ პირს ბეგარა თანხობრივადაც და ვალდებულებითი თვალსაზრისი-

თაც იგივე აქვს დაკისრებული, რაც მიწის ჩამორთმევამდე მოეთხოვებოდა, ანუ მანამ, სანამ ბოლო დროს საძოვრებსა და ტყესთან დაკავშირებული გასაჭირი დაუდგებოდა. უნდა ითქვას, რომ არც მთავრისთვის წარმოადგენს აუცილებელ საჭიროებას ის მიწა, რომელიც ჯანუეებს აქვთ ჩამორთმეული. მეორე მხრივ, მთავრის საძოვრებზე, ტყესა თუ სახნავ მიწებზე მოიპოვება თავისუფალი ნაკვეთები. 25 ოქტომბრის №9 განკარგულებით ლაილაშის ნაცვალს, აზნაურ ბეჟან ახვლედიანს, დავავალე: დაუბრუნდეთ ჯანუეებსა და ასათიანებს ჩამორთმეული მიწები; მესხაძეს სხვაგან გამოეყოს ჩამორთმეული მიწის ტოლფარდი ნაკვეთი, ხოლო ვაჭრები სოფლის სხვა მცხოვრებთა თანასწორად უზრუნველყოფილ იქნენ ტყითა და საძოვრებით.¹⁵

26 ოქტომბერს სოფელ ქყვიშში გადავედით.¹⁶ დაახლოებით 2 საათის გზაა, ათიოდე ვერსი. იქ გავიგეთ, რომ ქუთაისში 20 რიცხვში მომხდარი ამბავი მართალი ყოფილა. დიდად სამწუხაროა, თუმცა თავად გაგარინზე ამბობენ – შესაძლოა გამომიჯობინდესო. ფიზიკურ სიძნელეებს, რომლებიც ენგურის სვანეთთან კავშირებს ახლავს, ახლა მორალური პრობლემაც დაემატა. კონსტანტინე დადიშქელიანი, რასაკვირველია, სასჯელს სასამართლოს მეშვეობით მიიღებს, მაგრამ ეს ვერ გაზრდის ნდობას ჩვენდამი მისი პარტიისას, რომელიც ამჟამად ერთადერთია ენგურის სვანეთში. –

დადიშქელიანის შესახებ აქვე მოვიყვან იმ ხმებს, რომლებიც ვრცელდება სადადიანო სვანეთში, ანუ იქ, სადაც მის მიმართ, რბილად რომ ვთქვათ, განსაკუთრებული ერთგულებით არ გამოირჩევიან:

1840-იან წლებში თათარხან დადიშქელიანის ოჯახის წევრები თავს დაესხნენ ციოყ დადიშქელიანს, დაუნვეს სახლი, შიგვე გამოუბუგეს ბავშვები, უფროსებიდანაც ზოგიერთი მოკლეს და დაეუფლნენ მის მამულს. –

დაჩაგრულებმა და დამცირებულებმა ჩვენს ხელისუფლებასთან იჩივლეს, მაგრამ სამართალი ვერ იპოვეს. მაშინ მათ ადათით განსაზღვრულ წესს მიმართეს: შეიარაღდნენ, 1850-იან წლებში მოკლეს ჯამსუყი, სვანეთიდან განდევნეს მისი ძმები და მათ მამულს დაეუფლნენ. – ადრინდელმა დამნაშავეებმა, ამჟამად თვითონაც დაჩაგრულებმა და დამცირებულებმა, ხელისუფლებას მიმართეს და ხელისუფლებამაც მათ დახმარების ხელი გაუწოდა.

არ ვიცი, ეს ყველაფერი მართალია თუ არა, მაგრამ აქაურები სწორედ ასე ჰყვებიან და საერთო აზრიც აქ ასეთია. უკანასკნელ მოვლენებზე კი ამგვარი აზრია: კონსტანტინე – ამას ყველა ამბობს – კეთილმორწმუნე ქრისტიანია, კატეგორიული წინააღმდეგია ყოველგვარი სისხლიანი დაპირისპირებისა და, საერთოდ, გულმონყალე ადამიანია; ალექსანდრე რუსეთშია აღზრდილი და მაინცადამაინც ვერც ერკვევა თავისი ძმისა და მის ძალაუფლებასთან დაკავშირებულ საქმეებში; ისლამი მოუსვენარია, შურისმაძიებელი, ძლადობისა და ძარცვა-თარეშისკენ მიდრეკილი; თენგიზი ტანადი, მოხდენილი გარეგნობის ახალგაზრდაა და ისევე, როგორც კონსტანტინე, გულკეთილი ყმანვილია; ციოყი ბავშვია.

კონსტანტინე და ალექსანდრე თბილისში გამოიძახეს. – ერთი ქუთაისში დაბრუნდა, მეორემ რუსეთში თავის სამსახურს მიაშურა.

ქუთაისში ცდილობდნენ კონსტანტინეს დაყოლიებას, დაეთმო თავისი უფლებები და ნებაყოფლობით დაეტოვებინა სვანეთი. საკუთარი ყურით მომისმენია ისეთი ხალხისგან, აქაურ საქმეებში ენერგიულად რომ არიან ჩართულნი – კონსტანტინეს არწმუნებდნენ, რომ იგი არ არის მთავარი, რომ შეცდომაა მისი მოხსენიება „უგანათლებულესობის“ ტიტულით და რომ იგი სინამდვილეში მთავარი კი არა – მცირემნიანი მემამულეა. ამ კეთილი, თუმცა ველური მთის შვილის მოთმინებას ისეთი გამოცდა მოუწყვეს, რომ იგი ჯერ კიდევ სექტემბერში

არ მალავდა და ქუთაისის ხელისუფლებასთან დაახლოებული პირების მეშვეობით იმავე ქუთაისის ხელისუფლებას აგონებდა, რომ შეიძლება ხანჯლისთვის მოეკიდა ხელი. –

ვერაფერს ვიტყვი თავად გაგარინის საქციელსა თუ განზრახულებაზე. მე უფრო მგონია, რომ 22 ოქტომბერს¹⁷ კონსტანტინე დადიშქელიანს რაღაც ისეთი სცენა მოუწყვეს, რამაც იგი ჭკუიდან გადაიყვანა, გონება დაუბინდა და გადაანწყვეტინა, შეურაცხყოფა სისხლით ჩამოერეცხა. ვიცი, რომ პირადად გაგარინის საწინააღმდეგო მას არც არაფერი ჰქონია და არც არაფერი ექნებოდა ჩაფიქრებული.¹⁸

სოფელი ჭყვიში რიონის მარჯვენა სანაპიროზე მდებარეობს, ჩამკეცია რაჭის ხეობისა და გეოგრაფიული მდებარეობით უფრო რაჭას ეკუთვნის, ვიდრე – ლეჩხუმს. იგი ებმის რაჭის სოფლებს და საზღვრებად გასდევს, ერთი მხრივ, რიონი, ხოლო, მეორე მხრივ, რიონის შენაკადი – ასკისწყალი. აქედან გზა ქუთაისისკენ პირდაპირ რიონის ნაპირებს რომ მიჰყვებოდეს, მწარმოებლური შესაძლებლობებით საკმაოდ მდიდარ რაჭასა და ლეჩხუმს პროდუქტის გასაღება ძალზე გაუადვილდებოდა. – ჭყვიშიდან ქუთაისისკენ მიმავალი რთულად დასაძლევია ბილიკების, ციცაბოების, ღრანტეების გადალახვას საკიდრებით 2-3 დღე სჭირდება. გზა რიონს თუ გაჰყვება, მის გავლას ექვსიოდე საათი დასჭირდება. – მითხრეს, რომ ახლახან ჩაატარეს დაზვერვითი სამუშაოები, რათა რუსეთისკენ მიმავალმა გზამ აქ გაიაროს. მართალია, მანძილს ეს მნიშვნელოვნად არ შეამოკლებს, მაგრამ, დარწმუნებული ვარ, გაცილებით უფრო მოსახერხებელი იქნება იმ გზასთან შედარებით, რომელიც ქუთაისიდან რაჭისკენ მამისონის უღელტეხილის გავლით მიდის და შემდეგ არდონის სტანიცას უკავშირდება. ამას გარდა, ეს გზა გაცილებით უფრო დაგვაახლოებს ენგურის სვანეთთან და ზაფხულობით ჭყვიშიდან ენგურის სვანეთში გადასვლას ერთი დღე თუ დასჭირდება. –

დღემდე არავის უარუყვია ის აზრი, რომ საზაფხულოდ ეს გზა რაჭიდან სვანეთისკენ მიმავალ ყველა სხვა მიმართულებაზე უფრო მოსახერხებელია.

27 ოქტომბერი. ეს დღე ქყვიშის მოსახლეობისგან ჩვენებების მიღებას მოუწდა.

28 – დაბრუნება უკან, ლაილაშის გავლით ორბელში.

29 ოქტ. ფიცის ქვეშ ორბელელთა გამოკითხვა. აღმოჩნდა, რომ სამიოდე წლის წინ სოფლის მამასახლისებმა სამთავრო გლეხებს მიწის ნაკვეთები ჩამოართვეს, ბეგარა კი იგივე და იმავე ოდენობისა დაუტოვეს.* სალამოს შემატყობინეს, რომ 20 რიცხვის ქუთაისის მოვლენები თავად გაგარინის სიკვდილით დასრულდა. იგი 27 რიცხვში გარდაცვლილა.

აქვე მაცნობეს, რომ ლატალელები და ლენჯერელები, რომლებმაც დადიშქელიანს ერთგულება შეჰფიცეს, არათუ არ გამოცხადებულან, ჩემგან გაგზავნილი ორი კაციც დაუკავებიათ და მათთვის იარაღიც აუყრიათ. სამი დღის ტყვეობის შემდეგ ისინი ნათესავეებს გამოუხსნიათ და ჩოლურში ჩაუყვანიათ. იქ კი ჯამსულ გარდაფხაძეს მათი თანმხლები ნათესავი დაუჭერია – ფუტკრის გეჯის მოპარვას აბრალებდა.

ცნობები შაბანოვის შესახებ ავის მომასწავებელია, თუმცა – დაუდასტურებელი.

30 ოქტომბერი. გადასვლა მურში. ორბელიდან 2 საათის გზაა. – აქ, მთავრის სასახლეში, თენგიზ დადიშქელიანის ოჯახის ნევრები დამხვდნენ. ისინი 1854 წელს კონსტანტინემ და

* 31 ოქტომბერს დედოფლის მიერ ჩემთან გამომწესებულ სახლ-თუხუცესს, თავად დავით ჩიქოანს, მივწერე (№13), გლეხებს მიწები დაუბრუნოს. ჯერჯერობით ორს დაუბრუნდა. უცვლელია მდგომარეობა მესამისა, რომლისთვისაც, როგორც აღმოჩნდა, მიწა ათ წელიწადზე მეტი ხნის წინ ჩამოურთმევიათ.

მისმა ძმებმა სვანეთიდან გამოაძევეს. ოჯახი მოსამსახურე-ებიანად 80-ზე მეტი სულისგან შედგება. დაახლოებით სამი წელიწადია, აქ ცხოვრობენ. თენგიზის დედა, მეუღლე და ძმა შემხვდნენ თხოვნით, როგორმე ცხოვრების სახსარი აღმოეჩინო. ამბობენ, რომ მოკლებულნი არიან საკვების მოპოვების საშუალებას და მერვე დღეა, შიმშილობენ. – ყველა კერძო თუ ოფიციალურმა პირმა, ვისაც კი ამ თემაზე ველაპარაკე, ერთხმად და უყოყმანოდ დაადასტურა დადიშქელიანების ოჯახის სავალალო მდგომარეობა. არადა, ისინი ჩვენი მფარველობის ქვეშ იმყოფებიან. – აღმოჩნდა, რომ მთელი აქ ყოფნის განმავლობაში დადიშქელიანების თავშესაფარი სწორედ სამეგრელოს მთავრის სასახლე იყო და თავსაც სამთავრო შემოსავლებიდან გამოყოფილი შემწეობით ირჩენდნენ. მხოლოდ ერთი თვე იმყოფებოდნენ ხაზინის კმაყოფაზე. ამჟამად ხაზინიდან არავითარი დახმარება არ ეძლევათ და სამეგრელოს დედოფლის რუსეთში გამგზავრების გამო სამთავრო შემოსავლებიდან შემწეობასაც მოკლებულნი არიან. – თვითონ თავადი თენგიზი, როგორც ჩანს, თავისი ოჯახის ხვედრის გამოსარკვევად და საოჯახო საკითხების მოსაგვარებლად ერთი თვეა, თბილისში იმყოფება. ამასობაში კი უცხოობაში თავშეფარებული ოჯახი განიცდის უკიდურეს გაჭირვებას, მოკლებულია საარსებო საშუალებას და შიმშილობს კიდევაც. –

მიუხედავად იმისა, რომ საკითხი ჩემზე დაკისრებული დავალების ფარგლებს სცილდება, თავი მოვალედ ჩავთვალე, მაინც მივიღო ამ საქმეში მონაწილეობა. ეს მესამე შემთხვევაა, როცა საქმეში ჩასარევად ოფიციალურ თანამდებობრივ მდგომარეობას ვიყენებ.¹⁹ – გადავწყვიტე, მიმემართა სახლ-თუხუცეს ჩიქოანისთვის, რათა მას აღედგინა მთავრის მეუღლის, ეკატერინე ალექსანდრე ას. დადიანის, მიერ დადგენილი წესი და სამეგრელოს სამთავრო ოჯახის შემოსავლებიდან დადიშქელიანის ოჯახს ისევ მისცემოდა შემწეობა, ხოლო ხარჯების დაწვრილებითი ანგარიში თავის დროზე სამეგრელოს სამთავრო ოჯახის სამეურვეო გამგებლობას წარდგე-

ნოდა. – განკარგულების თაობაზე 31 ოქტომბერს (№ 10) ვაც-
ნობე მეფისნაცვალს.²⁰

მურში (ჩხუტელში) დამხვდა აგრეთვე სვანეთის ე. წ. პრის-
ტავი, თავადი ალექსანდრე მიქელაძე, რომელმაც გამომიცხა-
და, რომ სამსახურებრივ საქმეზე იყო ჩამოსული. მე მას ვურჩიე,
არც სადადიშქელიანო და არც თავისუფალ სვანეთს არ გაეკა-
რო-მეთქი, მით უმეტეს, ხმა იყო გავრცელებული, თითქოს კონ-
სტანტინე დადიშქელიანს ეთქვას, რომ მას იმათი დახოცვა კი
არ სურდა, ვინც დახოცა, არამედ სხვებისა და, მათ შორის, მი-
სიც – მიქელაძისა. მიქელაძემ მეორე დღესვე, 31 ოქტომბერს,
დატოვა მური. მანამდე კი საჭიროდ ჩათვალა თავი აერიდებინა
ჩემი შეკითხვისთვის, თუ საით მიემგზავრებოდა. ღმერთი ფა-
რავდეს, თუმცა აქ მისი რეპუტაცია ერთობ შელახულია. –

31 ოქტომბერს მურში კიდევ ორი სოფლის, დეხვირისა და
კლდედაღმართის, მამასახლისები და უხუცესები შეიკრიბნენ.
ავიღეთ მათგან ჩვენებები და დავათვალიერეთ მურის ციხე. –

1 ნოემბერი. ჩამოვედით ლუხვანოში, უფრო ზუსტად, ლუხ-
ვანოში შემავალ ქულბაქში. მანძილი – 17 ვერსი.

ლუხვანოელები წმინდა ქართულით ლაპარაკობენ, არც
იმერული აქცენტი ეტყობათ და არც – რაჭული. ქულბაქი
მიყრუებულში მდებარეობს, თუმცა საკმაოდ ლამაზია და სა-
ზაფხულოდაც ერთობ შესაფერისი ადგილია.

2 ნოემბერს ლუხვანოელებისგან ჩვენებები მივიღეთ. და-
ვათვალიერეთ ბაბუშვერის მომცრო ტბა, რომელიც მდინარე
ჯონოულისგან არის წარმოქმნილი და ასხის მთის ძირას მდე-
ბარეობს.

3 ნოემბერი სოფელ ზუბისა და კურთხის მთის გადალახ-
ვით გორდში გადასვლას დასჭირდა. დაახლოებით 50 ვერ-
სია. ნაცვლად ოყურეშისა, უფრო მოკლე გზით კი წავედით,

მაგრამ ისეთი ციცაბო და ხიფათიანი გზა, როგორც კურთხის აღმართია, სხვაგან არსად შეგვხვებოდა. მანძილი კი მოვიგეთ, მაგრამ არანაკლებ ერთი საათისა ქვებიდან ქვებზე ცოცვა მოგვინია ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით. თანაც ცალი ხელით ცხენს ან ჯორს უნდა მიაწვე, მეორე ხელით ნაბზარებში სვანურად დამზადებული რკინისბუნიკიანი ჯოხი არჭო და თავი შეიმაგრო; წონასწორობის დაკარგვა აქ სიკვდილს ნიშნავს. ბოლოს და ბოლოს, მშვიდობიანად ავალწიეთ და სალამოს უკვე გორდში ვიყავით. აქ რამდენიმე დღით დარჩენა გადავწყვიტე, რათა მოგვეწესრიგებინა ჩანაწერები სვანეთისა და ლეჩხუმის შესახებ.

4-დან 8 ნოემბრამდე შავად ნაწერი რვეულების – განსაკუთრებით, ჩვენ მიერ აღწერილ სოფლებში მცხოვრებ გლეხთა სიების – მოწესრიგებას მოვუწიეთ. გადავხედეთ აგრეთვე მოძრავ ქონებას, რომელიც მთავრის მეუღლეს, ეკატერინე ალექსანდრეს ასულს, მის მიერვე დადგენილი ფასებით გასაყიდად სახლთუხუცეს დავით ჩიქოანისთვის ჰქონდა დატოვებული. აღმოჩნდა, რომ წარმოდგენილი იყო მთავრის მეუღლის მიერ დამტკიცებული და მისივე ხელმოწერით დადასტურებული სია ამ ქონებისა. – გადავიღეთ სიის ასლები, რათა ისინი დოკუმენტებისთვის დაგვერთო. – უტყუარი ცნობები ქუთაისიდან: შაბანოვი სვანეთიდან ნებელდის გავლით მშვიდობიანად დაბრუნდა.

სისხლის სამართლის სამხედრო-საველე სასამართლოს გადაწყვეტილებით, რომელიც მთავარსარდლის მიერ იქნა დამტკიცებული, კონსტანტინე დადიშქელიანი 7 რიცხვში დახვრიტეს.²¹

9 ნოემბერს ფიცის ქვეშ ჩვენებები მივიღეთ სოფლების – გორდის, კინჩხის, ლვედისა და დუბგვაბუნის – მცხოვრებლებისაგან.

10 ნოემბერს ჩემთან გამოცხადდა თავადი პეტრე დადიანი და გორდიდან სოფელ ხუნწში ჩავედით. 20-ოდე ვერსია.

11 ნოემბერს ფიცის ქვეშ ჩვენებები მივიღეთ სოფელ ხუნწის მცხოვრებლებისაგან.

12 ნოემბერს სამეგრელოს მმართველთან შესახვედრად სოფელ ბანძაში გავემგზავრე. – 25 ვერსი.

13 რიცხვში მასთან ერთად სალხინოში გავემგზავრე. 5 საათის გზაა.

14 და 15 ნოემბერი ქალაქების გადაწერას მოუწდა.

16 რიცხვში – ჩვენებები სალხინოს მცხოვრებლებისაგან.

17 ნოემბერი სალხინოს ქონების მოხილვასა და აღწერას – განსაკუთრებით, ოჯალეშის ზვრების აღწერას – მოუწდა.

ზოგადად სალხინოს მოსახლეობა სახნავი მიწის დიდ ნაკლებობას განიცდის. ვითარება განსაკუთრებით ყურძნის ოთხნლიანი მოუსავლიანობითაა დამძიმებული. – როცა გამოვუცხადე, ყველა სახის ბეგარაც ძველებურად უნდა იხადოთ და არც ჩვეულებით დაწესებულ სამუშაოებს უნდა აარიდოთ თავი-მეთქი, მათ მხოლოდ ხანგრძლივ სამუშაოებზე საკვებით უზრუნველყოფა ითხოვეს. მუშაობის პირველ სამ დღეს ისინი თავს თვითონვე შეინახავენ. ჩავთვალე, რომ მათი თხოვნის შეუსმენლობა უსამართლობა იქნებოდა და მათივე თანდასწრებით სახლთუხუცესს გამოვუცხადე – სამი დღის მუშაობის შემდეგ სამუშაოებზე მყოფნი სამთავრო მეურნეობის ხარჯზე უნდა გამოკვებოთ-მეთქი. ამას გარდა, გლეხები იმითაც დავამშვიდე, რომ დავპირდი – შუამდგომლობას გავუწედი, რათა მათთვის თავისუფალი სამთავრო

მინებიც დაერიგებინათ და სურვილის შემთხვევაში სხვა თავისუფალ მინებზე გადასახლების უფლებაც მიეცათ.

18 ნოემბერს სოფელ ოჩხომურში გავემგზავრე. 5^{1/2} საათის სავალია.

19 ნოემბერს ჩვენებები ლესიჭინელებისაგან მივიღეთ. აღსანიშნავია, რომ ამ სოფელში მხოლოდ ერთი გვარი – სიჭინავა – ცხოვრობს. კაცია დადიანის დროს, ანუ დაახლოებით 60 წლის წინ, ისინი სულ 12 კომლს შეადგენდნენ, ამჟამად კი სოფელ ლესიჭინეში 160 კომლი ცხოვრობს. თუ გავითვალისწინებთ ზნეობრივი დაქვეითების ზოგად ფონს, მეტად გავრცელებულ ქურდობასა და ნათესაური კავშირებისადმი არასაკმარის პატივისცემას, ლესიჭინელთა შესახებ აქაურებში საყოველთაოდ გავრცელებული აზრია: ქურდობა მათ შორის გაუგონარი რამაა და იმ შემთხვევაშიც კი, როცა ნათესაობის მხრივ უკვე ღვიძლი კავშირები აღარაა, არ ყოფილა შემთხვევა, რომელიმე სიჭინავას ცოლად სიჭინავას ქალიშვილი ან ქვრივი შეერთოს. ლესიჭინელებს ყველა აქებს მათი ზნეობრივი სინმინდისა და სიკეთით აღვსილი ქრისტიანობის გამო.

20 ნოემბერს ჩვენებები სოფელ კირცხის მცხოვრებლებისგან მივიღეთ.

21 ნოემბერი – ჭაქვინჯის, ანუ ჭანქვიჯის, ლაზების ციხესიმაგრის, მცხოვრებლებისაგან. ლაზები ქართველთა შორის ჭანების სახელით არიან ცნობილნი. აქ მოედინება მდინარე, რომლის ნაპირებზეც სოფელი ჭანქვიჯია გაშენებული. ეს მდინარეა ჭანისწყალი – მდინარე ლაზებისა.

იმავე დღეს მივიღეთ ჩვენებები უფალის-კარის, ანუ უშაფათის, მცხოვრებლებისაგან.

22 ნოემბერი – ქალაქების გადანერა.

23. გადასვლა ზუგდიდში. 5 საათის სავალია. გზად, ჭანისწყლის ნაპირებზე, რქოსან პირუტყვსაც დავხედეთ.

24 რიცხვში ჩვენები მივიღეთ ზუგდიდისა და ლედგე-ბიეს მცხოვრებლებისაგან. დავათვალიერეთ გრაფ როზმორდუკისა და K^o-ის აბრეშუმის ძაფსახვევი ქარხანა.²² – ეს ქარხანა საგანგებო ყურადღების ღირსია. მოსახლეობისგან ყიდულობენ აბრეშუმის პარკს, ამუშავებენ და ამით ხელს უწყობენ მხარეში მებარეშუმეობის განვითარებას. ქარხანაში მეგრელი ქალები მუშაობენ – წელიწადში დაახლოებით 30-დან 40-მდე. ისინი შინ პატიოსნად გამომუშავებული ფულითა და აბრეშუმის ამოხვევის ცოდნით ბრუნდებიან; გასამრჯელო თითოეულზე 60 მანეთამდეა წელიწადში და ამით შრომისკენ მათი ნახალისებაც ხდება. ქარხნის წარმატებებს ჯერ-ჯერობით ბრწყინვალე არ ეთქმის, მაგრამ სასარგებლო და თვალსაჩინო კი არის და მკაფიოდ მეტყველებს რაციონალური შრომის სარგებლიანობაზე. – დასასრულ, აქ არის მთელს მხარეში ერთადერთი ორთქლის მანქანა. ქარხანაში დამზადებული ნაწარმი იყიდება კონსტანტინოპოლსა და ლიონში და 25-30%-ით ალემატება ამ მხარიდან გატანილი აბრეშუმის ოდენობას, ერთად ალებულს. ჯერჯერობით როზმორდუკის კომპანია წელიწადში 40 ფუთამდე აბრეშუმს აწარმოებს.

კომპანია 1850 წლის 11 ივნისს დაარსდა 10 წლით, გრაფ როზმორდუკისა და თავად კონსტანტინე დადიანის მიერ. 1854, 1855 და 1856 წლებში ომის გამო წარმოება გაჩერებული იყო. ვინაიდან ომი 1853 წელს დაიწყო, გრაფმა როზმორდუკმა ვადის ოთხი წლით გაგრძელება ითხოვა. –

ამ თემაზე ჯერ კიდევ 10-14 ოქტომბერს გორდში პირადად მესაუბრებოდა სამეგრელოს დედოფალი. იგი, თავის მხრივ, სამართლიანად მიიჩნევდა, რომ როზმორდუკს კონტრაქტი

გაგრძელებოდა სამი წლით და გამოთქვამდა სურვილს, მისი გამგზავრების შემდეგ ეს საქმე მეურვეებს მოეგვარებინათ.

25 ნოემბერს მივიღეთ ჩვენებები სოფლების, ჯვარისა და კოკის, მცხოვრებლებისაგან.

26 ნოემბერს ზუგდიდში თურქების მიერ გაჩანაგებული შენობა-ნაგებობები და საწარმოები დავათვალიერეთ, აგრეთვე, დავხედეთ ცხვრის ფარებს. სახლთუხუცესს შევთავაზებ, დაზარალებულებს სამეურნეო საშუალებებით დახმარებოდა, განსაკუთრებული ყურადღება კი მიექცია ბალისთვის, რომელიც იშვიათი და ეგზოტიკური მცენარეების შესანიშნავ ნაზავს წარმოადგენს და საგანგებო ზრუნვას საჭიროებს.

შედგა მთელი ამ ქონების ნუსხა.

აქვე მივიღე გენერალ-მაიორ კარლგოფის 16 რიცხვის (№2213) მონერილობა. იგი მატყობინებს, რომ მთავარსარდალმა²³ ჩემ მიერ მურიდან 31 ოქტომბერს გაგზავნილი პატაკის საფუძველზე თენგიზ დადიშქელიანის ოჯახს დაუნიშნა 250 მან. თვეში და ისიც ინება, სამეგრელოს სამთავრო ოჯახისთვის დადიშქელიანების შენახვაზე განეული ხარჯიც ანაზღაურდეს. –

27 ნოემბერი აბასთუმანში გადასვლას მოუნდა. – 3 საათი დაგვჭირდა. –

28 რიცხვში უამინდობის გამო ხალხის შეკრება და ჩვენებების მიღება ვერ შევძელით.

29 რიცხვში აბასთუმნის მცხოვრებლებისაგან ჩვენებები მივიღეთ.

30-ში – სოფლების, ხეთისა და საცაიშლო-ხეთის, მცხოვრებლებისაგან.

1 დეკემბერი მთავრის აბასთუმნის მეურნეობის: შენობა-ნაგებობების, ბალისა და მოძრავი ქონების დათვალიერებას მოუხდა. – შედგა აღწერილობა.

2 დეკემბერი სოფელ ხორგაში გადასვლას მოუხდა. – 4¹/₂ საათი.

3 დეკემბერს ჩვენები მივიღეთ სოფელ ხორგის მცხოვრებლებისაგან. აქ ორი თავადი გამომეცხადა – ჯაიანები. 1856 წლის პარიზის ტრაქტატი²⁴ ღალატს მიუტევენ, მაგრამ არავის ავალდებულებს, მოღალატეებს აღერსიანად მოექცეს. ამ თავადებიდან ერთ-ერთი, გიორგი, აქ თურქეთის ჯარში იყო შესული. ასევე მოიქცა, სხვათა შორის, კიდევ ერთი მეგრელი თავადი – გიორგი ჩიჩუა, რომელმაც ქურდული ცხოვრება თბილისის ციხეში დაასრულა. ამათ სინდისს როგორც ჩვენი ჯარების, ისე საკუთრივ მეგრელების წინაშე არაერთი ცოდვა აწევს.²⁵

მე არ ვიცოდი, ამ ორი ჯაიანიდან რომელმა მიიღო ჩვენსავე მიწაზე თურქების ხელიდან ჩინი და ორდენი. ამიტომაც განსაკუთრებული ხალისით, ცხადია, ვერც ერთს ვერ შევხვდებოდი. იდგნენ ცოტა ხანს და გავიდნენ. – ერთ-ერთი მალევე შემობრუნდა და თავი ლევან ჯაიანად, ჩვენი მილიციის პრაპორშჩიკად, გამაცნო.²⁶ თხოვნა ჰქონდა. მის შესახებ გაგონილი ცნობები ამ პირის სასარგებლოდ მეტყველებდა, თუმცა თვითონ თხოვნა აღმოჩნდა ყოველგვარ ღირსებას მოკლებული. აი, ეს თხოვნაც: 1854 წელს გარდაცვალა ძმა – ნიკოლოზი, რომელსაც შვილები არ დარჩენია. დამსახურებისა და გარკვეული შესაწევრის გათვალისწინებით გარდაცვლილი ძმის მამული მას, ლევანს, გადაეცა. ახლა კი გაეგო, რომ მისდამი მტრულად განწყობილ სახლთუხუცესს ამ საგვარეულო საკუთრების ჩამორთმევა ჰქონდა განზრახული. ამიტომაც ლევან ჯაიანი ითხოვდა, ეს მამული სამთავრო ქონების ნუსხაში არ შემეტანა.

მართალია, მეგრელი თავადაზნაურობის უმეტესობის რეპუტაცია ამჟამად მაინცადამაინც სახარბიელო არ არის, მაგრამ სამეგრელოს ერთ-ერთი უძველესი თავადური გვარეულობის წარმომადგენლისაგან ასეთ აშკარა და დაუფარავ სიცრუეს მაინც არ ველოდი. –

საქმე ის არის, რომ ძმებისაგან გამოყოფილი და უშვილ-ძიროდ გადაგებული თავადის, ნიკოლოზ ჯაიანის, მამული უმემკვიდრო ქონებად იქცა. ამიტომაც 1854 წელს ეს მამული, თანახმად ადგილობრივი ადათ-წესებისა, მთავრის საკუთრებაში გადაირიცხა, თუმცა სამეგრელოს ყოფილი მმართველი დედოფლის განკარგულებით, იგი გარდაცვლილის დედას სიცოცხლის ბოლომდე სარგებლობის უფლებით შეუნარჩუნდა. მეურვედ დაინიშნა აზნაური იაკობ ნოდია, რომელსაც მამული სათანადო აღწერილობითურთ სამეურვეოდ ჩაჰბარდა. – დედა 1855 წელს გარდაიცვალა, მაშინ, როცა ხორგაში ჯერ კიდევ თურქეთის ჯარი იდგა. 1856 წლის მაისში, მას შემდეგ, რაც მშვიდობა ჩამოვარდა, აზნაური ნოდია ლევან ჯაიანმა შეცვალა – ბეჯითი სამსახურისა და ხელმოკლეობის გამო მეურვედ ეს უკანასკნელი დაინიშნა. ჩემს ხელთ არსებული ქალაქები გამორიცხავდა ყოველგვარ ეჭვებსა და გაუგებრობებს იმ ფაქტებთან დაკავშირებით, რომლებსაც ლევან ჯაიანი ამახინჯებდა. – ამიტომ ვცდილობდი, მისთვის ამეხსნა: თავისი უფლებების თაობაზე იგი შეცდომაშია ჩათრეული, იგი მხოლოდ და მხოლოდ მეურვეა, მამულთან დაკავშირებული საქმეების მმართველია და შემოსავლებთან დაკავშირებული ანგარიშის წარდგენა მცირეწლოვანი მთავრის სამეურვეო გამგებლობასთან მოუწევს. მან კი მიპასუხა – სახლთუხუცესის თვითნებური ქცევა დღესაც ცხადი და ნათელიაო.

– და თუ სახლთუხუცესს ამის თაობაზე მთავრის პირდაპირი მითითება აქვს მიღებული, მაშინ რაღას იტყვით, თავადო?

– ასეთი მითითება სახლთუხუცესს ვერ ექნება, რადგან მამულს მე შემპირდნენ.

– არათუ მითითება იყო მამულის უმემკვიდროდ გამოცხადებისა და მთავრის საკუთრებაში გადარიცხვის შესახებ, არამედ – და ეს თქვენც მშვენივრად იცით – სათანადო განკარგულების საფუძველზე ჯერ კიდევ 1854 წელს მამული აღინერა, მთავრის სასარგებლოდ დაიბეგრა და ამის შემდეგ მეურვეობის დანესებითა და სიცოცხლის ბოლომდე სარგებლობის უფლებით გადაეცა თქვენს დედინაცვალს, განსვენებული ნიკოლოზის დედას. ისიც მოგეხსენებათ, რომ სხვა მითითების საფუძველზე თქვენსავე ძმას, გიორგის, ჩამორთმეული აქვს 5 კომლი გლეხი და ამ გლეხებს არ დაუბრუნებენ მანამ, სანამ თვითონ გიორგი არ დააბრუნებს თურქებთან ომის დროს იმავე მამულიდან მითვისებულ შემოსავალს და, დასასრულ: 1856 წელს სამეგრელოს მაშინდელი გამგებლების, გრიგოლ და კონსტანტინე დადიანების, მიერ სახლთუხუცესის სახელზე გაცემული განკარგულებისა და დედოფლის ნების საფუძველზე ნოდიას ადგილზე იმავე მამულის მეურვედ, ნაცვალად დაინიშნეთ. ამით თქვენ თქვენივე დამსახურებისა და ხელმოკლეობის გამო საარსებო სარჩო გაგიჩინეს. ყოველივე ამის დამადასტურებელი საბუთები ხელთა მაქვს.

– და რა იქნება ამის მერე?.. თუკი ჩემს დამსახურებებს უსამართლობით უპასუხებენ და საგვარეულო მამულს წამართმევენ, სხვა გზა არც დამრჩება: თავს გადავდე და...

– დაასრულეთ, დაასრულეთ... და ბრძოლას გამოაცხადებთ, არა?

ამის შემდეგ ზუგდიდის საოლქო მმართველის თანაშემწეს, ბ-ნ მიქაბერიძეს, რომელიც თან მახლდა, ვთხოვე აეხსნა თავად ჯაიანისთვის, თუ რამდენად კადნიერი იყო მის მიერ ფარული ფორმით წარმოთქმული მუქარა. –

მიქაბერიძემ ზედმინევით შეასრულა თავისი მოვალეობა და, როგორც შევნიშნე, ჯაიანი დაარწმუნა მისი ფარული მუქარის შეუფერებლობაში. მერე მეც ავუხსენი, რომ არ უნდა მისცეს თავს უფლება, ჩემი წოდების ადამიანს ასე ელა-

პარაკოს და დავსძინე, რომ შევუნდობდი ორი მიზეზის გამო: **პირველი** – ის კარგად იქცეოდა უკანასკნელი ომის დროს, და **მეორე** – მხოლოდ იმეორებდა სიტყვებს იმ ადამიანისა, რომელზედაც იმავეს ვერ ვიტყვოდი. თანაც კიდევ ერთხელ გავაფრთხილე, რომ სამეურვეო გამგებლობა აუცილებლად მოსთხოვდა ანგარიშს და ამის მერე დავითხოვე. –

კარში გასვლისას მიქაბერიძემ უთხრა, რომ აქ მომხდარს გენერალ კოლიუბაკინს მოახსენებდა. მე ჩემდათავად მიქაბერიძეს ვთხოვე, რომ ამ საქმისთვის შემდგომი მსვლელობა არ მიეცა. ამის პასუხად ჯაიანმა თავი მდაბლად დამიკრა და გავიდა. –

ყოველივე ამას, აი, რა მოჰყვა – ხსენებული მამულიდან 19-მა აზნაურმა და გლეხმა ჩემთან სიტყვიერად იჩივლა, რომ ჯაიანი მათ დაწესებულზე მეტი გადასახადის გადახდასა და მუშაობას აიძულებდა და მთხოვეს დამეხსნა ისინი ჯაიანის უფროსობისაგან (მეორე დღეს მათ უკვე წერილობით მომიტანეს თავიანთი საჩივარი, რომელსაც შესაბამის ხელმძღვანელობას გადავცემ).²⁷

ხორგაში ნამდვილ ზამთარს შევესწარი – მესამე დღეა, გადაუღებლად თოვს. ამბობენ, რომ 15 წელიწადია, აქ ასეთი ზამთარი არ უნახავთ. აქედან ჭალადიდში გადასვლას ვაპირებდი, მაგრამ მომდის ცნობები, რომ მდინარეების, ხოპისა²⁸ და შემდეგ ცივის, გადალახვა უკიდურესად გაძნელებულია და მოკლე ხანში მიმოსვლის სრულად შეწყვეტასაც კი ელოდებიან. ასეთ დროს სადღაც ხოპსა და ცივს შორის გაურკვეველი დროით თავშესაფრის გარეშე რომ არ დავრჩენილიყავი, გადავდე გამგზავრება: ჭალადიდში, რედუტ-კალეში, პალიასტომის ტბაზე. გადავწყვიტე, გეზი პირდაპირ ქვაში-ხორისკენ ავიღო, გზად სოფელ თეკლათში შევჩერდე, ომის დროს საძრახი მოქმედებების გამო დედოფლის მიერ თავად

ანჩაბაძეებისათვის ჩამორთმეული სოფლების, ქალაქისა და დარჩენის,²⁹ მამასახლისები და უხუცესები გამოვიძახო და მათგან ჩვენებები მივიღო. –

ამასობაში სახლთუხუცეს დავით ჩიქოანს სიტყვიერად ნება დავრთე, ისარგებლოს ხორგაში ყოფნით და დამდეგი 1 იანვრიდან გადახედოს ღალის პირობებს, კერძოდ, დააზუსტოს სამთავრო ტყეებიდან გასატანად განკუთვნილი დაფნის ფოთლისა და თესლის იჯარა-შესყიდვასთან დაკავშირებული საკითხები. ახლანდელ მოიჯარე-შემსყიდველებს ეს საქმე სამწლიანი ვადით აქვთ აღებული და იხდიან 500 მანეთს მთელი ვადის განმავლობაში. გამოჩნდნენ მსურველები, რომლებიც მზად არიან, აიღონ ეს საქმე იმავე ვადით და 900 მანეთი გადაიხადონ.

4 დეკემბერი თეკლათში გადასვლას მოუხდა. მანძილი – 28 ვერსი. ტალახი – ენით აუნერელი. სველი თოვლი და წვიმა – გადაუღებლად.

5 რიცხვში უკიდურესად გაძნელებული მიმოსვლის გამო გამოძახებულებიდან არავინ არ გამოცხადდა.

მიქაბერიძემ გადმომცა პრაპორშჩიკის, თავად ლევან ჯაიანის, მიერ გამოგზავნილი ფორმალური განცხადება. შეუტყვიან, რომ მამული, რომელიც გარდაცვლილი ღვიძლი ძმისგან, ნიკოლოზისგან, დარჩა, მთავრის საკუთრებაში გადაურიცხავთ და ახლა ჩაგვრა-შევიწროებისგან დაცვას ითხოვს. – ამის საპასუხოდ ბ-ნ მიქაბერიძეს ნება დავრთე, გენერალ-მაიორ კოლიუბაკინს მოახსენოს ყოველივე, რაც 3 დეკემბერს ხორგაში მოხდა. ამ უკანასკნელი განცხადებით ლევან ჯაიანმა დაკარგა ყოველგვარი საფუძველი, ვინმემ მის სიცრუესა და უტიფრობას ხელი დააფაროს. –

6 დეკემბერს ჩვენებები მივიღეთ სოფელ თეკლათის მცხოვრებლებისაგან.

7 რიცხვში – ჭალადიდიდან ჩამოსულებისაგან.

ჭალადიდიშივე, როცა ნაფიც პირებთან მათ მიერვე მიცემულ ჩვენებებს ვკითხულობდი, ოთახში ორი თავადი შემოვიდა – ქოჩაქიძეები. ამათგან ერთ-ერთმა, პოდპორუჩიკმა მანუჩარმა, ხმამაღლა დაიწყო ლაპარაკი ჭალადიდის საზღვრების შესახებ. იგი ამტკიცებდა, რომ მიჯნები არასწორად იყო დადებული³⁰ და ამის გამო საგვარეულო მამულის ნახევარს კარგავდა. – მე ვუხსნიდი, რომ მიჯნების სახელდებათა გამო ვერავინ ვერავის ვერასდროს მიწას ვერ წაართმევს და ეს იმიტომ, რომ არსებული წესით უძრავ ქონებაზე საკუთრების უფლება შესაბამისი აქტებითა და საკითხის შესწავლით დასტურდებამეთქი. საკუთარი უფლების ხელშეუხებლობაში კიდევ უფრო რომ დარწმუნებულიყო, ვთავაზობდი არჩევანს: ან დაენერა და წარმოედგინა ცალკე განცხადება ნაფიც პირთა ჩვენებების საწინააღმდეგოდ, ან კიდევ, თუ ასეთი სურვილი გაუჩნდებოდა, თავისი პროტესტი ამ ჩვენებებისთვის ზედვე დაერთო. –

– რატომ უნდა წარმოვადგინო რალაც ქალაქლები ან საერთოდ რატომ უნდა დავწერო რამე?! თქვენ მარტო ჭალადიდელები კი არა, მომიჯნავე მამულების მფლობელებიც უნდა დაგებარებინათ!

– აი, რას გირჩევდით, ბ-ნო ქოჩაქიძე: კარგი კი იქნებოდა, მე რომ აქ მიწების გამიჯვნას ვენეოდე, მაგრამ...

– როგორ გეკადრებათ?! ასე თქვენ აქ ყველა საზღვარს მოშლით.

ხმის სიმაღლის მიხედვით თუ ვიმსჯელებდით, ეს ქოჩაქიძე ვერ უნდა ყოფილიყო ნორმალურ მდგომარეობაში, ამიტომ სენაკის ოლქის უფროსმა, ჩემმა თანმხლებმა, იგი ოთახიდან გაიყვანა, მკაცრი საყვედურის კილოთი აუხსნა, რომ აქ კი არ უნდა აეტეხა უადგილო ალიაქოთი, არამედ მისთვის, როგორც აქაურობის მმართველისთვის, თუ საამისო საფუძველი ჰქონდა, მიემართა საჩივრით, ის კი, თავის მხრივ, ან დააკმაყოფილებდა ამ საჩივარს, ან ასწავლიდა, შემდგომ რო-

გორ ემოქმედა; ისიც აუხსნა, თუ რაში გამოიხატებოდა მისი კადნიერება ჩემ მიმართ, მით უფრო, სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს და ამის შემდეგ ქოჩაქიძე დააპატიმრა. ეს ამბავი ორიოდ საათის შემდეგ გავიგე და ვთხოვე, გაეთავისუფლებინა დაპატიმრებული.

8 დეკემბერი – გადასვლა სენაკში. 6 ვერსია.

9 დეკემბერს ჩვენები მივიღეთ სენაკის მცხოვრებლები-საგან.

10 რიცხვში იქვე დავრჩით, რადგან ტეხურზე გადასვლა შეუძლებელი გამხდარა.

აქვე გამოცხადდნენ ჩვენებისთვის დაბარებულნი ანჩაბაძეების სოფელ დარჩენიდან, თუმცა, მიზეზთა გამო, მათგან ჩვენების მიღება გადავიფიქრე: ჯერ ერთი, მთავრის მფლობელობაში მათი გადარიცხვის საქმე ჯერ დასრულებული არ არის³¹ და, გარდა ამისა, გენერალმა კოლიუბაკინმა პირადად შემატყობინა – განზრახული ჰქონდა, საკითხისთვის ჯერ ხელი არ ეხლო და, ამასობაში, ანჩაბაძეების საქმე გადასაწყვეტად მეფისნაცვლისთვის წარედგინა.

11 რიცხვში – გადასვლა საჭილაოში, კერძოდ – ცხენისწყლისპირში.³² 26 ვერსი.

12 რიცხვში ვიმუშავეთ სამეგრელოში ბეგრის სახეების განსაზღვრაზე, გადახდის საშუალებებზე, ღირებულებაზე.

13 დეკემბერს ჩვენები მივიღეთ საჭილაოს მცხოვრებლებისაგან.³³ შედგა აქტი მთავრის კუთვნილი ცხენების ჯოგისა და ნახირის შესახებ. დავათვალიერეთ ცხენისწყლისპირის შენობა-ნაგებობები და მეურნეობა.

აქ სახლთუხუცესმა პირადად მომმართა, თუ როგორ უნდა მოქცეულიყო სავალო ვალდებულებებთან დაკავშირებით – წინასწარი განზრახვლებით ეს ყველაფერი ჩემთვის უნდა გადმოეცა სამეგრელოს საბჭოსთვის წარსადგენად.

რამდენადაც მე აქ მხოლოდ მაშუამავლებელი რგოლის ფუნქცია მაქვს დაკისრებული, სახლთუხუცესს გამოვუცხადე, რომ მან საკითხის შესახებ ან თვითონ მიმართოს თხოვნით საბჭოს, ან ეს სავალო ვალდებულებები წარუდგინოს სამთავრო ოჯახის ადგილ-მამულის მმართველს, ან კიდევ – მეურვეებს.

14 რიცხვში – გადასვლა საჭილაოდან გუბისწყლის სადგურზე. რამდენიმე დღეა, გადაუღებლად თოვს. ამის გამო მოსვლა უკიდურესად გაძნელებულია.

15 – გადასვლა გუბისწყლიდან ქუთაისში.

1857 წ. 16 დეკემბრიდან 1858 წ. 20 თებერვლამდე.

დეკემბრის დარჩენილი ნახევარი, 1858 წლის იანვარი და თებერვლის პირველი ნახევარი ქუთაისში დავყავი. საშინელმა რევმატიზმმა, ჯერ კიდევ ზუგდიდში „ნაშოვნმა“, შრომის უნარი წამართვა, თუმცა ხანგრძლივ და უმწვავეს ტკივილებს შორის, დროის მოკლე-მოკლე მონაკვეთებში, მოვასწარი: ამომენერა ამონარიდები სადავო საკითხების შესახებ; გადამეთვალყურებინა და გადამემონებინა გლეხთა სიები, შედგენილი სამოქალაქო მრჩეველ ჩილიაევისა და მაიორ აბაშიძის მიერ; შემედგინა სამეგრელოს სამთავრო ოჯახის შემოსავლების საერთო ტაბელი და საინვენტარო უწყისი; მომენესრიგებინა უწყისის ყველა დანართი; დასასრულ, მეფისნაცვლის მითითების შესაბამისად შემეთანხმებინა ეს ყველაფერი როგორც სამეგრელოს მმართველთან, გენერალ-მაიორ

კოლიუბაკინთან, ისე ქუთაისის გენერალ-გუბერნატორთან, გენერალ-ლეიტენანტ ერისთავთან.

გარდა ამ სამუშაოებისა, რომლებსაც **14 თებერვალს** მოვრჩი, კანცელარიის დირექტორის მეშვეობით ქუთაისიდანვე კავკასიის მეფისნაცვალს შემდეგი საქმეები წარვუდგინე:

ა) კნენინა ლისა აბაშიძის გაჭირვებული მდგომარეობა.³⁴

ბ) თავად ალექსი დგებუაძის მიერ ელისაბედ ელიავას მოტაცების გამო სისხლის სამართლის წესით მიმდინარე გამოძიებასთან დაკავშირებული გარემოებები.³⁵

თავადმა ალექსანდრე ივანეს ძემ იწეობა:³⁶

ა) კნენინა აბაშიძეს დახმარების სახით დაენიშნოს თვეში 50 მან.

ბ) დგებუაძისა და ელიავას საქმე დავასრულო შერიგებით.

15 თებერვალს გენერალ-გუბერნატორის თანდასწრებით მივიღე ერთმანეთის მიმართ მტრულად განწყობილ მხარეთა შესარიგებლად საჭირო ჩვენებები და მეორე დღეს თბილისისკენ გამოვემგზავრე.

20 თებერვალს პატივი მქონდა თბილისში მეფისნაცვალს წარვდგომოდი.

[1857 წ. 2 ოქტომბერი – 1858 წ. 20 თებერვალი]

დღიური 1867 წლისა

24. პარასკ. დილის 9 საათზე დონზე გადავედით. ნაშუადღევის 4 სთ. 5 კვერცხი – 25 კაპ.

25. შაბ. შუა ეგორლიკი. ყავა – 75. სალამოს 8 საათზე მათეს – 50.

26. კვირ. სტავროპოლი. სადილი – 3.50. მათეს – 1.50
სალამოს 10¹/₂ სთ. სერგიევსკოეს სადგურზე მივედით. გზაზე გადაგვისწრო ფოსტამ, რომელიც 6 სამცხენიანი ეკიპაჟისგან შედგებოდა. გვითხრეს, აქაურ მდინარეზე ხიდი ჩაინგრა და ღამით მგზავრობა არ შეიძლებაო, თუმცა ერთ საათში ვლადიკავკაზის ფოსტა მშვიდობით ჩამოვიდა. დილას ჩვენთვის 8 ცხენის შებმა დაინყეს, მაგრამ კონდუქტორმა ცხენები დაინუნა და მათი გამოცვლა ბრძანა. ამასობაში, დილის 7 საათზე, გამოჩნდა სტავროპოლის ფოსტა, რომელიც 4 სამცხენიანი ეკიპაჟისგან შედგებოდა. სადგურის მოხელემ გვითხრა – ცხენები თქვენთვისაც არის, მაგრამ, პირველ რიგში, ფოსტა უნდა გავუშვაო.

27 თებ. ორშაბ. სერგიევსკოეს სადგურიდან დილის 9 საათზე გამოვედით. – აღმოჩნდა, რომ იქვე, სადგურის მახლობლად, საკმაოდ ღრმა და ციცაბონაპირებიან მდინარეზე, ორი ხიდი იყო: ახალი და ძველი. ახალი დიდი ხნის წინ ჩაიქცა; გადადიოდნენ ძველით, რომელსაც სული ძლივძლივობით ედგა. სწორედ ამ ხიდზე უნდა გადავსულიყავით. უფრო ადრე

რომ გავეშვიტ, გადავიდოდით კიდევაც მშვიდობიანად, მაგრამ ჩვენზე ადრე გაუშვეს ფოსტა, რომელშიც 10 სამცხენიანი, პირთამდე გაძქეგილი ეკიპაჟი შედიოდა. ამათ, რასაკვირველია, იმ ხიდს ბოლო მოუღეს. მათი გავლის შემდეგ ხიდზე შედგა ჩვენი კარეტა, რომელსაც კაზაკთა თანმხლები ჯგუფი მიუძღოდა. ესენი ჩვენზე იყვნენ მომაგრებულნი და გადასასვლელებზე მაქსიმალური სიფრთხილის გამოჩენა ევალებოდათ. ჩემთვის საფრთხის შესახებ არაფერი უთქვამთ და ამიტომ კარეტაში დავრჩი.

ამასთანავე, უნდა ითქვას, რომ ფიცრები ხიდზე განზე კი არ იყო გადაებული, არამედ – სიგრძეზე და, როგორც კი კარეტა ხიდზე ავიდა, უკანა მარცხენა ბორბალი ფიცრებს შორის ჩავარდა. ყველა დაფაცურდა. მე კარეტიდან ჩამოვედი და ფეხით გადავედი მეორე მხარეს. დაიწყეს ცხენების გამოსხნა, რათა კარეტა გაესწორებინათ. სწორედ ამ დროს ხიდმა ერთი დაიჭრიალა, მარცხენა მხარე ჩაიქცა და ამოყირავებული კარეტა მორევში ისე ჩავარდა, რომ წყლის ზედაპირზე მხოლოდ ამოშვერილი ბორბლები უჩანდა. კარეტამ რამდენიმე კაზაკი და ორი წყვილი ცხენიც თან გადაიყოლა. მესამე წყვილი ხიდის გადარჩენილ ნაწილზე დარჩა. კაცებმა ამოსვლა მოახერხეს, ცხენებს ღვედები დააჭრეს და გადაარჩინეს. – ვდგავარ მეორე ნაპირზე და ჩაფიქრებული ვუყურებ ჩემს გაუბედურებულ კარეტას. საბედნიეროდ, ამ დროს რამდენიმე ასეული ჯარისკაცი წამოგვევნია. იშოვეს თოკები, როგორღაც კარეტის ერთ მხარეს ბორბლებს გამოაბეს, გამოქაჩეს და წყალში გვერდზე გადააბრუნეს. კიდევ რამდენიმე მცდელობა და კარეტა ბუნებრივ მდგომარეობას დაუბრუნეს – ბორბლებზე დააყენეს. შემდეგ თოკები ხელნებსა და წინა ღერძის ბოლოებს გამოაბეს და, მართლაც, რამდენიმე ასეული ადამიანის ძალისხმევით უნდა დასჭირვებოდა იმ სიღრმიდან კარეტის ამოთრევას. არავითარი სერიოზული დაზიანება არ აღმოჩნდა. მაგრამ ამ ჯახირსა და წვალებას დაახლოებით სამი საათი მოუწინა და

მთელი ამ ხნის განმავლობაში კარეტა წყალში ეგდო. რასაკვირველია, წყლით გაიჟლინთა ყველაფერი, რაც კი მასში და მასზე იდო. უკან დაბრუნებაც შეუძლებელი იყო.

გზა უნდა გაგვეგრძელებინა, რათა ბარგი გადაგვერჩია და, რაც გადარჩა, გაგვეშრო. მეორე დღეს, საღამოს 6 საათისთვის, ალექსანდროვსკის სადგურამდე მივალწიეთ და ყველაფერი ამოვალაგეთ. – სიგარები, ნაირ-ნაირი კოლოფები, ფუტლარები, ჩემი შესანიშნავი პარიზული ნესესერი¹ – ეს ყველაფერი უკვე არაფრად ვარგა; თეთრეული, ტანისამოსი, საბნები, წიგნები, ქალაღები, დოკუმენტები – ყველაფერი სულ ერთიანად დასველებულია.

28. სამშ. ნაშუადღევს 4 საათია და ჯერ კიდევ ვაშრობთ: მე აქ – წიგნებსა და ქალაღებს, სხვები სხვა სახლში – სხვა ბარგს. დაღლილობისაგან ქანცი გამიწყდა. ჩავლაგდით, როგორც იქნა, და ისე, რომ ბევრი რამ ჯერ კიდევ სველი იყო, საღამოს 6^{1/2} საათისთვის გზას დავადექით.წუხანდელი ვახშამი, დღეს ყავა და სადილი – 5 მან.სხვა სახლში ნივთების გამრობისთვის – 2.40.

1 მარტი. ოთხშაბათი. გეორგიევსკი.

მათეს – 30. – [.....] მასვე – 6. –

2 მ. ხუთშაბათი. დილის ექვს საათზე – ვლადიკავკაზში.

დეპეშა ნიჩკას – 2.50. –

3. პარასკ. სასტუმროში – 20.

მათეს – 30.

ვიანგარიშე და უკეთესი იქნება, თუ მთების გადასალახავ საშუალებებს კობში – ან თუნდაც ყაზბეგში – დაველოდები, ვიდრე აქ და ამიტომ ვლადიკავკაზი დილის 12 საათზე დავტოვე.

პაპიროსისთვის – 1. –
ოსური ყველი –
[.....] – 1.

4. შაბათ. ღამე ყაზბეგში გავათიე. იქიდან შუადღის 3 სა-
ათზე გამოვდივარ, რათა ღამე კობში გავათიო.
ვახშამი, ყავა, სადილი – 6.80.

5 მარტ. კვირა. ვახშამი კობში – 1.40.
ხარებისთვის გუდაურამდე – 13. –
ყავა – 20.
მლეთაში მათეს – 24. –

6. ორშაბ. დუშეთი.
ვახშამი და დილით ყავა – 3.55.

[24 თებერვალი – 6 მარტი 1867]

დღიური 1882 წლისა

იანვ. 18. ორშაბათი. სმირნოვი დამხვდა ვოკზალში, თავისი ქურქი მომიტანა. შარშან რომ ვიდექ, იმავე სახლში დაექირავებინა ჩემთვის ერთი ოთახი, თვეში 25 მანათად და ჯერ იქ მიმიყვანა. – ოთახი ჯერ დაცლილი არ იყო და იმასთან ნავედით. ნასაუზმევს მაგაზინებში ვიარეთ და ბოლოს კორპუსისაგან მაყიდვინა ერთი კენგურუს ქურქი, 125 მანეთად. – 100 მან. იმან მისცა, 25 მე. სადილათაც იმასთან ვიყავ.

19. სამშაბ. ვიყავ გრაფ ბარანოვთან. ვერ ვნახე და ერთი ფურცელი ქალაღი დავუტოვე ჩემი სახელით. მერე კნ. მინგრელსკისთან წავედი, გრაფინა ეკატ. ნიკოლ. ადლერბერგიც იქ ვნახე. ეხლა მინდოდა მეკითხა კნიაზისათვის, თქვენთან ხლება რა დროს შეიძლება მეთქი, და – ვიზიტით კი ნუო, პირდაპირ სადილათ მოდითო, თქვენ და სმირნოვიო. – იქიდამ კნ. ნიკომ კლუშინთან წამიყვანა. – სადილად აქსენოვისას ვიყავ. –

20. ოთხშაბ. დილის 9 საათზედ წავედით კნ. დუნდუკოვის სანახავად. ჯერ საქმე აქვს, და თუ მოიცდით, პატარა ხანს უკან მოვახსენებო, იმისმა ადუტანტმა. – ნახევარ საათს უკან კარი გამოაღო კნიაზმა და პირდაპირ ჩემთან მოვიდა. ცხადი იყო, რომ ველარ მიცნა. ჩემი სახელი რომ წარმოვთქვი, მტაცა მაშინვე ხელი, ფანჯარასთან მიმიყვანა, დაჯდა, მეც დამსვა და დამიწყო გამოკითხვა. – ორიოდ-სამს მინუტს თუ გვექნებოდა მუსაიფობა; წამოხტა, ბოდიში მოიხადა, საქმე მაქვსო, ძალიან მიამა თქვენი ნახვა, ძალიან მიამაო, ხელი ჩამომართვა

და შინვე შევიდა. სადილად წავედი სმირნოვთან და ვუამბე. – 25 მ. რომ ქურქში მივეცი და 25-ც სახლის ქირა, მე დამრჩა 18 მანეთი; და ვნახოთ რამდენ ხანს გამაძლებინებს ეს ფული. –

იანვარ. 21. ხუთშაბ. მე და აქსენოვმა სამწიგნობო მაგაზინების მოვლა დავაპირეთ, – ჩემი ანტონის¹ დაბარებით; დომინევისას შევედით, თითო პორცია ბიჭშტეკი შევსჭამეთ, ერთი სტაქანი ყიზლარული ღვინო დავლიე, და ისევ შინ დავბრუნდი, რადგან ცუდტაროსში სიარული დაგვეზარა. – სადილი იმასთან.

– **22. პარასკევი.** დღეს 11 საათზედ ჩემს მინისტრთან გამოვსცხადდი.² ყველაზედ უნინ მე მინახვინა. ორიოდ სიტყვა ჩვენი ქვეყნისა და იქაური ტყეების ამბავი მკითხა და ამითი გამითავა. – დღესაც დომინევთან შევედით და ვისაუზმეთ. იქიდან ქენუ³სთან შევედით, ანტონის წიგნები ძალიან ნაკლებ ფასად დააფასეს. – იქიდან ვოლქთან; იქაც აგრეთვე. – ამასობაში დაგვაგვიანდა და სმირნოვთან რომ ველარ წავედი, დავრჩი უსადილოდ. მაინც არა მინდოდარა.

– **23. შაბათი.** მთელ დღეს შინ ვიჯექ; 4 საათზედ წავედი სმირნოვთან. სადილად იქ ვიყავ; ფული აღარა მაქვსრა მეთქი, გამოვუცხადე. – ხვალ ხომ კვირააო და ორშაბათს გამოვიტან და მოგიტანო. ორნივ ერთმანერთს შევსწუნუნებდით, რომ ახირებულად უმადურს საქმეს ვადგივართ; მაგრამ – მახლას – დღეს ხვალ უნდა გამოირკვეს ჩვენი მდგომარეობა და ისევ მოთმინებით უნდა ვიყვნეთ. რომ გამოვეთხოვე და გამოვდიოდი, მარჯვენა ქუსლი დამისხლტა გასამთლულს პოლზედ და დავეცი; ცოტა არ არის თეძო ვიტკინე და მარჯვენა მაჯა; მაგრამ, ღვთის მადლით, საფიქრებელი არა არისრა.

– **24. კვირა.** დღესაც სულ შინ ვიჯექ. 5 საათზედ, დაპატიუებული, სადილად ვენვიე კნ. სვიმონ აბაშიძე-გორლენკოს.

იქიდან დიდ თეატრში გავსწიე, ბალეტის კორსარის სანახავათ.³ პირველი იყო ამ მოსვლაზედ ჩემი თეატრში ყოფნა და უკანასკნელი 3 მანათიანი ბილეთიც ამას მოვანდომე. მეგონა მანათიანს ან მანათნახვერიანს ადგილს ვიშოვიდი; მაგრამ 2 $\frac{1}{2}$ მანათზედ ნაკლებისა არ იყო. –

25. იანვ. ორშაბათი. დღეს რვა დღეა, რაც აქა ვარ; ჩემი ხაზინა დავითვალე და დახლში მქონია სულ რვა აბაზი და 5 კოპ. ვნახოთ სმირნოვი როგორ გამამდიდრებს. – 4 საათზედ აქსენოვი მოვიდა და რა მიზეზია, რომ არც გუშინ, არც გუშინწინ ჩვენი სადილი აღარ მოგაგონდაო და დღეს მაინცაო. –

26. სამშაბათი. დღეს დილას ა. ა. ცაგარელი იყო და ხვალ საუზმეზედ დამპატიჟა 1 საათზედ. მერე სმირნოვი მოვიდა და ათი თუმანი მომიტანა; მერე – აქსენოვი. – სადილი სმირნოვთან.

27. ოთხშაბ. საუზმე ა. ა. ცაგარელთან. დილას 4 ბოთლი კახური ღვინო გავუგზავნე აქსენოვს, სადილს იქ ვაპირებდი, მაგრამ ცაგარელისას 4 საათამდინ გაგრძელდა საუზმე; მერე ქალადის თამაშობას აღარ მამეშვნენ სვ. აბაშიძე და დადიშქელიანი; 6 მან. იქ წავაგე; 3 მან. ხვალის კონცერტისა გადამახდევეინეს; – სულ დამეხარჯა 13 მან. – იქიდან დიდ თეატრში გავსწიე, ლოჟაში ვიყავ მინვეული სმირნოვისაგან. ოპერა იყო იტალიანური, ლახორის მეფე;⁴ – სამოთხე მშვენიერი; მუზიკა ძალიან საამო. –

28. ხუთშაბ. მე და სმირნოვს ამ დილაზედ ძალიან ყაყანი გვექონდა. გრ. ბარანოვს ოსტროვსკისთან ჰქონია ჩემზედ ლაპარაკი. მანამდინ აქედამ გამოვა რამე... სმ-მა უნდა მიშოვოს 600 მანეთი. ამაღამ მიხაილ. თეატრში ვარ აბაშიძის ლოჟაში.⁵ სადილათ დღეს მაინც აქსენოვთან.

29. იანვ. პარასკევი. დღეს 18 დღეა, რაც ცოლ შვილს მოვსცილდი და იმათი ამბავი აღარა ვიცი რა. რა ვქნა არ ვიცი. – სადილათ სმირნოვთან ვიყავ. – ანდრია დადიანზედ გვექონდა ლაპარაკი. ახირებული უსამართლობა დამართეს 1867-ში და ახლაც არავინ იცის, რა ეშველება, თუ არ ისევ ძმისგანვე.⁶ – სალამოზედ დიდ თეატრში ვიყავ, ბალეტი იყო კორსარი.

30. შაბ. სადილად აქსენოვთან. ვიზიტით ვიყავ ჩუბინოვთან; ივ. ალექსანდ. ნაკაშიძესთან.

31. კვირა. ნაკაშიძემ ვიზიტი გადმიხადა. ძალიან კარგი და გონიერი ყმანვილი კაცია. ერთათ წავედით მიხ. დადიშქელიანთან, რომელიც წავეყვანე ივ. ალექსეიჩ ტიურინთან. ოც და ათამდინ ვიქნებოდით. ჩემი მცნობი არა ვინა ყოფილა, სვ. აბაშიძეს, ცაგარელს და დადიშქ-ს გარდა. საუზმე ძალიან კარგი: ბლინი, ჩინებული ხიზილალა, ბულიონი, რისტობიჭი, რიაზჩიკი, კომპოტი მშვენიერი და ღვინოები უხვად. – სალამოზედ თეატრში წავედი, მეგონა ოპერა იქნებოდა, მეჭისტოქელი, – და დამხვდა ბალეტი ზორაია.⁷

1. თებერვ. ორშ. სმირნოვი იყო. სადილად მიწვევდა; დღეს უარი უთხარ; ხვალ კი დავპირდი. საქმეზედ, ე. ი. ფულზედ, არაფერი. ამაღამ აქაური ქართველები, სტუდენტები, მზის დაბნელებას ადგენენ. გუშინწინ მომიტანა ძონენიძემ ბილეთი, 5 მ. მივეცი. – წარმოდგენაში დიდი ხალხი იყო.⁸ ძალიან კარგად ითამაშეს: ფულინოვმა, ვართანოვისამ; – ჯორჯაძემ, ანდრონიკოვმა; – ლისაცევიც კარგათ იყო. აქა თქვეს, „Каб-каз“-ში იწერებიან, რომ ვითამ ქართული ტრუჰჰა მოენვიოთ აქ სადიდმარხვოთ და სამაგიეროს კარგსა ჰპირდებიანო.⁹ –

თებერვ. 9. სამშაბ. მთელი ერთი კვირა ისე გამომეპარა, რომ აქ არა ჩამიწერიარა. – წუხელი ჩემი ლოკუნას წიგნი მო-

მივიდა,¹⁰ 29 იანვრისა და გული დამიმშვიდა სხვათა შორის ნიჩურკას ამბითაც,¹¹ კარგათ არისო; მადლობა ღმერთსა! – ჩვენი ტრუპა მართლა მოუნვევიათ, კოსტუკას შეუტყობინებია მივდივართო¹² და ანგარიშით ამკვირია უნდა მოვიდნენ. – სმირნოვის რჩევით დღეს დილით 11 საათზე გრ. ბარანოვთან ვიყავ და: „კარგია, რომ მოხვედითო; სმირნოვი გეტყოდათ, რომ ლაპარაკი მქონდა თქვენზედ ოსტროვსკისთანაო და დღესაც მოველაპარაკე და რაც ამას შეუდგება, სმირნოვის პირით შემოგივლიო. კომმისია უნდა დაინიშნოს კავკასიის მმართველობის შესაცვლელათა¹³ და თქვენ ან დუნდუკოვი წარმოგადგენთ იმ კომმისიის ჩლენათ, ან ოსტროვსკი დაგნიშნავთო. პრედსედატელი ვინ იქნებაო, ამაზედ იყო კიდევ ცოტა რამ ლაპარაკი, მაგრამ გამორკვევით არავიზედრა თქმულა...“

12. პარასკ. დღეს ვიყავ მინისტრ ოსტროვსკისთან: – რაო? – გრ. ბარანოვმა გამომგზავნა მეთქი; – დიაღ, გვქონდა ლაპარაკიო! რა იყო თქვენი სამსახურიო? – სხარტულად ვუამბე, კანცელარიაში ოტდელენიის ნაჩალნიკათ ვიყავ მეთქი; სოვეტის საქმეთ მმართველად; სოვეტის ჩლენად; – ამა და ამ მიზეზით გადამაყენეს მეთქი; მერე გუბ. მარშლად, ქალაქის თავად და ახლა აქა მეთქი.¹⁴ აგერ მესამედ დამიბარეს და ჯამაგირი კი არსად არის მეთქი. – იქაურს საქმეებზედ ლაპარაკი გვექნება და იმედია თქვენც შეგვეწვევით. მე იქ ერთს უპრავლიაუმჩნა ვჰგზავნი, ვეტყვი თქვენთან მოვიდეს და მოგელაპარაკოსო, და მერე ვიფიქრებო. –

13. თებ. შაბათი. სმირნოვმა 600 მ-ის მაგიერად 200 მომიტანა. კიდევ ავჰყაყანდით. გადანყვეტილი ვუთხარ, მანამდის არ მეცოდინება, რა მექნება, ყოვლად შეუძლებელია, რომ მე ხელი ღა მოვჰკიდო საქმეს მეთქი. – ნიჩკასი და ლოკას ნიგნები მომივიდა.

14. კვირა. სტარიცკისთან ვიყავით. კლუშინმა იპრედსე-დატლოსო, დროებით მაინცაო; მე არ შემიძლიაო. ერთს სა-ღამოზედ უნდა მივიდე როდისმე ჩემს მდგომარეობაზედ მო-სალაპარაკებლად.

15. ორშაბ. დღეს ნიჩკას 15 თუმანი გავუგზავნე. –

24. ოთხშ. დღეისწორს სტარიცკისთან ვიყავ და ამხანა-გურად დავეკითხე ჩემს მდგომარეობაზედ. დიდად გაიოცა, რომ აქამდინ ჯამაგირიანი ადგილი არა მაქვსრა. მოლაპა-რაკება აღმითქვა ბარანოვთან და ოსტროვსკისთან. – გუშინ სმირნოვმა მომიტანა 400 მ. და ეს ფული ისე უნდა გამოვიზო-გო, რომ ვინიცობაა შინ წასვლას დავადგე, – აღარ გამიჭირ-დეს. – მირჩია, ბარანოვი ნახე კიდეც და მოელაპარაკე, იქნება მე დამიბაროს და მაშინ იმედია დავანყოთ რამეო. – ამ მიზე-ზით დღეს ვიყავ ბარანოვთან. – გუშინ მე და სტარიცკიმ ვი-ლაპარაკეთ, ოსტროვსკისთანას უკეთესს ვერავის იშოვნიან, რომ ორი სამინისტროსაგან თქვენ გაგზავნონ ტფილისის კომისიაშიო. – სმირნოვს უთხარით, რომ მენგრელსკის საქ-მეზედ მომელაპარაკოსო. – დღეს სადილათ იმასთანა ვარ და ვეტყვი.

2 მარტს. სამშაბათს. ჩვენებური ყმანვილების ყრილობა იყო ვას. მაჩაბლისას.¹⁵

10. ოთხშაბ. კოლას ტელეგრამმა მომივიდა,¹⁶ გუშინ პალა-ტამ მედიატორეთ განაჩენი გააუქმაო.¹⁷ თანამც გადაჰყოლიან.

12 მარტს. პარასკევს. კომისიის სხდომა იყო. განცხადე-ბა შევიტანე, რომ აქამდისინ ჯამაგირი არა მაქვს. გაიკვირეს და გადასწყვიტეს, რომ კომისიამ იშუამდგომლოს სახელმ-ნიფო რჩევის წინაშე.¹⁸ –

13. შაბათს. კოლას წიგნი მივსწერე, მინდოდა წამოვსულ-
ვიყავ, მაგრამ ამა და ამ მიზეზებით დავიშალე და დეპეშით
მაცნობოს, მივიდე თუ აქ მოცდა სჯობია საქმის გათავებამ-
დის? თუ ასეა, ჩემი გრამმატიკა გამომიგზავნოს.¹⁹

14. კვირას. კნ. მინგრელსკი და ვას. მაჩაბელი იყვნენ ჩემ-
თან.²⁰ თითქმის ერთ საათს ვიმუსაიფეთ.

17. ოთხშაბ. ჩამოვედი 2 №-ში, შარშან რომ მეჭირა. თვეში
50 მანეთად.

19. პარასკ. დღეს საღამოს ჩაიზედა ვარ დაპატიჟებული
კნ. სვიმონ აბაშიძე-გორლენკოსთან, სადაც იქნებიან: კოს-
ტომაროვი, გრადოვსკი და სალტიკოვი. – ხვალ სადილად კნე-
ინა ელენე ჩოლაყაევისას.

25. ხუთშაბ. ხარება. დღეს ვიყავ ველ. კნ. მიხეილ ნიკ-
ჩთან²¹ და ჩემი გაჭირვება მოვახსენე. ძალიან ღმობიერად მი-
მილო. ზაპისკა მომეცი და ვნახავ რა შემეძლებაო. –

27. დიდშაბათი. დღეს ზაპისკა მივიტანე და გულზედჯვ-
რებგამწკრივებულ შვეიცარს მივეცი მისართმევად. –

28. ა ლ დ გ ო მ ა. შუალამიდამ ერთ საათზედ აბაშიძე-გორ-
ლენკოსას გავიხსნილეთ. სადილი ჩუბინოვისას; ვახშამიც. –

29. ორშაბ. სადილი აქსენოვისას. იქ ყბაყურაზედ ლაპარაკი.

30. სამშაბ. დილას ყბაყურა ამყვა. სადილი სმირნოვისას.

31. ოთხშაბ. სულ შინ. ივ. იოს. ძე ყორღანოვმა რუბინშტე-
ინის კონცერტის ბილეთი მომიტანა ვერა ალექსანდროვნას
გამოგზავნილი,²² 5 მანეთიანი.

აპრილი. 1. ხუთშაბ. სადილი აქსენოვთან.

– **2. პარასკ.** სმირნოვთან. ისიც ავად ყოფილიყო.

– **3. შაბათი.** დღეს $1\frac{1}{2}$ ნაშუადღევს რუბინშტეინის კონცერტი მოვისმინე. ხელოვნება და ხელების ვარჯიში საოცარი. $2\frac{1}{2}$ მარტო უკრავდა, მაგრამ როგორ??!! სადილი აბაშ.-გორლენკოსას. იყვნენ: კოსტომაროვი, სალტიკოვი (შჩედრინი), მორდოვცოვი და ქალები.

– **7. ოთხშ.** შინიდან კიდეც არა ფერი. შტუმპქს ავალეზინე ჩექმების ზომა, 14 მანათად. დღეისსნორს, ან ხუთშ.-პარასკ. ექნება მზად.

15. ხუთშ. ჰოფმეისტერმა ტოლსტოიმ მაცნობა, რომ ჩემი ზაპისკა ველ. კნიაზს ფინანსთმინისტრისათვის გადაუცია.²³ მე თვითონ ...ს დავესესხე და არა მმართველობას.

17. შაბ. დღეს დილის 11 საათზედ ვიყავ ფინანსთმინისტრთან სათხოვნელად, რომ თუ სესხის მოცემა შეიძლება დააჩქარებინოს და თუ არა, ჩემი თხოვნა უკუნ აქციოს, რადგან ფიქრათაც არა მქონია მმართველობის შენუხება. – გამიკვირდა, რომ ყველა ჩემი ზაპისკის გარემოება ჰხსომებია. 1700 დესეტინას გარდა სხვა კიდევა გქონიათ 2000 და რატომ არ დააგირავებთ, თუ უდავო არისო? – თანამდებობას თურმე ელითო და როგორ რასაო? – კი არ ველი, მაქვს მეთქი; ხელმწიფის ბრძანებით ჩლენათა ვარ მეთქი 1880-ში დანიშნული უმაღლესი კომისიისა და ჯამაგირი კი ჯერაც არ დაუნიშნავთ მეთქი. – ჩემს დოკლადს ამ დღეებში ნარეუდგენ ველ. კნიაზსაო. –

18. კვირა. გარბოვსკის მივსწერე კოპიოს აღება დააშუროს და გამომიგზავნოს. –

19. აპრილს. ორშაბ. ნიჩკას გავუგზავნე, ისაიას სახელობით,²⁴ 35 მანათი, სხვასაც მალე მოგაშველებ მეთქი, თუ ჩემმა დარბაისელმა სმირნოვმა არ მიმტყუნა.

27. სამშაბ. დღეს მივეც სტამბაში გრამმატიკა დასაბეჭდავად. – იქიდამ სმირნოვთან გავიარე: ამდენ ხანს რომ არა მნახა, ავით არის მეთქი მეგონა. შინ არ დამხვდა და არც ავით ყოფილა. – დღესვე მივსწერე კოლას, სარმ. კარის რწმუნება გამოუგზავნონ მაკალინსკის²⁵ და ეგებ ფული მოგვიხერხოს როგორმე ქვიშხეთში ნიჩკას და მე აქ კოსტ. დად-ისაგან.²⁶

4. მაისი. სამშ. დღეს მომიტანა სმირნოვმა 200 მ. აქედამ 100 ნიჩკას გავუგზავნე. ლევ. მელიქ. ვნახე.²⁷ –

5. ოთხშ. გრაფ ბარანოვთან მაგარი ლაპარაკი. ფინანსთ-მინისტრს დღეს ვნახავო და სმირნოვის პირით შეგატყობინებო. სმირნოვთან წავედი სადილათ; შინ არ დამხვდა. წიგნი დავეუგდე, რადგან ლაპარაკი გექნება, მე შენ მოგაგონებ და შენ იმათ მოაგონე, რა პირობითაც შემომიყვანეს მინგრ-ის საქმეში და რა შემისრულეს მეთქი.²⁸

8. შაბ. პირველი კორრექტურა გრამმატიკისა. სმირნოვი-საგან იმედი...

12. ოთხშ. გუშინ მოვიდა უცხოეთიდან მიხ. ტარ-ჩი.²⁹ დღეს ვიყავ იმასთან; შინ არ არისო და ქალაღზედ მოვანერე. –

18. სამშ. ნიჩკას მივსწერე, მაკალინსკის რწმუნ. წერილი გამოუგზავნოს. სმირნოვთან სადილი. კნეინა და კნიაზ აბაში-ძე, როსტომის...³⁰

21. პარასკ. გუშინ საქალაქო ფორტით მიხ. ტარ-ჩის ვიზიტის ბილეთი მომივიდა. დღეს დილაზედ მიმიღო. ვილაპარა-

კეთ და მითხრა: ხვალ ბარანოვთან სადილად ერთად ვიქნებოთ, შევუჩუჩუნებო და კვირას გეტყვი, რაც შეუდგებაო. დანაპირები რომ მოვაგონე, სწორეთ აგრეაო, – და ოთხში სამი არ შეუსრულებიათ მეთქი: 1. ჯამაგირი; 2. სამსახურის სიმართლენი და 3. ფულისძიება. – თედოსზედაც უამბე.³¹ იმისი გაჭირვება, – მაგრამ იმისი ხელისგამართვა მე არ შემიძლიაო.

23. მაისი. კვირა. დილას მივედი მ. ტ-ჩთან. სახალხოდ ველაპარაკე ბარანოვსა და სახალხოთვე მომცა პირობა, რომ ამ დღეებში დავაკმაყოფილებთ ყიფ-საო, – კ-ზ ბორის ქედორიჩი გალაცინიც იყო იქ, სხვ. შორის, თქვენი მცნობიო. – მოდი ერთი ხვალ შენ თითონ გაუარე ბარ-სო, „надо ковать куда горячо“.* –

24. ორშ. Оборвалос!** არ მინდოდა ბ-ის ნახვა, მაგრამ მ. ტ-ჩს სიტყვა არ გაუფტებე და წავედი. მალე მიმილო. რომ შევედი, ცივათა მკითხა, ჩტო ვამ უგოდნო? – „Я желал воспользоваться приездом Графа Михаила Тариеловича и дать Вам случай проверить мой ответ на сделанный мне Смирновым от Вас вопрос. – Что такоее? – Ф. А. Смирнов спросил меня от Вашего имени, кто дал мне обещания, о которых я вынужден был писать ему. – Нус? Лорис-Меликов Вам дал? – Одно он, а другое Вы! – Я не мог обещать, что не от меня зависит! – А я не мог давать и не каких обещаний! – Вы мне изволили сказать... – Это не моё дело, а Князя Мингрельского... – Я с ним не имел ни какого соглашения! – А я не мог давать и не давал ни каких обещаний! – В таком случае прошу извинения; виноват, вижу, что ошибся!³² – ხვალ დილას უნდა ვუამბო ეს მ. ტ-ჩს.

* „უნდა გამოჭედო (გამოკვერო), სანამ ცხელია“. ქართული შესატყვისი: „სანამ თორნე ცხელია, პური მანამდე ჩააკარ“ (რუსულ-ქართული ლექსიკონი 1983: 254).

** განყდა!

თ. ჯ.

თ. ჯ.

25. სამშ. მიხ. ტ-ჩს ვუამბე. – სმირნოვი გამომიგზავნეო. მაკალინსკის მივეცი ქალაღდები, დღეისსწორამდინ გადანყვეტილს ვერას ვიტყვიო. – კოლას დეპეშა: Нужны запись и трет. решение.³³

30. კვირა. მიხ. ტ-ჩს იმისი 1881 და 1882 ჩვენს საზოგადოებაში შემოსატანი³⁴ 40 მან. და იმის გრაფინების 36, სულ 76 მან. გამოვართვი.

2. ივნისს. ოთხშაბ. დღეს პეტერჰოფში ვიყავ, აღ. ს. ჩიქოვანოვი ვნახე. 1882 წლის სანევრო შემოსატანი გამოვართვი 20 მან. და იმისი სიძის შემონირულობის საქმე ვუამბე,³⁵ დღესვე მოველაპარაკები და პასუხს მოგწერო.

3. ივნისი. ხუთშ. მაკალინსკი კოპიოებს ითხოვს. ფულს ახლა არანაკლებ 125 და მოგვიანებით 2000-ს. კოლას მეორედ დეპეშა, რომ კოპიოებს ველი და მედიატორების სიაც გამოუგზავნოს პირდაპირ მაკალინსკის. ნიჩკას 40 მ. გავუგზავნე.

6. კვირა. ანტონს დეპეშა, როგორ არიან?

11. პარასკ. კოლას – როდის მომივა ქალაღდები.

12. შაბ. დიდი ჩხუბი სმირნოვთან. გუშინ აღმითქვა, ხვალ 11 საათზედ მოგიტან 200 მან. და მაგდენსაც გასესხებო და ერთს საქმეში რალაც ქართული ქალაღდებია და ის სთარგმნეთო. – მოვიდა დღესა, საქმე მომიტანა და ათიოდ-თხუთმეტი ფურცლისა მიბძანა, აქ დასწერეთ, რა არისო. ფული მეთქი? – აი, ახლა მივალ იქაო! – როდის მომიტანთ? – რა ვიცი, როცა მომცემენო! – ამაზედ მეტი რომ არ შეიძლება, ისე შევპრიადით. – დღესვე გამისტუმრე, თორემ ღმერთს ენდე,

ცუდი საქმე დაგემართება მეთქი. ჩემი რა ბრალიაო! – სხვისი არა ვისი, თუ არ თქვენი, და მერწმუნეთ, ხელმწიფემდინ ვივლი მეთქი და მაშინ გაიშინჯება, ვისიც ბრალია მეთქი, დღევანდელი დღე უკანასკნელი იყოს ამ უშვერს თვალთმაქცობაში მეთქი. –

[18 იანვარი-12 ივნისი. 1882]

მეცხარევი

ნაწილი პირველი

სკოლა სულისა

აქ განზრახულია ცხოვრების ისეთ შემთხვევათა გათვალისწინება, რომელიც ჩვენს სულიერ მხარეს აყალიბებს. სახელოსნოთ, რასაკვირველია, იმ პანანინა მსოფლიოს ვიღებთ, სადაც ცხოვრება გვიხდება:

1. სწავლის დროს.
2. მთავრობის სამსახურში.
3. სამსახურში არჩევნებით.
4. კერძო ცხოვრებაში.

I. სწავლის დროს

1.

მე-XIX-ე საუკუნის მეოცე წლების სასწავლებლები

ტფილისში. – მაშინდელი პედაგოგია. –

პირველი ცილისწამება. – სახაზავით ცემა. –

პ. ი. შიპულინი. – შეცდომა უნდა აღიარო, თუ არა?

მეოცე წლების დასაწყისში, ბავშვის სასწავლებელში მისაბარებლად ტფილისში, მის მშობლებს იმ დროს იქ არსებულ მხოლოდ ორ სასწავლებელ შუა შეეძლოთ არჩევანი.¹ აქ, რასაკვირველია, იმაზე არ არის ლაპარაკი, თუ სად როგორ ასწავლიდნენ. ამაზე ძალიან ცოტას თქმა დაგვჭირდებოდა: როგორც სასულიერო სემინარიაში, აგრეთვე კეთილშობილთა სასწავ-

ლებელშიაც ერთს ადგენენ: ანიდან ბანამდე უაზროთ გაზეპირებას და რაიმე დანაშაულისათვის კი ხელის გულზე სახაზავით ცემას. ეს იყო და ეს მაშინდელი პედაგოგიური სიბრძნე.

მე ჯერ სემინარიაში მიმაბარეს, შემდეგ კი საჭირო დოკუმენტები შემიკრიბეს და კეთილშობილთა სასწავლებელში გადამიყვანეს.²

მეორე დღეს შემოდიან კლასში, რომელშიც მიმიღეს, დირექტორის მოადგილე პ. ი. შ ი პ უ ლ ი ნ ი, რუსული ენის მასწავლებელი პ. ს. ს. რ. ო. ტ. ი. ნ. ს. კ. ი და იმათ უკან რამდენიმე მონაფე უფროსი კლასებისა; მათ შორის, როგორც ახლა მახსოვს, ერთი კარგი თვალტანადის ყრმა თ-დი ლ ე ვ ა ნ მ უ ხ რ ა ნ ს კ ი. ყველანი წამოვლენ უკანა პარტებისკენ და ამ ყრმის ჩვენებით პირდაპირ ჩემს წინ გაჩერდებიან. მათი სახელები მე მხოლოდ შემდეგში შევიტყე და მაშინ კი ჯერ არავის არ ვიცნობდი – არც უფროსებს და არც ამხანაგებს.

– როგორ გაბედე შენ უბრძანებლად ზარის დარეკვა? – მრისხანეთ მეკითხება უფროსი.

მე ეს კითხვა არ მესმის და სულელივით შევსცქერი.

წამავლებენ ყურში ხელს და ხელახლა მეკითხებიან.

– მე არ დამირეკია, – ვუპასუხებ.

– ნამდვილად ეს არის? – მიუბრუნდება ყრმას და ეკითხება შიპულინი.

– ეგ არის, ეგა, – უმტკიცებს ის და მასთან მისი ამხანაგებიც.

– ო, ო! შენ უარზედაც ხარ? აბა ერთი სახაზავი! – და მირტყეს ხელის გულზე გააფთრებით ერთი ოცჯერ მაინც.

თან მტკივა, თან ყელში ბრაზი მომდის.

– რის გულისათვის? – ვეკითხები ჩემს თავს ქვითინით.

მეც ისეთი დამნაშავე ვიყავი ამ საქმეში, როგორც თქვენ, ჩემო მკითხველო.

შეცდომაა! ჩემი ტკბილი დედა მასწავლიდა,³ რომ შეცდომა უნდა ეპატიოსო და მეც, მგონია, ვაპატიე; მაგრამ დავინწყება კი ვერ შევძელ.⁴

შემდეგში შეიტყო შიპულინმა თავისი შეცდომა, მაგრამ იმდენი მოქალაქეობრივი გამბედაობა ვერ გამოიჩინა, რომ ეს ჩემთვის ერჩვენებია, მომალერსებოდა.

– მაშ შეცდომა არ უნდა აღიარო?.. უფროსობაა!

2.

საზოგადო გასართობი, წარმოდგენები, კრებები. –

კონტინგენტი მანდილოსანთა კავალრებისა. –

მირზა ჯაფარი. – გენერალი ხოვენი. –

თ-დი ბაგრატიონი. – „შემდეგში ეს აღარ განმეორდეს“.

იმ დროს, რომელზედაც მე ვლაპარაკობ, ე. ი. მეოცე წლებში ტფილისში არავითარი საზოგადო დროს გატარება არ იყო. საიდანმე გაჩნდებოდნენ მოხეტიალე ჟონგლიორები ან ჯანბაზები და ისევ წავიდოდნენ. იშვიათად თუ გაიმართებოდა შინაური წარმოდგენა, სადაც ქალების როლსაც მამაკაცები ასრულებდნენ. ხანდახან შეიკრიბებოდნენ საცეკვაავად, მაგრამ საზოგადოთ ჯერ კიდევ ცოტანი იყვნენ მოცეკვავე მანდილოსნები და, დროს მიხედვით, კავალრები უფრო კიდევ ნაკლები. ახალგაზრდა ოფიცრები თითქმის სულ ომში იყვნენ განვეუღნი სპარსეთში და ფრაკოსანი მოცეკვავე კი სამიოთხი თუ მოიძებნებოდა.

ამ ნაკლის შესავსებლად, მაშინდელმა სამხედრო გუბერნატორმა, ან უფრო სწორეთ რომ ვსთქვათ, ტფილისის სამოქალაქო გუბერნატორმა სამხედრო უფლებებით, – იმავე დროს ტფილისის კეთილშობილთა სასწავლებლის უშუალო მმართველმა, გენერალმა ხოვენიმ ერთ ისეთს საშუალებას მიმართა, ერთბაშად რომ ორ მიზანს აღწევდა: მანდილოსნებს ასიამოვნებდა და ნორჩ მონაფეთ ნააქებებდა. გასცა განკარგულება, სადაც კი გაიმართებოდა საცეკვაო საღამო, როგორც სათადარიგო კონტინგენტი კავალრებისა, გაგზავნილიყო რამოდენიმე მონაფე სასწავლებლის უფროსი კლასებიდან, ვინც კი ღირსი იქნებოდა ამ პატივისა თავისი

სწავლით და ყოფაქცევით. ამ რჩეულთა რიცხვში ერთხელ მეც, მეხუთე კლასის მოწაფესაც მხვდა ეს პატივი.

ამ კლასს ჰქონდა მხოლოდ ერთი გასასვლელი მესამე კლასზე გავლით, რომელსაც თავის მხრივ კიდევ ორი გასასვლელი ჰქონდა მეოთხეში და ერთიც გარედან შემოსასვლელი, კიბისაკენ ფართე და გრძელი დერეფნით.

მეხუთე კლასის მოწაფენი მესამე კლასელების თვალში ერთგვარ სასკოლო არისტოკრატიას წარმოადგენდნენ: ძალიან ხშირად გვიხდებოდა მესამე კლასში მასწავლებლების მაგივრობა და იმათ კათედრაზე გამოჰქიმვა, როდესაც ისინი არ მოვიდოდნენ.

ცეკვის მეორე დღეს სასწავლებელში წასვლა ფორმის იმავე ტანისამოსით მომიხდა, წინა ღამეს რომ ვიყავი და მხოლოდ კლასში შევნიშნე, რომ სახელოზე სანთლის ორი ლაქა დამჩნეოდა. კარტოფილის სანთელი მაშინ რასაკვირველია არ იყო. ეს ლაქები თვალში როგორღაც მეჩოთიერებოდა და მათი გაშავება მოვიწადინე. ჩემთან ახლოს არც ერთს ამხანაგს არა ჰქონდა მელანი და მესამე კლასში გავედი. იქვე კარებთან სასწავლო მაგიდაზე დავინახე სამელნე, ამოვანე კალამი და დაუნყე ლაქებს გაშავება, რა დროსაც, ცხადია, არავითარი ხმაურობა არ ამიტეხია და არც უნესობა ჩამიდენია.

მაგრამ თათრული ენის მასწავლებელმა მ ი რ ზ ა ჯ ა ფ ა რ თ უ შ მ ა ლ ო ვ მ ა, იმ კლასში მასწავლებლის ამაღლებულ ადგილზე მჯდარმა, ალბად შეურაცხყოფად მიიღო ის, რომ მე ჩემდა უნებურად ზურგშექცეული ვიყავი მისკენ და მრისხანედ ქართულად დამიყვირა: შე ნ მ ა ნ დ რ ა ს ს ჩ ა დ ი ხ ა რ ?

მე მას გაოცებით შევხედე, არ ვიცოდი რაზე ყვიროდა და ვუპასუხე: ი ს ე თ ს ა რ ა ფ ე რ ს !

იმის მიხედვით, რაც ამას მოყვა, ჩემი პასუხი დიდად უკმეხად მოსჩვენებოდა, წამოხტა ადგილიდან, მეცა, მტაცა თმებში ორივე ხელი და ბრაზ-მორევით დამიწყო თრევა. გამწარებულმა თან ტკივილით, თან შეურაცხყოფით, კარები-სკენ გავიწიე, რომ დირექტორთან საჩივრელად წავსულიყავ;

მაგრამ ცხვირიდან სისხლი წამსკდა და ამიტომ კედელზე მივეყუდე დერეფანში, სანამ სისხლი შემინყდებოდა.

მირზა ჯაფარმა ისარგებლა ამით და თითონ გაიქცა საჩივლელად, ვითომ მე ის გავლახე.

იგივე გმირი წინანდელი ეპიზოდისა, რომლის სისუსტეს შეადგენდა პირველი საჩივრის, ან დაბეზლების შთაბეჭდილებით გატაცება, ჩვეულებრივი კითხვით მოვიდა ჩემთან: როგორ გაბედე შენ?.. მაგრამ შემატყო თუ არა, რომ პასუხის მიცემა არ შემეძლო, პ. ი. შიპულინმა აღარავის არა გამოკითხა-რა და, ალბად იმ მოსაზრებით, რომ ეს საქმე მისი კომპეტენციიდან გამოდიოდა, უბრძანა მირზა ჯაფარს დაეხურა ქუდი და საჩქაროდ გასწიეს ორივემ გუბერნატორთან, მომხდარი საქმის მოსახსენებლად.

მეც დაუყოვნებლივ დამიბარეს გუბერნატორთან.

ჩემს მისვლამდე შიპულინსა და თუშმალოვს მოესწოთ მისთვის დალაგებული მოხსენების წარდგენა იმ სახით, რომელსაც არ შეეძლო იმ დროის სამხედრო გენერალი⁵ ისედაც მისგან შეთვისებულ ჰანგზე არ მოემართნა: როგორ შეიძლება უმცროსი მართალი იყოს უფროსის წინაშე?!

ამ გუნებაზე დაყენებული გენერალი ხოვენი მიწასთან გამასწორებელი კითხვით დამიხვდა: „როგორ გაჰბედე შენ მასწავლებლის ხელის შეხება?“

ვერ მოასწორო ამ კითხვის მოცემა, რომ შემოვიდა მასთან გენერალ-ლეიტენანტი თ-დი ბ ა გ რ ა ტ ი ო ნ ი, ძმა სახელგანთქმულ პეტრე ბაგრატიონისა და მამა მეორე პეტრესი, შემდეგში ოსტუხისის გენერალ-გუბერნატორისა.

მე სულს მიხუთავდა, ჭკუაზე მშლიდა ის ფიქრი, რომ ასე უბრალოდ ვიყავ შეურაცხყოფილი და საქმეც ისე მოსწანდა, რომ მევე გამამტყუნებდნენ.

სანამ გენერლები ერთმანეთს მიესალმებოდნენ და სანამ რომან ივანეს ძე ხოვენი თავად ბაგრატიონს აუხსნიდა საქმის ვითარებას, ჩემი აღელვება ცოტაოდნად დასცხრა და მეც შევიძელ მეამბნა საქმის ვითარება.

აქ ბაგრატიონი, გულდასმით რომ მისმენდა, მიუბრუნდა გუბერნატორს ამ გვარად:

– როგორ, რომან ივანოვიჩ! კეთილშობილთა სასწავლებელში ხომ თავად-აზნაურთა შვილები სწავლობენ! ჩემი ვაჟებიც ხომ იქ არიან! ეს სადაურია? ვის შეუძლიან მათი გალახვა გაბედოს? და განა თმებით თრევა იგივე გალახვა არ არის? როგორც გენებოთ, მაგრამ ამისთანა რამ კი შეუძლებელია!

ხოვენის გუნება შეიცვალა.

იმან ამგვარივე შენიშვნით მიმართა შიპულინსა და მირზა ჯაფარს და გასტუმრებასთან ერთად უბრძანა მათ, რომ ამას იქით ეგ აღარ იყოსო.

შემდეგ მე მომიბრუნდა:

– ამ ხანად ღმერთს და აი თავადს უმადლე, რომ ასე გადარჩი! მაგრამ მიფრთხილდი, ამას იქით ეს აღარ გაბედო! გესმის, არ გაბედო, თორემ აღარა გიხსნის-რა! გასწი! ხმა არსად ამოიღო ამაზე!

ხმის ამოღება კი არავისთან არ დამჭირვებია; შიპულინს უკვე მოესწრო გადაცემა და სანამ მე დაგვრუნდებოდი, სასწავლებელში ყველამ იცოდა, რითაც დაბოლოვდა საქმე. მაგრამ ჩაფიქრება და გულის ჩათხრობა კი ხელახლა დამჭირდა:

– „ეგ აღარ იყოსო!!“ და განა მე ვიყავ დამნაშავე, რომ ეს იყო? ან და მე ვიქნები დამნაშავე, რომ კიდე განმეორდეს?

ჩემთვის ამ კითხვაზე პასუხი არავის მოუცია.

3.

სასწავლო გამოცდები. – ე. პ. მანასეინი. – ნ. ტ. დემენტიევი. –

თ-დი ი. ზ. არლუთინსკი-დოლოგორუკოვი. –

საჯარო აქტები. – აქტის წარმოდგენა მანდილოსნებისათვის. –

რისხვა სასწავლებლის მართველობისა.

გამოცდებმა მოატანა.

ორიოდე სიტყვა ჩემი დროის გამოცდებზე.

მე უკვე მქონდა შემთხვევა მეთქვა, რომ მთელი მაშინდელი პედაგოგიური სიბრძნე ორი უმთავრესი და ამასთან ერთად-ერთი წესით გამოიხატებოდა:

გაკვეთილების სწავლა ზეპირად, ე.ი. შეუგნებლად – მექანიკურად და ყოველი დანაშაულისათვის ხელისგულზე სახაზავით ცემა.

ამ ტრადიციულ წესს ჩვენს მასწავლებელთა შორის მხოლოდ სამი არ ემორჩილებოდა:

ელპიდიფორ პეტრეს ძე მანასეინი, რომელიც სასწავლებლის დირექტორად და უმცროს კლასებში რუსული ენისა და უფროს კლასებში რუსული სიტყვიერების მასწავლებლად დაგვინიშნეს. ყველა ამ მოვალეობის პირნათლად შესრულება ერთი კაცისათვის ფიზიკურად შეუძლებელი იყო და ამიტომ მანასეინმა მხოლოდ ერთი სასწავლო წელიწადი დაჰყო ჩვენთან. მე დაუხვდი მას მეოთხე კლასში. მონაფეებმა მხოლოდ მისგან დაიწყეს გადმონაცემის შეგნებით შეთვისება, მხოლოდ მის დროს გადაიქცა დიდ სასჯელათ მონაფის ნახევარ საათით კუთხეში დაყენება, ან ნახევარ საათით კლასში დატოვება, როდესაც დანარჩენი უკვე წასულნი იყვნენ. გულამოსკვნით სტიროდნენ ხოლმე, ვისაც კი ეს სასჯელი შეხვდებოდა.

ყურებისა ან თმების მოწევა, სახაზავით ცემა, დაჩოქება, ან სხეულის სხვაგვარი სასჯელი მანასეინის ყოფნის დროს გულში გასავლებადაც კი შეუძლებელი იყო.

სამაგიეროთ ბავშვებიც არას დროს არ ყოფილან ისეთი კეთილშობილნი და არასოდეს ისე კარგად არ შეუგნიათ გადმონაცემი, როგორც მის დროს.

მეორე აგრეთვე კეთილ-გონიერი და ყოველად მოსაწონი მონაფეთათვის, მანასეინის შემდეგ დანიშნული, რუსული ენისა და რუსული სიტყვიერების მასწავლებელი იყო, კანდიდატი ხარკოვის უნივერსიტეტისა, ნიკოლოზ ტიმოთე სძე დემენტიევი. მე იმას მეხუთე კლასში დაუხვდი.

თავადი ი. ვ. ზაქ. არღუთინსკი - დოღორუკოვი

ისტორიას ასწავლიდა; დიდად საყვარელი და პატივცემული იყო ყველასაგან.

როგორც ვსთქვი, გამოცდები უკვე დაიწყო. გამოცდებს თავ-თავიანთ საგნებში თვით მასწავლებელნი ხელმძღვანელობდნენ, მაგრამ გარდა მანასეინისა, დემენტიევისა და არღუთინსკი-დოლგორუკოვისა, სხვა დანარჩენ მასწავლებლებთან მონაფენი შეგნებით მხოლოდ სიცრუეს სწავლობდნენ.

გეოგრაფიის მასწავლებელი, მაგალ. გამოცდის ორი კვირის წინ გაკვეთილს აძლევს მოსამზადებლად: ერთს – შვეციაზე; – „არა, სჯობს მე პორტუგალიაზე მომცეთ!“ – კარგი, პორტუგალია იყოს; – მეორეს – ისპანიაზე – ჰა? რაო? შვეციაზე გინდა? შვეციაზე იყოს! მესამეს – ინგლისზე და სხვა და სხვა.

და ამნაირად იქცეოდნენ დანარჩენი მასწავლებელნიც.

რასაკვირველია გამოცდები კარგად ჩაივლიდა. გამოცდებს თან მოსდევდა ჩვეულებრივი საჯარო აქტი. აქტის დროსაც იგივე ხერხი იყო მიღებული, კიდეც უფრო ზერელედ და უფრო მოკლეთ. ამას გარდა, წაიკითხავდნენ ანგარიშს, წარმოსთქვამდნენ სიტყვებს და ბოლოს საუკეთესო მონაფეთ ჯილდოს მისცემდნენ, უფროს კლასებში გადაყვანილთა სახელებს გამოაცხადებდნენ და კურს დასრულებულთ ატესტატებს დაურიგებდნენ.

აქტებს ღირსად ხდიდნენ და ესწრებოდნენ უმაღლესი პირები: მთავარ-მართველი, საქართველოს ექსარხოი, გუბერნატორი, შტაბის უფროსი და საერთოდ ყველა, შემთხვევითა თუ მუდამ ტფილისში მცხოვრებნი წარჩინებულნი.

რაკი სხვა გასართობი არ იყო, საჯარო აქტები წლიურ სადღესასწაულო წარმოდგენას უდრიდა. მაგრამ, არ ვიცი კი რად, ამ წარმოდგენაზე მანდილოსნები არასდროს არ ყოფილან.

არ შეიძლება კი, რომ მათს ცნობისმოყვარულობას არა ნდომებოდა ერთხელ მაინც გაგება იმისი, თუ რა ხდებოდა იქ.

ტფილისის მაშინდელ მანდილოსანთა მცირე ჯგუფში შუქურვარსკვლავივით ბრწყინავდა ორი თავადის ქალი: ნ ი ნ ო ა ლ ე ქ ს ა ნ დ რ ე ქ ა ვ ქ ა ვ ა ძ ი ს ასული, შემდეგში მეუღლე

გრიბოედოვისა, დამანანა ივანე ორბელიანის ასული, შემდეგში დედა ფელდმარშალ თავად ბარიათინსკის მეუღლისა.⁶

მოინდომეს ამათ სასწავლო აქტის შინაურულად წარმოდგენა.

ვის შეეძლო მოსვლოდა აზრად, რომ ქართველთა სილამაზის საუკეთესო წარმომადგენელთათვის ასეთი უმანკო სურვილი დაეშალა!

რასაკვირველია, არავის.

და გამართეს აქტისნაირი წარმოდგენა.

ოფიციალური მოხელეები, რასაკვირველია, წარმოდგენას არ დასწრებიან. იყვნენ სულ ნათესავები თავადის ასულებისა.

ეს იყო არდადეგების დროს ე. ი. სწავლისაგან თავისუფალ დროს, თავადის ასულ მანანა ორბელიანის სახლში.

წარმოდგენაში მონაწილეობას იღებდნენ უფროსი კლასების ხუთიოდ-ექვსი მოწაფე – მათ რიცხვში გახლდით მეც.

წარმოდგენილმა აქტმა ძალიან კარგად ჩაიარა და თავბრუდამსხმელი მადლობის ღირსი გაგვხადეს.

გაიარა არდადეგების დრომ, დაიწყო სწავლა და ღმერთო დიდებულო!

სასწავლებლის მართველობამ, იმავე შიპულინის მეთაურობით, თავისი უფროსული მრისხანების უანგარიშო მეხი თავზე გადმოგვაყარა: – „როგორ და რანაირად? როგორ თუ თქვენ ეს გაბედეთო?“

თავის მართლება – არც ერთი სიტყვით! ეს კიდევ ცოტაა: გადასწყვიტეს ამ საშინელი თავხედობისათვის ექვსივე კაცი სამაგალითოდ დაესაჯათ: გაენკეპლათ ყველანი და გაენკეპლათ ყველა კლასში, რომ მონაფეებს დაენახათ!

თავის მოკვლა ქართველებს სამარცხვინოთ მიაჩნიათ; მაგრამ ჩვენ მზათ ვიყავით ამისათვის, რომ მაშინდელ მნათობთა ყოველ შემძლებელი სილამაზე ენერგიულად არ გამოგვსარჩლებოდა და არ დავეხსენით.

მერე რაში იყო ჩვენი დანაშაული?

ეს ჩვენთვის არავის არ განუმარტავს.

II. მთავრობის სამსახურში

4.

პირველი ნაბიჯი კურსის დამთავრების შემდეგ. –
ხელის შეშლა სამსახურის პირველ ნაბიჯზე. –
მეორე ოფიციალური გაკვეთილი სიცრუისა.

ტფილისის კეთილშობილთა სასწავლებელში მხოლოდ თავად-აზნაურთა შვილებს იღებდნენ და სამსახურისათვის ამზადებდნენ. იქ რომ კურსი დავამთავრე, სამაზრო სასამართლოში შევედი და ახალგაზრდული გატაცებით შეუდექი სხვაგვარ სწავლას. სიამოვნებას მგვრიდა, რომ უფროსებმა ასეთი ყურადღების ღირსი გამხადეს. მაგრამ თვე ნახევრის შემდეგ მიმიხმეს სასამართლოში და გულმტკივნეულად გამოიციხადეს, რომ სამსახურში არ დაგამტკიცესო.

აღმასრულებელმა ექსპედიციამ (საგუბერნიო მართველობის მაგიერი) მითხრა თურმე უარი, რადგან აზნაურობის ქალაქი არ იყო წარდგენილი!

მამ კეთილშობილთა სასწავლებელში როგორღა მიმიღეს? რისთვის მასწავლეს? რად მაძლევდნენ 5 მანეთს თვეში? ნუ თუ იმისთვის, რომ ასეთი შეურაცხყოფით ქუჩაში გავეგდე?

მივმართე ცნობისათვის თავად-აზნაურთა დეპუტატთა საკრებულოს და თავ-შესაფარი იქ ვპოვე. აქ თარჯიმნად დავყავ რამდენიმე თვე, რაც სახელმწიფო სამსახურში (действительная служба) არ ჩამეთვალა, ვინაიდან სხვათა აუარებელ ქართველ თავადთა და აზნაურთა გვარების რიცხვში, ჩემი შთამომავლობაც მართლა დაუმტკიცებელი აღმოჩნდა აზნაურობაში.⁷

ამასობაში კეთილშობილთა სასწავლებელი გიმნაზიად გადააკეთეს და რადგან მასწავლებლები ძალიან ცოტა იყო, ერთ-ერთი მათგანის ადგილი მე შემომთავაზეს.

აზნაურობის დამტკიცებას აქ არ თხოულობდნენ; საჭირო იყო მხოლოდ მასწავლებლობის გამოცდის დაჭერა გიმნაზიის საპედაგოგიო საბჭოში.

დავიჭირე; სამსახურში მიმიწვიეს და დასამტკიცებლად წარმადგინეს.

მართველობამ უპასუხა, რომ თექვსმეტის წლის ყრმას გიმნაზიაში მასწავლებლობა არ შეუძლიაო.

დავრჩი ისევ გარედ.

მაგრამ აქ გიმნაზიის მართველებმა სხვა გზით შემომამტარეს, სადაც თურმე დამტკიცებული იყო, რომ მე უკვე ოცი წლისა ვარ, თუმცა ნამდვილად კი მხოლოდ თექვსმეტისა ვიყავი.

დამამტკიცეს მასწავლებლად.⁸

სასიამოვნოა! ღირს, რომ კაცმა დაივიწყოს ის შეურაცხყოფაცა და ის ოფიციალური სიცრუეც!

5.

სამსახური ვოლოგდაში – ბრუსალოვი – კუზმინი. –
ერთი ნაბიჯი წინ, ორი – უკან.

სამი წლის შემდეგ ვოლოგდაში ამოვყავ თავი სამსახურში.⁹ იქ, იმის მიხედვით, თუ როგორი შინაარსის იყო ჩემზე მისული ქალაქი, ზოგი ისე მიცქეროდა როგორც ნადირს, კიდევ რომ იკბინებოდა; ზოგი კი ასეთს შიშს არ თანაუგრძნობდა და მიცქეროდა როგორც ნორჩს, სამხრეთის ნადირს, რომელსაც მოფერება უფრო სჭირდებოდა. მაგრამ მე იმდენად გულმოდგინედ მოვკიდე ხელი სამსახურს, რომ დილითაც დავდიოდი და საღამოთიც საგუბერნიო მართველობაში და ვერც კი ვამჩნევდი ვერც იმათ შიშს, – რომელიც მალე გააჰქრა, – და ვერც ალერსიან შეხვედრას, და ამნაირად სამ წელიწადში კანცელარიის კიბეზე საგუბერნიო მართველობის მდივნის საფეხურამდე ავედი. მე კმაყოფილი ვიყავი, ჩემითაც იყვნენ კმაყოფილნი. უფრო მალლა ასვლას არ ვოცნებობდი.*

* აქ ერთხელვე უნდა ვსთქვა, რომ პირველი ხელის შეშლის შემდეგ, მე არასდროს აღარ მიმიცია ჩემთვის ნება, თხოვნით ან სხვაფრივ როგორმე ვცდილიყავ სამსახურში დაწინაურებას. ჩემთვის ეს ყოველთვის მოულოდნელად ხდებოდა ხოლმე.

ვოლოგდაში რომ მივედი, გუბერნატორ ბრუსალოვთან წარმადგინეს, რომლის შესახებ მხოლოდ ის მაგონდება, რომ როდესაც იმის შემოკითხვაზე – ვლასარაკობ თუ არა რუსულად, ვუპასუხე, რომ გიმნაზიაში რუსული ენის მასწავლებლად ვიყავი მეთქი, ის შემდეგში ხალისით ამტკიცებდა ხოლმე საგუბერნიო მართველობის იმ ჟურნალებს, რომლებითაც მე თანდათანობით დავინიშნე – ჯერ მდივნის ამხანაგად, მერე პროტოკოლისტად და ბოლოს მდივნად.

ბრუსალოვის ადგილი კუზმინმა დაიჭირა, ფელდმარშალი თავადი საკენის ყოფილმა ადიუტანტმა, შემდეგში გენერალ-მაიორობიდან დეისტვიტელნი სტატსკი სოვეტნიკად გადარიცხულმა.

არა ერთხელ წაეკითხა იმას გაზეთში, რომ სხვა გუბერნატორები გადასახადების ნარჩენის კარგად შეგროვებისათვის უმაღლეს წყალობას იღებდნენ. იმას კი არც ერთხელ არ მიეღო ორი წლის განმავლობაში.

ამაზე კუზმინს გულს აკლდა და თავისი კანცელარიის მმართველს უჩიოდა; უჩრიეს, რომ გადასახადების ნარჩენის შესახებ საქმეთა გადასინჯვა საგ[უბერნიო] მართველობის ორ მდივანს შორის ერთ-ერთისთვის მიენდო და არჩევანი ჩემზე მოდგა.

აღმოჩნდა, რომ ასეთი დიდი საფინანსო საქმე ვოლოგდის გუბერნიაშიც კარგად იყო დაყენებული და კუზმინსაც ელირსა უმაღლესი წყალობა.

ამავე დროს რაღაც მოხდა ისეთი, რამაც ის დიდად აამხედრა თავისი კანცელარიის, როგორც სჩანდა, თითქოს უძლეველი მართველის წინააღმდეგ და უბრძანა მას, რომ სამსახურიდან გასულიყო და მისი ადგილი მე შემომთავაზა.

კანცელარიის საქმეები ბრწყინვალე მდგომარეობაში ვერ აღმოჩნდა და მეც მათს წესიერებაში მოყვანას თავდავიწყებული გატაცებით შეუდექი. ვალაგებდი მათ 12, 15 და 16 საათის განმავლობაში დღე და ღამე და ის იყო სიხარულსაც მივეცი თავი, რომ საქმე კარგად მიდიოდა, მაგრამ... აქაც განყდა ძაფი.

ამ თანამდებობაზე დამტკიცება გუბერნატორის უფლება იყო; მაგრამ კუზმინმა ველარ გამოიჩინა წინანდელი სიმამაცე

და ვილაც შინაური მრჩეველების აყოლით, თურმე შინაგან საქმეთა მინისტრს წარუდგინა და სთხოვა ჩემი დამტკიცება. იქ, რასაკვირველია, გამოძიებაში შესულიყვნენ, რატომ ასეთი სიამოვნებით მინისტრის თანხმობას თხოულობენ იმ საქმეში, რომელიც მას არ ექვემდებარებაო და გუბერნატორს უარი თუპასუხეს.¹⁰

და დამაბრუნეს მონა ღვთისა უკან, საგუბერნიო მართველობაში. ამიყვანეს უმაღლეს საფეხურზე და ტყუილ-უბრალოდ ჩამომავდეს იქიდან.

6.

ნეპენინი. – გენ. ბოლგოვსკი. –

ნაბრძანებია ბოდიში მოიხადო. – რისთვის?

რამდენადაც მეტად ორი უფროსი და ღირსეული წევრი საგუბერნიო მართველობისა გულმტკივნეული ყურადღებით ეპყრობოდა ჩემს მდგომარეობას, იმდენად მეტი ყოყლოჩინაობა დამიწყო მესამემ მათში, რომლის სახელი იყო იაგორ ივ. ნეპენინი. ის მიწყობოდა ერთი დატუქსვის გამო, გუბერნატორისგან რომ ხვდა მას წილად.

რამოდენიმე ხნის შემდეგ კუზმინი დაითხოვეს და ვოლოგდაში დანიშნეს გენერალი ბოლგოვსკი სამხედრო გუბერნატორად.

ეტყობოდა ჩემი ისტორია ცხელ-ცხელ ამბად გადაეცათ მისთვის, რადგან იმ თავითვე გამამხნევებელი ყურადღებით მექცეოდა.

მაგრამ ერთხელ მიბარებს ის თავისთან და ასეთი სიტყვებით მხვდება:

– აი, სულ მაგისთანები ხართ ყმანვილი კაცები! ერთი გოჯის ნებას რომ მოგცემენ, თქვენ ერთ არშინს გადაიჭრით!

ვუყურებ გაშტერებული და ვერა გამიგია რა.

– რა ეგრე უმანკოსავით მიცქერით? ხომ მიეცით თქვენს თავს ნება, რომ საგუბერნიო მართველობის წევრს უზრდელად მოქცეოდით!

ამ სიტყვამ სულ მთლად ამაშფოთა.

– ნება მომეცით მოვახსენო თქვენს აღმატებულებას, რომ მე გახლავარ ქართველი; ქართველს კი შეგიძლიანთ დასწამოთ ყველაფერი რაც გნებავთ, ხოლო უზრდელობას კი – არასოდეს!

– ნეპენინმა კი იჩივლა თქვენზე გუშინ, რომ მართველობაში შესვლის დროს სალამი არ მიეცით მას.

– ეგ თუ მართლა ეგრე იყო, გარწმუნებთ თ-ნო აღ-ბავ, რომ განზრახ არ ჩავიდენდი!

– კარგი, მაგრამ იმან იჩივლა ჩემთან და მეც დავპირდი, რომ ბოდიშს მოიხდით მის წინაშე, – და თქვენც აასრულებთ, – აასრულებთ ჩემის გულისათვის.

– ავასრულებ მხოლოდ როგორც თქვენს ბრძანებას!..

– აბა, აბა!

მივედი ნეპენინთან.

– ვასრულებ გუბერნატორის ბრძანებას და ბოდიშს ვიხდი თქვენს წინაშე, მაგრამ არ დავმალავ კი, რომ არ ვიცი რისთვის?

– ჰო!.. არაფერია!.. დავივიწყეთ ახლა!..

ამის შემდეგ რამდენიმე დღე იმის მითქმა-მოთქმაში იყვნენ ვოლოგდაში, თუ როგორ ბოდიშობენ ქართველები!

ასე მისცეს ეროვნული ხასიათი პიროვნულს.

დიახ, მაგრამ... იაგორ ივ. ნეპენინი? ღმერთმა მშვიდობა მისცეს! საერთოდ კეთილი ყმანვილი იყო, მაგრამ ხომ მოხდება ხოლმე, რომ ხანდახან კეთილსაც მოეჩვენება რამე უკეთური!

7.

ტფილისში გადაყვანა. – გუბერნატორი თ-დი ფალავანდიშვილი. –
თვიური ჯამაგირი 7 მანეთამდე.

გენერალი ბოლგოვსკის თაოსნობით, რომელსაც ტფილისიდან ბარონი როზენიც დაეხმარა, 1837 წლის დამდეგს გამოვიდა უმაღლესი ბრძანება, რომ მე ტფილისში გადავეყვანეთ.

გუბერნატორად დამხვდა იგივე თ-დი ფალავანდიშვილი, ძმა შემდეგში არხანგელსკში დალუპული დამბეზღებლისა 1832 წელს.¹¹

როგორც შუა გუბერნიიდან გადმოსული მოხელე, აღმასრულებელ ექსპედიციას მიმანრეს, გუბერნატორის კანცელარიაში ჩარიცხვით.

კანცელარიის შტატ-გარეშე მოხელეებს ჯამაგირს თვით გუბერნატორი უნიშნავდა.

სამი თვის შემდეგ აღმასრულებელი ექსპედიციის მდივანი მიცხადებს, რომ ამ ხნის განმავლობაში გუბერნატორმა 20 მანეთი დაგინიშნაო.

– როგორ? მე, საგუბერნიო მართველობის ყოფილ მდივანს, გუბერნატორის კანცელარიის მმართველს 7 მანეთამდე თვეში? გმადლობთ!

– უკვე წიგნებშია ხარჯად გატარებული, არ შეიძლება, უნდა ხელი მოაწეროთ!

– იქნებ თვითონ იმან მოაწეროს! მე კი ვსთხოვ გამანთავისუფლოს. გაისარჯეთ, სწორეთ ასე მოახსენოთ!

8.

საქართველოს მთავარ-მართველი ბარონი გრ. ვლად. როზენი. – გენერალ ესპეხოსთან დანიშვნა ქუთაისში. – მართვა იმერეთისა, სამეგრელოსი, გურიისა, აფხაზეთისა და სვანეთისა. – ევგ. ალ. გოლოვინი. – ტფილისში გადაყვანა. – ისევ დატოვება ქუთაისში. – მთელი კავკასიის მმართველი სიცრუის ახალ გაკვეთილს იძლევა.

რამდენიმე დღის შემდეგ მთავარ-მართველთან მიმიხმეს.

– სალამი, სალამი! – მომეგება ბარონი გრ. ვლად. როზენი. ძალიან მიხარიან თქვენი ნახვა. თქვენ გუბერნატორის კანცელარიის მმართველად ყოფილხართ ვოლოგდაში. კარგია, კარგი! არ გინდათ მიიღოთ ასეთივე, მხოლოდ უკეთესი თანამდებობა ქუთაისში? თქვენი იქ სამსახური მხედველობაში მექნება.

თურმე იმ დროს ქუთაისში იყო მმართველად იმერეთისა, სამეგრელოსი, გურიისა, აფხაზეთისა და სვანეთისა გენერალი სვ. მიხ. ესპეხო,¹² ჩამომავლობით ესპანელი; რუსულად ძლივს ლაპარაკობდა, მხოლოდ ხელის მოწერა იცოდა და რუსულად ქალაქის შედგენის საქმეში სრული სიბნელით იყო მოცული. მთავარმართველობა კი ანგარიშს უწევდა მას, როგორც უმნიკვლო პატიოსნების კაცს და ხასიათით მტკიცეს ყველაფერში, რაც კი თხოულობდა სიფხიზლეს, მუყაითობას და სამსახურის მოვალეობის ასრულებას.

რუსულ ენაში, როგორც ვსთქვი, ძალიან სუსტი იყო, მაგრამ როგორც ევროპიულად განათლებულმა, თავისი სამშობლო ენის გარდა, კარგად იცოდა ფრანგული ენაც.

იმას ეთხოვნა ბარონი როზენისთვის ამოერჩია მისთვის მდივანი, რომლის ნდობაც შეეძლებოდა და არჩევანი მიდგა ჩემზე.

შემომთავაზეს ისეთი თავშექებით და მუშაობაც ისეთი მიმზიდველი მომელოდა, რომ მაშინვე დავთანხმდი და წავედი მდივნად ქუთაისში.

გენერალმა ესპეხომ მიმიღო, როგორც მოსალოდნელი იყო, ზრდილობიანად. ხოლო ზრდილობიანობა დღითი დღე გულწრფელი განწყობილებისა და სრული ნდობის ხასიათს ღებულობდა.

აქ საჭიროა ოდნავ გადავავლოთ თვალი ამ უშველებელი, მრავალფეროვანი მხარის მაშინდელ გამგებლობას.

რუსული უშუალო გამგებლობა შემოღებული იყო: იმერეთში 1810 წ. და გურიაში 1829 წ. დანარჩენი ნაწილნი კი: სამეგრელო, აფხაზეთი და სვანეთი, რომელთაც საკუთარი მთავრები ჰყავდათ, ექვემდებარებოდნენ რუსული გამგებლობის ზერელ ზედამხედველობას. ამასთან, სვანეთი იყოფოდა სამ ნაწილად, რომელთა შორის ერთი ეკუთვნოდა სამეგრელოს მთავარს, მეორე თავად დადგეჰელიანს და მესამე კი, ე. წ. თავისუფალი, აღიარებდა ერთად ერთ თამარ მეფის უფლებას, რომელიც მეფობდა საქართველოში მეთორმეტე

საუკუნის დამლევს და მეცამეტის დასაწყისში, სრულებით განცალკევებული იყო ძნელად მისაგვალ მთებთა შორის და არა ჰქონდა არავითარი კავშირი არც დასახელებულ მთავრებთან, არც რუსულ მართველობასთან.

იმ ნაწილებში, სადაც რუსეთი უშუალოდ განაგებდა, იყო: იმერეთში:

ა) 4 საოლქო მართველობა: შორაპნის, რაჭისა, ქუთაისის და ვაკისა.

ბ) იმერეთის ერთი დროებითი მართველობა ორნაირი ხასიათისა – ფინანსურისა და სამოქალაქო საქმეების სასამართლოსი.

გურიაში აგრეთვე დროებითი გურიის მართველობა საადმინისტრაციო და სამოქალაქო სასამართლოს ხასიათით.

სისხლის სამართლის საქმეები ირჩევოდნენ სამხედრო სამსჯავრო კომისიის მიერ, ქუთაისში.

ყველა ამ დაწესებულებათა უფროსი იყო მმართველი იმერეთისა და სხვათა თავისი კანცელარით.

კანცელარიაში იყრიდა თავს საადმინისტრაციო ყველა საქმე და შემდეგ მასვე გადაქონდა სარევიზიო და სააპელაციო წესით, როგორც დროებით მართველობათა სასამართლოს საქმეები, აგრეთვე სამხედრო სამსჯავრო კომისიისა.

ყველა საქმის შესახებ მმართველის აზრსაც კანცელარია ადგენდა.

პერსონალი ამ კანცელარიისა იყო შემდეგი:

ერთი მაგიდის უფროსი ან საქმის მწარმოებელი სამოქალაქო მოხელეებიდან, სამი გადამწერალით – ადგილობრივი თავადაზნაურობიდან.

ერთი საქმის მწარმოებელი ადგილობრივი ლინეინი ბატალიონის ოფიცრებიდან,¹³ სამი გადამწერალით – სამხედრო დაბალი მოხელეებიდან. ერთი ჟურნალისტი სამხედრო გადამწერლებიდან თანაშემწით და ერთიც მდივანი.

ძალიან ბევრი საქმე და ძალიან ცოტა გამკეთებელი. წესისეტი იყო შემოღებული, რომ ჟურნალისტის შრომა აუტანე-

ლი ხდებოდა, ხოლო მდივნის შრომას კი შეღავათი ეძლეოდა: გასავალი ქალაქები იწერებოდა ჟურნალში მთლად და ამიტომ მდივანს შეეძლო გავარჯიშებით ნაწილი მათი პირდაპირ თეთრად დაენერა.

მაგრამ ბინაზე დაბრუნება მაინც მხოლოდ დასაძინებლად უხდებოდა და ისიც ისე, რომ მეორე დღეს კანცელარიაში თითქმის გათენებისას უნდა მისულიყო.

რადგან კანცელარია იქვე, მმართველის სახლში იყო მოთავსებული, ამიტომ, როგორც ამის გამო, ისე სხვადასხვა მიზეზებით (წელიწადში ოთხასი მან. ჯამაგირით მოუხერხებელი იყო სადილის კეთება, და სასტუმროში სადილობა ხომ შეუძლებელი იყო, ვინაიდან მაშინ არც ერთი სასტუმრო არ მოიპოვებოდა ქუთაისში) ვსადილობდი და ვვახშმობდი მუდამ ჩემს გენერალთან, რის წინედ მოხსენებასაც უკეთებდი ხოლმე.

ხოლო ჩვენს შორის მართლა ისეთი უსაზღვრო ნდობა ჩამოვარდა, რომ თითონ მიიჩნია საკმარისად მოხსენებები მოესმინა ხოლმე სულ ზერელედ, ძალიან შემოკლებულნი, – „იმას და იმას, ამასა და ამაზე“.

ამით მე დროს ბევრს ვიგებდი, მაგრამ არ შეიძლებოდა კი, რომ არ შემემჩნია და არ შემშინებოდა იმ უფლებისა, 22-23-ის წლის ყმანვილ-კაცს რომ ხელში ჩამივარდა.

არც ადმინისტრაციულს, არც სასამართლოს საქმეებში არავინ არ იყო ხელმძღვანელი, რასაც დავსწერდი წაუშლელი იყო.

ერთი წლის შემდეგ, გენერალთან ერთად რამდენიმე დღით ტფილისში წასვლა მომიხდა, ნათესავ-მეგობრებში გულის გადასაყოლებლად.

მე თ-დმა ფალავანდიშვილმა სახარბიელო წინადადება მომცა, მიმელო მისი კანცელარიის მმართველის თანამდებობა და ოფიციალური გაზეთი „ტფილისის უწყების“ რედაქტორობა.¹⁴ იქნება ამითი უნდოდა სამი თვის სამსახურში ოცი მანეთის დანიშვნა მოენანიებია.

ჯამაგირი 750 მანეთი წელიწადში; მაშასადამე მშობელ სახლს რაღაცა ასი მანეთის მაგიერ, შეიძლება ოთხასი მანეთი მიანოდო და შენს მახლობელ წრეშიც იცხოვრო. ეს იმდენად სახარბიელო იყო, რომ ყოყმანი არ შეიძლებოდა.

რა ყოფით გავბედე, რომ ეს იეკიმ მიხეილის ძესათვის (ეს-პეხო) გამომეცხადებინა.

არც იმას დაუმაღავს ჩემთვის, თუ ეს როგორ ეწყინა.

– თქვენთვის ჯამაგირი მართლა რომ ძალიან ცოტა მაქვს ხელთ, – მითხრა იმან, – მაგრამ სხვა რამ მიზეზი ხომ არა გაქვთ, უკმაყოფილო ხომ არა ხართ ვისიმე ან რისიმე? გულახდილად მითხარით, როგორც მშობელ მამას, როგორც მეგობარს.

ჩემს მასთან გულახდილობას აქ კი ზღუდე დაედო; მოვალე ვიყავ მისი თავმოყვარეობა დამეცვა და გავჩუმებულიყავ იმაზე, რომ მინდოდა გავქცეოდი იმ უფლებას, მე რომ ხელში ჩამიგდო.

ამიტომ ვუპასუხე, რომ არაფერი სხვა მიზეზი არა მქონდა რა მისგან წავსულიყავ, გარდა ფულის ანგარიშისა.

– მაშ თქვენ არ წახვალთ ჩემგან, თქვენი ჯამაგირის მომატება რომ გამოვსთხოვო ევგენი ალექსანდრეს ძესა?

მთავარ-მართებლად მაშინ ბარონი გრ. ვდ. როზენი აღარ იყო, არამედ ევგ. გოლოვინი.

ახლა კი შეუძლებელი გახდა არ მეთქვა, რომ არაფერი მიზეზი აღარ მექნებოდა წავსულიყავი.

მაშინათვე წავიდა გოლოვინთან, რომ პირადად ეთხოვნა. სადილობის დროს დაბრუნებულმა, ოფიციალურად გამომიცხადა მთავრ-მართებლის სახელით, რომ ჩემს ჯამაგირს მოემატებოდა 325 მანეთი წელიწადში.

შემდეგ მან წერილობით მოახსენა ამ პირობით დარჩენის თანხმობა ჩემგან და აგრეთვე შეატყობინა ეს გუბერნატორს ფალავანდიშვილს.

დავბრუნდით ჩვენ ქუთაისში.

გადის რამოდენიმე თვე და ბოლოს, მოუთმენლად რომ ველოდი, ის ქალაქი მოდის, მაგრამ შიგ რა სწერია:

შეუძლებელია დაპირებული მომატების დანიშვნაო.

რა არის ეს?
მთავარ-მართველმა კავკასიისა და ამიერ-კავკასიისა
მოატყუა პატარა მოხელე?!¹⁵

9.

პავ. პეტ. ტიმოფეევი. – სამსახური მთავარ-მართველის
კანცელარიაში. – უფლება ქალაქის ნაშლა-ნამოშლისა. –
საქმე ინდოეთელი მოგუნდასოვისა. – პირველი კარგი ნაყოფი
მოთმინებისა სამსახურში.

გამოვეთხოვე საბოლოოდ ჩემზე არა ნაკლებ გაცივებულ
ჩემს ესპეხოს და დავბრუნდი ტფილისში.

მაშინვე მიველი მთავარ-მართველის კანცელარიის დი-
რექტორ პავ. პეტ. ფალავანდიშვილთან.¹⁶

ჩვენმა ცხარე ბაასმა გამოარკვია, რომ გენერალი გოლო-
ვინი არაფერ შუაში იყო და ტიმოფეევმა შემომთავაზა მასთან
შევსულიყავ კანცელარიაში. იქ სამსახური ითვლებოდა ყვე-
ლაზე საპატიოდ, ყველაზე სასურველად.

ჩემი შეურაცხყოფილი თავმოყვარეობა, მაშასადამე,
კმაყოფილდებოდა და მე დავთანხმდი მთავარ-მართველის
კანცელარიაში შევსულიყავ.

მაგრამ ჩემ თავმოყვარეობას აქაც ხვდა სასჯელი.

ეს იყო 1838 წ. დასაწყისში.

მაგიდის უფროსად დამნიშნეს სამეურნეო განყოფილება-
ში. ამ განყოფილების უფროსად იყო სტ. ორლოვსკი,¹⁷ ძვე-
ლებური ყაიდის მოხელე; ჩვენ ერთ მაგიდასთან მოგვიხდა
ჯდომა, ერთი მეორის პირდაპირ. სამუშაო მომელოდა მეტ
ნაწილად საანგარიშო, რომელიც არავითარ ლიტერატურულ
შელამაზებებს არ მოითხოვდა: „ამა და ამ მომარაგების მაღა-
ზიაში, ამა და ამ დროს ამ **№№** ქვითარებით ჩაბარებულია
გადახდილი პურისა ამდენი კოდი“.

ვუგზავნიდით ქვითარებს კავკასიის კორპუსის გენერ-
ალ-ინტენდანტს და ვსთხოვდით გაეცა განკარგულება, რომ
შემდგარი თანხა მთავარმართველის ხაზინაში შეეტანათ.

იმ დროს გადასახადი სამუსლიმანო პროვინციებში: ყარაბახისა, შემახისა, ნუხისა, ბაქოსი, თალიშინისა, ყუბისა და დერბენტისა, ნატურით ხდებოდა, ე. ი. პურით; ზემოთ მოყვანილი წესით გადაიქცეოდა ფულად და შედიოდა მთავარ-მართებლის განკარგულებაში.

ორი თუ სამი ამნაირი ქალაქი პირველად დავსწერე სწორედ იმგვარად, როგორც ჩემამდე იწერებოდა და მივართვი ორლოვსკის.

ის დიდხანს უჯდა მათ და ისე ნაშალ-ნამოშალა სუყველა, რომ სტრიქონიც აღარ დარჩენილა ჩემი დაწერილისა.

– შეურაცხყოფა! მაგრამ ის თავის უფლებით სარგებლობს და ხელქვეითის თავმოყვარულობას არავითარ ყურადღებას არ აქცევს!

რა გაენყობა! სამსაურია!

მეორეთ მივართვი იმის რედაქციით შედგენილი ქალაქდები.

სწორედ იმნაირადვე ნაშალ-ნამოშალა ქალაქდები.

მაშინ მე და ჩემი თანაშემწის ივ. მიხ. ინდუტნოვ-სპაფარიევს შორის საქმე ასე გავანაწილე: მე თეთრად ვსწერდი გასწორებულს, ვაკერებდი საქმეებში, აღწერავდი მათ და რეესტრებს ვადგენდი, ის კი – სთხზავდა ქალაქდებს და მიართმევდა წასაშლელად.

ორლოვსკიმ შემატყო, რომ ხელს ვაკლებდი მისდამი სამსახურს და მგონი რომ დირექტორს შესჩივლა, ვინაიდან დირექტორმა ამის შემდეგ მალე დამავალა ერთი საქმე, განყოფილებაში ჩემი უფროსის ცქერისაგან რომ რამდენიმე თვით მანთავისუფლებდა.

უნდა შემედგინა მრავალ ტომიან საქმიდან, იურიდიული ქალაქი სალიანის სათევზაოს ყოფილ მოიჯარადრე ინდოეთელ მოგუნდასოვზე.

დამთავრების დროს, ან უფრო სწორეთ, იმ ქალაქის წარდგენის ცოტა ხნის შემდეგ, 1840 წლის დასაწყისში, მთავარ-მართველობასა და საგუბერნიო დაწესებულებაში ცვლილებების შეტანას შეუდგენ.

ეს ცვლილებანი ითვლებოდნენ სენატორ განის პროექტით ახალი ფინანსიური სისტემის შესავალად.¹⁸

ნ. ს. ორლოვსკიმ მიიღო ადგილი სახელმწიფო ქონებათა ტფილისის პალატის მმართველისა, ხოლო მე იმავე კანცელარიაში მისი ადგილი, განყოფილების უფროსისა.

ასე ვიყავი პირველად წარმატებით დაჯილდოვებული მოთმინებისათვის.

10.

გენერ. ნეიდგარტი. – საქველმოქმედო საზოგადოება. –
საბავშვო თავშესაფარი. – ქ-ნი გრაბარჩი. –
საყვედური მის გამო.

1842 წ. გოლოვინის ადგილზე დაინიშნა მთავარ-მართებლად გენ. ნეიდგარტი, კაცი უაღრესად სამართლიანი, მაგრამ იქამდე სასტიკი და პუნქტუალი, რომ არავის არასფერში არ აპატიებდა ოდნავ საქმის შეშვებას, არავის არ აჩუქებდა არც ერთი წუთის დროს და ყველა ცახცახებდა მის წინაშე.

იმ სამიოდე წლის წინად, მთელს რუსეთს მოედო საბავშვო თავშესაფართა დაარსების იდეით გატაცება და ამის მიხედვით გენერალი გოლოვინის მეუღლემ მოინდომა ტფილისში ქალთა საქველმოქმედო საზოგადოების დაარსება. მე თავიდანვე ამ საზოგადოების მდივნად ვიყავი დანიშნული, მაგრამ სხვადასხვა შემთხვევათა გამო ვერც საზოგადოებამ მოიკიდა ფეხი გენ. ნეიდგარტის მოსვლამდე, ვერც საბავშვო თავშესაფარნი განვითარდნენ საკმარისად.

საქმეში მოუღალავმა ალ. ივ. ნეიდგარტმა მოინდომა სხვათა შორის ამ საქმისათვისაც მიეცა მოძრაობა და რა განიძრაბა თავშესაფართა საზოგადოების რამდენათაც შეიძლებოდა მკვიდრ ნიადაგზე დაყენება, მიგვიხმო თავისთან, სამსახურში, ქ-ნი გრაბარჩი, გამგე ამიერკავკასიის კეთილშობილ ქალთა ინსტიტუტისა¹⁹ (მაშინ ასე ეძახდნენ ახლანდელსა) და მე, როგორც მდივანი საქველმოქმედო საზოგადოებისა.

ნეიდგარტის თვალში ქ-ნი გრაბარიჩი და მე ვიყავით ამ შემთხვევაში მხოლოდ მოხელენი და მიგვიღო ჩვენ, როგორც მთავარ-მართებელმა თვისი ხელქვეითნი. ქ-ნ გრაბარიჩს ის უპირატესობა მისცა, როგორც ქალს, რომ სკამი შესთავაზა.

ორივეს მოგვემართა და გამოსთქვა თავისი აზრი, თუ როგორ ნაგვეყვანა საქმე საქველმოქმედო საზოგადოებისა და რა გავჩერდით იმაზე, რომ ჯერ ერთი სამაგალითო საბავშვო თავშესაფარი დაარსებულიყო, გვიბრძანა ორივეს ერთად შეგვედგინა მოსაზრებანი და შტატი და წარგვედგინა მისთვის უშუალოდ.

გამოსვლის დროს ქ-ნმა გრაბარიჩმა მითხრა, რომ შემატყობინებდა, როცა კი საქმეს შეუდგებოდა.

ათიოდე დღის შემდეგ, რადგან ვიცოდი, რომ ნეიდგარტს ხუმრობა არ უყვარდა, მივდივარ მასთან და ვეკითხები, თუ როდის ნებავს მას მიიღოს ჩემი თანამშრომლობა.

იგივე პასუხი: შეგატყობინებთ, როცა მზად ვიქნებიო.

გადის კიდევ ორიოდე კვირა და ნეიდგარტთან მიხმობენ.

ვარწმუნებ მკითხველს, რომ სხვას ჩემს ადგილას იქვე ჩაეკეცებოდა მუხლები, ისე მრისხანეთ დამიხვდა მკაცრი მთავარ-მართებელი.

– მე გიბრძანეთ მოსვლა, რომ ერთი კარგად დაგტუქსოთ! სახტად ვრჩები უკიდურესი გაოცებითა და გაუგებრობით!

ის კი იღებს მაგიდიდან რალაცა რვეულს, მაჩვენებს ხმის უფრო მაღლა აწევით და მეკითხება:

– ეს რა სისულელე მოგიჩმანხნიათ გრაბარიჩსა და თქვენ ერთად?

მივხვდი.

– იქნებ საჭიროდ სცნოთ, თქვენო მალ.-აღმატ-ავ, რომ დაგტუქსვა მე ამაცდინოთ?

– როგორ მიბედავთ მე სიტყვის შემობრუნებას?

– სიტყვას კი არ გიბრუნებთ, მხოლოდ მოგახსენებთ, რომ მე აქ არაფერ შუაში ვარ.

– როგორ? მე თქვენ გიბრძანეთ, რომ ერთად გემუშავნათ!

– მართალი გახლავთ, მაგრამ როგორც ახლა ვხედავ, ქ-ნ გრაბარიჩს უჩემოდ შეუდგენია და თავისი ნაშრომი ჩემს გაუგებლად თქვენთვის წარმოუდგენია!

– ჰოო?! ესეც კია, მართალი რომ ვსთქვათ, საიდან უნდა იცოდეთ თქვენ, თუ როგორი ნიფხ... სჭირდებათ პატარა ქალებსა!

– ეგ შეიძლება არ ვიცოდე, მაგრამ შემძლია ვიცოდე, როგორი აქვთ სხვა ამგვარ თავშესაფარებში; რუსეთში ასეთები ბევრია და მე ხელთ მაქვს თითქმის ყველა მათი შტატები.

– მართლა? მაშ რადგან აგრეა, თქვენ წაუღეთ ეს რვეული ქ-ნ გრაბარიჩს და უთხარით ჩემს მაგიერ, რომ ისე გადააკეთოს, როგორც მე უთხარი.

არც ერთი სიტყვა ამაზე მეტი. კიდევ კარგი, რომ გაუპტვახტში არ გამგზავნა, როგორც ეს იმან ხშირად იცოდა ხოლმე.

11.

მცირე აღწერა მთავარ-მართველობისა – ერმოლოვის, პასკევიჩის, როზენის და გოლოვინის დროს. – მდივნები. –

კანცელარიის დირექტორი. მთავარ-მართველობის საბჭო. –

სამოქალაქო მართველობის უფროსი. – ორი გენერალი გურკო. –

ს. თეოდ. ვასილკოვსკი. – გურიის ამბოხება 1841 წ. მიზეზი და

შედეგი. – მეორე ბრუსილოვი, გენერალი კახანოვი. –

პავ. ასტ. კოცებუ. – მოსე ზ. არლუთინსკი. –

გრ. ორბელიანი. – შემოკლება მიწერ-მოწერისა.

აქ ვაპირებ ორი, ცოტა არ იყოს, სასაცილო შემთხვევის გადმოცემას, რომელშიაც უკვე ცხადად მოსჩანს განვლილი სკოლის ზეგავლენა; ამისათვის საჭიროა მცირე აღწერით წინდანინ გავაცნო მკითხველს მთავარ-მართველობის მაშინდელი შედგენილობა. ეს კი არ იქნება ცხადი, თუ ერთი წუთით მაინც არ გავხედეთ წარსულსა.

1820-იან წლებში მთავარ-მართველობა შესდგებოდა მთავარ-მართველობის კანცელარიისაგან, რომელიც სამს

სამდივნოდ იყოფოდა: ქართლისა, იმერეთისა და სამუსლიმანოსი. მათ სათავეში უდგა ხანდახან კანცელარიის მმართველი; მაგრამ უფრო ხშირად კი მდივნები იყვნენ უშუალო მომხსენებლად.

აქ, რასაკვირველია, ლაპარაკი არ არის არც სამხედრო მართველობაზე, არც დიპლომატიურ კანცელარიაზე, მოსაზღვრებთან ურთიერთობისათვის რომ არსებობდა.

მდივნებს, რომელთაც არ ჰქონდათ უახლოესი საერთო ხელმძღვანელობა, არ შეიძლებოდა სხვადასხვა მხარესაკენ არ გაენიათ, მაგრამ არც ამაზეა აქ ლაპარაკი.

ასეთი წესი შემოიღეს, – ვერ ვიტყვი რომელი დროიდან, რადგან გიამბობთ იმას, რაც პირადად მე ვიცი, – მაგრამ არსებობდა კი ის განუწყვეტლივ შემდეგი მთავარ-მართველების დროსაც: ერმოლოვისა (1817-1827), პასკევიჩისა (1827-1831) და ბარონი როზენისა (1831-1837).

გოლოვინის დანიშვნით ეს წესი არსებითად შეიცვალა:

დაარსდა მასთან კანცელარია დირექტორის უფროსობით, სადაც იყო სამი განყოფილება: სათადარიგო,²⁰ სამეურნეო და სასამართლოსი.

ამას გარდა შესდგა ცალკე საბჭო რთული ან რაიმე მხრივ მძიმე ხასიათის საქმეთა შესახებ კოლეგიალურად მოლაპარაკებისათვის.

ორივე ეს დაწესებულება, კანცელარიაც და საბჭოც, მალე დანაშაულები ინსტრუქციით ხელმძღვანელობდა.

გენერალი ნეიდგარტის დანიშვნით კი 1842 წელს კიდევ ერთი ახალი წესი შემოიღეს:

იმის მაგალითით, რომ სამხედრო მართველობაში ჯარის შესახები საქმეები მხედართ-მთავართან მიდიოდნენ მთავარი შტაბის უფროსის მეშვეობით და მისგანვე იძლეოდა ბრძანებანი, – მხარის მართველობაშიც დაარსდა თანამდებობა სამოქალაქო მართველობის უფროსისა, რომელმაც კანცელარიის დირექტორის და მთავარ-მართველის შორის შუა ადგილი დაიჭირა.

ერთ-ერთ იმ შემთხვევათა მიზეზით, რომელიც აუხსნელი რჩება ხოლმე, ალბათ იმის გამო, რომ ამის ახსნა თავის დროზე არავის არ ჰქონდა წარმოდგენილი საინტერესოდ, – გენერალ-ადიუტანტი ნეიდგარტთან დაინიშნენ:

მთავარი შტაბის უფროსად გენერალ-ლეიტენანტი ვლად. ალ. გურკო, კაცი ყოვლად ღირსეული თვისი დიდი თანამდებობისათვის, და სამოქალაქო მართველობის უფროსად მეორე გენერალ-ლეიტენანტი გურკო, სახელად იოსებ ალექსანდრესძე.²¹

მათ შორის, გარდა ხარისხისა, მამის სახელისა და ერთგვარობისა საერთო არა იყო რა; არ იყო, როგორც მახსოვს, ნათესავობაც კი.

ორი ის შემთხვევა, რომელთა შესახებაც ახლა გიამბობთ, ეხება მხოლოდ ჩვენსას, სამოქალაქოს, და იმედი მაქვს, რომ მას საკმარისად დახატავს.

განყოფილებათა უფროსები საქმეებს ახლა კანცელარიის დირექტორს მოახსენებდნენ ხოლმე და შემდეგ გენერალ გურკოს.

დირექტორი იყო ფრიად საქმის კაცი, ჰქონდა დიდი მესხიერება და კალამიც კარგად უჭრიდა. არ ჰქონდა მხოლოდ გამოთქმის ნიჭი; ამიტომ მომხსენებლებს პირადად არაფრის განმარტებას არ მოუყვებოდა და თუ ქალაქი არ მოსწონდა, მხოლოდ ზედ ნაანერდა ხოლმე: ე ს ა ს ე ა რ ა რ ი ს!

განყოფილების უფროსებს ამის გამო შრომა ურთულდებოდათ; ვისთვის ეკითხათ, როგორ რა გასწორებულყო? მაგრამ ამაზე დრტინვას კი არავინ არ ფიქრობდა, ისე ღრმად სცემდნენ პატივს უსიტყვო სერგ. თედ. ვასილკოვსკის ნიჭსა და კეთილგანზრახვებს. გურკოსთან კი საქმე სხვანაირად რიგდებოდა.

სამმართველოს საქმეებისა, რომელთაც ის უფროსობდა, სულ არა გაეგებოდა რა, ხოლო პატივის-მოყვარულობა კი დიდი ჰქონდა და რაც მეტად ცდილობდა ამ უცოდინარობის დაფარვას, მით უფრო ცხადი ხდებოდა მომხსენებლებთან

იმის უთავბოლო შეკამათებაში. ამით მათ ბევრ დროს აკარგვინებდა და საქმეთა შეფერხება ახსნა განმარტების დროს, ხანდახან უკმეხობას იწვევდა. ეს კი იქამდე მიდიოდა, რომ ჩვენს გურკოს ზვიადობა და ეგრედ წოდებული თავის თავზე წარმოდგენა ემატებოდა.

– თქვენ აასრულეთ ჩემი უმაღლესი ბრძანება? – შემეკითხა ერთხელ მოხსენების დროს.

– ნებას მივსცემ ჩემს თავს, თქვენთვისვე გირჩიოთ, რომ...

– როგორ მიბედავთ მე რჩევის მოცემას?

– მაშინ მოგახსენებთ პირდაპირ, რომ თქვენ ყოველგვარად ერიდეთ სიტყვა უ მ ა ლ ლ ე ს ბ რ ძ ა ნ ე ბ ი ს ხმარებას!

– რადაო?

– იმიტომ, რომ უმაღლეს ბრძანებას იძლევა მხოლოდ ხელმწიფე იმპერატორი და არავინ სხვა!

გურკო მთლად გაშტერდა.

– ჰო, მე უნდა მეთქვა – ჩემი ბრძანება მეთქი.

– ბრძანება შეგიძლიანთ მხოლოდ თქვენი დენსჩიკებისა და ლაქიებისა; ჩვენ კი ხელმწიფის მოხელენი ვართ.

– მაშ როგორ? რანაირად-ლა ვსთქვა ხოლმე?

– შეგიძლიანთ დაგვავალოთ; შეგიძლიანთ გ ვ თ ხ ო ვ ო თ, რადგან კარგად იცით, რომ თ ხ ო ვ ნ ა ს ყველა ჩვენგანი ბრძანებად მიიღებს. სამოქალაქო სამსახურში მიღებული არ არის მკვახე ლაპარაკი. ჩვენ ხომ ცოტად თუ ბევრად განათლებული ხალხი ვართ და განათლება კი, როგორც თქვენს აღმატებულებას მოეხსენება, ყველას გვათანასწორებს.

ამ ჩემმა საქციელმა ისეთი დამანყნარებელი შთაბეჭდილება იქონია გურკოზე, რომ შემეცოდა კიდევაც.

მაგრამ ეს იმას, რასაკვირველია, ვერ გარდაჰქმნიდა!

მაღე მოხდა მეორე შემთხვევაც.

დანყება კიდევ შორიდან მიხდება.

1841 წ. გურიაში აღელვებამ იფეთქა. (ეხლანდელი ოზურგეთის მაზრა ქუთაისის გუბერნიაში).

ამ აღწერების ოფიციალური მიზეზი მე არ ვიცი, ხოლო ვიცი ორი ნამდვილი და არსებითი მიზეზი: ა) მოთხოვნა გადასახადისა ფულად, და ბ) ბრძანება კარტოფილის მოყვანისა.

ნებას ვაძლევ ჩემს თავს ვფიქრობდე, რომ საზოგადოთ ხალხის გულისწყრომის აფეთქება, ერქმევა იმას აღწერება თუ ამბობება, ხანდახან შეიქმნება ხოლმე ხელოვნურად, – ხოლო უმეტეს შემთხვევაში კი, როგორც იყო აქაც, გამონეწულია მხოლოდ მმართველთა დაუფიქრებლობითა და წინდაუხედავობით, საქმეს რომ აურევენ და ბოლოს წყლიდან თვითონ მშრალეები გამოდიან, თითქო ამით საქმე გააკეთესო.

მართველობის ორგანიზაციის გარდაქმნა 1840 წ., ზემოთ რომ მქონდა მოყვანილი, რა თქმა უნდა, გურიასაც შეეხო: დაარსდა იქ მაზრის სამმართველო და პირველად შემოიღეს გადასახადების ფულად შეწერა.

ამ შეწერის დროს არსად არავინ არ დაჰკითხებია თავის თავს, შეიძლებოდა თუ არა მისი რეალიზაცია?

ეს კითხვა რომ დაყენებულიყო ვისგანმე, მის გადასაჭრელად წარმოსდგენოდა აი ასეთი მოსაზრებანი:

რუსული მართველობა შემოღებული იყო გურიაში 1829 წ. ამ მართველობის მთელი პერსონალიდან მხოლოდ გურიის დროებითი მართველობის თავმჯდომარე, რუსი ოფიცერი იღებდა ფულად ჯამაგირს 600 მან. წელიწადში. დანარჩენი მთელი პერსონალი მართველობისა, თავიდანვე არსებული წესით ჯამაგირს იღებდა ნატურით: თვითეული გადაჭრილ რიცხვს საკლავისას და გადაჭრილ წონას ღომისა და სიმინდისას.

მაშასადამე ადმინისტრაციას გურიაში მხოლოდ 600 მანეთი შემოჰქონდა ფულად; ხოლო ეს ფულიც მაშინვე ქუთაისში მიდიოდა, სადაც შეიძლებოდა შოვნა ხორბლეული-სა, ჩაისა, ყავისა, შაქრისა და ტანსაცმელის.

ვნახოთ ახლა რა შემოჰქონდა ვაჭრობას.

იქ იყო ერთად-ერთი სავაჭრო კუთხე დევაბზუ, სადაც 20-30 ჩალვადარი თათარი მთელ გურიაში აწარმოებდა გაცვლა-გამოცვლის ვაჭრობას.²²

ფულის ნიშნებად ტრიალებდა ერთად-ერთი თათრული ფარა, ლითონის ისეთი მცირე წონისა, რომ ხელის-გულიდან შებერვით ასობით ადვილად გადაიყრებოდა, კაპიკის $\frac{1}{20}$ -ს, თუ უფრო ნაკლებს რომ უდრიდა.

მე ვიყავ გენერალ ესპეხოსთან ერთად გურიაში 1837 წ., მაგრამ მაშინაც კი მხოლოდ დიდმა მოხელეებმა იცოდნენ, თუ რა იყო რუსული ფული.

ვგონებ ცხადია, რომ 1840 წ. გადასახადების ფულად განწერა ძალიან მოუფიქრებელი რამ იყო.

მაგრამ განწერა იყო და პოლიციაც ფულს თხოულობდა, ხოლო უარის თქმაზე ეგზეკუციას აყენებდა.

ამას მიემატა კიდევ სასტიკი მოთხოვნა კარტოფილის მოყვანისა. რა სალაპარაკოა – მშვენიერი რამ არის! მაგრამ გურულები ღომსა და სიმინდს არიან შეჩვეულნი; ერთიც და მეორეც საკმარისი ჰქონდათ; მოუსავლობისა თავის დღეში არა იცოდნენ-რა. მაშ რად უნდოდათ კარტოფილი?

„ხმა არ ამოიღოთ!...“

აქ უნდა გავიხსენოთ კიდევ ერთი გარემოება, ეს არის უაღრესად მოთაკილე და წყენის ფიცხად ამყოლი ხასიათი გურულებისა.

აქ კი თითქმის ყოველ სახლში ჩაყენებული ყაზახები, ძალიან ზრდილობიანნი, ვსთქვათ, მაგრამ მაინც ყაზახები.

ჰო და აი განმეორება იმისი, რაც 1811 წ. კახეთში იყო;²³ „მომეცი, რაც არა გაქვს, თუნდ გაუჩენელი გააჩინე, და სჭამე, რაც არ გინდა, ყელზეც რომ გადგებოდესო“.*

გაისმა ჯერ კვნესა, მერე ყვირილი, შემდეგ ტკაც-ტკუც და აპრიალდა ერთბაშად გურია, ეს პატარა, მშვენიერი მხ-

* რუსულად: „Давай чего нет, хоть роди, да подавай, и ешь чего не хочешь! Хоть подавись, да ешь“.

რედ. [სიმ. ხუნდაძე].

არე, დასახლებული მართლმადიდებელი, პატიოსანი, მამაცი ხალხით, მტკიცეთი თავის ერთგულებაში 1841 წლამდე და შემდეგში, მეტადრე 1853-1856 და 1877-1878 წლების ომებში.*

პოლკოვნიკი ბრუსილოვი, ადგილობრივი უფროსი და გენერალი კახანოვი, მაშინდელი უფროსი საფოსტო ოლქისა, მთელი თავისი სამხედრო მცირე ძალებით ოზურგეთში მოხვდნენ გარშემორტყმულნი.

გენერალმა გოლოვინმა მათ მისაშველებლად და ამბოხების ჩასაქარობად გაგზავნა პოლკოვნიკი თ-დი არლუთინსკი, შემდეგში შამილთან ომში სახელგანთქმული ჩვენი გენერალი, და თვითონ რომ დაამთავრა საჩქაროდ ექსპედიცია დაღესტანში, გაეშურა ქუთაისს, შტაბის უფროსი პავ. ასტაფ. კოცებუთი (ახლა გრაფია) და გენერალური შტაბის ადიუტანტებისა და ოფიცრების საკმაო რიცხვით.

მე მხვდა პატივი მოძრავი კანცელარიის მსგავსი რამ ვყოფილიყავ.

მაგრამ ქუთაისს იქით ჩვენ წასვლა არ მოგვიხდა. თ-დმა არლუთინსკიმ ეს საქმეც ბრწყინვალედ დაამთავრა, როგორც ჩვეულებრივ იყო ხოლმე საომარი მისი ღვაწლი.

აქ დაანინაურა მან კაპიტანი თ-დი ორბელიანი, შემდეგში გენერალ ადიუტანტი, გენერალი ინფანტერიისა, გრიგოლ დიმიტრის ძე, ერთხელ რომ ასრულებდა კავკასიის მთავარ-მართებლის თანამდებობას.

ამნაირად ჩააქრეს გურიის აფეთქება, მაგრამ ჭკუის სასწავლებლად კი ყველაზე მეტი ის იყო, რომ გურიას, იმის გარდა, რაც შიგ ერთდროულად რუსის ოქრო ჩაითესა, ამბოხების ჩასაქარობად ხელშემწყობთათვის პენსიის სახით ჩვენი ხაზ-

* ამ დროსაც, 1856 წ., მე ვიყავი გურიაში, ახლა თ-დ ვას. ოს. ბებუთოვთან, მისი მოძრავი კანცელარიის დირექტორად და რაზმის ხაზინადრად; მაშინ გურიაში რუსის ერთი მხედარიც აღარ იყო. გურულები თვითონ იფარავდნენ თავსაც და ჩვენი რაზმის ზურგსაც თათრების მოწოლისაგან.

ინიდან ეძლეოდა მგონი ათჯერ მეტი იმაზე, რასაც მისგან თხოულობდნენ გადასახადებისას; ხოლო კარტოფილზე კი ხმაც აღარავის ამოუღია.

გენერალი გოლოვინი მთელი თავისი ამალით ერთ კვირამდე დარჩა ქუთაისში.

მე დამავალა, ამ ხნის განმავლობაში ქუთაისის მაზრის სამართველოს საქმის წარმოება გადამეთვალეიერებინა. ეს იყო 1841 წ. სექტემბრის დამლევს.

როგორც ახლა, ისე მახსოვს რიცხვები:

პირველი იანვრიდან აღძრული იყო საქმე	4 000
შემოსული ქალაქი იყო.....	12 800
გასული	13 000
მოხელე	40-მდე

თითქმის ამდენივე ითვლებოდა გურიის მაზრის სამართველოშიც, არეულობამდე.

სამეგრელო, აფხაზეთი და სვანეთი კი აღარ შედიოდნენ იმერეთის მართველობაში.

ერთი წლის წინად, არსებულ კანცელარიას, რომელიც მართო განაგებდა ყველა ამ მხარეს და სასამართლოს საქმეებისათვისაც მეორე ინსტანციის მსგავს რამეს შეადგენდა, ჰყავდა მოხელეთ სულ 10 კაცამდე:

საქმე წლის განმავლობაში.....	1 200-მდე
შემოსული ქალაქი	5 000- „
გასული	6 000- „

ზემოთ აღნიშნული და ეხლანდელი ციფრების შედარებამ დაანახვა, რომ უნდა მოხერხებულიყო რამე სამოქალაქო ნაწილში საქმეთა და მიწერ-მოწერის სწრაფი გამრავლების შესაჩერებლად.

– აიღეთ წესდებანი და შტატები სხვადასხვა დაწესებულებათა, ასეთები, საპოლიციოს გარდა, ბევრია რუსეთში; მოისაზრეთ და მოიფიქრეთ, თუ როგორ შეამოკლოთ საკანცელარიო საქმეთა წარმოების წესები, რომ დრო ჰქონდეს კაცს ხანდახან საქმესაც ჩაუკვირდეს; თორემ იქამდე მივალთ, რომ მიწის მომხვნელი აღარავინ იქნება, ყველა წერას დაინყებს.

დაახლოებით ასეთი სიტყვებით მომანდო საქმე გენერალმა გოლოვინმა 1841 წ.

მის მოადგილეს, გენერალ ნეიდგარტს არ შეეძლო ყურადღება არ მიექცია ამისათვის 1842 წელს და, რა თქმა უნდა, მოახსენეს მაშინ იმას, რომ ეს საქმე მე მქონდა მონდობილი.

– თქვენ მოგანდოთ ევგენი ალექსანდრეს ძემ კანცელარიის მიწერ-მონერის შემოკლება? – მეკითხება ნეიდგარტი ჩვენს გურკოსთან.

– დიახ, მე.

– მერე, მოისაზრეთ რამე გეგმა?

– გეგმა მოვისაზრე, მაგრამ დაწერა არ არის ჩემთვის ადვილი.

– აბა მიაბზეთ რაში გამოიხატება? მეც ხომ მესმის ცოტაოდენი.

მე დავიწყე ახსნა. მისმენენ ყურადღებით. ვხედავ, რომ ნეიდგარტს მართლა ესმის და მის სახეზე თანდათან მეტი მონონება იხატება.

– ჰო! აზრი სწორეა. შეიძლება მიღწევა. მერე რალა გაბრკოლებთ?

– დროს უქონლობა; თქვენი კანცელარიის უფროსს არავითარი საშვალეა არ აქვს პროექტების საქმე აწარმოოს ისე, რომ მიმდინარე საქმეებს ხელი არ შეეშალოს.

– შელავათია რამეში თქვენთვის საჭირო?

– აუცილებელი.

– აბა რაში გჭირდებათ შელავათი, თქვენ უკეთ გეცოდინებათ; მოიფიქრეთ და მითხარით.

მოვიფიქრე და უთხარი, მითითებებით გურკოზე.

– გამანთავისუფლეთ მათი აღმატებულების მოხსენებებიდან!

– იოსებ ალექს., თქვენ რას იტყვით ამაზე?

– როგორც თქვენი ნებაა, როგორც თქვენი ნებაა!

– აბა, მაშ გამინთავისუფლებიხართ.

გამოვედი სრულიად კმაყოფილი.

მაგრამ გურკო თურმე ჩახვდა საქმეს და რამოდენიმე ხნის შემდეგ დამიბარა თავისთან.

– როგორ მიეცით თქვენს თავს ნება გეთქვათ, რომ გამენთავისუფლებინეთ ჩემი მოხსენებებიდან? ეგ ხომ...

– თუ ეს თქვენ გენყინათ, ახლავ წავალ და მოვახსენებ, რომ მონდობილ საქმეზე უარს ვამბობ!

– არა, არა! მე ამას მხოლოდ ისე ვამბობ, მე მხოლოდ მინდა ვიცოდე, თქვენ რად...

– მე გადაჭრით უარს ვამბობ მონდობილ საქმეზე!

– რას ამბობთ, რასა? კარგია ერთი გეთაყვა! არაფერს აღარ ვამბობ, სრულებით არაფერსა!

მოიკუნტა!

დრო კი მართლა რომ ცოტა არ მოვიგე მისი მოხსენებების თავიდან აცილებითა.

12.

„ყალბი კომისია“. – თავად-აზნაურობის წარმომადგენლობა. – თავად-აზნაურთა პირადი უფლებების გამორკვევა. – მოთხოვნები,

რომლებმაც გამოიწვიეს დანაშაულის ჩადენა. – 1844 წლის

საკანონმდებლო აქტი. – საქმის განმარტება. –

გრაფი ვორონცოვის წასარჩლება და 1844 წ. აქტის გაუქმება 1846 წელს. – 1783 წლის ტრაქტატი. – თავად-აზნაურთა კომისიები

ტფილისსა და ქუთაისში. – ინსტრუქციები. –

პ. ა. ლადინსკი. – ვ. ნ. სემიონოვი. – შეტაკება.

რომ გასაგები იყოს აქ ერთი შეტაკება, საჭიროა ჩახედვა იმ საქმეებში, რომელთაც ის გამოიწვიეს.

თანამედროვე კრიმინალისტები, სხვათა შორის, იმ საერთო დებულებამდინაც მივიდნენ, რომ ყოველ დანაშაულს ლეგალური გზით დაკმაყოფილების შეუძლებლობა ჰბადებს.

მეცნიერება, მაშასადამე, უნდა ასწავლიდეს რამდენადაც შეიძლება ამ მიზეზით გამოწვეულ შემთხვევათა შემცირებას, გონების მისწრაფებათა დარღვევის თავიდან აცილებას.

მაგრამ იმ დროს, როდესაც უნივერსიტეტებსა და აკადემიებში ამ მეცნიერებას ასწავლიან, ხელისუფლების დაბალი აგენტები, მოქმედებენ რა თავიანთ სფეროში საკუთარი გონებით ისე, ვისაც როგორ მოუვა თავში, მხოლოდ თავიანთი მოუსაზრებლობით და შეუგნებლობით, მეტად თუ ნაკლებად დიდს დანაშაულს ჰბადებენ ხოლმე. ჰბადებენ იქ, სადაც საქმეთა ნორმალური წაძლოლით არ შეიძლებოდა ამისათვის საბაზი ყოფილიყო.

ასეთი იყო შედგენა ყალბი დოკუმენტებისა და მეტადრე ღრამატებისა აზნაურობის ხარისხზე საქართველოში.

ამ დანაშაულის გამოააშკარავებამ 1830 წელს დიდათ დააღონა მთელი საზოგადოება როგორც იმიტომ, რომ ამისათანა რამ არავის არ ახსოვდა უწინდელი წყობილების დროს, ისე იმიტომაც მეტადრე, რომ აქაური მთავრობისა და სასამართლოს ყველა დანესებულებაში შეაჩერეს მსვლელობა ყველა საქმისა, რომელშიაც ძველი დოკუმენტები იყო ჩართული, სანამ ეს დოკუმენტები განსაკუთრებით არ გაირჩევოდა.

ხოლო გარჩევა მათი კი ცოტა ხანს არ გაგრძელებულა, თუ მხედველობაში მივიღებთ იმას, რომ ამ გარჩევისათვის დაარსებულმა მრავალრიცხოვანმა კომისიამ ათ წელიწადზე მეტი იარსება ტფილისში.

თავად-აზნაურთა წარმომადგენლობა საქართველოში რუსეთის მართველობის დამყარებიდანვე იყო დანესებული. თავად-აზნაურთა სადებუტატო საკრებულო, ვგონებ, მხოლოდ 1818 წელს დაანესეს; მაგრამ საყურადღებო ის კი არ არის, თუ დანამდვილებით როდის დაანესეს, არამედ ისა,

რომ იმას უნდა ემოქმედნა შიდა რუსეთში არსებული საერთო ნესების ზედმიწევნით დაცვით. ხოლო ამ ნესებით აღიარება ჩამომავლობისა ტიტულიანი და უტიტულო აზნაურობის ღირსებით შეიძლებოდა მომხდარიყო მხოლოდ უწინდელი დროის აქტების მიხედვით, რომელნიც ამტკიცებდნენ, რომ ეს ღირსება უეჭველად ეკუთვნოდა ამ ჩამომავლობას. ხოლო ვინ ეკუთვნოდა ამ ჩამომავლობას, ამის დამტკიცება შეეძლოთ მეტრიკული მოწმობებით.

ახლა, როცა უფრო დამშვიდებით შეიძლება საგნის განხილვა, გაუგებარი ხდება კაცისათვის, თუ როგორ შეიძლება საქმეს ხელი მოჰკიდო, რანაირიც უნდა იყოს, როდესაც არავითარი წარმოდგენა არა გაქვს მისი არსებითი მხარისა.

ასეთ პატარა სამეფოებში, როგორც მაგალითად საქართველო* ან იმერეთი იყო, სადაც დინასტიურ მეფეს, და არა მოსულს, არ შეეძლო პირადად არ სცნობოდა თვისი თავად-აზნაურობა, სხვათა შორის არ შეიძლებოდა პატარა არისტოკრატიულ საზოგადოებათა ეთიკეტიც არ დამყარებულიყო.

აქ, იქნება იმ დროიდანაც, როდესაც მეფე ალექსანდრემ მე-XV საუკუნის დასაწყისში იწება თვისი სამეფოს დაქუცმაცება სამს ცალ-ცალკე სამეფოთა და მათთან დამოუკიდებელ რამდენიმე სამთავროთ, – შემოღებულიყო ზრდილობის თავისებური მოთხოვნა: არც პირადს და არც წერილობითს მიმართვაში, ვის მიმართაც უნდა ყოფილიყო მაღალი ნოდებიდან, არ შეიძლებოდა ის მოხსენებულიყო თავადად ან აზნაურად ისე, რომ კითხვა არ გამოეწვია: „განა ვისთვის არის ეს ახალი, რომ მე თავადი ვარ, ან აზნაური? ან ვინ არ იცის ესაო“.

ამიტომ თავად-აზნაურობის წერილობით დამტკიცებაზე ჩვენს ქვეყანაში არას დროს არ უნდა აღძრულიყო ლაპარა-

* ამ თერმინით მე-XIX-ე საუკუნის პირველ ნახევრის ოფიციალურ დოკუმენტებში გულისხმობდნენ ქართლ-კახეთს.

რედ. [სიმ. ხუნდაძე].

კი, მეტადრე მაშინ, როდესაც თავად-აზნაურთა ყველა ჩამომავალნი ცნობილნი იყვნენ ისეთი აქტით, როგორც არის ტრაქტატი.²⁴

მაგრამ გარემოებანი შეიცვალნენ; ჩვენი მეფე ახლა სრულიად რუსეთის იმპერატორია, რომლისათვის პირადი ცნობა ყველა თვისი თავად-აზნაურისა შეუძლებელია. მაშასადამე საჭირო იყო ცნობაში მოყვანა იმისა, თუ ამ ახალ საიმპერატორო მფლობელობაში ვის ჰქონდა უფლება თავადობისა თუ აზნაურობის ღირსებისა.

და ეს საჭიროება შეიგნეს ახალი ხელისუფლების აგენტებმა. ხოლო ისეთი აგენტი, როგორც იოს. ალექს. გურკო იყო, თავის თავს რომ უფლებას აძლევდა ანგარიშმიუცემლად განკარგულებაც გაეცა, და ასე გაშინჯეთ, ებრძანებია კიდევ, საჭიროდ არ სთვლიდა არც იმის მოცდას, რომ მალლიდან მოეთხოვნათ, არც იმაზე ფიქრს, რომ ეს მოთხოვნა იქნებ უკვე ნავარაუდვეი არის და ასრულებულიც.

საქართველოს თავად-აზნაურთ ავტორიტეტულად განუმარტეს, რომ პეტერბურგში სენატის გეროლდიის წინაშე ვინც ვერ დაამტკიცებდა სადეპუტატო საკრებულოს მეშვეობით თავის თავადობის ან აზნაურობის ღირსების უფლებას, ის მოხარკე წოდებაში იქნება გადარიცხული.

ეს, მაშინდელი სოფლმხედველობით, არ შეიძლებოდა საშინელ მუქარად არ მოსჩვენებოდათ და არ მოენდომებინათ მისი თავიდან აცილება, რა საშუალებითაც უნდა ყოფილიყო.

და აამუშავეს ყოველი ღონისძიება: თუ თხოვნები, თუ ფული, რაც კი გააჩნდათ, თუ ძველებური ოქრო-ვერცხლის სამკაული ოჯახისა, ოღონდ კი როგორმე მიეღოთ წერილობითი საბუთი; გამოამზევეს გაყვითლებული დოკუმენტები; განვითარდა მათი ფალსიფიკაციის დანაშაულობა.

და ეს ყველაფერი იყო მხოლოდ იმიტომ, რომ მაშინდელი საგუბერნიო და სამაზრო დაწესებულებათა მთელი პერსონალი შესდგებოდა იოსებ ალექსანდრეს-ძეებისაგან, რომლებიც უეჭვო პატიოსნებით სავსენი იყვნენ და სრულიად კეთილი

განზრახვებით, მაგრამ თან ისეთებიც, რომლებიც არას დროს არ ცდილან სიმწიფის ატესტატის მიღებას და ამიტომ, მიუხედავად თავისი ოფიციალური მდგომარეობისა, უ პ ა ს უ ხ ი ს მ გ ე ბ ლ ო დ ს თ ვ ლ ი დ ნ ე ნ თ ა ვ ი ა ნ თ თ ა ვ ს ა.

არავის მათგანს აზრათაც არ მოსდიოდა, რასაკვირველია, რომ ყოველ საქმეს, ყოველ საკითხს უნდა ჰქონდეს თავისი დასაწყისი და მაშასადამე ისტორიაც; ამიტომ ამ საქმესაც არ შეიძლება არ ჰქონოდა თავისი ისტორია და საჭირო იყო, უნინარეს ყოვლისა, მისი გაცნობა.

ხოლო ეს რომ ფიქრად მოსვლოდა ვისმე, ამ საქმის ცხადი, სწორი განმარტება დაუყოვნებლივ, ასე ვსთქვათ, თავისთავად წარმოსდგებოდა.

მაგრამ არავინ არ იფიქრა ამაზე არა თუ 1830 წ. ყალბი დოკუმენტების შესახებ დაარსებული კომისიის წინადა, ან მისი მოქმედების ათი წლის განმავლობაში, არამედ კომისიის მოღვაწეობის შედეგების საბოლოო განხილვის დროსაც კი.

ასეთი ზერელე მსჯელობის მიხედვით 1844 წ. გამოვიდა უქაზი, რომლითაც სახელმწიფო საბჭოს მოსაზრებაზე დაყრდნობით შემოღებულ იქნებოდა ისეთი წესი, მართლა რომ სპობდა ღრამატების ყალბად შედგენას შემდეგში,²⁵ მაგრამ ს რ უ ლ ი ა დ შ ე უ ძ ლ ე ბ ლ ა დ ხ დ ი და თავადობის ან აზნაურობის ჩამომავლობის დამტკიცებას ისეთ გვარიშვილებისათვისაც კი, როგორიც არიან ერისთავები, ამილახვრები, აბაშიძეები, ანდრონიკოვები და მრავალი სხვები.

აზნაურობის უფლების მიღებისათვის თხოულობდნენ ამ უქაზით:

1. წარმოედგინათ ღრამატა თავადობის ან აზნაურობის ღირსების ბოძებისა.

2. სინამდვილე და უეჭველობა ამ ღრამატისა უნდა დამტკიცებულიყო მთავრობისათვის ცნობილ ორმოცდარვა თავადისა და აზნაურის მონაშობით, რომელიც წარმოდგენილი უნდა ყოფილიყო ფიცის ქვეშ თავად-აზნაურთა დეკრეტების საკრებულოს თანადასწრებით.

3. თუ ბოძებული ღრამატა თავადობაზე ან აზნაურობაზე დაკარგული იყო, უნდა წარმოედგინათ იმნაირადვე და იქვე, მაზრის ყველა თავად-აზნაურთაგან და ზოგს შემთხვევაში მთელი გუბერნიის თავად-აზნაურთაგანაც ჩვენება იმის შესახებ, რომ იმათ პირადად იცინან, რომ იყო ესა და ეს ღრამატა, ამადაამ მეფისა ამადაამ პირზე ბოძებული და ის დაიკარგა ამადაამ დროს, ამადაამ შემთხვევის გამო და ყოველივე ეს ამრიგად უნდა გატარებულიყო თვითეულ გვარზე ცალ-ცალკე.

ყველა ამას ვსწერ, როგორც მახსოვს და რასაკვირველია არ ვამტკიცებ, რომ სიტყვა-სიტყვით ასეთი იყო უქაზი 1844 წლისა; ხოლო თავმდეები ვარ მისი აზრის სინამდვილისა, რაც თავისთავად ცხადი შეიქმნება შემდეგი ამბავიდანაც.

ვსტოვებ-რა ხელმეუხებლად საკითხს იმაზე, თუ რა იქნებოდა რომ ეს უქაზი აღსრულებაში მოყვანილიყო, გადავდივარ პირდაპირ იმაზე, თუ როგორ მოხდა, რომ ის აღსრულებული არ იყო.

ეს მოხდა სულ უბრალოდ.

1845 წ. დამდეგს ტფილისში მობრძანდა გრაფი მ ი ხ. ს ი მ. ვორონცოვი.²⁶ ხოლო უკვე არა მთავრ-მართებლის წოდებით, არამედ მისი იმპერატორობითი უმაღლესობის მოადგილედ, რომელსაც ჰქონდა მინიჭებული მთავრ-მართებლობის ყოველ დარგში, გარდა სამხედროსი, – მინისტრის სრული უფლებანი, ე. ი. ხელმწიფესთან უშუალო მოხსენებებისა, თუ უქვემდებარდომილეს წარდგენათა უფლებები.²⁷

გრაფი ვორონცოვი იყო აქ ახალგაზრდობაშიც, მთავრ-მართებელი ციციანოვის დროს;²⁸ იცნობდა მაშინ, მისივე სიტყვით, ღირსეულ თავად-აზნაურობას; – ახლაც შერჩენოდა მას ღრმა პატივისცემის გრძნობა ამ წოდებისადმი, ხოლო შემდეგში ერთი მისი მოადგილეთაგანი, ფელ-მარშალი თ-დი ბარიათინსკი ქართველ თავად-აზნაურობაში სცნობდა ნამდვილ არისტოკრატას, და სწუხდა იმ გაჭირვების გამო, რომელიც აღნიშნულ უქაზით ამ თავად-აზნაურობას დასდგომოდა.

მაშინ მთავარ-მართებლობის კანცელარიის განყოფილების უფროსად ვიყავი და ჩემს თავს ნება მივეცი და კანცელარიის დირექტორს ვასილკოვსკის ბარათი მივართვი იმის შესახებ, რომ 1844 წ. უქაზით პირდაპირ ირღვეოდა ერთი ძირითადი პირობებთაგანი ისეთი სახელმწიფოებრივი აქტისა, როგორც იყო ტრაქტატი, 1873 წ. იმპერატრიცა ეკატერინე მეორესა და მეფე ერეკლეს შორის დადებული.

როგორ? რანაირად?..

გადმოვიღე თაროდან 1783 წლის ტომი კანონთა სრული კრებულისა, გადაუშალე და გადავეცი შიგ მოყვანილი ტრაქტატი წასაკითხავად.

დარწმუნდნენ, რომ საქართველოს თავად-აზნაურთ, რომელთა სია ცალკე უნდა ყოფილიყო წარმოდგენილი ერეკლე მეფისაგან, ტრაქტატი სცნობდა თანაბარი უფლებებით რუსეთის თავად-აზნაურობასთან, და რომ თვით სიაც თავის დროზე იყო წარდგენილი და ჩართული ტომთან;²⁹ ჩამოთვლილი იყო შიგ ამნაირად მიღებული ყველა გვარი საქართველოს თავად-აზნაურობისა!

მაშ ეს ალიაქოთი რილასთვის იყო?

ახლა საჭირო იყო მხოლოდ იმის დამტკიცება, რომ ესა და ის პირები ეკუთვნოდნენ წარდგენილ გვარებს. ეს კი უფრო ადვილად შეიძლებოდა მეტრიკული მონუმენტების გარეშე, რადგან მეტრიკის წიგნები შემოღებული იყო აქ დეპუტატთა საკრებულოსთან ერთად, ე. ი. მხოლოდ 1818 წლიდან.

შეუდგენ იმის შესახებ მსჯელობას, თუ როგორ გაეტარებიათ ეს ცხოვრებაში. ხოლო ამავე დროს 1844 წლის უქაზის აღსრულებაში მოყვანა შეაჩერეს მეფის მოადგილის მიერ ამისათვის მიცემული უფლებით.

მსჯელობამ კი იქამდე მიიყვანა, რომ უფრო ნამდვილი და უფრო ღირსეული იქნებოდა, რომ თვით თავად-აზნაურობას მინდობოდა თავადთა და აზნაურთა გვარების ყველა წევრის ცნობაში მოყვანა, ამისათვის კი საჭირო იყო თავიანთ შორის საგანგებო კომისიის ამორჩევა და მთავრობისაგან ერთი ან

ორი წევრის ჩამატება, რომ საქმის წარმოების დროს სათანადო წესი ყოფილიყო დაცული.

ხოლო რადგან იერარქიული გამგებლობა სრულებით ერთნაირი იყო როგორც საქართველოში, ისე იმერეთსა და გურიაში,³⁰ ამიტომ საჭირო იყო ასეთივე კომისიის დაწესება ქუთაისშიაც.

აქ ზედმეტი არ იქნება გავიხსენოთ და შენიშვნის სახით მოვიყვანოთ ის, რომ იმერეთის უფრო მრავალ-რიცხოვან თავად-აზნაურობაში, ცნობილ 1844 წ. უქაზის ძალით მხოლოდ 11-ტი თავადის შთამომავლობა იქნებოდა თავის უფლებებში დამტკიცებული, რადგან მეფე სოლომონ მე-2-სთან ერთად ამ 11 კაცს ჰქონდა 1804 წ. ხელმოწერილი ფიცის ქალაქი რუსეთის ქვეშევრდომობაზე,³¹ ხოლო აზნაურებიდან კი – არავინ. აგრეთვე არავინ არ იქნებოდა დამტკიცებული გურიის თავადებიდან და აზნაურებიდან. 1846 წ. გრაფ ვორონცოვს მოელოდა ნახვა იმპერატორი ნიკოლოზისა ვოზნესენსკაში და თან წაიღო იქ ამის შესახებ უქვეშევრდომილესი მოხსენებების პროექტი.

და აი ამას მოჰყვა საბოლოო უმაღლესი ბრძანება 1844 წლის უქაზის გაუქმებისა და თავად-აზნაურთა კომისიების დაარსებისა ტფილისსა და ქუთაისში.

უმთავრესი საფუძველნი ამ კომისიების მოქმედებისა მოყვანილი იყო შემდეგში სენატის მიერ კავკასიის მეფის-მოადგილის სახელზე გამოსულ უქაზში.

მაგრამ აქ საჭიროდ სცნეს ამ საფუძველთა განვითარებისათვის და მათი მტკიცედ ასრულებისათვის კომისიებს მისცემოდათ დაწვრილებითი ინსტრუქციები, რადგან უამისოდ შეუძლებელი იყო ცოდნა იმისი, თუ რა ჰქონდათ მოსაზრებასა და მხედველობაში უმაღლესად ნაჩვენებ ახალ წესებს.

იმ ხანად, როდესაც ეს უმაღლესი უქაზი გამოვიდა, კანცელარიის განყოფილების უფროსი, 1844 წლის უქაზის წინააღმდეგ რომ ლაპარაკი გაბედა, უკვე ამიერ-კავკასიის მთავარ-მართველობის საბჭოს საქმეთა მმართველად იყო.

ხოლო ამ საბჭოს წევრთა შორის ირჩეოდა მაშინ ახლად მოსული ტფილისში კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველი – ვას. ნიკ. სემიონოვი.

პირველს მათგანს, როგორც შემდეგში გამოსული ახალი წესების პროექტისა და უქვეშევრდომილესი მოხსენების რედაქტორს, დაკისრებული ჰქონდა შედგენა ინსტრუქციისა ტფილისის კომისიისათვის; ხოლო სემიონოვს – შედგენა ინსტრუქციისა ქუთაისის კომისიისათვის და თან ჩაბარებული ჰქონდა ისიც, რომ ქუთაისის გუბერნიის მაზრებში თავადთა და აზნაურთა შორის ამ კომისიის წევრთა არჩევნები მოეხდინა. კენჭის ყრას მაშინ ჯერ კიდევ არ იცნობდა ეს მხარე.

აი, ამ ინსტრუქციის შემადგენელთა შორის მოხდა ის შეტაკება, ამ ამბის საგანს რომ შეადგენს.

ყიფიანის ინსტრუქცია შედგენილი და დამტკიცებული მეფის-მოადგილის მიერ, გადაცემული იყო სახელმძღვანელოდ ბევრად უფრო ადრე, ვიდრე სემიონოვი აასრულებდა მაზე მინდობილ საკმარისად რთულ საქმეს, რომელიც იმდენად მეტ დროს თხოულობდა, რამდენადაც ის ნაკლებად იცნობდა საქმის ვითარებას.

მაგრამ ბოლოს თავისი შრომა იმანაც წარადგინა.

ის გადასცეს წინასწარ გადასასინჯავად საბჭოს თავმჯდომარეს, სამოქალაქო მართველობის უფროსს, გენერალ პეტრე ანტ. ლადინსკის.

გენერალი ლადინსკი საქმეს გულგრილად არასოდეს არ ეპყრობოდა და მით უფრო ამ საქმეს არ მოეპყრობოდა გულგრილად. ჯერ ისევ იუნკრის წოდებით მისი სამსახური საქართველოში 1801 წლიდან დაიწყო და გრძელდებოდა გენერლობის მიღებამდე. მისი სიცოცხლის ყველა საუკეთესო მოგონებანი ეკუთვნოდა ამ ქვეყანას; იმან, როგორც გრაფმა ვორონცოვმაც, იქნება უფრო დაწვრილებითაც, იცოდა ამ ქვეყნის წარსული, სიმპატიით ექცეოდა მას და ამიტომ ამ საქმეში ვორონცოვზე ნაკლები მხურვალე მონაწილეობა არ მიუღია.

ხოლო რადგან ამასთანავე სრულად და გულწრფელად მენდობოდა მე სამსახურის ყოველ საქმეში, ამიტომ ვ. ნ. სემიონოვის ყველა ქალღმერთი მე მომანდო, რომ გადამეშინჯა და გამომეთქვა ჩემი აზრი.

სემიონოვის ნაშრომის პირველსავე გაცნობიდანვე თვით ფორმიდანვე, რომელიც მისთვის მიეცა, ცხადი იყო, რომ იგი გატაცებული იყო იმ შეხედულებით, არა ერთხელ რომ გამოუთქვამს მას წინადაც: „მე რუსი ვარ და არ შემიძლია დაუშვა, რომ რუსებს უფრო უძნელდებოდეთ თავისი აზნაურობის დამტკიცება, ვიდრე ქართველებსო“.

მაგრამ მან ამ პატრიოტიზმით განიზრახა ძალიან დიდი სურვილი უმაღლესი ხელისუფლების გადამწყვეტილების გაუქმებისა და განიზრახა მეტად უვიცად.*

ჩემი აზრი გადავეცი გენერალ ლადინსკის სრული გულახდილობით.

– დიახ, ჩემი აზრიც ასეთი არის, – მითხრა იმან, – ხვალ ჩემთან მოვიწვევ და თქვენი აზრი იმასთან გამოსთქვით დანვრილებით. თუ ჩვენ დაგვეთანხმა, მაშინ თქვენ დაეხმარეთ გადაკეთებაში; თუ არა და – მე ხელები დამიბანია.

– მაპატიეთ, პეტრე ანტონისძე, მაგრამ როგორ შეიძლება ხელი დაიბანოთ იქ, სადაც სამსახურის მოვალეობის ასრულება საჭირო? დასწერეთ თქვენი აზრი და წარადგინეთ.

– არა! ის იქ ღონიერია. აქ უფრო შეგვიძლიან დავითანხმობთ და ამით გამოვასწოროთ საქმე.

– მაგრამ, თქვენო აღ-ბავ, თქვენ გინდათ ჩვენ ერთმანეთს დავეცაკოთ!

* ეს იყო ჩემი პირველი ბრძოლა რუს მოხელესთან, როდესაც მე მიხედობოდა რუსული უმაღლესი ხელისუფლების გადამწყვეტილების დაცვა, ხოლო არა პირფერობით, არამედ იმ რწმენით, რომ ასეთი გადამწყვეტილება შეურყევლად უნდა ტარდებოდეს ცხოვრებაში. სხვა შემთხვევები ასეთი ბრძოლისა მოყვანილი იქნება ჩემი მოგონებების შემდეგ ადგილებში.

– სამსახური? ახლა არა სთქვით, რომ სამსახური ყველაზე მაღლა სდგასო!

მეორე დღეს მოხდა ოთხი პირის კერძო სხდომა:

პ. ა. ლადინსკი, ვ. ნ. სემიონოვი, ყიფიანი და თ-დი მიხ. ოს. თუმანოვი, რომელიც ხელისუფალთაგან დავალებული თანდაყვებოდა სემიონოვს ყოველ მის მგზავრობასა და მოქმედებაში, ქუთაისის გუბერნიაში.

ილაპარაკა მხოლოდ ორმა შუამომხსენებელმა, ხოლო პირველი და უკანასკნელი ერთთავად მდუმარებდნენ.

– ვასილი ნიკოლოზის ძევ! – მივმართე მე სემიონოვს, – თქვენ გინებებით შედგენა არა ინსტრუქციისა, რომელიც უნდა დამტკიცდეს მეფის მოადგილის მიერ, არამედ ახალი დებულებისა, რომლის დამტკიცება ისე არ შეიძლება მოხდეს, თუ არა საკანონმდებლო წესით.

– ეგ ხომ ფორმის ხელის ჩაჭიდებაა! ფორმა შეიძლება შეიცვალოს, ეს არაფერს არ ნიშნავს.

– მარტო ფორმის გამოცვლა ვერ შესცვლის შინაარსს. ინსტრუქცია უნდა შეიცავდეს მხოლოდ წამოყენებულ საფუძველთა განმარტებას, ცოტად თუ ბევრად დაწვრილებით უნდა უჩვენებდეს, თუ როგორ ასრულდეს წინ-მდებარე კანონი, უქაზი თუ დებულება...

– ჰო და მეც სწორეთ მაგას ვამბობ ჩემს პროექტში!

– ბოდიშს ვიხდი, მაგრამ თქვენი პროექტი პირველი სტრიქონიდან უკანასკნელამდე შეიცავს ახალ დებულებას, ახალ საფუძველს, რომელიც ჯერ არსად არ განუხილავთ და შიგ არ არის არც ერთი მითითება უმაღლესი უქაზის წესებზე. მოკლედ რომ ვსთქვათ, თქვენ სრულებით გვერდს უხვევთ სისრულეში მოსაყვან უქაზს.

ვ. ნ. სემიონოვი წამოხტა ზეზე და განუცხადა გენერალ ლადინსკის, რომ არ შეუძლია მონაწილეობა მიიღოს ასეთს ბჭობაში, – დაიხურა ქუდი და წავიდა. მას გაჰყვა უკან თ-დი თუმანოვიც. ხოლო პეტ. ა. ლადინსკიმ სემიონოვის ყველა ქალღმერთი მეორე დღეს მეფის-მოადგილის კანცელარიის დი-

რექტორს სტ. ვას. საფონოვს დაუბრუნა და თან შეატყობინა, რომ ავადმყოფობის გამო მონაწილეობას ვერ მივიღებ ამ საქმის განხილვაშიო

ახლა ორიოდ სიტყვა შედეგზე:

პროექტი სემიონოვისა, რომელიც იმ დროს მშვენიერ განწყობილებაში იყო მეფის მოადგილის კანცელარიის დირექტორ საფონოვთან, მეფის მოადგილის მიერ დამტკიცდა, როგორც ინსტრუქცია, და გადაეცა ქუთაისის კომისიას. კომისია ყოველ ნაბიჯზე გაუგებრობას ხვდებოდა, რის თავიდან აცილებას ორ წლამდე დრო მოანდომა.

ხოლო სემიონოვი მე თითქმის შეურიგებელ მტრად გადაამეკიდა, თუმცა რამდენიმე წლის შემდეგ ეს მტრობა მეგობრობად გადაგვექცა.

13.

საფონოვი. – თ-დი ვ. ოს. ბებუთოვი. –
იურისკონსულტი როზოვი. – შეტაკება მასთან. –
Aut bene, aut nihil, თუ aut bene, aut veritas?

ნათქვამია, რომ წვეთ-წვეთად დაცემული წყალიც გახვრეტს ქვასაო.

ასე სემიონოვიც, თავის მონინაალმდეგეზე დიდად განრისხებული, გამუდმებით ჩასჩინებდა საფონოვს, აუცილებელია საბჭოში ისეთი კაცის ყოლა, რომ ფხიზლად ადევნებდეს თვალს საქმეთა მმართველის მოქმედებასაო.

საფონოვმა ამის აუცილებლობაში თავის მხრით გრაფი ვორონცოვი დააჯერა და აი 1848 წელს, თუ არ ვცდები, როდესაც თ-დი ვ. ო. ბებუთოვი სამოქალაქო მართველობის უფროსი და საბჭოს თავმჯდომარე იყო, დაინიშნა ამ საბჭოში დასასწრებლად იუსტიციის სამინისტროს იურისკონსულტი დ. ს. ს. რ ო ზ ო ვ ი.

პირველ ნახვაზე არ შეიძლებოდა, რომ ღრმა პატივისცემა არ გეგრძნოთ მისდამი. ეს იყო მოხუცი თეთრად გადაპენ-

ტილი თმით და კეთილ და მცოდნე კაცად გამოიყურებოდა, მაგრამ აღმოჩნდა, რომ პირდაპირ გამოტვინებულიყო, თუკი რაიმე ჰქონდა თავში წინადაც.

გაიხსნა მისი თანდასწრებით პირველი სხდომა საბჭოსი და მეც დავინწყე საქმის მოხსენება.

– მე ვხედავ, რომ აქ საქმეებს უწესოთ მოახსენებენ, – პირველი შემთხვევისთანავე წამოიძახა იურისკონსულტმა.

ყველა კითხვით მიუბრუნდა მას; მე კი გაოცებული უცქერდი.

– ასე მოხსენება არ შეიძლება, – განაგრძობს ის, – აი სენატში: საქმიდან შესდგება მოხსენება და კითხულობენ მოხსენებას და არა საქმეს.

ყველა მიხვდა, რაშია ც იყო საქმე.

მივხვდი მეც! და ძლიერი მით, რომ რაშია ც ბრალსა მდებდნენ, იმაში უეჭვო სიმართლე ჩემსკენ იყო, მივმართე თავმჯდომარეს სრულიად დამშვიდებულის კილოთი:

– მგონია ეს ასეა, რომ როდესაც რომელიმე დაწესებულების სამსახურში შედიხარ, უპირველესად საჭიროა ზერელედ მაინც გაიცნო დებულება, ანუ წესდება ამ დაწესებულებისა. ბ-ნი იურისკონსულტი-კი, სჩანს, ფიქრობს, რომ ამიერ-კავკასიის სენატის დეპარტამენტში იმყოფება, მაშინ როდესაც აქ სენატი არ არის.

ამასთან გადავშალე კანონთა კრებულის ტომი, რომელშიაც მოთავსებული იყო საბჭოს დებულება და წავიკითხე ორისამი მუხლი – საბჭოში საქმეთა შეტანისა და მათი მოხსენების წესს რომ განმარტავდნენ.

თეთრად გადაპენტილი მოხუცი ისმენს კანონის ნამდვილ რედაქციას, რომ საქმეები საბჭოში შედიან საგუბერნიო და უმაღლესი დაწესებულებიდან უთუოდ განსაკუთრებული წერილობითი მოხსენებებით და ამავე მოხსენებებს დედანშივე კითხულობენ სხდომაზე.

საბრალო როზოვმა ხმა გაკმინდა, როგორც მდუღარე გადასხმულმა, და მთელ სხდომაზე კრინტი აღარ დაუძრავს, მა-

გრამ ბრაზი კი განაგრძობდა ღელვას მოხუცებულ მკერდში და მეორე სხდომაზე, ერთი კვირის შემდეგ, ახალ ბრალდებად გადმოჰხეთქა.

ბევრს ვატან ახლა ძალას ჩემს მეხსიერებას, მაგრამ ვერ მომიგონია, თუ რაში იყო საქმე, ხოლო როზოვის ეს მეორე შენიშვნა იყო ისეთი უთავბოლო და ისეთი გულმოსასვლელი ფორმით, რომ ჩემი სამაგალითო მოთმენა* უეცრად გაჰქრა და მთლად აცახცახებულმა უშველებელ სანერელს წამოვავლე ხელი მაგიდიდან და უეჭველად შუბლს გაუპობდი საბრალლო მოხუცს, რომ არ შეემჩნიათ ჩემი მოძრაობა და არ შევეკავებინეთ ჩემს გვერდით მჯდომ საბჭოს წევრებს: თავად ესტ. კოცებუს³² (ღვიძლ ძმას გრაფი პავლე ესტატესძე კოცებუსი, ყოფილი გენერალ გუბერნატორისა ვარშავაში) და ანდრ. ფრანც. დესიმონს (შემდეგში თხოვნათა კომისიის წევრს).

ამავე დროს საბჭოს თავმჯდომარემ უკვე მიჰმართა გამოტყინებულ მოხუცს სასტიკი, გამანადგურებელი სიტყვით:

– მე არ შემიძლიან არ შეგნიშნოთ, ბ-ნო იურისკონსულტო, რომ ასეთი აზრების გამოთქმით აქ, თქვენ გავიწყდებათ ადგილიც, სადაც იმყოფებით და წრეც, რომელშიაც ტრიალებთ! ნუ თუ არ გესმით, რომ ასეთი ბრალდებებით თქვენ შეურაცხჰყოფთ ყველა დამსწრეთ, რადგან გვთვლით ყველას ისეთებად, რომელთაც არ გვესმის არც უფლება, არც მოვალეობანი ჩვენი. ამ ხნობით ვათავებ ამ შენიშვნით; ხოლო თუ განმეორდება, ყველაფერი ჩაინერება ჟურნალში და წარედგინება ხელისუფლებას! ახლა გთხოვთ დიმიტრი ივანეს ძე, განაგრძოთ თქვენი მოხსენება.

დიდი ხნიდან დამკვიდრდა ჩვეულებად, რომ სხდომის შემდეგ საბჭოს წევრები და საქმეთა მმართველი თავმჯდომარესთან სადილობდნენ.

საქმეთა მმართველი ჩვეულებრივ ყველაზე გვიან მივიდო-

* ჩემს ტოლებში, ხოლო მათის მოწყალებით საზოგადოებაშიაც, მე შემარქვეს უ მ ო მ თ ი ნ ე ს ი ქართველებში.

და ხოლმე, როდესაც საქმეებს აალაგებდა და კანცელარიაში გადასცემდა.

შევდივარ ამნაირად ცოტა ხნის შემდეგ თავმჯდომარის სასტუმროში და ვხედავ, რომ ყველანი ჩურჩულობენ, ორ-სამ ჯგუფად დაყოფილი კუთხეებში. ჩემს შესვლაზე ერთ-ერთი ჯგუფიდან გამოეყო ჩემი როზოვი და ჩემსკენ მომავალმა ხელი გამომიწოდა.

უნდა გამოვტყდე, რომ არ შემრჩა იმდენი ძალა, რომ ხელი მიმელო და უკმეხად იქით აუკარი.

– რათა, რა დაგიშავეთ?

– თქვენა, თქვენ? აქ თქვენი ადგილი არ არის; თქვენ ხელს არავინ ჩამოგართმევთ აქ! ჩვენ რიგიანი ხალხი ვართ, და თქვენ წარმოდგენა კი გაქვთ რიგიანობაზე?

აქ ვილაცამ გამიყარა ხელი-ხელში და თავად ბეზუთოვთან მიმიყვანა. იმან ქართულად მითხრა მეგობრულის კილოთი: „ახლა კი კმარა; უნდა დაივიწყო; შენ თითონ ხედავ, * რომ თავის ჭკუაზე აღარ არის“.

ამის შემდეგ გულკეთილობის ღიმილი არ მოშორებია პირიდან როზოვს, მაგრამ აღარვის არ გაუფგონია მისგან არც ერთი მისი შენიშვნა და აღარც ერთი მისი აზრი.

რამდენიმე ხნის შემდეგ ის გადაიყვანეს მოსკოვში, სენატის ობერ პროკურორად.

კიდევ ერთი ხაზი ამ პიროვნების დასურათებისათვის.

ის მთელი ერთი კვირა უტალახებდა კარებს საფონოვს, რომ მოეხერხებინა მისთვის, როგორც ღარიბისათვის, გზის ხარჯი, თორემ მოსკოვში რითი წავიდე, არ ვიცო.

მისცეს 500-მდე მანეთი.

ორი წლის შემდეგ მოკვდა ის მოსკოვში და დასტოვა, რო-

* დიდი ხანი არ არის, რაც ქართულად თქვენობით მიმართავენ ხოლმე ერთმანეთს. ხოლო ეს ცოტა არ იყოს ეხამუშება ქართული ენის კანონს. რალაცა სიცივეს, ანუ დაშორებასა გრძნობ თქვენობით ლაპარაკში; მასთანვე, შენობით მიმართვის დროსაც ქართული ენა მრავალგვარ ფორმებს შეიცავს თავაზიანობის გამოსახატავად.

გორც მაშინ ამბობდნენ, 200 000 მანეთის თანხა რომელიღაც ბანკში, რადგან არა ჰყოლოდა არავინ ნათესავი და მაშასადამე არც მემკვიდრე.

მოდით და ამის შემდეგაც დაადექით ამ ნათქვამს: De mortuis aut bene, aut nihil.*

ამას რა სჯობს... aut bene, aut veritas!**

14.

თავადმა ვორონცოვმა დასტოვა ჩვენი მხარე. – ნიკოლოზ ანდრიას ძე რეადი. – თ-დი ალექს. ივ. ბარიათინსკი. – ბორის (მორიცი) ემან. ინდრენიუსი. – შჩერბინინი. – თ-დი ბებუთოვის საგმირო საქმეები ოსმალეთში. – წესები მართველობისა. – აუცილებელი თქმა სიმართლისა. – უდანაშაულოდ-დამნაშავე.

მეორე ანდაზა: La vérité ou le silence.***

გაჩუმება თუ შეუძლებელია?

ხიფათს დაიტყხავ თაეზე; მეტი გზაც არ არის.

ის ამბავი, აქ რომ ვაპირებ გადმოცემას, მოხდა 1854 წ.

თავადმა ვორონცოვმა დასტოვა ჩვენი მხარე. მის მაგიერ ჯარს უფროსობდა და მეფის მოადგილის მოვალეობას ასრულებდა გენერალი კავალერიისა ნიკ. ანდრ. რეადი.

მთავარი შტაბის უფროსი იყო გენერალ-ადიუტანტი თავადი ალექს. ივ. ბარიათინსკი (შემდეგში გენერალ-ფელდმარშალი).

მის თანაშემწედ გენერალ-ლეიტენანტი ბორის ემან. ინდრენიუსი (ახლა ფინლიანდიის სენატის წევრი მორიცი ინდრენიუსი).

თავადი ვას. იოს. ბებუთოვი ოსმალეთში მომქმედი კორპუსის სარდლად ისტორიულ ღვაწლს ეწეოდა ოსმალეთის

* მკვდარზე ან კარგი უნდა ითქვას, ან არაფერი.

** ან კარგი, ან ჭეშმარიტება.

*** სიმართლის თქმა თუ გაჩუმება?

რედ. [სიმ. ხუნდაძე]

ჯარების განადგურებით, ერთისა ბაშ-კადი კლართან, ხოლო მეორესი კიურაკ-დართან.*

მის თანამდებობას ასრულებდა ტფილისში გენერალ-ლეიტენანტი იოს. ანტ რეუტი.

მეფის მოადგილის კანცელარიის დირექტორად იყო უკვე მიხ. პავ. შჩერბინინი, ხოლო თქვენი მორჩილი მონა – ისევ მმართველად საბჭოს საქმეებისა.

პირთა დასახელებასთან ერთად, საჭიროა მცირე აღწერაც ზოგიერთი არსებული წესისა, რომელსაც ისინი მისდევდნენ.

უპირველესად – საბჭოსი.

მთავარ-მართველობის საბჭოს სხდომები ჩვეულებრივ იმართებოდა ხუთშაბათობით და წინა სხდომის ჟურნალის წაკითხვით იწყებოდა.

საბჭო იყო დანესებულება წმინდა სამოქალაქო; მაგრამ მასში გასარჩევად ხანდახან სამხედრო უწყების საქმეებიც გადადიოდა: „პოდრიათებისა“ და მიწოდებებისა,³³ მეტადრე, როდესაც ასეთი ოპერაციების საჯარო ვაჭრობა სახაზინო პალატაში ხდებოდა.

შაბათობით მეფის მოადგილეს ჰქონდა დანიშნული მთხოვნელთა მიღება; ამასთანავე, იქვე ცნობის, ან რისამე განმარტების მისაცემად, მისაღებ დარბაზში თავს იყრიდნენ სამხედრო და სამოქალაქო უწყებათა ყველა ნაწილის უფროსნი. მათ რიცხვში ყოველთვის ერია საბჭოს საქმეთა მმართველიც, როგორც უფროსი მისი კანცელარიისა, რომელსაც შეეძლო დანვრილებითი ცნობების მიცემა საბჭოს საქმეთა შესახებ.

ერთხელ საბჭოში შემოვიდა წინადადება მთვარი შტაბისა, რომ გაერჩიათ, ჯარის უფროსის ბრძანებით, სახაზინო პალატის განცხადება იმ შედეგების გამო, რომელიც არტილ-

* ამ მეორე საქმისათვის იმას ებოძა ჯილდო, უმაგალითო პეტრე დიდის შემდეგ: გენერალ-ლეიტენანტის ჩინით ანდრია პირველ-წოდებულის ორდენი მიიღო.

ერიის იარაღის გადატან-გადმოტანას მოჰყოლოდა. ამასთან იტყობინებოდნენ გენერალი რეადის ასეთს სურვილს, რომ საბჭოს გადაესინჯა საჯარო ვაჭრობის გარეშე სხვა პირთაგან შეტანილი განცხადებებიც, რომელთა თხოვნები იქვე იგზავნებოდა; მოეწვია საბჭოს სხდომაზე როგორც სახაზინო პალატაში მოვაჭრენი, აგრეთვე ისინიც, ვისაც საჯარო ვაჭრობის გარეშე შეეტანა თავისი წინადადება, მოეხდინა მათ შორის შეჯიბრება და თავისი დასკვნა წარედგინა არსებული წესით.

ამის შესახებ მოხსენება შეტანილ იქმნა პირველსავე ხუთშაბათსა, რა დროსაც მოიყვანეს ზემოხსენებული პირნიც, მაგრამ შეჯიბრება მათ შორის არ მოხდა; სახაზინო პალატაში მოვაჭრეებმა დიდი უარი განაცხადეს აღნიშნულ ფასების დაკლებაზე, ხოლო აღარც იმათ მოქიშპეთ ჰქონდათ საბუთი თვისი ფასების დაწვეისა.

საბჭომ საჯარო ვაჭრობა სცნო წესიერად და დაადგინა – ეცნობოს ეს ბატონ ჯარის უფროსს, ხოლო ამასთან ერთად დაემატოს ისიც, რომ საჯარო ვაჭრობის გარეშე განცხადებების მიღება და აგრეთვე ასეთი შეჯიბრებების მოხდენა საბჭოს მიაჩნია უნესოდ და ხაზინის ინტერესებისათვის საზარალოდ, რადგან ამით მნიშვნელობა ეკარგება საზოგადოდ საჯარო ვაჭრობას და მისადმი საჭირო რწმენასაო.

ამის შესახებ ჟურნალი უნდა ხელმოწერილიყო ერთი კვირის შემდეგ და მაშინათვე შემეძლო ეს დადგენილება შემეტყობინებინა მთავარი შტაბისათვის ჟურნალის ამონაწერი; ხოლო მანამდინ კი, სახელდობრ სხდომის ერთი დღის შემდეგ, მთხოვნელთა მიღებას უნდა დავსწრებოდი.

მთხოვნელნი დარბაზის კედლებთან არიან ჩამწკრივებულინი. გენერალი უვლის მათ თავადი ბარიათინსკის, ინდრენიუსისა და შჩერბინინის თანხლებით და წერილობით თხოვნების ჩამორთმევით, სიტყვიერად მთხოვნელთ უსმენს და თვითეულს თვისი ამალიდან იქვე აძლევს მის შესაფერ დავალებას.

დანარჩენი იქ მყოფნი და მათ შორის მეც ვდგევართ შუა დარბაზში.

უცებ მიხმობენ მე.

მივდივარ და ვხედავ ხელისუფლების ჯგუფთან ერთად იმ პირებს, ორი დღის წინად რომ საბჭოში იყვნენ და რომელთაც საჯარო ვაჭრობით დარჩენოდათ იარაღის გადატან-გადმოტანა. ისინი სჩიოდნენ, რომ ვაჭრობის შემდეგ ამდენი მისვლა-მოსვლით და ვაჭრობის დამტკიცების შეჩერებით იმათ დიდი ზარალი აქვთ, რადგან ბეთ შეტანილი ფული უმოქმედოთ აწყვია და ჩვენ კი სარგებელს ვიხდითო.

მკითხეს და მეც მაშინვე მოვახსენე, როგორ იყო საქმე და საბჭომ რა დაადგინა.

ამ მოხსენებიდან რეადმა დაინახა, რომ საბჭოს წინადადება ჰქონდა მიცემული მისი სახელით, ხოლო მის დაუკითხავად და მასთანვე არა-კანონიერი წინადადებაც.

– ვისი ხელმოწერილი იყო ქალაქი? – პირდაპირ მიყენებს კითხვას გენერალი რეადი.

ყოვლად შეუძლებელი იყო აქ გაჩუმება, ყოვლად შეუძლებელი რაიმე ყოყმანიც კი და მე ვუპასუხე იქვე მდგომთა მითითებით:

თავადი ალექსანდრე ივანეს ძისა* და ბორის ემანუელის ძისა!**

რეადი გალურჯდა და, მიატოვა რა ყველანი, მარჯვნივ თავის აპარტამენტებს მიაშურა. თ-დი ბარიათინსკი გაჭარხლდა და მარცხნივ თავის კაბინეთისაკენ წავიდა.

ინდრენიუსი გაფითრდა და თავჩაღუნული გაჰყვა ბარიათინსკის.

ყველანი გრძნობენ, რომ ცუდი რაღაცა მოხდა.

დაიწყო შჩერბინინმა დარბაზზე შერბენა-გარბენა, ბარ-

* ბარიათინსკი.

** ინდრენიუსი.

სიმ. ხუნდაძე.

სიმ. ხუნდაძე.

იათინსკიდან – რეადთან, რეადიდან – ბარიათინსკისთან.–
რა ჩაიდინეთ ეს, რა ჩაიდინეთ? – ჩამჩურჩულა მან ერთხელ,
გვერდზე რომ გამიბრინა.

თურმე რეადი დიდი უკმაყოფილო იყო, რომ მისი სახელით
იძლეოდნენ ბრძანებას, რომელიც მას არასოდეს არ მიუცია.

არ იცოდა იმან, რომ ეს მიღებული იყო საერთოდ ყველგან;
მაგრამ გამოტეხით უნდა ითქვას, რომ მიუხედავად იმისა,
რომ გენერალ რეადის სახეზე მუდამ აუშფოთველი სიმშვიდე
იხატებოდა, გულის წყრომა მისი სასტიკი იყო ამ ხანად.

მიმიხმეს ბარიათინსკისთან.

– ძალიან ვწუხვარ, რომ თქვენ წინასწარ არ მითხარით, თუ
რამე არა კანონიერი იყო ჩემს ქალაქში!

– მე არავითარი უფლება არ მქონდა თავადო, არაკანონი-
ერად დამენახა რამე თქვენგან მოსულ ოფიციალურ ქალაქ-
დებში. და თუ ამას იქით მომცემთ ამ უფლებას...

– აჰ, ამას იქით, იმედი მაქვს, ეგ აღარ იქნება.

აი ასე მოხდება ხოლმე, რომ დამნაშავე გამოხვალ – უდან-
აშაულოდ.

და თავადმა ბარიათინსკიმაც არ დამივინყა მე ეს დანაშაული.
მაგრამ ამაზე ლაპარაკი კიდევ მექნება.

15.

გენერალი მურავიოვი ყარსთან. – გამოლაშქრება ომერ-ფაშისა. –

უკან დახევა გურიის რაზმისა. – სურსათის დანვა. –

მივლინება თ-დი ვ. ო. ბებუთოვისა. – შიშინაობა იმერეთში. –
რაზმის უზრუნველყოფა სურსათით. – ომერ-ფაშის უკან დახევა.

– მაზე თავდასხმის შეუძლებლობა. – გურია. – გურულების
სიმტკიცე. – მურავიოვი ტფილისში. – სადილი მასთან. –

ლაპარაკი მიხეილ შარვაშიძეზე. – მოურიდებელი პასუხების
მონონება. – კანცელარიის დირექტორის თანამდებობის დაჭერა. –
სამი თვის შემდეგ ვოლოგდის მაგალითის განმეორება: უმაღლესმა
ხელისუფლებამ ბრძანა უკან დახვეინება.

1855 წლის დამლევს გენერალ-ადიუტანტი ნ. ნ. მურავიოვი, ყარსზე გარშემორტყმული, ის იყო ამ ციხის ბედსა სწყვეტდა.

მეფის-მოადგილის თანამადებობას ტფილისში მაშინ თ-დი ვ. ი. ბებუთოვი ასრულებდა.

სახელგანთქმული ომერ-ფაშა, იმ მიზნით, რომ ყარსთან ჩვენი ძალები შეემცილებინა, შავი ზღვის მხრიდან გვიტეკდა, აფხაზეთიდან სამეგრელოზე.

გურულების რაზმმა ომერ-ფაშას ძალებს ველარ გაუძლო და დაიხია ინგურიდან ტეხურისაკენ, ტეხურიდან აბაშისაკენ, აბაშიდან ცხენის წყალისაკენ და რომ გავიდა ამ მდინარეზე, სახლში, იმერეთში დაბანაკდა.³⁴

სურსათის საწყობები მარანსა და ორპირში, რომ მტერს არ ჩავარდნოდა ხელში, გადავწვით. გურიასა და სამეგრელოში აღარც ერთი ჩვენი მეომარი აღარ დარჩა.

იმერეთში ისეთი ძლიერი პანიკა იყო, რომ ქუთაისში რიონის მარჯვენა ნაპირიდან სახაზინო და კერძო ყველა განძეული მარცხენა ნაპირზე გადაიტანეს; ქალაქში მხოლოდ ისინი დარჩენ, ვისაც იარაღის ტარება შეეძლოთ, დანარჩენი ნაწილი ან წავიდა აქეთ-იქით, ან ჩქარობდნენ წასვლასა.

საჭირო იყო ომერ-ფაშას ამ ტრიუმფალური წინსვლის შეჩერება, საჭირო იყო აღდგენა უკან დახეული ბატალიონების ენტუზიაზმისა, მათი უზრუნველყოფა სურსათით, გაფანტვა შიშის, ერთი სიტყვით – რაც იყო წამხდარი, უნდა გამოკეთებულიყო.

მურავიოვმა ყოველივე ამის გაკეთება თ-დ ბებუთოვს მიანდო, დაუტოვა-რა მასვე მეფის-მოადგილის მოვალეობის ასრულებაც.

ამნირად, – რაკი თ-დი ბებუთოვი გურულების რაზმის მეთაურობას იღებდა, ცხადია, რომ საჭირო იყო მისთვის შტაბის უფროსი და დაინიშნა ასეთად ობერ კვარტირმეისტერი მთავარი შტაბისა, გენერალ-მაიორი ნ. ნ. კ ა რ ლ გ ო ფ ი; საჭირო იყო დირექტორი სალაშქრო კანცელარიისა და დაინიშნა ასეთად დ. ს. ს. დ. ი. ყიფიანი – ჯერ ისევ საბჭოს საქმეთა

მმართველი; აქვე ვსთქვათ, იგივე სალაშქრო ხაზინადრად; საჭირო იყო სხვა ჩინებიც, ადიუტანტები, ოფიცრები გენერალური შტაბისა და სხვა, – დაინიშნენ ისინიც.

1856 წ. 1 იანვარს ყველა ესენი მივიდნენ ქუთაისს და სამიოდე დღის შემდეგ გაემგზავრნენ დ. ხონისაკენ, რომლის მიდამოებში იყვნენ დაბანაკებულნი ჩვენი ბატალიონები, რიცხვით, თუ მეხსიერება არა მღალატობს ჩემთვის არა-სპეციალურ საქმეში – 22 თუ 23. პირველი განკარგულება თ-დი ბებუთოვისა ის იყო, რომ ამათში 7 ბატალიონი დაუყოვნებლივ გაეგზავნათ სურსათის საწყობებთან სურამში.

დანარჩენი ბატალიონების სურსათით უზრუნველყოფას, ურომლისოდაც, როგორც ამბობდნენ, მათი დაძვრა შეუძლებელი იყო, სამი კვირის დაულალავი შრომა მოანდომეს.

დროის შესაფერი უამინდობა ისედაც ხელს უშლიდა ჩვენს რაზმს შეტევაზე გადასულიყო, ხოლო სამეგრელოს ქაოზები კი, რომელთაც შეაჩერეს ომერ-ფაშას წინსვლა, მასაც უშლიდა ხელს, რომ ჩვენგან სასურველი სიჩქარით წასულიყო. არ იქნა და ვერ შევხვდით მას, თუმცა ჩვენ შორის მანძილი ერთი თოფის სასროლი თუ იქნებოდა.

ამ მიზნით იყო, რომ ცხენის წყალში გავედით დაბ. ბანდასთან, მაგრამ სამეგრელოს ადგილობრივ მთავრობასთან ცოტა მოლაპარაკების შემდეგ, უკანვე დავბრუნდით. იქ ჩვენ საქმე აღარა გვქონდა-რა. შემდეგ წავედით მარანსა და ორპირს, სადაც თ-დმა ბებუთოვმა პირადად დაჰკითხა სურსათის დანვის მნახველნი და ჩამდენნი. დაათვალიერა დამწვარი საწყობები და საქმე რომ გამოირკვა, მხედართ-მთავარს იქიდანვე გაუგზავნა სათანადო მოხსენება.

შემდეგ გურიაში წავედით. გზაში ოზურგეთისაკენ, ბებუთოვი გურულების შეიარაღებულ ნაწილებს ათვალიერებდა, მაღლობას უხდიდა მათ და ქებას ასხამდა იმათ ვაჟკაცურ სიმტკიცეს ხელმწიფე იმპერატორის ერთგულებასა და მტრის შემოსევისაგან თავის სამშობლოს დაცვაში; განმეო-

რებით აძლევდა, განუწყვეტელ ვაშას ძახილში, გამამხნევე-ბელ სალამს ყველგან, სადაც კი ხვდებოდნენ მილიციონერ-ები, მეტადრე თვით ოზურგეთში; – იქიდან სრულიად დამშვიდებულნი დავბრუნდით.

ომერ-ფაშამ მოასწრო რედუტ-კალამდე მისვლა და იქიდან გაცურვა.

შიში გაჰქრა; ყველგან ნესიერება ჩამოვარდა და 1856 წ. თებერვლის დამლევს დავბრუნდით ტფილისში.

იქ უკვე იმყოფებოდა ყარსის დამპყრობი,* მაგრამ ბებუ-თოვის დაბრუნებამდე მეფის მოადგილის თანამდებობა არ ჩაუბარებია.

ამ ხანებში მე უკვე გავცივდი და საკმარისად მძიმედ ავად გავხდი. როდესაც უკეთ შევიქენი, ასე 9 თუ 12 დღის შემდეგ, გაიღო ჩემი ოთახის კარები და ჩემთან ვილაც სრულებით უცნობი კაცი შემოვიდა.

– ვინ გნებავთ? – ძლივს გასაგონი ხმით ვეკითხები.

– გაგიბედავთ კითხვას, თქვენა ბრძანდებით გენერალი ყიფიანი?

მე უნებურად გავიღიმე და ვუპასუხე:– ე. ი. დეისტვიტელ-ნი სტატსკი სოვეტნიკი? დიახ.

– მათმა მალ.-აღმ. ნიკოლოზ ნიკოლოზის ძემ ინება გთხოვთ თქვენ დღეს სადილად, სამი საათისათვის.

ოდნავ ირონიით ვსთხოვ მას მოახსენოს მის მ.-აღმ., თუ რა მდგომარეობაში ვიმყოფები.

– იმათ იციან, რომ თ. აღ-ბა ავად ბრძანდებით, მაგრამ მაინც გთხოვათ.

ეს გამოგზავნილი კაცი იყო მურავიოვის კამერდინერი.

– ვკითხავ ექიმს, – ვუპასუხე, – და თუ ნებას მომცემს...

კამერდინერი წავიდა; ეს იყო დილის საათის ათზე.

მე მაშინ მწამლობდა სოლ. არტ. ამიროვი, ახლა ტაინი სოვეტნიკი.

* მურავიოვი.

– არა უშავს რა, – მითხრა მან, – საშიში აღარა არის რა. გაეხვიეთ ქურქში და წადით.

ნეტა რა ამბავია? რა საქმე უნდა ჰქონდეს ჩემთან მრისხანე მურავიოვს?! მაგრამ თითონ იმის მეტი ვინ მამცემდა ამის პასუხს.

ჩამაცვეს როგორც იყო, ფერ მიხდილს, დასუსტებულს, შემფუთნეს და გამისტუმრეს.

ძლივს ავედი პარადის კიბით მისაღებ ოთახში.

შემოდის თ-დი გიორგი მუხრანსკი, ჩემი ძვირფასი გიორგი, რომელმაც საბჭოში როზოვის ადგილი დაიჭირა, შემდეგში სენატორი და სტატ-სეკრეტარი. ისიც მოწვეულია სადილად.

მას შემდეგ შემოვიდა გენერალი ლუკაში, ტფილისის გუბერნატორი; კიდევ სხვა ვილაცხეები. ბოლოს თვით მასპინძელი. საერთო დინჯი სალამი ყველას და, – სხ.

მიგვიწვიეს სასადილოში. სუფრაზე შეკავებული ბაასია. ვგრძნობ, რომ მასპინძელს ჩემსკენ უფრო აქვს მოპყრობილი თვალეები.

– აი ეს მიირთვით ცოტა! – მეუბნება.

– ამას კი ერიდეთ! აი ეს მოსვით ცოტა; გარგებთ თქვენ ესა!

კარგი ხერხის ერთმა პატარა ჭიქამ და ჭიქა კახურისამ მართლა თავისი გაიტანა და სადილის დასასრულს იმდენად მოვიკრიბე ღონე, რომ სუფრის მუსაიფში მეც ცოტაოდენი მონაწილეობა მივიღე.

სადილის შემდეგ სასტუმროში მეფის-მოადგილემ თავის გვერდით მიჩვენა ადგილი რბილ ტახტზე და მითხრა, რომ თუ ძნელი არ იქნებოდა ჩემთვის, ლაპარაკი სურდა ჩემთან შარვაშიძეზე.

უნდა ვსთქვა, რომ წინა წელს, 1855-ში, როდესაც ომერ-ფაშა თავის ძალებს იკრებდა სოხუმში, მე გამგზავნეს სამეგრელოში ერთი საკითხის გადასაწყვეტათ დიდის საიდუმლოებით ცნობები შემეკრიბა: უღალატა თუ არა რუსეთს აფხაზეთის მთავარმა, თ-მა მიხეილ შარვაშიძემ?

სრულებით საჭიროდ არ მიმაჩნია იმისი მტკიცება, რომ ჩემს მიერ შეკრებილ ცნობების გაშუქებაზე არა ჰქონია გავლენა ჩემს პირად გრძნობას, უანგარიშო სურვილის გრძნობას, რომ პასუხი ყოფილიყო უარყოფითი; მაშინ, როცა დადებითი პასუხი იქნებ სასაყვედუროც ყოფილიყო იმ მთავრობისადმი, რომელსაც მე ვემსახურებოდი და რომელიც, ამიტომ, ჩემთვის იყო ძვირფასი.

მაგრამ ყოველფრიდან, რაც მე შევიტყე იმერეთსა, გურიასა და სამეგრელოში და იმათგან, ვისაც თავადი შერვაშიძის ბედი აინტერესებდა და იმათგანაც, რომლებიც გულგრილად უცქეროდნენ მას, და ბოლოს იმათგან, ვინც არა ჰფარავდა თავის სურვილს, რომ შერვაშიძე მოღალატე ყოფილიყო, მე დავრწმუნდი, რომ მიხეილ შერვაშიძე, თვით ომერ-ფაშას ბატონობის დროსაც კი, მოქმედებდა თავის მოვალეობის დიდი შეგნებით, როგორც ერთგული ქვეშევრდომი ხელმწიფე იმპერატორისა და როგორც გენერალ-ადიუტანტი მათი უდიდებულესობისა.

ამაზე დანვრილებითი ჩემი მოხსენება წარდგენილი იყო 1855 წ. ოქტომბერში და, რასაკვირველია, მურავიოვმა იცოდა.³⁵

მაგრამ იმას პირადათ ჩემგანაც უნდოდა გაეგო ყველაფერი დანვრილებით, ყველა საბუთი და დასკვნა, რაც ჩემს საიდუმლო მოხსენებაში იყო მოყვანილი. ხოლო დღემდე ჩემს მიერ განვლილ ს უ ლ ი ს ს კ ო ლ ა შ ი საკმარისად მქონდა გაკვეთილები, რომ ეს უტყუარი წესი შემეთვისებინა – პ ი რ დ ა პ ი რ დ ა თ ა მ ა მ ა დ გ ა მ ო მ ე თ ქ ვ ა ხ ო ლ მ ე ჩ ე მ ი ა ზ რ ი, მეტადრე მაშინ, როდესაც ამის შესახებ მეკითხებოდნენ.

მურავიოვი მეკამათებოდა, მაძლევდა შენიშვნებს, რომელთაც შეეძლო სულ დაებნია აზრები ისეთისათვის, რომელმაც კარგად არ იცოდა თვისი საგანი; მაგრამ მე მიუნდომლად შორს ვიყავ პირმოთნეობისაგან, რომლის მსგავსსაც თვისი ხელქვეითების უმეტეს ნაწილში ხშირად ხვდებოდა მურავიოვი; მე კარგად ვიცოდი, რასაც ვამბობდი.

მეორე დღეს, რასაკვირველია ჯერ ისევ შეუძლოთ მყოფის სანახავად მოვიდა ჩემთან თავადი ვასილ ოს. ბებუთოვი და გამარჯვებულის სახით გამომიცხადა, რომ ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე თავისი კანცელარიის დირექტორად გნიშნავსო.

– როგორ? მერე შჩერბინინი?

– თქვენ განა ჯერ არ გაგიგიათ? შჩერბინინს ტაინი სოვეტ-ნიკობა ებოძა და სენატორად დაინიშნა.

– მერე კრუზენშტერნი, ვიცე-დირექტორი? უმიზეზოთ ვიცე-დირექტორს გვერდი როგორ აეხვევა!

– კრუზენშტერნი მურავიოვს ძალიან უყვარს, ის მისი ახლობელი ადამიანია. ის ხომ მუდამ მასთან იყო ყველგან სალაშქრო კანცელარიის დირექტორად. იმათ ერთმანეთში მოილაპარაკეს და კრუზენშტერნი ისეთს დანიშნულებას მიიღებს, რომლითაც ძალიან კმაყოფილი დარჩება.

– ახლა, თავადო, მე კი ძალა შემწევს, რომ ასეთი თანამდებობა მივიღო?

– არაფერია! ღმერთი შეგეწევა.

სალამოზე მნახულობს შჩერბინინი და ორივენი ვართ ერთმანეთის მილოცვაში ასეთი სასიამოვნო წარჩინების გამო! კრუზენშტერნი მისი მეგობარია და ის მხოლოდ მაშინ დამპყიდდა მის შესახებ, როდესაც მურავიოვმა უთხრა, რომ საბჭოს წევრად წარვადგინეო.

ორიოდე დღის შემდეგ, თებერვლის ნახევარში, მეფის მოადგილის მოწერილობა მივიღე, რომ მის კანცელარიის დირექტორის თანამდებობის ასრულებას შევსდგომოდი; პეტერბურგში კი ამ თანამდებობაზე ჩემი დამტკიცებისა და კრუზენშტერნის საბჭოს წევრად ჩარიცხვის წარდგენა გაიგზავნა.

როგორ იყო შედგენილი ეს წარდგენა, მე არ ვიცი, არ მინახავს.

მეორე დღეს მეფის მოადგილემ ჩამოართვა შჩერბინინს და კრუზენშტერნს დავალებანი, რომლებიც მათ შეუსრულებელი დარჩენოდათ, იქვე იმათთან გადმოძვა და მიბრძანა

ჩამენწრა წიგნაკში, რომლითაც მისთვის უნდა მეძლია ხოლმე ანგარიში მისი ბრძანების ასრულებისა.

შემდეგ მიკარნახა კიდევ მრავალი სხვა დავალება, რომელთა შორის ერთი რაც შეიძლებოდა მალე უნდა ასრულებულიყო, ყოველ შემთხვევაში იმავე დღეს; დანარჩენი ხვალ და ზეგ.

– როდის ინებებთ მიმიღოთ მოხსენებით ამ საჩქარო საქმეზე? მზად მექნება ასე საათნახევრის შემდეგ.

იმან შემომხედა, როგორც მე მეჩვენა, გაკვირვებით და მითხრა:

– როგორ შემიძლია დაგინიშნოთ, თუ როდისა! მთელი ჩემი დრო ხელმწიფის სამსახურს უნდება. ჰო და, თქვენც მეძებეთ, დამიჭირეთ, როდესაც მზათ გექნებათ და მომახსენეთ.

– მაშ თქვენ ფიქრობთ, რომ თქვენი კანცელარიის დირექტორს იმდენი თავისუფალი დრო ექნება, რომ გეძებოთ დასაჭერად?

– არა, – მიპასუხა მან ცოტა სიჩუმის შემდეგ და თვალის თვალში გამიყარა, – არა, არ ვფიქრობ. თქვენთვის ყოველთვის მზათ ვიქნები; შეგიძლიანთ პირდაპირ შემოხვიდეთ ხოლმე ჩემთან, ყოველ დროს, ვინც უნდა იყოს ჩემთან და რა საქმეც უნდა მქონდეს.

სწორეთ საათ-ნახევრის შემდეგ შევდივარ მზა ქალაღლით და ვხედავ მასთან საქართველოს ექსარხოსს (ახლა მათი მაღალ-მეუფება მიტროპოლიტი პეტერბურგისა და ნოვგოროდისა – ისიდორე).

– ახალი დირექტორი ჩემი კანცელარიისა, – წარმადგინა მეფის მოადგილემ. შემდეგ ბოღიშს ითხოვს მასთან, იღებს ჩემს ქალაღლს, კითხულობს და აწერს ხელს.

– ასე მალე არ ველოდი! – სთქვა მან თითქო უნებურად.

მეორე დღეს, დიღის ასე 11 საათზე მივდივარ მასთან გროვა ქალაღლებით, მოსახსენებლად.

ამ გროვის სიდიდემ ალბად უსიამოვნოთ იმოქმედა მზზე და მითხრა, რომ მხოლოდ ხელმწიფის საქმეები მომეხსენებინა, რადგან სხვებისთვის დრო არ მაქვსო.

– აქ ყველა საქმე მხოლოდ ხელმწიფისანი არიან, ყველანი სამსახურისა, სხვა არც ერთი არ არის.

– აბა მაშ დანიწყეთ.

თითონ ჯდება მაგიდასთან, მე კი არა მთავაზობს... მაშინ მე ვიდგამ ჩემთვის სავარძელს და ვამბობ: უკაცრავად! ფეხზე შეუძლებელია ჩემთვის მოხსენება, და ვჯდება.

– ინებეთ! ინებეთ!

მისი სასადილოს საათი სწორედ 11 აჩვენებდა, როდესაც მოხსენება დაიწყო. ქალაქებს ზოგს მაკითხებდა, ზოგისას შინაარსს სიტყვიერად მახსენებდა; საქმე ასე მიდიოდა, როდესაც უცებ, მოხსენების ერთი საგნის გამო მოულოდნელი კითხვა დამიყენა.

არა ერთხელ უთქვამთ შჩერბინინს და კრუზენშტერნს, რომ ნიკოლოზ ნიკოლოზის ძეს ჩვეულებად ჰქონდა მომხსენებლისათვის მოულოდნელი კითხვა მიეცა და თუ მაშინვე ვერ მიუგებდა პასუხს, მოხსენებას საკმარისად მომზადებულად არ ჩასთვლიდა და უბრძანებდა ასეთი საქმეები შემდეგისათვის მოეხსენებია.

ამრიგად მოხსენებიდან-მოხსენებამდე აუარებელი საქმე იყრიდა თავს, შტაბისაც და კანცელარიისაც და მუდამ საჩივარი იყო ასეთი კაპრიზების გამო საქმეების შეფერხებისა.

მე ეს ვიცოდი და ვთხოვე, ნება მოეცა კითხვაზე ჩემი კითხვით მეპასუხნა.

– აბა, აბა!

– ის საქმე, რომელსაც მე თქვენ მოგახსენებთ, თქვენს კითხვას ვერასფრით ვერ გაცემს პასუხს; ხოლო მე შემძლია მალე მოვიპოვო მაგის ცნობებიც; ახლა კი წარმოიდგინეთ, რომ ამ ჩემგან მოპოვებულმა ცნობებმა უარყოფითი პასუხი მოგცათ. ექნება ამას რამე გავლენა, რომ ეს საქმე შეაფერხოს?

– არა!

– პასუხი რომ მივიღოთ დადებითი?

– არა!

– მაშ რად შევაფერხოთ საქმე? ნავიდეს ეს თავისთავად, ცნობები კი შემოიძლია შემდეგაც მოგართვათ.

– საჭირო აღარ არის. მე მეტი არა მინდა რა.

დანარჩენი საქმეები დაუბრკოლებლად ნავიდა.

მოხსენება გათავდა 12 ნახევარ საათზე.

– თქვენი მოხსენება მხოლოდ 1½ საათი გაგრძელდა! კმაყოფილი ვარ თქვენი!

მე თავს ვუკრავ.

– თქვენ კი კმაყოფილი ხართ ჩემი?

– სრულიად!

– მიხეილ პავლეს ძემ (შჩერბინინი) კი, ალბად, ცილი დამნამა თქვენთან, არა? – მეკითხება ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე ძალიან მხიარულ გუნებაზე და აღარ უცდის უარის თქმას.

– ცოტა, ცოტა კი დაგნამათ!

– ეგ არაფერი, მე მაგაზე არ ვჯავრობ!

მეორე დღეს კიდევ ერთი ასეთი მოხსენება და შემდეგ მეფის მოადგილე სტავროპოლის გუბერნიაში ნაბრძანდა; მე კი თ-დ ვ. ო. ბებუთოვთან დამტოვა სამუშაოდ.

ტფილისში მოხელეთა წრეში მალე გავრცელდა ხმა არაჩვეულებრივი მოვლენის შესახებ, რომ მურავიოვმა კომპლიმენტი უთხრა თავის ახალ დირექტორს: მამასადამე, ყიფიანი მაგრა ზის თავის ადგილზეო.

და ეფერებიან მას, ულაქუცებენ. ის კი მუშაობს თავისთვის კანცელარიაში დილის 6 საათიდან ნაშუადღევს 3 საათამდე და საღამოს 5 საათიდან ღამის 11 საათამდე, ყოველდღე, სამი თვის განმავლობაში.

– თავს შეაკლავს კანცელარიას, – ამბობენ ერთნი.

– მთელი ძალა ახლა იმაშია! – ამბობენ მეორენი, – იქნება ერთი ბებუთოვი ღა იყოს მაღლა და იმასაც ხომ ძალიან უყვარს.

ის კი სულ ზის კანცელარიაში და მუშაობს, საქმე მეტად ბევრია.

ერთად ერთი ა. პ. ბერჟე უხვდება მას კანცელარიაში, როცა მივა და იქვე სტოვებს, როცა წავა.

ასე ლაპარაკობდნენ ტფილისში, სანამ მაისში მეფის მოადგილე არ დაბრუნდა სტავროპოლიდან.

დაბრუნდა და მეორე დღესვე მიართვეს პეტერბურგიდან ფოშტით მოსული უარი ყიფიანის დამტკიცებისა და ბრძანება დირექტორად კრუზენშტერნის დანიშვნისა.³⁶

თვალთ არ მინახავს არც ის ქალაქი.

ისევ დამჭირდა ვოლოგდის მოგონება და პირზე კლიტის დადება.

რალა მეფის მოადგილე ვარ, თუ კი დირექტორის ამორჩევაც არ შემძლიანო, სთქვა მურავიოვმა და ჩინეთური წესით* ხარისხჩამორთმეულსა მთხოვა, გულს ნუ გაიტყვავო.

– მაგისათვის კი გულს არ გავიტყვავ, მაგრამ ის კი ძალიან მანუხებს, რომ თქვენ გწყინთ ესა!

– გმადლობთ, გმადლობთ!

ჩამომართვა მაგრა ხელი და დამაბრუნა უკან საბჭოს კანცელარიაში.

16.

მურავიოვის ადგილზე თ-დი ბარიათინსკი. – მისი იმედები. – ბჭობანი. – სხვადასხვა საკითხები. – ბატონ-ყმობა. – სიურპრიზი. – მეფის მოადგილის საბჭოს წევრად დანიშვნა. – მისი მართველობის ორი წლის ანგარიშები. – სამეგრელოს მთავრის ქონების საინვენტარო აღწერილობა. – აპეკა. – აპეკის დროს კამათი ადგილობრივ მთავრობასთან და მისი პროტესტები. – მათი გარჩევა კავკასიის კომიტეტში და სრული გამართლება. – ამის გამო რისხვა ბარიათინსკისა.

1856 წელს მურავიოვმა დასტოვა ადგილი და მის მაგიერად ჯარის მთავარ სარდლად და კავკასიის მეფის მოადგილის თანამდებობის აღმასრულებლად გენერალ-ლეიტენან-

* ცნობილია, რომ ჩინეთში ერთბაშად არ ართმევენ ჩინებს. ჯერ ერთს ნაართმევენ, მერე მეორეს, დანაშაულის მიხედვით.

ტი, გენერალ-ადიუტანტი, თავადი ალექსანდრე ივანეს ძე ბარიათინსკი დაინიშნა.

ძლივს ხვდა ეს დიდი პოსტი არა ისეთ კაცს, რომელიც ხანში იყო შესული, როგორც ზოგიერთი მისი წინამოადგილე; არამედ ყმანვილს, სულ რაღაც 38 წლისას³⁷ და, რაც უფრო მნიშვნელოვანი იყო, ხელმწიფე იმპერატორ ალექსანდრე II-ის ბავშობის მეგობარს.

არ შეიძლება მას ბრწყინვალე იმედები არ ჰქონოდა თავისი ხანგრძლივი მოღვაწეობის შესახებ იმ მხარეში, რომელსაც იგი ახალგაზრდობიდანვე შეთვისებოდა. არ შეიძლება მას არ ჰქონოდა იმის იმედი, რომ სიბერის დროს თავისგანვე დარგულ ხეების ჩრდილში განისვენებდა და ნახავდა იმ საქმეთა განხორციელებას, რომლითაც სავსე იყო მისი ფიქრები.

ასეთი და უფრო ბრწყინვალე იმედებით დაუხვდა მას ჩვენი მხარეც.

ქართველმა თავად-აზნაურობამ მისი ტფილისში მოსვლის პირველ დღეებშივე 1856 წლის ნოემბერში, გაუმართა მას ბალი, რომელიც ანერილი და დახატული იყო ყურნალებში, – პარიზის ყურნალებშიაც კი.

მისი შემოსვლა ტფილისში ისეთ ტრიუმფს წარმოადგენდა,³⁸ რომელსაც, მგონი, ვერ შეედრებოდა 1854 წელს თავადი ბებუთოვის შემოსვლა ბაშ-ყადიკლარისა და კურუკ-დარის გამარჯვების შემდეგ და რომლის დავიწყება არ შეიძლებოდა მ. ტ. ლორის-მელიქოვის შემოსვლის დროსაც 1878 წ. ყარსის შემდეგ, თუმცა იმათ ისე დაუხვდნენ, როგორც ნამდვილ ტრიუმფატორთ.

ზეიმი იყო საერთო და ყველანი შეჰყურებდა ბარიათინსკის, როგორც ღმერთს.

ნუ თუ რაიმე საფუძველი აქვს თქმულებას: „თავში ზეიმი, ბოლოს ნუხილი“?

არავითარი!

ახალი მეფის მოადგილე ისე შეუდგა საქმეს, თითქო ქართველი დიდებული მგოსნის, რუსთველის რჩევას მისდევსო:

„ჰკითხე ასთა, ჰქმენ გულისა რაგინდ რა ვინ გივაზიროს!“
მან დაიახლოვა მაშინდელი ტფილისის ყველა თვალსაჩინო მოღვაწე სამხედრო თუ სამოქალაქო ასპარეზზე და მათს აზრსა და შეხედულებას ეცნობოდა უბრალო, ინტიმურ მუსაიფში, ისე რომ მას არავითარ ოფიციალურ ხასიათს არ აძლევდა.

მკვიდრი მცხოვრებლებიდან ყველაზე ხშირი ნვეულნი იყვნენ მასთან ივანე კოსტ. მუხრანსკი, რომელიც მურავიოვს ათვალისწინებული ჰყავდა ორპირში სურსათის დანვის გამო, როცა ის გურიის მაზრის უფროსად იყო; ძმა მისი, თავადი გიორგი, შემდეგში სენატორი და სტატს-სეკრეტარი; თავადი ალექსანდრე დავითის ძე ორბელიანი, მაშინდელი წინამძღოლი თავად-აზნაურობისა და ამ სტრიქონების ავტორი, ისევე ის მოკრძალები საბჭოს საქმეთა მმართველი.

ცოტად თუ ბევრად ჩვენთვის გასაგებ სხვადასხვა საგნებზე ლაპარაკით, ის გვავალებდა ხან თვითეულ ჩვენთაგანს ცალ-ცალკე, ხან ყველას ერთად სხვადასხვა საკითხის დამუშავებას დღიურ ჭირ-ვარამისა, ან ჩვენი მხარის არსებით ინტერესების შესახებ.

ამნაირად განხილული იყო შემდეგი კითხვები:

ერეკლეს დროის არხის აღდგენა ყარაიაზის ველის მოსარწყავად მდ. არაგვის წყლითა;³⁹

განათლების გავრცელება დახურულ და ღია სასწავლებლების საშუალებით;

ცვლილებები, რომელთაც იწვევდა მაშინდელი სასამართლოს მონყობისა და წარმოების მდგომარეობა;

ჩვენი მხარის გამიჯვნისათვის საშუალებათა გამონახვა;

მემამულეთა და გლეხებს შორის უკეთესი განწყობილების დამყარება (რათა კარზე მომდგარ რეფორმას მოუმზადებელი არ დავხვედროდით).

და რამდენიმე სხვა კითხვა.

მეტადრე მას სურდა გლეხთა რეფორმა იმ თავითვე

დაეწყო; და სწორედ ეს საქმე ჩააბარა თავად გრიგოლ დიმიტრის ძე ორბელიანს, რომელსაც ჩემთან ერთად უნდა დაემუშავებია და წარედგინა.*

ორიოდე თვის შემდეგ, რაც თავადი ბარიათინსკი ჩვენი მხარის მართვას შეუდგა, სახელდობრ 1857 წ. იანვრის უკანასკნელ რიცხვებში, საბჭოში საქმეებს მოვახსენებდი. სხდომის დროს შემოდის მორიგე მოხელე და მიცხადებს, რომ თავადი მეფის მოადგილე მოითხოვს, რომ მე ახლავე ვეახლო.

ყველამ ერთმანეთს შეხედა; საბჭოში ჩემი სამსახურის 12 წლის განმავლობაში ერთხელაც არ ყოფილა შემთხვევა, რომ საბჭოს სხდომიდან გავეხმე ვისმე.

თავმჯდომარის ნებართვით გადავეცი მოხსენებები უფროს საქმის მწარმოებელს და თავადისაკენ გავეშურე. – დღეს თქვენ სხდომა გაქვთ და საქმეს მოგაცდინეთ, – ასე დამიხვდა მეფის მოადგილე; – მაგრამ მაპატიეთ, ქალაქშია თქვენ შესახებ მოსული, რომელიც... ალექსი თევდორესძევ! (კრუზენშტერნი) აბა ის ქალაქი. – აი, წაიკითხეთ.

ვკითხულობ... უმალლეს ღრამატას, რომლითაც მებოძა მე I-ლი ხარისხის სტანისლავის ორდენი.⁴¹

სიურპრიზია!

თავადი ბარიათინსკი კმაყოფილი დარჩა, როდესაც შემატყო, რომ ამას არ მოველოდი.

– ჯილდო მაშინ არის სასიამოვნო, როდესაც არ მოელი. ხომ ასეა?

მე რალაც წავილაპარაკე მადლობის გადასახდელად.

– იმედი მაქვს დღეს საღამოზე ვარსკვლავით იქნებით?

ხუთშაბათობით მას საღამოები ჰქონდა ხოლმე, რომელზედაც მე და ჩემი ცოლი, როგორც მაშინდელ მალალ წრეზე მიკუთვნებულნი, სამუდამოთ ვიყავით მიწვეულნი.

* ჩვენ წარუდგინეთ თ-დს ბარიათინსკის ჩვენი მოსაზრებანი 1858 წლის დამდეგს; იმან მოიწონა და იმედი ჰქონდა გაატარებდა, – მაგრამ შემდეგში უყურადღებოდ დასტოვეს. ამაზე ლაპარაკი შემდეგ იქნება.⁴⁰

საბჭოში იმ დღეს აღარ დავბრუნებულვარ, როგორღაც უხერხულად მიმჩნდა მიმეხარებინა საბჭოს წევრებისათვის, რომელთა შორის ექვსი თუ შვიდი კაცი იყო, რომელთაც ჯერ არ ჰქონდათ ის ორდენი, – აი, ხედავთ: თქვენ ჯერ არა გაქვთ და მე კი, თუმცა მომხსენებელი ვარ თქვენი, მივიღე ლენტი მხარზედა!

ერთი იმათგანი სალამოზე ჩვენზე ადრე მოსულიყო. პირ-მომღიმარი მასპინძელი მიგებებია და მონარქიული წყალობა მიულოცნია.

– რა წყალობა, თქვენო ბრ-ავ? – ეკითხება თურმე სიხარულით აღტაცებული.

– როგორ? განა თქვენ ჯერ არ იცით? დიმიტრი ივანეს-ძემ ლენტი მიიღო! ის ხომ თქვენიანია!

– აჰ! თქვენო ბრ-ვ!..

სამიოდე თვის შემდეგ მეუბნება თავადი: ჩემთვის საჭიროა თქვენი რჩევა და მე მსურს, რომ ჩემი საბჭოს წევრად დაგნიშნოთ. საწინააღმდეგო ხომ არა გაქვთ-რა?

– რას ბრძანებთ, თ-ნო ბრ-ავ!

– ჰო და მაშ გთხოვთ ახლავე მიიღოთ თანამდებობა უმაღლეს დამტკიცების მოლოდინში. აი, ჩემი წინადადებაც ამის შესახებ.

ამნაირად 1857 წ. აპრილიდან რჩეულთა და თვისი ბედის სრულიად კმაყოფილთა კრებულს ვეკუთვნოდი: მე ვიყავი მეფის მოადგილის საბჭის წევრი!

1858 წ. დამდეგს მეუბნება თავადი:

– ახლა თქვენ ისეთი მოუცლელი აღარა ხართ, რასაკვირველია, როგორც წინად იყავით. მე მინდა ერთი დიდი საქმე მოგანდოთ.

– მიბრძანეთ, თავადო!

– მე მინდა, რომ თქვენ შემიდგინოთ უქვეშევრდომილესი ანგარიში ჩემი მართველობის ორი წლისა.

ამან მე ძალიან გამაოცა.

– თ-ნო ბრ-ავ, მე რომ არაფერი ვიცი საქმეთა საერთო მსვლელობისა?

– მოსთხოვეთ, რაც თქვენთვის საჭირო იქნება ალექსი თევდორესძეს (კრუზენშტერნს), იმას აქვს ნაბრძანები ყოველი თქვენი მოთხოვნა დააკმაყოფილოს.

ამის შემდეგ უარი ველარ გასჭრიდა; უნდა შევდგომოდი საქმეს.

შეუდექი, მაგრამ ანგარიშისათვის ცნობების შეკრებას ერთ წელიწადზე ნაკლები დრო არ უნდოდა.

მაშასადამე, არაფერია დამშლელი, რომ თვალი გადაავლოთ ზოგიერთ სხვა შემთხვევებს, რომლებიც ახსნიან იმ საქმეს, ამ ამბავის საგანს რომ შეადგენს.

იმ დროს, როდესაც სამეგრელოს მთავრინა მოსკოვში იმყოფებოდა იმპერატორ ალექსანდრე II-ის დაგვირგვინებაზე, სამეგრელოში გლახთა მოძრაობა მოხდა.⁴² ამიტომ შეიყვანეს შიგ ჩვენი ჯარები და დაამყარეს უშუალო მართველობა.

ამან გამოიწვია 1857 წელს მთავრის მთელი ოჯახობის განწვევა პეტერბურგში, რომ მცირე წლოვანი მთავარი ნიკო სათანადოთ აღეზარდათ;⁴³ და რომ ამ ხნის განმავლობაში მისი ქონება დაცულიყო, ნაბრძანები იყო აპეკა დაენიშნათ.

აპეკუნების ამორჩევა მინდობილი ჰქონდა მთავრის მშობელს, ხოლო დანიშვნა მათი მეფის მოადგილეს. აპეკის ჩასაბარებლად მამულის საინვენტარო აღწერა კი საბჭოს წევრს ყიფიანს* დაევალა, რომელმაც მეფის მოადგილის, ქუთაისის გენერალ-გუბერნატორის, სამეგრელოს დროებით მართველობის საბჭოსი და მთავრინას მიერ საგანგებოდ დანიშნულ პირებთან ერთად, ეს აღწერა მოახდინა 1857 წ. და 1858 წლის დამდეგს მეფის მოადგილეს წარუდგინა.⁴⁴

ამასობაში მთავრინამ აპეკუნად აირჩია სიძე თვისი, აგრეთვე წევრი მეფის მოადგილის საბჭოსი – ბარონი ა. პ. ნი

* ხშირად მიხდება ჩემზე ლაპარაკი მესამე პირის სახით, მაგრამ ამას მოითხოვს ზრდილობის გარდა, მოყოლის წესიც.

კოლაი;⁴⁵ ღვიძლი ძმა თვისი, ფლიგელ ადიუტანტი, თავადი დავ. ალ. ჭავჭავაძე და იგივე ყიფიანი.

მაგრამ ამ უკანასკნელმა ამ ნოდებაზე მაშინვე უარი განაცხადა.

საინვენტარო აღწერაში შესულ ქონებას, სულ უმცირესი მისი შეფასებით, წლიური შემოსავალი უნდა მიეცა 80 ათას მანეთამდე, მაგრამ საინვენტარო აღწერის მოლოდინში მეტი გზა რომ არ ქონდათ აპეკუნებს, კმაყოფილდებოდნენ იმით, რასაც ადგილობრივი აგენტები უჩვენებდნენ. ხოლო განხილვა საინვენტარო აღწერისა, რალაცა გაუგებარი მიზეზების გამო, საბჭოში ორ წელიწადზე მეტს გაგრძელდა.

ორი აპეკუნის 1858 წლის ანგარიშებიდან მთავრინამ დაინახა, რომ მამულის ადმინისტრაციის ხარჯებს მხოლოდ 227 მან. გადარჩა.

მან ამის მიზეზი არ იცოდა, მაგრამ თვით ფაქტის გამო ისე განრისხდა, რომ აპეკუნობიდან გაანთავისუფლა ძმა და სიძე თავისი და ხელახლა მიმართა თხოვნით ისევ ყიფიანს, რომ მიეღო თავზე მისი მცირე წლოვანი შვილების ქონების დაცვა.

ამის შესახებ წერილი, რომლითაც მთავრინა მოუწოდებდა მას როგორც ადამიანს, როგორც ქრისტიანს, ყიფიანმა წარუდგინა თავად ბარიათინსკის და იქვე გამოსთქვა შემდეგი:

– თქვენს ბრწყინვალეობას მოეხსენება, რომ 1857 წ. მე გადაჭრით ვსთქვი აპეკუნობაზე უარი. ახლა შვილებს მაფიცებენ, რომ უარი აღარ ვსთქვა. რადგან მე მაქვს პატივი თქვენი საბჭოს წევრობისა, თქვენს დაურიგებლად ვერ ვბედავ პასუხი მივსცე კნეინას.

– მითხარით გულახდილად, რა მიზეზით ამბობთ უარს?

– მიზეზი, სწორედ რომ ვსთქვა, სამი მაქვს; პირველი: ამ ორ წელიწადში აპეკუნებს ხელთ არ ჰქონდათ აღწერილობა, რომლითაც შეედლებოდათ ხელმძღვანელობა; ამის გამო არ შეიძლებოდა, რომ გადასახადებში არეულობა არ მომხდარიყო; ამას გარდა, მე გაგებული მაქვს, რომ სამეგრელოში მყარდება აზრი, ვითომ მთავარი სამუდამოთ არის გადაყ-

ენებული და მამული ხაზინაზე გადადის. ამ შემთხვევაში კი ყველა იმ რწმენისა არის, რომ სჯობს კერძოთ დაიტაცონ მამული, ვიდრე ხაზინაზე გადავიდოდეს, როგორც ეს იყო გური-აში. ამიტომ შეუძლებელია, რომ აპეკუნს იქ წინააღმდეგობა რამე არ მოელოდეს იქაური მართველების მხრიდან კი.

– მთავრის სრულწლოვანობამდე, – მიპასუხა ამაზე თავ-ადმა, – არავითარი საკითხი არ უნდა იყოს იმაზე, დაბრუნდება ის თუ არა. ეს მომავლის საქმეა. მისი მამული დაცული უნდა იყოს ყოველ შემთხვევაში. ის რომ დაბრუნდეს და მამული კი გაფლანგული დახვდეს, ეს ხომ საშინელი შეუსაბამობა იქნება: მოჰყვება გოდებას, რომ მისი მამული იმ დროს გაფლანგეს, როდესაც ის თვით ხელმწიფე იმპერატორის ფრთის ქვეშ იყო შეფარებული. და თუ დაბრუნდება და მამული ხაზინას გადაეცემა, მაშინ ხომ ხაზინაც თქვენივე ინვენტარით მოითხოვს.

– ასეთი ჭეშმარიტების წინააღმდეგ არაფრის თქმა არ შეიძლება; მაგრამ მეორე ჩემი მიზეზი, სამეგრელოში რომ ახლა ასეთ გუნებაზე არიან, შეიძლება იყოს ისეთი შემთხვევა, როდესაც აპეკუნს არ უნდა ავინწყებოდეს, რომ ის თქვენი საბჭოს წევრია, ხოლო თქვენი საბჭოს წევრს – რომ ის აპეკუნია, ე. ი. მე მინდა ვსთქვა, რომ მოწინააღმდეგეთ ყოველთვის ექნებათ მიზეზი აპეკუნის მოქმედებაში დაინახონ ის, რაც არ უნდა ჩაიდინოს მთავრობის აგენტმა და აგრეთვე აგენტის მოქმედებაში ის, რაც არ უნდა ჩაიდინოს აპეკუნმა და ეს ვნებას არ მომიტანს სამსახურში?

– მიზანი აპეკუნისაც და მთავრობისაც ერთია: დაცვა იმ პირის მამულისა, უმაღლესი მფარველობის ქვეშ რომ უშუალოთ იმყოფება. ამიტომ მე არ ვიცი, რა უნდა გააკეთოთ თქვენ ისეთი, რაც არ შეეფერებოდეს ჩემი საბჭოს წევრსა. და თუ ადგილობრივ შეხვედებით რამე წინააღმდეგობას, პირდაპირ მე მომწერეთ. მ ა რ ჯ ვ ე ნ ა ხ ე ლ ი ვ ი ქ ნ ე ბ ი თ ქ ვ ე ნ ი.

– მაშ ალარც მეორე მიზეზია.

– ძალიან მოხარული ვარ! მესამე?

– აპეკუნმა თითონაც უნდა ათვალიეროს მამული. ამისათვის კი საჭიროა იქ ყოფნა 2-3 თვით მაინც წელიწადში. შეიძლება კი ესა თქვენი საბჭოს წევრისათვის?

– განა თქვენ იქ იმდენი საქმე გექნებათ, რომ ხანდახან მაინც ვერ შესძლოთ ჩაიხედოთ ჩემს საქმეებში, თან თუ გაგატანთ ხოლმე?

– მაგისათვის მე დროს ყოველთვის ვიშოვი.

– ასეთ შემთხვევაში ნებას მოგცემთ, რომ წახვიდეთ ხოლმე. ასე რომ, მესამე მიზეზიც აცილებულია?

– სრულებით.

– საჭიროა, რომ პატარა მთავრის მამული კარგ ხელში იყოს, ამიტომ მე გთხოვთ, რომ უარი არა სთქვათ!

– ო, ო, თქვენო ბრ-ავ!

– მაშ თანახმა ხართ?

– თანახმა ვარ.

– მაშ მისწერეთ ეს ეკატერინე ალექსანდრეს ასულს. მისწერეთ და წერილი მე გადმომეცით, შიკრიკის ხელით გავგზავნი.

მისწერე და გადავეცი.

შემდეგ დადგა დრო ანგარიშს შევდგომოდი.

ანგარიში დამზადდა 1859 წლისათვის. ამ დროსთვის მეფის მოადგილის მთავარ მართველობაში ცვლილებანი მოახდინეს და თვით თ-დი ბარიათინსკის მოსაზრებით, ხუთ განყოფილებიანი ერთი კანცელარიის მაგივრად, 5 სამინისტრო დეპარტამენტი დაანესეს, 3-ის და 4-ის განყოფილებით თითო: ესენი იყვნენ დეპარტამენტები: საერთო საქმეების, ფინანსების, სახ. ქონების, სასამართლოსი და საკონტროლო; ამიტომ თვითეული განყოფილების დირექტორს შევამონმებინე მისი სპეციალობის ანგარიში და ისე წარვადინე ჩემი ნამუშევარი.

ამ ანგარიშის მოხსენებას ვაკეთებდი ათი დღის განმავლობაში ყოველ დილას, 9-დან 11 საათამდე და ისეთი ქება მივიღე, რომ როდესაც კნეინა დადიანისამ ოფიციალურად შემოსთვალა, ვანთავისუფლებ აპეკუნობისაგან მათის თხ-

ოვნით ბარ. ნიკოლაის და თავ. ჭავჭავაძეს, ვირჩევ ყიფიანს და გთხოვთ დანიშნოთო, თ-დმა ბარიათინსკიმ გამომიცხადა – გნიშნავთ, მაგრამ თავიდან კი არ მოგიშორებთ, სანამ მე თვითონ არ წავალ ტფილისიდანო.

იმას უკვე მზად ჰქონდა გეგმა შამილთან საქმის გათავებისა და თავადი ალექსანდრე ივანესძე სალაშქროდ ემზადებოდა.

შემდეგ რა ბედი ენია ყოველ ნაწილებში მონონებულს და უკვე თეთრად გადაწერილს ანგარიშს, მე არ ვიცი.⁴⁶

თავადის დალესტანში წასვლის შემდეგ, მე გავემგზავრე სამეგრელოში, სადაც მეგობრებიც და მტრებიც, გარდა მხოლოდ ქუთაისის გენერალ-გუბერნატორისა,⁴⁷ დამიხვდნენ როგორც არსებული წეს-წყობილების მტერს.

აქ არ არის ადგილი დაწვრილებით მოყოლისა იმაზე, თუ რა წინააღმდეგობას ვხვდებოდი ადგილობრივ მოხელეებთან ყოველ ჩემს მოთხოვნასა და განცხადებებში, მცირე წლოვანი მთავრის კერძო ქონებათა დასაცავად. მაგრამ, გაკვრით რომ ითქვას ამ წინააღმდეგობის შესახებ, ესეც საკმარისია, რომ ახლაც კი, როდესაც დამშვიდებული და არა დაინტერესებული ვუტყვერი უკვე საკმარისად შორეულ საქმეს, ეს წინააღმდეგობა მიმაჩნია დაუფერებელ თავხედობად და უალრეს შეურაცხყოფად პატივისცემის გრძნობისა იმ ხელისუფლებისადმი, რომელსაც ვემსახურებით.

სამეგრელოს მაშინდელმა გამგებელმა (1859 წ.) გენერალმა კოლუბაკინმა I-მა⁴⁸ (ან გარადაცვალებული) წარბშეუხრელად გაგზავნა ოფიციალური მოხსენება, რომ სამეგრელოს მთავარს იმედი არ უნდა ჰქონდეს წელიწადში 13 ათას მანეთზე მეტი შემოსავალი მიიღოსო.

რომ არ მქონია ამისათვის არავითარი სურვილი და ჩემს ბუნებასაც ეწინააღმდეგებოდა, ისე დამჭირდა მაინც პროტესტები და საჩივრები – მაზრის მართველობაზე ოლქის მართველობასთან, ამაზე კიდევ გენერალ-გუბერნატორთან და მეფის მოადგილესთან.

მაგრამ თავადი ბარიათინსკის *მარჯვენა* ხელი ჩემს წინა-აღმდეგ და ქუთაისის გენერალ-გუბერნატორის წინააღმდეგ აღიმართა; ის იმდენად ბედნიერი იყო, რომ შეეძლო თავისი პოსტი მიეტოვებინა, ხოლო მე აპეკუნობის თავის დანებების ნება არ მომცეს.

– თქვენო ბრ-ავ! – მივმართე თავად ბარიათინსკის, – თქვენი გადანყვეტილების შემდეგ მე აღარ მესმის ჩემი მოვალეობანი; ხოლო მოვალეობას, რომელიც არ გესმის, ვერ აასრულებ. ამიტომ გთხოვთ ნება მომცეთ თავი დავანებო აპეკუნობას.

– ეგ ხომ აგრე ვიცოდი. მაგრამ გთხოვთ ახლა ნუ იზამთ მაგას. შეგიძლიანთ ერთი წლის შემდეგ, ან რვა თვის შემდეგ.

– ამ ხნის განმავლობაში ჩაბარებული ქონება მთლად განიავლება და პასუხისმგებელი კი მარტო მე ვიქნები ღვთის წინაშეც, კანონისაც და ჩემი შვილების წინაშეც. იმის ნება მაინც მიბოძეთ, რომ ყველაფერი შევატყობინო კნენას, რადგან აპეკით იმას ვემორჩილები.

– იმას შეგიძლიანთ შეატყობინოთ რაც გინდათ.

შევატყობინე კნენას პეტერბურგში საქმის ვითარება.

ის, რასაკვირველია, განრისხებულიყო და დაევალებინა ვ. ნ. სემიონოვისათვის, ჩვენი საბჭოს ყოფილი წევრისა და კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველისათვის, შეედგინა საჩივარი კავკასიის კომიტეტში შესატანად.

ამავე დროს მეფის მოადგილის პირით მეც დამიბარეს პეტერბურგში და იმანაც *მიბრძნა* ნავსულიყავი.

– ვასრულებ რა თქვენს *ბრძანებას*, მე უნდა ნავიდე. მაგრამ თქვენო ბრ-ავ, იქ რომ საქმეზე შემეკითხონ, მე ხომ ვერაფერს ვეტყვი გარდა იმისა, რაც უკვე მქონდა პატივი თქვენი ბრ-ისთვის მომეხსენებინა და ამეხსნა?

– ნადით და ღმერთი იყოს თქვენი შემწე; მოიქეცით ისე, როგორც გინდოდეთ, მე არაფერში ხელს არ შეგიშლით. კნენას მე თითონ ვურჩიე, საქმე სახელმწიფო საბჭოში, ან

კავკასიის კომიტეტში გადაეტანა. მე ჩემს გადაწყვეტილებას ვერ შევცვლი და თუ იქ იმის სასარგებლოდ გადასწყვეტენ, მე ეს არ მენწყინება.

მივედი პეტერბურგში 1860 წ. აპრილის თვეში. საჩივარი სემიონოვის მიერ უკვე იყო იქ შედგენილი და მალე კავკასიის კომიტეტშიც შევიდა.

საქმე მთელი წელიწადი გაგრძელდა.

ამ ხნის განმავლობაში საქმის შესახებ დანვრილებით პირადად მეკითხებოდნენ: კომიტეტის საქმეთა მმართველი ვლ. პეტ. ბუტკოვი, წევრი კომიტეტისა გრაფი დიმ. ნ. ბლუდოვი და თავმჯდომარე თ-დი ალექს. თევ. ორლოვი. ჩემი განმარტებანი დამყარებული იყო, რასაკვირველია, იმ ცნობებზე, რომლებიც უკვე თვალწინ იყო, საქმეში.

1861 წ. აპრილის თვეში გამოვიდა უმაღლესად დამტკიცებული აზრი კავკასიის კომიტეტისა, რომლითაც სამეგრელოს მთავრის ყოველი დარღვეული ქონებრივი უფლება აღდგენილი იყო, ხოლო მოქმედება ადგილობრივ ხელისუფალთა, რომელთაც ბარიათინსკი ეხმარებოდა, სრულებით უარყოფილი.

თ-დმა ბარიათინსკიმ უდიდესი პატივი მცა მით, რომ ასეთი გადაწყვეტილება ჩემს გავლენას მიაწერა და საზღვარგარეთიდან ტფილისში ასეთი ბრძანება გამოგზავნა: ამის შემდეგ ყიფიანი ჩემი საბჭოს წევრად ვერ დარჩება. მოახსენეთ თ-დ გრიგოლ დიმიტრისძეს, მის მაგიერად დანიშნოს სტარიცკი.⁴⁹

ასე დამთავრდა 1862 წ. ჩემი სამსახური მთავრობაში; მაგრამ დამთავრდა თ-დ ბარიათინსკის მეფის მოადგილეობაც კავკასიაში: ის აქ ველარ დაბრუნდებოდა ერთი სკანდალის გამოც, საზღვარგარეთ რომ შეემთხვა: ცოლი წაართვა თავის ადიუტანტს და, მასთან დუელით გასწორების შემდეგ, ჯვარი დაიწერა.⁵⁰

ასე განიფანტა 1862 წელს 1856 წლის სასოებანი და იმედები.

17.

ბარონი განის ფინანსიური სისტემა. – ნ. პ. ბეზაკის აზრი. –
სამოქალაქო მართველობაში წესის შეცვლა. – მუსლიმანთა
მაღალწოდების ქონებრივი უფლებები. პიროვნული უფლებები.
– ბატონ-ყმობა საქართველოში. – ვ. ი. სმიტენი. – ივ. აღ.
ბარტოლომეი. – იაგ. პავ. სტარიცკი. – რუსების წინააღმდეგ
ქართველი იცავს რუსულ რეჟიმს.

მთავრობის სამსახურში ჩემი ყოფნის უკანასკნელ ხანებში, მე, როგორც მკვიდრ მცხოვრებთაგან გამოსულ მოხელეს, კიდევ ერთი ბრძოლის წარმოება დამჭირდა რუსეთიდან მოსულ მოხელეებთან იმის გამო, რომ სამსახურის მოვალეობა ჩვენ სხვა და სხვანაირად გვესმოდა.

30-იანი წლების ბოლოსა და 40-იანის დამდეგს ტფილისში მუშაობა გაჩაღებული ჰქონდა სენატორ ბარონ განის კომისიას: ფართედ განზრახული ახალი ფინანსიური სისტემის მზადებაში კომისია უნდა შეხებოდა და შეემუშავნა მრავალი სხვადასხვა საკითხი, რომელიც ამ სისტემისათვის დასაყრდენს შეადგენდა; დიდ საქმეში ჩაება და უმთავრეს მიზანს ვერ მიაღწია, მაგრამ აღძრა კი რამდენიმე საქმე, რომელთაც თავის-თავად რთული და ხანგრძლივი მუშაობა დასჭირდა.

ამნაირად, სწორედ რომ განის ფინანსიური სისტემის უმწვერვალეს წერტილზე აღმოჩნდა და საბოლოოდ დამყარდა მარტივი, ცხადი და ყველასათვის გასაგები აზრი ტფილისის სახაზინო პალატის თავმჯდომარის ნიკ. პავ. ბეზაკისა, რომ **ნატურით გადასახადი შეცვლილიყო ფულის გადასახადით**, ე. ი. გადასახადი, რომელიც მიწის ნაყოფით შემოდიოდა, ფულის გადახდით შეცვლილიყო,⁵¹ რამდენადაც კი შეიძლებოდა ნაკლები შეფასებით.

მთელი დიდი შრომა – წინ წამძღვარებული საყოველთაო კადასტრი ფინანსიური სისტემისა, უკვე ზედმეტი აღმოჩნდა. სამაგიეროდ პირველ რიგში წამოიჭრა საკითხები:

1. სამოქალაქო მართველობის სისტემის შეცვლა ჩვენ მხარეში.

2. მაღალ-წოდების მუსლიმანთა ქონებრივი უფლებების გამორკვევა.

3. ხანების, ბეგების, ალაარების და მელიქების პიროვნულ უფლებათა გამორკვევა.

4. გამორკვევა ბატონ-ყმური უფლების საფუძვლებისა საქართველოში და სხვა.⁵²

მართველობის ნეს-წყობილების შეცვლა მოხდა 1840 წელს.

ამავე დროს სხვა საქმეების შემუშავებასაც შეუდგნენ.

სიმძიმე და სიძნელე მათი, მეორე საგნის შესახებ აქ გაკვრით მოყვანილ ამბავში გამოჩნდება; შემდეგ კი სხვა ადგილას, აგრეთვე გაკვრით, მოვიყვან ამბავს ბატონ-ყმობაზე საქართველოში.

მეორე და მესამე საგნების შესახებ მთავარ-მართველობასთან დაარსდა საგანგებო კომისიები და კომიტეტები, რომლებშიაც სჯა და კამათი უნაყოფოდ გაგრძელდა მეფის მოადგილე გრაფი ვორონცოვის მოსვლამდე ტფილისში.

მის მაღალ რეპუტაციას, როგორც სახელმწიფო კაცისას და ფრიად გამოცდილი ადმინისტრატორისას, კატკოვებიც კი ვერ შეარყევდნენ;⁵³ მაგრამ ისიც კი ადვილად ვერ გაართმევდა თავს იმ საქმეს, უახლოეს თანამშრომლად რომ მას გვერდში არ ამოსდგომოდა გენერალი ლ ა დ ი ნ ს კ ი, კაცი – არა ნაკლები კეთილი განზრახვებით, ხოლო უფრო ახლო მცნობი ამ მხარის წარსულისა და, მალოროსიული თვისი ბუნებით, მედგარი და მხურვალე მუშაობის მცოდნე.

1845 წ. პეტრ. ანტ. ლადინსკიმ ხელი მოჰკიდა საქმეს და ამის შემდეგ კი მისი მსვლელობა აღარ შეჩერებულა.

კავკასიის კომიტეტის მეშვეობით რამდენჯერმე გადაიგზავნა ეს საქმე უმაღლეს განხილვისათვის; გრაფმა ვორონცოვმა თვისდა სასიხარულოთ მიიღო 1846 წელს შემახაში და დიდის ამბავით გამოუცხადა იქ შეკრებილ ბეგებს უმოწყალესი რესკრიპტი, რომლითაც წყალობა ეძლეოდათ და **საბოლოოდ**

უმყარდებოდა მუსლიმანთა მაღალ-წოდებას მიწის საკუთრების უფლება და ამ უფლებიდან გამომდინარე მოწესრიგება დამოკიდებულებისა მემამულეთა და გლეხთა შორის.⁵⁴

ხელმწიფის წყალობის ამ განცხადებამ იმდენად დაამშვიდა ყველა ჩვენი მუსლიმანი მცხოვრებნი, რომ 1853-1856 წლების ომში, მიუხედავად იმისა, რომ სარწმუნოებრივი ხასიათი ეძლეოდა მას, ისინი თავიანთ ერთმორწმუნეთა წინააღმდეგ ჩვენთან ერთად იბრძოდნენ.

მაგრამ რუსული ანდაზისა არ იყოს: „Царь жалуёт, да царь не хочет“,* – გამოჩნდნენ აქაც ადამიანები, რომლებმაც, სამსახურის მოვალეობის თავისებური ერთგულების ამოფარებით, განიზრახეს დაემტკიცებინათ კავკასიის მუსლიმანურ საზოგადოებისათვის ბოძებული წყალობის უვარგისობა და შეეცადნენ მის გაუქმებას.

საჯაროთ გამოცხადებული რესკრიპტის საფუძვლებზე შემუშავებულ ახალ დებულების სისრულეში მოსაყვანად, შემახაში შეადგინეს საგანგებო კომისია საგუბერნიო მართველობის მაღალი პირებისაგან. მაგრამ ეს მხოლოდ საქმეს აფერხებდა.

ამ კომისიის გასამართლებლად ეს კი საჭიროა ითქვას, რომ მას გადაეცა აღსრულებაში მოსაყვანად **დებულება** საბოლოოდ დაკანონებული რედაქციით, ხოლო არ გადაუციათ არც მოტივები ამ **დებულების** წარმომშობი, არც ცნობები რამდენიმე დეტალური საკითხის შესახებ, რაც კიდევ საჭიროებდა განხილვას.

შემახის კომისიის პერსონალში კიდევაც რომ არ ყოფილიყვნენ ახალი წესის მტრული ელემენტები, მარტო ეს მიზეზებიც კმაროდა, რომ საკითხი საკითხზე აღეძრათ ხოლმე.

და მართლაც, კომისიაში გაუგებრობა გაუგებრობაზე იყრიდა თავს და გენერალ ლადინსკის, ამ საქმის სპეციალუ-

* „ხელმწიფე წყალობას იძლეოდა და მეძალღე უარს ამბობდაო“ [Царь – მეძალღე, მწვერების შემნახავი (ჩუბინაშვილი 1973: 362)].

რად მცოდნე კაცის, ჩვენი მხრიდან წასვლის გამო ისეთნაირად გართულდა, რომ თვით ვორონცოვი შევიდა ყოყმანში, თუ როგორ წაეყვანა საქმე ისე, რომ აეცდინა როგორმე იმის გაუქმება, რაც ერთხელ გადანყვეტილიყო უმაღლესი ხელისუფლებით და გადანყვეტილიყო საბოლოოდ, საქმის დანვრილებით და ყოველ მხრივ ანონ-დანონით.

ლადინსკის მოადგილეს, თავადს ვ. ო. ბებუთოვს, ბედნიერი აზრი დაებადა მოეხსენებინა მეფის მოადგილესათვის, რომ შემახის კომისია ვერ შესძლებს თავი გაართვას ამ საქმეს იქამდე, სანამ მას არ მიეცემა დანვრილებითი ინსტრუქცია, რომლითაც ის შესძლებს დაინახოს, თუ რა უნდა აღსრულდეს უეჭველად და რა გადაეცეს კიდევ შესამუშავებლად.

მისცეს კომისიას ეს ინსტრუქცია და აქედან იწყოს დენა საქმემ შეუჩერებლად.

რაც უნდა ასრულებულიყო, ასრულდა ნელ-ნელა, 12 წლის განმავლობაში, ხოლო რაც კიდევ უნდა შემუშავებულიყო – შემუშავდა, მთავარ მართველობას გადაეცა და 1859 წ. აქ, საბჭოს მიერ იქნა დანვრილებით განხილული.

საბჭოს შემადგენლობაში მაშინ იმყოფებოდა ვას. ივ. ს მი ტ ე ნი, მანამდე შემახის კომისიის ყოფილი წევრი, როგორც იქაური ვიცე-გუბერნატორი. იმან იდვა თავს ამ საქმის დანვრილებით შემუშავება და თვისი მოხსენება შეიტანა საბჭოში 1860 წ., როდესაც მე სამეგრელოს აპეკის საქმეებზე პეტერბურგში ვიყავი. მაგრამ საბჭოში, თ-დი გიორგი მუხრანსკის განცხადებით, რომ ეს საქმე არავინ არ იცის ისე დანვრილებით, როგორც ყიფიანმა, რომელმაც შემახის კომისიის ინსტრუქციაც შეადგინაო, გადანყვიტეს ჩემს დაბრუნებამდე მოეცადათ, ხოლო ამავე დროს კი ვ. ი. ს მი ტ ე ნის მოხსენება საბჭოს დანარჩენ წევრებს წინასწარ უნდა განეხილათ.

მე დავბრუნდი 1861 წელს, აპრილში.

შეგუდექით საქმის განხილვას საბჭოში. ამ განხილვის უფრო მეტი სისწორისათვის მოვიწვიეთ იაგ. პავ. ს ტ ა რ ი ც კ ი, ტფილისის კომერციული სასამართლოს თავმჯდომარე,

იურისტი, რომელსაც ჩინებული სახელი ჰქონდა მოპოებული, როგორც სასამართლოს მოღვაწეს ტფილისში.

ვ. ი. სმიტენის მოხსენების მიმართულება პირველი სტრიქონიდანვე აშკარა იყო ყველასათვის. მომხსენებელი პირდაპირ ამხობდა ყველაფერს იმას, რაც 1846 წ. უმაღლესი რესკრიპტით დამყარებულიყო, აუქმებდა იმას, რაც 15 წლის წინათ იყო გადანყვეტილი უზენაესი საკანონმდებლო ხელისუფლებით, და რასაც ერთად ერთს შეეძლო მრავალრიცხოვან მუსლიმან მცხოვრებთა წოდებრივ ურთიერთობაში დაემყარებია წესი და რწმენა უმაღლესი ხელისუფლების გადანყვეტილებათა სიმკვიდრისადმი.

მოსალოდნელი იყო, რომ მოხსენებას უარყოფდა საბჭოს ყველა დანარჩენი წევრი, მაგრამ იმ თავითვე ცოტად თუ ბევრად თითქმის ყველანი შეეყოყმანდნენ, ან, ყოველ შემთხვევაში, მზად მაინც იყვნენ მხარი დაეჭირათ მომხსენებლისათვის, და მარტო მე მომიხდა ბრძოლა იმ პრინციპისათვის, რომელიც მიმაჩნდა ჩემთვის მტკიცე ვალდებულებად, რომ დაურღვეველი უნდა იყოს ის, რაც ერთხელ გადაუწყვეტია ხელისუფლებას, რომელსაც, როგორც უზენაესს, შეგნებით ვემსახურები.

ამ საქმის განხილვას საბჭოში თვრამეტი სხდომა მოუწდა. იმათში უკანასკნელზე სმიტენის აზრს შერჩა მხოლოდ ივ. ალ. ბარტოლომეი; დანარჩენი ყველანი უკვე ჩემს მხარეზე იყვნენ.⁵⁵

მაგრამ რად დამიჯდა მე ყველა ეს?

გადაწყვეტილება რომ გამოცხადდა, ბარტოლომეი მომიბრუნდა შემდეგი ტკბილი სიტყვებით:

„მუსლიმანთათვის ასეთი თავის გამოდება **საკადრისი** არ არის!“

– უზენაესი ხელისუფლების გადანყვეტილების წინააღმდეგ წასვლა და წასვლა მხოლოდ იმიტომ, რომ ის არის მუსლიმანთა სასარგებლოდ, თუმცა არც სხვა რომელსამე სხვა სარწმუნოებას ეხება რამეში, – ეს კი, არა თუ საკადრისი არ არის, პირდაპირ **უზნეობა!**

ამ პასუხს ხელი არ შეუშლია მისთვის, რომ რამდენიმე წლის შემდეგ თვისი ნუმისმატიკური* ასპარეზიდან ალექსანდრეს კავალერად ჩასულიყო საფლავში.⁵⁶

ერთს რომ მივეცი ასეთი ტკბილი პასუხი, იქვე მიუბრუნდი მეორეს:

– ბოდიშს ვიხდი, იაგორ პავლოვიჩ (სტარიცკი), მაგრამ არ შემიძლია არ გითხრათ ის, რაც ამ დღეებში გულში მომიგროვდა. მე ვგრძნობდი და ახლაც ვგრძნობ თქვენდანი უგულწრფელეს, უღრმეს პატივისცემას, მაგრამ ამ 18 სხდომის განმავლობაში ერთი საქმის თაობაზე, თქვენ სწორეთ 18-ჯერ შესცვალეთ თქვენი აზრი! ეს შეუძლებელია! ღვთის გულისათვის, ისწავლეთ როგორ უნდა იქონიოთ თქვენი რწმენა!

ის მაშინ მთლად გაჭარხლდა; მაგრამ ისწავლა კი; და ისწავლა ისე, რომ ახლა ის სახელმწიფო საბჭოს წევრთა შორის რჩეულთაგანი არის, და თვით ბარონ ნიკოლაის არ ჩამოუვარდება სახელგანთქმულობაში.

18.

მთავრობის სამსახურის განახლება. – ჩემი აპეკუნობის მოკლე ამბავი. – გრაფი მ. ტ. ლორის-მელიქოვი. – პრიკაზის ვალი თავად-აზნაურობაზე. – წერა-კითხვის საზოგადოება. – თავადი მინგრელსკი. – გრაფი ბარანოვი. – გრაფინია ადლერბერგი. – ფ. ა. სმირნოვი. – თ-დი ანდ. ალექს. ლივენი. – სახელმწიფო ქონებათა სამინისტროში ჩარიცხვა. – უმაღლეს კომისიაში დანიშვნა. – 4 დაპირებებიდან 3-ზე უარი. უპატიოსნესი ადამიანი. – დავ. იას. ჩუბინოვი.

1862 წ. შეწყვეტილი მთავრობის სამსახური 1880 წ. განიხილდა და დღემდე გრძელდება, მაგრამ ერთობ უცნაური

* ი. ა. ბარტოლომეი სამხედრო გენერალი იყო, მაგრამ ერთად ერთი მისი სპეციალობა ნუმისმატიკა იყო.

სახით და ჩემგან განვლილ გაკვეთილებს შორის ყველაზე უშესანიშნავესი გაკვეთილის მიუხედავად.

ქვემოდ მოსათხოვრობი ამბავის გასაშუქებლად, აქ უნდა ჩაურთო ერთი პატარა ეპიზოდი, იმ ამბავიდან ამოღებული, რასაც მეორე ადგილას აღვნიშნავ, სახელდობრ:

იმის გულისათვის, რომ 1858 წ. არ ვათხოვე ყური სამეგრელოს ხალხის ხმას და ამ ხნიდან მოყოლებული 9 წლის განმავლობაში თავგამოდებით ვიცავდი სამეგრელოს მთავრის სახლობის ინტერესებს, რომელზედაც თითქო ღვთის წყრომა იყო გადმოსული, თავს დამატეხეს ისეთი სასჯელი, რაც შეიძლება წარმოსდგეს მხოლოდ ელექტრონის განსაკუთრებული ძალით, ჩვენს სასამართლოებში ხანდახან გასაოცარი უსამართლობით⁵⁷ რომ იფეთქებს ხოლმე.

სამეგრელოს მთავრის მამულმა პირველი აპეკუნების ხელში 1858 წელს 227 მ. მისცა წმინდა შემოსავალი.

ჩემს ხელში ამ შემოსავალმა, – მართალია, ერთბაშად არა, მაგრამ თანდათანობით, – მეტადრე კავკასიის კომიტეტის გადანყვეტილების შემდეგ 1861 წ. და 1867 წ. იანვარში მეორე გადანყვეტილების გამოცხადების შემდეგ, – მიაღწია იმ ციფრამდე, 1857 წელს რომ საინვენტარო აღწერილობასა ჰქონდა ნავარაუდები ე. ი. 80 000 მანეთამდე, რომელშიაც შედიოდა 1867 წელს მთავრობისაგან დანიშნული მილიონის სარგებელიც.⁵⁸

მაგრამ ისეთმა ელემენტებმა, როგორც ქალის კაპრიზი, როგორც ყმანვილკაცური ყინი გამდიდრებისა, როგორც ალლო ზოგიერთი ადვოკატისა, თუ სად შეიძლება კარგად გამორჩეს, როგორც ქედმოხრა ზოგიერთი მსაჯულისა მოწყალესა და დამანინაურებელის წინაშე, – ყველა ამან ერთად ხელი შეუწყო იმას, რომ ყოფილი მთავრის, თავადი მინგრელსკის სასარგებლოდ სასამართლომ 50 000 მანეთი მომისაჯა გადასახდელად⁵⁹ – და ეს რაღაც 5 თუ 6 წლის შემდეგ, რაც მინგრელსკის ინტერესების გადამეტებული ენერგიული დაცვისათვის განსვენებულმა თავ. ბარიათინსკიმ მეფის მოადგილის საბჭოდან და სულაც სამსახურიდან გამომაბრძანა.

ახლა განვავგრძობ ამბავს ამ სამსახურის განახლებაზე.

იმ მიზნით, რომ აღდგენილიყო საზოგადოებრივი მშვიდობიანობა, დარღვეული ალექსანდრე II-ზე ბოროტი თავდასხმით პეტერბურგში 1880 წლის დამდეგს, დაარსდა უზენაესი განკარგულების კომისია (Верховная распорядительная комиссия)⁶⁰ და ამ კომისიის მთავარ გამგეთ დაინიშნა გრაფი მიხეილ ტარიელის ძე ლორის-მელიქოვი, ჩემი გმირი მიხეილ ტარიელის ძე, რომელთანაც აქ, ტფილისში, ყოველთვის საუკეთესო, თითქმის მეგობრულ განწყობილებაში ვიყავი.

როდესაც ის თერგის ოლქის უფროსად იყო, არა ერთხელ გამოუთქვამს ჩემთვის სათუთი თვისი გრძნობანი. 1878 წელს კი, ყარსის ალების შემდეგ, ერთი დიდი თანამდებობის მოლოდინში სიტყვა ჩამომართვა, რომ წავიდოდი მასთან სამსახურში.

ახლა ის იდგა სახელმწიფოს ყოველ შემძლებლობის ისეთს სიმალლეზე, რომლის მიღწევა უბრალო მომაკვდავთა შორის არავის ღირსებია. ასე გასინჯეთ, უზენაესი კომისიის შემადგენლობის ამორჩევაც კი იმას ჰქონდა მინდობილი.

მაგრამ ასეთი მდგომარეობა ბადებს შურსა და მტრობას.

საკმარისად ჰყავს მას ხელ-ქვეშ ერთგული კაცები? – ეს ერთი.

ამასთან, ორი საქმე მაქვს გულში, რომელთა კარგად გადანწყვეტა საზოგადოებას, ჩვენს ქართულ საზოგადოებას, დიდ სარგებლობას მოუტანს.

მაქვს განა უფლება, რომ ამ შემთხვევაში არ ვისარგებლო და არ მივმართო ამ საზოგადოების წევრის ყოველ-შემძლებელ დახმარებას? – ეს მეორე.

და ბოლოს – თითონ მე მაქვს თავს დატეხილი სასამართლოს ორი საქმე.⁶¹ ხოლო ჩვენში სასამართლო არის, თვით მოსამართლეთა მსოფლმხედველობით, დამოუკიდებელი, თვითმპყრობელი, უცოდველი და de facto უკვე აღარ არსებობს ის ორგანიული კანონი, რომელიც დაჩაგრულს უკანასკნელ თავშესაფარს სამეფო ტახტის წინ გაუღებდა.

გრაფი მიხეილ ტარიელის ძე არის ერთად ერთი პირი ახლა, რომელსაც შეუძლიან ამ გზის გახსნა და დახმარება, რომ

გამოსთხოვოს უმაღლესი ბრძანება ჩემი საქმეების გადასაშინჯავად, თუ თვითმპყრობელობითი პრეროგატივი სასამართლოს შესახებ საკასაციო სენატზე არ იყო გადაცემული.

მაქვს განა უფლება, რომ არ ვსცადო და არ დავადგე ამ გზას? – ეს მესამე.

სამივე ამ კითხვაზე უარით უნდა მეპასუხნა ჩემი თავისათვის და აი, 1880 წლის მარტის დამდეგს პეტერბურგისაკენ გავეშურე.

იქ მიხვილ ტარიელის ძე გადამეტებით მუშაობს.

– იმის დანიშვნამდე არავის ძილი არ ჰქონდა პეტერბურგში, – მეუბნებოდნენ ერთ კერძო სახლში, სადაც ეჭვიც არ ჰქონდათ ჩვენი ერთმანეთში დამოკიდებულების შესახებ. – ახლა კი გვძინავს; ჩვენ არ ვიცით, მან რა გააკეთა, მაგრამ მშვიდად კი გვძინავს.

თითონ მასში კი მე არავითარი ცვლილება არ დამინახავს, გარდა იმისა, რომ ძალიან გამხდარიყო.

ჩემი პირველი საკითხის შესახებ მიპასუხა, რომ ბედნიერად ჩასთვლიდა თავს, რომ შესძლებოდა ჩემი ჩაყენება იქ, სადაც უკვე ჩააყენა ესა და ეს; მაგრამ ნეპოტიზმს დამნაშაბენო; იმას კი არ უნდოდა, რომ რამეში ბრალი დაედოთ.

– მაგრამ მე შენ მოგანყო, შესაფერისად მოგანყო, თუ ერთ-ორ თვეს დამაცდი.

– ვეცდები დავიცადო. ახლა მეორე საკითხი. მე მაქვს აქ პირადი და საზოგადო საქმეები. მაგრამ წინდანი ვაცხადებ, რომ თუ ჩვენი საზოგადო საქროებანი შეწყნარებულ იქნებიან, კერძო ჩემს საქმეებზე ხმასაც არ ამოვიღებ.

– მას ჯერ საზოგადო საქროებაზე მოვილაპარაკოთ.

– ვილაპარაკებ მხოლოდ ორზე: ჩვენი თავად-აზნაურობის პრიკაზის ვალზე⁶² და ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებაზე.⁶³

– ხალხის განათლებისთვის ყველაფერზე მზადა ვარ, მაგრამ ჯერ პრიკაზზე. ვალი თუ აღებულია გადახდაც ხომ უნდა?

– საქმეც ის არის, თუ როგორ არის აღებული ვალი? ჯერ ერთი ვიტყვი იმას, რომ ახლა სამ მილიონამდე ასული ვალის პატიებისათვის საპატიო საბუთიც რომ არ იყოს, თქვენ სხვაზე უკეთ იცით, რომ ეს მონყალემა ქართველმა თავად-აზნაურობამ სრულებით დაიმსახურა.

– მე კვლავ მესმის ჩვენი წინამძღოლის მსჯელობა!⁶⁴

– არა, ხუმრობა გაშვებით. თქვენ იცით, რომ ქართველები დიდი ერთგული არიან ტახტისა, და მათ რომ მონარქიული მონყალეების სახით ასეთი საჩუქარი მიეცეთ, კარგი იქნება, მით უმეტეს, რომ ესეც უნდა მოხდეს, ვინაიდან ამას უძევს ძალიან მკვიდრი იურიდიული საფუძველი.

– ოჰო! აბა როგორი?

– ეს ვალები ბატონ-ყმობის დროს არის აღებული. პრიკაზი რომ ფულს აძლევდა, მეკომურ ყმებს იგირავებდა. ეს გირავნობა ახლა აღარ არსებობს და ეს მოვალეების ბრალი არ არის. სესხის აღების პირობა დარღვეულია, სწორედ რომ ვსთქვათ, მესამე პირის მიერ, საკანონმდებლო ხელისუფლებით. ადგილობრივი მთავარ-მართველობისაგან ამის შესახებ უკვე გამოგზავნილია შუამდგომლობა კავკასიის კომიტეტში და საჭიროა მას ხელი შეეწყოს. ეს სასიამოვნო იქნებოდა დიდი მთავარი მეფის მოადგილისათვისაც.⁶⁵

– მართლა და ახლა მაგონდება, გირაოდ მიწას კი არა, გლეხებს იღებდნენ. შემიდგინე ამის შესახებ ქალაქი და მე ვეცდები. მეორე საქმე?

– ეს არის საქმე ტფილისის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების შესახებ, სადაც თქვენ წევრი-დამფუძნებელი ბრძანდებით.⁶⁶ სასურველია, რომ ამ საზოგადოებამ მოიპოვოს უმაღლესი მფარველობა და აქედანვე აი ასეთი დახმარება მიეცეს:

სამი მილიონი ვალი თუ მოიხსნა, ეს იქნება წყალობა თავად-აზნაურობის მხოლოდ ერთი მესამედისათვის, ხოლო დანარჩენი ორი მესამედიც რომ მონაწილე შეიქნეს მონარქიული მონყალეებისა, მოახერხეთ ისე, რომ ნაწილი ვალისა

ანგარიშებიდან მოიხსნას და დანარჩენი კი წერა-კითხვის გავრცელების სასარგებლოდ მიეცეს.

– აზრი მოსაწონია. საჭიროა ამის შესახებაც ქალაქი. ერთს ქალაქს შეადგენ, როგორც ყოფილი წინამძღოლი თავად-აზნაურობისა, მეორეს კი – როგორ?

– როგორც თავმჯდომარე საზოგადოებისა.

– ჩინებულია! შეიძლება ხვალისათვის?

– უეჭველად მოგართმევ ხვალ.

და მივართვი.

შემდეგ – კრინტიც აღარ დაძრულა ჩემს პირად საქმეებზე.

მაგრამ ვერც საზოგადო საქმეები გაკეთდა: ერთი იმიტომ, რომ კავკასიის კომიტეტის სხდომაზე გრაფს დაუგვიანდა მისვლა რამდენიმე წუთით, რის განმავლობაშიაც საქმის გადანწყვეტა მოესწროთ. თუმცა კარგად კი გადანყდა, – რადგან გლეხთა რეფორმის შემდეგ დაგროვილი სარგებელი და ჯარიმა მოხსნეს; მეორე კი ვერ გაკეთდა იმიტომ, რომ ვარშავაში ვილაც ახირებულს კაცს, ჩვენიანს plus royal, que le roi, რაღაცა დაეშავებინა და ამიტომ ახლა უხერხულია ქართველების სწავლა-განათლებაზე ლაპარაკი.⁶⁷

ღმერთო სამართლიანო! რა აქვს პოლონეთს საერთო საქართველოსთან?

ამასობაში იწყებოდა ის საქმე, ამ ამბავის საგანს რომ შეადგენს.

არ მახსოვს ახლა რის თაობაზე, ერთხელ მიხეილ ტარიელიჩმა თავად მინგრელსკის საქმეებზე ჩამომიგდო ლაპარაკი.

– როგორც მეყურება, – ვეუბნები მე, – ძალიან ცუდად მიდის იმის საქმე. მგონია იმის ნახევარიც არ შერჩეს, რაც მე მას 1868 წ. ჩავაბარე.

– რატომ, რა მიზეზია?

– ამბობენ, იმისმა აგენტებმა საქმე ისე დაიწყეს, რომ ყველას პირს კატა ეცა, ერთბაშად რომ მგონი ათასზე მეტი საჩივარი შეიტანეს დარღვეული მფლობელობის აღსადგენად. ამან თითქმის მთელი სამეგრელოს ხალხი აამხედრა მის

წინააღმდეგ და პროცესს პროცესზე აგებს თურმე. ისეთი საქმეებიც კი წაუგია, რომელთა უდავობა ყველასათვის ცხადი იქნებოდა, ვინმე რომ გასჯილიყო და აპეის საქმეებში ჩაეხედა, მამულთან ერთად რომ ჩავაბარე.

მეორეთ, შემთხვევით რომ განაახლა მასზე ლაპარაკი, მიხეილ ტარიელის ძე შემეკითხა, ვსწუხდი თუ არა, რომ მინგრელსკის საქმეები იმ მდგომარეობაში იყო.

– თუმცა ღრმად ვარ შეურაცხყოფილი და ამ საქმით მთლად დაქცეული,⁶⁸ მაგრამ მაინც ვწუხვარ ადამიანობით საზოგადოდ და კერძოდ იმიტომ, რომ ამნაირად იკარგება ჩემი ცხრა წლის შრომის ნაყოფი.

იმ ლაპარაკის ორიოდ დღის შემდეგ ის მეკითხება, იყო თუ არა ჩემთან თავადი მინგრელსკი.

– არა, არ ყოფილა, ეთხოვნა კი დღეს, რომ მენახა.

– ნახე, ნახე!

– რა იყო, განა ავად არის?

– არა, ავად არ არის, მაგრამ საქმე აი რაში არის: აქ უნდათ დააარსონ საგანგებო უმაღლესი კომისია მისი საქმეების მოსაწყობად; ამ კომისიის თავმჯდომარედ იქნება სახელმწიფო ქონებათა მინისტრი, თავადი ლ ი ვ ე ნ ი, წევრებად – სახელმწიფო საბჭოს წევრი კ ლ უ შ ი ნ ი (ადრევე ყოფილი უფროსი კავკ. მეფის მოადგილის მთავარ მართველობისა) და ს ტ ა რ ი ც კ ი (სწორედ ის, რომელიც 1862 წ. ჩემს მაგიერ დაინიშნა მეფის მოადგილის საბჭოში)⁶⁹ და წევრად-საქმის მწარმოებლად – ს მ ი რ ნ ო ვ ი. საჭიროა, რომ შენც წევრი იყო ამ კომისიისა... მე მომანდეს, რომ შენ დაგითანხმო, მაგრამ რადგან ვიცოდი, რომ უარს არ იტყოდი, მე დავპირდი კიდევაც. ეს შენ წინ წაგწევს, უფრო ახლოს გაგიცნობენ; იქ უნდათ პირადად გაგიცნონ.

– მაგაზე მე უკან არ დავინევ, მაგრამ ნება მექნება თუ არა, რომ ჩემი სურვილიც გამოვსთქვა?

– ე. ი. პირობები? უსათუოდ.

– მაშ, აი რა: ჩემი სამსახური შესწყდა თავადი მინგრელსკის საქმეების გამო. ახლა უნდა აღმიდგინონ სამსახურის უფლე-

ბანი, ე. ი. დღემდის დაკარგული დრო სამსახურში ჩამეთვა-
ლოს. მაგალითები ყოფილან, მაშასადამე ძნელი არ არის.

– რომ ვსთქვათ, ეგ ძნელი არ არის.

– შემდეგ საჭიროა, რომ ჩემსა და თავად მინგრელსკის
შორის არავითარი ანგარიშები აღარ იყოს. არ შეიძლება
გულში ბოღმა არ გიტრიალებდეს, რომ ასეთი უსამართლო
გადასახადი შემოგახვიეს თავზედა. ამისთანა გრძნობა კი, ვი-
საც უნდა შეეხებოდეს, უთუოდ ხელს შეუშლის მის სასარგე-
ბლოდ მუშაობასა.

– დიახაც! მაგას რალა ჩიჩინი უნდა.

– დაბოლოს, სამსახურში რომ შედიხარ, ჯამაგირიც უნდა
გქონდეს მხედველობაში.

– ჯამაგირი გექნება ათასი თუმანი წელიწადში.

– თუ მინგრელსკის ხარჯზე იქნება, ეს ბევრია, იმას ისეც
აჩანაგებენ. შვიდიც საკმარისი იქნება.

იმან მომბაყრო თავისი შესანიშნავი თვალები, რომლებიც
თითქოს ხმამაღლა მეუბნებოდნენ: გცნობ, გცნობ მე შენა!

– მაშ ნახე, ნახე ხვალ ნიკო და რაც იქნება, მიაბზე შემდეგ.

ვიყავი მეორე დღეს ნიკოსთან, ე. ი. მინგრელსკისთან. ვი-
თომც არა ყოფილიყოს რა, გამოექანა, მომეხვია და მეუბნება:

– ცუდად მიდის ჩემი საქმე სამეგრელოში, დიმიტრი ივანეს
ძე! უნდა დამეხმაროთ, რომ გამოვაკეთოთ.

– გაგებული მაქვს მეც და ყველაფრის მიუხედავად, გუ-
ლთი ვარ მონდომებული დაგეხმაროთ.

– გმადლობთ, გმადლობთ. დღეს უნდა წავსულიყავით ედ-
ვარდ ტროფიმოვიჩთან, მაგრამ დღეს იმას ვერ ვნახავთ, ხვალ
წავიდეთ. მოდით ხვალ ჩემთან დილის 11 საათზე და წავიდეთ
ერთად.

– ვინ არის ეს ედვარდ ტროფიმოვიჩი?

– თქვენ არ იცით? გრ. ედ. ტრ. ბარანოვი.

– ახ, ღმერთო ჩემო! გრაფი ბარანოვი. სახელმწიფო საბჭოს
საეკონომიო დეპარტამენტის თავმჯდომარე? როგორ არა,
ვიცი, ძალიან მოხარული ვარ, ძალიან!

და ნავედით მეორე დღეს გრაფ ედვარდ ტროფიმოვიჩთან, მაგრამ მინგრელსკისთან ერთად კი არა, რომელსაც რალაც მიზეზით წამოსვლა არ შეეძლო, ჩემს მომავალ კოლეგა თევდ. არტემ. სმირნოვთან ერთად, რომელიც იქვე, მინგრელსკისთან გავიცანი.

12 საათი იქნებოდა, რომ გრაფმა მიგვილო.

პირველი შეხედვით გრაფმა ედვარდ ტროფიმოვიჩმა მეტის მეტად სასიამოვნო და საამებელი შთაბეჭდილება იქონია ჩემზე, ისეთი მომხიბლავი იყო მისი სახის ტკბილი, სანდომიანი გამომეტყველება; მისი ჭალარა ამთავრებდა ამ შთაბეჭდილებას და უნებურად გეპარებოდათ თავში ღრმა ეჭვი იმ ნათქვამის სიმართლეზე, რომ შეხედულება ატყუებსო!! დიახ! იქნებ სხვის ვისიმე შეხედულება ატყუილებს, მაგრამ ამისი კი არა!

საათნახევრის მუსაიფმა მასთან ხომ დაასრულა მისი მომხიბლავობა: პირდაპირ გიპყრობდათ სურვილი, რაც შეიძლება ხშირად გენახათ ეს საუცხოვო ადამიანი.

რომ მიგვილო მე და სმირნოვი, გრაფმა გამოსთქვა თავისი კმაყოფილება ჩემის გაცნობით და სავარძლები შემოგვთავაზა საწერ მაგიდასთან, თავის პირდაპირ.

ვერც კი მოვასწარით დავმჯდარიყავით, რომ შემოვიდა ერთი მანდილოსანი, რომელსაც დიდის პატივისცემით მიესალმნენ და ჩემი თავიც გააცნეს.

მერე გავიგე, რომ ის იყო სიდედრი ნიკო მინგრელსკისა, გრაფინია ეკატერინე ნიკოლოზის ასული ა დ ლ ე რ ბ ე რ გ ი,⁷⁰ რომლის შესახებ მიხ. ტარიელისძე იტყოდა ხოლმე, რომ ძალიან ჭკვიანი და დიდად პატივცემულია უმაღლესი წრის ქალთა შორისო.

ყველანი დავსხედით და გრ. ბარანოვი მომიყვა გამოკითხვას შესახებ თ-დი მინგრელსკის საქმეებისა და ჩემსა და მის შორის წარმოშობილი პროცესისა.

იოტის ოდენაც არა დამიმალავს რა, რაც კი ვიცოდი ყველაფერი უამბე. ის კი ისე მეკითხებოდა, როგორც კაცი, ამ საქმისა ყოველი წვრილმანი რომ იცოდა.

გრაფინია ჩუმად გვისმენდა; სმირნოვი კი ხშირად ერეოდა ლაპარაკში და ისე ბევრს ლაპარაკობდა, რომ გრ. ბარანოვმა ერთხელ უთხრა მეტისმეტად ლმოზიერის კილოთი:

„თევდორე არტემის ძეგ, გამომათქმევინეთ ჩემი აზრიც! მე ხომ არ დამიშლია თქვენთვის ლაპარაკი?“

– ეგ ყველაფერი ალბად იმიტომ ხდება, – სთქვა გრაფმა სხვათა შორის, რომ ქონებრივი უფლება მინგრელსკისა ჯერ არ არის გამორკვეული და მაიორატი არ არის ჯერ დამტკიცებული;⁷¹ მაგრამ თქვენ, დიმიტრი ივანეს ძეგ, ყველაზე კარგად იცით იმის საქმეები; მითხარით, არის რამე, რომ უჩვენებდეს იმის მამულს, – რამდენადმე მაინც რომ არკვევდეს მისი აგარაკების საზღვრებს?⁷²

– როგორ არა, არის და რამდენადაც შეიძლებოდა სწორიც! ამაზე ყველანი შეჩოჩქოლდნენ და ჩემთვის ცხადი შეიქნა, რომ აქ საქმე ყველამ იცოდა დაწვრილებით; ხოლო არაფერი არ იცოდნენ 1857 წლის აღწერილობისა.⁷³

– გვიამბეთ, გეთაყვა, ეგ რა აღწერილობაა?

– ეს არის – მთავრობის აქტი, რომლის შედგენაზე კავკასიის მთავარმართებლობამ იზრუნა, რათა პეტერბურგში განვეული მთავრის ოჯახობის ქონება ცნობაში მოეყვანათ. ეს საინვენტარო აღწერილობა არ ეფარდება გამიჯვნას, მაგრამ სისწორით კი უჩვენებს როგორც აგარაკებს, რომლებშიაც შედის კერძო ქონება მთავრისა, როგორც მაგ. ტყე, მინდორი, ბაღები, შენობები, აგრეთვე ამ აგარაკების გარე მიჯნებსა. და ამ ცნობებს ეძლევათ იურიდიული დამტკიცებაც, ვინაიდან აღწერილობა არის შემდგარი მთავრობის მთელი კომისიის მიერ, ადგილობრივი და უმაღლესი ხელისუფლების დეპუტატთა თანადასწრებით და დაფუძნებულია სოფლის მოხელეთა, ამორჩეულ პირთა და მონაწილეთა ფიც-მიღებულ ჩვენებაზე.

– რას ამბობთ?! ნუ თუ ასეთი აქტი არსებობს? ოო! ეს დიდად საყურადღებო საქმეა!

ამ აღმოჩენის დიდ საყურადღებობაზე ბევრს ლაპარაკობდა მეტადრე თ. ა. სმირნოვი.

– ეს მითხარით, დიმიტრი ივანეს ძე, მოიპოვება სადმე ეს აღწერილობა? – მეკითხება გრაფი.

– როგორ არა! ის არის თ-დი მინგრელსკის საქმეებშიც და მეფის მოადგილის მთავარ მართველობაშიც, უნდა იყოს აქაც, კავკასიის კომიტეტში.

– ასე როგორ არაფერი არ ვიცოდით საქმისა! – ერთი კითხვის ნება კიდევ. მაგრამ ეს კითხვა მიიღეთ ისე, როგორც სურვილი იმისა, რომ თავიდან მოგაშოროთ ყველაფერი, რაც იმაში უსიამოვნო არის თქვენთვისა. რა მიზეზით, ან რა საფუძვლით აღიძრა თქვენში ის პროცესი?

უამბე ეს ისტორიაც იმავე გულახდილობით.

– თქვენს წინააღმდეგ პროცესი კნინას სახელით იყო, თუ ნიკოს სახელით? – მკითხრა გრაფმა.

– ნიკოს სახელით.

– მაშ მადლობა ღმერთს, რომ იმის სახელით. ეგ ადვილი მოსასპობია. ვხედავთ, რომ თქვენს დაუხმარებლად ჩვენ არაფერი შეგვიძლიან, მაგრამ დაგვეთანხმებით კი, რომ გთხოვთ დაივინყოთ ყველაფერი, რაც სანყენი იყო და მიიღოთ მონაწილეობა უმაღლესი კომისიის მოქმედებაში?

– დიდის ხალისით! გრაფი მიხეილ ტარიელის ძე მაგის შესახებ კიდევ მელაპარაკა, ხოლო მეც მივეცი ჩემს თავს ნება ზოგიერთი ჩემი სურვილიც გამომეცხადებინა.

მაშინ გრაფი ბარანოვი ხელის მაგრა მოჭერით მიხდის მხურვალე მადლობას, მადლობას მიხდის გრაფინია ადლერბერგიც; სმირნოვი ბრწყინავს და ეს აუდენცია ასე თავდება.

– რაც კი შეეხება პროცესით გადასახდელს, – გრაფი ამთავრებს ლაპარაკს, – მე ვიღებ ჩემს თავზე, რომ გავარიგო ეს საქმე. არავითარ უკმაყოფილებას აღარ უნდა ჰქონდეს ადგილი.

მეორე დღეს ყველაფერი დაწვრილებით ვუამბე მიხეილ ტარიელის ძეს.

– ახლა აი რა, – მეუბნება ის, – კომისიის წევრად რომ დაინიშნო, საჭიროა ჯერ სამსახურში შეხვიდე. ამის შესახებ ლაპ-

არაკი უკვე იყო თავად ანდრ. ალექს. ლივენთან. იმასაც უნდა წარუდგე. დრო რომ არ დაჰკარგო, წადი მასთან ახლავე; თუ გაგიძნელონ მიღება, უბრძანე მოახსენონ, რომ ჩემგანა ხარ.

მივედი. მეკარემ, დამინახა თუ არა მიმსვლელი, პირდაპირ მომახალა, არ შეიძლება, დრო არა აქვსო.

– გრაფი ლორის მელიქოვისაგან, – უთხარი მე და მაშინვე კარები ყურთამდე გაიღო: მობრძანდით!

დაუბრკოლებლად შევედი მისაღებ ოთახში, სადაც ჩუმიად იჯდა რამდენიმე ჩემისთანა ორდენიანი.

მოიჭრება ჩემთან ვილაც კუზიანი შპაგით და სატყეო უწყების პაგონებით, ეტყობოდა მორიგი მოხელე, და ჩემს პიროვნებას მეკითხება.

– ესა და ეს, გრაფი ლორის მელიქოვისაგან.

წარმოვსთქვი თუ არა ეს სახელი, კუზიანი მაშინვე გაემართა კაბინეტის კარებისკენ და ძალიან ფრთხილად შევიდა.

ერთი თვალის დახამხამებაზე გამოდის და მიცხადებს, რომ ბ. მინისტრი გთხოვთ ცოტა მოითმინეთო.

მალე გამოვიდა მინისტრიც, მთელი თავით მაღალი ყველა ჩვენზე, დაგვიქნია თავი ყველას და რომ დამინახა ახალი პირი, პირდაპირ ჩემთან მოვიდა.

მეც დავუსახელე ჩემი თავი.

– აა! ძალიან მოხარული ვარ! ბატონებო! გთხოვთ ცოტა მოთმინებას!

ჩამკიდა ხელი და კაბინეტში შემეყვანა.

იქ იმანაც დაწვრილებით მკითხა საქმე, რომელსაც, როგორც ეტყობოდა, უკვე იცნობდა; მკითხა აგრეთვე, თუ რა თანამდებობანი გავიარე სამსახურში ყოფნის დროს, მიულოცა თავის თავს ასეთი მცოდნე პირის შექმნა კომისიაში და ერთი საათის ტკბილი მუსაიფი შემდეგი სიტყვებით დაამთავრა:

„ამ პირველ ხანად მე შემიძლიან შემოგთავაზოთ მხოლოდ სამინისტროს საბჭოს წევრის ალაგი. მაგრამ ახლა ისეთი სასტიკობაა, რომ ალექსანდრე აგეეს ძე (აბაზა)⁷⁴ არც მე და არც სხვა რომელსამე მინისტრს საბჭოში შტაბტ-გარეთ ალაგს

არ მისცემს. შტატის ალაგები კი ყველანი დაჭერილია. ის მხოლოდ მიხეილ ტარიელის ძის თხოვნას აასრულებს. სთხოვეთ მას ჩემს მაგიერ, რომ ორი სიტყვა უთხრას მას. ამავე დროს კი, მომიტანეთ დღეს იყოს თუ სხვა დროს, როცა გსურდეთ, ქალაქი, ე. ი. თხოვნა სამსახურში ჩასარიცხავად.

მეორე დღეს მიხეილ ტარიელის ძე მეუბნება:

– აბაზა ჩემთვის იზამს მაგას, მაგრამ აი, ძმაო, კვანძი სად არის! იმან ხელმწიფეს სასტიკი ბრძანება გამოსთხოვა, რომ არანაირი შტატ-გარეთი თანამდებობანი არ დაჭერილიყო. ახლა კი ამ წესის დარღვევა თითონ უნდა ითხოვოს. მე ხომ იმას უხერხულ მდგომარეობაში ჩავაყენებ! ეს სხვანაირად უნდა მოხერხდეს.

– ღვთის გულისათვის, ნურც თქვენ შეინუხებთ თავს ჩემთვის, ნურც თქვენს მეგობრებს შეანუხებთ, შტატის ადგილი მეჭირება თუ შტატ-გარეთი, ჩემთვის სულერთია, ოღონდ კი შემეძლოს ჩემს ცოლშვილსაც რამე გაუზიარო.

– მოვანყობოთ, მოვანყობოთ.

შემაქვს თხოვნა, რომ სამსახურში მიმიღონ და მეც სახელმწიფო ქონებათა სამინისტროს მიმანერეს.⁷⁵

შემდეგ, თ-დი მინგრელსკის ინტერესების მზრუნველთა წრეში ალბად მსჯელობა ჰქონოდათ იმის შესახებ, თუ როგორ უნდა მოხერხებულიყო ჩემი უზრუნველყოფა ჯამაგირით. ვამბობ, **ალბად** იმიტომ, რომ თევდ. არტ. სმირნოვმა დაიწყო ერთხელ ჩემთან რჩევა, თუ როგორი შტატი შეგვედგინა უმაღლესი კომისიისა და მისი კანცელარიისათვის.

– ამისათვის წყარო კი არის?

– ახლა იმაზე სწარმოებს საქმე, რომ გამომსყიდველი კომისიისაგან ოცი ან თხუთმეტი ათასი მანეთის მიღება მოხერხდეს იმ 400 ათას მანეთიდან, რაც თავად მინგრელსკის ერგება მისი ყოფილი გლეხების ნადელებისა. აი აქედან უნდა გადაიდოს საჭირო თანხა, იმის ვარაუდით, კომისიამ რომ სამწელიწადს იარსებოს.

– მაშ მოდით ვიანგარიშოთ.

– თქვენ 7000 მან. წელიწადში – 21 000. საჭიროა ერთი საქმის მწარმოებელი; მე მყავს მხედველობაში ჩინებულ მოხელე, 1500 ნაკლები რაღა იქნება წელიწადში – 4500. კანცელარიაზე, ე. ი. გადამწერალს, დარაჯს, ბინის ქირას, საკანცელარიო საგნების, ასე ვსთქვათ, ამოდენივე – 4500. სულ შესდგება 30 000 მ. ხოლო ვინიცობაა ახალი რამ ხარჯი გამოტყვერეს ან კომისიის მოქმედებამ ერთი ორი წლით მეტ ხანს გასტანოს – საჭირო არის მოჭრით 50 000 მ. გადაიდოს.

ასეთი იყო სმირნოვის ხარჯთ-ალრიცხვა; ხოლო რა მოუვიდა მას ამის შემდეგ, ეს მარტო სმირნოვმა იცის.

ამასობაში კომისია უნდა შეკრებილიყო პავ. ნიკ. კლუშინთან. თავადმა ლივენმა მეც იქ მიმიწვია. ისე მომეგებნენ იქ, როგორც ძველ ნაცნობს, მეტადრე იაგ. პავ. სტარიცკი. ის დაუზოგავად ულოცავდა კომისიას საქმის ასეთი მცოდნე თანამშრომლის შეძენას, როგორც დიმიტრი ივანეს ძეა.

– მხოლოდ ამას შეუძლია გამოგვიყვანოს იმ უდაბურ ტყიდან, რომელშიაც ჩვენ ვიმყოფებით.

მაგრამ ის მაინც არც თუ სულ ტყეში იმყოფებოდა; მან ამ საქმისა ბევრი ფაქტი იცოდა, ან უკეთ რომ ვსთქვათ, ამიერკავკასიაში სამსახურიდან ახსოვდა.

ამ სხდომაზე პირველად გამოირკვა ჩემთვის მიზანი კომისიის დაარსებისა.

1867 წ. იანვარს გამოსულიყო უმაღლესი ბრძანება – სამეგრელოს მთავრის კუთვნილი მამულებიდან შესდგეს საუფლისწულო მამული თავადი მინგრელსკისათვისო, მაგრამ ეს უმაღლესი ბრძანება აქამდე არ მოეყვანათ სისრულეში.

უმაღლეს კომისიას უნდა გამოეკვლია და ყოველი დაბრკოლებანი უნდა გადაეღებინა აღნიშნული ბრძანების ასასრულეზღად.

შემდეგ კომისიაში მიიღეს ორი ასეთი გადაწყვეტილება:

1. თუ რას შეიცავდა თავადი მინგრელსკის საუფლისწულო მამული, იმის გამოკვლევის დროს სახელმძღვანელოდ იყოს განსაკუთრებით 1857 წლის მთავრობის აღწერილობა.

2. თავადი მინგრელსკის ქონებრივ უფლებათა გამო-სარკვევად კომისიის მიერ ამიერ-კავკასიაში გაიგზავნოს მისი წევრები, – ყიფიანი და სმირნოვი და დაევალოთ მათ გადაშინ-ჯონ იქ სასამართლოს საადმინისტრაციო დაწესებულებებში ყველა საქმე, სადაც კი რაიმე ცნობები იქნება იმ ქონებათა შესახებ და წარედგინოს კომისიას, ზოგისა მათი დედანი, ზო-გისაც ამონაწერი.

კომისიის თავმჯდომარის მხრით მათ შეუერთეს მინის-ტრის მინდობილობათა აღმასრულებელი მოხელე გ უ ბ ა რ ი.

იმათში ყიფიანმა მიიღო სამგზავრო ხარჯად ერთხელ 1700 მანეთზე ცოტა მეტი და მეორეთ 300 მანეთზედაც ცოტა მეტი.

ეს დავალება შესრულდა და 1881 წ. საქმეები და საქმეებიდან ამონაწერები შეტანილ იქმნა კომისიაში.

რადგან ამ საქმეთა უმეტესი ნაწილი ქართულ ენაზე იყო ნაწარმოები, ამიტომ ყიფიანი უმთავრესად მათი შინაარსის არსებითი მხარის რუსულ ენაზე გადალებას უნდებოდა. ამ მუშაობას მოუწდა შემოდგომის, ზამთრის და გაზაფხულის თვეები 1880-1883 წლებისა.

და აი ამ ხნის განმავლობაში მე მივიღე სმირნოვის ხელით, ცალკე განსაკუთრებული ბარათების მიცემით, სულ მომავალი ჯამაგირის ანგარიშში, მოწყალეხსავით გადმოგებული, ასიდან სამას მანეთამდე, სხვადასხვა დროს.

ამის გამო არა თუ პეტერბურგში ვიტანდი უკიდურეს და დამამცირებელ გაჭირვებას, როდესაც მაგალითად, ვეხვეწე-ბოდი მოეცათ ჩემთვის აუცილებელი საჭირო სამასი მანეთი და მაძლევდნენ მხოლოდ 100, ან 150 მანეთს, – ამ სამის წლის განმავლობაში ჩემი სასოფლო მეურნეობა გამიჩანაგეს და ჩემს ცოლს არამც თუ გროში ფული არ ჰქონდა ხოლმე, ხანდ-ახან პურიც კი აკლდა, რის ატანაც მისთვის, როგორც ჩამო-მავლობით, ისე აღზრდითაც დიდად სამძიმო იყო.

ასეთი მდგომარეობიდან რომ აუცილებელი იყო ჩემი გამოსე-ლა, ამაზე გამუდმებით და მეგობრულის კილოთი შევჩირინებდი როგორც სიტყვიერად, ისე წერილობით თ. ა. სმირნოვს, კომისი-

ის საქმეთა ავან-ჩავანს, თავისუფლად რომ შეეძლო მისვლა გრაფ ადლერბერგთან და ბარანოვთან.⁷⁶ მაგრამ ჩემი ძვირფასი კოლეგა, გარდა ზევით აღნიშნული გულის ამღვრევი მოწყალეების ძლევისა, რაც, როგორც მახსოვს, 1500 მანეთს ძლივს შეადგენდა, სამი წლის განმავლობაში წერილობითაც და სიტყვიერადაც მხოლოდ ნელ-ნელა მიყოლიებდა, ან გრ. ბარანოვთან პირადად მოლაპარაკებისათვის მგზავნიდა.

გრაფი ბარანოვიც ისევე მამშვიდებდა და მირჩევდა მოთმინებას, როდესაც მას მივმართავდი გულუბრყვილოთ მინდობილი.

ერთხელ მითხრა ჩემსა და მინგრელსკის შორის ანგარიშების მოსაპოვის შესახებ:

– ეს ჩემს ზნეობრივ მოვალეობას შეადგენს და დარწმუნებული იყავით, რომ ავასრულებ. მე ჩაგაბით ამ საქმეში და მე მომენდეთ.

ოო, ვენდობოდი მე მას უეჭვოდ და უსაზღვრო რწმენით!

– ის უუპატიოსნესი ადამიანია, – ხშირად წამოიძახებდა ხოლმე ჩემი სმირნოვი, თითონ დიდად პატიოსანი ადამიანი!

ამ ტკბილ ცხოვრებას სატახტო ქალაქში კიდევ ავიტანდი როგორმე, მაგრამ ეს იყო რომ საკუთარ კერას მომწყვიტა და ამით გათამამებული ჩემი მონაწილენი გაუყოფელ მამულს სულ თვითონ ისაკუთრებდნენ. ამის გამო ჩემს სახლშიც აუტანელი მდგომარეობა შეიქმნა. 4 000 დესეტინის ფრიად ნაყოფიერი ძვირფასი მამული იმ დროს 400 მანეთს არ მაძლევდა წელიწადში.

ცხადია, რომ დამშვიდებული ვერ ვიქნებოდი პეტერბურგში.

გავბედე ერთხელ და იაგ. პ. სტარიცკის მივმართე რჩევისათვის; რა თქმა უნდა, რომ ამას მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში ვიზამდი.

– როგორ? ნუ თუ აქამდე თქვენთვის ჯამაგირი არ დაუნიშნავთ? რას ბრძანებთ, თავადმა ლივენმა სთქვა კომისიის თანადასწრებით, რომ პირველ ხანად თავის საბჭოს წევრად გნიშნავდათ.

– იმან მეც მითხრა ეგ, მაგრამ ალბად ვერ მოასწრო.

– მე ვფიქრობ, რომ ამ საქმეს მხოლოდ ასეთი სწორი და ლე-
გალური გზით შემოევლება: თქვენა ხართ დანიშნული კომისი-
ის წევრად თვით კომისიის შუამდგომლობით. მაშასადამე
მოვალეც ის არის ჯამაგირი გამონახოს. ხვალ სხდომა იქნება,
ფორმალურად გამოაცხადეთ იქ ამაზე, მეც ხელს დაგიჭერთ.

ეს იყო მარტის პირველ ნახევარში 1882 წელს.

შევიტანე ეს განცხადებაც თვით თავადი მინგრელსკის
თანადასწრებით. თავმჯდომარეობდა პ. ნ. კლუშინი; იმანაც
გაკვირვება გამოსთქვა და გაიხსენა ყოფილი თავმჯდომარის
განცხადება.

დაადგინეს, რომ კომისიამ უნდა იშუამდგომლოს საბჭოს
წინაშე, მაგრამ საკითხი იყო, რა გზით? წინად კომისიის ყოვე-
ლი მიწერ-მოწერა კავკასიის კომიტეტის მეშვეობით ხდებო-
და. ახლა კი ეს კომიტეტი უკვე აღარ არსებობს. სახელმწიფო
საბჭოსთან კომისიას პირდაპირი დამოკიდებულება არა აქვს,
მაგრამ ის არის დაარსებული კავკ. მეფის მოადგილის ინიცია-
ტივით, რომელიც ახლა სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარეა;⁷⁷
მას კომისიას შეუძლიან მის უმაღლესობასთან იშუამდგომლოს.

ასეც გადასწყდა.

მაგრამ ამას გარდა კიდევ გადასწყვიტეს:

კერძოთ ეთხოვოს გრ. ბარანოვს მოამზადოს იქ ნიადაგი,
რომ უარი არ უთხრან, და მერე იშუამდგომლონ.

– ედვარდ ტროფიმოვიჩს კი მე მოველაპარაკები, – სთქვა
პ. ნ. კლუშინმა.

– მეც მოველაპარაკები, – სთქვა იაგ. პ. სტარიცკიმ.

– მეცა ვსთხოვ, – სთქვა თ-მა მინგრელსკიმ. სმირნოვს ხომ
სულ თვალეები უბრწყინავს!

აი ახლა კი გამეჩარხა მეთქი საქმე!

მაგრამ ვაი თქვენს მტერსა!

ნიადაგის მომზადებაზე წავიდა მარტი, წავიდა აპრილი და
მიდიოდა მაისიც.

აქ კი გადავსწყვიტე წერილობით და ოფიციალურად მიმენ-

ერა სმირნოვისათვის, რომ იმას შესძლებოდა წაეკითხა იქ, სადაც თავადი მინგრელსკის საქმის ბედს ატრიალებდნენ და მიმართულებას აძლევდნენ, რომ ოთხი დაპირებიდან, 1880 წლის მაისში რომ მომეცა ჩემი კომისიაში შესვლის წინ, ასრულებული ჯერ მხოლოდ ერთია: უმაღლესი ბრძანებით დანიშნული ვარ ამ კომისიის წევრად, ხოლო ჩემი სამსახურის უფლებანი არ აღუდგენიათ; ჩემსა და თ-დ მინგრელსკის შორის ანგარიშები არ გაუუქმებიათ და ჯამაგირი არაფერი არ დაუნიშნავთ.⁷⁸

და ყველა ეს მოვაგონე ძალიან ზრდილობიანად, მაგრამ მაინც მოვაგონე.

წერილობითი პასუხის მაგივრად სმირნოვი თითონ მოდის ჩემთან და მეუბნება:

– ნაუკითხე თქვენი წერილი გრაფ ედვარდ ტროფიმოვიჩს და იმან დამაბარა გკითხოთ თქვენ, ვინ და გ პ ი რ და თ ყ ვ ე ლ ა ა მ ა ს ?

უცებ ზეზე წამოვარდი:

– როგორ თუ ვინ დამპირდა? განა თქვენ ჩემსავით არ იცით, ვინ დამპირდა?

– ვიცი, როგორ არ ვიცი, მაგრამ რას გაანყო იმასთან! მიბრძანა, რომ გკითხოთ და მეც გეკითხებით.

სწორედ ამ ხანებში დაბრუნდა პეტერბურგს გრაფი ლორის-მელიქოვი, სცენიდან დიდი ხნის ჩამოსული და საზღვარგარეთ წასული სამკურნალოდ.

თუმცა ახლა ის საქმეში აღარ იყო, მაგრამ მე მაინც მივიჭერი მასთან და უამბე რა მდგომარეობაში ვიყავი.

მომისმინა აუჩქარებლად.

იცის იმან აუჩქარებლად მოსმენა ყველაფრისა.

– ხვალ მე და ბარანოვი ერთად ვისადილებთ. მოველაპარაკები იმას უექველად და ზეგ გადმოგცემ, რაც გამოვა.

მივდივარ მასთან ერთი დღის შემდეგ.

– გუშინ ბარანოვს ველაპარაკე. ველაპარაკე დიდს საზოგადოებაში და სიტყვა მომცა, რომ ამ დღეებში გაგირიგებს ყველაფერს. ხვალ ნახე ის შენ თითონ.

მიხეილ ტარიელის ძემ შემატყო, რომ მე ეს როგორღაც არ მიამა.

– რატომ? არა! მიდი! ის დიდად პატიოსანი ადამიანია!

გავიმაგრე გული და წავედი მეორე დღეს გრაფ ედვარდ ტროფიმოვიჩთან.

მიღების მოლოდინში ცალკე ოთახში სრული ერთი საათი ვიჯექი.

რა გაენყობა! სახელმწიფო კაცს თავისუფალი დრო ყოველთვის არა აქვს.

ის რომ სახელმწიფო საბჭოს კანონთა დეპარტამენტის თავმჯდომარეც არ ყოფილიყო, – რკინის გზის მთავარი კომისიის თავმჯდომარეობაც კმაროდა მისთვის, რომ აუარებელი საქმე ჰქონოდა.

ბოლოს, როგორც იქნა, დამიძახეს.

ის იყო შევედგი ფეხი მასთან, რომ მან მაგიდის იქით, უკან ხელეზ განყობილმა ცივად მომახალა: „რა გნებავთ თქვენ?“

გულის სიღრმემდე შეძრწუნებულმა სხაპა-სხუპით მივაყარე ასეთი ფრაზა:

„მე მინდოდა მესარგებლა გრაფი ლორის მელიქოვის ჩამოსვლით, რომ თქვენთვის მომეცა საშუალება შეგემონებინათ ჩემი პასუხი, თქვენს კითხვაზე რომ მივეცი სმირნოვს“.

– რაო?

ხმა ამაღლებით, ხოლო თითო თითო სიტყვად, იგივე ფრაზა გაუმეორე.

– მერე რაო? მან მოგცათ ეს დაპირებები?

– ზოგს ის დამპირდა, ერთს კი თქვენ დამპირდით.

– მე როგორ დაგპირდებოდით? დაპირებას მაშინ ვიძლევი, როდესაც საქმე მე შემეხება. ეგ კი შეეხება თ-დ მინგრელსკის. მის მაგივრად მე ვერავითარ დაპირებას ვერ მოგცემდით.

– ოო! უკაცრავად! შეემცდარვარ!

და რა დაუკარი თავი უმდაბლესად, თითქმის გამოვარდი იმის კაბინეტიდან.

„უუპატიოსნესი“ ადამიანი!..

ეს იყო 10 ივნისს 1882 წ.⁷⁹

დავით იასეს ძის ჩუბინოვის მეგობრობისა და ნდობის წყალობით, რომელმაც მასესხა და არავითარი ხელწერილი არ მოუთხოვია 300 მანეთი, 12 ივნისს გამოვედი პეტერბურგიდან⁸⁰ და მოვედი თუ არა სახლში, ოფიციალურად შევატყობინე კომისიას, რომ ჩემი, როგორც მისი წევრის, მოვალეობის ასრულება მხოლოდ ჩემს ჭერქვეშ შემძღიან, ამიტომ ჩემს აზრს იმ მოხსენებაზე მოგაწოდებთ, რომელთაც აქ გამომიგზავნით მეთქი.

ამაზე შეჩერდა ჩემი განმეორებული მთავრობის სამსახური.⁸¹

მაგრამ სანამ აქ წერტილს დავსვამდე, მინდა ერთი საკითხი დავაყენო, თუმცა ესეც კი ვიცი, რომ ძალიან საეჭვოა ჭეშმარიტი პასუხი მივიღო.

განურჩევლად ყველას ეპყრობიან ასეთნაირად, თუ მხოლოდ ჩვენ, ქართველებსა? მართალი კია, ჩვენ უფრო მომთმენნი ვართ და ბევრ სხვაზე უფრო მორჩილნი...

ვნახოთ ახლა რა დღეს გვაყრიან ხოლმე ხანდახან საარჩევნო და ან საზოგადო საქმის სამსახურში.

III. საარჩევნო სამსახურში

19.

მე ვარ გიმნაზიის საპატიო მზრუნველი, ხოლო სასწავლო ოლქის მზრუნველი არის ბარონი ა. პ. ნიკოლაი. – მოსწავლენი ეკონომიის ხარჯზე. – რუსული ენის მაგივრად ტექნოლოგია და სასოფლო მეურნეობა. – სცენა მზრუნველის საბჭოში. – გიმნაზიის საქმეების თავის დანებება.

1852 წლიდან 1864 წლამდე, მთავრობის სამსახურში ყოფნის დროს, ქართველ თავად-აზნაურობამ სამ-სამი წლობით

ოთხჯერ ზედიზედ ამომირჩია ტფილისის სათავად-აზნაურო გიმნაზიის საპატიო მზრუნველად, ხოლო სამსახურიდან გამოსვლის 1¹/₂ წლის შემდეგ ტფილისის გუბერნიის წინამძღოლად ამირჩია, რაც 1867 წელსაც განმეორდა.

სანამ სასწავლო ოლქის მზრუნველად ვ. ნ. სემიონოვი იყო, რომელიც ძალიან ცუდი თვალთ მიცქეროდა, სამსახურში დამოკიდებულება მაინც კარგი გვქონდა. ხოლო აუტანელი შეიქნა მისი მოადგილე ბარონ ა. პ. ნიკოლაისთან, თუმცა კერძო დამოკიდებულება ჩვენ შორის კარგი იყო.⁸²

აქ მე უნდა აღვნიშნო ორი დამახასიათებელი შემთხვევა მაინც:

1. როდესაც პირველად გადავშინჯე გიმნაზიის ხარჯთ-აღრიცხვა, მეტადრე პანსიონის შესახებ, რომლის უმთავრესი ზედამხედველობა, მაშინდელი წესით, საპატიო მზრუნველს ჰქონდა დაკისრებული, სხვათა შორის შევნიშნე, რომ უფროსი კლასების პანსიონერებს ზოგიერთი სახელმძღვანელო წიგნის თითო ეგზემპლარი ორ-სამ კაცს ერთად ეძლეოდა; ეს კი, რა თქმა უნდა, რომ სწავლაში მათ ხელს შეუშლიდა. საცვალი ეძლეოდათ – ტანზე ჩასაცმელი კვირაში მხოლოდ ერთი გამოცვლა, ლოგინისა კი ორ კვირაში – ერთი გამოცვლა, მერე ისიც კეთილშობილთა პანსიონში, სათავად-აზნაურო გიმნაზიასთან!

ამას გარდა ზოგიერთი საგნები ხარჯში ნაანგარიშევი იყო ასს მოსწავლეზე, ზოგი ასს-ათზე.

აღმოჩნდა, რომ ზემოდ ნაჩვენებ საგნებისთვის ფული არ ჰყოფნიდათ სწორეთ იმიტომ, რომ შტატის ასი მოსწავლის გარდა, ათი კიდევ შეენახათ ეკონომიის ხარჯზედ.

საიდან გაჩნდნენ ესენი?

როდესაც ვ. ნ. სემიონოვი იყო ოლქის მზრუნველად, მოუხსენებიათ მისთვის, რომ საცა ასი კაცის შენახვა შეიძლება, იქ იმავე ხარჯზე ათის შენახვაც მოხერხდებაო. მზრუნველს მოსწონებია ეს აზრი და ნება მიუცია, რომ ეკონომიის ხარჯზე ათი ადგილი გაეხსნათ, განსაკუთრებით გიმნაზიისა და პანსიონის მასწავლებლთა და მოხელეთა შვილებისათვის.

– ეგ რომ სასარგებლოა, ამის წინააღმდეგ რა იტყმის, მაგრამ არავითარი ცალკე ხარჯის ჩვენება არ შეიძლება ათს მოსწავლეზე; სწორედ იმიტომ, რომ ისინი ეკონომიის ხარჯისანი არიან, ე. ი. ისინი უნდა შეინახოთ იმ თანხის ეკონომიის ხარჯზე, ასი კაცისთვის რომ არის დანიშნული, ასე არ არის, კარლ ლეონტიევიჩ?⁸³ – ვეკითხები დირექტორს, მეტად კეთილს და მართლა უპატიოსნეს ადამიანს.

– დიახ, ეგ მართალია.

– მაშ უბრძანეთ ხარჯთ აღრიცხვა გადააკეთონ და დანიშნონ საჭირო თანხა, როგორც წიგნების შესაძენად ყველა მოსწავლისათვის, აგრეთვე საცვლის მეორე წყვილისათვის. გაძღვეთ სიტყვას, რომ ფული კიდევ გადარჩება.

რამდენიმე დღის შემდეგ ოლქის მზრუნველი მითვლის, რომ ვ ე ა ხ ლ ო მას.

– თქვენ გიმნაზიის მართველობის საჩივარს იწვევთ!

– როგორ, რანაირად?

– თქვე დალოცვილო! მართალია სამადლობელიც არის, რომ გიმნაზიის ყველა საქმეზე ზრუნავთ, თუმცა, – ბოდიშს ვიხდი, – არ შემიძლიან არ შეგნიშნოთ, რომ მასთან პანსიონს თავად-აზნაურობა კი არა, ხაზინა ინახავს; მაგრამ ეს ასეც რომ არ იყოს, როგორ მოითხოვთ თქვენ იმას, რომ ერთი წყვილი „აპოიკიდან“ ორი წყვილი წალა გამოიჭრას?⁸⁴

– ნება მომეცით მაგაზე მოგახსენოთ, ბარონ, რომ თუ კი დაწესებულია საპატიო მზრუნველის თანამდებობა და მისი მოვალეობის საერთო წესებიდან არავითარი გამოყოფა არ არსებობს, მზრუნველს არა აქვს უფლება, რომ მისცეს ნება რაშიმე გადაუხვიონ ამ წესებს. ხოლო, რაც შეეხება „აპოიკას“, როგორც თქვენა ბრძანეთ, მართლა რომ საპატიებელი არ იქნებოდა მოეთხოვა ვისმე, რომ ორი წყვილი გამოეჭრათ ერთისაგან. მაგრამ მე მაგას არ მოვიტხოვ, მე ვეუბნები, რომ იმ თანხიდან, ასი „აპოიკისათვის“ რომ გადადებულია, – ბარემ ასე, „აპოიკაზე“ ვილაპარაკოთ, – უნდა კიდევ ათი წყვილის შექენა მოხერხდეს როგორმე, რომ იმ ათს მოსწავლესაც შეუ-

კეროთ წაღები. ისინი ეკონომიის ხარჯისანი არიან. თუ მათთვის ცალკე ვერ იყიდით ვერც მაუდს, ვერც ტილოს, მამს სულ არაფრის ყიდვაც არ შეიძლება.

ხარჯთ აღრიცხვა მაინც გადასწორდა და შემდგენლები გაკვირვებულნი დარჩნენ, რომ ეკონომიაში 500 მანეთამდე კიდევ დარჩა.

ბარონს კი არ შეიძლება არ ეგრძნო, რომ შენიშვნის მიცემა მისი საპატიო მზრუნველისთვის, ცოტა არ ითქვას, უადგილო იყო.

2. გიმნაზიის ინსპექტორი მკითხავს ერთხელ, გადავშინჯე თუ არა მეორე წლის ნუსხა გაკვეთილებისა გიმნაზიაში.

– არა, არ გადამიშინჯავს.

– გნებავთ, მე მოგართმევთ? აგრეთვე შუაგულ გუბერნი-ათა გიმნაზიებისთვის სამინისტროს ნუსხასაც! გადაშინჯეთ, თქვენთვის ეს საინტერესო იქნება.

– ძალიან დამავალებთ!

ვშინჯავ და უპირისპირებ. დიახ! აი თურმე რაშია საქმე? ჩვენში მე-7-დე კლასში შემოუღიათ ტექნოლოგია და სასოფ-ლო მეურნეობის სწავლება, ხოლო რუსულ გიმნაზიებში ეს არ არის. შემდეგ? ჰო! ამ ახალ საგანს განაწილებული აქვს მხოლოდ 2 გაკვეთილი კვირაში! განა შეიძლება კარგად შეისწავლონ? რა თქმა უნდა, რომ არა! მაგრამ ეს კიდევ რა არის! საიდან გაჩნდა ეს 2 გაკვეთილი, რომელ საგანს ჩამოუჭრეს? ვადარებ ორივე ნუსხის ციფრებს, აქაურისას და პეტერბურგისას; ბოლოს ვპოულობ, რომ ეს ახალი გაკვეთილი ჩამოჭრილი აქვს რუსულ ენას!

შუა-გულ გუბერნიების გიმნაზიებს, სადაც ბავშვები შედიან რუსული ენის მცოდნენი, როგორც მშობლიურისა, სახლში სალაპარაკოსი, – ამ ენის სასწავლებლად დანიშნული აქვთ 24 გაკვეთილი; აქ კი – 22, მაშინ როდესაც კუთვნილი იყო სამართლიანობითაც და ადამიანობითაც საზოგადოდ, რომ 48 დაენიშნათ, შესაძლებელი რომ ყოფილიყო; ეს ენა ხომ აქ იმ ბავშვების უმეტესობისათვის, რომლებიც გიმნაზიაში შედი-

ან, სამშობლო ენა არ არის და მიუხედავად ამისა ისე კი უნდა შეისწავლონ, რომ ამით გაიარონ ყველა საგნები და გაიარონ ისე, რომ დაიმსახურონ ისეთივე ნიშნები, როგორც შემოღებული აქვს სამინისტროს რუსებისთვის. ეს კი, ერთ უმთავრეს საგანში მხოლოდ 22 გაკვეთილით და წამატებულ საგანში 2 გაკვეთილით, მკვიდრ მცხოვრებლებში არავის არ შეუძლია!

კარგად რომ ჩავხვდი ინსპექტორის მიერ მოცემულ კითხვას, მივმართე ოლქის მზრუნველს და მხურვალედ უხსნი, თუ რა ყოვლად შეუფერებელია ასეთი წესი საბრალო ჩვენი შვილებისთვის.

– დიახ, მეც დარწმუნებული ვარ, – მიპასუხებს ბარონი, – რომ ეს აქაურ ბავშვებს ხელს შეუშლის სწავლის წარმატებაში, მაგრამ მე უნდა მიმეცა ნება ამ წლობით უფროსს კლასებში ტექნოლოგიისა და სასოფლო მეურნეობის სწავლება შეეტანათ. გამოცდილება გვიჩვენებს, რასაკვირველია, ამ შემოღების უხერხულობას და საქმეს მაშინ გავასწორებთ.

ერთი წლის შემდეგ მზრუნველის საბჭოში მიმიწვიეს.

საბჭო შესდგებოდა თვით მზრუნველის თავმჯდომარეობით, მისი თანაშემწისა და გიმნაზიების დირექტორებისაგან და საგანგებოდ დანიშნულ გარეშე პირთაგან. ეს გარეშენი იყვნენ, ჩემს გარდა: გენერალი იოს. ივ. ხოდზკო, იპ. ალ. დიუკრუასი, ნ. ვ. ხანიკოვი და თავადი გიორგ. კონ. მუხრანსკი.

განსახილველი იყო ახალი წესდება კავკასიის სასწავლო ოლქის სასწავლებლებისა, რომელიც შეედგინა ბარონ ა. პ. ნიკოლაის, მომავალ სახალხო განათლების მინისტრს.

საქმე წყალივით მიდიოდა, სანამ თვით ტფილისის გიმნაზიის საგნების კურსამდე არ მივედი.

„ტექნოლოგია და სასოფლო მეურნეობა“, ტყვიასავით მეცა ყურებში! სჩანს მათი სწავლება სამუდამოთ რჩება, ვინაიდან შეგვაქვს წესდებაში?

მე მოვალედ ჩავსთვალე ჩემი თავი ეს საქმე მზრუნველ საბჭოსთვის ამეხსნა და დიდი ხნის კამათის შემდეგ, რა დროსაც მეტ ნაწილად გარეშენი მსჯელობდნენ, როგორც

უფრო თავისუფალნი თავის აზრის გამოთქმაში, გადაწყვეტილი იყო დიდი უმრავლესობით თავმჯდომარის წინააღმდეგ, რომ გიმნაზიის კურსიდან გამორიცხულიყო ტეხნოლოგია და სასოფლო მეურნეობა, ვინაიდან გიმნაზია არის სასწავლებელი საერთო განათლებისა და არა პროფესიონალური.⁸⁵

– ეჰ, დიმიტრი ივანეს ძევ! თქვენ ნაგვიხდინეთ ეს საქმე! ეს ლაზათიანი სიტყვა მომახალა თავმჯდომარემ.

– მე თუ მაქვს პატივი ნევრი ვიყო ამ კრებისა, ცხადია არა იმიტომ, რომ საქმეს უხდენდე; პირიქით, იმიტომ, რომ ვეხმარებოდე რაც ძალი და ღონე შემწევს; ხოლო თუ თქვენ ისე ფიქრობთ, ბ. თავმჯდომარე, რომ მე მხოლოდ გიხდენთ საქმეს, მაშ თავს გიკრავთ და განთავისუფლებთ. – და ავდექი კიდეც, რომ დარბაზიდან გავსულიყავ.

– არა, არა! მე სრულებით ეგ არ უნდა მეთქვა, მე...

– უკან მიგაქვთ თქვენი სიტყვა?

– დიახაც, დიახაც!

ასე ტკბილად დამთავრდა ეს პატარა შეტაკება.

გადის კიდევ ერთი წელიწადი და მე ვესწრები გიმნაზიის საპედაგოგიო საბჭოს, როდესაც საბოლოო დასკვნა გამოაქვთ წლიურისა და გამოცდის ნიშნებისა ე. ი. როდესაც სწყვეტენ ვინ არის ღირსი მაღალ კლასში გადასვლისა და ვინ ატესტატისა კურს დამთავრებულებში.

– რა მენანება, რომ № მხოლოდ 4 მიიღებს, მაშინ როდესაც ყველა საგნებში და ყოფაქცევაშიც ყოველთვის 5 ჰქონდა!

– წარმოიდგინეთ, №№ სამაგალითო მონაფე, ყველაფერში მიიღებს 3!

– აჰ, ღმერთო ჩემო! X შემდეგ კლასში ვერ გადავა! რა უნდა აკეთოს კლასში მთელი წელიწადი?

– მე თქვენ გარწმუნებთ, რომ ამას ვერ აიტანს!

ესა და სხვა ამგვარი გაოცება პედაგოგიურ საბჭოს წევრებისა ამტკიცებდა იმ ფაქტს, რომ შედეგი ყველას დიდად ანუხებდა.

– ეს რითი აიხსნება? – ვეკითხები დირექტორს.

– აიხსნება იმითი, რომ არავის არა აქვს 1 მეტი ნიშანი ტეხნოლოგიასა და სასოფლო მეურნეობაში.

– როგორ თუ ტეხნოლოგიასა და სასოფლო მეურნეობაში? თქვენის თანადასწრებით არ იყო, რომ შარშან კურსიდან გამოვრიცხეთ?

ამ ჩემს გაოცებაზე კ. ლ. ჩერმარკმა გადაშალა ნიგნაკი „ახალი წესდებისა“, სადაც ეს საგნები წინანდელივით სავალდებულოთა შორის იყო მოხსენებული.

– საბჭომ ხომ გამორიცხვა გადასწყვიტა?

– საბჭომ გადასწყვიტა, მაგრამ ბარონმა არ ინება.

– ეს რა ამბავია?! მე ასე მეპრიანებაო?

მაშ უკაცრავად! მე ასეთი წესების მსახური არა ვარ.

და იმ მომენტიდან გიმნაზიის მზრუნველად აღარ ვიყავი.

20.

ბატონ-ყმობა საქართველოში. – სენატორი ბარონი განი. –

მთავარ მართველობის საბჭოს განკარგულება. პროტესტები.

– თ-დი ალ. გარს. ჭავჭავაძე და თ-დი დიმი. თომ. ორბელიანი. –

საბჭოს განკარგულების გაუქმება. – მოხსენება ბატონ-ყმობის შესახებ. მისი არსებობის აღიარება. – რეფორმის შედგომა. –

პირადი განმარტებანი ახალ მეფის მოადგილესთან. –

მონონება მისგან. – წესი თავად-აზნაურობის აზრის წარდგენისა.

– განმარტება ხელმეორედ. – კიდევ: – რ ო გ ო რ გ ა ბ ე დ ე თ? –

აზრი 536-ი თავად-აზნაურისა 16-ის წინააღმდეგ.

შემცდარი აზრი ამ აზრის შესახებ.

მე-17-ე გაკვეთილის დასაწყისში მე დაგპირდით აღმენიშნა ამბავი 1840-იან წლებიდან აღძრული საკითხისა ბატონ-ყმობის შესახებ საქართველოში.

დოგმატიური მხარე ამ საქმისა იმდენად ვრცელი და რთულია, რომ მისი საკმარისად შეგნება მხოლოდ დაწვრილებით ისტორიული გამოცდილებით შეიძლება და ამას უნდა დაეთ-

მოს მთელი ცალკე წერილი. აქ კი შემიძლია შევეხო საქმის მიმდინარეობას, ხოლო იმდენად ვრცლად კი, რომ გადმოგცეთ იქიდან ყველაფერი, რაც ჩემი სული სკოლას შეადგენს.

ბატონ-ყმობის შესახებ საკითხს საქართველოში პირველად ოფიციალურად შეუდგა ბარონი განი 1840 წელს. თითქმის ოთხი წელიწადი უჯდა ის ტფილისში, რევიზიის სენატორის უფლებით, თავის ფინანსიურ სისტემას; მაგრამ ნ. პ. ბეზაკის უბრალო აზრმა გაჰფანტა ის, როგორც უნიადაგო ქალაქის შენობა. ბარონმა განმა მიაგნო ეგრედ ნოდებულ მეფე ვახტანგის კანონებში, სომეხთა კანონების განყოფილებაში, ერთს მუხლს, რომელიც ამბობს, რომ „ადამიანი თავის თავად თავისუფალია, მაგრამ ყმაა მიწის პატრონისა, სანამ იმის მიწით სარგებლობს“.

ევრიკა!

„მაშასადამე, ცხადია, რომ აქ არას დროს არ ყოფილა ბატონ-ყმობა და ის, რასაკვირველია, გამოგონილია მოხელეებისაგან, რომლებიც აქაურ დამოკიდებულებაში ხედავდნენ იმასვე, რაც იმათ რუსეთის შუაგულ გუბერნიებში უნახავთო!“⁸⁶

ასეთი შეხედულებით შემდგარი საქმე შეტანილ იქმნა 1841 წელს, საქართველოს უზენაეს მართველობის საერთო კრების ნაცვლად, ორიოდე წლის წინად დაარსებულ მთავარ-მართველობის საბჭოში.

გენერალი გოლოვინი იმ დროს დალესტანში, სახელდობრ სალატავიაში, იერიშით იღებდა ხუბარის სიმაღლეებს და სოფ. ჩირქეისს, ამიტომ საბჭოს თვით ბარონი განი თავმჯდომარეობდა; ხოლო საბჭოს მაშინდელმა წევრებმა და მათ შორის მეტადრე ყურავლიოვმა და ლეკოპიტოვმა, თუმცა მოწინავე პირებმა, მაგრამ მასთან ისეთებმაც, რომლებიც სამსახურში თვის მიმართულებას როგორც შეხვდებოდათ ისე სცვლიდნენ, ბარონი განის ბედნიერ აზრს მედგრად დაუჭირეს მხარი და საბჭოს ყურნალით ნაშალეს და კინალამ სუ-

ლაც დამარხეს ბატონ-ყმობა: დაწესებულებას, რომელიც იმ დროს ბატონ-ყმობის აქტებს ადგენდა ხოლმე, ე. ი. სამართლისა და სასჯელის საქართველოს ექსპედიციას (Экспедиция суда и расправы),⁸⁷ ს ა ი დ უ მ ლ ო მ ი ნ ე რ ი ლ ო ბ ა გაუგზავნეს – არავითარი აქტები არ შეადგინოთ გლეხებზე ახალ განკარგულებამდეო.

მაგრამ არც მაშინ არსებობდა ისეთი ტომარა, შიგ რომ მახათი დამალულიყო და რასაკვირველია, საიდუმლო მაშინათვე გამოიქვამდა.

ძნელი სათქმელია, გადაიქცეოდა თუ არა ეს აქაც ისეთ ნაპერწკალად, რომლის მსგავსმა იმავე ხანებში გურია ცეცხლის ალში გახვია, იმავე ხელისუფლების მიერ კარტოფილის დათესვის ბრძანებისა და გადასახადის ფულად მოთხოვნის გამო. მაგრამ აქ აღმოჩნდა ორი პირი, რომელთათვის, მართალია, მადლობა არავის არ უთქვამს, მაგრამ რომელთა მადლობელი მაინც უნდა ყოფილიყო მთავრობა საქმის მშვიდობიანად დამთავრებისათვის.

გენერალ-ლეიტენანტი თავადმა ა ლ ე ქ ს ა ნ დ რ ე გ ა რ ს ე ვ ა ნ ი ს ძ ე ქ ა ვ ქ ა ვ ა ძ ე მ ქართველებიდან მაშინ საბჭოს ერთადერთმა ნევრმა, გაჰბედა წინააღმდეგობა საბჭოს დადგენილებისა და განუმარტა მას ისტორიული და დოგმატიური მნიშვნელობა ვახტანგის კანონებისა, რამაც განი და მისი მომხრეები თავიანთ შეცდომის შემადრწუნებელ შეგნებამდე მიიყვანა.

მაგრამ ჩადენა უფრო ადვილია შეცდომისა, ვიდრე მისი გამოსწორება.

სანამ იმის ფიქრში იყვნენ, თუ როგორ დაეღწიათ თავი ამ შემთხვევიდან და შესაფერი თავაზიანობაც დაეცვათ, მეორე პირმა, ტფილისის გუბერნიის წინამძღოლმა, თავ. დ ი მ. თ ო მ. ო რ ბ ე ლ ი ა ნ მ ა, მთავარ მართველის იქ არ ყოფნის მიზეზით, საბჭოს საიდუმლო განკარგულება პირდაპირ შინაგან საქმეთა მინისტრს აცნობა და თან დაურთო, რომ თუ

ეს განკარგულება დაუყოვნებლივ არ გაუქმდა, ჩვენი მხარის სიმშვიდეს თავს ვერავინ იღებსო.

და მართლაც, რა უნდა ყოფილიყო, მაგალითად, ეხლანდელ ნოტარიულ დანესებულებათ რომ მოსვლოდათ ბრძანება, არავითარი აქტები არ შეადგინოთ უძრავ ქონებაზედაო?

რასაკვირველია, ეს იქნებოდა სრული სისულელე (ხომ გაყვიროდენ საფრანგეთში: „la propriété est le vol“⁸⁸); საზოგადოებრივ ურთიერთობაში სრული აღრევა მოხდებოდა!

სამინისტროში, რასაკვირველია, საქმეს საღად შეხედეს და მაშინვე გასცეს განკარგულება განის ამ veto-ს გაუქმებისა.

გენერალ გოლოვინს ჯერ კიდევ არ დაემთავრებია თვისი საქმე სალამატიასში, რომ საჩქაროდ დაბრუნდა ტფილისში და აქ თავისი უკმაყოფილება გამოსთქვა, რომ მის გარეშე მიემართნათ მინისტრისათვის; მაგრამ გულში კი, რა თქმა უნდა, სრული კმაყოფილი იყო, რომ იმას თავის-სატყხად მხოლოდ გურიის აჯანყება უხდებოდა.

საქმე, რასაკვირველია, ამით ვერ დამთავრდებოდა; არ შეიძლებოდა, რომელიმე გზით არ განეგრძოთ გამოკვლევანი, რომელიც საკითხის რაციონალურად გადაწყვეტამდე მიიყვანდა, და ეს გამოკვლევანი, სულ რომ საიდუმლოდ სწარმოებდა, 1849 წელს საბჭოს უკვე სხვა შედგენილობის განსახილველად დაისვა.

იქ მაშინ ისხდნენ საქმეში გამოცდილი პირები, განათლებულნი, სრულიად კეთილი განზრახვებითა და ჰუმანიური გაცაცების არა უცხონი. ასეთები იყვნენ: ფადეევი, – მამა 1884 წ. ოდესაში გარდაცვლილი გენერალი მწერლისა,⁸⁹ დიუკრუასი, დესიმონი, სემიონოვი, ბარონი ნიკოლაი, კოცებუ და ერთად ერთი ქართველთაგანი, თავადი გიორგი მუხრანსკი; მაგრამ ის, როგორც შემდეგში გრაფი ლორის მელიქოვიც, – ნეპოტიზმის დანამებას ერიდებოდა და ამ გრძნობის გამო იყო, რომ ცოტა შორს ეჭირა თავი წმინდა ადგილობრივ ინტერესებიდან.

სამაგიეროთ ქართველებიდან იყვნენ: თავმჯდომარე საბჭოსი, თავადი ვას. იოს. ბებუთოვი და საქმეთა მმართველი, მე ცოდვილი, რომელსაც ხვდა წილად დანვრილებით მოხსენების შედგენა იმ ცნობებით, მაზრის უფროსებს რომ შეეკრიბათ, ან არქივის საქმეებიდან და კანონებიდან რომ ამოეწერათ.

ვერავითარ უნარს ვერ ვგრძნობ ჩემში შეუდგე იმის მტკიცებას, რომ კაცს, რომელიც ხელს ჰკიდებს რაიმე საქმეს, ამ საქმის მიზნის ბუნდოვანი წარმოდგენა მაინც არ ჰქონდეს. არ მაქვს უნარი ამიტომ, ვამტკიცებდე იმასაც, რომ მომხსენებელს არ ჰქონდეს აკვიატებული იდეა, იმის მუშაობას რომ ხელმძღვანელობდეს.

სწორედ ასევე საეჭვოა ჩემთვის, რომ რაიმე იდეა საფუძვლიანად მიენერებოდეს ბუნების იმ მოვლენათა კატეგორიას, რომელთაც ბევრი მოაზროვნე თვით-ჩასახულ საგნებს აწერდა.

ამიტომ ვერ ვიტყვი, რომ თავის-თავად ჩაისახა ის აზრიც, ამ საქმეზე მუშაობის მთელ დროს რომ თავიდან არ მომცილებია. წარმოსდგა ის აი როგორი მოსაზრებით:

„ბუნების წინააღმდეგი (противоестественная) მონური დამოკიდებულება ადამიანისა ადამიანზე, ყველგან არსებობდა; მაგრამ იმ საზოგადოებებსა და სახელმწიფოებში, რომლებიც მოწინავედ ითვლებოდნენ, ერთში გადავარდა ის მშვიდობის საშუალებით, მეორეში, როგორც მაგ. გერმანიაში და დიდი ხანი არ არის ამერიკის შეერთებულ შტატებში – სისხლის მდინარეებით წაირეცხა. ადამიანის სისხლი კი ჩვეულებრივ იქ იღვრება, სადაც ცოტად თუ ბევრად აუტანელია შეურაცხყოფა სამართლიანობის ან ისტორიული სიმართლის გრძნობისა.

ბატონ-ყმობის მოსპობის აუცილებლობას აქაც წინადგრძნობენ უკვე მოწინავე პირები და მალე დადგება დრო, როდესაც ის უნდა მოისპოს. ხოლო მთელი საკითხის სიმძიმე იმაში მდგომარეობს, თუ როგორ უნდა გაუქმდეს, ლეგალური

თუ არა ლეგალური საშუალებით? ლეგალობა საერთოდ მეტის-მეტად საყურადღებოა სწორედ იმით, რომ კი არ აღიზიანებს, არამედ აწყნარებს ვნებათ.

ხოლო რომ ლეგალური გზით გაუქმდეს რაიმე არსებულს, უწინარეს ყოვლისა უნდა დამტკიცდეს, რომ ის არსებობს; სხვაფრივ საქმე ხომ ქარის ნისქვილებთან ბრძოლას დაემსგავსება.

აქამდე იმის ცდაში იყვნენ, დაერწმუნებინათ ყველანი, რომ საქართველოში ბატონ-ყმობა არ ყოფილა, მაგრამ ეს შემცდარია. მაშასადამე უნდა დამტკიცდეს, თუ ეს შესაძლებელია, რომ იყო ბატონ-ყმობა. მაშინ გალიზიანების საბაბი აღარ იქნება და ბატონები შეიძლებენ დამშვიდებით ასწონ-დასწონონ, რასაც კარზე მომდგარი დრო თხოულობს და ღირსეულად შეემზადონ მისაღებად“.

აი, მოსაზრებათა ამ აკინძვით იყო, რომ დაიბადა ის აკვიატებული აზრი, რომლითაც მე შეუდექი ჩემი მოხსენების სქელ რვეულსა.

არა თუ შესაძლებელი გახდა დამტკიცება იმისა, რომ საქართველოში ბატონ-ყმობა ძველი დროიდან არსებობდა, – აღმოჩნდა, რომ შეუძლებელიც იყო ამ არსებობის წინააღმდეგ მოეყვანათ რამე.

მართალია თვით უფლება არ გამოიხატებოდა იმ ფორმით, როგორც ეს რუსეთში იყო, და წოდებათა ურთი-ერთ შორის არც იმ სიძულვილ-განხეთქილებაში, როგორც იქ იყო, მაგრამ ყიდვა-გაყიდვის უფლება და სხვა კანონიერი შეძენა გლეხებისა იცოდა ხალხის ისტორიულმა ცხოვრებამ და ეს ისე ცხადად გამომდინარეობდა ყველა შეკრებილი ცნობებიდან, რომ ადამიანები, სწორი გზის ახვევით რომ თავ-აშვებულნი მიისწრაფოდნენ წინ, უკმაყოფილონი დარჩნენ ჩემი მოხსენებითა; მაგრამ მისი საბოლოო დასკვნის წინააღმდეგ კი ხმაც არ ამოღებულა, არც სამაზრო კომისიებში, სადაც ის, წინააღმდეგ სამსახურის წესისა, წინასწარ იყო განხილული, არც შემდეგ მთავარ-მართველობის საბჭოში.

ასე იცნეს ბატონ-ყმობის არსებობა საქართველოში de jure-ც და de facto-ც X საუკუნიდან მაინც.

ამასობაში მოატანა დრომ, როდესაც გაბედეით უნდა შეეხედნათ თვალეში წინ წამომდგარი რეფორმისათვის, და პირდაპირ უნდა ითქვას აქ, რომ ჯერ არსად, რამდენადაც ცნობილია, არ შეუხედნიათ ისე გაბედეით და ისე პატიოსნად ამ მომხდარი ამბავისთვის, როგორც შეხედა მას 1862 წელს საქართველოს თავად-აზნაურობამ.

მართალია, გამოიჩინეს იმათ მაშინ ერთი უცნაური, სრულებით გაუგებარი კაპრიზი, რომ არამც და არამც არ სთანხმდებოდნენ და ბოლოს მაინც არ დასთანხმდნენ, შუაგულ რუსეთის გუბერნიების მსგავსად, იმათაც გამოეყოთ თვისი წრიდან კომიტეტები ამ საქმის შესამუშავებლად.

მაგრამ მრავალ რიცხოვან თავად-აზნაურობაში კრინტიც არავის არ დაუძრავს თვით ამ ბატონ-ყმობის გადაგდების წინააღმდეგ.⁹⁰

ბევრი და მხურვალე ლაპარაკი იყო მხოლოდ ამ უფლების მოსპობის პირობებზე.

თავად-აზნაურობის საგუბერნიო საგანგებო ყრილობამ ტფილისში 6 დღეს გასტანა და 1862 წ. 30 აპრილს შეიმუშავა შემდეგი საფუძველნი: 1. გლეხებს თავისუფლება მიენიჭოთ. მათ პირადს სამსახურში ჩვენთვის ვითხოვოთ ჯილდო. 2. რაც მიწები უჭირავთ გლეხებს, დარჩეს მათ სასარგებლოდ იმ პირობით, რომ მიწის ჩვეულებრივი გადასახადი იხადონ. 3. ამ ჩვეულებრივ გადასახადს დაედვას ვადა, რომლის გასვლის შემდეგ, ნება-ყოფლობით შეთანხმებაზე გადავიდნენ.

ეს გადაწყვეტილება დადგენილია 135 ხმის უმრავლესობით 4-ის წინააღმდეგ. ეს ოთხნი, რომელთაც არავითარი მოსაზრება არ გამოუთქვამთ, ხოლო არც ხელი მოუწერიათ გადაწყვეტილებაზე, იყვნენ: გუბერნიის თავად-აზნაურობის წინამძღოლი: თ-დი ალექს. დავ. ორბელიანი; იმ დროს იქ არ მყოფი მეფის მოადგილის თანამდებობის აღმასრულებელი

გენ. ადიუტ. თავადი გრ. დიმ. ორბელიანი; გენ. ლეიტ. თავადი ივანე კონსტ. ბაგრატიონ-მუხრანსკი და სვიტის გენ. მაიორი თავადი დავით ალექს. ჭავჭავაძე.

აღნიშნულ საფუძველთა შემუშავება და შემდეგ დებულებების პროექტის შედგენა თავად-აზნაურობამ მე დამავალა, ისე კი, რომ ჩემი მოხსენება და პროექტი თავად-აზნაურობისთვის წარმედგინა მის სამაზრო ყრილობებზე და რომ შემდეგში ისე მოვქცეულიყავ, როგორც ეს ყრილობები მიჩვენებდნენ.

ამ საფუძველთა შემუშავებას და თვით მიწის პატრონებისგან ამისთვის ცნობების მიღებას მოუნდა მთელი წელიწადი, უმთავრესად იმის გამო, რომ მაისში მე უარის თქმა მომიხდა ამ დავალებაზე, ხოლო სექტემბერში – ისევ ხელის მოკიდება, სიღნაღის და თელავის მაზრების თავად-აზნაურთა დაჟინებული მოთხოვნით.⁹¹

ამავე დროს 1863 წლის დამდეგს, როდესაც საქმის დაწვრილებით შემუშავება თითქმის გათავებული იყო, ტფილისში ახალი მეფის მოადგილე მობრძანდა.⁹²

სამიოდე დღის შემდეგ ბრძანება მივიღე წარესდგომოდი; მიმიღო მონყალედ და ღირს-მყო დაწვრილებით გამოეკითხა როგორც ის, თუ რა მდგომარეობაში იყო იმ მომენტში თავად-აზნაურთაგან ჩემზე მონდობილი საქმე, აგრეთვე ისიც, თუ ნამდვილად რა მიზეზი იყო და რანაირად შესწყდა 1862 წ. თიბათვეში ჩემი სამსახური.

მოისმინა რა ჩემი პასუხი ორივე საქმის შესახებ, მეფის მოადგილემ თავის მხრით მოწონება გამოსთქვა ბატონ-ყმობის რეფორმის საფუძველებისა, და გამისტუმრა განმეგრძო საქმე და თან დასძინა: „ძალიან მოხარული ვარ, რომ გაგიცანით!“

ეს იყო 1863 წლის მარტში; აქ უნდა ერთი პატარა ეპიზოდი ჩაურთო, რაც საქმეს გაკვრით ეხება.

მთავარ მართველობის სახელმწ. ქონებათა დეპარტამენტის ღირექტორს ი. თ. ვიტტეს პატარა ბარათი გამოეგზავნა ჩემთვის შემდეგი შინაარსით:

„სულით და გულით გილოცავთ, დიმიტრი ივანეს ძე! შემთხვევით ჩამივარდა ხელში საერთო საქმეთა დეპარტამენტის მოხსენება თქვენს შესახებ; მეფის მოადგილეს საკუთარი ხელით მოუწერია ზედ, სანამ შესაფერ სამსახურს მიიღებდეს, ეძლიოს ჯამაგირი საბჭოს წევრისაო“.

სჩანს მეფის მოადგილე კმაყოფილი დარჩენილა ჩემი განმარტებით.

ამ ცნობით გამხსნეველმა დავამთავრე ჩემი საქმე და აპრილის გასულს დავიწყე ჩემი მოხსენების კითხვა თავად-აზნაურობის ყრილობებზე მაზრებში.

სიღნაღისა და თელავის ყრილობებმა მოანდომეს ამ საქმეს თითო სხდომა, 27 და 30 აპრილისა. გორისამ – ოთხი სხდომა 11, 13, 15 და 17 მაისისა და ტფილისისამ დუშეთით – სამი, 18, 20 და 26 იმავე მაისისა.

ამ სხდომებზე დამსწრე ყველა თავად-აზნაურმა მოხსენება მოიწონა და დებულების პროექტს ხელი მოაწერა 536 კაცმა, არ მოაწერა 16, ხოლო რადგან ამ უმნიშვნელო უმცირესობაში ის ოთხი დიდი პირიც მოხვდა, 30 აპრილის გადაწყვეტილებას რომ ხელი არ მოაწერეს, ამიტომ ხელმომწერელთა უმრავლესობამ დაადგინა: მოხსენება და დებულების პროექტი წარედგინოს მთავრობას თავად-აზნაურთაგან არა გუბერნიის წინამძღოლის ხელით, რადგან ის უმრავლესობას ჩამოშორდა, არამედ გაეგზავნოს მაზრებიდან საგანგებო დეპუტაციათა ხელით, პროექტის შემდგენელ-მომხსენებელთან ერთად, რისთვისაც წინასწარ ნებართვა უნდა აღებულყოს.

მაგრამ ამ ნებართვაზე უ ა რ ი გ ვ ი თ ხ რ ე ს.

საქმის სიმძიმე კი ვერ ითმენდა შეჩერებას და გუბერნატორი საქმის დაჩქარებას თხოულობდა. მიუხედავად პირადი ახსნისა, რომ მე მინდობილობა არა მქონდა საქმე დეპუტატების გარეშე წარმედგინა და არა შემთხვევაში არ შემეძლო გადამეცა ის გუბერნიის წინამძღოლისათვის, გუბერნატორი მოითხოვდა, რომ საქმე მიღებული წესით წარდგენილიყო.

ამავე დროს შემატყობინეს, რომ პენსია მეზობა 1428 მან. და უფლება საბჭოს წევრის მუნდირის ტარებისა. მე არ მითხოვნია არც ერთი და არც მეორე; მაგრამ ზემოდ მოყვანილი მოსალოცი ბარათის შემდეგ მეფის მოადგილის რეზოლიუციის შესახებ, ეს ისე სასიამოვნოდ აღარ დამრჩა; საწყენი იყო და სათაკილო მით უმეტეს, რომ არამც თუ ჩემს ამხანაგებში არავინ არ იღებდა 2560 მან. ნაკლებს, ჩემს შემდეგ საბჭოს საქმეთა მმართველის თანამდებობა რომ დაიჭირა, იმანაც კი მიიღო 2000 მან. პენსია და 2000 დესეტინა მინა.⁹³

მაინც ამ გარემოებამ იმ ყურადღებასა და გამხნევენასთან ერთად, მარტში მეფის მოადგილის მიერ რომ გავხდი ღირსი, საბაბი მომცა მასთან გავემგზავრებულყავ, მაღლობა გადამეხადა მიღებული წყალობის შუამდგომლობისათვის და ამასთან, თუ კითხვას იწებებდა გლესთა საქმის მდგომარეობაზე, მომეხსენებია, რომ ის დიდი ხანია მზად არის წარსადგენად, მაგრამ წარდგენის წესი არის, საქმეს რომ აბრკოლებს.

1863 წლის ივნისში წავედი მეფის მოადგილის საზაფხულო სამყოფში და იქ ვსთხოვე მორიგე ადიუტანტს, მოეხსენებია ჩემს შესახებ.

როსტის. ანდ. ფადეევმა, იმ დროს მორიგად მყოფმა, მითხრა ერთი საათის შემდეგ, რომ მოვახსენე და მივიღე ბრძანება გკითხოთ, რისთვის მოხვედითო.

- მაღლობის მოსახსენებლად ბოძებული პენსიისათვის.
- მარტო მაგისტრის? მეტი არაფერი?
- მეტი არაფერი, თუ თითონ არ იწებებს მკითხოს.
- გლესთა საქმეზე არაფერი გაქვთ სათქმელი?
- თუ მკითხავს მოვახსენებ, რა მდგომარეობაშია.
- აი სწორედ ეგა ნებავს მის უმ-ბას, იცოდეს ახლავე თქვენგან ჩემის მეშვეობით.

ცუდის მომასწავებელია!!

არ მომეწონა ეს, მაგრამ უნდა მეთქვა ადიუტანტისათვის, როგორ იყო საქმე.

რამდენიმე საათის შემდეგ გამომიცხადა, რომ მეფისმოადგილეს ნებავს ჩემი მიღება ხვალ დილის 11 საათზე.

მეორე დღეს, დილის 9 საათზე, სახლის პატრონებმა, ვისთანაც მე ჩამოვხტი, შენიშნეს, რომ მეფისმოადგილე ფეხით მიბრძანდებოდა ტელეგრაფისკენ. ალბად კრუზენშტერნთან მოილაპარაკებს, – სთქვებს მათ.

ეგეც ცუდია!

კრუზენშტერნმა თითქმის პირად შეურაცხყოფად მიიღო, რომ თავად-აზნაურობამ თავის თავს ნება მისცა და უნდობლობა გამოუცხადა მის საყვარელს წინამძღოლს.⁹⁴

10 საათზე მეფის მოადგილე ტელეგრაფიდან ბრუნდებოდა.

როგორც ნათქვამი მქონდა, 11 საათზე წარვსდექი. დერეფანში მცველი ყაზახები, დარბაზში არავინ არ არის, კაბინეტის კარები გაღებულია და შევდივარ.

შეხვედრა მკაცრია.

– მე ვიცი, თქვენ რისთვის მოხვედით! როგორ ბედავთ და ურჩევთ თავად-აზნაურობას, ასეთი სულელური მოთხოვნები გამოაცხადოს, 17 მილიონს რომ თხოულობენ გლეხ-კაცებში?

ცხადი იყო, რომ სიცრუე შეებედნათ.

– თავად-აზნაურობა მოითხოვს რასმე, – ვუპასუხე მე, – თხოულობს, თუ თავის ბედს პირდაპირ თავისი მონარქის ყურადღებას აზარებს, ამას თქვენ გაიგებთ, როდესაც მოხსენებას წაიკითხავთ. ახლა საქმე ის არის, თუ როგორ წარმოვადგინოთ ეს მოხსენება.

– უთხარით თქვენს თავად-აზნაურობას, რომ მე ნებას არ მივსცემ წესს რითიმე გადაუხვიონ. წარდგენა უნდა იყოს წინამძღოლისაგან გუბერნატორის მეშვეობით.

– ბატონი ბრძანდებით!

და თითქმის გამოვარდი კაბინეტიდან ისე, რომ ერთი სიტყვაც აღარ მითქვამს, რა თქმა უნდა.

დავბრუნდი თუ არა ტფილისში, გამოუცხადე გუბერნატორს,⁹⁵ რომ საქმე ვერ წარსდგება, თუ არა თავად-აზნაურო-

ბის თანხმობით, რისთვისაც საჭიროა მათი ხელახლა შეკრება მეტეჟი.

– ორბელიანმა რომ თვისი თანამდებობა მაზრის წინამძღოლს ბარათოვს გადასცეს? – მეკითხება გუბერნატორი.

– თავადი ბარათოვი უმრავლესობას ემხრობა და იმას სრულიად უყოყმანოდ გადავსცემ.

მეორე დღეს ოფიციალურად შემატყობინეს, რომ ორბელიანი შვებულებას თხოულობს საზღვარ გარედ წასასვლელად და ამიტომ გუბერნიის წინამძღოლის თანამდებობის ასრულებას თავადი ბარათოვი შეუდგებაო.

მაშინვე გადავეცი თავად ბარათოვს მოხსენება და 536 თავად-აზნაურისაგან ხელმონერილი დებულების პროექტი და გავედი ტფილისიდან.

ამ ამბავთან დართული, თავად-აზნაურობის მიმართ ჩემი მოხსენების ერთი ადგილიდან მკითხველი დაინახავს, რომ ხელისუფლება უსაფუძვლოდ გამირისხდა.

დანართი 20-თავისათვის⁹⁶

ცალკე ამოღებული ერთი ადგილი იმ მოხსენებიდან, რომელიც გაირჩა და მოწონებულ იქმნა 536 პირის უმრავლესობით 16-ის წინააღმდეგ, ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა ყრილობაზე 1863 წ. აპრილსა და მაისში.

„...ამით თავდება ჩვენი შეხედულება გლეხთა განთავისუფლებასა და მათი ყოფაცხოვრების გაუმჯობესებაზე. შემდეგ რჩება ერთი, ჩვენთვის უდიდესი მნიშვნელობის საგანი, რომელიც დიდი ყურადღებით მოითხოვს განხილვას. 30 აპრილის 1862 წ. ჩვენი დადგენილების პირველი მუხლით ჩვენ გვიხდება ფულის თხოვნა... უპირველეს ყოვლისა, ნება მიბოძეთ, მმ. ხხ. წარმოგიდგინოთ 296 პირის აზრი ამის შესახებ“.

მოყვანილია რვა ჯგუფი ამ აზრისა. შემდეგ მოსდევს დასკვნა მომხსენებლისა:

„თუმცა ყველა ეს მიზეზი მოგახსენეთ თქვენ მეტის მეტად ზერელედ და მეტის მეტად შემოკლებით, ვინაიდან, ერთის მხრით, მეშინოდა თქვენი დაღალვისა ჩემი მოხსენების სიდიდით; ხოლო მეორე მხრით, თქვენი საყვედურისა ოდნავადაც არის გაზვიადებისათვის; მაგრამ უნდა გამოვტყდეთ, რომ ჩვენი მდგომარეობა მართლა რომ დიდად გაჭირვებული ყოფილა ახლაც, როდესაც ჯერ კიდევ ვსარგებლობთ ჩვენი ქონებით, როდესაც ჩვენი თანხა (капитал) გლახთაგან შემოსავალს რომ შეადგენს, ჯერ ისევ ხელუხლებელია, თანხა $42\frac{1}{2}$ მილიონ მანეთზე მეტი, ვინაიდან როგორც ჩვენ ზემოდ მოვიყვანეთ, თვითეული მეკომური გლეხი ყოველ წლიურად საშუალო ანგარიშით გვაძლევს 148 მ. 38 კ. შემოსავალს პირველი კატეგორიით (ე. ი. მიწით კი არა, პირადი ვალდებულებით); ამ შემოსავლის კაპიტალიზაცია კი $16\frac{2}{3}$ -ჯერ გადიდებით, ჩვენ მოგვცემდა კომლზე 2,473 მ. ხოლო 17,208 კომლი – ზემოდ აღნიშნულ $42\frac{1}{2}$ მილიონ მანეთზე მეტ თანხას.

როგორი იქნება ჩვენი მდგომარეობა, როდესაც ჩვენ სულ აღარ გვექნება აღარც ეს თანხა და აღარც მისი პროცენტები, ვინაიდან გლახთა განთავისუფლებასთან ერთად ხელი უნდა ავიღოთ ამ შემოსავალზედაც და მასასადამე, მათი (გლახების) ცხოვრების გაუმჯობესებას უნდა შევსწიროთ საუკუნოებით გადმოცემული ჩვენი მემკვიდრეობა – $42\frac{1}{2}$ მილიონის დოვლათი. არავითარი ეჭვი არ უნდა იმას, რომ უკიდურეს ყოფაში ჩავცვინდებით.

მაშ რას შეეძლო, თუ არა ამ უკიდურეს გაჭირვებას, ვაეძულებინეთ ჩვენ მოგვეთხოვა ერთდროული დახმარება, ჩვენ, რომელთაც ეკუთვნის სახელი უპირველესთა და უმდიდრესთა ქართველებში? გამოვსტყდეთ, ბატონებო, ვსთქვათ გულახდილად, რომ სამწუხაროა ჩვენთვის, მტკივნეულია ჩვენი გრძნობებისათვის, მიძიმეა საუკუნოებით განმტკიცებული ჩვენი სახელისათვის, რომ, ვაძლევთ რა თავისუფლებას ჩვენს გლახებს, ლაქას ვცხებთ ამ წმინდა საქმეს ფულით დახმარების თხოვნით! მაგრამ ჩვენი მდგომარეობა, – ამ სიტყვის ნამ-

დვილი მნიშვნელობით – უკიდურესად შევიწროვებულია, და რასაც ჩვენი ენა არ გამოსთქვამდა სხვა დროს, თუ არა ნამდვილ უკიდურესობაში, ახლა გვაიძულებს ბუნებრივი ჩვენი მოვალეობა გამოვსთქვათ, რომ ჩვენი გაჭირვების შესახებ უშუალოდ მივმართოთ ჩვენს ხელმწიფე იმპერატორს.

„მათი იმპ. უმაღ-ის კანონებით (ტ. X. ნ. 2 მუხ. 794 და ნ. 1 მუხ. 594) იმ დანაკლისის მაგიერ, გლახთა განთავისუფლებით რომ მემამულეს ეკარგება, ამ უკანასკნელს ეძლევა სულზე, რომელიც რევიზიით იქნებიან ცალ-ცალკე ნაჩვენები, – მამაკაცზე 100 მან. და დედაკაცზე – 50 მან.

1862 წ. 7 აგვისტოს სენატის გადაწყვეტილებით, ქუთაისის გუბერნიაში შორაპნის მაზრის სოფელ თერჯოლის მცხოვრებლებს, აზნაურთ ჯანელიძეს, მხეიძეს, ქავთარაძეს და ჭუმბურიძეს, მათი მოვალეობიდან განთავისუფლებულ გლეხებში მიეცათ 100 მან. სულზე; მასთან ერთად აღნიშნულ აზნაურებს კერძო საკუთრების უფლება დარჩათ მიწებზე იმ გვარად, რომ გლეხები ამ ყამად ამ მიწების სარგებლობისათვის უხდიან მემამულეთ ჩვენ მხარეში ჩვეულებით განმტკიცებულ გადასახადს, ხოლო როდესაც გლეხების საერთო განთავისუფლება მოხდება, ისინი უნდა დაემორჩილონ იმ წესებს, როგორიც იმ დროს დაწესდება მიწის გადასახადის შესახებ ყოფილ მეზატონეთ რომ უნდა აძლიონ გლეხებმა.

ამავე საფუძველით გადაწყვეტილია სენატის ბრძანებით 21 ივლისს 1858 წელს საქმე მეზატონე სოკოლოვის და მიწების შესახებ იმავე მაზრაში, ე. ი. გლეხებში მიუციათ სოკოლოვის მემკვიდრეებისათვის 100 მ. თითოეულ მამაკაცში და 50 მ. თითოეულ დედაკაცში და ყველა მიწებიც ხსენებული მემკვიდრეების საკუთრებად დაუტოვებიათ. თუმცა გლახთა გადასახადების მაგიერ გაღებულ ჯილდოს რაოდენობის შესახებ არ შეიძლება არა ვსთქვათ, რომ გლახთა გადასახადი ქუთაისის გუბერნიაში, სადაც ისინი იხდიდნენ ჩვეულების მიხედვით, რომელიც უძველეს დროიდან იყო განმტკიცებული და რომელიც ერთხელ და სამუდამოდ განსაზღვრულ

რაოდენობას შეადგენდა, ვერ შეედრება გლეხების გადასახადს საქართველოში,* სადაც ისინი (გადასახადები) ყოველთვის მებატონის ნებაზე და გლეხთა შეძლებისდაგვარად ხდებოდათ და სადაც ამ შემთხვევაში მებატონის უფლების არავითარ შეზღუდვას არას დროს არა ჰქონია ადგილი.

თუ ამ მაგალითების მიხედვით ჩვენც 100 მანეთი მოგვეცა სულზე, მაშინ კომლზე შეგვხვდება არა უმეტეს 400 მანეთისა, მაშასადამე ამ ერთდროულმა დახმარებამ შეიძლება შეადგინოს თანხა არა უმეტეს ორი თუ სამი წლის ჩვენი ჩვეულებრივი შემოსავლისა გლეხებიდან, ე. ი. 2 თუ 3 წლის პროცენტები იმ თანხიდან, გლეხთა ცხოვრების გაუმჯობესებას ჩვენ რომ ვსწირავთ.

წავიმძღვართ წინ ეს მაგალითები და ეს ანგარიშები და მივანდოთ ჩვენი ბედი მეფის გულს, ღვთის ხელში რომ იმყოფება!!“

დასკვნაში მოყვანილია დასაბუთებული შუამდგომლობა, რომ ჩვენთვის დანიშნული ჯილდო გადასახადებისა გლეხებს არ გადახდოდათ.

21.

ჩემი კანდიდატურა გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლობაზე. – წინააღმდეგობა თ-დი გრ. დიმ. ორბელიანისა, თ-დი ივ. კონსტ. ბაგრატიონ მუხრანსკისა და მათთან სხვა 33 კაცისა. – თეთრი კენჭი 273, შავი 4. – ჩემი დაპირებანი.

კრუზენშტერნმა აირიდა თავიდან მონაწილეობის მიღება გლეხთა რეფორმაში და საქმეც შეჩერდა მთავარ-მართველობის ახალი გამგის, ბარონი ა. პ. ნიკოლაის მოსვლამდე.

ამასობაში დასრულდა 1863 წ., როდესაც თავად-აზნაურობა ახალ არჩევნებს უნდა შესდგომოდა.

* ე. ი. ქართლ-კახეთში.

გორის მაზრის თავად-აზნაურთა წინამძღოლმა, რომლის მაზრას უფრო ვეკუთვნოდი ჩემის ცენზით,⁹⁷ თავად-აზნაურთა გადაუდებელ საჭიროების გულისთვის, ზუგდიდიდან, სადაც სამეგრელოს აპეკის საქმეებზე ვიყავი, ტფილისში გამომიწვია.

ტფილისში თავად-აზნაურობა გაცხარებულ აგიტაციაში გართული დამხვდა.

წინამძღოლმა გამომიცხადა, რომ დიდი უმრავლესობა ჩამოსული თავად-აზნაურობისა ჩემს კანდიდატურას აყენებს გუბერნიის წინამძღოლად. მაგრამ ამისი დიდი წინააღმდეგნი არიან წარმომადგენელნი ორი არისტოკრატიული სახლისა, იმ სახლისა, რომელნიც დღემდე მხოლოდ ერთად-ერთნი იძლეოდნენ ამ თანამდებობის კანდიდატებს, სახელდობრ – თავადნი ბაგრატიონ-მუხრანსკები და ორბელიანები.⁹⁸

– ყველა თავადის გვერდის ახვევა და უბრალო, უტიტულო აზნაურის კანდიდატურის წამოყენება შეუძლებელია, ეს არას დროს არ ყოფილაო,⁹⁹ – ამბობდნენ თურმე ისინი, – ამას ხელი უნდა შეუშალოთ, რაც არ უნდა დაგვიჯდესო.

ერთ-ერთი ბჭობის დროს გენერ. ადიუტ. თ-დ გრ. დიმ. ორბელიანთან, კაცთან, იმდენადვე გულჩვილთან, რამდენადაც ის უზადოდ პატიოსანი სულის პატრონად ითვლებოდა, გადაეწყვიტათ მოენვიათ ყიფიანი და პირდაპირ ეთქვათ არ გაბედო კენჭის ყრაო.

მაგრამ მეორე გენერალ-ადიუტანტს, თავად ლევან ივ. მელიქოვს, არა ნაკლებად პატიოსანს, ხოლო ბევრად უფრო ძლიერსა სულით, შეენიშნა: – მერე, რომ არ გაგვიგონოს, რას ვიზამთ?

– მაშინ მთელ ჩვენს გავლენას მოვიხმართ, – ეთქვათ გრ. დიმ. ორბელიანსა და თავად ივანე მუხრანსკის, – რომ ხელი შეუშალოთ მის ამორჩევას.*

* ორივეს სწამდა თვისი გავლენის ძლიერება; პირველს იმიტომ, რომ თითქმის ორი წელიწადი ასრულებდა მეფის მოადგილის თანამდებობას, ხოლო მეორე თითონ ლაპარაკობდა თავის პოპულიარობაზე.

ყველა ეს, სხვადასხვა ვარიაციით, ტფილისში ჩასვლის იმავე დღეს გადმომცეს და იმდენად დაუნყეს ძაგვრა ჩემი თავმოყვარულობის სიმს, ისედაც ღონივრად დაჭიმულს კეთილსინდისიერად შესრულებული საქმისთვის მიღებული რისხვით და სწორედ ამ არისტოკრატიების დიდი უმრავლესობის სურვილებიდან განდგომით, რომ გადავსწყვიტე ამავე უმრავლესობას დაემორჩილებოდი, თუმცა აქამდე მე არას დროს არ მქონია არც ოდნავი განზრახვა გუბერნიის წინამძღოლის თანამდებობის მიღებისა.

გუბერნიის ყრილობა გაიხსნა თებერვლის დამდეგს 1864 წ. ამის წინ, ერთხელ ბარონ ნიკოლაისთან მიმინვიეს¹⁰⁰ და ის ბევრს მირჩევდა, თუმცა სრულებით კერძო სახით, რომ უარი მეთქვა კენჭის ყრაზე. მაგრამ მგონია დავაჯერე, რომ აზნაურს, რომელიც თავისუფალია ტახტის სამსახურისაგან, ნება არა აქვს უარი სთქვას თავისი საზოგადოების სამსახურზე, თუ კი საზოგადოება ამას მოითხოვს და ამიტომ მე ნება არა მაქვს კენჭის ყრაზე უარი ვსთქვა მეთქი.

მეფის მოადგილის სახლში,¹⁰¹ როგორც მაშინ მითხრა მის. ტარ. ლორის-მელიქოვმა, რამდენიმე დღის განმავლობაში სულ იმაზე ლაპარაკობდნენ, თუ რა ჩორჩქოლში იყვნენ მომავალი არჩევნების გამო ქართველი უმაღლესი არისტოკრატები, რადგან თუ წააგეს, ხელისუფლება დაინახავს, რომ ძალა იმათ ხელთ არ არისო.

დადგა არჩევნების დღეც.

უიღბლობა ის იყო, რომ უმრავლესობის მხარეზე იყო სრული კანონიერება.

კანონი მოითხოვდა გუბერნიის წინამძღოლობაზე კენჭი ეყარათ: უპირველესად იმ პირისთვის, რომელსაც ეს ადგილი ეჭირა;¹⁰² მაგრამ ეს პირი პარიზში იმყოფებოდა და არაფერი განცხადება არ სჩანდა იმისგან; შემდეგ – კენჭის ყრა ეკუთვნოდა ყველა ყოფილ გუბერნიის წინამძღოლებს, მაგრამ იმათში ცოცხალი აღარავინ არ იყო; შემდეგ – კენჭი უნდა ეყარათ გიმნაზიის საპატიო მზრუნველისთვის.

კრების თავმჯდომარემ, ტფილისის მაზრის თავად-აზნაურთა წინამძღოლმა,¹⁰³ გამოსთქვა კანონის ეს მოთხოვნა და განაცხადა, რომ კენჭის ყრა ეკუთვნის დ. ი. ყიფიანს, როგორც გიმნაზიის საპატიო მზრუნველსო.

აქ თ-დი ივ. კონსტ. ბაგრატიონ-მუხრანსკი აწოდებს ქალაქს და სთხოვს ყრილობას წაუკითხოს.

თ-დი ზაალ ბარათოვი კითხულობს მეფის მოადგილის ნებართვას „იმ შემთხვევაში, თუ გუბერნიის წინამძღოლის თანამდებობაზე კენჭის ყრას მის კარის კაცად მყოფი გენერალ-ლეიტენანტი თავადი რევაზ ანდრონიკოვი მოისურვებს“-ო.

დიდი შთაბეჭდილება.

ღრმა სიჩუმეში წამოდგება სიღნაღის მაზრის თავად-აზნაურთა წინამძღოლი თავადი სოლომონ ივ. ანდრონიკოვი და, როგორც ღვიძლი ძმა იქ არ მყოფი დასახელებული კანდიდატისა, უცხადებს ყრილობას მისი სახელით, რომ იმას კენჭის ყრა არა სურს.

შთაბეჭდილება გამაშტერებელი.

მაშინ დადგება ყრილობის პირველი რიგის წინ თავადი გრიგოლ დიმიტრის ძე და თავისთვის სრულიად უჩვეულო აღელვებით და გაცხარებით ამბობს ასეთს სიტყვას: წინამძღოლად ამორჩევა არა საპატიო თავადის, არამედ უბრალო აზნაურისა, შეურაცხყოფაა მთელი საზოგადოებისათვის;¹⁰⁴ ამორჩევა ყიფიანისა კი უფრო მეტი შეურაცხყოფა იქნება, ვინაიდან ის გამოგდებულ ია სამსახურიდან!

– ვიცით! ვიცით! – ყვირიან ყოველი მხრიდან.

მაგრამ სიტყვა გამოგდებამ მართლა რომ მოთმინებიდან გამომავდო და ამ საჯარო შეურაცხყოფაზე შემდეგი სიტყვებით უპასუხე:

„დიდად შესაწუხებელია ჩემთვის, რომ წინააღმდეგი ლაპარაკი მიხდება თ-დ გრიგოლ დიმიტრის ძესთან, რომელსაც ყოველთვის ეკუთვნოდა ჩემი ღრმა პატივისცემა; მაგრამ ყრილობას ფაქტი უნდა განუმარტო; შარშან მაგან, მეფის

მოადგილის თანამდებობას რომ განაგებდა და თავადი ბართინსკის ბრძანებას ასრულებდა, სამსახურიდან დათხოვნაზე წარმადგინა. გამოვიდა უმაღლესი ბრძანება ჩემი სამსახურიდან დათხოვნისა თ ა ნ ა ხ მ ა დ ს უ რ ვ ი ლ ი ს ა.¹⁰⁵ მე არ მითხოვნია ეს დათხოვნა; მაგრამ არ მითხოვია აგრეთვე არც პენსია, არც მუნდირი; მე კი მებოძა ერთიც და მეორეც; გამოგდებულებს არც ერთს და არც მეორეს არ აძლევენ!“

– ვიცით, ვიცით! გვსურს ყიფიანი, უკენჭოთ, უკენჭოთ!!

როდესაც ხმაურობა შესწყდა, ხელმეორედ ავდექი და ვსთქვი შემდეგი:

„თქვენ ყველანი, ვფიქრობ დარწმუნებული ხართ, რომ თქვენი წინამძღოლობა აზრათაც არ მომსვლია არასოდეს.

მიზეზი ამ თანამდებობის მორიდებისა ბევრი მაქვს: ის დიდად საპატიოა, მაგრამ მასთან დართული მოვალეობანიც მეტად ძნელია.

მე არ შემიძლიან არც იმის თქმა, რომ არ მესმოდეს, არც დამალვა თქვენთან ჩემი შიშისა, რომ ვაი თუ არ ძალმიძდეს მოვალეობანი შევასრულო.

მაგრამ ერთხელ გამოვსთქვი თქვენს წინაშე, რომ თუ საზოგადოება აკისრებს სამსახურს ერთერთს თავის წევრთაგანს, არავის არა აქვს უფლება უარი სთქვას ამაზე, მეტადრე ვინც თავისუფალია უფრო სასარგებლო სამსახურისაგან.

ხოლო ერთხელ გამოთქმული სიტყვის ერთგული ვარ¹⁰⁶ და ამიტომ, თუ თავად-აზნაურობა მოითხოვს ჩემს სამსახურს, – ვერც სინიღისით, ვერც კანონით ამაზე უარს ვერ ვიტყვი.

მაგრამ ერთს გთხოვთ, რომ არც ამ შემთხვევაში გადაეხვიოს კანონს და თქვენი სურვილი კენჭით გამოიხატოს“.

შემდეგ თავმჯდომარემ გამოაცხადა, რომ გუბერნიის წინამძღოლის ადგილზე კენჭს იყრის ახლანდელი საპატიო მზრუნველი გიმნაზიისა დიმიტრი ივანეს ძე ყიფიანი.

თავადი გრ. დიმ. ორბელიანი აცხადებს, რომ მონაწილეობას არ მიიღებს ამ კენჭის ყრაში და გადგება განზე. მას მიჰყვებიან გენერლები: თ-დი ივ. კონსტ. ბაგრატიონ-მუხრან-

სკი, თ-დი გიორგი რომან. ერისთავი, თ-დი ივ. შალიკოვი, მიხ. გაბრ. ყაზბეგი, ალექს. დიმ. საგინოვი და მათთან კიდევ ოც-დაცხრა კაცი, რომელნიც ყრილობიდან გამოყოფილ ცალკე ჯგუფს წარმოადგენენ.

თავმჯდომარე აცხადებს, რომ ვინც ამ კენჭის ყრაში მონაწილეობას არ მიიღებს, დამსწრეთ არ ჩაითვლება და არც ერთს მათგანს კენჭი არ ექნება ამ სხდომაზეო.

შემდეგ დაიწყო კენჭის ყრა, მიმდინარეობდა სრულის წესიერებით და შედეგად გამოიტანა: თეთრი კენჭი 273; შავი – 4.¹⁰⁷

ასეთივე წესით მოხდა მეორე კანდიდატის ამორჩევაც, რომელმაც მიიღო რამოდენიმე თეთრი კენჭით მეტი შავზე-და.¹⁰⁸

კენჭის ყრის გათავების შემდეგ, კიდევ მომიხდა მიმემართა ამომრჩეველებისათვის ქ ა რ თ უ ლ ა დ.

„ჩემი გრძობანი თქვენ უწყით ყველამ. ამაზე ლაპარაკი აქ საჭირო არ არის. მაგრამ საჭიროა, რომ სხვებმაც იცოდნენ და ამ მიზნით ვითხოვ თქვენგან ნებართვას, რომ ორიოდე სიტყვა ვსთქვა რ უ ს უ ლ ა დ:

დღეს, ბატონებო, თქვენ გადასდგით ძნელი, უდიდესი ნაბიჯი თქვენს საზოგადო ცხოვრებაში; თქვენი კენჭებით თქვენ მოიხსენით და წარსულის უფსკრულში გადაისროლეთ ჩვენს თავზე მძიმედ დაკიდებული ცრუ შეხედულებანი. თქვენ ღირსი გამხადეთ მაღალი პატივისა – ჩაგიდგეთ სათავეში; ჩაუდგე სათავეში ქართულ თავად-აზნაურობას, რომელიც უ ძ ვ ე ლ ე ს ი ა მ ს ო ფ ლ ი ო შ ი. საჭიროა, რომ არც მომავალში ჰქონდეს ადგილი ჩვენს შორის რაიმე გაუგებრობას. უფლება და მოვალეობანი თავად-აზნაურთა წინამძღოლისა გარკვეულნი არიან: მთავრობის წინ ის არის წარმომადგენელი თავისი წოდებისა და შუამავალი მის სასარგებლოდ; წოდების წინ ის მთავრობის ნაკარნახევის აღმასრულებელი; როგორც ერთი, ისე მეორე სახის მოღვაწეობისათვის დაწვრილებით ცნობებს იძლევიან კანონები. რაც შეეხება კანონებს, თქვენ იცით,

ბ. ბ., რომ მათს პატივისცემასა და იმ წესიერებისას, რომელსაც ისინი ამყარებენ, ვერავითარ შემთხვევაში ვერ გადაუხვევ; ამაში არის, მგონი, მთელი ჩემი დამსახურებაც თქვენს წინაშე. ჩემის მხრით მე ვიცი, რომ თქვენც არას დროს არ მომთხოვთ ასეთს გადახვევას. სხვაფრივ თქვენ მე არ ამომირჩევდით.

მაგრამ გარდა დანერილი წესებისა, ყველა ჩვენთაგანი ემორჩილება საკუთარი სინიდისის შთაგონებას. აი ამაზე მინდა ვსთქვა ორიოდ სიტყვა.

ერთგულება ჩვენი ხელმწიფე იმპერატორისა და მისი უმაღლესი ტახტისადმი აუცილებელია; ჩემი სინიდისისა და ძალისა და ღონის მიხედვით ერთგული მსახური ვიქნები ამ გრძნობისა; პირდაპირ ვამბობ, მე არ მესმის არავითარი ინტერესები, გარეშე ამ წესისა, გარეშე – ასე ვსთქვათ – ჩვენი მოვალეობისა და ღირსების ბუნებრივი შეგნებისა: თავად-აზნაურთა ღირსებას კი უძრახველი სამსახური შეადგენს ტახტისადმი.

ამ შეხედულებით თქვენ შეგიძლიათ მოელოდეთ და მოითხოვდეთ ჩემგან თქვენი კანონიერი და წესიერი წინმსვლელობისათვის დაუცხრომელ მოქმედებას. გმადლობთ პატივისათვის: ის იმდენად დიდია, რომ, როგორც მოგეხსენებათ, ოცნებადაც არ მქონია არასოდეს და მერწმუნეთ დაფასებული მექნება ის, რა შემთხვევაც არ უნდა იყოს“.

ასე დამთავრდა 16 თებერვალს 1864 წ. არჩევნები სამი წლით: 1864-1866 წლამდე.¹⁰⁹

მაგრამ თავადი გრიგოლ დიმიტრის ძე* ლოგინად ჩავარდა და თვე ნახევარი იწვა. მეფის მოადგილე ნახულობდა და ამშვიდებდა, რომ ყიფიანს არ დაამტკიცებენო.¹¹⁰ და მართლაც, უმაღლესი დამტკიცება მხოლოდ აპრილის დამლევს გამოვიდა.¹¹¹

მაშინ, პირველად ზემოდ აღნიშნულ მარცხიანი მგზავრობის შემდეგ, ღირსი გავხდი მიველე მეფის მოადგილეს და მი-

* ორბელიანი.

ველე ამასთან დიდის ყურადღებით, იმ შემთხვევაზე კი ერთი გადაკრული სიტყვაც არ თქმულა.¹¹²

22.

გლახთა რეფორმა საქართველოში. –
საკითხი ჯილდოებზე

გლახთა რეფორმა გატარდა მაშინ, როდესაც მე უკვე წინამძღოლი ვიყავი.

საზეიმო გამოცხადება რეფორმისა მხოლოდ არა იმ სახით, როგორც თავად-აზნაურობას ჰქონდა წარმოდგენილი, მოხდა 8 ნოემბერს 1864 წ.

იმ დღეს დილით მე მივიღე ანას პირველი ხარისხის ორდენი გვირგვინით; ხოლო მივიღე არა როგორც განსაკუთრებულმა მოღვაწემ ამ რეფორმისა და არა როგორც წინამძღოლმა იმ თავად-აზნაურობისა, ამ საქმეშიც რომ თვისი მაღალი ღირსების სრული შეგნება გამოიჩინა, – მივიღე როგორც წევრმა საგლახო კომიტეტისა ტფილისში.

ზეიმის დაწყების წინ მომიახლოვდება გრაფი მიხეილ-ტარიელის ძე,* მაშინ ჯერ მხოლოდ გენერალ-ლეიტენანტი და გადმომცემს ბარონი ნიკოლაის დიდ წუხილს,¹¹³ რომ კომიტეტის მთელ შემადგენლობაში ყველაზე ნაკლები ჯილდო მე მომცეს. ამის მიზეზი ის ყოფილა, რომ ჩემი აზრი ცალკე მქონდა შეტანილი.

– გაისარჯეთ ჩემს მაგივრად უთხრათ ბარონს, რომ დიდი მადლობელი ვარ მოსამძიმრებისათვის. ხოლო რაც შეეხება თვით ჯილდოს, მე არ დავიშლიდი ჩემი აზრის შეტანას იმ შემთხვევაშიაც, რომ მცოდნოდა წინედ მიღებულ ჯილდოებსაც წამართმევდნენ. სიმართლე ჩემთვის ყველაზე მაღლა სდგას. ეს იმან კარგად უწყის.

რეფორმის გამოცხადება ერთსა და იმავე დღეს მოხდა გუბერნიის მაზრების დანარჩენ ქალაქებშიაც. მოელოდნენ

* ლორის-მელიქოვი.

არეულობას, მაგრამ არაფერი არეულობა არ ყოფილა და არც შეიძლებოდა ყოფილიყო.¹¹⁴

აქამდინაც ვერ გაგვიცნეს!

მაგრამ გაკვირვება და კითხვები კი გამოიწვია უნეს-რიგობამ:

– რა იყო, რომ კომიტეტის წევრები ჯილდოებით გაავსეს, ხოლო თავად-აზნაურთაგანს კი, ვინც ეს საქმე შეამზადა და შეიმუშავა, არავის არ აღირსეს?

– კომიტეტის წევრები მოხელეები არიან; საერთოდ ისინი ჯილდოსთვის მუშაობენ; ჩვენ კი ვმუშაობდით იმიტომ, რომ თვით საქმე არის წმინდა და რა თქმა უნდა არავინ ჩვენთაგანი არც ფიქრობდა რამე ჯილდოზე.

ამგვარი პასუხები ყველას ამშვიდებდა, მაგრამ ერთი წლის შემდეგ კი ამ პასუხებმა უკვე ყოველი აზრი დაჰკარგა.

გატარდა რეფორმა იმერეთშიაც (ქუთაისის გუბერნიაში).

იმისთვის, რომ იქაურმა თავად-აზნაურობამ ქართველ* თავად-აზნაურობის ბ რ წ ყ ი ნ ვ ა ლ ე მ ა გ ა ლ ი თ ს მ ი ჰ ბ ა ძ ა, იქ კომიტეტის წევრთა დაჯილდოების შემდეგ ძალიან მალე, უხვად მიაყარეს მონარქიული ჯილდოები ყველა წინამძღოლთა და სხვა პირთ, – ვის ორდენი, ვის ჩინი, ვის გვარდიაში გადაყვანა.

ახლა კი ოთხივე კუთხით შემომეხვივნენ კითხვებით: როგორ, რაო, რატომ?¹¹⁵

გადავსწყვიტე მიმემართა ბარონისთვის.**

– ერთი რამ მოხდა გაუგებარი, ბარონ, რომელიც ყველას ძალიან ანუხებს; ხომ არაფერი უკმაყოფილება დაატყდა თავს ქართველ თავად-აზნაურობას მთავრობისაგან? თუ ასეა, ნუ მოგვისპობთ საშუალებას ან თავი ვიმართლოთ, ან გავსწორდეთ, რადგან არავინ ჩვენთაგანმა არ ვიცით არც თუ მცირე მიზეზი ამისათვის.

* ე. ი. ქართლ-კახეთის.

რედ. [სიმ. ხუნდაძე]

** ბარონ ნიკოლაისთვის.

რედ. [სიმ. ხუნდაძე]

– სწორე მოგახსენოთ, მე ვერ ვხედავ ვერაფერს, თუ საიდან უნდა დაბადებულიყო მაგისტანა აზრი?

– იმ ფაქტიდან, ბარონ, რომ ქუთაისის თავად-აზნაურობა მონარქიულ ჯილდოებით აავსეს იმისათვის, რომ იმან აქაური თავად-აზნაურობის მაგალითს მიჰბაძა, ხოლო აქაურმა რომ მაგალითი მისცა, ამისათვის თავის დაქნევის ღირსიც კი არავინ არ გამხდარა.

– მერე ეგ რა მიზეზია? მთავრობას ხელს ვინ შეუკრავს თვისი შეხედულობით აძლიოს ჯილდოები!

– მაპატიეთ, ბარონ, მაგისტანა პასუხი რომ მივსცე, ვაი თუ ეს მომიგონ, რომ მთავრობას მე ვწამებ არა თანამიმდევრობას თუ არა, უსამართლობას მაინც? ერთსა და იმავე საქმისათვის გუშინ ერთნი მუშაობდნენ, დღეს მეორენი. დღევანდლებს – მთელი ყურადღება, გუშინდლებს – არავითარი! ეს შეუძლებელია! ალბად გუშინდლებმა მართლა დააშავეს რამე! რა დააშავეს, ეს გვითხარით? მე თქვენ არ გიმალავთ, რომ არ მეშვებიან ამ კითხვებით და არ ვიცი რა ვუპასუხო.

8 ნოემბერს 1866 წელს მიაყარეს ჯილდოები ტფილისის თავად-აზნაურობასაც; მხოლოდ საქმის დამთავრების ორი წლის შემდეგ კი.

ცხადია, რომ ცუდი თვალით გვიცქეროდნენ, როგორ თუ გ ა ვ ბ ე დ ე თ და ხმა ამოვიღეთ რაღაცა უფლებებზე და რაღაცა კანონებზე.¹¹⁶

IV. პირძო ცხომრებაში¹¹⁷

23.

პირველი ბიბლიოთეკა ტფილისში. – პირველი ეტლი ბირჟაზე.

– გენერალი სიპიაგინი, პირველი სამხედრო გუბერნატორი. –

იაპონური ჩვეულება მისვლა-მოსვლისა. –

ბიბლიოთეკის წესები და მისი დამფუძნებელი. –

შეერთება კერძო და სახალხო ბიბლიოთეკებისა. –

პირობები. – მათი დარღვევა და ფულის მიზღვევა.

აქ მექნება ლაპარაკი პირველ ბიბლიოთეკაზე, რომელიც ტფილისში მხოლოდ 40-იან წლების დასაწყისში დაარსდა.¹¹⁸ ეს, რასაკვირველია, ძალიან დაგვიანებულ მოვლენად ჩაითვლება, თუ გავიხსენებთ იმას, რომ ტფილისის ჩვენი ნელთ-ალრიცხვის 5 საუკუნიდან საქართველოს სამეფოს სატახტო ქალაქი იყო, ხოლო ამ საუკუნის დასაწყისიდან მთელი ამიერ-კავკასიის მართველობის უმთავრესი ქალაქია. მაგრამ ჩემს ხსოვნაში არა ნაკლებ კურიოზული ამბავი მომხდარა. ასე მაგალითად: მე მახსოვს ტფილისში პირველი ეტლის გამოსვლა ბირჟაზე, მეეტლე ცაკანას „დროშკებისა“, რომელიც 20-იან წლებში რამდენიმე წლის განმავლობაში ბირჟის ერთად ერთი მეეტლე იყო ამ ქალაქში. პირველი კალიასკა ტფილისის პირველი სამხედრო გუბერნატორისა, გენერალ-ადიუტანტ ნიკოლოზ მარტვიანის ძე სიპიაგინისა, ტფილისის ქუჩებზე გამოჩნდა სპარსეთის ომის დროს 1826-1828 წლებში, როდესაც იმ დროის მთავარ-მართველი და მთავარ-სარდალი კავკასიის კორპუსისა, გენერალი პასკევიჩი ბრძოლის ველზე იყო გამგზავრებული და სიპიაგინს ეჭირა მისი თანამდებობა ტფილისში. ამ პირველი ეტლების გამოსვლამდე მისვლა-მოსვლა ტფილისში ჩვენი უშნო ურმებით ან ბედაური ცხენებით იყო. მაგრამ ასეთი საშუალება დიდად უხერხული იყო ავდარში, როდესაც მშვენიერ სქესს უნდა დაემშვენებინა ხოლმე მთავარ-მართველების მიერ ძალიან იშვიათად გამართული საღამოები და ბალები. არა ერთხელ მინახავს მე როგორ მოიყვანდნენ ხოლმე მანდილოსნებს იმ გვარადვე ორიგინალურად, როგორც შორეულ იაპონიაში იყო შემოღებული მისი განახლების წინა ხანებში მაინც: ქოლგის ქვეშ შეფარებულს, ზორბა მუშის კისერზე დამჯდარს.

ამის შემდეგ იმედი მაქვს გაზვიადებულად არავინ დაინახავს ჩემს ნათქვამს, რომ პირველი ბიბლიოთეკა ტფილისში 40-იან წლების დასაწყისში დაარსდა. მე ვიყავი მთავარმართველობის კანცელარიის განყოფილების უფროსი და ერთხელ, სამსახურის საქმის მოხსენების შემდეგ, ევგენი ალექსანდრეს ძე გოლოვინს გამოუცხადა რამდენიმე ჩემი ტოლ-ამხანაგის

სურვილი, რომ გვინდოდა დაგვეარსებინა კერძო საამხანაგო ბიბლიოთეკა და დაგვრთავდა თუ არა ამის ნებას.

რა რომ მივიღე იმისი მხრივ, როგორც ეს მოსალოდნელი იყო, სრული თანხმობა, მეორე შემთხვევის დროს წარვუდგინე მას „ტფილისის კერძო ბიბლიოთეკის“ ნესდების პროექტი და როგორც კი მოაწერა ზედ: „ვამტკიცებ. გოლოვინი“, – აღარ დაგვიყოვნებია ჩვენი სურვილის განხორციელებას შევედგომოდით.¹¹⁹ მომყავს აქ ამ ბიბლიოთეკის დამაარსებელთა სახელები:

კალ. ას. დ ი მ. ყ ი ფ ი ა ნ ი, ავტორი ამ წერილებისა; შტაბს. კაპიტანი თავადი ზ ა ქ ა რ ი ა ე რ ი ს თ ა ვ ი, ლეკების მიერ აკუნწული 1849 წ., როდესაც ის პოლკოვნიკის ჩინით ჯარო-ბელაქნის ოლქის უფროსი იყო;¹²⁰ კალ. სეკრ. თ-დი ზ ა ქ ა რ ი ა ფ ა ლ ა ვ ა ნ დ ო ვ ი, ყმანვილი კაცი, დიდს იმედებს რომ იძლეოდა, მაგრამ მალე გარდაიცვალა ანევრიზმით; პორუჩიკი თ-დი ვ ა ხ ტ ა ნ გ ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი, ახლა გენერალ-მაიორი და ქართველი შესანიშნავი პოეტი; პად.-პორუჩიკი თ-დი ე ლ ი ზ ბ ა რ ე რ ი ს თ ა ვ ი, გარდაცვლილი 80-იან წლებში¹²¹ გენერალ-მაიორის ჩინით; პად.-პოლკოვნიკი თ-დი ზ ა ქ ა რ ი ა ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი, შემდეგში პოლკის კამანდირი და უდროვოდ გარდაცვლილი დაღესტანში; კორნეტი, უგანათლებულესი თ-დი კ ო ნ ს ტ ა ნ ტ ი ნ ე და დ ი ა ნ ი, ახლა გენერალ-მაიორი და მომრიგებელი შუამავალი ქუთაისის გუბერნიის სენაკის მაზრაში; გუბ. სეკრ. ა ლ ე ქ. ო ნ ი კ ო ვ ი, გარდაცვალებული 1885 წელს ტფილისში; პორუჩიკი თ-დი ლ ე ვ ა ნ მ ე ლ ი ქ ო ვ ი, ახლა გენერალი კავალერიისა, ამას წინად კავკასიის მეფის მოადგილის თანამდ. ასრულებდა და კავკასიის მხედრობას უფროსობდა; გუბერნ. სეკრ. თ-დი ნ ი კ ო ლ ო ზ (ტ ა ტ ო) ბ ა რ ა თ ა შ ვ ი ლ ი, ქართველი დიდებული პოეტი, ქ. ელისავეტპოლში გარდაცვლილი;¹²² კალ. სოვ. თ ე ვ დ ო რ ე კ ო ც ე ბ უ, ღვიძლი ძმა პავლე ესტატ. კოცებუსი, გარდაცვლილი დ. ს. სოვ-ის ჩინით; ნადვ. სოვ. ზ ნ ა ჩ კ ო - ი ა ვ ო რ ს კ ი, ისიც დ. ს. სოვ-ის ჩინით გარდაცვლილი; სტატს. სოვ.

ნიკოლ. ბეზაკი. ეს ის ბეზაკია, რომლის მარტივი აზრი – ნატურით გადასახადის ფულით შეცვლა – სენატორი ბარონი განის გაპრტყელებულ ფინანსიურ სისტემას ამჯობინეს; კალ. ას. კონსტანტინე ორლოვსკი, გარდაცვლილი ტაინ. სოვ-ის ჩინით და ტფილისის გუბერნატორის წოდებით; გუბ. სეკრ. თ-დი მიხეილ თუმანიშვილი, გარდაცვლილი ტაინ. სოვ-ის ჩინით; გუბ. სეკ. თ-დი დიმიტრი ჯორჯაძე, გარდაცვლილი ტაინ. სოვ-ის ჩინით; კალ. ას. დავით არზანოვი, ისიც გარდაცვლილი; პოლ. სოვეტ.¹²³ სერგეი ვასილკოვსკი, გარდაცვლილი 1845 წ. ამიერ-კავკასიის მთავარ-მართველობის კანცელარიის დირექტორის წოდებით; პორუჩიკი თ-დი დავით ქავჭავაძე, გარდაცვლილი გენერალ ლეიტენანტის ჩინით; თავ. გრიგოლ დიმიტ. ორბელიანი, გარდაცვლილი გენ.-ინფანტ. ჩინით, რამდენჯერმე ასრულებდა მეფის მოადგილის თანამდებობას და უფროსობდა კავკასიის მხედრობას და თ-დი ივანე ორბელიანი, ახლა გენერალ-მაიორი.

სამწუხარო სათქმელია, რომ ზემოდ ჩამოთვლილ პირებიდან 1885 წელს მხოლოდ ხუთია ცოცხალი.

აქვე მოგვყავს 1842 წ. გენერალ გოლოვინის მიერ დამტკიცებული წესები:¹²⁴

„ტფილისში არ არსებობს საჯარო ბიბლიოთეკა. ახალგაზრდა ქართველი თავად-აზნაურები, რომელთაც მიღებული აქვთ სასკოლო განათლება, მოკლებულნი არიან საშუალებას, თვალი ადევნონ მეცნიერული ცოდნის სხვადასხვა სფეროსა და სამამულო ლიტერატურაში არსებულ ვითარებას. ამ ხარვეზის შეძლებისდაგვარად გამოსწორების მიზნით ზოგიერთნი გამოთქვამენ მზადყოფნას, წიგნების გამოსაწერად გაიღონ 30 მანეთი ვერცხლით და საკუთარი ხარჯით დააარსონ კერძო ბიბლიოთეკა, რომელიც, შესაძლებელია, დროთა განმავლობაში საზოგადოებრივ ბიბლიოთეკად გარდაიქმნას.

საამისოდ ამიერკავკასიის მხარის მთავარმართველის, ინფანტერიის გენერლისა და კავალრის, ბატონი ევგენი ალექსანდრეს ძე გოლოვინის, ნებართვით დადგინდა შემდეგი წესები:

1. როდესაც ზემოაღნიშნულ პირობათა საფუძველზე შეიკრიბება ხუთ წევრზე მეტი, ისინი თავიანთი რიგებიდან ირჩევენ სამ წევრს და მათ მიანდობენ წიგნების შერჩევასა და გამონერას. რაოდენობა წევრებისა ერთი წლის განმავლობაში არ უნდა აღემატებოდეს ოცდაათს.¹²⁵

2. თითოეულ წევრს ნება ეძლევა, საკუთარი შენატანის ნახევრით, ე. ი. 15 მან. ვერცხლით, გამოაწერიოს მისთვის სასურველი წიგნები.

3. გარდა საწევრო შენატანისა, ნებისმიერ წევრს შეუძლია, ბიბლიოთეკას საკუთარი წიგნებიც გადასცეს, მხოლოდ იმ პირობით, რომ ეს წიგნები პატრონსვე დაუბრუნდება: ბიბლიოთეკის დახურვის, აგრეთვე, დამფუძნებელთა გამგეობიდან ან საერთოდ წევრობიდან გასვლის შემთხვევაში. პატრონის ან მისი მემკვიდრეების ნება-სურვილზე იქნება დამოკიდებული, გავრცელდება თუ არა ამგვარ წიგნებზე ქვემოთ, მეჩვიდმეტე პუნქტში, მითითებული პირობა.

4. წიგნები წევრებზე გაიცემა იმ თანამიმდევრობით, რა თანამიმდევრობითაც მოთხოვნა შემოვა.

5. წიგნის გატანაზე დანესებულია შემდეგი ვადები:

12⁰ წიგნზე.....6 დღე.

8⁰.....8 დღე.

4⁰..... 10 დღე.

ფოლიანტზე 12 დღე.

ეს ვადები დადგენილია მხატვრულ ლიტერატურაზე. სასწავლო და სამეცნიერო წიგნებზე¹²⁶ კი ვადა გადაინვეს ორი დღით.

6. ვინც წიგნს სათარგმნელად ან მეცნიერული ინტერესისთვის გაიტანს, ვადა არ დაუნესდება, მაგრამ იგი ვალდებულია, მოთხოვნისთანავე წიგნი უკან, ბიბლიოთეკაშივე, დააბრუნოს.

7. წიგნი წევრზე შეიძლება ქალაქგარეთაც გაიცეს ოღონდ არა უმეტეს ორი თვისა და, ამასთანავე, ამ წიგნზე სხვა მოთხოვნა არ უნდა იყოს შემოსული.

8. მოთხოვნილი წიგნი პირველ რიგში იმ წევრზე გაიცემა, ვისი ფულითაც იგი შექმნილია და მხოლოდ ამის შემდეგ იმოქმედებს საერთო წესი.

9. ვინც წიგნის დასაბრუნებლად დაწესებულ ვადას გადააც-ილებს, კარგავს უფლებას, თავისი საწევრო შენატანიდან საკუთარი შეხედულებისამებრ გამოიყენოს 15 მანეთი, ხოლო გამეორების შემთხვევაში საერთოდ კარგავს წევრობის უფლებას.

10. ვინც წიგნს დაკარგავს, ბიბლიოთეკით სარგებლობის უფლება ჩამოერთმევა ერთი წლით. თუ იგი მომდევნო წელს წევრობის აღდგენას მოინდომებს, გადაიხდის 35 მანეთს. ხოლო თუ სურს, საერთოდ არ დაკარგოს ბიბლიოთეკით სარგებლობის უფლება, წიგნის დაკარგვისთანავე ცალკე უნდა შემოიტანოს 10 მანეთი ვერცხლით, მაგრამ თუ წიგნის ღირებულება აღემატება 5 მანეთს – გადასახდელი თანხა გაორმაგდება.

11. გატანილი წიგნი ბიბლიოთეკას უნდა დაუბრუნდეს სუფთად და დაუზიანებლად. ვინც დაზიანებულ ან დასვრილ წიგნს დააბრუნებს, ერთი კვირის განმავლობაში ამ წიგნის გაორმაგებული ღირებულების გადახდა დაეკისრება.

12. ბიბლიოთეკას აქვს მის ხელთ არსებული წიგნების კატალოგი და სპეციალური ანბანი.

13. ბიბლიოთეკას აქვს აგრეთვე ზონარგაყრილი დავთრები: ფულადი ანგარიშსწორებისთვის; წიგნებზე განეული ხარჯებისთვის.

14. საკითხი იმ პირის პასუხისმგებლობისა, რომელსაც წევრები ბიბლიოთეკის მართვასა და თანხებს მიანდობენ, წინასწარ არ განისაზღვრება, ვინაიდან ბოროტგანზრახულობა მისი მხრიდან ფიქრადაც ვერ იქნება დაშვებული. ხოლო ამ პირის ავადმყოფობის, არყოფნის ან კიდევ მისი მხრიდან აშკარა დაუდევრობის შემთხვევაში წევრები საკუთარი რიგებიდან მის მონაცვლედ სხვა პირს ირჩევენ.¹²⁷

15. ბიბლიოთეკით სარგებლობა იმ პირებსაც შეუძლიათ, რომლებიც მის დაფუძნებაში არ მონაწილეობდნენ, მაგრამ თითოეულ გატანილ წიგნზე სალაროში შემოიტანენ 15 კაპიკს, ამასთანავე, წიგნის რიგიანად შენახვის საგარანტიოდ დატოვებენ გირაოს – 10 მანეთს ვერცხლით.¹²⁸

16. ბიბლიოთეკის დახურვის შემთხვევაში წიგნები გაიყიდება ან წევრთა საერთო თანხმობით გადაეცემა რომელიმე საზოგადოებრივი ხასიათის, ან სასწავლო დაწესებულებას, ან კიდევ ბოლო წლის წევრთა შორის განაწილდება წილისყრით.

17. თუ წიგნები გაიყიდება, შემოსული თანხა თანაბრად განაწილდება ბოლო წლის წევრთა შორის.

18. ბიბლიოთეკას დაერქმევა „ტფილისის კერძო ბიბლიოთეკა“. იგი დროებით მოთავსდება კოლეგიის ასესორ ყიფიანთან, რომელმაც თავს იდვა ბიბლიოთეკარობაც.

ამნაირად ბიბლიოთეკა ჩემს ბინაზე იყო მოთავსებული და მე ვიყავი ბიბლიოთეკის გამგეთ 1848 წლამდე.

ამ წელს მეფის მოადგილის მთავარ-მართველობამ თავის კანცელარიასთან გახსნა ბიბლიოთეკა¹²⁹ იმ მიზნით, რომ ბოლოს და ბოლოს საჯარო ბიბლიოთეკა მოეწყობა ტფილისში. ამასობაში ჩემი ბიბლიოთეკის წევრები თანდათან შემომეცალნენ და 1848 წ. მე დავრჩი ერთად ერთი მისი წარმომადგენელი. მხოლოდ ჩემი სამსახურის მუშაობა, როგორც მთავარ-მართველობის საბჭოს საქმეთა მმართველისა, იმდენად გართულდა, რომ სრულიად აღარ შემეძლო არც ყურისგდება ამ ბიბლიოთეკისა, არც მისი ჩემს ბინაზე შენახვა. ამიტომ 1848 წ. მივმართე მეფის მოადგილის კანცელარიის მაშინდელ დირექტორს, სტ. ვას. საფონოვს, შემდეგი წერილით:

„1840 წლიდან ვაწარმოებდი...“ (ჩართულია წერილი).¹³⁰

1849 წ. 10 იანვ. ასეთი პასუხი მივიღე საფონოვისაგან:¹³¹

„არაფერს ვამბობ იმ მიზეზების შესახებ, რომელთა გამო ასე დაგვიანებით ვპასუხობ თქვენ მიერ გასული წლის 29 ივნისს გამოგზავნილ წერილს. ახლა ისლა დამრჩენია, გულწრფელი მადლობა მოგახსენოთ მეფისნაცვლის კანცელარიასთან დაარსებული ბიბლიოთეკისათვის საკუთარი წიგნების შემოთავაზებისათვის. ამით თქვენ მთელი თბილისის მკითხველი პუბლიკის მადლიერებას იმსახურებთ.

ამასთანავე, თქვენ მიერ შემოთავაზებული პირობების შესახებ, მაქვს პატივი, გაცნობოთ:

1. მანამ, სანამ მეფისნაცვლის კანცელარიასთან ბიბლიოთეკა იარსებებს, ხსენებული წიგნებით სარგებლობისათვის ყოველგვარი საფასურისგან თავისუფლდებით. ზედმეტი იქნებოდა ამგვარი პირობის გაფორმება განკარგულების სახით, რადგანაც ამგვარი რამ შეუთავსებელია საჯარო ბიბლიოთეკის მიზანთან.

2. თუ ხელმძღვანელობის განკარგულებით თქვენი თანხმობის გარეშე შეიცვლება ბიბლიოთეკის დანიშნულება ან, თუ ბიბლიოთეკას თბილისიდან სხვაგან გადაიტანენ, უფლება გექნებათ თქვენ მიერ გადმოცემული წიგნები უკან დაიბრუნოთ.

3. თუ დროთა განმავლობაში თქვენ მიერ გადმოცემული წიგნების უკან წაღების სურვილი გაგიჩნდებათ, შეძლებთ მხოლოდ ორი მესამედის გატანას, დანარჩენი მესამედი კი ბიბლიოთეკას სამუდამო მფლობელობაში უნდა დარჩეს. ამასთანავე, არ შემოიძლია არ მოგახსენოთ, რომ ამ საკითხზე თქვენ მიერ ერთხელ გაცხადებული სურვილის შეცვლა, ვფიქრობ, შეუძლებელი იქნება.

4. ბიბლიოთეკარს ნაბრძანები აქვს, დროდადრო მოგანოდოთ ცნობები ბიბლიოთეკაში შემოსული ახალი წიგნების შესახებ“.

მართალი რომ ვსთქვა, ამ წერილის 3-ე პუნქტის ულოლიკობას მაშინ არ მივაქციე არავითარი ყურადღება; და არც იყო ეს საჭირო, ვინაიდან 1850 წლამდე დადებული პირობის წესი არ დარღვეულა; მაგრამ 1854 წლის დამდეგს ბიბლიოთეკის ახალმა გამგემ¹³² ჩემს თხოვნაზე, რომ სახლში გამოეგზავნათ ზოგიერთი წიგნი, მიპასუხა, რომ მეფის მოადგილის საგანგებო წერილობითი ნებართვა თუ არ არის, წიგნებს სახლში ვერავის ვერ მივცემო; ხოლო ახალი წიგნების შესახებ უკვე დიდიხანი იყო, რომ არაფერი ცნობა არ მიმელო.

რა რომ ჩავსთვალე ეს დადებული პირობის პირდაპირ დარღვევად, მე ვსთხოვე კანცელარიის ახალ დირექტორს, მ. პ. შჩერბინინს, დაებრუნებიათ ჩემი წიგნები, მაგრამ მტკიცე უარი მივიღე.¹³³ ამაზე 1857 წელს 12 თიბათვეს საჩივრით მივმართე სტატს-სეკრეტარს კრუზენშტერნს¹³⁴ და პასუხს რომ ვერ ველირსე ორი წლის განმავლობაში, საჩივარი განვაახლე 1859 წ. – და თან ვაცნობე, რომ ოღონდ ამ ჩემთვის უსიამოვნო პროცესს ბოლო მოეღოს, მე მზად ვარ ნებაყოფლობით შეთანხმებაზე და მადლობელი ვიქნები, თუ 2000 მანეთს მაინც მივიღებ წიგნებში, სულ ცოტა, ერთი ორად რომ მიღირს მეთქი.

მაშინ მე, საბოლოო გადაწყვეტილებამდე, 1000 მანეთი მომცეს, მაგრამ მალე თანვე მოაყოლეს ბრძანება, რომ ამ თანხით დავკმაყოფილებულიყავი.¹³⁵

მახსოვდა, რომ „ძალა აღმართსა ხნავსო“ და მეც ამით დავეკმაყოფილდი, ხოლო ჩემს გულში კი ვსთქვი: მაღლობა თქვენ, რომ ეს მაინც მომეცით მეთქი.

23.

ერთი დიდი მამული კავკასიაში. – მცხოვრებთა საჩივრები. –
ჩემი წარმომადგენლობა მაღალ-ხარისხიან
პატრონის წინაშე.

ორი გუბერნიის ოთხი მაზრის საზღვრები ერთს დიდს დასახლებულ მამულს ესაზღვრებიან.* ამ მამულის პატრონი, პიროვნება დიდად მაღალ-ხარისხიანი და ამ მამულის მცხოვრებლებთან ძალიან ღმობიერი, დიდიხნით შორს იყო გამგზავრებული.

ვთავებ რა ამბავს ამით, შემდეგ მომყავს ნამდვილი სიტყვები ჩემი მიმართვისა მასთან 1883 წ. მარტის ნახევარში:

„თქვენო უ-ბავ!

კაცს თუ არ გინდა სინიდისის მხილება მოგელოდეს, უარს ვერ ეტყვი შენს გაჭირვებულ მოყვასს, როგორც შეგიძლია ისე დაეხმარო და ეს მამართლებს მე თქვენს წინაშე, რომ თქვენს გლახებს ვეხმარები, ჩემს ახლობელ მეზობლებსა, რათა იმათი ვედრება თქვენს ყურადღებამდე მოვიყვანო.

თქვენს უ-ბას არა ერთხელ უნებებია, თქვენს მამულში მცხოვრებთადმი¹³⁷ შემწყნარე ყურადღებით გამოგეცხადებიათ, რომ იმათ თავის გაჭირვებაში პირდაპირ თქვენი უ-ბისთვის მოემართათ. მაგრამ სანამ აქ ბრძანდებოდით, იმათ არ ჰქონიათ საკმარისი მიზეზი, რომ ეს თქვენთვის გაეხედნათ; ამ უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში კი მდგომარეობა მათი იმდენად შეიცვალა, რომ ახლა იძულებულად სთვლიან თავს თქვენს მოწყალეებას მიჰმართონ.

* შენიშვნას ვაკეთებ განსაკუთრებით რედაქციისათვის:¹³⁶ ლაპარაკი არის აქ კავკასიაში დიდი მთავრის მიხეილ ნიკოლოზის ძის მამულზე.

ასეთ ყოფაში მომმართეს მე, მეზობლად მყოფს და აი მეც ვბედავ წარმოვსდგე თქვენს წინაშე მათი თარჯიმანის სახით, – ხოლო თუ ნება მექნება ამის თქმისა, – შუამდგომლის სახითაც.

ამასთან გაახლებთ ცალკე მოხსენებას, რომელიც შეიცავს საქმის ნამდვილ ფაქტიურ გადმოცემას და მთხოვნელები მართლვარე სასოებით მოელიან გადანყვეტილებას, მოხსენების მოსმენის შემდეგ რომ წარმოსთქვამს თქვენი უ-ბის გული“.

„ცალკე მოხსენება“.

ბახმანლიარის მამულის (სახელი გამოგონილია)¹³⁸ ყველა სოფლის მცხოვრებლებმა, 225 კაცმა თავის სასოფლო მართველობაში დაადგინა ამა წლის თებერვლის ნახევარში საზოგადო განაჩენი, რომელშიც თავის გაჭირვებას ამ სიტყვებით გამოსთქვამდნენ:

„განვიხილეთ რა და მოვილაპარაკეთ იმ უზომო გადასახადებზე, რომლებიც ბახმანლიარის* საზოგადოებას დაადო მოურავმა სახნავ მიწებზე, სათივეებზე, სახლების და ბოსლების გათბობაზე, საძოვარზე, წართმევა ჩვენი ნებით გამოტანილი ხეებისა, ძალის დატანება მამულის მმართველობას გამოუტანოთ თივა და შეუა (მკითხველი ჰხედავს, რომ აქტის მართლ-წერასაც ვიცავ), გალახვა მცხოვრებლებისა, ჭრილობის და სხვაგვარი შეურაცხყოფის მიყენება და ყველა ამასთან ნაძალადევი მოთხოვნა მართველობის მოსამსახურეების მიერ ქრთამისა ფულითა და ნაყოფით და სხვა უსამართლო მოპყრობა, ერთხმად დავადგინეთ: შუამდგომლობა, რომ ჩვენს საზოგადოებას ააცილონ თავიდან ყველა ეს შემავინრობელი გადასახადები, მიენდოს ჩვენი სოფლის კაცებს – შუქიურას და სალახას იმ უფლებით, რომ მეორე პირს გადასცენ, ვისაც მოისურვებენ“.¹³⁹

ხსენებული არჩეული პირები განაჩენით ხელში მივიდნენ ამ მოხსენების შემდგენელთან,¹⁴⁰ ხოლო ამან ამ საქმის გა-

* ე. ი. ბორჯომის.

მოაშკარავება არა სასურველად დაინახა და ამასთან შესაძლოთ სცნო შინაურულად გამოსწორებულყო, რისთვისაც ბახმანლიარის მოურავს შემდეგი წერილით მიჰმართა:¹⁴¹

„საბაბი გვეძლევა კეთილი საქმე გაკეთდეს. რომ ამის გამო სიამოვნება მიმელო თქვენი გაცნობისა, მე გამოვეშურებოდი თქვენთან მოსალაპარაკებლად და გამაფრთხილებელი მეზობლის ხელის გამოსანვდენად; მაგრამ მოხუცებულობის უძღურება არ მიშვებს ოთახიდან და მხოლოდ ამ მიზეზით ვაძლევ ჩემს თავს ნებას ვიფიქრო, რომ თქვენ კეთილინებებთ და დამავალებთ შემოუხვიოთ ჩემთან მამულში¹⁴² (თითქმის ყოველ დღე წინ გამივლის ხოლმე ეტლით), სადაც თქვენ იქნებით მიღებული, როგორც სასურველი და ძვირფასი სტუმარი, გულწრფელი სიამოვნებით. დროის ამორჩევა სრულებით თქვენზეა დამოკიდებული; ჩემის მხრით ვიტყვი მხოლოდ იმას, რომ ვინაიდგან გასაკეთებელია კეთილი საქმე, რაც მალე იქნება ეს, მით უმჯობესია“.

მოურავმა ამაზე მიპასუხა შემდეგი წერილით:

„არამც თუ კეთილი საქმის გასაკეთებლად, როგორცა ბრძანებთ თქვენს წერილში, ისედაც მოხარული ვიქნები თქვენი გაცნობისა, რასაც მე საერთოდ დიდი ხანია ვაპირებდი. ველოდი მხოლოდ დროს, როდესაც სახლში იქნებოდით. ჩვენი ერთმანეთის ნახვის საგანი რომ ის განზრახული კეთილი საქმე არ იყოს, ამ დღეებში გამოვეშურებოდი თქვენთან, გამომეთქვა თქვენი ღრმა პატივისცემა თქვენდამი, მაგრამ მე მიმხვდარი ვარ იმ საქმეს აქ გავრცელებული ხმების მიხედვით და ჩემდა სამწუხაროთ არ შემეძლია თქვენთან მოსვლა. მე სიტყვიერად მაინც აგისხნით თუ რატომ. ამიტომ მორჩილებით გთხოვთ უარი არ მითხრათ და მოსალაპარაკებლად ამოვირჩიოთ ერთ-ერთი, თქვენ მამულთან უახლოესი პუნქტი, მაგალ... სადგური, ან... დაბა.¹⁴³ პირველი უკეთესია და უფრო ახლო თქვენთან. რადგან დღეს ფრიად სასწრაფო საქმის გამო ქალაქს მივდივარ, საიდანაც სამშაბათს, 1 მარტს დავბრუნდები, ამიტომ ვფიქრობ, რომ ეს კარგი შემთხვევა

იქნება სადგურზე შევხვდეთ ერთმანეთს. ჩვენ შეგვიძლია ზოგი იქ მოვილაპარაკოთ, ზოგიც გზაში ეტლში და ამასთან, თუ ნებას მომცემთ, შემიძლია მიგაცილოთ თქვენ სახლამდე კალიასკით. აჩქარება მაინც და მაინც თვით საქმისათვის არ არის საჭირო, ვინაიდან მცხოვრებლებს იანვარში გამოეცხადათ, რომ იმათ მიერ მოთიბულ და ზამთარში გამოტანილ ათასს ბულულ თივაში, მამული შეისყიდის იმათგან მხოლოდ ასს ბულულამდე, დანარჩენი 900 იმათ შ ე უ ძ ლ ი ა თ მიჰყიდონ თ ა ვ ი ს უ ფ ა ლ ფ ა ს ე ბ შ ი ვისაც უნდათ და რ ა ფ ა ს შ ი ა ც უნდათ, მაგრამ ამ საქმის დაჩქარება სხვა მხრივ უფრო არის საჭირო: ამ ათიოდე დღის წინადა ქალაქიდან რომ დავბრუნდი, გაცემული დავრჩი იმ ამბავის გაგებით, რომ ოთხი კაცი: შუქიური, ხუდალი, ჯანთემირი და სალახი,¹⁴⁴ დადიან თურმე მამულში სოფლიდან-სოფლად ღამ-ღამობით და მცხოვრებლებს ძალით რაღაცა თხოვნაზე ხელს აწერინებენ მოურავის შესახებ; ვინც თანახმა არ არის „წითელი მამლით“ ემუქრებიან, დაახლოვებით ასე: „ერთი ბოთლი, ან ცოტა მეტი ნავთი არც ისე ძვირად გვიღირსო“. – ამ ოთხმა კაცმა ახლა ადვოკატის სახელწოდება მიიღო. შემდეგ საქმე თანდათან გამოირკვა, უკეთ რომ ვსთქვათ, გამოაშკარავდა, და ახლა უკვე საიდუმლოების ფარგლებიდან გამოვიდა. მთელ ბახმანლიარში,* ყველგან, ბაზარშიაც ლაპარაკობენ, რომ იმათ თხოვნა შეაქვთ მოურავზე და რომ ამ საქმეს ატრიალებთ და ხელმძღვანელობთ თქვენ, დიმიტრი ივანეს ძევ, ამას უკავშირებენ და ამბობენ კიდევ ბევრ რამეს, რასაც მე პირის-პირ გადმოგცემთ და რაც არა მჯერა, გეფიცებით პატიოსნებას და ღმერთს, რომ ვიცი, როგორ იცინან გლეხებმა გადაკეთება და თავისებური კომენტარები სხვადასხვა ხმებისა. აი რატომ ვამბობ მე ამ წერილის დასაწყისში, რომ მიმხვდარი ვარ კეთილი საქმის საგანს და აი, ამიტომ მოითხოვს საქმე გამორკვევას და ჩვენი ერთმანეთის ნახვა უთუოდ

* ე. ი. ბორჯომში.

არის საჭირო. ყოველი ღონისძიებით უნდა მოისპოს თქვენი პატიოსანი სახელის წ ა რ ა - მ ა რ ა ხ ს ე ნ ე ბ ა. მე, რამდენადაც შემიძლია, ახლაც ასე ვიქცევი, დანარჩენზე კი, რაც საქმეს შეეხება, ისე მიჭირავს თავი, ვითომც არა ვიცი რა. ხოლო როცა გავიგებ, რომ ამ საქმეში თქვენს სახელს ურევენ, არავის არ ვზოგავ. ზოგიერთმა კიდევაც იგემა შედეგები ჩემი წყრომისა. თუ თქვენ საწინააღმდეგო არა გაქვთ რა, რომ ჩვენ ერთმანეთი ვნახოთ სადგურზე 1 მარტს,¹⁴⁵ ნუ ინებებთ უპასუხოდ დამტოვოთ ასეთი მისამართით... თუმცა მომინდვია საქმე თქვენი სიბრძნისათვის და იმედი მაქვს, რომ თქვენ ყოველ შემთხვევაში არ ინებებთ უწერილოდ დამტოვოთ“.

ეს ნათხოვნი წერილი გაიგზავნა ქალაქში შემდეგი შინაარსით:

„გუშინ ჩემდა სასიამოვნოდ მივიღე თქვენი წერილი. სახელდობრ რა კეთილი საქმის შესახებ მინდოდა თქვენთან მოლაპარაკება, ამას სწორეთ მიმხვდარხართ. მამულის გამგე-სა და მცხოვრებთა შორის რაღაცა გაუგებრობა ჩათესილა, ხოლო ცნობილია, რომ ცხოვრებაში უდიდესი ნაწილი უსიამოვნებისა სწორედ გაუგებრობისაგან წარმოიშვის. ეს ნიშნავდა ჩემს როლსაც ამ საქმეში: მოვდივარ მშვიდობისა და მორიგების სიტყვით იქ, სადაც ძალიან ადვილია, როგორც მე მგონია, სამუდამოდ მოელოს ბოლო უსიამოვნების ყოველ საბაბს. მოხერხდება ეს, სრულიად კმაყოფილი ვიქნები, არ მოხერხდება – შევსწუხდები. ჩემთან მოსულ, ჩემს ძველის-ძველ მეზობლებს მხოლოდ ამას თუ დავპირდებოდი. – ჰო და აი მეც მოგმართეთ თქვენ და შემოგთავაზეთ ჩემი საქმეში გარევა; მაგრამ თქვენ თურმე არ შეგიძლიათ ჩემთან მოსვლა იმ მიზეზით, რომელიც მე არ ვიცი, მაგრამ რომელსაც მაინც სავსებით ვაფასებ. ხოლო მე კი ოთახიდან გამოსვლა არ შემიძლია მუხლებში ქარების გამო. მაშასადამე შეთანხმების საქმეს, სამწუხაროდ ჩემდა, მე ვერ დავეხმარები.

რაც შეეხება ამ საქმისათვის ამორჩეულ პირთ, მე უნდა შეგატყობინოთ თქვენი მოსაზრებისათვის, რომ ჯერ ერთი –

რიცხვი და სახელები მათი სწორე არ გადმოუციათ და მეორე, ისინი მართლაც საიდუმლოდ კი არა, სრულებით ამკარად იქცევიან, როგორც საზოგადოებისაგან საქმე-მინდობილნი და იმდენად ფორმალურად, რომ არავითარ დაბრკოლებას არ შეხვდებიან ვეჭილი დაიჭირონ შუამავლობისათვის. ვიმეორებ, რომ ჩემი ჩარევა საქმეში მხოლოდ შემარიგებელი იქნებოდა, მეტადრე იქ, სადაც მამულით მფლობელობა შედგენილობითაც და ხასიათითაც ისეთს ფრიად სასურველს დამოკიდებულებას უნდა უჩვენებდეს, რომელიც სამაგალითო იქნებოდა ყველასათვის. ნება მიბოძეთ ვიქონიო იმედი...”¹⁴⁶

სანამ ეს მიწერ-მონერა იყო გამართული, ოთხს გარე-სოფლების საზოგადოებაში, რომელთა მცხოვრებლები ბახმანლიარის მამულში თიბვას ეწეოდნენ, კიდევ გამოეტანათ სხვადასხვა დროს ასეთი შინაარსის საზოგადო განაჩენები:

„ჩვენ ვთიბავდით ბახმანლიარის მამულში თივას, რომლის გამოტანის დროს მოვალენი ვიყავით ბულულებზე გადაჭრილი ბაჟი გადაგვეხადა; მაგრამ მოურავმა თვითონ დაიწყო შესყიდვა ჩვენი ბულულებისა თავის ფასებში; და თუ ჩვენ ამ ფასებში არ ვეთანხმებით, მაშინ ბაჟად გვახდევინებს შვიდ თუმანს ბულულში, რომელიც თითონა ღირს ხუთი თუმანი. ამიტომ ვანდობთ შუქიურს და სალახს ჩვენი სახელითაც შეიტანოს საჩივარი, სადაც ეკუთვნის, ადრეთვე რწმუნება გადასცეთ ვისაც გენებოთ“.

ეს ოთხი განაჩენი ხელმონერილია 184 კაცისაგან; რიცხვი ყველა მომჩივარისა ბახმანლიარელებით ერთად 409 კაცი.

ყველა ეს 5 განცხადება თავს იყრის როგორც დანერილის მიხედვით, ისე არჩეული პირების სიტყვიერი გადმოცემით, შემდეგ უმარტივეს დასკვნაში:

„1. ბახმანლიარელი მთხოვნელნი სრულიად კმაყოფილნი იქნებიან, თუ მათი მიწად სარგებლობის გადასახადი, ფულითა თუ ნატურით საჭირო პირობებში ზედმიწევნით იქნება აღნიშნული და ხელშეკრულების ვადის გასვლამდე აღარ შეიცვ-

ლება. ამასთანავე, მფლობელობის ინტერესების კანონიერი დაცვისათვის საჭირო იყო, რომ ხელშეკრულობა ყოფილიყო ეგრედ წოდებული საიჯარო პირობებით და არა გლახებისაგან ცალმხრივი პირობების ჩამორთმევით, ვინაიდან ამ უკანასკნელთ ხელშეკრულობის ხასიათი ვერ მიეცემათ.

2. მცხოვრებლები, როგორც ბახ-ის, ისე სხვა სოფლების საზოგადოებათა, იმდენად იმ ბაჟის რაოდენობას არა სჩივიან, თივაში რომ ახდევინებენ, როგორც იმ რაოდენობის ისე ანაზღეულად შეცვლასა. სამართლიანი იქნებოდა და მაშასადამე ორივე მხარის დამაკმაყოფილებელი, თუ დაწესდებოდა, რომ რაოდენობა ბაჟისა ზედმიწევნით ყოფილიყო აღნიშნული იმ აქტში, რომელიც თივის მოთიბვის ნებას აძლევდა.

ეს ორი ზომა, მოურავზე მაღლა მდგომი ხელისუფლებით ნაკარნახევი, ადვილად ააცილებდა მომავალში იმას, რომ არავითარი ასეთი გაუგებრობა აღარ დამყარებულიყო.

სანაძლეოს დადება არ მიყვარს, მაგრამ ახლა კი მზად ვარ მკითხველს დავენიძლო, რომ ის ვერ მიხვდება, რა გადანწყვეტილება გამოვიდა ამაზე?

ხუთი სოფლის საზოგადოებათა საჩივარი უყურადღებოთ დასტოვეს მ ხ ო ლ ო დ ი მ ი ტ ო მ, რომ ეს საჩივარი ჩ ე მ ი ს მ ე შ ვ ე ო ბ ი თ იყო წარდგენილი!!

ნანილი მეორე

1832 წლის ყაზარმობა

ახლა მე თითქმის 70 წლისა ვარ, ჯანმრთელი, სულით და გულით დამშვიდებული და საზოგადო მოღვაწეობიდან თავისუფალი. ზედმეტი არ იქნება გავიხსენო თანდათანობით ყველა ის შემთხვევანი, რაც მოხდა ჩემის მონაწილეობით, ან ჩემს თვალ წინ.

ამასთან ერთად ისიც მინდა გავიხსენო:

1. რომ ოცდაათი წელიწადია მას აქეთ, რაც თავადმა ვასილ იოსების ძე ბებუთოვმა, ბაშკადი-კლარის და ქიურუქ-დარის გამირმა წერილი მომწერა, რომლითაც მე პ ი რ ვ ე ლ ქართველს და ჩემის სახით მთელ ქართველობას დეისტვიტელნი სტატსკი სოვეტნიკობის მიღებას გვილოცავდა.¹⁴⁷

2. რომ თვრამეტი წელიწადია მას აქეთ, რაც დიდმა მთავარმა მიხეილ ნიკოლოზის ძემ, როდესაც დამინახა გულზე ჩამოკიდებული ვლადიმერის ჯვარი მეორე ხარისხისა, მითხრა – ეს ჯვარი იმის ნიშანია, რომ ხელმწიფე იმპერატორი თქვენზე განრისხებული აღარ არისო, და

3. რომ თითქმის 50 წელიწადია მას აქეთ, რაც მე ტფილისის გიმნაზიაში მასწავლებლად ვიყავი, ოთხი წლის შემდეგ ამისა გუბერნიის კანცელარიის მწარმოებლად ქალაქ ვოლოგდაში, მერე მდივნად გენერალ ესპესოსთან, რომელიც იყო მმართველი გურია-სამეგრელოსი, იმერეთისა, აფხაზეთისა და სვანეთისა; კავკასიის ნამესტნიკის კანცელარიის საქმეთა მმართველად; კავკასიის ნამესტნიკის საბჭოს წევრად; გლეხოზის ბატონ-ყმობიდან განთავისუფლების შესახებ შემდგარ

თავად-აზნაურთა კომიტეტის ერთ-ერთ ხელმძღვანელად; ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა მარშლად და ახლავითვლები ერთი უმაღლესი კომისიის წევრად სანკტ პეტერ-ბურგში.¹⁴⁸

ამის შემდეგ ეჭვი არ არის, ჩემი შვილები და ჩემი წერილის ნამკითხველნი იმედით უნდა იყვნენ, რომ ამ ჩემს მოგონებაში ისინი წაიკითხავენ ცოტად თუ ბევრად საინტერესო ფაქტებს, რამოდენადმე რომ გააშუქებენ იმ ამბებს, ჩემს დროს რომ მოხდა ჩვენს ქვეყანაში.

რომ არ გაუცრუვდეთ იმათ იმედი და რამდენადაც შესაძლებელია ნამდვილი გამოვიდეს ჩემი მოთხრობილი, ისე, რომ საჭირო არ გახდეს ჩემთვის გადათვალთვალება აუარე-ბელი ძველი ქალაქებისა და არც იმათთვის მეთოდური შემოწმება ჩემი ნაამბობისა, – მე სასტიკად მივყვები იმ წესს, რომლისათვისაც ჩემს სიცოცხლეში არ მიღალატნია: ყოველი ფაქტი აღვნიშნო ისე, როგორადაც მე ის მიმაჩნდა, სრულებით შეუცვლელად, არც მეტად, არც ნაკლებად.

რაც შეეხება წეს-რიგს, რომელიც უნდა იყოს აღებული ამ ფაქტების მოთხრობის დროს, მე მგონია, ყოველი საქმე სავსებით შეინარჩუნებს თავის საკუთარ კოლორიტს და თავის მნიშვნელობას სხვებთან ერთად, თუ ჩვენ იმათ მოვიყვანთ ეპიზოდური წესით.

I

რა რომ ვიღებთ ჩვენ ამ მიმართულებას, ჩემს მეხსიერებაში თავის-თავად სდგება პირველ რიგში საქმე, რომელსაც ოფიციალურად ეწოდა:

– ერთი დიდი სახელმწიფო საქმე.

1866 წლის დამდეგს პარიჟში მომიხდა მე ყოფნა.¹⁴⁹ სხვა ადგილას მექნება ნათქვამი, თუ რა საქმისათვის ვიყავი იქ. ხოლო აქ საქმე ის არის, რომ კნეინა ეკატერინე დადიანისას გამაცნეს ერთი პიროვნება, გვარად ჟერამეკ, რომელსაც

კენინა გენერალს უწოდებდა, რადგან, როგორც შემდეგში შევიტყვე, ჟერამეკი იყო *économome général** ლუვრის დიდი სასტუმროსი, სადაც ჩვენა ვსცხოვრობდით. ძალიან ზრდილობანი და თავაზიანი კაცი იყო.

მეტადრე მე დიდ ყურადღებას მაქცევდა და პარიჟის სიყვარულითო, როგორც თითონ ამბობდა, მაცნობდა ამ დიდ ქალაქს და მის შესანიშნავ ადგილებს და იქამდინაც კი მივიდა მისი თავაზიანობა, რომ ერთხელ თავის ოჯახშიც მიმიპატიუა საუზმეზე, სადაც, მისი სიტყვით, მე შევხვდებოდი ძალიან საინტერესო პიროვნებას.

ქალბატონი ჟერამეკის სასტუმრო ოთახში მე გავიცანი მართლაც ფრიად ორიგინალური ცოლ-ქმარი – მისტრისს და მისტერ უორკვორტ, ანუ ურკხარტი.**

იმავე წამს ორივე ცოლ-ქმარმა გამომიცხადა, რომ რუსების დაუძინებელი მტრები ვართ და ასეთები ვიქნებით მთელი ჩვენი სიცოცხლეო.

მდგომარეობა მოითხოვდა, რომ ჩუმათ ვყოფილიყავ, სწორედ ისე, როგორც ჩემი მასპინძლებიც.

ამ ურკხარტის აზრით, რაც კი რამ სიბოროტე ხდებოდა დედამინის ზურგზე, მიზეზი ერთად ერთი რუსეთი იყო.

ოღონდ ყველგან მოიპოვოს მფლობელობა რუსეთმა და ამისთვის არაფერს არ დაზოგავს არც ფულითა და არც ზნეობითო; და სხვა სახელმწიფოთა მონინავე პირთ იმდენად აკლიათ შორსგამჭვრეტელობა, ან ისე ეხარბებათ რუსული ოქრო, რომ ეყიდვინებიან რუსეთსო. დარწმუნებით ვიცი, რომ რუსეთის ოქრო ჯამაგირად ეძლეოდათ ისეთ რეგვენებს, როგორიც არის „თქვენი“ (ე. ი. ფრანგების) შედბრენიო (შატობრიან) ან როგორც „ჩვენი“ (ინგლისელების) პემსნ,

* *économome général* (ფრანგ.) – მთავარი ეკონომი/მწე.

** ეს ის ურკხარტია, რომელიც ოცდაათიან წლებში კონსტანტინოპოლში იყო ინგლისის საელჩოში და რომელიც იქაურ დიპლომატიურ წრეში რუსების ერთ უმთავრეს მოძულედ ითვლებოდა.¹⁵⁰

თ. ჯ.

დ. ყ.

ან გლესნ (პალმერსტონ, გლადსტონ) და ყველა, ვინც მთავრობას შეიცავს, ან მთავრობასთან ახლო სდგასო.

რუსეთით, ამბობდა ინგლისელი, თავისდღეში არ შეჩერდება არც უსამართლობის, არც შეუბრალებლობის წინაშე, ოღონდ კი თავის გულის-ნადილი განიხორციელოსო.

მე სულ ასე ვლაპარაკობ და ვილაპარაკებო რუსეთზე ყველგან და ყველას წინაშე, სწორედ ისე, როგორც არა ერთხელ მილაპარაკნია კეთილ სულთანთანაც, რომელიც ძალიან კარგი თვალთ მიყურებსო.

ამასთან, როგორც მაგალითი, მოიყვანა რუსეთის მთავრობის მიერ ჩადენილი საშინელი სისასტიკე, თითონ კავკასიის მთავრობამ რომ გამოიწვია კეთილშობილ რაინდ მცხოვრებლებში თავის საწინააღმდეგო შეთქმულება და არ იქნება სულ 25-30 წელიწადი მას აქეთ, რაც ყველა შეთქმულთ, თითქმის 40 კაცს, საუკეთესო გვარიშვილებს კავკასიაში, თავები გააგდებინაო.

საათ-ნახევარი მანაც ბაასობდნენ ამ კილოზე ეს „საინტერესო ინგლისელი ცოლ-ქმარი“ და ბოლოს გამოეთხოვნენ ჩემს მასპინძელს.

– როგორ მოგწონთ თქვენ ეს? – მკითხა ჟერამეკმა თვისი ცოლისა და მისი დისწულის, მგონია პოლიტიკხნიკუმის მონაფის – დასწრებით.

– ვფიქრობ, ან გულს აკლია, რომ რუსეთისგან ჯილდო ვერ მიუღია, ან მართლა გულმოსულია რუსეთზე, – ვუპასუხე ჟერამეკს. – მაგრამ თუ მაგისმა გულმოსულობამ მეტად გაიდგა ფესვები, საქმეს შემოვლა დასჭირდება, თორემ კბენას დაინყებს.

– თქვენა გგონიათ, რომ უსაფუძვლოდ ლაპარაკობს?

– რასაკვირველია უსაფუძვლოდ და ამას მოგახსენებ ერთი იმ ორმოც ქართველთაგანი, იმის სიტყვით რომ თავები გააგდებინეს.

– რას ბრძანებთ? ნუ თუ მართლა?

სხვა არა იყოს-რა, ჩემგან ზრდილობა მოითხოვდა მემამბ-

ნა, რა საქმე იყო საქართველოში 1832 წელს და ვუამბე კიდევ ჟერამეკს შემოკლებით, რამდენადაც საჭირო იყო, რომ გამემტყუნებინა იმ ინგლისელის უსაფუძვლო ბრალდება რუსეთზე.

II

საქმე კი აი როგორ იყო.

ცნობილია, რომ ჩვენი უბედურობა და მწარე განცდები მეტ ნაწილად გაუგებრობისა და შეცდომის არ-შეგნების მიზეზით არის ხოლმე გამოწვეული.

შეცდომა და გაუგებრობა კი იმდენი მოგროვდა საქართველოში და ისე გამწვავდა, რომ ამისი შველა უბრალო განმარტებებით უკვე ძალიან ძნელი იყო.

რომ უფრო სწორი და ნათელი იყოს ეს საქმე, საჭიროა ოდნავ მაინც გადაევიწყოთ თვალი ზოგიერთ მომხდარ ფაქტებს უკანასკნელი ასი წლის განმავლობაში, მოყოლილი სწორედ 1783 წლიდან.

შეუწყვეტელმა ბრძოლამ ყიზილბაშებთან და მეტადრე სპარსელებთან, რომელთაც საქართველოს დაპყრობა სწადად-ათ, ამასთან მუდმივმა ომიანობამ სხვა მტრებთან, იმ ზომამდე მიიყვანა ეს განცალკევებული, უძველესი მართლ-მადიდებელი სამეფო, ისე დაასუსტა ის, რომ დიდად ღირსეულმა მეფე ერეკლე მეორემ გადასწყვიტა თავისი ხალხის ბედი ერთმონაწილად და ძლიერი რუსეთის მონარქიისათვის ჩაებარებინა.

1783 წელს, ივნისის თვეში მოაწერეს ხელი ტრაქტატს, რომლის ძალითაც მეფე ერეკლე იმპერატრიცა ეკატერინე მეორის ქვეშევრდომი გახდა და იმპერატრიცამ ვალად დაიდო საქართველოს დაცვა მტრებისაგან, რომელიც თავის მტრებად უნდა ჩაეთვალა.

მაგრამ სპარსეთის შაჰმა ეს ამბავი თავის შეურაცხყოფად მიიღო და მოსთხოვა მეფე ერეკლეს სრული მორჩილება, თუ არა და ძალით დამორჩილებას დაემუქრა.

შეატყობინეს ეს პეტერბურგში და პასუხად მოუვიდათ: გამაგრდით, მოგეშველებითო.

დიპლომატიურ დამოკიდებულებას სულ უფრო და უფრო დიდი მუქარა მოჰქონდა სამხრეთიდან, ხოლო უფრო და უფრო დასამშვიდებელი დაპირებანი ჩრდილოეთიდან და ამ რიგად საქმემ თორმეტი წელიწადი გასტანა,

1795 წელში სპარსეთის შაჰი ალა-მაჰომედ-ხანი მართლაც შემოესია საქართველოს, უამრავი ჯარით მოადგა ტფილისს, 6-7 დღის განმავლობაში ებრძოლა მის დამცველ ერთ მუჭა გმირთ, დაამარცხა, შეიჭრა ქალაქში და აღმოსავლეთის ომის ჩვეულების მიხედვით, მტვრად აქცია ყველაფერი.

III

აქა-იქ გაჩნდა ლაპარაკი: „რუსეთის ხელმწიფის ქვეშევრდომობა რალას ნიშნავსო?“

ალა-მაჰომედ-ხანმა იკმარა ტფილისის აოხრება და გაბრუნდა თავის ქვეყნისაკენ.

ორიოდე წლის შემდეგ რუსეთმაც მიუსია თავისი ჯარი ამ ხანს გრაფი ზუბოვის უფროსობით, ხოლო, რასაკვირველია, გზის შემოკლებისათვის, რუსეთის ჯარი კასპიის ზღვის დასავლეთ ნაპირისკენ მიემართებოდა.

ამ გზით, როგორი მოკლევც უნდა ყოფილიყო ის, არ შეიძლებოდა რუსის ჯარს არ შეხვედროდა ოთხი განცალკევებული და დამოუკიდებელი სამფლობელო, რომელთაც გზას ვერ აუხვევდა სპარსეთისაკენ მიმავალი; აუცილებლად საჭირო იყო დაპყრობა, ან დამორჩილება ამ სახანოებისა: დარუბანდისა, ყუბისა, ბაქოსი და ტალიშინისა.

ეს იყო მეორე გაუგებრობა: „საქართველოში სპარსეთის შაჰმა გაანადგურა ჩვენი დედა-ქალაქი და შეჰბილნა ჩვენი ტაძრები, ხოლო ჩვენი მფარველი მთავრობა კი კასპიის კიდეებზე სხვა ხანებსა სჯის, რომელთაც არავითარი ბრალი არა აქვთო“.

IV

იმპერატორი პავლე პეტრეს ძის გამეფების დროს გრაფი ზუბოვის ჯარი უკან გაიწვიეს და ამნაირად მისმა გალაშქრებამ არავითარი ნაყოფი არ მოიტანა.

ამავე დროს გარდაიცვალა მეფე ერეკლეც, მოუძღურებული დიდის ჯავრითა და მოხუცებულობით და მის ტახტზე 1783 წლის ტრაქტატის თანახმად მისი ძე გიორგი ავიდა.

რუსეთის მინისტრ-რეზიდენტად მაშინ ტფილისში იმყოფებოდა სტატსკი სოვეტნიკი კოვალენსკი. მისი აქ გამწესების მიზანი, რასაკვირველია, ისიც იყო, რომ მთავრობის წარმომადგენელს მშვიდობა შეეტანა ხალხში, რომელიც შემოთებული იყო ზემომოხსენებული გაუგებრობით.

მაგრამ კოვალენსკი ამ დანიშნულებისათვის ვერ გამოდგა.

თვით კოვალენსკი იყო განხორციელება მესამესი და თითქმის ყველაზე უფრო მწვავე გაუგებრობისა.

1798 და 1799 წლებში საქართველოში შემოვიდნენ პოლკები გულიაკოვისა და ლაზარევისა.

ხალხი დიდს სიხარულში და აღტაცებაში იყო: აი მოგვივიდნენ ჩვენი დამცველებიო.

მეფე, მთელი თავისი ამალით, ათი ვერსის სიშორეზე მიეგება პირველ პოლკს და როგორც სანატრელი სტუმრები, ისე დააბინავა თავის სატახტო ქალაქში.

ამ სამხიარულო ამბავს თან მოსდევდა მეორე დიდი ეპოქა საქართველოს ცხოვრებაში.

დადგა მე-1800 წელიწადი.

V

სწეული მეფე გიორგი ფრიად დიდ გაჭირვებაში ჩააგდო ქვეყნის გართულებულმა არეულ-დარეულმა მდგომარეობამ. ერთი მხრით ასტყდა დიდი უთანხმოება მფარველი მთავრო-

ბის წარმომადგენელთ – გენერალ ლაზარევისა და მინისტრ კოვალენსკის შორის; საქართველოზე ზრუნვისათვის იმათ აღარ სცალოდათ, ეს საქმე შორს გადასდეს.

მეორე მხრით ასტყდა ამაზე უფრო საშიში უთანხმოება სამეფო ოჯახის წევრთა შორის.

სამეფო ოჯახის წევრნი კი ბლომად იყვნენ; მარტო ბატონიშვილი იყო ცხრა თუ ათის, ერეკლეს ძენი და ამდენივე ჰყავდა გიორგისაც.

ამათში ყველას რომ სწადა უფლების ხელში ჩაგდება, მოსალოდნელი იყო ქვეყნის სრულიად უპატრონოდ დარჩენა და მეფე გიორგიმაც, ავადმყოფობით დასუსტებულმა და სულით-ხორციით დაცემულმა, დაიწყო ფიქრი იმაზე, რომ სთხოვოს რუსეთის იმპერატორს მიიღოს საქართველოს უშუალო მმართველობა.

ამასობაში კოვალენსკი იმდენად დაუახლოვდა მეფე გიორგის, როგორც მრჩეველი, რომ იმას ადვილად შეეძლო ეცნობებოდა პეტერბურგში, თუ რა ღონისძიებანი უნდა მიეღოთ მეფე გიორგის სიკვდილის შემდეგ, რაც, იმისი აზრით, ამა და ამ დროს მოხდებოდა.

მეფე გიორგიმ უბრძანა თავის ელჩს პეტერბურგში, თ-დ გ ა რ ს ე ვ ა ნ ქ ა ვ ქ ა ვ ა ძ ე ს, რომ ეშუამდგომლა იმპერატორთან – კეთილინებოს და მიიღოს საქართველო თავის უშუალო მმართველობაში და ამით მოასვენოს ქვეყანა გარეშე მტრებისგანაც და შინაურული არეულობისგანაცაო.¹⁵¹

იმპერატორმა ალექსანდრემ, ჯერ კი უარზე დამდგარმა,¹⁵² ინება საქართველოს რუსეთთან შეერთება.

ამაზე მანიფესტი იყო დაწერილი ისეთი სიტყვებით, რომელიც ცხადად გამოჰხატავდნენ კურთხეული ალექსანდრე იმპერატორის სრულს დიდ-სულოვნობასა და კეთილ განზრახვებს და, რასაკვირველია, დამამშვიდებელ შთაბეჭდილებას იქონიებდა იმ დროის ქართველებზე, იმდენად მაინც, რამდენადაც დღესაც აქვს ასეთი შთაბეჭდილება ამ მანიფესტის ნაკითხვის დროს.¹⁵³

მაგრამ როცა სახალხოთ გამოაცხადეს ეს მანიფესტი, უპატიებელი და დაუფერებელი შეცდომა გამოაშკარავდა.

გამოცხადებული იყო სიონის საკათედრო ტაძარში სა-დღესასწაულო წირვა, რომლის დროს უნდა ყოფილიყო წაკითხული მანიფესტი.

ამ დღესასწაულის მოთავეებმა იმაზე კი იზრუნეს, თუმცა კი სრულიად უსაფუძვლოდ, რომ სიონისაკენ მიმავალი ქუჩები ჩამწკრივებული ყოფილიყო ორ-წყება ჯვარით, ხოლო სახელმწიფოს დიდი აქტის ქართულად გადათარგმნა კი აზრად არავის მოუვიდა, გადათარგმნა იმ ხალხის ენაზე, რომლისთვისაც იყო ის შედგენილი და მაშინ მოხდა ისეთი დიდად სამარცხვინო არეულობა, რომელიც მეტი თაოსნობის დროს სრულებით არ იყო მოსალოდნელი.

როდესაც რუსულად ხმა-მალლა აკიდებით იმპერატორის ხარისხოვნების ჩამოთვლა ერთ წუთს შეჩერდა სიტყვებზე: „და სხვა და სხვა და სხვაო“.* ასტყდა ტაძარში აღშფოთებისა და უკმაყოფილების ისეთი გრგვინვა, რომ არაფერს არ შეედრებოდა.

არავის არ მოსვლოდა ფიქრად, რომ არსად და მეტადრე ღვთის ტაძარში, არ შეიძლებოდა ქართველების წინ ისეთი სიტყვების წარმოთქმა, რომელიც იმათთვის უდიდეს ცინიზმს გამოჰხატავდა.¹⁵⁴

VI

ეს შეცდომა ცხადი იყო თავისი შეუსაბამობით, მაგრამ მაგალითად კი მაინც არავის დაახსოვდა.

მაშინვე საქმის წარმოება შემოიღეს ისე, როგორც შუა-გუბერნიებში იყო შემოღებული, ე. ი. რუსულ ენაზე, რომელიც აქაურ ხალხს სრულებით არ ესმოდა; რუსების მოსვლამდე რაც წეს-წყობილება და კანონები არსებობდა საქართველო-

* и прочая и прочая и прочая.

ში, არა თუ არ ისურვეს მათი გაცნობა, ხალხის ჩვეულებანი და ადათებიც კი არ მიიღეს მხედველობაში.

ადგილობრივი ადმინისტრაციის განზრახვანი და მცხოვრებთა ბედი ხელში ჩაუვარდათ ორიოდ-სამიოდ წერაკ-ითხვის უცოდინარ თარჯიმანს.

ციზილბაშთა, სპარსელებისა და ლეკების შემოსევა საქართველოში თითქო რომ მოისპო და ამის გამო დრომდისინ მაინც შეიძლებოდა ატანა იმ დამოკიდებულებისა მმართველთა და ხალხს შორის, რომელიც საქართველოში სუფევდა.

მაგრამ ეს მოთმენა ვერ შევლოდა იმას, რომ ყოველ დღე მატულობდა გაუგებრობა იმათ შორის, სანამ მმართველობა-მა და ხალხმა ერთმანეთის ენა არ გაიგეს.

რა თქმა უნდა, რომ ხელ-ქვეითს უნდა შეესწავლა მმართველის ენა.

მაგრამ ამაზე იფიქრა მხოლოდ საქართველოს მეორე მთავარმართველმა, თავადმა ციციანოვმა.

სიმართლე ითხოვს ნამდვილი ვსთქვათ, რომ ასეთი აზრი კოვალენსკის მოუვიდა პირველად და მთავრობისგან დანიშნული ფულით დააარსა ტფილისში სასწავლებელი,¹⁵⁵ მაგრამ შემდეგში გამოაშკარავდა, რომ კოვალენსკის დროს ეს სასწავლებელი მხოლოდ ქალაქდზე არსებობდა და იმისთვის დანიშნული ფული კი მთლად მის ჯიბეში ჩადიოდა.

ეტყობოდა, კოვალენსკის პეტერბურგში ვინმე გავლენიანი შემწე ჰყავდა, რადგან ციციანოვს დიდი ხნის ბრძოლა დასჭირდა, სანამ კოვალენსკის საქართველოს საქმეთა მმართველობიდან გადააყენებდა.¹⁵⁶

ამავე დროს მთავრობის ახალი წარმომადგენელნი ქვეყნის დასამშვიდებლად არაფერს არ ზოგავდნენ და თავის მზრუნველობაში იქამდინაც მივიდნენ, რომ სასტიკ ზომას მიმართეს და არ დაერიდნენ საქართველოს სამეფო ოჯახის წევრების განდევნასაც რუსეთისაკენ.¹⁵⁷

საქართველოს მეფის მემკვიდრედ უმაღლესად დამტკიცებული ძე მეფე გიორგისა, ბატონიშვილი დავითი, რუსეთ-

ის არტილერიის გენერალი, პირველი გაინვიეს სანკტ-პეტერ-ბურგში სამეფო ინვესტიტურის მისაღებად.¹⁵⁸

VII

სამეფო ოჯახის დანარჩენი წევრების განდევნა რუსეთში ბევრმა საფუძვლიანად იცნო.

მაგრამ ბევრი იყო, რა თქმა უნდა, ბატონიშვილების დიდად ერთგული და ისეთებიც, რომელთაც ასეთი ზომები ძალიან სასტიკად მიაჩნდათ და სამეფო ოჯახის საქართველოდან განდევნას უსამართლო მოქცევად ავრცელებდნენ ხალხის თვალშიც.

მაგრამ ეს ზომებიც მშვიდობიანად ჩაივლიდა, რომ დედოფალს, მარიამ გიორგის ასულს უბედურობა არ დასტეხოდა.

მოვიდა ბრძანება, რომ მარიამ დედოფალიც რუსეთში გაგზავნილიყო. გამზადებული იყო დამცველი რაზმი დედოფლის გასაცვილებლად. გამზადებული იყო დედოფლისათვის, რასაკვირველია, ურემიც, რადგან ურმის გარდა იქ სხვა არავითარი ეტლი არ იყო და არც საურმო გზის მეტი სხვა გზა.

გენერალმა ლაზარევმა მიიღო ბრძანება, რომ დედოფლის გამგზავრების განკარგულება აღესრულებინა.

დედოფალს შესწამეს, განზრახ იგონებს ავადმყოფობას და უარს ამბობს პეტერბურგში წასვლას, რადგან აზრადა აქვს საცხოვრებლად თუშებთან, ან ხევსურებთან გაიპაროსო.

ამან გამოიწვია ლაზარევის მხრივ, უხეშობა რომ არა ვსთქვათ, სასტიკობა დედოფლის მიმართ.

1803 წ. აპრილის თვეში, განთიადისას, ლაზარევმა დედოფლის სასახლეს ჯარი შემოარტყა, შევიდა პირდაპირ იმის საწოლ ოთახში და გამოუცხადა, რომ ახლავე უნდა გაემგზავროს რუსეთში.

– ხომ ხედავთ, მე ავათა ვარ, მგზავრობა არ შემიძლიან, გთხოვთ მადროვოთ.

– ეგ შეუძლებელია, დედოფალო! მე უთუოთ ახლავე უნდა გაგგზავნოთ.

– როგორ უნდა გამგზავნოთ, როცა მგზავრობა არ შემძლიან.

– ვსწუხვარ, დედოფალო, მაგრამ ძალას დაგატანთ.

– ძალას დედაკაცს?

– ძალას დედოფალს? – წამოიძახა ვილაცამ უკანიდან.

– მაშ უარზე ხართ? არ გინდათ წასვლა?

ამ სიტყვებით მისწვდება ლაზარევი დედოფალს, უნდა სტაცოს ხელი, რომ სანოლიდან ჩამოაგდოს.

იმ წუთს ჩასცემენ მას ხანჯალს გულში.

გენერალი მკვდარი დაეცემა იატაკზე.

შეიქნება ალიაქოთი, ყვირილი, წივილ-კივილი.

როგორ მოხდა ეს ამბავი, ვის შეუძლიან სთქვას როდისმე, რადგან მაშინდელი ოფიციალური ცნობები არ იყო საფუძვლიანი, ხოლო ის კი ცხადად გამოირკვა, რომ თითონ ლაზარევი ხმის ამოღებაც ვერ მოასწრო და იმის მკვლელობის მოწმედ იყვნენ მხოლოდ თვით დედოფალი, ძე მისი ბატონიშვილი ჯიბრაილი და ასულნი მისნი მცირეწლოვანნი თამარი და მარიამი.¹⁵⁹ ხალხში კი ხმა გავრცელდა, რომ ლაზარევი მოჰკლა იოსებ ყორღანოვმა, დედოფლის პირადმა მდივანმა; მაგრამ ეს მკვლელობა დედოფალმა თავის-თავზე მიიღო და ამის გამო რამდენიმე ათეული წლობით რომელიღაც მონასტერში გაგზავნეს, ტამბოვის გუბერნიაში.¹⁶⁰

„ – ძალადობა დედაკაცზე, რომელიც არაფერში დამნაშავე არ იყო! ძალადობა მართლ-მადიდებელ ქალზე, გვირგვინოსან დედოფალზე?!“

ასეთ მითქმა-მოთქმას ხალხში ვერავინ ვერ ამართლებდა და რასაკვირველია ხალხმაც უფრო უგულოდ დაუნყო ყურება ახალ წეს-წყობილებას.

მაგრამ დროთა მსვლელობამ თავისი გაიტანა, დაჰფარა ყველაფერი და ცხოვრებაც თავის წესით წავიდა.

VIII

თავადი ციციანოვი, საქართველოს ეს გამოჩენილი მთავარ-მართველი თავისი ღირსეული მოღვაწეობით, როგორც სამოქალაქო, ისე სამხედრო ასპარეზზე, 1806 წ. ქალაქ ბაქოში მუხანათურად შეიქნა მოკლული იქაური ხანის მიერ.

იმის მაგივრად გრაფი გუდოვიჩი გაამწესეს.

მდინარე არპაჩაიზე გუდოვიჩმა ყიზილბაშთა ფაშა დაამარცხა, რისთვისაც გენერალ-ფელდმარშლობა მიიღო და შემდეგში საქმეებიდან განისვენა.

საქართველოს მთავარ-მართველად ერთი-მეორეზე დანიშნულები იყვნენ გენერლები: ტორმასოვი, მარკიზი პაულიჩი, რტიშჩევი, ერმოლოვი და პასკევიჩი.

ადმინისტრაციულ საქმეებს ესენი ველარ განაგებდნენ, რადგან მთელ დროს ანდომებდნენ სხვადასხვა ბრძოლას, ხან სპარსეთის ფეთ-ალი შახთან და ხან სულთან მაჰმუდთან.

გარდა ამისა, ზოგი ამათგანი ლეკებისგან დარბევას ებრძოდა, ზოგი კიდევ სხვა სახანოების მიწასთან გასწორებას უნდებოდა, ასე რომ, სამოქალაქო მმართველობა საქართველოსი და მასთან შემოერთებული სახანოებისა დარჩათ იმ პირებს, რუსეთიდან რომ მოჰყავდათ და იმათგან შესდგებოდა მთელი პერსონალი საგუბერნიო, თუ საოლქო და სამაზრო მმართველობისა.

მართალია ადგილობრივ ძალებსაც იწვევდნენ სამსახურში დეპუტატებად, თუ მრჩეველებად საგუბერნიო და სამაზრო დაწესებულებებში, მაგრამ იმათ ამწესებდნენ ამორჩევით, თითოს, ორ-ორ პირს ყოველ დაწესებულებაში, რომ მათი რიცხვი სულ მცირე ყოფილიყო და ამათშიც იშვიათად იყო ვინმე, რომელსაც კარგად ესმოდა მთავრობის ენა და საქმის წარმოება. იმათ არაფერი არ ეკითხებოდათ და თუ თითონ დაიწყებდნენ ლაპარაკს, ყურსაც არავინ არ ათხოვებდა.

მთავრობის მოხელეთა სხვა პირნი კი, გარდა იქნება პირველი წლებისა, ისეთები იყვნენ, რომლებიც, მაშინდელი წესწყო-

ბილებით რუსეთში, ტიტულიარნი სოვეტნიკობის გარდა ვერა ხარისხს ვერ მიაღწევდნენ და მაშასადამე სწავლა-განათლებაც მცირე ჰქონდათ იმისათვის, რომ შესძლებოდათ ღირსეული წარმომადგენლობა მთავრობისა და ასრულება ხალხის იმ იმედებისა და სასოებისა, რომლითაც ის აღსავსე იყო რუსეთის სახელისადმი.

ამას რომ დაუმატოთ ის გარემოება, რომ რუსეთის არც ერთი კანონი არ იყო ქართულად გადმოთარგმნილი და არც თვით რუსულ ენაზე იყო მაშინ გამოცემული სრული კრებული კანონებისა, და მეორე მხრივ ისიც, რომ საქართველოს მეფე ვახტანგის კანონები, რომლებითაც ადგილობრივ მთავრობას ა უ ც ი ლ ე ბ ლ ა დ უნდა ეხელმძღვანელა, არ იყო რუსულ ენაზე გადმოთარგმნილი და მხოლოდ 25 თუ 30 წლის შემდეგ გადმოთარგმნეს და დაურიგეს მთავრობის პირებს, – ადვილი წარმოსადგენი იქნება, თუ რას სჩადიოდნენ ყველა ის ტიტულიარნი სოვეტნიკები, რომელთ ხელში იყო ხალხის ბედი, რომელთაც ამ ხალხისა არა ესმოდათ-რა და თვით ხალხსაც იმათი არა ესმოდა-რა.

IX

ამისთანა წეს-წყობილებაში გაუგებრობა თანდათან უფრო მატულობდა და ედებოდა მთელ საქართველოს.

ამ უამრავ გაუგებრობას ხელს უწყობდა ჩვენი ქვეყნის ორი განსაკუთრებული თვისება, სახელდობრ:

1. რუსეთში არასდროს არ ყოფილა ფეოდალური წეს-წყობილება და იქიდან მოსულმა მოხელეებმა, რასაკვირველია, ვერ შეიგნეს ის პირობები და წესები ხალხისა, ფეოდალურ წყობილებას რომ ეკუთვნოდა და შემოღებული იყო საქართველოში უძველესი დროიდან.

საქართველოს უმაღლესი ნოდება, 1783 წლის ტრაქტატის ძალით ცნობილი და რუსეთის თავად-აზნაურობასთან გათანასწორებული – შესდგებოდა აქ თავადებიდან და აზნაურებიდან.

აზნაურები ზოგნი იყვნენ თავადების ხელქვეითნი, ზოგნი თვით მეფესი და ზოგნი კიდეც ეკლესიას ეკუთვნოდნენ.

ამ თავადებსა და მათ ხელქვეით აზნაურებთ შორის ისეთი დიდი განხეთქილება ჩამოვარდა, რომ იმათ დაშოშმინებას ერთმანეთში რამდენიმე ათეული წელიწადი მოუნდა.

მაგალითად, მაშინ ქართულ ენაზე არ იყო გარჩევა, როგორც დღეს არის, ამ სიტყვებში: „ხელქვეითი“ და „გლეხი“. ორივე ერთი სიტყვით გამოითქმოდა: „ყმა“.

როდესაც რომელიმე თავადს დასჭირდებოდა მთავრობის წარმომადგენელთან ეხსენებინა თ ა ვ ი ს ი აზნაური, სიტყვა „ხელქვეითი“ რუსულად ითარგმნებოდა „ყმად“. ასეთი თარგმნები ჰყავდა მაშინ ჩვენს მთავრობას.

და რა რომ შეიტყო აზნაურმა სიტყვა „ხელქვეითი“ რუსულად ითარგმნება „ყმადო“, არ შეეძლო თავადის წინააღმდეგ არ აღშფოთებულიყო; ასტყდა საშინელი დავა მათ შორის და მათი გამრჩევი იყო რუსის ჩინოვნიკი, რომელსაც ქართული ენისა არა ესმოდა-რა.

თავის მხრივ მაშინდელი ჩინოვნიკიც გაკვირვებული იყო, რომ, მაგალითად, აზნაური ხმალადის გვარი, მოხსენებული 1783 წლის ტრაქტატში თავად-აზნაურთა გვარების სიაში და აზნაურად ცნობილი, აღნიშნული იყო, როგორც „ხელქვეითი“ თავადის ერისთავისა.

ათ-ათი წლოებით მოუნდნენ იმის განხილვას, რომ ფეოდალურ წეს-წყობილებაში არავითარი განსხვავება არ იყო მეფისა, თავადისა და ეკლესიის აზნაურთა შორის, რომ ყველა ეს აზნაურები თანასწორნი იყვნენ ერთმანეთში.

დიდი ხანი არ არის, რაც ეს საქმე საბოლოოდ მოწესრიგდა.

X

2. სწორედ ასეთივე შეუგნებლობა გამოიჩინეს რუსეთის მაშინდელმა მოხელეებმა აქაური ყმების შესახებ.

ბატონ-ყმობა რომ არსებობდა საქართველოში ჯერ კიდევ მეათე საუკუნეში ქრ. შემ. ეს გამოამკარავებული იყო თავის დროზე, როცა ყმების უფლება განიხილეს, გლეხების განთავისუფლების რეფორმის გამოსაცხადებლად.

რუსეთის ბატონ-ყმობის უფლება და საქართველოს ბატონ-ყმობის უფლება ერთმანეთს ეთანხმებოდნენ მხოლოდ ერთში: ყმის ყიდვასა და გასყიდვაში. ბატონისა და ყმის ურთიერთშორის დამოკიდებულება ისტორიული მდგომარეობის მიზეზით საქართველოში სულ სხვა იყო.

არც სამ-სამი დღის მუშაობისა ბატონისთვის, არც ყალანისა, არც ხარკის გადახდისა, როგორც რუსეთში იყო, საქართველოში არა იცოდნენ რა. აქაურ ჩინოვნიკებს კი ვერ შეეგნოთ, რომ საქართველოს ყმასა და ბატონს შორის დამოკიდებულება ისეთი არ იყო, როგორსაც ისინი იცნობდნენ რუსეთში: აქაურ წოდებათა შორის დამოკიდებულება იყო პატრიარქალური და ოჯახური. ფეოდალური წეს-წყობილებისა ხომ წარმოდგენაც არ ჰქონდათ.

ამან გამოიწვია ისეთი ამბები, რომელთაც წინაპრები არ მოსწრებთან.

შეუდგნენ ყ მ ბ ი და ნ თავის დაღწევას და იმდენმა საქმემ მოიყარა თავი, რომ სასამართლოები გაივსო.

მათი განხილვაც იმ დროის საქმეთა განხილვის წესით მიდიოდა და ათს, ოცს წელიწადს გასტანდა ხოლმე, სანამ საბოლოოდ გადაწყდებოდა. როდესაც გათავდებოდა, ორივე მხარე, მომჩივანიც და მოპასუხეც მთლად განადგურებულნი და გაღატაკებულნი რჩებოდნენ.

ბატონისა და ყმის შორის უწინდელი სიამტკბილობა სიმძულვარედ გადაექცათ, ისე რომ ბატონის მოკვლაც ხშირი გახდა, ხანდახან მთელი ოჯახობითაც. ამას, რასაკვირველია, მოსდევდა საჩივარი კაცის მკვლელობაზე, მკვლელების დასჯა სხეულით, ჯგუფობით გაგზავნა ციმბირში საკატორლო სამუშაოზე; ერთი სიტყვით, ოჯახური მდგომარეობა გლეხისაც და მისი ბატონისაც, ასის წლობით რომ მტკიცეთ ჰქონ-

დათ დაცული გარეშე მტრებისაგან, ახლა მთლად მოისპო, დაერღვათ და დაექცათ ამ ახალი მფარველი ტიტულიარნი სოვეტნიკების მოწყალებით.

მართალია, არსებობდა მაშინ საქართველოში ერთი დანესებულება, სადაც ჭეშმარიტ სამართალს ჰპოულობდნენ და დიდი იმედიც ჰქონდათ იმისი საქმის დევნით დაქანცულ მომჩივანთ. მე ვამბობ საქართველოს უზენაეს მმართველობაზე, რომელიც 1838 წლამდე არსებობდა.

იქ საქმეთა წესიერ მსვლელობას ხელს უწყობდა, რასაკვირველია, ის გარემოება, რომ მმართველნი იყვნენ მთავრობის სხვადასხვა დანესებულებათა თავმჯდომარენი და „სოვეტნიკები“, თვით მთავარ-მართველის თავმჯდომარეობით და საგანგებო პროკურორის ზედამხედველობით.

მეტადრე მაშინ მიეცა ყოველ საქმეს სამართლიანი გადანიწყვეტილება, როდესაც პროკურორად გაამნესეს სტატსკი სოვეტნიკი ი ა გ ო რ გ ა ბ რ ი ე ლ ი ს ძ ე ქ ი ლ ა ე ვ ი, პირველი ქართველთაგანი, რომელმაც მიიღო რუსულ-ევროპიული სწავლა-განათლება და ამასთან ზედ მიწევნით რომ იცნობდა საქართველოს მაშინდელ მდგომარეობას.

მაგრამ „საერთო კრება“ ძალიან ცოტა საქმეს იხილავდა და ამიტომ მისი ფუნქციები საქმეთა საერთო მსვლელობაზე შესამჩნევ გავლენას ვერ ახდენდა.

ამნაირად, ასეთ ყოფაში ყველა გრძნობდა რალაც დაჩაგვრას, დამცირებას, რის გამოც გულში იხვევს ადამიანი უკმაყოფილებას, სანამ არ დადგება დრო მისი გულიდან ამოხეთქისა, სანამ არ გადმოვა ფიალა ადამიანის მოთმინებისა.

XI

ამ დროს, ე. ი. 1831 წელს საქართველოს მთავარ-მართველად ბარონი როზენი მოვიდა.

სწორედ ამ დროს უკვე გამორკვეულნი იყვნენ ის ელემენტები, რომლებიც სხვადასხვანაირად უჩვენებდნენ სა-

ზოგადოებას როგორც საერთო ზნეობრივ მდგომარეობას, ისე ინდივიდუალურ მიზეზებს უკმაყოფილებისას და მითქმა-მოთქმისას.

საზოგადოების ზნეობრივი ყოფა საკმარისი სიცხადით ზემოდ იყო ასახული. ხოლო რაც შეეხება კერძო პირების სულიერ განწყობილებას, – შემდეგში გამოიხატებოდა:

1. პირადი შეურაცხყოფა ზოგიერთი საპატიო პირისა, თავადისა, თუ აზნაურის, მოხელეები და პოლიციელები თავისი უცოდინარობით რომ ვერ არჩევდნენ საპატიო პირს უბრალო კაცისაგან.

2. იყვნენ აქა-იქ მოუსვენარნი, რომელნიც ყოველთვის უკმაყოფილონი არიან და მტრულად უყურებენ ყოველგვარ არსებულ წეს-წყობილებას.

3. სამეფო ოჯახის ზოგიერთი წევრის სანადელი, რომ რაიმე საშუალებით მიეღო უფლება, ან საპატიო ყოფა თავის სამშობლოში.

4. ზოგიერთი უკმაყოფილო რუსის შემთხვევითი შეკავშირება უკმაყოფილო ქართველებთან.

5. ზემოთ იყო ნათქვამი, რომ ტფილისში დააარსეს სასწავლებელი. თავადმა ციციანოვმა 1804 წ. გახსნა ტფილისში სკოლა, რომელსაც უწოდეს „კეთილშობილთა სასწავლებელი“ და რომელიც ამ სახელით არსებობდა 1830 წლამდე, როცა სასწავლებელი გადააქციეს გიმნაზიად. პირველ ხანს ყველა ისე ერიდებოდა ამ სასწავლებელს, რომ თავად-აზნაურთა შვილები მხოლოდ, მაშინდელი დროის პირობით, დიდი ჯილდოს დანიშვნით მიიზიდეს. ყოველ მონაფეს თვეში 25 მ. ეძლეოდა, რაც შემდეგში 5 მანეთზე ჩამოიყვანეს; ასე რომ ხუთი წლის განმავლობაში ამ სასწავლებლის არსებობის დროს, მეც მეძლეოდა ყოველ თვე ასეთი სუფსიდია.

ხოლო სასწავლებელმა თავისი საქმე გააკეთა. თავის მონაფეთა შორის ისეთი პირები მისცა საქართველოს, როგორც მაგ.: თ-დი ვ ა ს ი ლ ი ო ს ე ბ ი ს ძ ე ბ ე ბ უ თ ო ვ ი, გამირი ბაშ-კადი-კლარისა; თ-დი მ. ზ. ა რ ლ უ თ ი ნ ს კ ი - დ ო

ლ გ ო რ უ კ ო ვ ი, დაღესტნის გმირი; თ-დი ნ. ო. ფ ა ლ ა ვ ა ნ დ ო ვ ი, ტფილისის გუბერნატორად ნამყოფი; თ-დი გ რ ი გ ო ლ დ ი მ ი ტ რ ი ს ძ ე ჯ ა მ ბ ა კ უ რ - ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი, რომელიც ორი წლის განმავლობაში კავკასიის მთავარმართებელის და ნამესტნიკის თანამდებობას ასრულებდა.

მაგრამ იყვნენ ისეთი ახალგაზრდებიც იმათში, რომელთაც ბრწყინვალე მომავალს არაფერი არ უქადდათ და ამიტომ ესენიც უკმაყოფილოთა რიცხვს მიეკედლენ.

ერთის სიტყვით, 1832 წლისთვის საკმარისად მოიყარეს თავი ისეთმა პირებმა, რომელთაც ასე თუ ისე შეეძლოთ სჯა სხვადასხვა საქმეებზე და გავლენაც ჰქონდათ იმ წრეში, რომელსაც ისინი ეკუთვნოდნენ.

ამათ ემატებოდა პეტერბურგიდან ჩამოსული ყმანვილ-კაცობა, გვარდიისა და არმიის ქართველი ოფიცრები.

კავშირი ამ პირთა შორის უფრო ადვილი ხდებოდა მით, რომ ეს გ ა ნ ა თ ლ ე ბ უ ლ ი ყმანვილკაცობა შედარებით ნაკლები იყო და ასე ვსთქვათ, უფრო მეტად მოთაკილე კლასს ეკუთვნოდა.

XII

აი ამ ახალი ელემენტებიდან გამოიყო რამდენიმე ჯგუფი, თვითეული მათგანი საკუთარი აზრით, საკუთარი უკმაყოფილების მიზეზით და საკუთარი სანადელით.

შეხვდნენ თუ არა ერთმანეთს ეს ჯგუფები და გაუზიარეს ერთმანეთს გულში-ნადები, იწყო დუღილი იმათმა ტვინმა და ამნაირად შესდგა წრე შეთქმულებისა.

ამ წრის შედგენილობის სხვადასხვაობა და მიმართულება ვერ შეუწყობდა ხელს იმას, რომ რაიმე საერთო მოქმედების გეგმა გამოემუშავებიათ, მათ არც საერთო ხელმძღვანელი ჰყავდათ; ამ ჯგუფებს საერთო მოლაპარაკებაც კი ერთხელაც არ ჰქონიათ. ცალ-ცალკე ჯგუფებად შეიკრიბებოდნენ ხოლმე და გამოსთქვამდნენ მას, რაც გულში ჰქონდათ.¹⁶¹

ერთი ამისთანა საიდუმლო მოლაპარაკება მოხდა გუბერნატორის სადგომის ქვედა სართულში, რომელშიაც ამჟამად მის მაღალ ყოვლად უსამღვდელოესობა საქართველოს ექსარხოსი სცხოვრობს,¹⁶² იმ ოთახებში, გუბერნატორის ძმას, თავადს იასე ფალავანდოვს რომ ეჭირა.

აქ ვნახე მე ის პირველად და უკანასკნელადაც 1832 წელს.

შესახედაობა ჰქონდა ძალიან რიგიანი, მაგრამ ტყუილად კი არ არის ნათქვამი, გარეგნობა ატყუებსო. ეს შესახედავათ ასეთი მორიდებული, სათნო ადამიანი, დაუძინებელი მტერი აღმოჩნდა ყოველი წესწყობილებისა და ამასთან ისეთი სისხლისმსმელი ადამიანი, რომლის მსგავსი ჩემს სიცოცხლეში არავინ არ შემხვედრია.¹⁶³

მისი აღგზნებული სიტყვები იმდენად მძვინვარე და იმდენად შეუბრალებელი იყო, რომ იქ დამსწრეთა უმრავლესობამ დიდი ზიზღი იგრძნო იმ საქმისადმი, რის ჩადენასაც ის ურჩევდა და ყოველი მისი რჩევა სრულიად უკუ-აგდეს.

ამ ყრილობის შემდეგ განვლო რამდენიმე კვირამ, რა ხნის განმავლობაშიც ფალავანდოვმა შეატყო ყველას, რომ გული აუცრუვდათ დანყებულ საქმეზე, რომ აღარ იკრიბებიან და იმის შიშით, რომ გამცემი ვინმე არ გამოჩნდესო, თითონ გადანყვიტა შეეტყობინებია მთავრობისათვის. 1832 წელს, დეკემბრის დამდეგს ყველანი დააბეზლა მთავრობასთან, რის გამოც მაშინვე დაუნყეს დაპატიმრება.¹⁶⁴

XIII

ამ საქმის გამოსაძიებლად დანიშნულ კომისიას არ შეუწყვეტია თავისი სხდომები მთელი ერთი წლის განმავლობაში.

სანამ მოვიხსენიებდე, თუ რითი დაბოლოვდა ეს საქმე, სამართლიანობის დასაცავად მოვალეობასა ვგრძნობ გიამბოთ აქ ერთი რამოდენადმე საინტერესო და სამოდვრო ფაქტი, რომელიც იმ დროს მოხდა.

რა თქმა უნდა, რომ ყველა დაბეზლებული დააპატიმრეს,

სანამ საქმე გათავდებოდა; მაგრამ არც ციხეში, არც საპყრობილეში, არამედ ოფიცერთა პოკროვსკის ყაზარმებში, ავლაბარში; ამიტომ დაერქვა ამ საქმეს ყ ა ზ ა რ მ ო ბ ა.

ამ ყაზარმებში ჩასვეს არ მახსოვს კარგად, ორმოცი კაცი თუ მეტი, როგორც თავად-აზნაურისშვილები, ე. ი. ცოტად თუ ბევრად საპატიო პირები. ხოლო ვინ რამდენად იყო დამნაშავე, ეს შემდეგში გამოჩნდებოდა.

პირველად ყველანი სათითაოდ ჩასვეს ოთახში და მიუყენეს დარაჯი იმავე ოთახში. ამ დარაჯების ყოფა ჩვენ ყოფაზე უარესი იყო, რადგან მთელი საათობით გაუწმენველად და ხმის ამოუღებლად უნდა მდგარიყვნენ.

ორიოდე თვის შემდეგ ეს წესი შეცვალეს დარაჯების სასიამოვნოდ: დარაჯი დააყენეს დერეფანში და პატიმართა ოთახებს კი კლიტე დაადეს.

ამ ყაზარმების დროებით კომენდანტად გამწესებული იყო პოლკოვნიკი შოსტენკო, ყველას განურჩევლად დიდის ყურადღებით ეპყრობოდა, თავისი სამსახურის უწინებლად.

პირველ ხანებში ჩვენ ძალიან კარგად გვეპყრობოდნენ, თითონ ასწრებდნენ ჩვენს სურვილებს, გვაჭმევდნენ კარგად, დილაზე ვისაც რა იამებოდა, იმას გვაძლევდნენ, ვის ჩაის, ვის ყავას და მე კი კაკაოსა. საღამოობით კი ყველას ჩაის.

მხოლოდ ერთხელ კი, ამ კაკაოს თაობაზე მიცა თავისთავს ნება შოსტენკომ და მკითხა: – საიდან გაგიჩნდათ ასეთი ჟინი კაკაოს დაღვევისაო?

– ეს ჟინი კი არ გახლავთ, პოლკოვნიკო, ექიმმა მიბრძანა ვსვა, როგორც წამალი, მე გული მტკივა.

მამინ მართლა მე, 18 წლისას, გული მტკიოდა.

მას შემდეგ შოსტენკო უფრო მეტის ყურადღებით გვექცევოდა.

სამი თვის შემდეგ გამოგვიყვანეს ამ ფრიად მძიმე მართობიდან და ორ-ორი და სამ-სამი ჩაგვსვეს ერთ ოთახში. ეს ჩვენთვის დიახაც უფრო ასატანი იყო, რადგან გარდა იმისა, რომ ერთი ბედის ამხანაგებთან მუსაიფი შეგვეძლო, წიგნებ-

ის ძლევაც დაგვიწყეს. ნასაკითხავად გვაძლევდნენ სულის საცხონებელ წიგნებს, რაც მოიპოებოდა მაშინდელ შტაბის ბიბლიოთეკაში. ნება დართეს ოჯახებიდანაც ახლა უფრო სხვადასხვა საჭმელები გამოეგზავნათ და აგრეთვე საცვალიც.

ყველა ამას ჯერ, რასაკვირველია, კარგად გასინჯავდნენ ხოლმე და მერე დაგვირიგებდნენ.

ამისთანა ყოფაში რომ ვყავდით, თვით ჩვენმა დარაჯებმაც იცვალეს ფერი ჩვენს წინაშე, უფრო გულ-კეთილად გვეპყრობოდნენ, ასე რომ ხანდახან შეგვეძლო ამათი პირით შეგვეთვალა რამე ოჯახში, მხოლოდ ჩვენი საზრდოსი და საცვლების შესახებ კი.

ერთი სიტყვით, ჩვენ არ ვიყავით იმ სამწუხარო მდგომარეობაში, ჩვენს ოჯახებს რომ ეგონათ, სანამ ჩვენსას გაიგებდნენ რასმე ჩვენი ეფრეიტერისა თუ უნტერ-ოფიცრის პირით.

XIV

აქ უნდა მოვიყვანო ერთი ფრიად სამწუხარო შემთხვევა. მას აქეთ ორმოცდაათმა წელმა განვლო და თავისი შემადრწუნებელი შთაბეჭდილებით ახლაც აღმოუფხვრელია ჩემი მეხსიერებიდან.

მე და ჩემი ამხანაგი სასწავლებლით და სამსახურითაც, ავთანდილოვი, ორივე ერთ ოთახში ვისხედით და როგორც იყო ვაჩანჩალებდით ჩვენს დროს.

ერთ დილას, რომელიც ალბად უბედურ დღეთ იქნებოდა აღნიშნული გამოჩენილი ვარსკვლავთ-მრიცხველი ტიხო-დე ბრაგეს მიერ, შემოაღეს ჩვენი ოთახის კარები და შემოგვიყვანეს პატიმრად მესამე ამხანაგი. არას დროს არ გვენახა ჩვენ ეს კაცი და შესახედავად ფრიად საინტერესო გვეჩვენა.

ტანად ძალიან მაღალი, არწივისებური ცხვირი, კეთილი, ძალიან კეთილი, როგორც ჩვენ გვეჩვენა სახე, ხოლო თავ-დაჭერილი, მტკიცე გამომეტყველებისა; წელში იყო ცო-

ტა მოხრილი და ღრმად მოხუცებული. ერთბაშად ვიგრძენით, რომ პიროვნება იყო ღირსი პატივისცემისა და როგორც კი დავრჩით მარტო, გაუბით ერთმანეთს ლაპარაკი:

– ვინა ბრძანდებით?

– მე ბარძიმ ამილახვარი გახლავართ. თქვენ ვილა ბრძანდებით?

ჩვენც ვუთხარით, ვინც ვიყავით.

– როგორ, თავადო, რა მიზეზითა ბრძანდებით აქა? განა თქვენც გქონდათ მონანილეობა?

– არაფერი არ ვიცი! დამიბარეს ქალაქში და აგერ დამაპატიმრეს.

ასე უკმეხად წარმოთქმული პასუხიდან ცხადი იყო, რომ გვერიდებოდა და ჩვენც თავი მივანებეთ, აღარ ვანუხებდით კითხვებით.

ის სულ არ გველაპარაკებოდა. ჩვენ მხოლოდ დილის სალამს ვაძლევდით, სადილობის დროს შესაფერ სიტყვებს ვეტყოდით და დასაძინებლად გამზადებულნი გამოვეთხოვებოდით.

ძალიან ვსწუხდით, რომ რამდენიმე კვირის განმავლობაში ჩვენ ვერა ვპოულობდით რაიმე საგანს, რომ გაგვება მასთან მუსაიფი.

სოფლმხედველობა მისი და ჩვენი სრულებით სხვადასხვა იყო; ჩვენდა სამწუხაროდ, ერთი სიტყვაც არ იცოდა რუსულად, მე და ავთანდილოვი კი რუსულად ვლაპარაკობდით.

გვიხდებოდა ლაპარაკი ხანდახან, კვირეში თუ ორ კვირეში ერთხელ საპიორის ბატალიონის* ერთს უნტერ-ოფიცერთან, როცა ის ჩვენს კამერაში შემოდოდა დასათვალიერებლად.

ეს უნტერ-ოფიცერი, სამწუხაროდ სახელი აღარ მახსოვს, ძალიან კარგად გვეპყრობოდა და ხშირად გვეგზავნებოდა

* „საპიორის ბატალიონი“ (რუს. *Сапёрный батальон*) – მესანგრეთა ბატალიონი.

ჩვენს ოჯახში რისამე დასაბარებლად და როცა სადარაჯოდ მოვიდოდა, ამბავს გვატყობინებდა.

ორიოდეჯერ გვკითხა თავადმა ბარძიმა, რას ელაპარაკებოდა ამ სალდათსაო და ჩვენც ვუთხარი, რასაც ველაპარაკებოდით.

ერთხელ მორიგ ოფიცერს უთხრა თავადმა, გენერლის ნახვა მინდაო, იმ გენერლისა, გამოსაძიებელი კომისიის თავმჯდომარედ რომ იყო დანიშნული და ამის შემდეგ თავადი გაიყვანეს ჩვენი კამერიდან.

მერე მე და ავთანდილოვიც ერთმანეთს დაგვაშორეს.

XV

მე გადამიყვანეს იმ კამერაში, სადაც ისხდნენ მეფე ერეკლეს ასულის თეკლეს ძენი, თავადნი ალექსანდრე და ვახტანგ ორბელიანები.

განვლო ექვსმა თვემ, რომ არ მენახა არც ავთანდილოვი, არც ბარძიმი და არც ის გულ-კეთილი უნტერ-ოფიცერი.

მხოლოდ ექვსი თვის შემდეგ შემოვიდა ჩვენს კამერაში ეფრეიტერი, რომელშიც მე ძლივს ვიცანი ის უნტერ-ოფიცერი, მეტის-მეტად გამხდარი, მიხრწნილი და პატივ-აყრილი.

აღმოჩნდა, რომ იმ დარბაისელმა თავადმა, მცოვანმა მოხუცმა დააბეზლა თურმე ეს უბედური უნტერ-ოფიცერი გენერალთან, რომ ვითომ ჩვენი გაპარვისთვის შემწეობას გვპირდებოდა.

საიდან გამოიტანა ამ მაბეზლარმა ეს დასკვნა, რომ ჩვენ გაპარვას ვაპირებდით, როცა რუსულად ერთი სიტყვაც არ იცოდა და ჩვენ კი უნტერ-ოფიცერს მხოლოდ რუსულად ველაპარაკებოდით?

მაგრამ არავის არ მოუვიდა თავში ჩვენ დაგვკითხოვნენ და იმ დარბაისელ მოხუცებულს ცარიელი სიტყვით დაუჯერეს, უნტერ-ოფიცერი დამნაშავედ იცნეს, ახადეს პატივი

და „როზგით“ ისე დასაჯეს, რომ ექვს თვეს საავადმყოფოში ინვა სიკვდილსა და სიცოცხლეს შუა.*

გამომძიებელ კომისიას შეადგენდნენ გენერლები: ბაიკოვი, ვოლხოვსკი და პოლკოვნიკი ტრიტილევიჩი.

ამ კომისიის დაარსების სამი თუ ოთხი თვის შემდეგ პეტერბურგიდან კომისიის თავმჯდომარედ მოვიდა გენერალი ჩეკვინი, შემდეგში გზათა მინისტრი.

აღმოსავლეთის ხალხის თქმულებით, ადამიანი, რომელსაც აგებულებაში რაიმე ხინჯი აქვს, თითონ არის ღვთისაგან დასჯილი და იმას მოსამართლეთ ყოფნა ხალხში არ შეუძლიანო.

ჩეკვინს ჰქონდა მეტად შესამჩნევი ხინჯი, რომელსაც მხოლოდ საფლავი გაასწორებდა.

ამის თავმჯდომარეობით კომისიაში დამყარდა ახალი წესი, რომელიც განსხვავდებოდა წინად მიღებული ადამიანური და ასე ვსთქვათ, განათლებული მოპყრობისაგან.

წამება რაიმე იარაღით არც ჩეკვინის დროს იყო, მაგრამ შემოიღეს ფეხების დაბრაგუნება, დაყვირება, შეტევა; ხან ერთს გაიყვანდნენ კამერიდან, ხან მეორეს და ცალკე დაამწყვდევდნენ, ცარიელ ხმელ პურზე, ერთი დღით კი არა, მთელი კვირაობით და თვეობითაც.

ეს ტანჯვათ არ მიაჩნდათ და მთავრობასაც არ შეეძლო ამაზე თვალყურის დაჭერა, რადგან გამოძიება თუმცა კი სწარმოებდა მთელი კომისიის მიერ, მაგრამ სწარმოებდა **საიდუმლოდ**.

ზემოთა ვსთქვი, რომ ამ გამოძიებამ გასტანა ერთი წელიწადი მეტი.

მე ნებას ვაძლევ ჩემს თავს ახლაც ისე ვიყო დარწმუნებული-

* თუ როდისმე წაიკითხავს ამ სტრიქონებს ღირსეული და ღრმად პატივცემული თავადი ივანე გივის ძე ამილახვარი, მაპატიოს მან დიდსულოვნებით, რომ იმ ჩემი მისდამი პატივისცემიდან ერთი ბენჯის ოდენასაც ვერ გაუფნანაილებ იმისი პაპის, თავადი ბარძიმის ხსოვნას.

ლი, რომ პირველად შემდგარ კომისიას რომ ეწარმოებინა გამოძიება უჩვეულოდ, ჩვენი საქმე იმნაირადვე დაბოლოვდებოდა, ხოლო ერთი ორად უფრო ადრე. ამით დაპყრობილნიც უფრო ადრე მორჩებოდნენ თავის წვალებას და ხაზინასაც იმათ შენახვაზე ნაკლები ხარჯი მოუვიდოდა.

ახლა კი, საქმე ამით არას დაჰკარგავს, რომ პირდაპირ გამოძიების შედეგზე გადავიდე.

საქმეში გარეული იყო ას კაცზე მეტი,¹⁶⁵ უმეტეს ნაწილად ისეთები, რომელთაც საზოგადოებაში თვალ-საჩინო ადგილი ეჭირათ და რაიმე მნიშვნელობა ჰქონდათ.

გამოძიების შემდეგ მომეტებული ნაწილის ბედი გადამწყვეტილი იყო: ადმინისტრაციული წესით დასჯა, რაც დამყარებული იყო ხელმწიფე იმპერატორის ნიკოლოზ პავლეს ძის ნებაზე, რომელმაც ჩვენ საქმეშიც თავისი სიდინჯე, მეფური სამართლიანობა გამოიჩინა, და დანარჩენნი კი, თუ არ ვცდები, თორმეტი თუ ცამეტი კაცი სამართალში იყვნენ მიცემულნი, და იმათზე მოიღეს სამხედრო სამართალი, გენერალი დ. დ. ახლესტიშევის თავმჯდომარეობით.

ვეცდები მოვიგონო, რა გადაუნწყვიტეს პირველი კატეგორიის დამნაშავეთ, ე. ი. უმრავლესობას.

1. ბატონიშვილი ოქროპირი გაიგზავნა საცხოვრებლად ქალ. კოსტრომაში.

2. თავადი დიმიტრი იულონის ძე გრუზინსკი – სმოლენსკში.

3. და მისი, კნიაჟნა თამარ იულონის ასული დასტოვეს ტფილისში, პოლიციის ზედამხედველობაში.

4. კნენა მანანა მირმანოვის ასული ორბელიანისა – აგრეთვე ტფილისში პოლიციის ზედამხედველობაში.

5. მეფის ასული თეკლე ირაკლის ასული გაგზავნეს ქალ. კალუგაში, მაგრამ ღრმად მოხუცებულობის გამო მალე დააბრუნეს ტფილისში.

6. მეორე მისი ძე, გვარდიის პორუჩიკი თავადი დიმიტრი ვახტანგის ძე ორბელიანი აგრეთვე გაგზავნილი იყო ქალ.

კალუგაში. შემდეგში ფელდმარშალმა თავადმა ბარიათინ-სკიმ ამისი ქალი ცოლად შეირთო.¹⁶⁶

7. გენერალ-მაიორი თავადი ალექსანდრე გარსევანის ძე ჭავჭავაძე, შემდეგში გენერალ-ლეიტენანტი და ნევრი კავკასიის უზენაესი მართებლობისა, გაიგზავნა ქალ. ტამბოვში.

8. პორუჩიკი თავადი გრიგოლ დიმიტრის ძე ორბელიანი, შემდეგში გენერალ-ადიუტანტი, გენერალი ინფანტერიისა, გადაიყვანეს სამსახურში იმავე ჩინით, პირველ ქვეითა ჯარის კორპუსში.

9. პორუჩიკი თავადი გიორგი რომანის ძე ერისთავი, ჯერ ლეიბ-გუსარი, შემდეგში გენერალი კავალერიისა, ატამანი ყაზახთა ჯარისა, იმავე ჩინით გადაიყვანეს არხანგელ-გოროდის მოდარაჯეთა ჯარის ერთ-ერთ ბატალიონში,

10. პრაპორშჩიკი თავადი გიორგი დავითის ძე ერისთავი (გლუხარიჩი) შემდეგში კავკასიის ნამესტნიკის, თავადი ვორონცოვის ჩინოვნიკი სხვადასხვა მინდობილობათა; გადაიყვანეს იმავე ჩინით პირველ ქვეითა ჯარის კორპუსში, სადაც გრიგოლ ორბელიანი იყო.¹⁶⁷

11. ტფილისის გიმნაზიის მასწავლებელი ზაქარია სტეფანეს ძე ავთანდილოვი, შემდეგში დეისტვიტელნი სტატსკი სოვეტნიკი და კავკასიის ნამესტნიკის საქმეთა მწარმოებელი, გაიგზავნა ქ. პერმში.

12. მე, ამ სტრიქონების დამწერი, გამგზავნეს ქ. ვოლოგდაში.

13. კანცელარისტი იოსებ ქრისტეფორეს ძე მამაცაშვილი, შემდეგში დეისტვიტელნი სტატსკი სოვეტნიკი და ტფილისის გუბერნიის საგლეხო საქმეთა სასამართლოს ნევრი, გაიგზავნა ქ. ვიატკაში.

14. პრაპორჩიკი თავადი დავით ჯორჯაძე – მეხუთე ქვეითა ჯარის კორპუსში.

15. ქალ. თეირანში, რუსეთის საელჩო კანცელარიის მოსამსახურე სოლომონ რაზმაძე, – ერთ-ერთ შუა რუსეთის გუბერნიაში.¹⁶⁸

16. დუშეთის მაზრის მმართველად ნამყოფი ტიტულიარნი სოვეტნიკი დიმიტრი პაუშენკო ქალ. ასტრახანში.

17. მაიორი თავადი ლუარსაბ ივანეს ძე ორბელიანი.

18. პორუჩიკი თავადი ანტონ აბხაზი.

19. პრაპორჩიკი თავადი ბიძინა ერისთავი.

20. პრაპორჩიკი თავადი მიხეილ ერისთავი.

21. ჩინოვნიკი მე-14 კლასისა თავადი ივანე ერისთავი.

22. თავადი ბარძიმ ამილახვარი.

23. პრაპორჩიკი თავადი თეიმურაზ ამილახვარი.

24. მთავარმართველი ერმოლოვის დროს ტფილისის პოლიცემისტრად ნამყოფი კოლეჟსკი სოვეტნიკი ანდრეი იაკობის ძე მელნიკოვი.

25. ტფილისის გუბერნატორად ნამყოფი დეისტ. სტატს. სოვეტნიკი პეტრე დემიანის ძე ზავილესკი.

და ამათ გარდა კიდევ 70 თუ 80 კაცი, რომელთასახელები სრულებით აღარ მახსოვს.

არც ეს ვიცი და არც მესმის, რა მიზეზით იყვნენ საქმეში გარეულნი ეს სამი რუსი ჩინოვნიკი: პაუშენკო, მელნიკოვი და ზავილესკი.

მხოლოდ ვალად ვრაცხ ჩემს თავს იმათზე ისა ვსთქვა, რაც მქონდა გაგებული.

მაშინდელ საზოგადოებაში იმათი რეპუტაცია იყო სრულიად უძრავი. პაუშენკოს უცქეროდნენ, როგორც ნიჭიერ და სამაგალითო პატიოსან ჩინოვნიკს.

მელნიკოვზე ამბობდნენ, როგორც მრისხანე და პატიოსან პოლიცემისტერზე, ახლაც რომ ახსოვთ ტფილისში იმ დროის მოხუცებულებს, და ისე რომ მოქცეულიყო, როგორც იქცეოდნენ ტიტულიარნი სოვეტნიკები, გამდიდრება ადვილად შეეძლო, მაგრამ სამსახურიდან რომ გამოვიდა, სიღარიბეში ჩავარდა.

ზავილესკიზე ამბობდნენ, რომ ის დამეგობრებული იყო ორს გამოჩენილ ქართველთან: ერთი იყო თავადი ალექსანდრე გარსევანის ძე ჭავჭავაძე, რომელიც ზემოდ მე-7 პირად არის

მოსხენებული და მეორე – საქართველოს უზენაესი მმართველობის პროკურორი სტატუსი სოვეტნიკი იაგორ ჭილაშვილი, რომლის ჩარევა ამ საქმეში იქნება ბევრსაც უნდოდა, მაგრამ ამაოდ.

ამისთანა მეგობრობა თუ მართლა იყო, ეს უნდა გვიმტკიცებდეს ზავილეისკის პირად ღირსებებს, რადგან ჭავჭავაძე და ჭილაშვილი მაშინ იყვნენ იშვიათი პირნი თავისი მაღალპატიოსნებითა და რაინდული კეთილშობილებით.*

დამავინწყდა მეთქვა, რომ ადმინისტრაციულ წესით დასჯილებში მოჰყვა იასე ფალავანდოვიც. სასამართლოს კანონით რასაკვირველია უდიდეს სასჯელს მიიღებდა, როგორც ყველაზე მძვინვარე შეთქმული, საშინელი განზრახვებით, მაგრამ პატივი დასდეს იმის მიერ დაბეზღებას მთავრობასთან და ფინლანდიის კორპუსში დანიშნეს უნტერ-ოფიცრად, სადაც ის დაიღუპა, როგორც მახსოვს, ქალ. არხანგელსკში.¹⁶⁹

ამ რიგად ის გახდა თათრის მოლლა-ზამანის ბედის თანაზიარი, რომელიც იქვე იყო გაგზავნილი.

შემდეგ, იმ 12 თუ 13 კაცში, რომელიც სამართალში იყვნენ მიცემულნი, უმაღლესი სასჯელი მიეცათ 6 კაცს, სახელდობრ:

1. არტილერიის პორუჩიკი თ-დი ელიზბარ შალვას ძე ერისთავი;¹⁷⁰ პატივი აჰყარეს და სამსახურში გაგზავნეს სალდათად ფინლიანდიის კორპუსში. შემდეგ ერისთავმა დაიმსახურა ჩინები და ორდენები, პოლკოვნიკის ჩინით იყო გორის მაზრის უფროსად და სამსახურიდან გადაყენებული, გენერალ-მაიორის ჩინით გარდაიცვალა.

2. უფროსი ძე მეფე ერეკლეს ასულის თეკლესი, პოდ-პორუჩიკი თავადი ალექსანდრე ვახტანგის ძე ორბელიანი, იმავე ჩინით გაამწესეს ალექსანდროვის ფორტში, კასპიის ზღვის აღმოსავლეთის კიდეზე და რამდენიმე წლის შემდეგ დააბრუნეს სამშობლოში.¹⁷¹

* იაგ. გაბ. ჭილაშვილი იყო მამა ჩემი ცოლისა და მე ცოტათი არ ვამაყოფ ამ ნათესაობით.

3. უმცროსი ძმა მისი, პაჟად ნამყოფი თ-დი ვახტანგ ვახტანგის ძე ორბელიანი (ჩვენი სასიქადულო პოეტი) გაგზავნეს ქალ. კალუგაში, თავის დედასთან ერთად და ორივენი რამდენიმე ხნის შემდეგ სამშობლოში დააბრუნეს. შემდეგში გენერალ-მაიორის ჩინით ნალჩიკში იყო სამხედრო ოლქის უფროსად.

4. გვარდიის როტმისტრი თ-დი მაკარ (მამუკა) თომას ძე ორბელიანი ჩარიცხეს კავკასიის ლინეის ყაზახთა ჯარში.¹⁷² იყო პოლკის უფროსად ერთ დროს. შემდეგ გუმბრში იყო მავრის უფროსად.¹⁷³ გარდაიცვალა გენერალ-მაიორის ჩინით.

5. თათარი მოლლა-ზამან გაგზავნეს არხანგელსკში, სადაც მდინარე დვინაში დაიხრჩო.

6. ტფილისის გიმნაზიის მასწავლებლად ნამყოფს სოლომონ ივანეს ძე დოდაშვილს მასწავლებლის წოდება აჰყარეს და გაამწესეს ვიატკაში კანცელარიის მოხელედ. ნება ჰქონდა სამსახურში წარჩინების მიღებისა, ხოლო არა უადრეს ათი წლისა, მაგრამ იქვე გარდაიცვალა.

დანარჩენნი სამართალში მიცემულნი რამდენიმე ხნით სამშობლოდან განდევნეს.

ამით ცხადია, რომ რუსოფობი ურკვორტი უსირცხვილოდ სტყუოდა, როცა 1866 წელში ამბობდა, რომ რუსეთის მთავრობამ 30 წლის წინად ამ საქმის თაობაზე სიკვდილით დასაჯა 40 ყმანვილი კაცი საქართველოს საუკეთესო გვარიშვილებსაო.

ახლა იმისი მეტი აღარა დამრჩენია რა განვიმეორო, რომ ამას ვსწერ ისე, როგორც მახსოვს. ხოლო ვისაც სურს უფრო ახლო, დაწვრილებით გაიცნოს ეს საქმე, შეუძლიან მიმართოს „არქეოგრაფიული კომისიის აქტების“ მე-VIII ტომს.¹⁷⁴

შენიშვნები და კომენტარები

ტექსტისათვის

წინამდებარე ტომში შესულია დიმიტრი ყიფიანის ავტობიოგრაფიული ნაწერები, 1857-1858, 1867 და 1882 წწ. დღიურები და მემუარები.

ე. წ. პასპორტში მივუთითებთ მონაცემებს ტექსტის ხელნაწერის, პუბლიკაციის, სათაურის, თარიღისა და დაწერის ადგილის, ავტორისეული ხელმოწერის შესახებ. როცა ეს მონაცემები ტექსტში არ არის (ვთქვათ, ტექსტი დაუსათაურებელია ან დაუთარიღებელია და სხვ.), ასეთ შემთხვევაში შესაბამისი მითითება პასპორტში გამოტოვებულია და აუცილებელ განმარტებებს ვიძლევიტ შენიშვნებსა და კომენტაჲრებში.

დღმ. ყიფიანის ნაწერები ხშირად არ იბეჭდებოდა, ამიტომ **„ნაბეჭდში“** მითითებული გვაქვს არა მხოლოდ პირველნაბეჭდი და ავტორის სიცოცხლეში გამოცემული ტექსტები, არამედ – ჩვენთვის ცნობილი პუბლიკაციებიდან უკლებლივ ყველა. როცა მითითებული არ არის **„ნაბეჭდი“**, ეს იმას ნიშნავს, რომ **ტექსტი ხელნაწერის საფუძველზე პირველად წინამდებარე გამოცემაში იბეჭდება.**

ტექსტების ერთი ნაწილი დათარიღებულია ავტორის მიერ. ასეთის არარსებობის შემთხვევაში კვლევით დადგენილ თარიღს მივუთითებთ კვადრატულ ფრჩხილებში. დაწერის თარიღი კვადრატულ ფრჩხილებშია მაშინაც, როცა საკითხის შესახებ არ მოგვეპოვება რაიმე ხელმოსაჭიდი მონაცემი და მას (ტექსტს) ვათარიღებთ პირველნაბეჭდის მიხედვით. სათანადო მონაცემები – ტექსტი პირველნაბეჭდის მიხედვით თარიღდება თუ თარიღი კვლევით დგინდება – შენიშვნებსა

და კომენტარებშია მოცემული. თუ ავტორს თარიღთან ერთად ტექსტის დაწერის ადგილიც აქვს მითითებული, მოგვყავს ორივე მონაცემი.

დიმ. ყიფიანი 1860-იანი წწ. ბოლომდე იყენებდა ძველ, ე. წ. ფუნქციადაკარგულ, ასოებს (ჴ, ა, ჳ, ჴ, ჵ; აგრეთვე – ჶ). იგი მიიჩნევდა, რომ ეს ასოები ქართულ ენას მოქნილობასა და მუსიკალობას სძენდა, თუმცა საბოლოოდ დაემორჩილა ილია ჭავჭავაძის (ზოგადად თერგდალეულთა) მიერ განხორციელებულ ცნობილ რეფორმას და 1860-1870 წწ. მიჯნიდან ამ ასოებს უკვე იშვიათად ხმარობდა. წინა (I-IV) ტომებში, გარდა დასაბუთებული გამონაკლისებისა, ძველი ასოები ამოღებული გვაქვს და სიტყვები ახალი სალიტერატურო ენის ნორმების მიხედვითაა მოცემული. იგივე ვითარებაა წინამდებარე ტომშიც.

დიმ. ყიფიანის ნაწერებში ხშირად გვხვდება პარალელური ფორმები. მაგალითად: ბძანება/ბრძანება; ერთმანეთი/ერთმანერთი; გადასახადი/გარდასახდი; ერთად/ერთათ; მანეთი/მანათი; კაპეიკი/კოპეიკი და სხვ.; ასეთ შემთხვევებში (და ზოგადადაც) უარს ვამბობთ ე. წ. ენობრივი უნიფიკაციის პრინციპზე და დიმ. ყიფიანის მართლწერასა და პუნქტუაციას ვტოვებთ უცვლელად, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ამკარაა ლაფსუს კალამი ან კორექტურული ხარვეზი. უნიფიკაციაზე უარის თქმა იმ გარემოებითაც არის განპირობებული, რომ დიმ. ყიფიანი მნიშვნელოვანი ფიგურა იყო ახალი ქართული სალიტერატურო ენის ფორმირების საქმეში და სასურველია, ამ სასიცოცხლო მნიშვნელობის პროცესში მისი მონაწილეობის კვალი არ წაიშალოს.

შენიშვნებსა და კომენტარებში არ ვიძლევიტ მონაცემებს ტექსტში ნახსენებ პირთა შესახებ (გარდა ცალკეული აუცილებლობისა, როცა ესა თუ ის პირი ნახსენებია: ან მხოლოდ სახელით, ან მხოლოდ გვარით, ან ინიციალით/ინიციალებით, ან კიდევ, როცა კონტექსტი მოითხოვს აუცილებელ განმარტებას). მონაცემები პირთა შესახებ გაგვაქვს პირთა ანბან-

ნურ-ანოტირებულ საძიებელში. ამით თავი ავარიდეთ ხშირ გამეორებებს, მნიშვნელოვნად განიტვირთა სამეცნიერო აპარატი და, ვფიქრობთ, მკითხველისთვისაც გაცილებით უფრო მოსახერხებელი უნდა იყოს, პირთა შესახებ მონაცემები აქა-იქ კი არ ეძებოს, არამედ ნახოს ანბანურ რიგზე დალაგებულ პირთა ანოტირებულ საძიებელში.

გეოგრაფიული სახელები საძიებელში არ შეგვაქვს ორ შემთხვევაში: ა) წიგნებისა თუ პერიოდიკის გამოცემის ადგილი (თბილისი, ტფილისი, Тифлис, Москва, Санкт-Петербург და სხვ.); ბ) როცა ესა თუ ის გეოგრაფიული სახელი პერიოდული გამოცემის სახელწოდებადაა გამოყენებული („ივერია“, „Кавказ“ და სხვ.).

ავტობიოგრაფიული ნაწარები

სამეგრელოს მთავრის სახლი და დიმიტრი ყიფიანი
(გვ. 11-33)

ნაბეჭდი: Мингрельский княжеский дом и Димитрий Кипиани. Тифлис.: Типография Меликова и К⁰. 1868. 28 გვ.

სამეგრელოს მთავრის სახლი და დიმიტრი ყიფიანი. [ტფილისი]: კერესელიძის სტამბა. 1869. 34 გვ.

სამეგრელოს მთავრის სახლი და დიმიტრი ყიფიანი (გვ. 487-519) // „დიმიტრი ყიფიანი – 200“. პროექტის ავტორი და კრებულის შემდგენელი ბ. კობაძე. თბილისი: სვეტი. 2014, გვ. 487-519.

სათაური: სამეგრელოს მთავრის სახლი და დიმიტრი ყიფიანი.

თარიღი: 23 ნოემბერი 1868. ტფილისი.

ხელმოწერა: დიმიტრი ყიფიანი.

როგორც ზემოთაა მითითებული, ტექსტი ჯერ რუსულ ენაზე დაიბეჭდა და შემდეგ – ქართულ ენაზე. ძნელია დარწმუნებით ითქვას, რომელია დედანი და რომელი – ავტორისეული თარგმანი, თუმცა ბროშურების გამოცემის ქრონოლოგია გვაფიქრებინებს, რომ ტექსტი ჯერ რუსულად უნდა იყოს დაწერილი და შემდეგ – თარგმნილი ავტორის მიერვე. შინაარსობრივად ტექსტები **არსებითად** იდენტურია, თუმცა შიგადაშიგ გვხვდება გარკვეული სხვაობები, რომლებსაც აქვე, კომენტარებში, მივუთითებთ.

ქართულ ენაზე დაბეჭდილ ბროშურას თავზე აწერია: „დიმიტრი ყიფიანის ბროშურა“, რასაც მოსდევს სათაური: „სა-

მეგრელოს მთავრის სახლი და დიმიტრი ყიფიანი“. რუსული ბროშურის დაბეჭდვაზე ცენზურის ნებართვა გაცემულია 1868 წლის 26 ნოემბერს (ყიფიანი 1868: 2); იმავე ცენზურას 1868 წლის 10 დეკემბერს უკვე დაბეჭდილი ბროშურის გავრცელების ნებართვა აქვს გაცემული (ყიფიანი 1868: 1), ქართული ბროშურის გამოცემაზე ცენზურას თანხმობა 1869 წ. 15 მარტს აქვს მიცემული (ყიფიანი 1869: 2). ქართულ ტექსტში შიგადაშიგ გამოყენებულია ძველი, ე. წ. ფუნქციადაკარგული, ასოები (ჴ, ჟ, ჳ, ჵ). წინამდებარე პუბლიკაციაში ძველი ასოები ჩვენ მიერ თანამედროვე ქართულის ორთოგრაფიული ნორმების მიხედვითაა გამართული.

ბეც-ში, დიმ. ყიფიანის არქივში (საქ. №116. ავტოგრაფი. რუსულ ენაზე. ფ. 2) დაცულია სია იმ პირებისა, ვისთვისაც დიმ. ყიფიანს თავისი ბროშურა გაუგზავნია – „Расход моей брошюры. На русском языке – 88, на грузинском – 188“ [„ვის გაუგზავნე ჩემი ბროშურა. რუსულ ენაზე – 88, ქართულზე – 188“]. სიაში სხვებთან ერთად არიან: ბარონი ალ. ნიკოლაი, ეგზარქოსი ევსევი, ვლადიმერ ბუტკოვი, ნიკოლოზ ვოდოვი, ივანე სლივიცკი, ვახტანგ და მამუკა ორბელიანები, გრიგოლ რჩეულიშვილი, დავით მაჩაბელი, ანტონ ფურცელაძე, მათე გამაზოვი და სხვ.

სამეგრელოს სამთავრო ქონების მეურვეობის ისტორიის შესახებ სანდო ინფორმაცია თვითონ წინამდებარე ტექსტშია მოცემული. საქმის გარშემო დიმ. ყიფიანის ნაწერების მცირე ნაწილი ამავე ტომშია შესული (დღიურები, მემუარები), დანარჩენი ვრცელი და მრავალფეროვანი მასალა (ხელისუფლების წარმომადგენლებსა და საქმესთან დაკავშირებულ სხვა პირებთან დიმ. ყიფიანის ოფიციალური მიმონწერა, პატაკები, ახსნა-განმარტებანი და სხვ., აგრეთვე, წერილები ეკატერინე დადიანსა და ნიკოლოზ დადიან-მინგრელსკისთან, დადიანების ფინანსურ პრეტენზიებსა და ამის გამო გამართულ სასამართლო პროცესებთან დაკავშირებული ტექსტები და სხვ.)

მოგვიანებით შესაბამის ტომებში გამოქვეყნდება. აქ კი მოკლედ იმას ვიტყვით, რომ ნ. დადიან-მინგრელსკი დიმ. ყიფიანს 113 000 მანეთს ედავებოდა (ავალიშვილი 1871), თუმცა საბოლოოდ სასამართლომ დიმიტრის 50 000 მანეთის გადახდა დააკისრა [იხ. აქვე, გვ. 437 ნიკო ნიკოლაძე სხვა თანხას ასახელებს – 56 000 მანეთს (ნიკოლაძე 1964^ა: 311). 1880 წლის 28 ნოემბერს კი თ. სმირნოვისადმი გაგზავნილ წერილში დიმ. ყიფიანი აღნიშნავს – მინგრელსკის სასარგებლოდ 50 000 მანეთზე **მეტის** გადახდა დამეკისრაო (ხეც. დიმ. ყიფიანის არქ., საქ. №792. ფ. 1)]. საბოლოოდ, 1880-იან წწ., დავა დიმ. ყიფიანსა და ნ. დადიან-მინგრელსკის შორის მორიგებით დასრულდა (იხ. აქვე, გვ. 399).

¹ (გვ. 11) „...უგანათლებულეს მთავრინას ეკატერინე ალექსანდროვნას“ – იგულისხმება ეკატერინე ალექსანდრე *ჭავჭავაძის* ას. დადიანი. იქვე ნახსენები „იმისი შვილი“ კი სამეგრელოს მთავრის, დავით დადიანის, მცირეწლოვანი მემკვიდრე ნიკოლოზ (ნიკო) დადიანია.

² (გვ. 11) „ავვისტოს ნახევარს გამოვბრუნდი იქიდან, – ამ ნოემბრამდის სოფელში ვიყავ“ – რუსულ ტექსტში დაზუსტებულია, თუ რომელ რიცხვამდე იმყოფებოდა ავტორი სოფელში [ქვიშხეთი] – „11 ნოემბრამდე“ (ყიფიანი 1868: 3).

³ (გვ. 11) „...ერთი კვირით“ – რუსულ ტექსტში: „...ათიოდ დღით“ (ყიფიანი 1868: 3).

⁴ (გვ. 12) „აპეკუნად ვიყავ ... იმავე საკუთრების მმართველად, პატრონებისაგან რწმუნების წერილის ძალით“ – რუსულ ტექსტში დაზუსტებულია პატრონების მიერ საკუთრების მმართველად გადაცემის დრო – „მაშინვე, დაუყოვნებლივ“ (ყიფიანი 1868: 4).

⁵ (გვ. 12) „ინვენტარია შედგენილიყო იმათის საკუთრებისა“ – სამეგრელოს სამთავრო ოჯახის ქონების ინვენტარიის შესახებ იხ. აქვე: „დღიური 1857-1858 წლებისა“.

⁶ (გვ. 12) „აპეკუნად დანიშნა მთავრინამ სიძე თავისი და ძმა“ – სიძეში იგულისხმება ეკატერინე დადიანის დის,

სოფიო ალექსანდრეს ას. ჭავჭავაძის, მეუღლე ალექსანდრე ნიკოლაი, ხოლო *ძმაში* – დავით ალექსანდრეს ძე ჭავჭავაძე, რომლებიც 1857-1859 წწ. (ე. ი. დიმ. ყიფიანამდე) სამეგრელოს მთავრის ქონების მეურვეები იყვნენ (იხ. აგრეთვე, აქვე, გვ. 203-204). რუსულ ტექსტში: „აპეკუნად დანიშნა... თავისი ძმები“ (ყიფიანი 1868: 5).

⁷ (გვ. 13) „...მაშინდელს ნამესტნიკს“ – ნამესტნიკსა და ქვემოთ ნახსენებ ფელდმარშალში იგულისხმება კავკასიის მეფისნაცვალის (1856-1862) ალექსანდრე ბარიატინსკი.

⁸ (გვ. 13) „ნამესტნიკის სოვეტის ჩლენად ვიყავ“ – დიმ. ყიფიანი კავკასიის ნამესტნიკის [მეფისნაცვლის] სოვეტის [საბჭოს] ჩლენად [წევრად] იყო 1857 წლის 9 აპრილიდან (დაამტკიცეს იმავე წლის 8 მაისს) 1862 წლის 21 ივნისამდე (იხ. დიმ. ყიფიანის ნამსახურობის სია – ხეც. დიმ. ყიფიანის არქ., საქ. №29, ფ. 105, 108).

⁹ (გვ. 13) „მოისმინა ჩემი მიზეზების მოხსენება“ – აქ ნახსენები მიზეზების შესახებ იხ. აქვე, გვ. 84-85, 204-206.

¹⁰ (გვ. 13) „დავდეგ აპეკუნად 1859-ის წლის აპრილის თვეში“ – რუსულ ტექსტში: „დავდეგ აპეკუნად 1859 წლის დასაწყისში“ (ყიფიანი 1868: 6).

¹¹ (გვ. 14) „ოცის წლის მეგობარი იყო ჩემი და დავჰკარგე იმისი მეგობრობა“ – იგულისხმება სამეგრელოს მმართველი, გენერალი ნიკოლოზ კოლიუბაკინი, რომელთანაც დიმ. ყიფიანს, როგორც მეურვეს, გამწვავებული ურთიერთობა ჰქონდა (იხ. ხეც. დიმ. ყიფიანის არქ., საქ. №№423-425 და სხვ.).

¹² (გვ. 14) „დასაკარგავად აღარ ვჰზოგავდით ერთმანერთსა“ – აქ უნდა იგულისხმებოდეს კონსტანტინე დადიანის მიერ დიმ. ყიფიანისგან აღებული ვალის დაუბრუნებლობასთან დაკავშირებული კონფლიქტი, რომელიც 1870-იან წწ. სასამართლო დავაში გადაიზარდა, ხოლო 1882 წ. ზუგდიდის სასამართლო პალატის გადაწყვეტილებით კონსტანტინე დადიანის ქონების დაყადაღებამდე მივიდა (ხეც. დიმ. ყიფიანის არქ., საქ. №№505-509).

¹³ (გვ. 14) „სოვეტის ჩლენობის თანამდებობილამ გადა-
მაყენეს და მომიჭრეს ჯამაგირი, რომელიც მაცხოვრებდა
ჩემის წოდების შესაბამად“ – დიმ. ყიფიანი სამეგრელოს
სამთავრო სახლის ინტერესთა დაცვის გამო ალ. ბარიატინ-
სკიმ სახელმწიფო სამსახურიდან 1862 წლის ივნისში დაი-
თხოვა (საკითხის შესახებ იხ. ყიფიანი 2018: 424-425).

¹⁴ (გვ. 14) „შორი მგზავრობაცა, როგორც პეტერბურღ-
სა და პარიჟსა...“ – სამეგრელოს სამთავრო სახლთან და-
კავშირებული საქმეების გამო დიმ. ყიფიანი პეტერბურღში
იმყოფებოდა 1860 წლის აპრილიდან 1861 წლის ზაფხულამდე
(იხ. დიმ. ყიფიანის წერილები მეუღლის, ნინო ჭილაშვილ-ყი-
ფიანისადმი – ქლსმ. №№ 14779-14830-ბ), პარიზში კი (ეკატე-
რინე დადიანთან ერთად) – „1866 წლის დამდეგს“ (ყიფიანი
1930: 114), უფრო ზუსტად – იანვრიდან (ხეც. დიმ. ყიფიანის
არქ., საქ. №811) 19 მაისამდე (ზსიამ. ლ. ა. №1862). სხვათა შო-
რის, დიმ. ყიფიანმა პარიზში ყოფნისას ეკატერინე დადიანის
შესახებ წერილი გამოაქვეყნა იქაურ გაზეთში „L'Evenement“
(„მოვლენები“) (თვითონ წერილი, აგრეთვე, მასალა საკითხის
შესახებ იხ. ყიფიანი 2017^ა: 50-51, 257-261).

¹⁵ (გვ. 14) „...და იმ დღეს გაუქმდა აპეკაცა“ – დიმ. ყიფი-
ანის სამეურვეო საქმეები მაშინ დასრულდა, როცა სრულწლო-
ვანებას მიღწეულმა ნიკოლოზ დადიანმა თავის დაბადების
დღეზე, 1867 წლის 4 იანვარს, იმპერატორ ალექსანდრე II-ს
მიმართა უქვეშევრდომილესი მოხსენებით – იგი ხელს იღებ-
და სამეგრელოს მთავრის უფლებებზე და თავის სამთავროს
რუსეთის უშუალო გამგებლობაში გადასცემდა (ტექსტი ნი-
კოლოზ დადიანის მოხსენებისა იხ. ყიფიანი 2017^ბ: 262-263).

¹⁶ (გვ. 16) „ათიოდე დღეს დავრჩი კიდევ იქა, ჩემს შვი-
ლებთან“ – რუსულ ტექსტში დაზუსტებულია, თუ სად დარ-
ჩა ავტორი ათიოდე დღეს – პეტერბურღში. რაც შეეხება
შვილებს, ესენი არიან ნიკოლოზ და კოტე ყიფიანები, რომ-
ლებიც იმ დროს უმაღლესი განათლების მისაღებად პეტერ-
ბურღში იმყოფებოდნენ [ნიკოლოზი 1867 წელს ჩაირიცხა

პეტერბურგის უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე, თუმცა სტუდენტურ მღელვარებებში მონაწილეობისთვის 1869 წელს გარიცხეს, ჩამოართვეს სწავლის გაგრძელების უფლება, დაუნიშნეს მუდმივი მეთვალყურეობა, აუკრძალეს დედაქალაქებსა (პეტერბურგი, მოსკოვი) და მათ გარეუბნებში ცხოვრება და ადმინისტრაციული წესით სამშობლოში დაბრუნეს (კალანდაძე 1985: 637-642; უფრო ვრცლად – რატიანი 1984: 167-201, 231, 234-235, 241-244). რაც შეეხება კოტე ყიფიანს, იგი ამ დროს მამას სამხატვრო აკადემიაში ჰყავდა მიბარებული, თუმცა თვალების დაავადების გამო კოტემ ვერ შეძლო სწავლის გაგრძელება, შემდეგ კი წავიდა მოსკოვში და იქ პეტროვსკო-რაზუმოვსკის სამინათმოქმედო-სატყეო აკადემიის კურსი დაასრულა (ყიფიანი 1964: 14; გომართელი 1966: 120-121)].

¹⁷ (გვ. 18) „ფოთიდან მომივიდა პირველი ამბავი“ – რუსულ ტექსტში დაზუსტებითაა ნათქვამი, თუ სად მიუვიდა ავტორს *პირველი ამბავი – თბილისში* (ყიფიანი 1868: 10).

¹⁸ (გვ. 18) „ჯერ პირდაპირ ბორჯომს ინებებდნენ წასვლას მათა უმაღლესობათვის“ – მის უმაღლესობაში იგულისხმება კავკასიის მაშინდელი მეფისნაცვალი, დიდი მთავარი მიხეილ ნიკოლოზის ძე. რუსულ ტექსტში ეკატერინე და ნიკოლოზ დადიანების ბორჯომში წასვლის შესახებ არაფერი წერია, ხოლო ეკატერინესა და კონსტანტინე დადიანს შორის ჩამოვარდნილი წყენის მიზეზად ის არის დასახელებული, რომ კონსტანტინემ პეტერბურგიდან ჩამოსულ ეკატერინე დადიანს სახლი შესაფერისად მომზადებული ვერ დაახვედრა (ყიფიანი 1868: 11).

¹⁹ (გვ. 22) „გორდის გზა ქვეითად ჩამოვიარე ბუმბუას ხიდამდინ“ – *ბუმბუას/ბომბუას ხიდის* (ამჟამად მხოლოდ ნაშთია შემორჩენილი) სახელწოდება გადმოცემის მიხედვით, უკავშირდება რომელიმე მხედართმთავარს, პომპეუსს, რომელსაც ეს ხიდი მდინარე ცხენისწყალზე ძვ. წ. 65 წელს აუგია, თუმცა ამ ვერსიას უარყოფს ალ. ცაგარელი: „ამ სახელწოდება“

დების გასარკვევად არაფერ შუაშია დიდი რომაელი მხედართუფროსი, რადგანაც ჩვენ თვითონ გვყავს ბომბუაშვილები, რომელთაგანაც, დარწმუნებით შეიძლება ითქვას, მიიღო სახელწოდება ბომბუას ხიდმა“ (კინწურაშვილი 1974: 43).

²⁰ (გვ. 22) **„ოტია ჩიქოანმა მითავაზა და თან გამომაყოლა თავისი ცხენი“** – რუსულ ტექსტში ოტია ჩიქოანის (ჩიქოვანის) შეთავაზება ნახსენები არ არის.

²¹ (გვ. 23) **„უკანასკნელი ჩემი ანგარიში 1867 და 1868-ისა“** – რუსულ ტექსტში 1868 წლის ანგარიშის შესახებ დაზუსტებულადაა ნათქვამი – **„...1868 წლის 1 აგვისტომდე“** (ყიფიანი 1868: 15). თვითონ ანგარიში იხ.: ვრცლად 1859-1866 წლებისა – ხეც. დიმ. ყიფიანის არქ., საქ. №428; 1867 წლიდან 1868 წლის 1 აგვისტომდე – იქვე, საქ. №453; მოკლედ 1859-1867 წლებისა – იქვე, საქ. №707.

²² (გვ. 24) **„მოქალაქობისა...“** – იგულისხმება **„საქალაქო“**. რუსულ ტექსტში: **„...городских пошлин“** (ყიფიანი 1868: 16).

²³ (გვ. 24) **„...აქ სრულიად არა არის რა“** – ესა და წინა სქოლიო რუსულ ტექსტში არ არის.

²⁴ (გვ. 24) **„კავკასიის კომიტეტში...“** – პეტერბურგში მოქმედი საგანგებო უწყებათმორისი ორგანო – **„Кавказский комитет“**. „კავკასიის კომიტეტში“ განიხილებოდა ისეთი საკითხები, რომელთა შესახებ ერთპიროვნული გადაწყვეტილების მიღება აღემატებოდა როგორც კავკასიის ხელისუფლების, ისე იმპერიის ცალკეული სამინისტროების უფლებამოსილებას („კავკასიის კომიტეტის“ შესახებ იხ. ყიფიანი 2017^ა: 335-336).

²⁵ (გვ. 25) **„ქუთაისის ხაზინიდან ერთი ორად გარდმოცემული...“** – რუსულ ტექსტში ნათქვამია, რომ ქუთაისის ხაზინიდან ფულის **„გარდმოცემა“** შეცდომით მოხდა – **„...ошибочно отпущенных“** (ყიფიანი 1868: 18).

²⁶ (გვ. 26) **„თვით მთავრინას და დანარჩენს მისს შვილებს“** – რუსულ ტექსტში შვილების რაოდენობა დაზუსტებულია: **„მთავრინასა და მის დანარჩენ ორ შვილს“** (ყიფიანი 1868: 19). ამ დროს, გარდა ნიკო დადიან-მინგრელსკისა,

ეკატერინე დადიანს კიდევ ორი შვილი ჰყავდა: სალომე და-
დიანი-მიურატი და ანდრია დადიანი (დავით და ეკატერინე
დადიანების კიდევ ერთი შვილი, 1853 წელს დაბადებული
თამარი, 1859 წელს პეტერბურგში გარდაიცვალა. მასზე მე-
მიურისტი ანა ტიუტჩიევა წერს: „მე დღეს [ალექსანდრე II-ის
ბავშვებთან სათამაშოდ] მოვიწვიე ყოფილი დედოფლის ქა-
ლიშვილი თამარი. ეს გოგონა ავად გახადა სამშობლოსაგან
მოშორებამ. ის მეფის უფროსი ასულის ტოლია. მისი გამხდა-
რი სახე სავსეა დარდით და სევდით. მე ვერაფრით ვერ ვაი-
ძულე იგი ეთამაშა და ორი საათის შემდეგ აცრემლებულმა
დამინყო მუდარა, რომ სახლში გამესტუმრებინა“ – მახათაძე
1967: 194).

²⁷ (გვ. 26) **„ადგილობრივი მენგრელიის მმართველი“** –
იგულისხმება გენერალი ნიკოლოზ კოლიუბაკინი.

²⁸ (გვ. 26) **„გადაეჭარბება თვითქმის ერთიათას ოთხას
ორმოცდა ცხრამეტად“** – რუსულ ტექსტში სხვა მონაცემია
– **„თითქმის 550-ჯერ“** (ყიფიანი 1868: 19).

²⁹ (გვ. 26) **„განარჯიას მუხურს, რომლისაც მფლობელო-
ბა მმართველობამ თვითან დაუმტკიცა მთავარსა“** – რუ-
სულ ტექსტში დაკონკრეტებულია, თუ როდის დაუმტკიცა
მმართველობამ განარჯიას მუხური სამეგრელოს მთავარს –
„ამ ამბებამდე 9 წლის წინ“ (ყიფიანი 1868: 20).

³⁰ (გვ. 26) **„ცალს მხარეზე მარტო აპეკა დარჩა და მეო-
რეზედ ხალხი და მმართველნი მისნი“** – აპეკის, ხალხისა
და მმართველთა დაპირისპირებაზე, ზოგადად დიმი. ყიფიანის
სამეურვეო საქმეებთან დაკავშირებულ საქმეებზე, ვრცლად
და შიგადაშიგ მეტისმეტად ტენდენციურად წერს კ. ბოროზ-
დინი (ბოროზდინი 1934: 159-160, 280-282, 290-292, 311-320,
322, 324-328; საშვილიშვილო მოკავშირე... 2007: 52-68). ჩანს,
სწორედ ამ დაპირისპირების ერთ-ერთი გამოხატულებაა კონ-
სტანტინე ნიჟარაძის ერთი უთარილო წერილი (მითითებულია
დანერის თვე და რიცხვი, ხოლო წელი არ არის მითითებული)
დიმი. ყიფიანისადმი, რომელსაც აქ სრულად ვიმონებთ:

„უმონყალესო და უძვირფასესო ბატონო დიმიტრი ივანეს ძე!

მე თითონ მინდოდა ხლება თქვენთან, მაგრამ ვერ დავახერხე და ჩემი ძმა იოსებმა გამოვგზავნე. მიზეზი გახლავსთ შემდგომითი გარემოება. –

დღეს შვადლისას დამიბარა ლევან ქორქაშვილმან და მითხრა საიდუმლოთ, რომა მე შევიტყუო დიდის საიდუმლოთი ვითომც მენგრელებს ქონდეს განზრახვა თქვენის სიკვდილისა და მერმეთ იმაზედ ბუნტის აშენებაო, თუმცა მაინცა და მაინც არ შემიდლიანო ეგ დამტკიცებით თქმა, რომ მართალი იყოსო, მაგრამე ამასაც კი ვიტყვიო, რომა არაოდეს ზოგიერთებს იქაურს იმათი კეთილი არა სურსო და არც არაფელს ცუდს დაიშურებენო. ეხლა შემდგომ ესრეთის ხმებისა ჩემი მოხსენება საჭირო არ არის, მაგრამე ცოტა თავდარიგი რომ იქონიოთ ვითომ რა ცუდი იქმნება, სანამ ამას განიზრახვიდეს ვინმე თქვენზედ, თვითონ უნინ ამოახდენს ღმერთი სულსა. –

შენი მორჩილი კონსტანტინე ნიჟარაძე

22 აგვისტო. მეოთხე საათზედ“ [ხეც. დიმ. ყიფიანის არქ., საქ. №1550. ფ. 2 (წერილს თავზე დიმ. ყიფიანის ხელით აწერია: „მივიღე 23 აუგვისტოს. გორდს)].

მეურვის მოქმედებების გამო ჩამოვარდნილი უკმაყოფილების შესახებ 1859 წლის 3 აგვისტოს დიმ. ყიფიანი გორდიდან სწერს გიორგი [დადიანს; გვარი წერილში არ არის მითითებული]:

„ზოგნი პატიოსანნი პირნი აქა იქ ბრძანებენ, ყიფიანი ასე და ასე ჰმოქმედებს, ამას და ამას განიზრახავს და ჩვენ ვერ დავკბომობთო. – როგორ ვმოქმედებ და რას განვიზრახავ, შენ კარგათ იცი. რომ შემეძლოს, მაინც ვერა ვის რას წავართმევ უსამართლოებით ამაღ, რომე პასუხისმგებელი ვიქმნები წინაშე ღვთისა და ქვეყანაზედ ისეთი მტერი არსად მეგულება, რომ ამგვარი პასუხის

გება მისთვის ვისურვო. რაოდენიც კაცისაგან შესაძლებელია, უნდა ვიმეცადინო, რომ მცირეწლოვანს მთავარს, პატარას თქვენს ნიკოს არა ვინ რა წაართვას უსამართლოებით, ამაღ, რომე პასუხის მგებელი ვიქმნები წინაშე კანონისა და ისეთი მტერი არა ვარ ჩემის საკუთარის ოჯახისა და ჩემის შვილებისა, რომ ჩემი დაუდევნელობა მათ დაუტევეო პასუხის საგებელად. – ეს არის გზა ჩემის მოქმედებისა და თუ ცხადად ანუ იდუმალად ჰდრტვინავს ვინმე ამგვარს მოქმედებაზედ, უეჭველია, რომ სვინიდიის ჰქენჯნის მას და წრფელის გულით ურჩევდი მას, რომ სვინიდიის განიწმინდოს. იმედი მაქვს შენის განწმენდილის გულისაგან და შენის სიმართლის მოყვარებისაგან, რომ შენც ასე ურჩევ, ვისგანაც ისეთს უგუნურს დრტვინვას გაიგონებ“ (ხეც. დიმ. ყიფიანის არქ., საქ. №703, ფ. 2).

მოგვიანებით, 1863 წლის 7 იანვარს, დიმ. ყიფიანი ზუგდიდთან პარიზში სწერს ეკატერინე დადიანს:

„ადგილობრივი მთავრობა ჩემზედ არის მომდგარი და საქმე კბილით მიჭირავს; მაგრამ თან და თან მეც მაკლდება ღონე; ვჰგრძნობ, რომ აღარ შემიძლია მარტო ტრიალი. მეგობრები (კოლუბაკინები) მოსისხლე მტრად გადამეკიდნენ... – ჩემი საქმე ისეა, რომ საქმელ-სასმელზედ მაფთხილებენ, არა შემოგაპარონ რაო და მერე რაღა დაუშლის თქვენის სახლის დანგრევასა. – მე ამ სამს თვეში არა გამიკეთებიარა მოსეული მგლების მოგერების მეტი; მაგრამ ვიღალეები, როგორც მოგახსენე, და თუ მე არ ავიღე ხელი, ძალათ ამაღებინებენ“ (ზსიამ. ლ. ა. №1811. ფ. 2).

უნდა ითქვას, რომ სამეგრელოს სამთავრო მამულებისა და ქონების გამგებლობას, ადგილობრივ მმართველობასა და ხალხს შორის მწვავე დაპირისპირება დაიწყო მანამ, სანამ დიმ. ყიფიანი „აპეკუნი“ (მეურვე) გახდებოდა. ასე, მაგალითად, 1859 წლის 13 აპრილს დიმ. ყიფიანი თბილისიდან პეტერბურგში სწერს ეკატერინე დადიანს:

„რაც დღეს საქმეები მივიბარე, იქიდან ჰსჩანს, რომ ჩვენი გამგებელი* და ადგილობრივი მთავრობა ისე არიან დატაკებულნი, რომ იმათი დაზავება ყოვლად შეუძლებელია; ქალაქის ომი აქვთ გამართული და ამ გვარს წინააღმდეგობას უნდებია... ადამიანებში არა ვინა ჰრჩება ისეთი არც ზევით და არც ქვევით, რომ [ი. ლორთქიფანიძეს] არ ემდუროდენ და არ ეწინააღმდეგებოდნენ... მხოლოდ ეს მესმის და საქმეებიდამაცა ჰსჩანს, რომ ყველანი იმისნი წინააღმდეგნი არიან და ყველას წინააღმდეგი ის არის. ამითი საქმე არასოდეს არა გარიგდება და არც რიგდება“ (ხეც. დიმ. ყიფიანის არქ., საქ. №704, ფ. 2).

³¹ (გვ. 27) **„ფაქუში, ოცარცე, რომელზედაც დიდი დავები იყო მთავრობის დროსვე“** – რუსულ ტექსტში **ამოგებულ** საქმეთა შორის დასახელებულია აგრეთვე **სალიპარტიანოს მიწები** („...о Салипартианских землях“).

³² (გვ. 27) **„ხშირად აძლევენ ახლა სადავო ფასის ათის თავსა“** – იგულისხმება მოგებული დავის ღირებულების 10% (ე. ი. მეათედი, ათის თავი), რომელიც ვექილს ჰონორარის სახით ერგებოდა (ყიფიანი 1868: 20).

³³ (გვ. 28) **„აპეკუნად 8 წელიწადს ვიყავ და არა 9-ს“** – რუსულ ტექსტში დაზუსტებულია **„აპეკუნობის“** პერიოდი – **1859-1866 წლები** (ყიფიანი 1868: 20).

³⁴ (გვ. 31) **„...ვითარცა ღლავნი-ოპეკუნშას“** – **„ღლავნი-ოპეკუნშა“** მთავარ (ძირითად) მეურვეს ნიშნავს (რუს. Главный – მთავარი; Опекунша – მეურვე).

³⁵ (გვ. 33) **„კნ. მინგრელსკიმ მამაშას...“** – **„მამაშაში“** (რუს. Мамаша იგივეა, რაც Мама – დედა), ისევე, როგორც

* იგულისხმება სამეგრელოს სამთავრო მამულებისა და ქონების იმდროინდელი მმართველი ირაკლი ლორთქიფანიძე, რომელიც დიმ. ყიფიანმა, მიუხედავად იმისა, რომ მის კეთილსინდისიერებაში ეჭვი არ ეპარებოდა (ხეც. დიმ. ყიფიანის არქ., საქ. №704, ფ. 2), 1859 წლის ზაფხულში საქმეში უუნარობის მიზეზით ამ თანამდებობას ჩამოაშორა (ხეც. დიმ. ყიფიანის არქ., საქ. №706, ფ. 1).

იქვე ნახსენებ „უგანათლებულეს მთავრინაში“ იგულისხმება ეკატერინე დადიანი.

საუპარი მიხეილ ნიკოლოზის ძესთან ბორჯომში
1885 წლის 11 ოქტომბერს (გვ. 34-37)

ხელნაწერი: ხეც. დიმ. ყიფიანის არქ., საქ. №92. ავტოგრაფი. პირი. რუსულ ენაზე. ფ. 2 (იქვეა მეორე ხელნაწერი, რუსულ ენაზე. იგი უცნობი ხელითაა ნაწერი და იმეორებს ავტოგრაფს. ფ. 2).

ნაბეჭდი: შ. ჩხეტია. მასალები დიმიტრი ყიფიანის მკვლევლობაზე. „საისტორიო მოამბე“. [ტ.] 3. 1947. გვ. 407-409.

თარიღი: 11 ოქტომბერი 1885. ბორჯომი.

ხელმოწერა: Дим. Кипиани.

1885 წლის აგვისტოში საქართველოს ესტუმრა კავკასიის ყოფილი მეფისნაცვალის და იმჟამად რუსეთის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარე, დიდი მთავარი მიხეილ ნიკოლოზის ძე, რომელიც ბათუმიდან ქუთაისის გავლით თავის ბორჯომის მამულში მიემგზავრებოდა. დიმ. ყიფიანი, როგორც იმერეთის (არსებითად მთელი დასავლეთ საქართველოს) თავადაზნაურობის წინამძღოლი, დიდ მთავარს ბათუმში დახვდა და მას ბორჯომამდე ეახლა. იმავე წლის 5 ოქტომბერს უკან, ბათუმში, მიმავალ მიხეილ ნიკოლოზის ძეს ქუთაისის საზოგადოებამ ვახშამი გაუმართა. ამ ვახშამზე ქუთაისის ქალაქისთვის, ლუკა ასათიანისა და დიმ. ყიფიანის, როგორც ქუთაისის გუბერნიის თავადაზნაურობის წინამძღოლის, მისასალმებელ სიტყვებში, მართალია, არა ღიად და პირდაპირ, თუმცა გარკვეული მინიშნებებით, ე. წ. იგავური ენით გამოითქვა უკმაყოფილება მეფისნაცვალ ალ. დონდუკოვ-კორსაკოვის მიერ ქართველთა მიმართ გატარებული დისკრიმინაციული პოლიტიკის გამო. კერძოდ, ლუკა ასათიანის თქმით,

„თუ წარსულ დროში ცენტრალური დანესებულებებიდან შორს ყოფნა პრობლემებს გვიქმნიდა, თქვენი უმაღლესობის 18-წლიანი მმართველობა იყო რუსეთთან – ჩვენს საერთო მამულთან – თანამიმდევრული შეკავშირებისა და გაერთიანების პერიოდი.

ჩვენი წარმოდგენით, სულ სხვა გზით მივყავართ თქვენს შემდგომ შექმნილ ვითარებას, რაც ამძიმებს ჩვენს მდგომარეობას. მიუხედავად ამისა, არ არსებობს ძალა, რომელიც შეარყევს ჩვენს ქვეშევრდომულ გრძნობებსა და განუზომელ ერთგულებას ხელმწიფისა და ტახტის მიმართ. და ჩვენ უმორჩილესად ვთხოვთ თქვენს უმაღლესობას, მიიტანოთ ჩვენი ეს გრძნობები მის იმპერატორობით დიდებულებამდე“ (ხეც. დიმ. ყიფიანის არქ., №289, ფ. 1).

დიმ. ყიფიანმა კი თავის სიტყვაში მხარი დაუჭირა ლუკა ასათიანის მიერ გამოხატულ ნუხილს:

„თქვენი უმაღლესობის წინაშე ვადასტურებ მთელი ნოდებრივი ფენის [იმერეთის თავადაზნაურობის – თ. ჯ.] სოლიდარობას იმ გრძნობების მიმართ, ახლახან ქალაქისთავმა რომ გამოხატა. თავადაზნაურობა ისევე, როგორც მთლიანად მოსახლეობა, გრძნობს რა თქვენს კეთილგანწყობილ ყურადღებას, სამომავლოდაც თქვენზე – სათაყვანებელი მონარქის უმაღლეს და უახლოეს წარმომადგენელზე, ამყარებს მთელ თავის იმედებსა და სასოებას“ (ხეც. დიმ. ყიფიანის არქ., №289, ფ. 2).

ხელისუფლების გაღიზიანების მიუხედავად (ალ. დონ-დუკოვ-კორსაკოვს დაძაბული ურთიერთობა ჰქონდა მიხეილ ნიკოლოზის ძესთან) დიმ. ყიფიანმა გადანწყვიტა, დიდ მთავარს ბორჯომში სწვეოდა და ზოგიერთი საკითხი დაეზუსტებინა. წინამდებარე ტექსტში ეს შეხვედრაა აღწერილი.

უნდა ითქვას, რომ მიხეილ ნიკოლოზის ძესთან შეხვედრას, დალოგის ჩანერასა და შემდეგ დიმ. ყიფიანის მიერვე ამ ჩანანერის გავრცელებას ხელისუფლების (მეფისნაცვალი ალ.

დონდუკოვ-კორსაკოვი, კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველი კ. იანოვსკი, ქუთაისის სამხედრო გუბერნატორი ა. სმეკალოვი და სხვ.) მხრიდან მწვავე ფორმებით გამოვლენილი აგრესია მოჰყვა, დაპირისპირება გასცდა საქართველოს ფარგლებს, საქმეში ჩართეს რუსეთის შინაგან საქმეთა მინისტრი და ჟანდარმთა შეფი დიმიტრი ტოლსტოი და ეს კონკრეტული კონფლიქტი საბოლოოდ იმპერატორ ალექსანდრე III-ის მიერ დიმ. ყიფიანისთვის „გაკიცხვის გამოცხადებით“ დასრულდა („...сделать ему должное внушение“ – ჩხეტია 1947: 417; საკითხის შესახებ იხ. აქვე: „იმ ფაქტების შესახებ...“, გვ. 42-45; ჯორჯაძე 1909; ჯორჯაძე 2011: 66-71; დოკუმენტური მასალა იხ.: ჩხეტია 1947: 411-433; კეზევაძე 2009: 73-77, 80-82).

რაც შეეხება ლუკა ასათიანსა და მის მიერ წარმოთქმულ სიტყვას, ამის შესახებ დავით კლდიაშვილი წერს:

„საჩქაროდ მოითხოვეს ნათქვამი სიტყვის ტექსტი ტფილისში და ასათიანი ძლივს გადაარჩინეს, ქალაქის თაობიდან რომ არ გადაეყენებინათ. იმ დღიდან ამომიჩემაო, იტყოდა ასათიანი, ამომიჩემა დონდუკოვმა და დამიპირა კავკასიიდან გადასახლებაო; ხშირად საზეიმო წვეულებაზედ დაცინვით ამბობდა ხოლმე დონდუკოვ-კორსაკოვი, რატომ ქუთაისის ქალაქის თავს არ ჰპატიჟობთ სიტყვის წარმოსათქმელადო. ცუდი რალაც მომელოდაო, ამბობდა ასათიანი, მაგრამ ამ დროს მოხდა სემინარიის რექტორის ჩუდეცკის მოკვლა ლალიაშვილისაგან, ეგ ზარხოს პავლესაგან ქართველი ხალხის დაწყევლა ამბიონიდან, რამაც გამოიწვია დიმიტრი ყიფიანისაგან ეგ ზარხოსისადმი მიმართული წერილი. ატყდა ამ წერილზე დიდი ალიაქოთი. დონდუკოვმა ასათიანს თავი დაანება და თავისი გამძღავრებული რისხვა ყიფიანზე გადაიტანა“ (კლდიაშვილი 1947: 650).

დიმ. ყიფიანის წინამდებარე ტექსტი უსათაუროა. **დასათაურება ჩვენია.**

¹ (გვ. 34) „ქუთაისში 5 ოქტომბერს გამართული ვახშმის შემდეგ...“ – ქუთაისში გამართული ვახშმის შესახებ იხ. ზემოთ.

² (გვ. 35) „ქართველი თავადაზნაურობისგანაც მომისმენია“ – ქართველი თავადაზნაურობა: იგულისხმება ქართლ-კახეთის (აღმოსავლეთ საქართველოს) თავადაზნაურობა.

³ (გვ. 35) „თუ ეს „პრიკაზის“ ვალებს ეხება...“ – „პრიკაზი“: მეფისნაცვალ მიხ. ვორონცოვის ინიციატივით 1848 წელს დაარსებული საადგილმამულო-საკრედიტო დაწესებულება – „ამიერკავკასიის საზოგადოებრივი სამზრუნველო დაწესებულება“ („Закавказский приказ общественного призрения“) („პრიკაზზე“ იხ. ყიფიანი 2019: 429).

⁴ (გვ. 35) „სიტყვამ „ადგილობრივი“ შეურაცხყოფელი შინაარსი შეიძინა“ – „ადგილობრივი“: დედანშია – Туземец. ამ სიტყვას ქართველები ეროვნული ღირსების დამამცირებლად მიიჩნევდნენ და მტკივნეულად აღიქვამდნენ, თუმცა თავისი პირდაპირი მნიშვნელობით იგი სხვას არაფერს ნიშნავს, თუ არა ადგილობრივ მკვიდრს, თავდაპირველ ბინადარს, ძირეულ მოსახლეს, აბორიგენს, ავტოქტონს („Туземец – მკუიდრი მის ქუეყნისა, იქაური, მუნებური“ – ჩუბინაშვილი 1973: 568).

⁵ (გვ. 35) „თუ ეს ყველაფერი მისი უდიდებულესობის, ხელმწიფე იმპერატორის, ნების გამოხატულებაა...“ – ხელმწიფე იმპერატორი: იგულისხმება ალექსანდრე III.

იმ ფაქტების შესახებ, რომლებმაც ქუთაისის
გუბერნიის თავადაზნაურობის მიმართ
ხელისუფლების ზოგიერთი წარმომადგენლის
გულისწყრომა გამოიწვია (გვ. 38-76)

I.

ხელნაწერი: ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი. დიმ. ყიფიანის
არქივი. საქმე №1956. ავტოგრაფი. შავი. ქართულ ენაზე. ფ. 16.

ნაბეჭდი: საშვილიშვილო მოკავშირე – დიმიტრი ყიფიანი (მასალები XIX საუკუნის ქართული საზოგადოებრივი აზრის ისტორიისათვის). შეადგინა, გამოსაცემად მოამზადა, რუსული ტექსტები თარგმნა, წინასიტყვაობა, ბიბლიოგრაფიული შენიშვნები, კომენტარები და საძიებლები დაურთო თ. ჯოლოგუამ. [ტ.] I. თბილისი: ლომისი. 1997, გვ. 21-44.

თარიღი: 14 ნოემბერი. 1886 წ.

ხელმოწერა: დიმიტრი ყიფიანი.

იქვეა რუსული დედანი (№1956. ფ. 27. ავტოგრაფი. გადათეთრებული. თარიღი: 14 ნოემბერი. 1886 წ.; ხელმოწერა: Димитрий Кипиани). **წინამდებარე ქართული ტექსტი დიმიტრი ყიფიანს აქედან აქვს თარგმნილი.** სათაური აქვს რუსულ ტექსტს („Записка о фактах, породивших негодование некоторых представителей власти против дворянства Кутаисской губерний“). ქართული თარგმანი **დაუსათაურებელია.** ქართული ტექსტის სათაურად **რუსულის დასათაურება გვაქვს გადმოტანილი.**

რუსული ტექსტი გამოქვეყნებულია ორჯერ:

ა) „Закавказская речь“ (5 აგვისტო, 1911, №174; 6 აგვისტო, 1911, №175; 10 აგვისტო, 1911, №177; 11 აგვისტო, 1911, №178; 12 აგვისტო, 1911, №179).ბ) შ. ჩხეტია. მასალები დიმიტრი ყიფიანის მკვლევლობაზე. „საისტორიო მოამბე“. [ტ.] 3. 1947, გვ. 446-467).

პირველ, „Закавказская речь“-ის, პუბლიკატორს, როგორც ჩანს, ხელთ ჰქონია ის ხელნაწერი, რომელიც ხეც-შია დაცული და, ჩვენი აზრით, საბოლოო ტექსტია (ეს ხელნაწერი და მისი პუბლიკაცია ზუსტად მიჰყვება ერთმანეთს). რაც შეეხება შ. ჩხეტიას, მას გამოქვეყნებული აქვს რომელიღაც ჩვენთვის უცნობი ვარიანტი და იგი, პუბლიკატორის თქმით, არის „დედანი, უცნობი ხელით ნაწერი თეთრი ქაღალდის ფურცლებზე, რომლებიც აკინძულია წიგნად და ჩასმულია ყდაში. პავინაცია გაკეთებული აქვს შემდეგში ფანქრით

გვერდების მიხედვით. ტექსტი რამდენიმე ადგილას გადასწორებული და შევსებულია (ან შემოკლებული) დ. ყიფიანის ხელით“ (ჩხეტია 1947: 467). ეს უკანასკნელი ხელნაწერი **ძირითადად** იმეორებს ხეც-ში დაცულს, თუმცა წინ უძღვის შესავალი მონაკვეთი, რომელიც არც ხეც-ში დაცულ რუსულ ხელნაწერშია და არც – მის ქართულ თარგმანში (არის სხვა განსხვავებებიც, რომლებსაც ქვემოთ, თავ-თავის ადგილზე, მივუთითებთ):

„თუ ოფიციალური წრებიდან ჩემი რომელიმე მკითხველი, როგორც საქმიანი ადამიანი, არ იქნება მზად, აქ მოყვანილ ფაქტებს გულდანყნარებით მოეკიდოს, გაცილებით უკეთესი იქნება, საერთოდ არ წაიკითხოს ეს ნაწერი. ყოველ შემთხვევაში, ასეთი მკითხველის წინაშე საკუთარ თავს ყოველგვარი პასუხისმგებლობისაგან ვათავისუფლებ.“

მართალია, ეს ფაქტები საკუთრივ ჩემი პიროვნების გარშემო იყრის თავს, მაგრამ მათი ობიექტურობის დასადასტურებლად ესეც უნდა ვთქვა: ოდნავადაც არ ვაპირებ თავის მონონებას. ეს არც წესია ჩემი და არც ჩემს ინტერესებში შედის. ამასთანავე, შეურყევლად ვადგავარ იმ აზრს, რომ არასოდეს იოტისოდენადაც კი არ მოვერიდო მწარე სიმართლეს, როგორც არ უნდა იყოს ეს სიმართლე და ვისთვისაც არ უნდა იყოს იგი თვალში საცემი.

საქმე სერიოზულია და დეტალიზება მის მნიშვნელობას ზიანს ვერ მიაყენებს“ (ჩხეტია 1947: 446).

გარდა ზემოაღნიშნული სხვაობისა, იმ ხელნაწერს, რომელიც შ. ჩხეტიას აქვს გამოქვეყნებული, ბოლოში ჰქონია დიმიტრი ყიფიანის ავტოგრაფული მინაწერი (რუსულ ენაზე): „ვადასტურებ, რომ სწორებები ჩემ მიერაა შეტანილი. დიმიტრი ყიფიანი“ (ჩხეტია 1947: 467).

გაზეთ „Закавказская речь“-ის პუბლიკაციას (1911, №174) დართული აქვს სქოლიო (რუსულ ენაზე):

„ეს ნაწერი ისევე, როგორც დ. ი. ყიფიანის სხვა ნაწერები და ბარათები, აგრეთვე, გაბრიელ ეპისკოპოსისა და სხვა უთვალსაწინოესი ქართველი მოღვაწეების ბარათები ბაზარში იყიდა იოსებ ნიკ. მერკვილაძემ. მათი ნაწილი, რომელიც ი. მერკვილაძემ თავაზიანად დაგვითმო, „ზაკ. რეჩის“ ფურცლებზე გამოქვეყნდება. ამის შემდეგ ი. მერკვილაძეს გადანყვეტილი აქვს გაზეთში გამოქვეყნებული მასალის დედნები შენახვა-დაცვისათვის „საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების“ მუზეუმს გადასცეს – რედ[აქცია]“.

წინამდებარე ქართული თარგმანი შესრულებულია სახელდახელოდ, ნაჩქარევად: აქა-იქ გვხვდება ორთოგრაფიული თვალსაზრისით ხარვეზიანი სიტყვები, გაუმართავი სინტაქსური კონსტრუქციები, ზოგჯერ დარღვეულია შეთანხმება დროსა თუ რიცხვში, რუსულადვეა დატოვებული, როგორც ჩანს, სათარგმნელად მოუხერხებელი რამდენიმე მოკლე ფრაზა. ჩვენ შესაძლებლად ჩავთვალეთ ტექსტში ძალზე ფრთხილი ჩარევა და აუცილებელი სინტაქსური ხასიათის სწორებების შეტანა. ამასთანავე, ვთარგმნეთ რუსულად დატოვებული რამდენიმე ფრაზა და ამას მივუთითებთ კიდევაც კომენტარებში.

„იმ ფაქტების შესახებ...“ დიმ. ყიფიანს დაწერილი აქვს გადასახლებაში, სტავროპოლში, სადაც მან სიცოცხლის ბოლო ერთი წელიწადი დაყო (სპეციალური „გამყოლის“ თანხლებით ქვიშხეთიდან გაემგზავრა 1886 წლის 27 ოქტომბერს, ვლადიკავკაზის გავლით რამდენიმე დღეში სტავროპოლში ჩავიდა, ხოლო მოკლულ იქნა 1887 წლის 24-25 ოქტომბრის ღამეს*).

დიმ. ყიფიანის გადასახლების მოკლე ისტორია და წინამდებარე ტექსტის დაწერის მოტივაცია ასეთია:

* დიმ. ყიფიანის მკვლელობასთან დაკავშირებული გარემოებები და ერთ-ერთი მკვლელის, გრიგოლ სტრეპეტოვის, დახურული სასამართლო პროცესის ანგარიში იხ.: ივერია 1889; საშვილიშვილო მოკავშირე... 1997: 146-175.

1870-1880-იანი წლების მიჯნაზე სეპარატიზმის წინააღმდეგ ბრძოლის საბაბით რუსეთის იმპერიის განაპირა მხარეებსა თუ გუბერნიებში ასიმილაციური პოლიტიკა ახალ, ღია და დაუფარავ ფაზაში გადავიდა. 1881 წლის 1 მარტს ალექსანდრე II-ზე განხორციელებული ტერორისტული აქტისა და იმპერატორის მკვლელობის, ამის შემდეგ კავკასიაში მეფისნაცვლობის ინსტიტუტის გაუქმებისა და მთავარმართებლობის აღდგენის, ხოლო 1882 წელს კავკასიის მთავარმართებლად ალ. დონდუკოვ-კორსაკოვის დანიშვნის შემდეგ, ამ პოლიტიკამ საქართველოში „ნაციონალისტურ კაციჭამიობის“ (ჯორჯაძე 1989⁹: 514) სახე მიიღო.

ასეთ ვითარებაში დიმ. ყიფიანმა (უნდა ითქვას, ერთადერთმა მაშინდელ საქართველოში) წინააღმდეგობის „ფრონტი“ პრესის ფურცლებიდან კავკასიის ადმინისტრაციულ-მმართველობით სფეროებში გადაიტანა – მწვავედ დაუპირისპირდა რეაქციის სამ ბურჯს საქართველოში: მთავარმართებელ ალ. დონდუკოვ-კორსაკოვს, განათლების მზრუნველ კ. იანოვსკისა და ეგზარქოს პავლეს. ამ ტრიუმვირატთან ბრძოლის კულმინაცია მაშინ დადგა, როცა სემინარისტ ი. ლალიაშვილის მიერ მოკლული რექტორის, პავლე ჩუდეცკის, დაკრძალვაზე, თბილისის წმ. ალექსანდრე ნეველის სახელობის ეკლესიაში, ეგზარქოსმა დაწყებულა არა ერთი და ორი წვერი თავისი მრევლისა, არამედ მთელი სამწყსო, ანუ ქართველი ერი. დიმ. ყიფიანის მიერ ეგზარქოსისთვის გაგზავნილი წერილი იყო მხოლოდ **საბაბი** ჯერ იმპერატორ ალექსანდრე III-ის მიერ გამოცხადებული გაკიცხვისა, შემდეგ ქუთაისის გუბერნიის თავადაზნაურობის წინამძღოლობიდან გადაყენებისა და, დასასრულ, მისი სტავროპოლში გადასახლებისა. რეალური მიზეზი კი მკაფიოდ ჩანს იმ კონფიდენციალურ მიმართებებში, რომლებსაც ალ. დონდუკოვ-კორსაკოვი ხანგამოშვებით რუსეთის შინაგან საქმეთა მინისტრ დიმ. ტოლსტოის უგზავნიდა იმპერატორთან წარსადგენად. ამ მიმართებებიდან ერთ-ერთში ნათქვამია:

„ნამდვილი სამოქალაქო მრჩევლის, ყიფიანის, მიერ [ეგზარქოსისადმი გაგზავნილი] თავისი წერილის საგანგებოდ გავრცელებამ, უეჭველია, ხელი შეუწყო საქართველო-იმერეთის საზოგადოების გარკვეული ნაწილის დარწმუნებას, თითქოს ეგზარქოსს მართლაც დაენყევლოს საქართველო. ამან, რასაკვირველია, გააღრმავა ის სიძნელეები, რომლებსაც რუსი იერარქი აწყდება ადვილად აღზნებად და აღვირახსნილი ინსტინქტებით შეპყრობილ ადგილობრივ მოსახლეობაში ჭეშმარიტი რელიგიური და ზნეობრივი საფუძვლების დანერგვისას.

ამჟამად ხანდაზმულობას მიღწეული ბ-ნი ყიფიანი ყოველთვის გამოირჩეოდა ზომიერადსული პატივმოყვარეობითა და განდიდების მანიით, ნერგავდა ადგილობრივ მოსახლეობაში შეხედულებას საკუთარ პერსონაზე, როგორც სახელგანთქმულ ქართველ პატრიოტზე და ამით სურდა საზოგადოებაში გამოენვია ლაპარაკი (რაც არაერთხელ მოუხერხებია კიდევაც!) თავის თავზე, ვითარცა საქართველოს დამცველზე ყოველივე იმისაგან, რაც, მისი აზრით, შეასუსტებდა სამშობლოს ეროვნულ თვითმყოფადობას...

წლებმა და გამოცდილებამ ვერ დააცხრო ბ-ნი ყიფიანის ავადმყოფური ლტოლვა – გაითამაშოს ქართული ნაციონალიზმის მონინავე ქომავის როლი და ამგვარი პირფერობით მოიხვეჭოს პოპულარობა ადგილობრივი თავადაზნაურობის ფრონდირებულ ნაწილში. მე არც მივანიჭებდი ბ-ნი ყიფიანის ამ სისუსტეებს განსაკუთრებულ მნიშვნელობას, იგი გუბერნიის თავადაზნაურობის წინამძღოლი რომ არ იყოს. ამ თანამდებობაზე დამტკიცების შემდეგ კი მან მეტისმეტად აშკარად და მკვეთრად გააძლიერა აგიტაცია ამჟამად აქ მოქმედი, მისი უდიდებულესობის უმაღლესი ნებით დამკვიდრებული, მხარის საგანმგებლო სისტემისა და, განსაკუთრებით, სასწავლო უწყების წინაშე დასახული ამოცანების წინააღმდეგ. ხოლო უკანასკნელი მოქმედებით ბ-ნი ყიფიანს სურს შეარყიოს გავლენა ეკლესიის უმაღლესი წარმომადგენლისა, რომელიც ყველა საშუალებით ცდილობს უმეცარ და მყარ ზნეობრიობას მოკლებულ ქართველ სამღვდელოებაში ვითარების გაუმჯობესებას. ეს ყოველივე მაყენებს სამწუხარო აუცილებლო-

ბის წინაშე, განვაცხადო: მართებლობისათვის საზიანოდ მიმაჩნია ბ-ნი ყიფიანის დატოვება არა მარტო თავადაზნაურობის წინამძღოლის თანამდებობაზე, არამედ საერთოდ იმ მოსახლეობაში, რომელიც მიჩვეულია, მის პიროვნებაში ხედავდეს ხალხის ყალბად გაგებულ ინტერესებზე მზრუნველს.

ზემოთქმულის შემდეგ, მაქვს პატივი, უმორჩილესად ვთხოვო თქვენს ბრწყინვალეობას, მოახსენოს ეს ყოველივე ხელმწიფე იმპერატორს და გამოითხოვოს უზენაესი ნებართვა, რომ ნამდვილი სამოქალაქო მრჩეველი ყიფიანი დათხოვნილ იქნეს ქუთაისის გუბერნიის თავადაზნაურობის წინამძღოლის თანამდებობიდან და საცხოვრებლად მიეჩინოს ქალაქი სტავროპოლ-კავკასკი. მისთვის უცხო და უცნობ ეროვნულ გარემოში ბ-ნი ყიფიანი მოკლებული იქნება საშუალებას, გააგრძელოს თავისი საძრახისი საქმიანობა“ (ჩხეტია 1947: 435-436; საშვილიშვილო მოკავშირე... 1997: 14-15).

გადასახლებაში მყოფმა დიმ. ყიფიანმა გადაწყვიტა, ერთი მხრივ, საზოგადოებისა და ოფიციალური წრეებისთვის აეხსნა, თუ რა იყო რეალურად მისი დასჯის მიზეზი, ხოლო მეორე მხრივ, კავკასიის მეფისნაცვლად ნამყოფი დიდი მთავრის, თავისი ძველი ნაცნობისა და „ბორჯომელი მეზობლის“ (დიდ მთავარს აქ ჰქონდა მამული და სასახლე), მიხეილ ნიკოლოზის ძის, მეშვეობით იმპერატორთან აუდიენციისა და უშუალოდ მისთვის „მწარე სიმართლის“ თქმისთვის მიეღწია. ამის შესახებ მოგვიანებით, 1887 წლის 18 ივლისს, დიმ. ყიფიანი სტავროპოლიდან ქვიშხეთში თავის მეუღლეს, ნინო ჭილაშვილ-ყიფიანს, სწერს: „მორჩა! მე თვითონ უნდა მოვფინო საქმეს ნათელი, მე თვითონ უნდა ვთქვა სიმართლე, რაც არ უნდა მწარე იყოს იგი! ჩემ გარდა ეს არავის ძალუძს!“ (ჩხეტია 1947: 483; საშვილიშვილო მოკავშირე... 1997: 61-62).

წინამდებარე ტექსტი დიმ. ყიფიანის ხსენებული გეგმის ნაწილია (დოკუმენტური მასალა კავკასიის ხელისუფლებასთან დიმ. ყიფიანის მწვავე კონფლიქტის, გადასახლების, სტავროპოლში ცხოვრებისა და მკვლელობის შესახებ იხ.: ჩხეტია 1947: 411-494; საშვილიშვილო მოკავშირე... 1997: 10-70).

დიმ. ყიფიანის გადასახლების შესახებ ქართველი საზოგადოების რეაქციის წარმოსადგენად, ვფიქრობთ, საინტერესოა (და საგულისხმოც) მოსკოვში მოსწავლე ქართველი სტუდენტობის მიერ დიმ. ყიფიანისთვის გამოგზავნილი თანაგრძნობისა და თანადგომის გამომხატველი წერილი, რომელსაც აქვე სრულად ვიმონუმბთ:

„ღირს-პატივცემულო ბატონო დიმიტრი!

ჩვენს ყოვლად დაძაბუნებულ და სასტიკ დროში, როცა განუკიცხველად ბატონობენ მჩაგვრელნი ძალნი და სდევნიან ყოველსავე, რასაც კი ცოტაც არის ამჩნევია დამოუკიდებლობის ნიშან-წყალი, როცა ასეთს იშვიათს მოვლენას წარმოადგენს მოქალაქობრივი ვაჟ-კაცობის გამოჩენა, პირ-უთნელი გაბედული სიტყვა, სიხარულით და იმედით შესცქერის ყოველი ქართველი იმ დიდათ საქებურსა და პატიოსანს თავ-გამოდებას, რომელიც გამოიჩინეთ ექსარხოს პავლესადმი მიმართულ წერილში. ამ შემთხვევაში თქვენ ღირსეულად აღასრულეთ თქვენი კაცური მოვალეობა, ვითარცა საქართველოს ერთი კუთხისაგან რჩეულმა წინამძღვარმა, და დაუფარავად გამოსთქვით მთელი ქართველობის დაფარული გრძნობა. თუმცა, მართალია პირველის შეხედვით თქვენმა სიტყვამ ვერ მიახნია სასურველ შედეგს და დიდი უსიამოვნობაც შეგამთხვიათ, მაგრამ თვით ის, რაც მოხდა, ამტკიცებს, რომ სამართლიანად აღელვებულის გრძნობით განატყორცი ისარი არ ასცდენია მიზანს. თქვენი ქცევა ამშვენებს თქვენს ჭალარა გვირგვინს და სრულს ნებას გვაძლევს ვსთქვათ პოეტთან ერთად, რომ „თუმცა ანმყო არა გვწყალობს, მომავალი ჩვენია...“

ეჭვი არ არის, რომ ის ქვეყანა, რომელსაც ჯერ არ გამოლევია თქვენისთანა მოხუცი, „არ მომკვდარა მხოლოდ სძინავს“, პოეტისა არ იყოს.

გვაქვს რა პატივი მოგახსენოთ ჩვენი უგულითადესი თანა-გრძნობა, დავშთებით მონინებით და უღრმესად თქვენი პატივის-მცემელნი **მოსკოვში მოსწავლე ქართველნი.**

ქ. მოსკოვი“ [სახალხო გაზეთი 1912; ჩხეტია 1947: 467; საშ-

ვილიშვილო მოკავშირე... 1997: 16-17; წერილი დაუთარილებელია. ალექსანდრე (საბა) გარსევანიშვილის მიერ 1886 წ. 30 სექტემბერს მოსკოვიდან თბილისში ალექსანდრე ყიფშიძისათვის გამოგზავნილი წერილით ირკვევა, რომ ტექსტი დაწერილია 1886 წლის 16 სექტემბერს ალ. გარსევანიშვილისა და გრიგოლ ვოლსკის მიერ [საშვილიშვილო მოკავშირე... 1997: 185-186; დედანი მოსკოვის ქართველი სტუდენტობის წერილისა დაცულია ხეც-ში (დიმ. ყიფიანის არქ., საქ. №1493); ალ. გარსევანიშვილის წერილისა – ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმში (№744-ბ)].

II.

ნაბეჭდი: „Закавказская речь“, 13 აგვისტო, 1911, №180.

სათაური: Записка о фактах, породивших негодование некоторых представителей власти против дворянства Кутаисской губерний.

თარიღი: 4 აგვისტო. 1887 წ. ქ. სტავროპოლ-კავკაზსკი.

ხელმოწერა: Димитрий Кипиани.

ტექსტი რუსულ ენაზეა. მისი ხელნაწერი ჩვენთვის ცნობილი არ არის და იგი *ჯერჯერობით* დაკარგულად უნდა ჩაითვალოს. შესაბამისად, ჩვენ არც ის ვიცით, სათაური ხელნაწერისეულია, თუ დასათაურება გაზეთ „Закавказская речь“-ის რედაქციას ეკუთვნის.

¹ (გვ. 38) „...სათადარიგო კრებამ ქუთაისის გუბერნიის ნიშნად ამომარჩია“ – სათადარიგო აქ *ვადამდელს* უნდა ნიშნავდეს (რუსულში *მორიგი/რიგითი* (очередной) კრება წერია – ხეც. ფ. 1r; ჩხეტია 1947: 446). ქუთაისის გუბერნიის „მარშლად“ დიმ. ყიფიანი აკაკი წერეთლის ინიციატივით 1885 წლის 24 მაისს დაუსწრებლად და ერთხმად აირჩიეს („მარშლად“ არჩევასთან დაკავშირებული გარემოებების შესახებ, აგრეთვე, მოგვიანებით, დიმ. ყიფიანის ქუთაისში ჩასვლისას, მისი და

აკაკი წერეთლის მიერ წარმოთქმული სიტყვები იხ.: დროება 1885^ა; ამ ფაქტის შესახებ აკაკიც წერს „ჩემ თავგადასავალში“ (წერეთელი 1958: 121-122). პირველ მოკლე ცნობას ქუთაისის გუბერნიის „მარშლად“ დიმ. ყიფიანის არჩევის შესახებ „დროება“ 1885 წ. 25 მაისს აქვეყნებს: „ქუთაისიდან გვაცნობებენ, რომ გუშინ, მაისის 24-ს, იმერეთის კეთილშობილთა წინამძღოლად ბ-ნი დიმიტრი ყიფიანი ამოურჩევიათ. ამ შემთხვევის გამო თავადს აღმასხან ნიჟარაძეს გრძნობით აღსავსე სიტყვა წარმოუთქვამს. კრება უკვე დაშლილა“ (დროება 1885^ბ).

² (გვ. 38) „საკრებულო ტაძარში...“ – იგულისხმება ქუთაისის საკრებულო ტაძარი („სობორო“) – წმ. ალექსანდრე ნეველის (უკანასკნელ წლებში – დავით აღმაშენებლის) სახელობის საკათედრო ტაძარი (აშენდა 1852-1871 წწ.). 1924 წ. საქართველოს ბოლშევიკურმა ხელისუფლებამ საკრებულო ტაძარი დაანგრია (ტაძრის განადგურების ისტორია და ამ ფაქტთან დაკავშირებით მიტროპოლიტ ნაზარის მიმართვა ხელისუფლებისადმი იხ. ასათიანი 1995: 18-21).

³ (გვ. 38) „გუბერნატორთან ერთად...“ – იგულისხმება ქუთაისის გუბერნიის **სამხედრო** გუბერნატორი (1883-1887), გენერალი ალექსი სმეკალოვი. იგი წარმოშობით ვოლოგდიდან იყო. 1830-იან წწ. ვოლოგდაში გადასახლებულ დიმ. ყიფიანს, კოტე ყიფიანის ცნობით, სწორედ სმეკალოვების ოჯახში უცხოვრია, ხოლო მას შემდეგ, რაც ა. სმეკალოვი სამხედრო სამსახურმა თბილისში ჩამოიყვანა, მას დიმ. ყიფიანის ოჯახთან ახლო ურთიერთობა ჰქონია (საშვილიშვილო მოკავშირე... 1997: 209; ყიფიანი 2007^ა: 213).

⁴ (გვ. 39) „ხმა გავრცელდა, ვითამ ქალაქის თავმა...“ – **ქალაქისთავი**: იგულისხმება ლუკა ასათიანი (ლ. ასათიანსა და მის მიერ წარმოთქმულ სიტყვაზე იხ. აქვე, გვ. 325-327).

⁵ (გვ. 39) „ჩვენი შიდა რუსეთთან გაერთიანება...“ – რუსულ დედანში წერია არა **გაერთიანება** (объединение), არამედ – **დაახლოება** („...сближение с внутреннейю Россиею“ – ხეც. დიმ. ყიფიანის არქ., საქ. №1956. ფ. 2v; ჩხეგია 1947: 447).

⁶ (გვ. 41) „...თქვენს წინააღმდეგ არავითარი მტრობა არ არის“ – მიხეილ ნიკოლოზის ძესთან 11 ოქტომბრის საუბრის სრული ჩანაწერი იხ. აქვე: „საუბარი მიხეილ ნიკოლოზის ძესთან...“, გვ. 34-37.

⁷ (გვ. 42) „განრისხება გამოაცხადა ქუთაისის და ტფილისის მოურავთა მიმართ ჩაის და ვახშმის გამართვის გულისათვის“ – ქუთაისის მოურავში იგულისხმება ლუკა ასათიანი (იხ. აქვე, კომენტ. 4), ხოლო რაც შეეხება ტფილისს, ამ დროს თბილისის ქალაქისთავი (მოურავი) იყო ალექსანდრე მატინოვი [1879 წელს ამ პოსტზე დიმი. ყიფიანი შეცვალა (დროება 1879; საკითხის შესახებ იხ. ყიფიანი 2007^ბ: 30-34). ალ. მატინოვი 1891 წლის იანვარში ზედიზედ მეოთხედ აირჩიეს თბილისის ქალაქისთავად (ივერია 1891^ა), თუმცა ოპოზიციამ აიძულა, ორიოდე თვეში გადამდგარიყო (ივერია 1891^ბ; ბენდიანიშვილი 1970: 699-702). თბილისის თვითმმართველობაში ალ. მატინოვის საქმიანობის შესახებ იხ. თუმანოვი 1913: 47-50].

⁸ (გვ. 42) „ორმოცი წელიწადია, რაც ვიცნობთ ერთმანეთს“ – ალ. დონდუკოვ-კორსაკოვი 1840-იან წწ. კავკასიის მეფისნაცვალ მიხ. ვორონცოვის ადიუტანტი იყო, დიმი. ყიფიანი კი – მეფისნაცვლის კანცელარიის დირექტორი. მათი ნაცნობობაც აქედან იღებდა სათავეს.

⁹ (გვ. 44) „მოვახსენე მზრუნველს, რომ მხოლოდ მაშინ გავცემ პასუხს...“ – საკითხის შესახებ მიმონერა კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველ კ. იანოვსკისა და დიმი. ყიფიანს შორის იხ. ჩხეტია 1947: 414-415. რაც შეეხება დიმი. ყიფიანის პასუხს, იგი 1886 წ. 26 ნოემბერსაა დაწერილი:

„თქვენი აღმატებულებისათვის ცნობილია, რომ საზოგადოებრივი კეთილდღეობა დაფუძნებულია იმავე საზოგადოების თითოეული წევრის მიერ საკუთარი მოვალეობის განუხრეღ ალსრულებაზე. ეს მოვალეობები კი, თავის მხრივ, განსაზღვრულია ზოგი დაწერილი კანონებითა და ზოგიც – თანაცხოვრებით შემუშავებული დაუწერელი წესებით. მივიღე რა თქვენი ყოვლად

პატივსაცემი წერილობითი მიმართვა №511 ამა თვის 20 რიცხვისა (ნომბრისა – თ. ჯ.), დროებით გვერდზე გადავდე საზოგადოებრივი თანაცხოვრებით შემუშავებული წესები და ხელი მივყავი კანონთა გამორკვევას. უაღრესად გულმოდგინე ძიებამ შემდეგ დასკვნამდე მიმიყვანა: კანონი სასწავლო ოლქის მზრუნველს არ ანიჭებს უფლებას, თავადაზნაურობის წინამძღოლს თავის მოქმედებაზე მოსთხოვოს ახსნა-განმარტება ზოგადად და, განსაკუთრებით – საიმპერატორო სახლის უავგუსტოეს წევრთან პირადი შეხვედრის შესახებ. თუ დასკვნა არ არის სწორი, იქნებ თქვენმა აღმატებულებამ გამოიჩინოს სულგრძელობა და მე, ამ საქმის უცოდინარს, მიმითითოს – სად მივაგნო შესაბამის კანონს, რათა საშუალება მომეცეს, აღვასრულო ჩემი მოვალეობა და დაუყოვნებლივ ვუპასუხო თითოეულ თქვენს შეკითხვას. ასეთ შემთხვევაში უკვე აღარ დამჭირდება, მივუბრუნდე საზოგადოებრივი თანაცხოვრებით შემუშავებულ წესებს“ (ჩხეტია 1947: 415).

¹⁰ (გვ. 45) **„საყვედური მივიღე სრულის მონინებითა და მორჩილებით“** – აქ უთარგმნელად არის დატოვებული სიტყვები: „...благоговенным смирением“ (ხეც. ფ. 4v) – *„მონინებული მორჩილებით“*.

¹¹ (გვ. 45) **„პეტერბურგს მიდიოდა და იქ თავის მხრივ გადასცემდა თ. დონდუკოვს“** – ეს არის დიმ. ყიფიანის 1886 წლის 8 იანვრის წერილი ალ. დონდუკოვ-კორსაკოვისადმი (ცხსა. ფონდ. 12. აღწ. I. საქ. 326. ფ. 8; ჩხეტია 1947: 420-422), რომელიც ძირითადად სასწავლო სფეროში ქართული ენის დისკრიმინაციას ეხება და ასე მთავრდება:

„შემიძლია მოვიყვანო ერთი შედარებით ახალი ფაქტი, რომელიც უდავოდ და უკამათოდ მეტყველებს მცდელობაზე, ქართველი მოსახლეობის თუნდაც ერთ ნაწილში აღმოფხვრან ქართული ენის სწავლება. მოციქულთა დროიდან ყოფილ სამეგრელოში* ღვთი-

* *„ყოფილ სამეგრელოში“* იმ დროისთვის უკვე გაუქმებული სამეგრელოს *სამთავრო* იგულისხმება.

სმსახურებისა და კულტურის ენა ქართულია და ქართული ენა იქ ყველას ესმის. ახლა იქ სხვა კულტურას ნერგავენ – ანბანს, რომელიც, როგორც ამბობენ, ევროპული ანბანების მიხედვითაა შედგენილი და სურთ, მეგრული ენის სწავლების შემოღება ამ ანბანის გამოყენებით. ლოგიკურმა თანამიმდევრობამ შეიძლება გვიკარნახოს, კულტურის ენად ქართულის სხვა განტოტებებიც (დედანში: „...разветвлений“ – თ. ჯ.) ვაქციოთ: ბათუმურ-აჭარული, თუშ-ფშავ-ხევსურული, ინგილოური, მთიულური და სხვ.; მაგრამ უპასუხებს კი ეს ყოველივე იმ ხელისუფლების სურვილს, რომელმაც მრავალტანჯული და ძველთაგანვე მართლმადიდებელი საქართველო თავის წიაღში შეივრდომა და ამით ქართველთა უსაზღვრო მადლიერებაც დაიმსახურა? მე ჩემს წმიდათაწმიდა და საღვთო ვალად მიმაჩნია, შეურყეველად ვიდგე მადლიერებისა და ერთგულების ნიადაგზე და გაკვირვებული ვარ, როცა ამის გამო მკიცხავენ“.

¹² (გვ. 47) **„ნაკაშიძე იმის დის ქმარი ყოფილა და როგორ არ უნდა მიეღო თავის სახლში“** – გარდა ნათესაობისა, მ. ნაკაშიძე და დ. მიქელაძე პოლიტიკური ინტერესებითაც იყვნენ ერთმანეთთან დაკავშირებულნი. დ. მიქელაძემ „მელიტონ ნაკაშიძესთან ერთად მოაწყო ფარული რევოლუციური ორგანიზაცია, რომელმაც რამდენიმე რევოლუციური აქტი მოახდინა ხალხის ჯალათი მოხელეების დასჯის სახით, მაგრამ მთავრობის სასტიკი რეპრესიის შედეგად ეს ორგანიზაცია მალე დაიშალა. მ. ნაკაშიძე სტამბულში გადასახლდა და იქ ბალკანეთის რევოლუციონერებთან განაგრძო თვითმპყრობელობის წინააღმდეგ ბრძოლა“ (ცაიშვილი 1962: 28). სტამბულში წასვლაში მ. ნაკაშიძეს დათა მიქელაძე დახმარებია (მაღრაძე 1963: 34), ხოლო რაც შეეხება ზემოხსენებულ „ფარულ რევოლუციურ ორგანიზაციას“, იგი უნდა იყოს ქართველ ხალხოსანთა გურიის ანუ ოზურგეთის წრე, რომლის წევრი იყო მელიტონ ნაკაშიძე (შველიძე 1960: 146) და ამის გამო ჟანდარმერიას მასზე საიდუმლო ძიება ჰქონდა დანიშნული (შველიძე 1960: 161-162).

¹³ (გვ. 48) „საგანგებო საქმეების გუბერნატორის მოხელე, თ. ჭავჭავაძე“ – იგულისხმება თ[ავადი] ზაალ ნოშრევანის ძე ჭავჭავაძე (Кавказский календарь 1886: 34), რომელიც მოგვიანებით ქუთაისის პოლიცმაისტერი გახდა (საქართველოს კალენდარი 1889: 271).

¹⁴ (გვ. 50) „საოჯახო სიების შედგენა ხარჯ-მიმცემ ხალხის ნაწილის აღრიცხვისათვის“ – ხარჯ-მიმცემ ხალხში აქ იგულისხმება მოსახლეობა, რომელსაც გამოსაღები ჰქონდა დაკისრებული (დედანიში: „...посемейных списков всему податному населению в государстве“ – ჩხეტია 1947: 454; Подать – გამოსაღები).

¹⁵ (გვ. 52) „ოზურგეთის მაზრის უფროსს უბრძანეო...“ – ამ დროს ოზურგეთის მაზრის უფროსი იყო დიმიტრი ალექსის ძე ვირუბოვი (Кавказский календарь 1885: 45). სხვათა შორის, ა. ვირუბოვის სახელი გაზეთ „დროების“ დახურვასთან არის დაკავშირებული. 1885 წელს ილია ჭყონიამ „დროებაში“ გამოაქვეყნა ფელეტონი „გურიის ცხოვრებიდამ“, რომელშიც ხოჯა და მოლა იყვნენ გამარჯვებულნი (ჭყონია 1885). ოზურგეთის მაზრის უფროსმა ხოჯაში საკუთარი თავი ამოიცნო და გაზეთს უჩივლა. ეს ფაქტი იქცა ერთ-ერთ **საბაბად** იმისა, რომ ხელისუფლებამ 1885 წლის სექტემბერში რუსეთის შინაგან საქმეთა სამინისტრომ „დროება“ შემდეგი ფორმულირებით დახურა: „გაზეთი „დროება“ აკრძალულ იქნა სამუდამოდ, როგორც სეპარატისტულ-ტენდენციური იდეების მქადაგებელი ორგანო“ (ხურცილავა 1980: 74; „დროების“ დახურვის შესახებ ალ. დონდუკოვ-კორსაკოვის მიერ რუსეთის შინაგან საქმეთა სამინისტროსადმი გაგზავნილი თხოვნა, რომელშიც სხვა გარემოებებთან ერთად ალ. ჭყონიას ფელეტონზეც არის საუბარი, იხ. ბოსტაშვილი 1991: 276-277).

¹⁶ (გვ. 56) კურსივით აწყობილი ეს მონაკვეთი (პუნქტი 7) არ არის არც ხეც-ში დაცულ რუსულ ტექსტში, არც მის წინამდებარე ქართულ თარგმანში და არც – „Закавказская речь“-ის პუბლიკაციაში, მაგრამ არის შ. ჩხეტიას პუბლიკაციაში,

თუმცა პუბლიკატორს იქვე (სქოლიოში) მითითებული აქვს – ეს აბზაცი გადახაზულიაო (ჩხეტია 1947: 459).

რაც შეეხება **სამსონ აბაშიძეს**, ამ სახელითა და გვარით ჩვენ მხოლოდ ერთ პირს ვიცნობთ – „მამებისა“ და „შვილების“ ცნობილი ბრძოლის მონაწილეს, ილია ჭავჭავაძის თანამოაზრესა და ილიას შეხედულებების მიმდევარს, მწერალსა და პუბლიცისტ სამსონ აბაშიძეს (1835-1894), თუმცა იგი **ივანეს ძეა**, დიმ. ყიფიანის მიერ ნახსენები სამსონ აბაშიძე კი, შ. ჩხეტიას პუბლიკაციის მიხედვით – **ლუარსაბის ძე**. ამიტომ აქ დარწმუნებით ვერ ვამბობთ, დიმ. ყიფიანი უშვებს უნებლიე შეცდომას და საქმე ერთსა და იმავე პირთან გვაქვს, თუ სამსონ **ლუარსაბის ძე** აბაშიძე სხვა პირია და სამსონ **ივანეს ძე** აბაშიძე – სხვა.

¹⁷ (გვ. 58) **„რეკტორს, პროტოირეი ჩუდეცკის, სცემეს. 1886 წ. მაისის დამლევს ერთმა სემინარიელთაგანმა ჩუდეცკი სასიკვდილოდ დასჭრა“** – პროტოირეი (დეკანოზი) ჩუდეცკი 1885 წელს სცემა სემინარიელმა სილიბისტრო ჯიბლაძემ (შემდგომ ცნობილმა პოლიტიკურმა მოღვაწემ), რისთვისაც მას ორი წლით დისციპლინურ ბატალიონში სამსახური მიუსაჯეს (დროება 1885^ა; ხუნდაძე 1933: 27-28; რამიშვილი 2012: 188-189, 191). 1886 წ. 24 მაისს ჩუდეცკი მოკლა სემინარიიდან გარიცხულმა იოსებ ლალიაშვილმა (ამ მკვლელობის შესახებ იხ.: ჟურნ. „მწყემსი“, 1886, №№ 15, 16, 18-20, 22, 25; პობედონოსცევი 1923: 612-617; ხუნდაძე 1933; რამიშვილი 2012: 210; მანამდე ჩუდეცკის მოკვლა სემინარიის სხვა მოწაფეებსაც ნდომებიათ: გოლა ჩიტაძეს, ისიდორე რამიშვილს... – იხ. რამიშვილი 2012: 200).

¹⁸ (გვ. 59) **„8 ივნისს ეგზარხოსს წერილი მივწერე“** – წინამდებარე ტექსტის მიხედვით, ეგზარქოსის მიერ სამწყოსს დაწყევლის ამბავი დიმ. ყიფიანს ქუთაისში გაუგია, თუმცა წერილი ეგზარქოსისადმი ქვიშხეთშია დაწერილი და გაგზავნილია სადგურ მიხაილოვოდან (დღევანდელი ხაშური).

წერილის დაწერის ისტორია ვრცლად აქვს აღწერილი დიმ. ყიფიანის რძალს, ნინო ტატიშვილ-ყიფიანს (ყიფიანი 2007^ა: 109-112).

¹⁹ (გვ. 60) „**თქვენი სამწყსოს წვერი**“ – ეს სიტყვები ტექსტში უთარგმნელადაა დატოვებული: *пасомый Вами* (ფ. 12r).

²⁰ (გვ. 60) „**დაე, მაკურთხოს თქვენმა მწყემსმთავრულმა მარჯვენამ**“ – ეს ფრაზა ტექსტში უთარგმნელადაა დატოვებული: *да осенит меня Архипастырская десница Ваша* (ფ. 12r).

²¹ (გვ. 60) „**პიატიგორსკში მთავარმართებელი და პობედონოსცევი – წმ. სინოდის ობერპროკურორი – ინახულა და ისევ უკან დაბრუნდა**“ – პავლე ეგზარქოსმა კ. პობედონოსცევი და ალ. დონდუკოვ-კორსაკოვი ინახულა პიატიგორსკის ახლოს, კისლოვოდსკში, სადაც იმ დროს პობედონოსცევი ისვენებდა. ამის თაობაზე 1886 წ. 17 ივლისს კ. პობედონოსცევი სწერს იმპერატორ ალექსანდრე III-ს: „ეგზარქოსი, რომელიც იქ ატეხილმა ქართულმა სიგიჟემ („...поднявшегося грузинского безумия“) უმძიმეს მდგომარეობაში ჩააყენა, ჩამოვიდა და ერთ კვირას აქ იმყოფებოდა. იგი ხშირად გვეთათბირებოდა მე და თ-დ დონდუკოვს“ (პობედონოსცევი 1926: 115).

მანამდე კი, 1886 წ. 20 ივნისს, კონსტანტინე პობედონოსცევი კისლოვოდსკიდანვე სწერს ალექსანდრე III-ს (წერილს დართული აქვს დიმ. ყიფიანის 1886 წ. 8 ივნისის წერილი ეგზარქოსისადმი და ეგზარქოსის პასუხი):

„აქ, კისლოვოდსკში, ყოველდღე ვხვდები პ. ს. ვანოესკისა და თ-დ დონდუკოვს. უკანასკნელთან ხშირად ვსაუბრობ ამ მხარეში შექმნილ მდგომარეობაზე, რომელიც ვერ ტოვებს სანუგეშო შთაბეჭდილებას. აქაც ის მწარე გაკვეთილი მეორდება, რუსეთს არაერთხელ რომ უწვნევია იმ უცხოტომელთაგან, რომლებიც გადაგვირჩენია კიდევაც და სხვა ათასი სიკეთეც გვიყვია. როცა ქართველებს სპარსელებისგან საფრთხე ემუქრებოდათ, ლამის ჩვენზე ლოცულობდნენ, მაგრამ შემდეგ, ჯერ კიდევ ერმოლოვის

დროს, როგორც კი საშიშროება მინელდა, განდგომილების პირველმა ნიშნებმაც იჩინა თავი. მერე, როცა შამილი გამოჩნდა, ქართველები ისევ დაშოშმინდნენ. ამ საფრთხემაც გაიარა და ისინი კვლავ მძვინვარებამ შეიპყრო; და ეს მაშინ, როცა ჩვენ მათ გულარხეინად ვანებივრებდით და ხაზინისა და სახაზინო ქონების ხარჯზე გულუხვ წყალობასაც ვაჩვენებდით. უცხოტომელთა მოვლა-პატრონობის ასეთმა წესმა მიიყვანა სწორედ რუსეთი დღევანდელ მდგომარეობამდე. მათს ცხოვრებაში წესრიგის შეტანის ნებისმიერი ცდა, როგორც წესი, მათივე მხრიდან უაზრო ვნებათაღელვასა და პრეტენზიებს იწვევს. სემინარიის რექტორის შემადრწუნებელ მკვლელობას აქაური უცხოტომელები გამხეცვებული მკვლელის გმობით კი არა, არამედ ნიშნის მოგებით შეხვდნენ. რექტორის დაკრძალვაზე წარმოთქმულ სიტყვაში ეგზარქოსმა გამოხატა უღრმესი მწუხარება და, ამასთანავე, გულისწყრომაც ჩადენილი ბოროტმოქმედების გამო. ეს სიტყვა მკვლელის ქკუას გადაცდენილმა მომხრეებმა სანყნად მიიღეს. და, აი, ქუთაისის თავადაზნაურობის წინამძლოლი ეგზარქოსს მიმართავს სულელური და უტიფარი წერილით და მუქარის კილოთი ურჩევს, დატოვოს კავკასია. თან ვურთავ ასლს ამ წერილისას და ეგზარქოსის პასუხს. მაღალი თანამდებობის წარმომადგენლობითი პირის ამგვარი საქციელით სამართლიანად აღშფოთებულმა თავადმა დონდუკოვმა წერილობით მიმართა შინაგან საქმეთა მინისტრს და სთხოვა ყიფიანის ამ მხარიდან გასახლების ნებართვა, რათა ეს თავხედობა არ დარჩეს დაუსჯელი და სხვებისთვისაც არ გახდეს მაგალითის მიმცემი. – ის იყო, ამ დოკუმენტის წაკითხვა ძლივს მოვასწარი და შემომიტანეს ქართველების მორიგი გამოხდომის მაუნყებელი დეპეშა: ოზურგეთის სასულიერო სასწავლებლიდან ცუდი ყოფაქცევისთვის გარიცხული 18 წლის არამზადა თავს დასხმია ამავე სასწავლებლის ზედამხედველს და მისთვის კეტით თავ-პირი დაუსისხლიანებია... – ეს შემთხვევები ცხადად გვიმტკიცებს, რომ ამ მხარეში წესრიგის აღდგენისა და ხელისუფლების მიმართ პატივისცემის დანერგვის მიზნით აუცილებელია

მკაცრ ღონისძიებათა ფართო პროგრამის განხორციელება. სამ-
ნუხაროდ, აქაურ უცხოტომელთა შორის გავრცელებულია აზრი,
თითქოს ახლანდელი მმართველობა ავინროებს მათ. ისინი თავის
დაცვის საშუალებებსა და დასაყრდენს წინანდელ მმართველობა-
ში ეძებენ“ (პობედონოსცივი 1926: 112-114; საშვილიშვილო მოკა-
ვირიე... 1997: 11-12).

²² (გვ. 61) **„ქუთაისის ვიცე-პრეზიდენტისაგან...“** – რუ-
სულ ხელნაწერებში: *„...от Кутаисского вице-губернатора“*
(ხეც. ფ. 21v; ჩხეტია 1947: 461). იგულისხმება ქუთაისის გუ-
ბერნიის ვიცე-გუბერნატორი, ბარონი ალექსანდრე ფონ დერ
ბრიუგენი.

²³ (გვ. 63) **„გუბერნიის მარშლად სამჯერ... ვიყავ არჩეუ-
ლი“** – შ. ჩხეტიას მიერ გამოქვეყნებულ ხელნაწერში აქ გადა-
შლილია სიტყვა *ორჯერ* და ზედ დიმ. ყიფიანის ხელით მიწე-
რილია – *სამჯერ* (ჩხეტია 1947: 463). ხეც-ში დაცულ რუსულ
ხელნაწერში კი წერია: „სამჯერ“ და არაფერია გადაშლილ-გა-
დასწორებული (*„...по выборам, был три трехлетия тифлисским
губернским предводителем дворянства“* – ფ. 24r). ზუსტად იგი-
ვე ვითარებაა „Закавказская речь“-ის პუბლიკაციაში (№179).
სინამდვილეში კი დიმ. ყიფიანი თბილისის გუბერნიის წი-
ნამძღოლად („მარშლად“) ორჯერ იყო არჩეული (1864 და
1867 წლებში); 1870 წელს მან, მიუხედავად დაბეჯითებული
თხოვნისა, ზედიზედ მესამე კენჭისყრაზე უარი განაცხადა.
ამ უარს ვახტანგ თულაშვილი ასე ხსნის:

„ხშირად ასმენდნენ დ. ყიფიანს, რომ, რადგანაც ხელმწიფე იმ-
პერატორი უნდა მობრძანდეს საქართველოში, ამიტომ საჭირო
არის თავად-აზნაურობის წინამძღოლი საქართველოს განთქმულ
გვარისა იყოსო, იქნება ხელმწიფემ მონყალება რამ მოიღოს ჩვენ-
თვისაო. ამიტომაც, როდესაც 1870 წ. მაისში დაიწყო თავად-აზ-
ნაურთა კრება მარშლების ამოსარჩევად, დ. ყიფიანს, თუმცა
უმეტესი ნაწილი კრებისა სთხოვდა, კიდევ დარჩით მარშლადო,

მაგრამ მან უარი სთქვა და ვერაფრით ველარ შევარყიეთ იმისი განწყვეტილება. დიმიტრი ყიფიანი ამ საქმეში თავს ასე იმართლებდა: ყველანი დარწმუნებულნი არიან, რომ ხელმწიფე იმპერატორი მონყალებას რასმე უბოძებს საქართველოსაო, და თუ ვინიცობაა, ეს იმედი არ გამართლდა, საზოგადოება მე დამაბრალებს, შენ რომ არა ყოფილიყავი მარშლად, იქნება ასე არ დაგვმართნოდაო. ან, ვინ იცის, იქნება მართლა ჩემი მარშლობა შეიქმნას მიზეზი იმისი, თუ ვინიცობაა, ხელმწიფემ არავითარის მონყალების მოცემა არ ისურვა და გამოვალ დამნაშავე საზოგადოების წინაშეო“ (თულაშვილი 1895: 47; თულაშვილი 2007: 47).

ვ. თულაშვილის სიტყვებს ადასტურებს თვითონ დიმ. ყიფიანის სიტყვა, რომლითაც მან 1870 წლის 6 მაისს თავადაზნაურობის წინამძღოლის ასარჩევად შეკრებილ ყრილობას მიმართა (სიტყვა რუსულ ენაზეა. ვიმონუმებთ სიტყვის ფრაგმენტს):

„თქვენმა წარმომადგენელმა... მონარქის მზერა ჩვენი ეკონომიკური ყოფის იმ მხარეებისკენ უნდა მიმართოს, სადაც ნამდვილად გვიჭირს და განკურნება მხოლოდ მონარქიულ გულუხვობას შეუძლია. – ძლიერ ვშიშობ, რომ მე ამას ვერ შევძლებ. მე ამას ვამბობ როგორც თქვენი წინამძღოლი, ამასთანავე, როგორც აზნაური და სავსებით გულწრფელი და გულღია ვარ თქვენ წინაშე: თქვენი იმედებისა და სურვილების განსახორციელებლად აუცილებელია არჩევანი ჩემზე ღირსეულ კანდიდატზე შეარჩეოთ; ისეთზე, რომელიც ჩემზე უკეთ გაუნწევს სამსახურს ჩვენი საერთო მიზნების განხორციელებასა და ჩვენი საჭიროებების მოგვარებას. მე რაც შემეხება, მგონი არ შევცდები, თუ ვიტყვი, რომ თქვენს შორის ძნელად მოიძებნება ისეთი ადამიანი, ჩემზე მეტად რომ იყოს საერთო ინტერესების ერთგული. თქვენ იცით – მე არასოდეს ამირიდებია თავი საზოგადოების სამსახურისთვის. გპირდებით, მომავალშიც ჩემი ცოდნა და უნარი ჩვენს საზოგადოებასა და ჩვენს მხარეს მოხმარდება. მე გუბერნიის წინამძღო-

ლის წოდების გარეშეც გავაგრძელებ საზოგადოების სამსახურს“
(ბეც. დიმ. ყიფიანის არქ., საქ. №284, ფ. 2).

²⁴ (გვ. 64) „...იმერეთის მილიციამ 1838 წ. აბხაზების წინააღმდეგ ბრძოლაში გამოიჩინა“ – რუსულ ტექსტებში: „... против горцев со стороны Абхазии“ [„მთიელების წინააღმდეგ აფხაზეთის მხრიდან“] (ფ. 24v; ჩხეტია 1947: 464).

²⁵ (გვ. 64) „კავკასიის მთიელებთან გამირული ბრძოლისათვის უმოწყალესად დროშა ებოძება“ – კავკასიის მთიელებთან ბრძოლაში აქ რუსეთის მიერ ჩრდილოეთ კავკასიის დასამორჩილებლად გაჩაღებული ე. წ. „კავკასიის ომი“ (1817-1864) იგულისხმება.

²⁶ (გვ. 656) „წარსულ ომიანობის განმავლობაში...“ – წარსული ომიანობა: იგულისხმება რუსეთ-ოსმალეთის 1853-1856 წწ. („ყირიმის“) ომი.

²⁷ (გვ. 66) „ქუთაისში ყოფნის დროს... წინამძღოლის მოადგილეს უთხრა“ – წინამძღოლის მოადგილე: იგულისხმება ალმასხან დიმიტრის ძე ნიჟარაძე, რომელიც ამ დროს (1885 წ.) ქუთაისის მაზრის თავადაზნაურობის წინამძღოლი იყო, წინა „მარშლის“, ნესტორ წერეთლის, გარდაცვალების (1883 წ. ნოემბერი) გამო ქუთაისის გუბერნიის თავადაზნაურობის წინამძღოლის მოვალეობასაც ასრულებდა, თუმცა ახალ არჩევნებში კენჭისყრაზე უარი განაცხადა და გუბერნიის „მარშლად“ დიმ. ყიფიანის არჩევას დაუჭირა მხარი (დროება 1885^ფ; დროება 1885^ფ; კანდიდატურების დასახელებისას ალმასხან ნიჟარაძემ განაცხადა: „დღეს ჩვენ გვჭირდება სწორედ ნასწავლი, პატიოსანი და გამჭირიანი კაცი. არა ვგონებ, ჩვენთაგანმა ვინმემ უარი სთქვას დ. ყიფიანის მარშლობაზედ“ – დროება 1885^ფ). დიმ. ყიფიანის გადაყენების შემდეგ ქუთაისის გუბერნიის „მარშლის“ მოვალეობის შესრულება ისევ ა. ნიჟარაძეს დაეკისრა. 1888 წლის ივნისში „მთავრობას მიუწერია ქუთაისის მაზრის წინანდელ მარშლისათვის, თ. ა. ნიჟარაძისათვის ... რომ კვლავაც თქვენ აასრულეთ გუბერნი-

ის მარშლის თანამდებობაო“ (ივერია 1888). ის, რომ აღმასხან ნიჟარაძე გულწრფელი პატივისმცემელი იყო დიმ. ყიფიანისა, შემდგომი მოვლენებითაც დასტურდება – 1887 წლის 5 ნოემბერს იგი სამძიმრის წერილს სწერს დიმ. ყიფიანის ქვრივს, ნინო ჭილაშვილ-ყიფიანს:

„მონყალო ბატონო ნინო ეგოროვნა!

იმერეთის თავადაზნაურობა, წრფელის გულით მწუხარე და მგლოვიარე, ჩემის პირით გისამძიმრებს მოულოდინებელ გარდაცვალებას თქვენის საყვარელის მეუღლისა და მისი ყოვლად პატივცემულის და სახელოვანის ძველი წინამძღოლისას. – ჩემს საღმრთო ვალად ვრაცხდი, თვით ვხლებოდი თავყვანის საცემათ და ამ წუთის სოფელს უკანასკნელ საამბოროთ მის გვამსა, როგორც ძვირფასს ჭურჭელს მალალის და ბრწყინვალის და მით მარად ტანჯულის სულისას, მაგრამ ამ ვალის ასრულების ღონე მიმხადა, ღრმით მოხუცებულს, უღმობელმა სწეულებამ. გარნა ყოველის ღონისძიებით ვისურვებ ამ მოვალეობის ასრულებას. – მე, მაგის ფეხზე დარჩენილი უღირსი, გონების თვალთ ვუჭერეც მაგის სხივშემოსილს კუბოსა და გთხოვ, მიიწვინოთ შორედგან ფიალა, აღსავსე ჩვენ ყოველთა ცხარე ცრემლით და აპკუროთ მით მაგისი დაუვიწყარი სამარე, როგორც ჩვენის გულის წმინდა ნაკადითა.

თქვენი უმორჩილესი და ერთგული ყმათავადი

აღმასხან ნიჟარაძე

ქუთაისი.

5 ნოემბერს 1887 წ.“ (საშვილიშვილო მოკავშირე... 1997: 101).

მიუხედავად *მოხუცებულობისა და უღმობელი სწეულები*-სა, რომლებსაც აღმასხან ნიჟარაძე თავის წერილში ახსენებს, დიმ. ყიფიანის დაკრძალვის დღეს მან მოახერხა თბილისში ჩამოსვლა და ცხედარს ქუთაისის დეპუტაციასთან ერთად ქალაქგარეთ, საბურთალოზე, დახვდა (ივერია 1887; საშვილიშვილო მოკავშირე... 1997: 119). იაკობ მანსვეტაშვილი იხსენებს:

„სამხედრო გზით მოსვენებულს ცხედარს აუარებელი ხალხი დაესწრო ჯერ ისევ ქალაქ გარეთ, საბურთალოზე. პირველ წამს, როდესაც ბაღდახინი მიცვალებულის კუბოთი მოახლოვდა, რაღაც უხერხულობა ჩამოვარდა. არ იცოდნენ, რა ექნათ, პირველად რა უნდა თქმულიყო. აქ წამოდგა წინ დავით ნიჟარაძე,* ყიფიანის მოადგილე ქუთაისში, მიუახლოვდა ძირს გადმოღებულ კუბოს, შუბლში ხელი ირტყა და ზარით მოსთქვა: – ვაი ჩემს თავს, რომ ცოცხალი ვარ და შენ კი მაგ კუბოში გხედავ! ეს საკმარისი იყო: უხერხული წამი გაჰქრა, ყველა ამოძრავდა...“ (მანსვეტაშვილი 1936: 230; საშვილიშვილო მოკავშირე... 2007: 170-171).

²⁸ (გვ. 67) **„ქართველებმა რუსეთის მფარველობის ქვეშ უმაღლესს კეთილდღეობას მიაღწიეს“** – რუსულ ვარიანტებში ავტორს სათქმელი დაკონკრეტებული აქვს: „Грузины достигли, наконец, под эгидой России такого благоденствия, какого не имели с самого XIII столетия“ [„ქართველებმა რუსეთის ეგიდის (მფარველობის) ქვეშ, ბოლოს და ბოლოს, მიაღწიეს ისეთ კეთილდღეობას, რომლის მსგავსიც XIII საუკუნიდან არა ჰქონიათ“] (ხეც. ფ. 27r; ჩხეტია 1947: 466). ავტორი აქ საქართველოს ტერიტორიულ გაერთიანებას, კუთხური განკერძოებულობის აღმოფხვრასა და ადმინისტრაციული ერთმმართველობის დამყარებას გულისხმობს. დიმ. ყიფიანი ხსენებულ *კეთილდღეობაზე* სხვა ტექსტებშიც მსჯელობს. ასე, მაგალითად, 1848 წელს იგი წერდა:

„არ გასულა ნახევარი საუკუნე, რაც ახალი მმართველობა დამკვიდრდა და საქართველოს ყოფა ძირფესვიანად შეიცვალა: გარეშე მტრებს ვერა ვხედავთ, შინააშლილობებს ბოლო მოელო, ლეკები უკვე თავისთვის არიან – თავიანთ მთებში, და იმგვარსავე უბედურებაში იმყოფებიან, რა უბედურებასაც საქართველოში თესავდნენ, მხოლოდ მოსაზღვრე კახეთს თუ მოითარებებენ ხან-

* უნდა იყოს: **ალმასხან ნიჟარაძე.**

დახან. სწავლა-განათლება ისეთი სისწრაფით ვითარდება, რომ ქართველ თავადაზნაურობას თავის წრეში უკვე აღარ უწევს თითებზე ჩამოთვლა ისეთი ადამიანებისა, წარმატებით რომ შეუძლიათ თავი გაართვან სამხედრო თუ სამოქალაქო სამსახურს. შთამომავლობისათვის განათლების მიცემა ჩვეულებრივ ამბად იქცა. ასე დამკვიდრდა მხარის დაახლოებით ნახევარსაუკუნოვან ცხოვრებაში კეთილდღეობა; ყოველ შემთხვევაში, ამოიძიოკვა ფესვები ბოროტებისა, კეთილდღეობის დამკვიდრებას რომ უშლიდა ხელს“ (ყიფიანი 2017⁶: 12-13).

იმავე 1848 წლის 24 აპრილს, საქართველოს თავადაზნაურობის საგუბერნიო კრებაზე წარმოთქმულ სიტყვაში დიმ. ყიფიანი აღნიშნავდა (სიტყვა წარმოთქმულია რუსულ ენაზე):

„ახლა ჩვენ უშფოთველად ვმოქმედებთ საშინაო ცხოვრებაში, მშვიდობიანად ვუძღვებით საოჯახო საქმეებს, მტრებს შინ კი არ ვებრძვით, არამედ – მათსავე საზღვრებში, უსაფრთხო გარემოში ვზრდით შვილებს და შევხარით მათ მომავალს; დიდი ხანია, ჩვენი მართლმადიდებლობა, ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრება დაცულია საფრთხეებისაგან...“ (ხეც. დიმ. ყიფიანის არქ., საქ. №137. ფ. 2) და ა. შ.

²⁹ (გვ. 67) **„კარგათ ესმის, ვისი წყალობით ეღირსა ეს კეთილდღეობა“** – შ. ჩხეტიას პუბლიკაციაში ამ სიტყვებს მოსდევს მოკლე აბზაცი, რომელიც დიმ. ყიფიანის მიერ გადახაზულია: *„მაგრამ განა მოსაზრონია, როცა ვეება კასრით თაფლს მოგიძღვნიან, მადლობის სათქმელად გაღებულ პირში კი კოვზით კუპრს ჩაგასხამენ?“* (ჩხეტია 1947: 466). ხეც-ში დაცულ რუსულ ვარიანტში ეს მონაკვეთი არ არის.

³⁰ (გვ. 68) **„...ჩემი ჯანმრთელობა იმდენად მოშლილია, რომ ცხოვრების ახლანდელ პირობებში მისი აღდგენა შეუძლებელია“** – დიმ. ყიფიანის მიერ ჩამოთვლილ გარემოებათა შესახებ (სილარიბე, სულიერი შეჭირვება, ავადმყოფ-

ფობა...) უხვი მასალა მოიპოვება მის მიერ ცოლ-შვილისთვის სტავროპოლიდან გამოგზავნილ წერილებში (ჩხეტია 1947: 468-476, 478-488, 491-494; ნანილი ამ წერილებისა გამოკვეყნებულია ჩვენ მიერ: ყიფიანი 1995: 83-118; საშვილიშვილო მოკავშირე... 1997: 44-64, 69-70); სრულად ისინი (ქართული თარგმანი პასპორტებითა და კომენტარებით) წინამდებარე გამოცემის შესაბამის ტომში დაიბეჭდება].

სამწუხაროდ, დაკარგულია დიმ. ყიფიანის დღიური, რომელსაც იგი სტავროპოლში წერდა (ჩხეტია 1947: 471; საშვილიშვილო მოკავშირე... 1997: 49). ეს დღიური მამის ცხედრის ჩამოსასვენებლად სტავროპოლში წასულმა კოტე ყიფიანმა საქართველოში ჩამოიტანა (ყიფიანი 1911; ყიფიანი 2007^ლ: 99), თუმცა 1910-იანი წწ. დასაწყისში, როცა არჩილ ჯორჯაძე დიმ. ყიფიანზე წიგნს წერდა, დღიური უკვე დაკარგულად ითვლებოდა (ჯორჯაძე 1989^ლ: 581). როგორც ირკვევა, უკანასკნელად ეს დღიური დიმიტრის შვილს, ნიკოლოზს, ჰქონია და მას იგი სხვა ნივთებთან, წიგნებთან და ხელნაწერებთან ერთად ბათუმში ვინმე ანდროსოვის ოჯახში ბინის ქირის ვალში დაუტოვებია, შემდეგ კი ველარ გამოუხსნია (1890 წლიდან გარდაცვალებამდე ნიკ. ყიფიანი ევროპის სხვადასხვა ქვეყანაში ცხოვრობდა, საბოლოოდ კი ბელგიაში, კერძოდ, ბრიუსელში დამკვიდრდა და 1905 წელს იქვე გარდაიცვალა). ამის თაობაზე ნიკ. ყიფიანი ერთ უთარილო (თავნაკლულ) წერილში ბრიუსელიდან თავის ქალიშვილს, ნინო (ნუცა) ყიფიანს, სწერს:

„ვიხსენებ, იმ უამრავ წიგნებსა და ფურცლებს შორის, რომლებიც ბათუმში დავტოვე ანდროსოვებთან, იყო ასხმა წერილები-სა... ამას გარდა, მამაჩემის სტავროპოლის დღიური. ნუთუ ეს ყველაფერი განადგურდა, გაქრა, აღარ არის... საჭიროა კი მოიკრიბო მთელი ძალა, რათა გადაარჩინო ანდროსოვებისაგან თუ ყველაფერი არა, ის მაინც, რაც დავტოვე, წერილები და ფურცლები“ (მიქაძე... 2016: 50).

1895 წლის 18 იანვარს ნიკოლოზ ყიფიანი ბრიუსელიდან თავის მეორე ქალიშვილს, ელისაბედ (ვეტა) ყიფიანს, სწერს (წერილი რუსულ ენაზეა. ვიმონებთ ჩვენთვის ამჟამად საინტერესო ფრაგმენტებს):

„ძალიან მინდა გავიგო, რა ბედი ენია ჩემს უამრავ წიგნს, ქალაქებსა და სხვ., რომლებიც წამოსვლის წინ ბათუმში დავუტოვე ანდროსოვებს... ანდროსოვებთან დავტოვე დიდი კარადა, რომლებშიც იყო ქალაქები, მათ შორის, დედათქვენი³¹ და თქვენი ყველა წერილი და სხვ.; მამაჩემის პორტრეტი, რომელშიც მისი დღიურები იდო. დანაკლისი აუნაზღაურებელია!.. ამის შესახებ ხშირად ვწერდი დედაშენს, მაგრამ არც ერთხელ ამაზე არაფერი მიპასუხა. გარდა ამისა, ნიცაში ჩემთვის ძვირფასი ბევრი რამ დავტოვე (თქვენი და დედათქვენის წერილები, პორტრეტები, ხელნაწერები და ა. შ.). ნუთუ ეს ყველაფერი დაიღუპა?! და თუ ჯერ კიდევ არ დაღუპულა, უნდა გამოითხოვო, რაც გადარჩა, რათა *დაეპატრონო ყველაფერს, რაც დარჩა ბათუმში და რაც გადარჩა ამ ხუთი წლის განმავლობაში* (კურსივით აღნიშნული ფრაზა წერილში ქართულ ენაზეა – თ. ჯ.). როგორ უნდა მოხერხდეს ეს, ამაზე კიდევ მოვილაპარაკოთ“ (ქლსმ. №15166-ბ).

³¹ (გვ. 68) „გენერალ-ადიუტანტი ა. ს. შერემეტევი... რჩევას იძლევა – შეწყალების თხოვნით პირდაპირ თავად დონდუკოვ-კორსაკოვს მიმართეთო...“ – ნინო ჭილაშვილ-ყიფიანის წერილი კავკასიის მთავარმართებლის თანაშემწესა და კავკასიის სამხედრო ოლქის მთავარსარდალთან, გენე-

* იგულისხმება ნიკ. ყიფიანის ყოფილი მეუღლე ანასტასია (ტასო) მიხეილ ერისთავის ას. ყიფიანი (იმ დროს, როცა ეს ბარათი იწერებოდა, ისინი რამდენიმე წლის განმორებულები იყვნენ, თუმცა ნიკოლოზს ანასტასია სიცოცხლის ბოლომდე თავდავინწყებით უყვარდა და მასთან წერილობით ურთიერთობასაც ინარჩუნებდა).

რალ-ლეიტენანტ ს. შერემეტევთან (წერილის ავტორი ადრესატს სთხოვს რჩევას, თუ რა ფორმით უნდა აღიძრას შუამდგომლობა ხელმწიფე იმპერატორთან, რათა დიმ. ყიფიანს სამშობლოში დაბრუნების უფლება მიეცეს) და ს. შერემეტევის პასუხი (იმპერატორთან შუამდგომლობის აღძვრას არ გირჩევთ, რადგან აქედან არაფერი გამოვა და ჯობს, პატიება პირდაპირ ალ. დონდუკოვ-კორსაკოვს სთხოვოთ) იხ.: ჩხეტია 1947: 479-480; ჯორჯაძე 1989: 580; საშვილიშვილო მოკავშირე... 1997: 57-60). ამის შემდეგ ნინო ჭილაშვილ-ყიფიანმა დეპეშით პირდაპირ ალექსანდრე III-ს მიმართა, თუმცა იმპერატორმა საქმე განსახილველად ალ. დონდუკოვ-კორსაკოვს გადასცა (ჩხეტია 1947: 488; საშვილიშვილო მოკავშირე... 1997: 64-65). რაც შეეხება თვითონ დიმ. ყიფიანს, შეწყალებასთან დაკავშირებით 1887 წლის 15 ივლისს იგი სტავროპოლიდან ქვიშხეთში თავის მეუღლეს სწერს (წერილი რუსულ ენაზეა):

„უკიდურეს შემთხვევაში იმის იმედი მაინც მაქვს, რომ შეწყალეებაზე არსად, არასოდეს, არავითარი ლაპარაკი არ იქნება, რამდენადაც შეწყალეებას, გარდა ღვთისადმი აღვლენილი ლოცვა-ვედრებისა, მხოლოდ დამნაშავეები ითხოვენ“ (ჩხეტია 1947: 482; ყიფიანი 1995: 106; საშვილიშვილო მოკავშირე... 1997: 61).

³² (გვ. 69) „ნათქვამია ჩემზე...“ – დიმ. ყიფიანი აქ და ქვემოთ გულისხმობს ალ. დონდუკოვ-კორსაკოვის 1886 წ. 25 ივნისის წერილობით მიმართვას რუსეთის იმპერიის შინაგან საქმეთა მინისტრ დიმ. ტოლსტოისადმი, რომელსაც ეს მიმართვა იმპერატორისთვის უნდა წარედგინა (ჩხეტია 1947: 434-437; საშვილიშვილო მოკავშირე... 1997: 12-16).

³³ (გვ. 71) „ქართული პატრიოტიზმი წმინდა წყლის რუსული პატრიოტიზმია ... გახდნენ რუსეთის თვითმპყრობლის ქვეშევრდომები და, ამდენად, რუსებად იქცნენ“ – რუსეთის

თვითმპყრობელურ იმპერიაში ხელმწიფე იმპერატორის (თვითმპყრობლის) *ქვეშევრდომი* ოფიციალურ ენაზე, მიუხედავად პირის ეთნიკური კუთვნილებისა, ნიშნავდა *რუსს* [პასპორტში, ნამსახურობის სიასა და სხვ. ოფიციალურ დოკუმენტებში არსებობდა სპეციალური გრაფა აღმსარებლობის შესახებ (вероисповедание), ხოლო პირის ეთნიკური კუთვნილება არ აღინიშნებოდა]. აქედან მომდინარეობს აღნიშვნა იმისა, რომ „*ქართული პატრიოტიზმი ნმინდა წყლის რუსული პატრიოტიზმია*“ და ახალშემოერთებული აჭარის მკვიდრნი „*გახდნენ რუსეთის თვითმპყრობლის ქვეშევრდომები და, ამდენად, რუსებად იქცნენ*“.

აქ, პირველ რიგში, მხედველობაშია მისაღები, რომ დიმ. ყიფიანის წინამდებარე ტექსტის ადრესატი *ძირითადად* და *არსებითად* ოფიციალური წრეები, უფრო ზუსტად, *ხელისუფლება* იყო.

³⁴ (გვ. 73) „**ვეოფილიყავი ნამდვილი სამოქალაქო მრჩევლის ხარისხში, 1866 წელს იმავე წრიდან პირველს მებოდა ნიშნები წმ. ვლადიმირის II ხარისხის ორდენისა**“ – დიმ. ყიფიანმა ნამდვილი სამოქალაქო მრჩევლის (Действительный статский советник) ხარისხი (შეესაბამებოდა გენერალ-მაიორის სამხედრო და კონტრადმირალის საზღვაო ჩინებს) მიიღო 1854 წლის 13 დეკემბერს (ყიფიანი 29: 100). რაც შეეხება წმ. ვლადიმირის II ხარისხის ორდენს, იგი მას ალექსანდრე II-მ 1866 წელს მიანიჭა. ამას გარდა, დიმ. ყიფიანს მიღებული ჰქონდა ორდენები: წმ. ანას I ხარისხისა (ორჯერ: 1860 და 1864), წმ. ანას II ხარისხისა (ორჯერ: 1852 და 1866), წმ. სტანისლავის I ხარისხისა (1857); დაჯილდოებული იყო აგრეთვე მედლებით გიორგისა (1857) და ალექსანდრეს (1864) ლენტეხზე, წითელი ჯვრისა (1879) და წარჩინების ნიშნებით (ხუთჯერ: 1848, 1852, 1857, 1858, 1867). დიმ. ყიფიანი იყო აგრეთვე სპარსეთის ლომისა და მზის I ხარისხის ორდენის (1857) კავალერი (იხ. დიმ. ყიფიანის ნამსახურობის სია – ხეც. დიმ. ყიფიანის არქ., საქ. №29).

დ ღ ი უ რ ე ბ ი

დღიური 1857-1858 წლებისა (გვ. 79-118)

ხელნაწერი: ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი. დიმ. ყიფიანის არქივი. საქმე №386. შავი. უცნობი ხელით ნაწერი, დიმ. ყიფიანის მიერ ნასწორები და შევსებული. რუსულ ენაზე. ფ. 32.

სათაური: Журнал занятиям члена совета главного управления, действительного статского советника Кипиани по командировке его в Мингрелию с 2 октября 1857 года по 20 февраля 1858 [მთავარმმართველობის საბჭოს წევრის, ნამდვილი სამოქალაქო მრჩევლის, სამეგრელოში მივლინებული ყიფიანის სამუშაო ჟურნალი – 1857 წლის 2 ოქტომბრიდან 1858 წლის 20 თებერვლამდე].

თარიღი: 1857 წ. 2 ოქტომბერი – 1858 წ. 20 თებერვალი.

ტექსტი ხელმოუწერელია. **დასათაურება ჩვენია.**

სამეგრელოს სამთავროს გაუქმების საკითხი, რისთვისაც ჯერ კიდევ მეფისნაცვალი ნიკ. მურავიოვი ამზადებდა ნიადაგს (ჩხეტია 1963: 131; ჯანაშია 1988: 9-11), კიდევ უფრო აქტიური გახდა ალ. ბარიატინსკის მმართველობის წლებში, განსაკუთრებით – სამეგრელოს გლეხთა 1856-1857 წწ. აჯანყების დროს. 1857 წლის აგვისტოს დასაწყისში სამეგრელოში შევიდა რუსული ჯარი, დამყარდა რუსული მმართველობა, გენერალი ნიკ. კოლიუბაკინი დაინიშნა სამეგრელოს მმართველად (ორჯონიკიძე 1970: 221; მაკალათია 1941: 174), პეტერბურგში კი მიიღეს გადაწყვეტილება სამთავროს დროებითი მმართველის, ეკატერინე დადიანის, პეტერბურგში „მიწვევის“ შესახებ. საამისო ოფიციალურ მიზეზად დასახელდა ალექსანდრე II-ის სურვილი, „ახლოს ჰყოლოდა მცირეწლოვანი მთავარი და თვალყური ედევნებინა მის აღზრდისათვის“ (ბოროზდინი 1934: 159; უნდა ითქვას, რომ ეკატერინე დადია-

ნი მანამდეც იმყოფებოდა რუსეთში – 1856 წლის აგვისტოში იგი ალექსანდრე II-ის კორონაციაზე იყო მიწვეული მოსკოვში, საიდანაც რუსეთის ახალმა იმპერატორმა პეტერბურგში დაპატიჟა და სამეგრელოს დედოფალი იქ 1857 წლის გაზაფხულამდე დარჩა – ბოროზდინი 1934: 68-71).

სანამ ეკატერინე დადიანი შვილებითურთ პეტერბურგში გასამგზავრებლად ემზადებოდა (გაემგზავრა 1857 წლის 25 ოქტომბერს – ბოროზდინი 1934: 164), სამეგრელოს სამთავრო ოჯახის ქონების ინვენტარიზაციის დაწყება გახდა საჭირო. მეფისნაცვალმა ალ. ბარიატინსკიმ ეს საქმე თავისი საბჭოს წევრს, დიმ. ყიფიანს, დაავალა.

წინამდებარე „ღლიურში“ სამეგრელოს სამთავრო ოჯახის უძრავ-მოძრავი ქონების ინვენტარიზაციის პროცესია ასახული.

დასასრულ, დავსძენთ, რომ ხეც-ში, დიმ. ყიფიანის არქივში, სამეგრელოს სამთავრო ოჯახის უძრავ-მოძრავი ქონების, სამეგრელოს სამთავროში სოციალური ურთიერთობების, ფენათა სამართლებრივი და ადათობრივი ურთიერთმიმართების, მოსახლეობის ყოფისა და სხვ. შესახებ დაცულია ვრცელი და მრავალფეროვანი მასალა, რომელსაც ჩვენ გზადაგზა, აქ და მომდევნო ტომებში, სხვადასხვა ტიპის ტექსტების პუბლიკაციისას, შევუხებთ. აქ კი დავიმოწმებთ საინტერესო სტატისტიკურ მონაცემებს 1854 წელს სამეგრელოს სამთავროს (საკუთრივ სამეგრელო, აგრეთვე, ლეჩხუმი) მოსახლეობის რაოდენობის შესახებ – „**რიცხვი მცხოვრებთა სამეგრელოს სამთავროისა 1854 წელსა შინა**“ (ხეც. დიმ. ყიფიანის არქ., საქ. №457, ფ. 4):

„რაოდენნი არიან მაზრებშიდ:

მარტვირის –

თავადნი:	კომლი – 16;	მამრ. – 67;	მდედრ. – 92.
აზნაურნი:	კომლი – 169;	მამრ. – 654;	მდედრ. – 591.
გლეხნი:	კომლი – 1690;	მამრ. – 6761;	მდედრ. – 4293.
სრულიად:	კომლი – 1875;	მამრ. – 7482;	მდედრ. – 4976.
			ორნივე: 12 458.

სუჯუნის –

თავადნი: კომლი – 53; მამრ. – 160; მდედრ. – 139.
აზნაურნი: კომლი – 275; მამრ. – 933; მდედრ. – 543.
გლეხნი: კომლი – 2976; მამრ. – 10 131; მდედრ. – 10 080.
სრულიად: კომლი – 3304; მამრ. – 11 224; მდედრ. – 10 762.
ორნივე: 21 986.

ჯვარის –

თავადნი: კომლი – 59; მამრ. – 191; მდედრ. – 123.
აზნაურნი: კომლი – 291; მამრ. – 609; მდედრ. – 521.
გლეხნი: კომლი – 3498; მამრ. – 12 963; მდედრ. – 7459.
სრულიად: კომლი – 3848; მამრ. – 13 763; მდედრ. – 8103.
ორნივე: 21 866.

ზუბის –

თავადნი: კომლი – 55; მამრ. – 144; მდედრ. – 140.
აზნაურნი: კომლი – 165; მამრ. – 396; მდედრ. – 519.
გლეხნი: კომლი – 2357; მამრ. – 9168; მდედრ. – 9287.
სრულიად: კომლი – 2577; მამრ. – 9708; მდედრ. – 9946.
ორნივე: 19 654.

საჭილაოს –

თავადნი: კომლი – 7; მამრ. – 20; მდედრ. – 23.
აზნაურნი: კომლი – 86; მამრ. – 241; მდედრ. – 289.
გლეხნი: კომლი – 1453; მამრ. – 5542; მდედრ. – 4483.
სრულიად: კომლი – 1546; მამრ. – 5803; მდედრ. – 4795.
ორნივე: 10 598.

ზუგდიდის –

თავადნი: კომლი – 6; მამრ. – 15; მდედრ. – 18.
აზნაურნი: კომლი – 134; მამრ. – 345; მდედრ. – 603.
გლეხნი: კომლი – 3652; მამრ. – 7988; მდედრ. – 7120.
სრულიად: კომლი – 3792; მამრ. – 8348; მდედრ. – 7741.
ორნივე: 16 089.

ლაილაშის –

თავადნი: კომლი – 19; მამრ. – 76; მდედრ. – 60.
აზნაურნი: კომლი – 113; მამრ. – 405; მდედრ. – 487.
გლეხნი: კომლი – 707; მამრ. – 3083; მდედრ. – 1618.
სრულიად: კომლი – 839; მამრ. – 3564; მდედრ. – 2165.
ორნივე: 5729.

მურის –

თავადნი: კომლი – 17; მამრ. – 55; მდედრ. – 27.
აზნაურნი: კომლი – 185; მამრ. – 539; მდედრ. – 469.
გლეხნი: კომლი – 1261; მამრ. – 4413; მდედრ. – 3268.
სრულიად: კომლი – 1463; მამრ. – 5007; მდედრ. – 3764.
ორნივე: 8771.

სრულიად –

თავადნი: კომლი – 232; მამრ. – 728; მდედრ. – 622.
აზნაურნი: კომლი – 1418; მამრ. – 4122; მდედრ. – 4122.
გლეხნი: კომლი – 17 592; მამრ. – 60 049; მდედრ. – 47 508.
სრულიად: კომლი – 19 244; მამრ. – 64 899; მდედრ. – 52 252.
ორნივე: 117 151“.

¹ (გვ. 79) „კავკასიის მეფისნაცვლის...“ – იგულისხმება ალ. ბარიატინსკი.

² (გვ. 79) „სამეგრელოს მართვა-გამგეობისთვის სპეციალური საბჭოს დაარსების გამო“ – დავით დადიანის გარდაცვალებისას (1853 წ. 30 აგვისტო, გორდის სასახლე) მისი მემკვიდრე ნიკოლოზი მცირეწლოვანი (შვიდიოდე წლისა) იყო. 1853 წლის ოქტომბერში იმპერატორმა ნიკოლოზ I-მა მემკვიდრის მთავარ მეურვედ და სამეგრელოს დროებით მმართველად მთავრის ქვრივი ეკატერინე დადიანი დანიშნა და იმავდროულად შექმნა სამეგრელოს მმართველი საბჭო გარდაცვლილი მთავრის ძმების, გრიგოლ და კონსტანტინე დადიანებისა და სამეგრელოს ეპისკოპოსის, ზაქარია ჭყონ-

დიდელის, შემადგენლობით (აქტები 1885: 262). 1857 წლის ივლისში მეფისნაცვალმა ალ. ბარიატინსკიმ ქუთაისის გენერალ-გუბერნატორს დაქვემდებარებული ახალი სამმართველო საბჭო შექმნა, საბჭოს სათავეში იპოლიტ დიუკრუასი ჩაუყენა (აქტები 1904: 307-308), სამ ნაწილად დაყოფილი სამთავროს ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ხელმძღვანელ მოხელეებად (უფროსებად) კი რაფიელ ერისთავი (ზუგდიდის ოლქი), კორნილი ბოროზდინი (სენაკის ოლქი) და კონსტანტინე მიქელაძე (ლენხუმის ოლქი) დაინიშნენ (ბოროზდინი 1934: 130-132).

³ (გვ. 80) „სამეგრელოს მმართველის...“ – იგულისხმება გენერალი ნიკოლოზ კოლიუბაკინი.

⁴ (გვ. 80) „ქუთაისის გენერალ-გუბერნატორს...“ – იგულისხმება გენერალი ალექსანდრე გაგარინი.

⁵ (გვ. 81) „ჯვარში... შეტაკება მოხდა და იქ იყო წასული, რათა ეს საქმე პირადად მოეგვარებინა“ – „ჯვარის შეტაკება“ ერთ-ერთი ეპიზოდია სამეგრელოს გლეხთა 1856-1857 წწ. აჯანყებისა. იგი მოხდა 1857 წლის 27 სექტემბერს და მსხვერპლით დასრულდა (აქტები 1904: 321). ამ ფაქტის შესახებ გენერალ-გუბერნატორ ალ. გაგარინის მიერ ქუთაისიდან ალ. ბარიატინსკისათვის გაგზავნილ 1857 წლის 8 ოქტომბრის პატაკში ნათქვამია:

„პირადად გავემგზავრე სამეგრელოში, ჯვარის ოლქში, იმ წესრიგის აღსადგენად, რომელიც 27 სექტემბრის სამწუხარო შემთხვევით დაირღვა და რა დროსაც რამდენიმე მეგრელს თავისი თავხედობა სიცოცხლის ფასად დაუჯდა. – სამეგრელოში ჩასვლისა და გენერალ-მაიორ კოლიუბაკინთან შეხვედრის შემდეგ გაირკვა: – ზემოაღნიშნული შემთხვევის მეორე დღეს გენერალ-მაიორმა კოლიუბაკინმა ჯარი გაგზავნა იმ სოფლებში, სადაც წინააღმდეგობის კერები არსებობდა. ჯარს მოსახლეობა დანაშაულის აღიარებით შეხვდა და პირობაც დადო, რომ მართებლობის ყველა მოთხოვნას შეასრულებს სიტყვის შეუბრუნებლად. –

გენერალ-მაიორ კოლიუბაკინის ბრძანებით დააპატიმრეს ყველა ის პირი, რომლებიც, საყოველთაო აზრით, ამბოხების მოთავეები არიან. ჯვარელებმა თვითონვე შეიპყრეს და მოიყვანეს მჭედელი მიქაევა, რომელსაც ისინი მთავარ წამქეზებლად მიიჩნევენ. ჯვარში წესრიგის აღდგენა წარმატებით მიმდინარეობს. გლეხები დანაშაულს ინანიებენ და თავ-თავიანთ მებატონეებს უბრუნდებიან. – გენერალ-მაიორი კოლიუბაკინი აპირებს უახლოეს ხანებში მთელი თავისი ძალები მიმართოს სალიპარტიანოსკენ, სადაც ჯერ კიდევ ბუდობს წინააღმდეგობის სული. სამეგრელოში ამჟამად თავმოყრილი ძალები მიზნის მისაღწევად, ვფიქრობ, სავსებით საკმარისი იქნება“ (აქტები 1904: 322-323).

⁶(გვ. 81) **„ეკატერინე ალექსანდრეს ასულთან, რომელიც გასამგზავრებლად ემზადებოდა...“** – ეკატერინე დადიანის პეტერბურგში გამგზავრების ფორმალურ მოტივაციაზე იხ. აქვე, გვ. 355. რაც შეეხება თვითონ გამგზავრების სცენას, კ. ბოროზდინს იგი ასე აქვს აღწერილი:

„გათენდა ოქტომბრის 25, წასვლის დღე. რიონის ნავთსადგურში იდგა მშვენიერი სამთავრო სანდალი, ოდესღაც სტამბოლიდან მოტანილი და მის გვერდით იდგა კიდევ ორი სანდალი ეკატერინეს ბარგისა და მოსამსახურეთათვის. სახელდახელოთ ვისაუზმეთ და გამოთხოვების წამიც დადგა. გულისამაჩუყებელი სურათი იყო. აუარებელი ქალი და კაცი იდგა ჩიქოვანებისა, დედოფალს ხელებს და კაბის კალთას უკოცნიდნენ. ყველა ქვითინებდა. ჩვენის ოფიციალურ მდგომარეობის მიუხედავად, მე და კოლუბიაკინსაც აგვიჩვილა გული მათმა ყურებამ. სხვადასხვა გარემოებით გამოწვეულმა შეხლა-შემოხლამ კნეინასთან ჩვენი კარგი ურთიერთობა შეარყია, მაგრამ მის გულწრფელ მწუხარებას გულგრილად ველარ ვუცქეროდით, როგორც მისი მახლობელი ადამიანები: და ჩვენს ოფიციალურ მდგომარეობას არ შეეძლო ჩვენი მისდამი კეთილი გრძნობა ჩვენში ჩაეხშო.

აჰა, ჩვენთანაც მოვიდა და ხმის ამოუღებლივ გულში ჩაეკრო ნ. კოლუბიაკინს:

– მაპატივეთ, ნიკოლოზ პეტრეს ძე... მაპატივეთ და ნულარ მოჰკითხავთ დამწუხრებულ, გაუბედურებულ ქალს...

ამ წუთას ეკატერინე მშვენიერი რამ იყო. გამონრთობილ, მზემოკიდებულ და უკვე ხანშიშესულ სახეზე კოლუბიაკინს ცრემლი ჩამოუგორდა...

მერე დედოფალი ჩემთან მოვიდა, მეც მსურვალედ გადამეხვია, და სახე ცრემლებით დამილტო.

– მაპატივეთ, მაპატივეთ... ცუდათ არ მახსენოთ... ჩემი უკანასკნელი თხოვნა თქვენდამი ეს გახლავს: ჩიქოვანებს არაფერი მიწყენინოთ, მათი თავი თქვენთვის ჩამიბარებია... მართალია, თქვენ უკმეხად გექცეოდენ, მაგრამ მე ერთგულად მემსახურებოდენ... ნუ გაუჯავრდებით, გეთაყვა.

უკვე სანდალში იჯდა, ისე რალაც მოაგონდა და მიმიხმო.

– იცით, კიდე რა უნდა გთხოვოთ? სალხინოში მშვენიერი ბოსტანი მაქვს, შიგ იშვიათი მწვანელი მითესია: ფეშქაშად მიირთვით ჩემს სახსოვრად, – სახლთხუცესს ქართულად უბრძანა.

– ეს ჩემი ქრთამია ჩიქოვანებისათვის, – დაუმატა დედოფალმა ღიმილით.

სანდლები დაიძრა. კიდე დიდხანს ვიდექით ნაპირას; წამსვლელები ცხვირსახოცს გვიქნევდენ, სანამ თვალთაგან არ მოგვეფარნენ...“ (ბოროზდინი 1934: 164-165).

უნდა ითქვას, რომ ხელისუფლებას მაინც ჰქონია იმის შიში, ეკატერინე დადიანის რუსეთში „მინვევას“ (ფაქტობრივად, გადასახლებას) სამეგრელოში არეულობა არ გამოეწვია. ამის თაობაზე ა. შჩერბაკოვი წერს:

„გორდიდგან [ეკატერინე დადიანის] გამობძანების დღედ იყო დანიშნული 25 ოქტომბერი. ამასთანავე სიფრთხილისათვის მიღებული იყო ზოგიერთი ზომები: ეშინოდათ მეგრელების აჯანყებისა; და ამისათვის გორდისა და მარანს შუა ორი როტა იდგა, ხოლო გორდში იყო ასი როტა ყაზახი“* (შჩერბაკოვი 1884⁶: 126).

* აქ მთარგმნელის შეცდომაა. დედანშია: **კაზაკთა ასეული** („...соедоточено сотня казаков“) (შჩერბაკოვი 1884⁶).

⁷ (გვ. 83) „გაგარინი ხომ მისი დის მეუღლეა?“ – ალ. გაგარინის მეუღლე იყო ეკატერინე დადიანის ნათესავისა და უახლოესი მეგობრის, მანანა ორბელიანის, ქალიშვილი ანასტასია (ტასო) დავითის ას. ორბელიანი-გაგარინა.

⁸ (გვ. 90) „...თავადი სიკო ჩიქოანი. ეს უკანასკნელი იმ დრომდე, ვიდრე... დავით ჩიქოანი არ ჩამოვა“ – სიკო ჩიქოვანთან თანამშრომლობით დიმ. ყიფიანი უაღრესად კმაყოფილი დარჩენილა. დაცულია მისი 1857 წლის 4 ნოემბრის წერილობითი მიმართვა ს. ჩიქოვანისადმი, რომელშიც დიმ. ყიფიანი აფასებს ს. ჩიქოვანის სამსახურს („შემწე მექმნებოდი თ ყოველსა მას მოქმედებასა შინა“ და სხვ.) და დასძენს:

„ან წინამძის განშორება თქვენი და ვალდებულად ვჰპოვებ თავსა ჩემსა, რათა განგიცხადოთ გულითადი მადლობა ყოველისა მის შრომისა და სარჯელისათვის, რომელთაცა არა განეერინებოდით და რომლითაცა დამიმტკიცეთ კეთილსინდისიერი და კეთილშობილური შემწეობა თქვენი. – წერილითა ამით წარმოვჰსთქვამ თქვენ წინაშე მადლობასა ამას; – ხოლო მრჩობლ გამოსათქმელად გთხოვთ მიიღოთ ჩემგან წარმოგზავნილი ამასთანავე, უფლის კავკასიის ნამესტნიკის მიერ გარდმოცემული ჩემდა მისის ექსტრა ორდინერიის კაბინეტი, ოქროს კოლოფი“ (ხეც. დიმ. ყიფიანის არქ., საქ. №384. ფ. 1; ერთგული სამსახურისთვის დიმ. ყიფიანს დაუფილდოებია აგრეთვე: ფარნაოზ გელოვანი, დათა და დავით ჩიქოვანები – იქვე).

⁹ (გვ. 93) „ხელოსანთან... ინახება“ – ხელოსანი – აქ: „გარკვეული თანამდებობის მქონე პირი (მებატონესთან ან სოფლად)“ (ქეგლ 1964: 1406).

¹⁰ (გვ. 94) „კონსტანტინე დადიშქელიანის შეპყრობის შემდეგ...“ – კონსტანტინე დადიშქელიანის შეპყრობისა და მისგან გამომდინარე შედეგების შესახებ იხ. აქვე, კომენტ. №14.

¹¹ (გვ. 96) „22 ოქტომბერი ლაშხეთის ამ სოფლიდან სოფელ სახეოში გადასვლას დასჭირდა“ – სოფელი სასაში ისე-

ვე, როგორც ქვემოთ ნახსენები ხერია, ადრე ლაშხეთის თემში შედიოდა (თაყაიშვილი 2017: 107), ამჟამად კი ორივე ეს სოფელი ჟახუნდრის (ჯახუნდრის) თემში შედის.

¹²(გვ. 97) **„სვანებიდან არავინ ჩამოსულა“** – იგულისხმებიან სვანები *ენგურის* სვანეთიდან.

¹³(გვ. 97) **„ზემოხსენებული ლეხერისა...“** – ზემოთ *ლეხერი* არსადაა ნახსენები. გამორიცხული არ არის, აქ და ქვემოთ *ლეხერში* სოფელი *ხერია* იგულისხმებოდეს.

¹⁴(გვ. 97) **„კონსტანტინე დადიშქელიანს სასიკვდილოდ დაუჭრია თავადი გაგარინი და მისსავე სახლში ორი ჩინოვნიკი მოუკლავს“** – სვანეთის სამთავროს გაუქმება უმაღლესი ხელისუფლების გადაწყვეტილება იყო, ხოლო ამ საქმეში განსაკუთრებულ აქტიურობას იჩენდნენ ალ. გაგარინის შტაბის უფროსი, პოლკოვნიკი (შემდგომ გენერალ-მაიორი) პეტრე უსლარი და გენერალი ივანე ბართოლომეი, რომლებიც საქმესთან დაკავშირებული ინტრიგებისა და პროვოკაციების მთავარი შემოქმედნი და განმახორციელებელნი იყვნენ. საბოლოოდ უპერსპექტივობის განცდით შეპყრობილმა და უდიერი მოპყრობით უკიდურესად შეურაცხყოფილმა კონსტანტინე დადიშქელიანმა, რომელსაც არა მარტო სვანეთში დაბრუნებას უკრძალავდნენ, არამედ ერევანში გადასახლებასაც კი უპირებდნენ, 1857 წლის 20 ოქტომბერს ქუთაისში სასიკვდილოდ დაჭრა ალ. გაგარინი. ეს ამბავი კ. ბოროზდინს ასე აქვს აღწერილი:

„დადიშქელიანმა თავისი საშინელი სატევარი ქარქაშიდან იმიშვლა, დააცხრა გაგარინს და ორჯელ შემოჰკრა – ერთხელ ხელზე, მეორეჯელ – მუცელში. ამის შემდეგ გენერალ-გუბერნატორის სახლი რაღაც საყასბოდ იქცევა; გაგარინის გარდა კიდევ სამი კაცი გახდა ამ სიბრაზისგან გაცოფებულ კაცის მსხვერპლად. თარჯიმან არდიშვილს სატევარი გულში გაუტარა და იქვე უცებ მოჰკლა; ნიკოლოზ პეტრეს ძე ილინი, რამდენსამე ალაგას დაჭრილი, სახედასახიჩრებული, მალე სულს განუტევებს; მზარეუ-

ლი მაქსიმე დაჭრილი აივანზე ჰგორავს.* კატასტროფის მოწმენი გაქცევით თავსა ჰშველიან... – მაგრამ დადეშქელიანი სადღაა, ველარსად უპოვნიათ... ერთბაშად სომხის შესახვევიდან, რომელ-იც გენერალ-გუბერნატორის გვერდით იყო, ყვირილი მოისმის: „აქ არის, აქ არის!“ იქითკენ გაიჭრება ასეულის კომანდირი თავის ასეულითურთ; აღმოჩნდა, რომ დადეშქელიანი ბაქრაძის სახლში შესულა, სახლს შემოეხვევიან, ეძახიან – გამოდი, დაგვენბდიო; მაგრამ კონსტანტინემ თურმე კარს უშველებელი დივანი მიაყუდა, რომელსაც მერე რამდენმამე კაცმაც-კი ძვრაც ვერ უყვეს; ბაქრაძის ოთახში უპოვნია თოფი, შიგ მის ჩოხაში ჩანყობილი ვაზნები ჩაანყო, დაიწყო სროლა და კიდევ სამი კაცი დასჭრა. მაშინ გუბერნატორმა ივანოვმა ბრძანა ესროლნათ მისთვის. ტყვიამ მკლავი მოამტვრია, დაიჭირეს და ჰაუპტვახტში ნათარიეს“ (ბოროზდინი 1934: 222-223).

კ. ბოროზდინის ფაქტი სწორად რომ აქვს აღწერილი, ამას ადასტურებს ოფიციალური დოკუმენტი – ალ. ბარიატინსკი-სადმი ქუთაისის გუბერნიის ჟანდარმთა კორპუსის შტაბოფიცრის, მაიორ ლაბენსკის, 1857 წლის 21 ოქტომბრის პატაკი (აქტები 1904: 374), რომელშიც ფაქტები, მართალია, უფრო ძუნწად, მაგრამ არსებითად ისეა გადმოცემული, როგორც ეს კ. ბოროზდინის მიერაა მოთხრობილი. თუმცა კ. ბოროზდინს გამოტოვებული აქვს მნიშვნელოვანი გარემოება: კონსტანტინე დადიშქელიანმა როგორც არდიშვილი, ისე ილინი მას შემდეგ მოკლა, რაც ისინი დადიშქელიანს თავს დაესხნენ.

რაც შეეხება ალ. გაგარინს, ექიმებმა მისი მდგომარეობა იმთავითვე უიმედოდ ჩათვალეს და რამდენიმე დღის შემდეგ, 27 ოქტომბერს, იგი ქუთაისშივე გარდაიცვალა. კონსტანტინე დადიშქელიანი კი დახვრიტეს იმავე 1857 წლის 2 ნოემბერს, დილის 8 საათზე, დამარხეს იქვე, დახვრეტის ადგილზე (შჩერბაკოვი 1884^b: 139). ა. შჩერბაკოვის მიხედვით, დაჭრილი

* *მზარეული მაქსიმე* (კლიროვი – იხ. ურუშაძე 2017: 112) გადარჩა, თუმცა ორთვიანი მკურნალობა დასჭირდა (შჩერბაკოვი 1884^b: 134).

და თოკებით შეკრულ კონსტანტინე დადიშქელიანს გზად სა-
პატიმროსკენ თავი ღირსეულად ეჭირა, ხოლო როცა დასახ-
ვრეტად მიჰყავდათ, ქართულად ხშირად იმეორებდა: „კანონი
არ არის!“ (შჩერბაკოვი 1884^ბ: 140).

კონსტანტინე დადიშქელიანის „დახვრეტის შემდეგ მისი
მამულები ხაზინას გადასცეს, ოჯახის წევრებს კი ფულადი
საზღაური მისცეს და სვანეთიდან გადაასახლეს“ (ორჯო-
ნიკიძე 1970: 223).

კონსტანტინე დადიშქელიანის მიერ აღ. გაგარინის მკვლე-
ლობის შესახებ იხ. აგრეთვე: დროება 1884; ნიკოლაძე 1964^ბ:
560-562 და სხვ.; დოკუმენტური მასალა მკვლელობის შემდეგ
განვითარებულ მოვლენებზე იხ. აქტები 1904: 374-385; კონ-
სტანტინე დადიშქელიანს ლექსი „მურზაყან შავ-სევდიანი“
უძღვნა აკაკი წერეთელმა (წერეთელი 1950: 156).

¹⁵(გვ. 99) „...თანასწორად უზრუნველყოფილ იქნენ ტყი-
თა და საძოვრებით“ – დაცულია ლაილაშელ სომეხთა და
ებრაელთა კოლექტიური მიმართვა (ხეც. დიმ. ყიფიანის არქ.,
საქ. №397, ფ. 1; ხელს აწერს 47 მცხოვრები), აგრეთვე, ლაი-
ლაშელი ვაჭრების, ალექსი და ივანე ჯანუაშვილების, თხოვნა
(ხეც. დიმ. ყიფიანის არქ., საქ. №398, ფ. 1) დიმ. ყიფიანისადმი,
რომლებშიც ისინი ადგილობრივი მოხელეებისგან (მათ შო-
რის, სოფლის ნაცვალ ბეჟან ახვლედიანისგან) შევიწროებას
უჩივიან. ამათ პასუხად და ტექსტში ჩამოთვლილ სხვა უასა-
მართლობათა აღმოსაფხვრელად 1857 წლის 25 ოქტომბერს
დიმ. ყიფიანი ოფიციალურად მიმართავს ლაილაშის ნაცვალ
ბეჟან ახვლედიანს (მიმართვა რუსულ ენაზეა. ვიმონებთ შე-
მოკლებით):

„დაუყოვნებლივ დაუბრუნდეს ლაილაშელ ვაჭრებს, ალექსი
და ივანე ჯანუაშვილებს, მათთვის ჩამორთმეული მიწის ნაკვეთი...
მოჯალაბე ნანიკა მესხაძეს მისთვის ჩამორთმეული მიწის სან-
აცვლოდ გამოეყოს თავისუფალი ნაკვეთი... აზნაურებს, ლევან
და დათიკელა ასათიანებს, დაუბრუნდეს წითელაურის პირას

ჩამორთმეული სამი დღიური მინა. – საერთოდ ლაილაშელი ვაჭრები, მსგავსად გლეხებისა, უზრუნველყოფილ იქნენ თავისუფალ სამთავრო მამულში მდებარე საძოვრებითა და ტყით“ (ხეც. დიმ. ყიფიანის არქ., საქ. №399. ფ. 1).

¹⁶(გვ. 99) „სოფელ ჭყვიშში გადავედი“ – ამჟამად სოფელი ზედა ჭყვიშში ამბროლაურის მუნიციპალიტეტში.

¹⁷(გვ. 101) „22 ოქტომბერს...“ – კონსტანტინე დადიშქელიანის მიერ აღ. გაგარინის სასიკვდილოდ დაჭრის თარიღის შესახებ წყაროებსა და ლიტერატურაში სხვადასხვა მონაცემია: 20 ოქტომბერი (აქტები 1904: 374), 22 ოქტომბერი (ბოროზდინი 1934: 217), 25 ოქტომბერი (შჩერბაკოვი 1884^ა; შჩერბაკოვი 1884^ბ: 127; შჩერბაკოვი 1884^გ)... დიმ. ყიფიანს წინამდებარე დღიურში ორი ერთმანეთისგან განსხვავებული თარიღი უნერია: 20 ოქტომბერი (ფ. 16r, 17v) და 22 ოქტომბერი (ფ. 18r). აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ იქ, სადაც დიმ. ყიფიანს 20 ოქტომბერი უნერია, თავდაპირველად 22 ყოფილა და ავტორს ეს რიცხვი (როგორც ჩანს, მოგვიანებით, თარიღის დაზუსტების შემდეგ) 20-ად გადაუკეთებია. თარიღის დასაზუსტებლად ყველაზე სანდო წყაროდ უნდა მივიჩნიოთ „აქტებში“ გამოქვეყნებული პატაკი, რომლითაც ქუთაისის გუბერნიის ფანდარმთა კორპუსის შტაბოფიცერი ლაბენსკი (დადიშქელიანის დაპატიმრების მონაწილე, თვითონ ლაბენსკის თქმით – ოპერაციის უშუალო ხელმძღვანელი) ოფიციალურად მიმართავს მეფისნაცვალ აღ. ბარიატინსკის. პატაკი შედგენილია **21 ოქტომბერს** და მასში გარკვევითაა ნათქვამი – კონსტანტინე დადიშქელიანმა **20 ოქტომბერს** აღ. გაგარინი დაჭრა, ხოლო ილინი და არდიშვილი დახოცაო (აქტები 1904: 374). ასე რომ, კონსტანტინე დადიშქელიანს აღ. გაგარინი 1857 წლის **20 ოქტომბერს** დაუჭრია.

¹⁸(გვ. 101) „პირადად გაგარინის საწინააღმდეგო მას არც არაფერი ჰქონია და არც არაფერი ექნებოდა ჩაფიქრებული“ – დიმ. ყიფიანის ეს აზრი სწორი აღმოჩნდა. სასამართლო

პროცესზე კონსტანტინე დადიშქელიანმა განაცხადა, რომ გაგარინის სანინაალმდეგო არაფერი ჰქონდა და უსლარი და ბართოლომეი უნდა დაეხოცა:

„სასამართლოში კონსტანტინემ განაცხადა: გაგარინი განრისხების წამს შემომაკვდა და ძალიან ვწუხვარ მის სიკვდილსაო: – გაგარინი კაი კაცი იყო და მე ცუდს არაფერს ვუზამდი, მაგრამ უკანასკნელად შეხვედრის დროს თავის სიფიცხით და ჯიუტობით მოთმინების ფიალა ამივსოვო. მიყვიროდა და მე-კი, როგორც მთავარი, ჩვეული არა ვარ, ასე მომეპყრან. მე მოკვლა მინდოდა გაგარინისა კი არა, უსლარისა და ბარტოლომეისა. ესენი იყვნენ, რაც იყვნენ, ბოროტები, მავნებლები, გაგარინს თავ-ტვინი დაუბნიეს; ძალიანა ვწუხვარ, რომ ორივე მოუკვლელი გადამირჩა. ღმერთმა სასუფეველი დაუმკვიდროს ჩემს მიერ მოკლულთა არდიშვილისა და ილინის სულს, ესენი თვითონ დამეცნენ, მე რომ იმათ არ მოვრეოდი, მოუკლავს არ გამიშვებდნო“ (ბოროზდინი 1934: 224).

კონსტანტინე დადიშქელიანს უსლარსა და ბართოლომეიზე შურისძიების სურვილი უფრო ადრეც გამოუთქვამს, როცა საპატიმროში მის სანახავად და თავისი გულისწყრომის გამოსახატავად უსლარი შესულა. ა. შჩერბაკოვი იხსენებს:

„ჩემთან ერთად წამოვიდა საპატიმროში პოლკოვნიკი უსლარი და თან წამოიყვანა თარჯიმანი, გუბერნატორის ჩინოვნიკი, თავადი კ. ერისთავი (ეხლანდელი მომრიგებელი მოსამართლე ქუთაისის მაზრისა). თავადი დადიშქელიანი თავის ოთახში (საკანში – თ. ჯ.) ვნახეთ ფიცრის ტახტზედ მწოლარე კვალად ხელშეკრული. უსლარმა უბრძანა ხელები გაეხსნათ თავადისთვის, შევიდა იმასთან ოთახში და თ. ერისთავის პირით დაუნყო იმას კიცხვა... დაღვრემილის სახით არც კი გადმობრუნდა იმისაკენ და ისე უპასუხა: „ღიახ, მოკვალ, მოკვალ, მე გექებდით შენცა და ბარტოლომეისაც – აი კიდევ ვინ უნდა მომეკლა, ეხლა შენ მალე მიიღებ გენერლობას“ (შჩერბაკოვი 1884^ა: 138).

დასასრულ, ნიკო ნიკოლაძე ასე აღწერს კონსტანტინე დადიშქელიანის უკანასკნელ ნუთებს:

„თორმეტი მოხვედრილი ტყვიიდან ერთ-ერთმა გადასჭრა თოკი, რომლითაც იგი ბოძზე იყო მიბმული და გოლიათის სხეული ჩავარდა იქვე ამოთხრილ სამარეში. მე ჩემი თვალით ვნახე სამარეში პირველ ჩავარდნილი სხეული როგორ შემობრუნდა სახით ცისკენ, თითქოს იმისთვის, რომ ადამიანურად დაიმარხოს. არიან ქვეყანაზე ისეთი გოლიათები, რომელთაც სიკვდილიც კი ვერ ერევა ადვილად!..“ (ნიკოლაძე 1964⁹: 561-562).

¹⁹ (გვ. 103) „**ოფიციალურ თანამდებობრივ მდგომარეობას ვიყენებ**“ – იგულისხმება ის, რომ ამ დროს დიმ. ყიფიანი კავკასიის მეფისნაცვლის საბჭოს წევრია.

²⁰ (გვ. 104) „**განკარგულების თაობაზე 31 ოქტომბერს (№10) ვაცნობე მეფისნაცვალს**“ – მეფისნაცვალ ალ. ბარიატინსკის დიმ. ყიფიანი სწერს (ვიმონებთ შემოკლებულად):

„აქ აღარავინ დარჩა ისეთი, ვის უფლება-მოვალეობაშიც ამ პირთა (თენგიზ დადიშქელიანის ოჯახის წევრებისა და მათი მოსამსახურეების – თ. ჯ.) შენახვა შეევა. სვანეთში დაბრუნება, მით უმეტეს, ახლანდელ ვითარებაში მათ არ შეუძლიათ (კონსტანტინე დადიშქელიანის მიერ ალ. გაგარინის მოკვლის გამო სვანეთში ვითარება არეული იყო – თ. ჯ.). ხელისუფლებისგან შემწეობა დანიშნული არა აქვთ, კეთილმოსურნე პირთაგან გაღებული წყალობა ამონურულია და ახლა ისეთ მდგომარეობაში იმყოფებიან, რომ თავად ჯამსუყის ქვრივმა და თავად თენგიზის მეუღლემ მომმართეს თხოვნით – ვიხსნა ისინი შიმშილისაგან... პატივისცემის გრძნობით მოვახსენებ რა ყოველივე ამას თქვენს ბრწყინვალეობას, მაქვს პატივი, უმორჩილესად გთხოვოთ, საკუთარი შეხედულებისამებრ გაცნეთ შესაბამისი განკარგულება დადიშქელიანების ოჯახისთვის დახმარების განევის თაობაზე“ (ხეც. დიმ. ყიფიანის არქ., საქ. №400. ფ. 2).

იქვეა დაცული **თავად ჯამსუყის ქვრივისა და თავად თენგიზის მეუღლის** წერილობითი მიმართვა დიმ. ყიფიანისადმი:

„მის აღმატებულებას დეისტვიტელნის სოვეტნიკს

დიმიტრი იოანეს ძეს ყიფიანს

ჯამსუყ დადიშქელიანის მქვრივ ობოლთაგან უმდაბლესი

ვედრება

არა უცნობელ იქმნება თქვენი უაღმატებულებსობა, რომელ სამკვიდრო საცხოვრებლისაგან გადმოყრილი ვართ ჩვენ მტრისაგან, და აქედამ აქამომდე ვიზრდებოდით მონყალებითა მენგრელიის მთავრისითა. დღეს აღარა გვაქუს ვითარიმეს მხრით ნუგეში, რადგან მთავრინა აღარ იმყოფება. და უკეთუ რამე გაგვაჩნდა ცხენი, ჯორი ანუ იარაღი, გავსყიდეთ საზრდოშიდ და ან ეს მერვე დღე არის ს[რულია]დ არა გვეშოვება საზრდო და არცა გვაქუს ვითარიმე საშუალება მოპოვებისა, ისე ვწყდებით შიმშილით რიცხვით ოთხმოცი და უმეტესი სული, რაისთვის უმორჩილესად ვსთხოვთ თქვენს უაღმატებულებსობას ღვთისათვის მოგვხედო და გვიზრუნოთ საზრდო რომელიმეს მხრით, რომლისათვის ღმერთი მოგაგებს მწყალობას.

ჩიქოვანის ასული ნინო

ანჩაბაძის ასული დადეშქელიანის კნეინა ეკატერინა

ჩყნზ [1857] წელსა ლას [31] ოკდობერს“

(ხეც. დიმ. ყიფიანის არქ., საქ. №400. ფ. 3).

ამ წერილის ერთ-ერთი ავტორი **„ანჩაბაძის ასული დადეშქელიანის კნეინა ეკატერინა“** იყო მეუღლე თენგიზ დადიშქელიანისა. ეკატერინე გარდაიცვალა 1879 წლის 5 ივლისს. ამ ამბავს ბესარიონ ნიჟარაძემ „დროების“ ფურცლებზე მიუძღვნა სპეციალური წერილი, რომელიც საინტერესო მასალას იძლევა, ერთი მხრივ, ეკატერინე დადიშქელიანის პიროვნებისა და, მეორე მხრივ, იმდროინდელ სვანეთში დატირების, დაკრძალვისა და აღაპის წესის შესახებ. ამიტომაც ბ. ნიჟარაძის წერილს აქ ვრცლად ვიმოწმებთ:

„ხუთს ივლისს ამა წლისას, გარდაიცვალა კნენა ეკატირინე (ჩიჩი) დადიშქელიანისა, ანჩაბადის ასული, რომელიც თავისს სილამაზით ყმაწვილობის დროს და კარგის მიდრეკილებით სიკვდილადმდე საპატიო ქალად იყო ცნობილი... ეს იყო პატიოსანის ზნეობის, მღვთის მოყვარე და მდაბალ ხალხის ბედის თანამგრძნობი; მისი გავლენა ამ მხრით თავის ქმარ თენგიზ დადიშქელიანზედაც დიდი იყო. ამბობენ, რომ გვარი შვილობით გაამაყებულ თ. თენგიზს ჩიჩიმ ბევრჯერ მოაშლევინა უბედური შემთხვევა; როცა ცუდ რასმე განზრახვას შეამჩნევდა თავის ქმარში ჩიჩი ან სულ უმაღლავდა იარაღს, გატენილ თოფის მაგიერ ცარიელს შეატყუებდაო და სხვ. – როგორც ზემოთ ვთქვით, კნენა ჩიჩი გარდაიცვალა 5 ივლისს და 8-ს დამარხეს. ამ დღისათვის სადადიშქელიანო სვანეთი: ბეჩო, ეცერი, ფარი და ჩვაბეხევი შეკრებილი იყო და უკანასკნელი სალამი უთხრეს „დედა ჩიჩის“, როგორც ხალხი ეძახოდა. ბეჩოს ჩინოვნიკობაც მივიდა ამ დღეს თენგიზ დადიშქელიანთან თავის გულმტკიცენულობის გამოსაცხადებლათ. მიცვალებული ოდის დიდ ოთახში ესვენა, კუბო ხავერდით და სირმით შემკული სკამებზე იდგა, რომლის ირგვლივ მისი შინა-ყმა ქალები და კაცები ქუდ მოხდილი და ძაძებში ჩაცმულნი ცხვირ-პირში და გულში იცემდენ და ისე დასტიროდენ მიცვალებულსა. საათის თერთმეტზე მომტირალი ხალხი უკვე მოგროვილი იყო სახლის წინ; კუბოც ამ დროს გამოასვენეს სახლიდან, ქუდ მოხდილი ხალხი წინ და უკან გაჰყვა სასაფლავოდმი. – აქ, წირვის გამოსვლის შემდეგ, სვანეთის სამღვდელოებამ წესი აუგო მიცვალებულს, რომლის დროსაც ხალხი მწკრივით ირგვლივ უდგა კუბოს. ამ დროს გამოიყვანეს ცხენი მოკაზმული ძვირფასს სამკაულით; ერთმა შინა-ყმამ ხალხის წინ ჩამოატარა ეს ცხენი, რომელსაც სხვა შინა-ყმებიც ტირილით და ვაებით მისდევდნენ უკან. ხალხი თავში იცემდა და იძახოდა: „იივაი! ვაი ბედს მიშგვაა!“ (ვაი ჩემს სიცოცხლესო!). შემდეგ განსვენებული მინას მიაბარეს და ხალხი დაიშალა. მიცვალებული დამარხეს მთავარ ანგელოზის ეკლესიის ეზოში ს. ფხოტრერს. – თ. თენგიზმა „ლამთხვალი“ (ალაპი, ქელები) გადასდვა ოცდა რვა ივლისისათვის. ამ დროისთვის მან დააცხობინა 2000 პური სამსამი გირვანქიანი და ოთხასი პატარა

პურები, მოამზადა 800 ზეკა (სანყავი, რომელშიც ექვსი ვერმუტის ბოთლი ჩადის) არაყი. – ამ დღეისათვის მთელი სვანეთი იყო მიწვეული, კაცი თუ ქალი, ვისაც უნდოდა. სადადიშკელიანო სვანეთი თითქმის ყველა იყო; თავისუფალ სვანეთიდანაც ბევრი მოვიდა; ხალხის რიცხვი 1500-მდი იყო. – ხალხის მოსვლისთანავე თ. თენგიზმა ბოჩკებით დადგა არაყი; ვისაც უნდოდა, სვამდა სადილობამდინ. – ყოველ საზოგადოებამ ცალ-ცალკე მიუტირა თენგიზს იმავე რიგით, როგორათაც რვას ივლისს სადადიშკელიანო სვანეთმა. როცა კაცებმა გაათავეს მიტირება, მერე ქალებმა მიუტირეს ამ ნაირათ: გაემწკრივნენ ირგვლივ ეზოში სახლის წინ, ფეხები უკან მოიკეცეს და ამნაირათ დაჩოქილებს თავში მოუჯდა ერთი ღრმათ მოხუცი ლახამულელი ქალი, რომელმაც ორატორის როლი დაიჭირა: მან ჩამოთვალა კარგი მხარეები მიცვალებულისა მოთქმით; სხვათა შორის ეძახოდა მას მდაბალ ხალხის კეთილის მყოფელს, ჭკუიანს, ზნეობით საქებს, ოქროს, მერცხვალს და სხვ.-და-სხვ. ყოველ ამის სიტყვაზე ქალები ყველანი ერთბაშად მიიტანდნენ ხელებს შუბლზე და ჩამოისობდნენ ლოყებზე და ნიკაპ ქვეშ მიიტანდნენ; შუბლზე ხელების მიტანის დროს დაჩოქილნი აიმართებოდნენ წელში და როცა ნიკაპ-ქვეშ მიიტანდნენ, მაშინ ისევ ჩაილუნებოდნენ და დაჩოქილნი ყურს უგდებდენ მომთქმელ ქალის სიტყვებს. – ეს საზოგადო ჩვეულება სვანეთში საინტერესო სურათს წარმოადგენდა ოთხასამდი სხვა და სხვა ნაირათ ჩაცმული ქალების ამ გვარი მოთქმა. ქალებმა რომ გაათავეს, ხალხი სადილათ დასხდა, პური და არაყი სამარხო საჭამადითურთ ბლომათ იყო. საღამოს დამთვრალი ხალხი დაიშალა. – ამ „ლაშთხვალს“ გარდა თ. თენგიზ დადიშკელიანი შემოდგომისთვის „ალაპს“ აპირობს თავის მეუღლის, გარდაცვალებულის კნ. ჩიჩისათვის. ამბობენ, ამ ალაპისათვის იგი სამოც ხარს, ოც ძროხას და მასთან რამოდენიმე წვრილ საკლავებს ამზადებსო“ (ნიჟარაძე 1879).

უფრო ადრე ეკატერინე დადიშკელიანი „დროებაში“ დახასიათებული ჰყავს მღვდელ მიხეილ მჭედლიძეს, რომელიც 1865 წელს, სვანეთში მღვდელმსახურებისთვის მივლინებუ-

ლი, ათი თვე თენგიზ და ეკატერინე დადიშქელიანების ოჯახში ცხოვრობდა: „[თენგიზს] ცოლად ჰყავს აფხაზეთის თავადაგანი, შემკული ყოვლითა მშვენიერებითა... მე ვნატრი მისსა სარწმუნოებასა, შემკულსა კეთილითა საქმითა... ვევედრები ღმერთსა განმრავლდეს ამისი მსგავსი დედათა სქესი ქვეყანასა ზედა. ძენი ჰყავსთ ეგრეთვე შემკულნი მშვენიერებითა და წესიერებითა“ (მჭედლიძე 1869); იქვე ავტორი აღწერს თენგიზ დადიშქელიანის დიდებულ სასახლეს – „გარეშემო ციხის ზღუდეებით შემოკრულს“ (წერილი დაწერილია სოფელ ფხოტრერში).

„დროებაშივე“ გამოეხმაურა ბესარიონ ნიჟარაძე 1885 წლის აპრილში თენგიზ დადიშქელიანის გარდაცვალებას:

„წრეულს, აპრილში... პირველს რიცხვებში გარდაიცვალა თ-დი თენგიზ დადიშქელიანი. მიცვალებული 50 წელს გადასული იყო და ითვლებოდა პირველ წარმომადგენლად თავის გვარეულობისა... [ცხოვრებაში] ყველაზედ უფრო სამწუხაროდ თ-დს თენგიზს სამართლიანად მიაჩნდა ის დღე (1855 წ.), როდესაც თვალ-წინ მოუკლეს მამა მისმა მეგვარეებმა – ფარის დადიშქელიანებმა – და თვითონ ორი ტყვიით მარცხენა მკლავში დასჭრეს. ამ უბედურებას არ დააჯერეს მაშინ მძლავრმა სახლიკაცებმა და განაძევეს იგი ცოლშვილიანად სვანეთიდგან. 1855-1856 წლებში თ-დი თენგიზი ცოლშვილითურთ ცხოვრობდა სამეგრელო-ლეჩხუმში მეგრელიის დედოფლის ეკატერინეს მფარველობის ქვეშ. ეს ამბავი მოხდა იმ დროს, როდესაც რუსის მართებლობა გაერია თ-დის თენგიზის და მისი სახლიკაცების საქმეში და მიიღო პირველის მხარე, როგორც დაჩაგრულისა. შედეგი მთავრობის გარევისა მაჩხუბარ დადიშქელიანების საქმეებში იყო ცნობილი ქუთაისის გენერალ-გუბერნატორის თ-დის გაგარინის მოკვლა თ-დ კოსტანტინე დადიშქელიანისაგან, უკანასკნელის დახვრეტა ქუთაისში და კოსტანტინეს ძმების სამუდამოდ გადასახლება სვანეთიდან ხერსონის გუბერნიაში, სადაც დღესაც სცხოვრობენ. მოსისხარ სახლიკაცების გადასახლების შემდეგ თ-დი თენ-

გიზ დადიშკელიანი დაბრუნდა სვანეთში, თავის მამულში, სადაც გაატარა თავის ცხოვრების დღენი“ (ნიჟარაძე 1885).

²¹ (გვ. 105) „**კონსტანტინე დადიშკელიანი 7 რიცხვში დახვრიტეს**“ – ა. შჩერბაკოვის მიხედვით, კონსტანტინე დადიშკელიანი 1857 წლის 2 ნოემბერს, დილის 8 საათზე, დახვრიტეს (შჩერბაკოვი 1884^ბ: 139). დამარხეს იქვე, დახვრეტის ადგილზევე. 1862 წლის გაზაფხულზე მთავრის ქვრივმა **რუსუდან შარვაშიძემ** ცხედარი ნიკ. კოლიუბაკინის ნებართვით ქუთაისშივე, არქიელის გორაზე, წმ. გიორგის ეკლესიის გალავანში, გადაასვენა. გადასვენება არ იყო შეთანხმებული კავკასიის ხელისუფლებასთან, არც წინასწარ იყო გამოცხადებული და ამ ფაქტს ნიკ. კოლიუბაკინის კარიერა შეეწირა – იგი გადააყენეს ქუთაისის სამხედრო გუბერნატორის თანამდებობიდან და საერთოდ მოაშორეს კავკასიას. კონსტანტინე დადიშკელიანის გადასვენების ნებართვისა და გადაწყვეტილების მოტივაციის შესახებ ნიკ. კოლიუბაკინი ამიერკავკასიის მთავარსამმართველოს უფროსს, ალექსი კრუზენშტერნს, 1862 წლის 12 ივნისს სწერს (კრუზენშტერნი თავის 1862 წლის 30 მაისის წერილში მოითხოვდა პასუხს, თუ რატომ გასცა კოლიუბაკინმა დახვრეტილი ადამიანის გადასვენების ნებართვა მაშინ, როცა „სიკვდილით დასჯილთათვის აღკრძალულია პატიოსანი დამარხვა“):

„დატოვება თავადის კონსტანტინე დადიშკელიანის გვამისა იქ, სადაც იგი დახვრეტილ იყო, სამარცხვინო ორმოში, შეურაცხჰყოფდა ჩვეულებას, ქრისტიანულ გრძნობას და არისტოკრატიულ რწმენას ქვეყნისას, და არა-თუ აღელვებდა მისს ნათესავთა, რომელთაც დიდი გავლენა აქვთ კავკასიის სხვა-და-სხვა მხარეში, არა-თუ უწყლულებდა გულს მისს ქვეშევრდომთა, არამედ მიზეზი იყო იმისა, რომ მასთან დაკავშირებული ადგილობრივი თავად-აზნაურობა იდუმლად და გამოურკვევლად დრტვინავდა. ყოველი ესე თანაგრძნობა და გულ-მტკივნეულობა, რომელ-

იც თან ახლდა სიკვდილით დასჯილის სამარეს, თითქოს შარავანდედით აგვირგვინებდა უცხო კანონის წამებულს მსხვერპლსა. ამგვარმა დამარხვამ გააუქმა მიმზიდველი თვისება დევნულისა ამა სოფლად... ამ სახით შესრულებულმა საეკლესიო წესმა თავადის დადგეშქელიანის მიმართ მოიტანა, ჩემის აზრით, ჭეშმარიტი სარგებლობა. ხოლო, რაც შეეხება სარწმუნოების მხრით, ვფიქრობ, რომ იმ დამნაშავეის დასაფლავება, რომელიც სიკვდილის წინად სინანულით ეამბოროებოდა ჯვარ-ცმას, ყოვლად კანონიერია და მართლ-მადიდებელი სჯულის წინაშე დანაშაული მე არა მაქვს. პირიქით, თუ უფრო ღრმად ჩაუყვირდებით სარწმუნოებრივ გრძნობას, მგონია, რომ ასეთის განკარგულებით მე დავამშვიდე სული საბრალო მსხვერპლისა, რომელიც ცნობილის საყოველთაოდ და განსაკუთრებით ჩემ-მიერ თვისის ბუნების სინმინდის გამო ვერ ჩაიტანდა სამარეში ვერც სიძულვილს და ვერც შურისძიებას... ვითარცა ქრისტიანი, მე არა ვარ დამნაშავე, მე მართალი ვარ; მართალი ვარ ეკლესიის წინაშე და გული მამხელს, რომ მართალი ვარ თვით დამნაშავეის მსხვერპლის წინაშე და უეჭველად არ დამგმობს უნუგემოდ დაშთენილი ღვთის მმოსავი თვით ქვრივი განსვენებულისა“* (ცნობის ფურცელი 1902; დედანი რუსულ ენაზე იხ. აქტები 1904: 384-385).

²² (გვ. 108) **„გრაფ როზმორდუკისა და K^o-ის აბრეშუმის ძაფსახვევი ქარხანა“** – ჟანტი დე როზმორდუკისა და მისი ქარხნის შესახებ პ. გუგუშვილი წერს: „აღსანიშნავია დ. ზუგდიდში გრაფ რ ა ზ მ ო რ დ ი უ კ ი ს მიერ 1843 წ. გახსნილი აბრეშუმის ძაფსახვევი „ფაბრიკა“.** რაზმორდიუკმა საფრან-

* **დამნაშავეის მსხვერპლში** აქ იგულისხმება ალ. გაგარინი, ხოლო **განსვენებულის ქვრივში** – მეუღლე ალ. გაგარინისა, ანასტასია (ტასო) დავით ორბელიანის ას. გაგარინა.

** ი. მეუნარგია სხვა თარიღს ასახელებს – დავით დადიანმა როზმორდუკს აბრეშუმის ქარხანა 1848 წელს გაამართვინაო (მეუნარგია 1939: 152).

თ. ჯ.

თ. ჯ.

გეთიდან გამოიწერა საჭირო იარაღ-მანქანები და ჩამოიყვანა ამ საქმის ორი სპეციალისტი ქალი; უკანასკნელთ თავისი ხელობა პირველსავე წლებში 12 ადგილობრივ ქალს ასწავლეს. თვითონაც საბოლოოდ აქ დარჩნენ – მისთხოვდნენ ადგილობრივ მცხოვრებთ. როგორც ჩანს, რაზმორდიუკის წამოწყებას პოხიერი ნიადაგი დახვდა და იმთავითვე წარმატება ხვდა წილად. 1852 წელს მან მოსკოვის გამოფენაზე გაგზავნა აბრეშუმის ნიმუშები (ამ ხანებში მას წლიურად 50 ფუთზე მეტი აბრეშუმის პარკი მოყავდა), რომელთაც იქ მაღალი შეფასება მიიღეს“ (გუგუშვილი 1959: 686-687; იხ. აგრეთვე: მეუნარგია 1939: 152).

ქარხანა ომერ-ფაშას შემოსევას შეეწირა, თუმცა როზმორდუკი ბედს არ დანებდა, სტამბოლში ჩავიდა და საფრანგეთის იქაური ელჩის მეშვეობით ოსმალეთის ხელისუფლებას ზარალი ფულით, 15 000 მანეთით, აზღვევინა (ბოროზდინი 1934: 48; იქვე როზმორდუკი სხვა შემთხვევებთან დაკავშირებითაცაა ნახსენები – ბოროზდინი 1934: 177-178, 293). ჟანტი დე როზმორდუკმა ზუგდიდშივე შეირთო იქაური ქალი (ჭილაია 1969: 543), ხოლო ამათი შვილი თავის მემუარებში ნახსენები ჰყავს სამსონ ფირცხალავას: „ფრანგქართველი როზმარდიუკ... ჩოხა-ახალოხში გამოწყობილი, ქართულად და მეგრულად მოლაპარაკე“ (ფირცხალავა 1988: 16).

რუსულ წყაროებსა და ლიტერატურაში გავრცელებული ვერსიის მიხედვით, როზმორდუკი ფაბრიკანტის სახელს ამოფარებული ჯაშუში იყო (გ. ძიძარია საფრანგეთის ორ აგენტს ასახელებს: კავკასიაში საფრანგეთის საკონსულოს ოფიციალურ წარმომადგენელ შამპუასოს, რომელსაც რეზიდენცია სოხუმში ჰქონდა და ჟანტი დე როზმორდუკს, რომელიც სამეგრელოში დამკვიდრდა და განსაკუთრებულ ინტერესს შავი ზღვის სანაპირო ზოლზე მიმდინარე მოვლენების მიმართ იჩენდა – ძიძარია 2017: 147). სამეგრელოში ომერ-ფაშას შემოჭრის შემდეგ როზმორდუკი ოსმალების სამსახურში ჩადგა (აქტები 1888: 149-151, 163, 250; ბოროზდინი 1934:

35; ძიძარია 2017: 147), თუმცა მას ეს საქციელი – უნდა ვიფიქროთ, კომერციული ინტერესებიდან გამომდინარე – ეპატია.

ხეც-ში (დიმ. ყიფიანის არქ., საქ. №№1606-1608, ფ. 5) დაცულია როზმორდუკის სამი ბარათი დიმ. ყიფიანისადმი (ფრანგულ ენაზე) – მიწერილი 1862-1863 წლებში.

²³(გვ. 109) „**მთავარსარდალმა...**“ – იგულისხმება ალ. ბარიატინსკი.

²⁴(გვ. 110) „**1856 წლის პარიზის ტრაქტატი...**“ – იგულისხმება 1856 წლის 18 (30) მარტის პარიზის საერთაშორისო საზავო ხელშეკრულება (ტრაქტატი), ერთი მხრივ, რუსეთსა და, მეორე მხრივ, ოსმალეთის იმპერიას, საფრანგეთს, ბრიტანეთის იმპერიას, ავსტრიასა და სარდინიის სამეფოს, აგრეთვე პრუსიას, შორის, რომლითაც 1853-1856 წწ. „ყირიმის“ ომის შედეგები გაფორმდა.

²⁵(გვ. 110) „**ამათ სინდისს როგორც ჩვენი ჯარების, ისე საკუთრივ მეგრელების წინაშე არაერთი ცოდვა აწევს**“ – გიორგი ჩიჩუასა და მისი საძრახისი ბიოგრაფიის, აგრეთვე, ჯაიანებიდან ერთ-ერთი ძმის, გიორგის, შესახებ კ. ბოროზდინი წერს: „ზუგდიდიდან აყრის დროს გ. ჩიჩუამ პირადის მტრობით ომერ-ფაშას ორი რუსის მზვერავი იუნკერი მესხი-შვილი და მილიციის პორუჩიკი ზარანოვი დააჭერინა და დაახვრეტინა. მაგრამ თავადს ჩიჩუას დიდხანს არ უღიმოდა ბედი. ომერ-ფაშასთან გრაფ ჟანტი დე-როზმორდუკის მისვლა და გ. ჩიჩუას გაგდება ერთი იყო... [ომერ-ფაშას მიერ] ტიტულებითა და ორდენებით რამდენიმე თავადიშვილი იყო დაჯილდოვებული. ამათს შორის ყველაზე უფრო ომერ-ფაშა გიორგი ჯაიანს ეფერებოდა, რადგან მისის ქალის შერთვა უნდოდა ცოლად, მაგრამ ამავე დროს ხასა გაიჩინა, რომელიც 3000 მანეთად იყიდა“ (ბოროზდინი 1934: 34-35).

²⁶(გვ. 110) „**ჩვენი მილიციის პრაპორშჩიკად, გამაცნო...**“ – **მილიცია** (ლათ. militia – მხედრობა): მთავრობის მიერ საგანგებო ვითარებაში ფორმირებული არარეგულარული (მათ

შორის, მოხალისეებისაგან შემდგარი) სახალხო ლაშქარი (**მილიციელი** – სახალხო მოლაშქრე).

²⁷ (გვ. 113) „ყოველივე ამას აი, რა მოჰყვა ... შესაბამის ხელმძღვანელობას გადავცემ“ – ეს აბზაცი ხელნაწერში გადახაზულია. უნდა ვიფიქროთ, დიმ. ყიფიანმა ეს ამბავი ხელმძღვანელობას აღარ გადასცა და აბზაცი ამიტომ გადახაზა.

²⁸ (გვ. 113) „მდინარეების, ხოპისა...“ – მდინარე **ხოპისწყალი** (ადრინდელ წყაროებსა და ლიტერატურაში ხოპი მოიხსენიება ხოფის//ხოპის სახელწოდებით: მდინარე ხოფი//ხოპი; ხოფის//ხოპის მონასტერი და სხვ.).

²⁹ (გვ. 114) „სოფლების, ჭალადიდისა და დარჩენის...“ – სოფელი **დარჩელი** (ზუგდიდის მუნიციპალიტეტი) დიმ. ყიფიანის ამ და სხვა ტექსტებში (მაგალითად, ხეც. დიმ. ყიფიანის არქ., საქ. №425 და სხვ.) იხსენიება **დარჩენის** სახელწოდებით (ასე იხსენიება, სხვათა შორის, ეს სოფელი XIX ს. რუსულ წყაროებშიც. მაგალითად, აქტები 1888: 108, 109 და სხვ.).

³⁰ (გვ. 115) „მიჯნები არასწორად იყო დადებული...“ – **ჭალადიდის საზღვრებთან** დაკავშირებით დავა ჰქონდა დავა გურიელსაც. 1857 წლის 9 დეკემბერს დიმ. ყიფიანი ნიკ. კოლიუბაკინს სწერს: „ჭალადიდელმა ნაფიცმა პირებმა ა. თ. 7 რიცხვში უჩვენეს, რომ გურიისა და, კერძოდ, მალთაყვის მხრიდან ჭალადიდის საზღვართან დაკავშირებით დაობს დავა გურიელი და ამ საქმეს პირადად არჩევდა ან განსვენებული მთავარი დავითი [დადიანი]“ (ხეც. დიმ. ყიფიანის არქ., საქ. №406. ფ. 1).

³¹ (გვ. 116) „მთავრის მფლობელობაში მათი გადარიცხვის საქმე ჯერ დასრულებული არ არის...“ – სამეგრელოში ომერ-ფაშას ყოფნისას სამურზაყანოელი ანჩაბაძეები, რომელთა მფლობელობაში დარჩელიც შედიოდა, დამპყრობთა სამსახურში ჩადგნენ (აქტები 1888: 279). ომერ-ფაშას განდევნის შემდეგ ეკატერინე დადიანმა კონფისკაცია უყო ანჩაბაძეების დარჩელის მამულს და იგი სამთავრო მფლობელობაში გადარიცხა (კონფისკაციას მხოლოდ მურზაყან

ანჩაბადის ობლები გადაურჩნენ – მათ თავიანთი წილი მამულისა შეუნარჩუნდათ). როცა დიმ. ყიფიანი წინამდებარე დღიურს წერდა, კავკასიის ხელისუფლებას ეკატერინე დიანის გადაწყვეტილების კანონიერების განხილვა ჯერ კიდევ არ ჰქონდა დასრულებული (დიმ. ყიფიანისა და ნიკ. კოლიუბაკინის მიმონერა ანჩაბაძეთა დარჩელის მამულის შესახებ იხ. ხეც. დიმ. ყიფიანის არქ., საქ. №425. ნაბეჭდი, გვ. 15-16).

³²(გვ. 116) „...**კერძოდ – ცხენისწყლისპირში**“ – **დედანში: Усть-Цхенисцкали** (ფ. 30). ეს უნდა იყოს ადგილი (სამხედრო პოზიცია) საჭილაოს სოფელ *ქვიშანჭალასთან* (ყოფილი ორპირი). სხვა ტექსტში („მიხეილ შარვაშიძის საქმე“) დიმ. ყიფიანი წერს: „...თ-დი მუხრანსკი ამჟამად ორპირში, ანუ ცხენისწყლისპირას, იმყოფება“ (ყიფიანი 2019: 80).

³³(გვ. 116) „**ჩვენებები მივიღეთ საჭილაოს მცხოვრებლებისაგან**“ – სოფ. *საჭილაო*, ამჟამად სოფ. *პირველი მაისი* აბაშის მუნიციპალიტეტში.

³⁴(გვ. 118) „...**კნენა ლისა აბაშიძის გაჭირვებული მდგომარეობა**“ – *კნენა ლისა აბაშიძე*: სოლომონ II-ის შვილიშვილის, 1819-1820 წლის იმერეთის აჯანყების ერთ-ერთი მეთაურისა და იმერეთის ტახტის ყველაზე რეალური პრეტენდენტის, ივანე (იოანე) ქაიხოსროს ძე აბაშიძის, მეუღლე **ელისაბედ (ლისა) სიმონ III გურიელის ასული აბაშიძე**. ელისაბედ აბაშიძე ხანგრძლივი რეპრესიების შემდეგ სიცოცხლის ბოლო წლებში ქუთაისში უკიდურეს გაჭირვებაში ცხოვრობდა. 1858 წლის 15 იანვარს დიმ. ყიფიანი მეფისნაცვლის კანცელარიის დირექტორს, ვასილ ინსარსკის, ქუთაისიდან თბილისში სწერს (წერილი რუსულ ენაზეა. ვიმონებთ შემოკლებით):

„ქუთაისში ცხოვრობს 75 წლის კნენა აბაშიძე – ღვიძლი და გურიის უკანასკნელი მთავრისა (მამია V გურიელის – თ. ჯ.) და ქერივი პოლკოვნიკ ივანე აბაშიძისა, რომელიც დამნაშავედ იქ-

ნა ცნობილი 1820 წლის არეულობაში და ამის გამო ამ მხარეში ერთ-ერთი ყველაზე ვრცელი საგვარეულო მამულები ჩამოერთვა... – 1820 წლიდან მოხუცებული კნეინა განიცდის გაჭირვებას, რომელსაც ის სრულიად მოუმზადებელი შეხვდა და ამ გაჭირვებაში ძლივძლივობით გამოზარდა ორი ვაჟიშვილი. ისინი, რასაკვირველია, არ იყვნენ მამის პოლიტიკური დანაშაულის თანამონაწილენი და კნეინა სწორედ მათგან მოელოდა სიბერეში მოვლა-პატრონობას. თუმცა ამ ვაჟიშვილებიდან ერთს, კავალერიის მაიორს, თვითონ ძლივს გააქვს თავი თავისი მწირი შემოსავლით – 600 მან. პენსიით... მეორეს... 400 მანეთის მემკვიდრეობითი შემოსავალი ერგო, მაგრამ სნეულია, გამუდმებით ავადმყოფობს და მთელი ეს ფული აფთიაქებში ეხარჯება. – თვითონ მოხუცებულ კნეინასაც სულს იქით არაფერი აბადია, გარდა წელიწადში 400 მანეთისა, რაც საკმარისია მხოლოდ საკვებისთვის და იმ ხუთიოდე მოსამსახურის შესანახად, რომელთა გარეშე ღვიძლი და მთავრისა და მეფის (სოლომონ II-ის – თ. ჯ.) რძალი თავს ვერ გაიტანს. იგი ცხოვრობს ხის სახლში, რომელიც ოდესღაც კერძო ქველმოქმედების სახითაა შეძენილი და იმდენად ძველია, რომ კარგა ხნის წინ ჩამოიშლებოდა, და შიგ მცხოვრებთაც მოიყოლებდა, ასევე ქველმოქმედის მიერ ბიჯგებით რომ არ იყოს გამაგრებული... – მოხუცებული კნეინა, სნეულებისგან დაუძლურებული, დახმარებისათვის ხელს იწვდის და სად? – მხარეში, სადაც მოწყალებას არავინ ითხოვს და სადაც ამგვარი თხოვნის საჭიროება საერთოდ არ არსებობს. – საჭიროა გაფანტვა აზრისა, რომ გულგრილად ეკიდებიან გაჭირვებულებს და თანაგრძნობას არიან მოკლებულნი ისინი, რომლებიც თანაგრძნობას იმსახურებენ. – ნუ დაიზარებთ კეთილ საქმეს – დაეხმარეთ კნეინა ლისა აბაშიძეს; დაეხმარეთ თუნდაც თვეში 50 მანეთით... – ვინაიდან ფული არ მქონდა, მე მას ჩემს განკარგულებაში გადმოცემული საათებიდან ერთ-ერთი ვაჩუქე. თქვენ რომ მისი მადლიერების გამომხატველი ცრემლები გენახათ, ადვილად გაიგებდით უბედური კნეინას აუტანელ მდგომარეობას“ (ხეც. დიმ. ყიფიანის არქ., საქ. №735. ფ. 2).

³⁵ (გვ. 118) „თავად ალექსი დგებუაძის მიერ ელისაბედ ელიავას მოტაცების გამო სისხლის სამართლის წესით მიმდინარე გამოძიებასთან დაკავშირებული გარემოებები“ – ავტორს მხედველობაში აქვს თავის დროზე გახმაურებული ამბავი – მეგრელი თავადის, ალექსი დგებუაძის, მიერ იმერელი აზნაურიშვილის, ელისაბედ ელიავას, მოტაცების ისტორია. დიმი. ყიფიანის არქივში დაცულია მრავალფეროვანი მასალა ამ საქმის შესახებ (დიმი. ყიფიანის მიმონერა, მისივე დაუმთავრებელი ჰიესა და სხვ.). მთელი ეს მასალა თავ-თავის ადგილას, შესაბამის ტომებში, დაიბეჭდება, აქ კი შემოკლებულად დავიმონწმებთ მეფისნაცვლის კანცელარიის დირექტორ ვასილ ინსარკისადმი დიმი. ყიფიანის 1858 წ. 14 იანვრის წერილს, რომელშიც ალექსი დგებუაძის მიერ ელისაბედ ელიავას მოტაცებისა და ამ ისტორიის დრამატული გაგრძელების ძირითადი და არსებითი მნიშვნელობის მომენტები ადგილ-ადგილ იუმორნარევი კილოთია გადმოცემული:

„გასული 1857 წლის დასაწყისში*. მეგრელმა თავადმა ალექსი დგებუაძემ იმერელ აზნაურს, დათა ელიავას, ქალიშვილი მოსტაცა და მასზე ჯვარი დაინერა... – რომანის გმირის წინააღმდეგ კანონის მთელი სიმკაცრით შეიარაღდნენ: ერთი მხრივ, პატარძლის მშობლები; მეორე მხრივ, მათი მხარდამჭერი სასულიერო მმართველობა; მესამე მხრივ, ორივე ზემოჩამოთვლილი მხარის ქომაგად დამდგარი საპოლიციო ხელმძღვანელობა. – ცოლ-ქმარი რვათვიანი თაფლობის შემდეგ დააფეთეს. ახალგაზრდა კაცი სამურზაყანოში გაიჭრა და იქაურ ტყეებს მისცა თავი. ახალგაზრდა დამა მშობლებს დაუბრუნეს. აქაოდა ძალდა-

* ალექსი დგებუაძემ ელისაბედ ელიავა მოიტაცა 1857 წლის **იანვარში**. ამის შესახებ 1857 წლის 1 მაისს ლევან ქორქაშვილი სწერს დიმი. ყიფიანს: „გაიგონებდით უთუოთ, რომ გავლილს იანვრის თვეში სამენგრელოს თავადმან დგებუაძემ მოსტაცა გაუთხოვარი ქალი დათა ელიავას...“ (ხეც. დიმი. ყიფიანის არქ., საქ. №1671. ფ. 1).

ტანებით მოხდა და, ამდენად, უკანონოაო, სამეგრელოს ეპისკოპოსმა ჯვრისწერა როგორც *de jure*, ისე *de facto* ადგილზევე გააუქმა. ალექსი დგებუაძის დანაშაულზე სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო. საქმე გუბერნიის პროკურორსა და საგუბერნიო უანდარმერიის შტაბოფიცერს მიჰყავთ. 17 პირი, რომლებიც მოტაცებასთან ასე თუ ისე არიან დაკავშირებულნი, დაჰყავთ დაკითხვებზე, გამოკითხვებზე, პირში უყენებენ ერთმანეთს, გზავნიან საპატიმროებში, ნადირობენ განშორებული ქმრისადმი ქალის მიერ გაგზავნილ ფარულ წერილებზე, ადამიანის კვალს, როგორც გარეული ტახისას, დასდევენ მძებრები, აწენილია მრავალრიცხოვან გვარეულობათა ოჯახები.

სერვანტესმა ერთი მხრივ, მეორე მხრივ, ფრიდრიხ დიდმა და, ამას გარდა, ცივმა გონებამ დიდი ხანია ადამიანთა მოდგმას დაუმტკიცეს, რომ ქორწინება და ზოგადად საქორწილო საქმეთა აღსრულება მხარეთა თანხმობის გარეშე არ უნდა მოხდეს. საქმეში არსებული უთვალავი როგორც *pro*, ისე *contra* მტკიცებულებიდან უმრავლესობა მიუთითებს, რომ ჯვრისწერა მოხდა პატარძლის ნებით და არა – მასზე ძალდატანებით. მაგრამ ძიება ისეა წაყვანილი, რომ ახალგაზრდა დგებუაძეს ან მოკლავენ, რადგან ცოცხლად ხელში ვერ ჩაიგდეს, ან კიდევ, ვიცი რა საქმის გარემოებები, მას ციმბირში ხეტიალი მოუწევს, რადგანაც, თუ დაიჭირეს, უეჭველად იქ გაგზავნიან. – საქმის სავარაუდო დასასრული მხოლოდ ეს რომ იყოს, შეიძლება არც მქონოდა საბაბი, შემენუხებიანეთ, მაგრამ ცხადად ვხედავ სხვა გარდაუვალ შეტაკებებს, რომლებსაც ბოლო არ ექნება. შევეცდები, რაც შეიძლება მოკლედ მოგიხაზოთ მოვლენათა მოსალოდნელი განვითარება.

ჯერ წარმოიდგინეთ, რომ დგებუაძე დაიჭირეს. მას წინ ასეთი გზა უძევს: ციხე, გამოძიება, სასამართლო და ციმბირი. – ამის მერე ადათი თავად დგებუაძეთა მრავალრიცხოვან გვარეულობას წამოშლის და თანამოგვარის დაღუპვაში მონაწილეთა წინააღმდეგ სისხლიანი შურისძიებისთვის აამხედრებს. მივიღებთ

ერთობ მენამულ (ე. ი. სისხლიან; დედანში: *багровая картина* – თ. ჯ.) სურათს. – ამის შემდეგ სხვა რამ წარმოიდგინეთ: რადგანაც ქორწინება ალექსი დგებუაძესა და M[ademoiselle] ელიავას შორის უკანონოდაა ცნობილი და გაუქმებულია, მამა ქალს სხვა ვაჟბატონს მიათხოვებს. ახალი საქმროს მოძებნა მას არ გაუჭირდება, რადგანაც სხვა მემკვიდრე დათა ელიავას არა ჰყავს. – გავარდნილი და კლდე-ღრეს მოდებული დგებუაძე, რომელსაც ამ დროს ბედნიერების ყოველი იმედი უკვე დაკარგული აქვს და მძიმე დანაშაულისთვისაც იდევნება, იმ ცნობილი ანდაზის თანახმად, 7 უბედურებაზე რომ მოგვითხრობს (ჩანს, იგულისხმება რუსული ანდაზა: *Семь бед, один ответ* – თ. ჯ.) ახალ დანაშაულობებს ჩაიდენს: ხანჯალს ჯერ თავისი მეტოქის, შემდეგ – ყოფილი სიამამრის, ყოფილი ცოლისა და თვით სამეგრელოს ეპისკოპოსის სისხლით მორწყავს და მხოლოდ ამის შემდეგ დანებდება სიკვდილს. ეპისკოპოსი საფრთხით გამოწვეულ შიშს არც მალავს და, აი, კიდევ უფრო სასტიკი და გაცლიებით უფრო მენამული სურათიც იკვეთება: სისხლიანი შურისძიებანი აზნაურ ელიავებს, ბედკრული ქალის მეორე ქმრის ნათესავეებსა და აზნაურ გაბუნიებს შორის – თეოფანე ეპისკოპოსი გაბუნიების გვარეულობიდანაა.

როგორც არ უნდა განვითარდეს მოვლენები, სავსებით ცხადაა: სისხლის მდინარეების შეჩერება უკიდურესად გაძნელებულია...

ორი ახალგაზრდისთვის უცაბედი გახელების შედეგად დამხობილი ბედნიერების აღდგენა, ორი მრავალრიცხოვანი გვარეულობისთვის მშვიდობიანი თანაარსებობის უზრუნველყოფა, მღვდელმთავრის ხელშეუხებლობის სათანადო პატივითა და ღირსებით დაცვა, იმავე მღვდელმთავრის გულისწყრომის ღმობიერებად და გულმონყალებად გარდაქმნა, ყოველივე ამის ალექსანდრე ივანეს ძის (მეფისნაცვალ ალ. ბარიატინსკის – თ. ჯ.) სახელით მიღწევა – ეს არის მიზანი, საითკენაც, ვასილ ანტონის ძე, მე თქვენ მიმყავხართ... – მოტაცება ქალწულისა და

მასზე ჯვრისწერა პატარძლის მშობლების ნების საწინააღმდეგოდ, ჩვენ შორის საიდუმლოდ რომ დარჩეს, არ არის იმ სიმძიმის დანაშაული, აუცილებლად სისხლიან ანგარიშსწორებებში რომ უნდა გადაიზარდოს. მიიღეთ ჩემი დახმარება, რათა ბოროტება ძირშივე აღმოვფხვრათ, დაამყარეთ ზავი და მშვიდობა იმ პირთა შორის, რომლებსაც დაკარგული აქვთ განსჯის უნარი და ერთმანეთის წინააღმდეგ სამკვდრო-სასიცოცხლოდ არიან ამხედრებული. – ჩემი დახმარება კი იმაში მდგომარეობს, რომ შემოძლია ელიავასა და დგებუადის შერიგება: ელიავამ თანხმობა უკვე გამომიცხადა, დგებუადის პოზიცია კი ჩემში ისედაც არავითარ ეჭვს არ იწვევს.

საამისოდ აუცილებელია:

ან, როგორც [მეფისნაცვლის] საბჭოს აქ მყოფ წევრს, ოფიციალურად გადმომეცეს უფლებამოსილება, თუ ამას საჭიროდ ჩავთვლი, შევაჩერო სისხლისსამართლებრივი წესით დანყებული გამოძიება და აქ მე დამჭირდება კარტ-ბლანში, ან კიდევ [ქუთაისის] გენერალ-გუბერნატორს მიმართოთ წინადადებით, სპეციალურ განკარგულებამდე ჩემი მიმართვის საფუძველზე შეაჩეროს გამოძიება. თუკი ელიავასა და დგებუაძეს შევარიგებ და ამით მათ შორის ჩამოვარდნილი შუღლი და მტრობა საბოლოოდ აღმოიფხვრება, უნდა შემეძლოს შუამდგომლობის აღძვრა გამოძიების სავსებით შეწყვეტის შესახებ.

მიკიბ-მოკიბვის გარეშე მოგახსენებთ შემდეგ გარემოებებს:

1. თუკი გადახვენილი დგებუაძე ჩემს ხმას შეისმენს და გამოცხადდება, რისი იმედიც მაქვს, მე უფლებამოსილი უნდა ვიყო, ამ ხნის განმავლობაში დავიცვა მისი ხელშეუხებლობა და თვითონაც დაცული ვიყო ადამიანის გაცემით გამონგვეული საყვედურებისა და უკმაყოფილებისგან.

2. ელიავამ საქმე, ცხადია, იმდენად იმისთვის კი არ აღძრა, თავისი ერთადერთი ქალიშვილის ბედნიერება გაანადგუროს, არამედ უფრო იმიტომ, რომ მკაცრად აგებინოს პასუხი მოტაცების თანამონაწილეს, თავის ნათესავს – გიგო ელიავას... ელიავა

ფიქრობდა, რომ მისი ქალიშვილისთვის სულერთი იყო, ვის გაჰყვებოდა ცოლად, თუმცა ახლა უკვე ცხადად ხედავს, რომ შეცდომა აქვს დაშვებული...

3. ელიავას თავს დატეხილმა ვარამმა მის მიმართ თანაგრძნობით განაწყო სამღვდელოება და თავადაზნაურობის ზოგიერთი ნევრი. ამიტომ მათ დგებუაძის წინააღმდეგ მკაცრი ზომები მოითხოვეს და ეს მართლაც ასე მოხდა. – იგივე წევრები თავადაზნაურობისა ამჟამად ორივე ოჯახისთვის მშვიდობას ითხოვენ. ასე და ამგვარად, დგებუაძის დაუსჯელობით უკმაყოფილო რჩება სამღვდელოება, რომლის დასაშოშმინებლად შეიძლება ახალგაზრდა დგებუაძე... 2 ან 3 თვით ჩაჯდეს ჰაუპტვახტში, ოღონდ მხოლოდ მას შემდეგ, რაც სიმამრთან საბოლოოდ დაამყარებს მშვიდობას.

და, დასასრულ:

4. უკვე ვთქვი, რომ ელიავა თანხმობას აცხადებს შერიგებაზე, მაგრამ მისგან გადათქმა და სიტყვის უკან წაღებაც არის მოსალოდნელი. ამიტომ აუცილებელია, რომ იგი გარკვეული დროით თბილისში ან რომელიმე სხვა ქალაქში იქნეს გაგზავნილი.

იფიქრეთ ყოველივე ამაზე, ვასილ ანტონის ძე და თუ შინაგანი ხმა გიკარნახებთ, რომ მოსალოდნელი კატასტროფის თავიდან ასაცილებლად ნამდვილად კეთილი და სასარგებლო საქმისკენ გიხმობთ, გამომყევით მიზნისკენ რაც შეიძლება სწრაფად და გადაუდებლად და იმასაც გთხოვთ, გვერდზე გადადოთ საქმის ფორმალური მხარეები“ (ხეც. დიმ. ყიფიანის არქ., საქ №734, ფ. 4).

ამის შემდეგ მოვლენები დიმ. ყიფიანის გეგმის მიხედვით წარიმართა: ვ. ინსარსკისთვის გაგზავნილი წერილიდან ათ დღეში, 24 იანვარს, მეფისნაცვალმა ალ. ბარიატინსკიმ დიმ. ყიფიანს გამოძიების შეჩერების უფლება მისცა (ხეც. დიმ. ყიფიანის არქ., საქ. №183), საქმეში აქტიურად ჩაერთო ქუთაისის გენერალ-გუბერნატორი გ. რ. ერისთავი (ხეც.

დიმ. ყიფიანის არქ., საქ. №№185, 187, 1317...) და, მართალია, დავით ელიავა და მისი მეუღლე პოზიციას არ თმობდნენ და ჩივილსაც განაგრძობდნენ (ხეც. დიმ. ყიფიანის არქ., საქ. №№189, 1317), დიმ. ყიფიანმა მაინც მიაღწია მიზანს – წყვილი შეერთდა და დროთა განმავლობაში ექვსი (ყოველ შემთხვევაში, წყაროს შედგენის დროისთვის) ვაჟიშვილიც გააჩინა: მიხეილი, ივანე, დავითი, ნიკოლოზი, ქსანთე და კაპიტონი (ინტერნ. 1).

³⁶(გვ. 118) „**თავადმა ალექსანდრე ივანეს ძემ ინება...**“ – იგულისხმება ალ. ბარიატინსკი.

დღიური 1867 წლისა (გვ. 119-122)

ხელნაწერი: ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი. დიმ. ყიფიანის არქივი. საქმე №80. ავტოგრაფი. რუსულ ენაზე. ფ. 2.

თარიღი: 24 თებერვალი – 6 მარტი. [1867].

დიმ. ყიფიანი 1866 წელს პარიზში ახლდა ეკატერინე დადიანს (იხ. აქვე, გვ. 318, 476). პარიზიდან იგი ჯერ დაბრუნდა პეტერბურგში, საიდანაც სამშობლოში გამოემგზავრა. წინამდებარე „დღიური“ ასახავს ამ მგზავრობას მდინარე დონზე გადმოსვლიდან დუშეთამდე.

ტექსტს არა აქვს სათაური, იგი ხელმოუწერელი და დაუთარილებელია. 1867 წლის 3 აპრილს თბილისში რამდენიმე დღის ჩამოსული დიმ. ყიფიანი ეკატერინე დადიანს პეტერბურგში სწერს წერილს და უყვება იმ მგზავრობის შესახებ, რომელიც წინამდებარე „დღიურშია“ აღწერილი. ამ მონაცემის მიხედვით, ტექსტი **უნდა დათარიღდეს 1867 წლით. დასათაურება ჩვენია.**

დიმ. ყიფიანის ზემოხსენებული 1867 წლის 3 აპრილის წერილი ეკატერინე დადიანისადმი ერთგვარად ავსებს დღიურის შინაარსს. ამიტომ ჩვენ აქვე ვიმონუმებთ მის ფრაგმენტს, კერ-

ძოდ, იმ მონაკვეთს, რომელშიც პეტერბურგიდან თბილისში მგზავრობაა აღწერილი:

„პეტერბურლიდამ 23 დღე ვიარე მრავალნაირის გაჭირვებით, საშინელის სიცივის ატანით და ათასნაირის დაბრკოლებით. სტავროპოლის გუბერნიაში ცოტას გამინყდა, რომ კინალამ არ დავიღუპე. ხიდი ჩაუტყდა ჩემს კარეტას მდინარეზედ. მე ნახევარმინუტით გამოვასწარ, მაგრამ კარეტა რამდენსამე საათს სულ წყალში იყო და ადვილად წარმოიდგენთ ჩემს ბარგს რა დაემართებოდა; წამიხდა და დამისველდა ყოველივე და სხვათა შორის პარიზში გაკეთებული ნესესერი ისე დაირღვა, რომ გროშით აღარა ღირს. ქალაქები კი მაინც გადავარჩინე, რაც თანა მქონდა, მეტადრე თქვენი ანგარიშის გასასწორებელი კნილები, თამასუქები, გირაობის წერილები; ესენი რომ დამლუპოდა, მაშინ სწორეთ გამართლდებოდა ჩემგან თქვენი აკლება. მარტო ამ ქალაქების შრობას მოუნდი მეორე სტანციაში 24 საათი. მერე მთა შეკრული დამხვდა თოვლისა და ზვავებისაგან. მე როგორც იყო გადმოვიარე და კარეტა კი ჯერაც ყაზიბეგს არის. აქ (თბილისში – თ. ჯ.) გიახელი 6 მარტს...“ (ზსიამ. ლ. ა. №30039).

დასასრულ, იმასაც დავსძენთ, რომ პარიზში ყოფნისას დიმ. ყიფიანმა ეკატერინე დადიანისა და სამთავრო ტახტზე ნიკ. დადიანის უფლებების შესახებ იქაურ გაზეთში „L'Evenement“ [„მოვლენები“] წერილი გამოაქვეყნა (თვითონ წერილი, აგრეთვე, მასთან დაკავშირებული გარემოებები იხ. ყიფიანი 2017^ა: 50-51, 257-261).

¹ (გვ. 121) „**ჩემი შესანიშნავი პარიზული ნესესერი**“ – ამ ნესესერის შესახებ 1943 წ. დიმ. ყიფიანის ნათესავი ნატალია ყიფიანი წერს: „დიმიტრიმ ჩამოიტანა საფრანგეთიდან მრავალი ძვირფასი ევროპული ნივთები და, სხვათა შორის, სასადილო სერვიზი თავისი ინიციალებით და კიდევ ეკატერინე დადიანის მიერ ნათავაზევი შავი ხის ნესესერი ბრინჯაოს ინ-

კრუსტაციებით, რომელშიც იყო მოთავსებული საპირფარე-
შო იარაღი; ყველაზედ ამოჭრილი იყო დიმიტრის ინიციალები
ქართულ ენაზე. ეს ყუთი დიმიტრის რძალმა, ნინომ, მეორე
შვილის ცოლმა,* შესწირა თეატრალურ მუზეუმს თბილისში,
როგორც იმისგან გამიგია“ (ყიფიანი 2007³: 172).

დღიური 1882 წლისა (გვ. 123-134)

ხელნაწერი: ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი. დიმ. ყი-
ფიანის არქივი. საქმე №79. ავტოგრაფი. ქართულ (ალაგ-ა-
ლაგ რუსულ) ენაზე. ფ. 6.

ნაბეჭდი: დიმიტრი ყიფიანის დღიური. პუბლიკაცია
მომზადად თ. ჯოლოგუამ. ჟურნ. „ლიტერატურა და ხელოვნე-
ბა“. 1991, №1, გვ. 212-228.

დიმ. ყიფიანი. დღიური 1882 წლისა. // XIX საუკუნის ქართ-
ველ მოღვაწეთა დღიურები (სერია – „ჩანაწერები“). თ. ჯო-
ლოგუას რედაქტორობითა და წინასიტყვიით. თბილისი: ინ-
ტელექტი. 2012, გვ. 263-273.

თარიღი: 18 იანვარი-12 ივნისი. [1882].

ტექსტი დაუსათაურებელია, ხელმოუნერელია. **დასათაუ-
რება ჩვენია.**

1870-იანი წწ. ბოლოს უკიდურესად აინუნა ნიკო დადი-
ან-მინგრელსკის სამემკვიდრო მამულების (მაიორატის)
საქმე. მდგომარეობის დასალაგებლად პეტერბურგში შეიქმ-
ნა დროებითი სახელმწიფო კომისია, რომელსაც სათავეში
რუსეთის სახელმწიფო ქონების მინისტრი ანდრეი ლივენი
ჩაუყენეს. დიმიტრი ყიფიანი, როგორც სამეგრელოსა და,
კერძოდ, ნიკო დადიან-მინგრელსკის ქონებასთან დაკავ-

* იგულისხმება კოტე ყიფიანის მეუღლე **ნინო ტატიშვილ-ყიფიანი**.
თ. ჯ.

შირებულ საქმეებში საფუძვლიანად ჩახედული პირი, 1880 წელს კომისიის წევრად მიიწვიეს. ამ საქმეზე 1880-იანი წწ. დასაწყისში დიმ. ყიფიანი რამდენჯერმე იყო პეტერბურგში, სადაც იგი, ხელფასი რომ მიეღო, ფორმალურად სახელმწიფო ქონების სამინისტროს მიაწერეს (1880 წლის 2 ივნისს – იხ. დიმ. ყიფიანის 1880 წ. 28 ნომბრის წერილი თ. სმირნოვისადმი. ხეც. დიმ. ყიფიანის არქ., საქ. №792. ფ. 2). ხელფასის საქმე ბიუროკრატიულ დერეფნებში გაიხლართა და საბოლოოდ იმით დასრულდა, რომ 1886 წელს დიმ. ყიფიანი საკუთარი (1885 წლის 18 სექტემბრის) განცხადების საფუძველზე ამ თავისი ფორმალური სამსახურიდან გაათავისუფლეს (იხ. რუსეთის სახელმწიფო ქონების სამინისტროს საერთო საქმეთა დეპარტამენტის დირექტორის 1886 წ. 8 თებერვლის წერილი დიმ. ყიფიანისადმი: ხეც. დიმ. ყიფიანის არქ., საქ. №41; ჩხეცია 1947: 424-425). კომისიასთან დაკავშირებით დიმ. ყიფიანი თავის „მემუარებშიც“ წერს (იხ. აქვე, გვ. 221-234; საკითხის შესახებ იხ. აგრეთვე: ჯორჯაძე 1989¹: 545-549; ყიფიანი 2017²: 69-71; დოკუმენტური მასალა იხ. ხეც. დიმ. ყიფიანის არქ., საქ. №№39, 40, 490-504, 792, 793, 808, 1628-1631...).

¹ (გვ. 124) „ჩემი ანტონის...“ – იგულისხმება დიმ. ყიფიანის სიძე (ელენე ყიფიანის მეუღლე) ანტონ ლორთქიფანიძე, ქუთაისელი ვეჟილი, ბიბლიოფილი, თეატრალური და საზოგადო მოღვაწე.

² (გვ. 124) „ჩემს მინისტრთან გამოვსცხადდი“ – მინისტრში იგულისხმება რუსეთის იმპერიის სახელმწიფო ქონების მინისტრი მიხეილ ოსტროვსკი, რომელმაც ამ თანამდებობაზე 1881 წელს ანდრეი ლივენი შეცვალა.

³ (გვ. 125) „დიდ თეატრში გავსწიე, ბალეტის კორსარის სანახვათ“ – ბალეტი „კორსარი“ კომპოზიტორების: ადოლფ ადანის, ცეზარ პუნისა და ლეო დელიბის მუსიკის საფუძველზე სანქტ-პეტერბურგის დიდ თეატრში 1868 წელს დადგა, ხოლო 1880 წელს განაახლა ბალეტმაისტერმა მარიუს პეტიპამ.

⁴ (გვ. 125) „**ოპერა იყო იტალიანური, ლახორის მეფე**“ – თეატრის მასწავლებელი ოპერა „*ლაჰორის მეფე*“ 1881 წელს სანქტ-პეტერბურგის დიდ თეატრში დადგა მარიუს პეტიპამ.

⁵ (გვ. 125) „**ამალამ მიხაილ. თეატრში ვარ აბაშიძის ლოჟაში**“ – *მიხეილის თეატრი* (Михайловский театр) – საოპერო და საბალეტო ცენტრი რუსეთის იმპერიაში (დაარსდა 1833 წ.). სახელი ეწოდა დიდი მთავრის, მიხეილ პავლე I-ის ძის, პატივსაცემად. ამჟამად სანქტ-პეტერბურგის მიხეილის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრი –

⁶ (გვ. 126) „**ანდრია დადიანზედ გვქონდა ლაპარაკი ... ახლაც არავინ იცის, რა ეშველება, თუ არ ისევ ძმისგანვე**“ – 1867 წლის იანვარში, როცა ნიკოლოზ დადიანმა სამეგრელოს სამთავრო ტახტზე უარი თქვა (იხ. ყიფიანი 2017⁶: 262-263), მას მთავრის მამულები და ქონება გადაეცა მაიორატის წესით (ლათ. major – უფროსი; გულისხმობდა მემკვიდრეობითი უფლების გადაცემას უფროს ვაჟზე ან გვარის უფროს მამაკაცზე, რასაც, თავის მხრივ, ძირითადად მსხვილი მამულის გაუყოფლობისა და დაშლა-დაქუცმაცების თავიდან აცილების პრინციპი ედო საფუძვლად). ამის გამო ანდრია დადიანს (მთავრის უმცროს ვაჟს) არსებითად მამისეული ქონებიდან სამემკვიდრო წილი არ ერგებოდა. დიმ. ყიფიანს, უნდა ვიფიქროთ, სწორედ ეს გარემოება აქვს მხედველობაში.

⁷ (გვ. 126) „**მეგონა ოპერა იქნებოდა, მეფისტოქელი, – და დამხვდა ბალეტი ზორაია**“ – არიგო ბოიტოს ოპერა „*მეფისტოქელი*“ მარიუს პეტიპამ სანქტ-პეტერბურგის დიდ თეატრში დადგა 1881 წელს, ხოლო ლუდვიგ მინკუსის ბალეტი „*ზორაია ანუ მავრიტანელი ქალი ესპანეთში*“ მ. პეტიპამ იმავე დიდ თეატრში იმავე 1881 წელს წარმოადგინა.

⁸ (გვ. 126) „**აქაური ქართველები, სტუდენტები, მზის დაბნელებას ადგენენ ... წარმოდგენაში დიდი ხალხი იყო**“ – ქართველი სტუდენტების მიერ პეტერბურგში ზურაბ ანტონოვის პიესის „*მზის დაბნელება საქართველოში*“ დადგმის შესახებ „დროებაში“ ვკითხულობთ:

„პეტერბურლის გაზეთებში დაბეჭდილია, რომ ამ თებერვლის 1-ს იქ მყოფ კავკასიელ ახალგაზრდებს გაუმართავთ ქართული და სომხური წარმოდგენა, ლარიბ სტუდენტების სასარგებლოდ. დიდ-ძალი ხალხი დასწრებია ამ წარმოდგენაზე. ქართველებს „მზის დაბნელება“ წარმოუდგენიათ, რომლის ეფექტურ სცენებს კარგი შთაბეჭდილება მოუხდენია მაყურებლებზე. ყოფილა აგრეთვე ლეკურის თამაში საზანდრით“ (დროება 1882“).

სპექტაკლის შესახებ იაკობ მანსვეტაშვილი წერს:

„ჩვენმა წრემ განიზრახა ქართული წარმოდგენის გამართვა. დადგმულ იქნა „მზის დაბნელება“, მხატვართა კლუბში, გაგარინის ქუჩაზე. ბევრი დაბრკოლება გადაგველობა წინ, მეტადრე გაგვიძნელდა ტანისამოსის შოვნა. მაგრამ ყველა სიძნელე ვსძლიეთ და საქმე მოვანწყეთ. სასიძოს როლს თამაშობდა ვანო მაჩაბელი, რომელიც საზღვარ გარეთიდან იყო დაბრუნებული და დროებით პეტერბურლში ცხოვრობდა. თამაში, მიხვრა-მოხვრა მეტად შახიანი ჰქონდა, მხოლოდ ხელს უშლიდა მისი მუდმივი, ჩვეულებათ ქცეული ნაკლი: აჩქარებული, სხაპა-სხუპით ლაპარაკი. ყარაჩოღელ ძმა-ბიჭების როლს თამაშობდნენ კეზელი, გ. ანდრონიკაშვილი, ახლა ინჟინერი, და მ. ალიბეგაშვილი – ტექნოლოგი. საუცხოვონი იყვნენ, მეტადრე ანდრონიკაშვილი თავის ლეკურით და ალიბეგაშვილი თავისებური კინტოურით. კინტოს როლს, ხილის გამყიდველისას, თამაშობდა ნამდვილი კინტო, რომელიც პეტერბურლში რაღაც შემთხვევით აღმოჩნდა იმ დროს. მერე კი ბევრი ვინანეთ, რომ უხეში კაცი სცენაზე გამოუშვით: ისეთი ხმით გაჰკიოდა, ისეთი ყიჟინა ასტეხა, სასწორს ისე აბრაგუნებდა, რომ გეგონებოდათ ტფილისში თათრების მოედანზეა და მუშტარს უძახისო. რის ვაი-ვაგლახით მოვამორეთ სცენას. იმერლის ბიჭის როლს თამაშობდა სილოვან ხუნდაძე, შემდეგ ცნობილი პედაგოგი და ლიტერატორი. მისი ბუნებრივი თამაში, მისი მოხდენილი ოხუნჯობა საუცხოვო იყო. ბევრი გვაცინა, რასაკვირველია, ვისაც ქართული ესმოდა, და წარმოდგენაზე კი უცხო ტომის ხალხიც ბლო-

მად იყო. წარმოდგენის შემდეგ ნადიმი გაიმართა. მეტი იქნება იმის თქმა, რომ ნადიმი ჩინებულად, მხიარულად, „ჩვენებურად-ძველებურად“ ჩაიარა...“ (მანსვეტაშვილი 1936: 74).

⁹ (გვ. 126) **„Кавказ“-ში ინერებიან, რომ ვითამ ქართული ტრუპა მოწვით აქ სადიდმარხვით...** – ცნობა ქართული ტრუპის (დასის) პეტერბურგში მინვევის შესახებ გაზეთ „კავკაზს“ „დროებიდან“ აქვს გადაბეჭდილი (კავკაზ 1882), „დროებაში“ კი ვკითხულობთ:

„როგორც ქართულ დრამმატიულ დასს, ისე სომხურ ტრუპასაც მოსვლია პეტერბურლიდამ დაპატიჟება მომავალ დიდ-მარხვაში წარმოდგენების გასამართავად. მაგრამ, ამბობენ, სომხები პირობებზე ვერ დათანხმდნენ და ამის გამო არ მიდიანო. – ქართულ დრამმატიულ დასმა კი, როგორც გავიგეთ, ამ თავითვე 5 500 მანეთის გამოგზავნა სთხოვა პეტერბურლის ანტრეპიონერს [ანტრეპრენიორს] „ქართულ დრამმატიულ საზოგადოების“ სახელობაზე. ხუთი კვირა დავრჩებით და ათ წარმოდგენას გავმართავთო. ამ წინადადებაზე ჯერ პეტერბურლიდამ პასუხი არ მოსვლიათ. თუ პირობაზე მორიგდნენ, ჩვენს დასს ზურნაც მიჰყავს პეტერბურლში“ (დროება 1882⁹).

¹⁰ (გვ. 126-127) **„წუხელი ჩემი ლოკუნას წიგნი მომივიდა“** – ლოკუნა, რომლის წიგნიც (წერილი) დიმ. ყიფიანს მიუღია, არის მისი ქალიშვილი ელენე ყიფიანი-ლორთქიფანიძე (თავის ქალიშვილს დიმ. ყიფიანი წერილებში ხშირად მოიხსენიებს კნინობით-ალერსობითი სახელებით: ლოკა, ლოკუნა, ლოკინა, ლოკუკუნა, ლოლოკუნა, ლოკა-ლოკუნა და სხვ.).

¹¹ (გვ. 127) **„გული დამიმშვიდა სხვათა შორის ნიჩურკას ამბითაც“** – ნიჩურკა დიმ. ყიფიანის მეუღლე ნინო ჭილაშვილ-ყიფიანია, რომელსაც თავის წერილებში ქმარი სხვადასხვა კნინობით-ალერსობითი სახელით მიმართავს (ნიჩკა, ნიჩუროჩკა და სხვ.).

¹² (გვ. 127) „**კოსტუკას შეუტყობინებია მივდივართო**“ – **კოსტუკა**: იგულისხმება დიმ. ყიფიანის უმცროსი ვაჟი, მსახიობი და თეატრალური მოღვაწე *კონსტანტინე (კოტე) ყიფიანი*.

¹³ (გვ. 127) „**კომისია უნდა დაინიშნოს კავკასიის მმართველობის შესაცვლელათა...**“ – აქ ნახსენებ *კომისიას*, რომლის მუშაობაში, რამდენადაც ვიცით, დიმ. ყიფიანს არანაირი მონაწილეობა არ მიუღია, კავკასიის მმართველობითი სისტემის პროექტი უნდა შეემუშავებინა. რეფორმის მიზანი იყო მეფისნაცვლის ინსტიტუტის შეცვლა მთავარმართველობის სისტემით და ჯერ კიდევ 40-იან წწ. მიხ. ვორონცოვის მიერ მოპოვებული და შემდეგ ალ. ბარიატინსკის მიერ გაძლიერებული **ადმინისტრაციულ-მმართველობითი ავტონომიის** გაუქმება. თვითონ რეფორმის რაობის შესახებ გაზეთი „დროება“ საზოგადოებას აუწყებდა:

„**ბეტერბურლი, 22 იანვარს.** გაზეთებში ჯერ-ჯერობით შემდეგი ცნობებია დაბეჭდილი კავკასიის გამგეობის რეფორმის შესახებ: გაუქმდება: კავკასიის ნემესტნიკის რჩევა (სოვეტ), სამოქალაქო უწყების საექიმო გამგეობა, თანამდებობა ნამესტნიკის თანაშემწისა და მთავარ-გამგეობის უფროსისა; გაუქმდება აგრეთვე კანცელარია და დეპარტამენტი მთავარ გამგეობისა. თ. დონდუკოვ-კორსაკოვს ექმნება მხოლოდ ისეთივე კანცელარია, როგორც ღენერალ-ლუბერნატორებსა აქვთ. სწავლა-განათლების საქმე რუსეთის სახალხო განათლების სამინისტროს დაემორჩილება, ცენზურის კომიტეტი კი ბეჭდვის საქმეთა მთავარ გამგეობას“ (დროება 1882^ა).

„დროება“ იმავე ნომერში დასძინს: „თუ ყველა ეს ნამდვილია, კავკასიის მთავარ-მმართველისა და რუსეთის ღენერალ-ლუბერნატორის თანამდებობასა და უფლებათა შორის დიდი არაფერი განსხვავება არ იქნება“ (დროება 1882^ა).

თავის მხრივ, ამგვარი რადიკალური ცვლილებები ალექსანდრე II-ის მკვლევლობის შემდეგ მთელს რუსეთის იმპერი-

აში და, განსაკუთრებით, განაპირა გუბერნიებში რეაქციის მკვეთრი გაძლიერების კონტექსტში უნდა იქნეს განხილული. საკუთრივ საქართველოში კი სახელმწიფო პოლიტიკამ, არჩილ ჯორჯაძის შეფასებით, „ნაციონალისტურ კაციჭამიობის“ სახე მიიღო (ჯორჯაძე 1989: 514).

¹⁴ (გვ. 127) **„კანცელარიაში ოტდელენიის ნაჩაღნიკათ ვიყავ მეთქი ... ახლა აქა მეთქი“** – დიმ. ყიფიანი ამიერკავკასიის მთავარმართებლობის კანცელარიის მეორე ოტდელენიის (განყოფილების) მმართველი იყო 1840.XII-1845.VIII წწ. (ყიფიანი 29: 90-92), მთავარმმართველობის სოვეტის (საბჭოს) საქმეთა მმართველის მოვალეობის შემსრულებელი – 1845.VIII-1845.IX წ. (ყიფიანი 29: 92), მთავარმმართველობის საბჭოს კანცელარიის დირექტორი – 1845.IX-1846.I წწ. (ყიფიანი 29: 92), კანცელარიის გაუქმების შემდეგ, მთავარმმართველობის საბჭოს საქმეთა მმართველი – 1846.I-1857.IV წწ. (ყიფიანი 29: 92-105), მეფისნაცვლის საბჭოს წევრი – 1857.IV-1862.VI წწ. (ყიფიანი 29: 105-108). შუალედში – 1856.II-1856.V წ. – დიმ. ყიფიანი ასრულებდა მეფისნაცვლის კანცელარიის დირექტორის მოვალეობას, თუმცა პეტერბურგში იგი ამ თანამდებობაზე არ დაამტკიცეს და უკან, მთავარმმართველობის საბჭოს საქმეთა მმართველად, დააბრუნეს. ამის შესახებ იგი თავის „მემუარებში“ წერს (იხ. აქვე, გვ. 194-198).

1862 წ. ივნისში ეკატერინე დადიანისა და სამეგრელოს სამთავრო ოჯახის ინტერესთა დაცვისთვის ალ. ბარიატინსკის მიერ სახელმწიფო სამსახურიდან დათხოვნილ დიმ. ყიფიანს სხვადასხვა დროს ეჭირა არჩევითი თანამდებობები: თბილისის გუბერნიის „მარშალი“ (წინამძღოლი) იყო 1864.II-1870.VI წწ., ხოლო თბილისის ქალაქისთავი – 1875.XII-1879.II წწ.; როცა წინამდებარე დღიური იწერებოდა, დიმ. ყიფიანი ქუთაისის გუბერნიის თავადაზნაურობის წინამძღოლად („მარშლად“) (1885.V-1886.VIII წწ.) ჯერ არ იყო არჩეული. გარდა ზემოჩამოთვლილი დანიშნვითი თუ არჩევითი თანამდებობებისა,

დიმ. ყიფიანი 1851. 31,XII (პრაქტიკულად – 1852.I)-1864 წწ. არჩეული იყო თბილისის გიმნაზიის საპატიო მზრუნველად.

¹⁵ (გვ. 128) „ჩვენებური ყმანვილების ყრილობა იყო ვას. მაჩაბლისას“ – ვასილ მაჩაბლისას დიმ. ყიფიანის სტუმრობა აღწერილი აქვს იაკობ მანსვეტაშვილს:

„ჩემს დროს ქართველ სტუდენტობას [პეტერბურგში] საკუთარი წრე ჰქონდა შედგენილი. ვიკრიბებოდით დრო გამოშვებით ვასო მაჩაბლის ბინაზე, ლიტეინის პროსპექტზე. ვასო მაჩაბელი, ნაფიცი ვექილი, უფროსი ძმა იყო ვანო მაჩაბლისა, ცნობილ ქართველი მოღვაწისა. კრებებზე ხშირად ოცდაათ კაცამდე მოიყრიდა ხოლმე თავს და, როგორც ახალგაზრდობას შეეფერება, ცხარე სჯა-ბაასი იმართებოდა. უმთავრესი საგანი სჯა-ბაასისა იყო ჩვენი სამშობლოს მომავალი სვე-ბედი... – ჩვენი წრის კრებებს ესწრებოდნენ აკაკი, ნიკო ნიკოლაძე, როდესაც კი პეტერბურგში ყოფნა მოუხდებოდათ. ერთხელ დიმიტრი ყიფიანიც გვეწვია, ჩვენ ცხარე ბაასში ჩაერია და ასეთი სიტყვა ჩაურთო: ჯერ-ჯერობით დიდ საქმეს ნუ შეეჭიდებით. კარგი პატრონი სახლის შენებას რომ დააპირებს, ჯერ მასალის მომზადებას შეუდგება და მერე შენობას დაიწყებს. ჩვენი ქვეყანა პატარაა, მომუშავე ძალები ცოტა ჰყავს, სიფრთხილით უნდა მოიქცეთ; დიდ საქმეს ნუ ჰკიდებთ ერთბაშად ხელს, რომ არ დაიძალნეთ და ჩვენ სამშობლოს არ მოაკლდეთო. – ჭკვიანი, ცხოვრებაში გამოცდილი კაცი იყო დიმიტრი ყიფიანი, მაგრამ ახალგაზრდობას ალლო ვერ აუღო. მისი იგავებით ნათქვამი სიტყვები ვერ მოჰხვდა ჩვენს გულს, მისმა სიტყვებმა უარყოფითი შთაბეჭდილება იქონიეს ჩვენზე. ჩამოვარდა უხერხული სიჩუმე. ეს იგრძნო ჭკვიანმა ყიფიანმა, მაშინვე ადგა და ზრდილობიანად გამოგვემშვიდობა...“ (მანსვეტაშვილი 1936: 72-73; სამედიცინო მოკავშირე... 2007: 163-164).

სხვათა შორის, პეტერბურგშივე 1880-იან წწ. მასთან სხვა დროსა და სხვა ვითარებაში დიმ. ყიფიანის სტუმრობის შესახებ თვითონ ვასილ მაჩაბელი წერს:

„[დიმ. ყიფიანზე] უკეთესს მოსაუბრეს, ჭირში და ლხინში თანამგრძნობ ადამიანს, სხვას ვერ იპოვიდით. – ამიტომ მიყვარდა ხოლმე, როდესაც დრო ჰქონდა, მისი მოპატიჟება ჩემთან ქართულ სადილზე. მახსოვს, ერთხელ ახალი თევზი მოვახარშვინე და მშვენიერი ძველი კახური ღვინით გავუმასპინძლდი. გამოცალა ჭიქა. მერე ჭიქის პირით ცერის ფრჩხილებზედ დააკაკუნა და წარმოსთქვა: „ცოცხალ თევზს წყალი უყვარს და მოხარშულს ღვინოო“. ამასთანავე, მიაბობდა ბევრს ამბებს ჩვენი წარსულიდან“ (მაჩაბელი 1912; საშვილიშვილო მოკავშირე... 2007: 129).

¹⁶ (გვ. 128) **„კოლას ტელეგრამმა მომივიდა“** – კოლა: დიმ. ყიფიანის უფროსი ვაჟი *ნიკოლოზ ყიფიანი*.

¹⁷ (გვ. 128) **„გუშინ პალატამ მედიატორეთ განაჩენი გააუქმაო“** – 1880-იან წწ. დიმ. ყიფიანს სასამართლო დავა ჰქონდა კარდანახელ მემამულესთან ალექსანდრე (კობტა) აბხაზთან – ალექსანდრემ და მისმა მამამ, დიმიტრი აბხაზმა, 1867 წ. ვაჭარ გიორგი ფორაქაშვილისაგან ვალი აიღეს (მოგვიანებით ვექსილი ილარიონ ფორაქაშვილის ხელში გადავიდა) და თავდებობაზე დიმ. ყიფიანი დაითანხმეს. აბხაზებმა ვალი ვერ გადაიხადეს, ფორაქაშვილმა კი თავდებს უჩივლა. ხანგრძლივი სასამართლო დავა დიმ. ყიფიანმა წააგო, ვერც სასამართლოს გზით აღ. აბხაზისგან ვალის ამოღება მოახერხა და აბხაზების მიერ ფორაქაშვილისგან აღებულ ვალს დიმ. ყიფიანი სიცოცხლის ბოლომდე იხდიდა (საქმესთან დაკავშირებული გარემოებების შესახებ, აგრეთვე, წყაროები და ლიტერატურა საკითხის გარშემო იხ. ყიფიანი 2018: 457-458). აბხაზების ვალთან დაკავშირებით ნინო ტატიშვილ-ყიფიანი წერს:

„კობტა აბხაზმა... მთელი თავისი სიცოცხლე ქეიფში, დროს გატარებაში დალია და სოვდაგარ ილარიონ ფორაქაშვილისგან ნასესხები ფული კი დიმიტრიმ გადაიხადა... ნაწილობრივ ავირავა დიმიტრიმ თავისი დიდი მამულები ბანკში, გაყიდვითაც ბევრი გაეყიდა, რამდენიმე წლის განმავლობაში პენსიაც ებრე-

ბოდა, გაჰყიდა ეკიპაჟები, ცხენები და ბოლოს, როგორც იყო, აბხაზის ვალი გადაიხადა. მეტი წილი მამულების შემოსავლისა ბანკის სარგებელში მიდიოდა. ყველა ამან დიდად დასცა შეძლებული ოჯახი დიმიტრისა“ [ყიფიანი 2007¹⁸: 113-114; იქვე (გვ. 115) ნ. ტატიშვილ-ყიფიანს აღწერილი აქვს ქვიშხეთში, დიმ. ყიფიანის ოჯახში, კობტა აბხაზის მეუღლის სტუმრობის საინტერესო ისტორია].

¹⁸ (გვ. 128) **„იშუამდგომლოს სახელმწიფო რჩევის წინაშე“** – სახელმწიფო რჩევაში რუსეთის იმპერიის სახელმწიფო საბჭო (Государственный совет) იგულისხმება.

¹⁹ (გვ. 129) **„ჩემი გრამმატიკა გამომიგზავნოს“** – დიმ. ყიფიანი შვილს თავისი „ახალი ქართული გრამმატიკის“ ხელნაწერის გაგზავნას სთხოვს. წიგნი 1882 წელს სანქტ-პეტერბურგის სამეცნიერო აკადემიის სტამბაში დაიბეჭდა („ახალი ქართული გრამმატიკა“ შენიშვნებითა და კომენტარებით იხ. ყიფიანი 2019: 258-418, 489-497).

²⁰ (გვ. 129) **„კნ. მინგრელსკი და ვას. მაჩაბელი იყვნენ ჩემთან“** – ვასილ მაჩაბელი პეტერბურგის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დამთავრების შემდეგ იქვე დარჩა და 1873-1894 წწ. ნიკო დადიან-მინგრელსკის ვეჟილი და იური-სკონსულტი იყო. დიმ. ყიფიანის მიერ ნახსენები *მუსაიფი*, უნდა ვიფიქროთ, ნიკო დადიან-მინგრელსკის მაიორატის საქმეს უკავშირდებოდა. რაც შეეხება სასამართლო დავას დიმ. ყიფიანსა და ნიკო დადიან-მინგრელსკის შორის, ამის შესახებ ვ. მაჩაბელი წერს: „მე გამოძიებული მქონდა ეს საქმე და ვიცოდი, რომ, თუმცა ფორმალურად შეიძლებოდა მოთხოვნა ამ ფულისა, მაგრამ განსვენებული დიმიტრი მართალი იყო ამ საქმეში“ (მაჩაბელი 1912; საშვილიშვილო მოკავშირე... 2007: 128).

²¹ (გვ. 129) **„დღეს ვიყავ ველ. კნ. მიხეილ ნიკ-ჩთან“** – ველ[იკი] კნ[იაზი] მიხეილ ნიკ[ოლაევიჩი], კავკასიის მეფისნაცვალის (1862-1881), დიდი მთავარი მიხეილ ნიკოლოზის ძე. როცა დიმ. ყიფიანის წინამდებარე დღიური იწერებოდა,

მიხეილ ნიკოლოზის ძე უკვე რუსეთის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარე იყო.

²² (გვ. 129) „...ვერა ალექსანდროვნას გამოგზავნილი“ – იგულისხმება ვერა ალექსანდრეს ას. ჩეკუანოვა (ჩიქოვანი), კომპოზიტორისა და პიანისტის, ანტონ რუბინშტეინის, მეუღლე.

²³ (გვ. 130) „ფინანსთმინისტრისათვის გადაუცია“ – ამ დროს რუსეთის იმპერიის ფინანსთა მინისტრი იყო ნიკოლოზ ბუნგე (1881-1886).

²⁴ (გვ. 131) „ისაიას სახელობით“ – ისაია, რომლის სახელზე დიმ. ყიფიანს მეუღლისთვის ფული გაუგზავნია, იყო დიმ. ყიფიანის მოურავი ქვიშხეთში ისაია ფურცელაძე.

²⁵ (გვ. 131) „სარმ. კარის რწმუნება გამოუგზავნონ მაკალინსკის“ – სარმ[ანიშვილის] კარი, სოფელი ქვიშხეთთან ახლოს (ხაშურის მუნიციპალიტეტი), სადაც დიმ. ყიფიანს მამული ჰქონდა [დიმ. ყიფიანის სიკვდილის შემდეგ ეს მამული მემკვიდრეობით საზიაროდ დარჩათ ნიკოლოზ და კოტე ყიფიანებს (ხეც. ნინო და ბარბარე ყიფიანების არქივი. საქ. №719. ფ. 1)].

²⁶ (გვ. 131) „...ქვიშხეთში ნიჩკას და მე აქ კოსტ. დად-ისაგან“ – ნიჩკა, როგორც ითქვა (კომენტ. 11), დიმ. ყიფიანის მეუღლე ნინო ჭილაშვილ-ყიფიანია, კოსტ. დად. კი – კონსტანტინე დადიანი, ძმა სამეგრელოს მთავარ დავით დადიანისა.

²⁷ (გვ. 131) „ლევ. მელიქ. ვნახე“ – იგულისხმება გენერალ-ლეიტენანტი ლევან მელიქიშვილი

²⁸ (გვ. 131) „ნ. ოთხშ. გრაფ ბარანოვთან მაგარი ლაპარაკი ... რა პირობითაც შემომიყვანეს მინგრ[ელსკის] საქმეში და რა შემისრულეს მეთქი“ – გრაფ ბარანოვთან „მაგარი ლაპარაკისა“ და „პირობის“ შესახებ იმავე 5 მაისს დიმ. ყიფიანი თ. სმირნოვს სწერს წერილს, რომელსაც აქ შემოკლებულად ვიმონებთ:

„გრაფი ედუარდ ტროფიმეს ძე [ბარანოვი] დამპირდა, რომ ჩემი მდგომარეობის შესახებ დღევანდელი პირადი მოთათბირების შე-

დეგს თქვენი მეშვეობით შემატყობინებს. – ვსარგებლობ ამ შემთხვევით და ხელახლა ვსვამ საკითხს, რომ თქვენ თქვენი მხრიდანაც საშუალება მოგეცეთ, იმ პირებს, თავად მინგრელსკის საქმეებს რომ მიგზავნიან, დაუსვათ კითხვა: იციან თუ არა მათ, რა პირობით ვარ მონვეული ამ საქმეში მონაწილეობის მისაღებად? – დამპირდნენ: – ა) თ-დ მინგრელსკის სარჩელის საფუძველზე დაკისრებული ვალის გადახდევინების შეწყვეტას. – ბ) აღდგენას სამსახურებრივი უფლებისას, რომელიც 1862 წელს სწორედ მისი საქმის გამო შემინცდა. – გ) უმაღლესი კომისიის წევრად დანიშვნას. – დ) ხელფასს წელიწადში 10 000 მანეთის ოდენობით, თუმცა მე თვითონ ეს ციფრი შემოთავაზებისთანავე 7000 მანეთამდე შევამცირე. – 1880 წლის ივნისში გამოიცა უმაღლესი განკარგულება კომისიის წევრად ჩემი დანიშვნის შესახებ. მაშასადამე, შესრულდა პუნქტი **გ**. – ამ ორი წლის განმავლობაში ჩემი მხრიდან შესრულდა ყველაფერი, რასაც საქმისადმი ერთგული და თავდადებული დამოკიდებულება მოითხოვდა. და ამ ხნის განმავლობაში ჩემთვის მოცემული რომელი დანაპირები შესრულდა? – მხოლოდ კომისიის წევრად დანიშვნა. ვალის გადახდევინება არ შეწყვეტილა, აღდგენილი არა მატყვს სამსახურებრივი უფლებები და არც არავითარი ხელფასი არ დაუნიშნავთ... – თავს უფლებას მივცემ ვიფიქრო, რომ ხელფასს ვერ დავარქმევთ – ვცდილობ სათქმელის გამოსახატავად ზუსტი სიტყვები მოვძებნო – იმ მოწყალებასავით გადმოგდებულ ფულს, რომელსაც აქამდე **ხელფასის ანგარიშში** იძლეოდით. – ყოველივე ამის გამო გაჭირვებაში ვცხოვრობ აქ, გაჭირვებაში ცხოვრობს ჩემი ოჯახი, მოძალადეებისა და მიმტაცებლების ხელით მეღუპება მამული ამიერკავკასიაში... – გამოიკითხეთ და მითხარით, უნდა ველოდე თუ არა დანაპირების შესრულებას, გათვალისწინებულს ზემოდასახელებული პუნქტებით: **ა, ბ, დ**. – თუ უნდა ველოდე, მაშინ დანაპირების შესრულებამდე უნდა მეძლეოდეს, უკიდურეს შემთხვევაში, 580 მან. თვეში, და თუ არა, ჩემ მიერ უკვე შესრულებული სამუშაოს საზღაურად უნდა შესრულდეს პუნქტი **ა** და ამის შემდეგ მომეცეს ერთ ჯერზე 7000 მან., რომლის მიღებისთანავე ჩავთვლი, რომ მე ამ საქმიდან გასული ვარ, თუმცა ყოველთვის

მზად ვიქნები დავეხმარო უმაღლეს კომისიას“ (ხეც. დიმ. ყიფიანის არქ., საქ. №793. ავტოგრაფი. შავი. რუსულ ენაზე. ფ. 2).

საბოლოოდ დავა დიმ. ყიფიანსა და ნ. დადიან-მინგრელსკის შორის 1886 წელს იმით დასრულდა, რომ, ნიკოლოზ ყიფიანის თქმით, „კნ. მინგრელსკი შეუურიგდა დიმ. ყიფიანს და „ისპოლნიტელნი ლისტი“ [სააღსრულებო ფურცელი] უთავაზა დიმიტრი ყიფიანის მეუღლეს და დაჰპირდა, ის ფულიც, რომელიც ოცი წლის განმავლობაში ლისტით გადაჰხდებოდა დიმ. ყიფიანს, დაებრუნებინა...“ (ყიფიანი 1894: 102-103; საშვილიშვილო მოკავშირე... 2007: 30). არსებითად იმავეს ამბობს ვასილ მაჩაბელი: „მე ბევრჯერ მქონდა ლაპარაკი ნიკო მინგრელსკისთან (დედოფლის გარდაცვალების შემდეგ) ამაზე და ყოველთვის ვამართლებდი ყიფიანს... ვურჩიე [მინგრელსკის], ის ვალი, რომელიც მასზე [დიმ. ყიფიანზე] ირიცხებოდა, სრულიად მოესპოთ. მე დამიჭირა მხარი ერთმა ლენერალმა* – სმირნოვმა. ნიკო მინგრელსკიც დაგვეთანხმდა... [დიმ. ყიფიანს] ძველი ვალიც მოუსპეს“ (მაჩაბელი 1912; საშვილიშვილო მოკავშირე... 2007: 128; ცნობა ვალის **მოსკოვის** შესახებ დიმ. ყიფიანმა თ. სმირნოვისგან პეტერბურგიდან ქუთაისში 1886 წლის 28 იანვარს მიიღო – ქლსმ. №14886-ბ. ფ. 1). „მინგრელსკიმ სავსებით გამოისყიდა თავისი დანაშაული“, – დასძენს ამ საკითხზე მსჯელობის შემდეგ არჩილ ჯორჯაძე (ჯორჯაძე 1989: 552).

²⁹(გვ. 131) „**გუშინ მოვიდა უცხოეთიდან მიხ. ტარ-ჩი**“ – მიხ. ტარ-ჩი (ქვემოთ – მ. ტ-ჩი, მიხ. ტ-ჩი) არის რუსეთის იმპერიის შინაგან საქმეთა მინისტრი (1880-1881) მიხეილ ტარიელის ძე ლორის-მელიქოვი.

* თ. სმირნოვს მინიჭებული ჰქონდა ნამდვილი სამოქალაქო მრჩევლის (Действительный статский советник) ხარისხი, რომელიც რუსეთის იმპერიის რანგთა ტაბელში გენერალ-მაიორის სამხედრო და კონტრადმირალის საზღვაო ჩინებს შეესაბამებოდა. ამიტომაც ნამდვილ სამოქალაქო მრჩეველს ზოგჯერ „სამოქალაქო გენერალს“ უწოდებდნენ.

³⁰ (გვ. 131) „**კნენა და კნიაზ აბაშიძე, როსტომის...**“ – ფრაზა დაუსრულებელია, *კნიაზ აბაშიძე* ტექსტში არაერთგზის ნახსენები *სვიმონ აბაშიძე-გორლენკოა*, *კნენა* მისი მეუღლეა – *ადელაიდა გორლენკო*, *როსტომის* ვინაობა ვერ გამოვარკვეით.

³¹ (გვ. 132) „**თედოსზედაც უამბე**“ – *თედო (?)*.

³² (გვ. 132) „**არ მინდოდა ბ-ის ნახვა, მაგრამ... წავედი. მალე მიმიღო. რომ შევედი, ცივათა მკითხა, ჩტო ვამ უგოდნო? ... В таком случае прошу извинения; виноват, вижу, что ошибся!**“ – *ბ[არანოვ]თან* ეს დიალოგი დიმ. ყიფიანს წინამდებარე დღიურიდან მოგვიანებით თავის „მემუარებში“ აქვს გადატანილი:

„ის იყო შევდგი ფეხი მასთან, რომ მან მაგიდის იქით, უკან ხელებ განწყობილმა ცივად მომახალა: „რა გნებავთ თქვენ?“ – გულის სიღრმემდე შეძრწუნებულმა სხაპა-სხუპით მივყარე ასეთი ფრაზა: „მე მინდოდა მესარგებლა გრაფი ლორის მელიქოვის ჩამოსვლით, რომ თქვენთვის მომეცა საშუალება შეგემომწმებინათ ჩემი პასუხი, თქვენს კითხვაზე რომ მივეცი სმირნოვს“. – რაო? – ხმა ამაღლებით, ხოლო თითო თითო სიტყვად, იგივე ფრაზა გაუმეორე. – მერე რაო? მან მოგცათ ეს დაპირებები? – ზოგს ის დამპირდა, ერთს კი თქვენ დამპირდით. – მე როგორ დაგპირდებოდით? დაპირებას მაშინ ვიძლევი, როდესაც საქმე მე შემეხება. ეგ კი შეეხება თ-დ მინგრელსკის. მის მაგივრად მე ვერავითარ დაპირებას ვერ მოგცემდით.

– ოო! უკაცრავად! შევმცდარვარ!“ [იხ. აქვე, გვ. 233].

³³ (გვ. 133) „**Нужны запись и трет[ейское] решение**“ – „*საჭიროა ჩანანერები და სამედიატორო გადაწყვეტილება*“. როგორც ჩანს, ეს *ჩანანერებიცა და სამედიატორო გადაწყვეტილებაც* ეხება დავას დიმ. ყიფიანსა და ფორაქაშვილს შორის (იხ. აქვე, კომენტ. 17).

³⁴ (გვ. 133) „**ჩვენს საზოგადოებაში შემოსატანი 40 მან. და იმის გრაფინების 36**“ – *ჩვენი საზოგადოება*: იგულისხმება

„ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება“, რომლის დამფუძნებელ წევრთა შორის *მიხეილ ლორის-მელიქოვიც* იყო (ნანიტაშვილი... 2004: 146), ხოლო *გრაფინიები*, როგორც ჩანს, არიან მიხ. ლორის-მელიქოვის მეუღლე – ნინო არღუთინსკაია-დოლგოროუკოვა და ქალიშვილები: *მარიამ (მარია)* და *ელისაბედ ლორის-მელიქოვები* [ამათ გარდა, მიხ. ლორის-მელიქოვს ჰყავდა კიდევ ერთი ქალიშვილი – *სოფიო*, რომელიც დაბადებიდან (1862) მალევე გარდაიცვალა].

³⁵(გვ. 133) „**ალ. ს. ჩიქოვანოვი ვნახე. 1882 წლის სანევრო შემოსატანი გამოვართვი 20 მან. და იმისი სიძის შემონირულობის საქმე ვუამბე**“ – *ალექსანდრე ჩიქოვანოვი* იყო წევრი „ქმნ-კგ საზოგადოებისა“, ხოლო რაც შეეხება *იმისი სიძის*, ანტონ რუბინშტეინის *შემონირულობას*, ამის შესახებ ჩვენ ვერაფერს ვიტყვით, თუმცა, გამორიცხული არ არის, ეს შემონირულება „წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოებას“ უკავშირდებოდეს [ა. რუბინშტეინმა სერიოზული თანხა გაიღო თბილისში მუსიკალური სასწავლებლის (შემდგომ კონსერვატორია) დასაარსებლად, მაგრამ ეს უფრო გვიან, 1891 წელს, მოხდა – ტორაძე 1984: 464].

მიმუშარები (გვ. 135-308)

ხელნაწერი: Санкт-Петербург. Рукописный отдел Института русской литературы (Пушкинский дом) Российской Академии наук [სანქტ-პეტერბურგი. რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის რუსული ლიტერატურის ინსტიტუტის (პუშკინის სახლი) ხელნაწერთა განყოფილება].

ფონდ. 265. აღწ. 1. საქ. №35. ავტოგრაფი. რუსულ ენაზე. ფ. 84 [„სკოლა სულისა“].

ფონდ. 265. აღწ. 2. საქ. №1232. ავტოგრაფი. რუსულ ენაზე. ფ. 27 [„ყაზარმობა, ანუ ქართველთა 1832 წლის შეთქმულების საქმე“].

ნაბეჭდი: „Русская старина“. 1886. მარტი (ნგნ. 3; გვ. 517-538). მაისი (ნგნ. 5; გვ. 267-286). ივლისი (ნგნ. 7; გვ. 55-80). აგვისტო (ნგნ. 8; გვ. 447-465). სექტემბერი (ნგნ. 9; გვ. 615-630).

დიმ. ყიფიანი. მემუარები. სიმ. ხუნდაძის რედაქციით, შენიშვნებით და წინასიტყვაობით. ტფილისი: 1930.

დიმ. ყიფიანი. მემუარები. რედაქცია, შენიშვნები და პირთა სახელების საძიებელი ს. ხუციშვილისა. წინასიტყვა („რანდი მიამიტი და თავდადებული“) ა. ბაქრაძისა. თბილისი: საქართველო. 1990.

დიმ. ყიფიანი. მემუარები. // ქართული მწერლობა (ოცდაათ ტომად). შემდგენელი: ა. ბაქრაძე, რ. თვარაძე. ტ. XX (ტომის შემდგენელი: ა. ბაქრაძე, თ. ჯოლოგუა. თ. ჯოლოგუას რედაქტორობით, შენიშვნებითა და ბოლოსიტყვით). თბილისი: ნაკადული. 2003, გვ. 107-251.

დიმ. ყიფიანი. მემუარები. // „დიმიტრი ყიფიანი – 200“. პროექტის ავტორი და კრებულის შემდგენელი ბ. კობაძე. თბილისი: სვეტი. 2014. გვ. 27-186.

სათაური: Записки Дмитрия Ивановича Кипиани (с 1820 г.) [„Школа духа“] [დიმიტრი ივანეს ძე ყიფიანის ჩანაწერები (1820 წლიდან)] [„სკოლა სულისა“].

„Казарменное дело, т. е. дело о грузинском заговоре 1832 года“ [„ყაზარმობა, ანუ ქართველთა 1832 წლის შეთქმულების საქმე“].

თარიღი: 23 იანვარი 1884 [„ყაზარმობა, ანუ ქართველთა 1832 წლის შეთქმულების საქმე“].

4 მარტი 1884 [„სკოლა სულისა“].

ხელმოწერა: Дим. Ив. Кипиани [„სკოლა სულისა“].

პეტერბურგში დაცულ სრულ ავტოგრაფულ ხელნაწერზე ჩვენ ხელი არ მიგვიწვდა, ხოლო რაც შეეხება თავს „სკოლა სულისა“, მისი შავი სიმ. ხუნდაძეს „მემუარების“ გამოცემაზე მუშაობისას ხელთ ჰქონია. გამომცემელი ტექსტზე დართულ თავის შენიშვნებში არაერთხელ მიუთითებს: ხელნაწერში

ასეა, „რუსკაია სტარინას“ პირველნაბეჭდში კი – სხვაგვარადო (ყიფიანი 1930: 154, 162, 163, 165, 166) და დასძენს: **„ქართული ტექსტი გადათარგმნილია იმ შავი ხელნაწერიდან, რომელიც ინახებოდა დ. ყიფიანის არქივში. ამ უამად დაკარგულია“** (ყიფიანი 1930: 166; კურსივი ჩვენია). ეს ხელნაწერი დღემდე არ ჩანს.

„1832 წლის ყაზარმობის“ **შავი** დაცულია ხეც-ში („Каза-рменное дело, т. е. дело о грузинском заговоре 1832 года“ [„ყაზარმო-ბა, ანუ ქართველთა 1832 წლის შეთქმულების საქმე“]. დიმ. ყი-ფიანის არქ., საქ. №82. ავტოგრაფი. ფ. 32; სწორედ აქედან აქვს თარგმნილი ეს ტექსტი კოტე ყიფიანს – იხ. ქვემოთ). ხელნაწე-რი დათარიღებულია **1884 წლის 23 იანვრით** (პირველ ფურ-ცელს თავზე სხვა თარიღი აწერია – 17 იანვარი, თუმცა იქვე, სქოლიოში, 23 იანვარია მითითებული).

„სკოლა სულისა“ დათარიღებულია **1884 წლის 4 მარტით** (ყიფიანი 1930: V), ხოლო რაც შეეხება ბოლო თავს **„კერძო ცხოვრებაში“**, სიმ. ხუნდაძის აზრით, იგი **1885 წელს** უნდა იყოს დაწერილი (ყიფიანი 1930: V). ეს ვარაუდი სწორი ჩანს – ამ თავში ავტორი აღ. ონიკაშვილზე აღნიშნავს: „...გარდაც-ვალეული 1885 წელს ტფილისში“ (გვ. 265) და იქვე (გვ. 266) ამბობს: „ზემოდ ჩამოთვლილ პირებიდან 1885 წელს მხოლოდ ხუთია ცოცხალი“. 1885 წლამდე დაწერილ ტექსტში ეს მონა-ცემები, ცხადია, ვერ მოხვდებოდა.

„რუსკაია სტარინაში“ მონაკვეთები „კერძო ცხოვრებაში“ და „1832 წლის ყაზარმობა“ არ დაბეჭდილა (ეს უკანასკნელი, როგორც ჩანს, ადგილობრივი რუსული მმართველობითი ფე-ნის მკაფიოდ გამოხატული კრიტიკული შეფასებების გამო) – ისინი პირველად სიმ. ხუნდაძის პუბლიკაციაში მოხვდა. **წინამდებარე ტომში სწორედ ამ გამოცემას ვიმეორებთ**, ოღონდ მოხსნილი გვაქვს სიმ. ხუნდაძის მიერ თავის გამოცე-მაში შეტანილი და ტექსტის ყველა შემდგომ პუბლიკაციაში გამეორებული „დ ა მ ა ტ ე ბ ა“: „ჩემი მონაწილეობა 1832 წლის შეთქმულებაში“ (ყიფიანი 1930: 137-147). ეს უკანასკნელი ტე-

ქსტი „მემუარების“ ნაწილი კი არ არის, არამედ დიმ. ყიფიანის მიერ შეთქმულების საგამომძიებლო კომისიისთვის 1832 წ. 13 დეკემბერს მიცემული ჩვენებაა და, ვიმეორებთ, იგი სიმ. ხუნდაძის მიერ არის დამატებული. ჩვენ ეს ტექსტი, ისევე, როგორც დიმ. ყიფიანის მიერ საგამომძიებლო კომისიისთვის მიცემული სხვა ჩვენებები, მომდევნო ტომში შეგვაქვს.

რაც შეეხება „მემუარების“ მთარგმნელებს:

ა) ძირითადი ნაწილი („სკოლა სულისა“) თარგმნილია დიმ. ყიფიანის რძლის (კოტე ყიფიანის მეუღლის), ნინო ტატიშვილ-ყიფიანის მიერ [დ. ყიფიანი. „სკოლა სულისა“. ხეც. დიმ. ყიფიანის არქ., საქ. №86. მანქანაზე ნაბეჭდი. მელნით ნასწორები მთარგმნელის მიერ. თავნაკლული. უთარილო. ფ. 48; „ჩვენს გამოცემას ეს თარგმანი უდევს საფუძვლად“ – მიუთითებს სიმ. ხუნდაძე 1930 წლის გამოცემაში (ყიფიანი 1930: V)]. იმავე სიმ. ხუნდაძის ცნობით, როგორც ეს ზემოთ გვაქვს დამონებულნი, ნ. ტატიშვილ-ყიფიანს უსარგებლია ხელნაწერის შავით, რომელიც ამჟამად დაკარგულად ითვლება, თუმცა, საფიქრებელია, მთარგმნელი „რუსკაია სტარინას“ პირველნაბეჭდაც გამოიყენებდა. თარგმანის შესახებ 1910-1920-იანი წწ. ქართულ პრესაში ორიოდ ცნობაა გამოქვეყნებული:

„ნინო ყიფიანისამ დიმ. ყიფიანის ხელთნაწერებიდამ ამოარჩია ფრიად ძვირფასი ავტობიოგრაფიული ნაწერი დ. ი. ყიფიანისა, რუსულ ენაზე, „წვრთნა სულისა“ („Школа духа“), რომლის თარგმნაც გადასწყვიტა ჟურ. „ახალ მოამბეში“ მოსათავსებლად“ (თეატრი და ცხოვრება 1915: 15). 1917 წელს იმავე ჟურნალში – „თეატრი და ცხოვრება“ – ნ. ტატიშვილ-ყიფიანის თარგმანიდან (მთარგმნელის მოკლე წინათქმით) გამოქვეყნდა მცირე ფრაგმენტები [გენერალ იოსებ გურკოსთან კონფლიქტი, ვოლოგდაში ცხოვრების ეპიზოდი (თეატრი და ცხოვრება 1917: 5-6; თეატრი და ცხოვრება 1917: 8)].

„მწერალი ქალი ნინო ყიფიანი, განსვენებული მსახიობის კოტე ყიფიანის ქვრივი და რძალი დიმიტრი ყიფიანის, რომელიც ამჟამად ქვიშხეთში იმყოფება, ქართულად სთარგმნის

დიმიტრი ყიფიანის მემუარებს. – ეს მემუარები შეიცავს მეტად საინტერესო მასალებს დიმიტრი ყიფიანის ეპოქიდან და ჯერ არსად არ არის გამოქვეყნებული. ნინო ყიფიანი აწარმოებს მოლაპარაკებას ქართულ კულტურულ და მხატვრულ ორგანიზაციებთან ამ წიგნის გამოცემის შესახებ. როგორც გადმოგვცემენ, სრულიად საქართველოს ხელოვანთა კავშირის მთავარი კომიტეტი ცდილობს ამ წიგნის შექმნას და დაბეჭდვას“ (რუბიკონი 1923).

ბ) თავი „1832 წლის ყაზარმობა“ თარგმნილია დიმ. ყიფიანის ვაჟის, კოტე ყიფიანის, მიერ [ყაზარმობა ანუ საქმე ქართველთა შეთქმულებაზედ 1832 წელსა. ხეც. დიმ. ყიფიანის არქ., საქ. №83. 22 ნოემბერი, 1893. ქვიშხეთი. მთარგმნელის შენიშვნებით. ფ. 16; №84. დაუთარილებელი. ფ. 33). ტექსტს ახლავს მთარგმნელის წინათქმა:

„1884-სა წელსა იანვარში განსვენებულმა ჩემმა მამამ, დიმიტრი ივანეს ძე ყიფიანმა, დასწერა რუსულად ეს ამბავი, ზემო მოლსენებულის სათაურით. ახლა ამ ამბავს მე, შვილი მისი, ვსთარგმნი ქართულად, რომ გადავსცე პატივცემულ ახალ ქართულ ჟურნალის „მნათობის“ რედაქციას თავის ჟურნალში დასაბეჭდავთ ქართველებისთვის ნასაკითხავად, რადგანაც ძალიან ბევრმა არც კი იცის, რომ ჩვენს საქართველოში ოდესმე მომხდარიყოს ქვემო-მოლსენებული საქმე, რომელსაც მაშინ, ე. ი. 1832 წელს, დაერქვა „კაზარმობა“ და მთავრობამ კი უწოდა: „საქმე ქართველთა შეთქმულობისა“. რათ დაერქვა ამ შეთქმულობას „კაზარმობა“ და რა მიზეზებმა გამოიწვია საქართველოში ქართველთა შორის შეთქმულობა, ამას პატივის-საცემელი მკითხველი ქვემოდ ამოიკითხავს. მე მხოლოდ თარგმნით მივსდევ ისე, როგორც ჰქონდა დაწერილი ჩემს მამას და ამ სტატიის დასამთავრებლად

* აქ უნებური შეცდომაა – უნდა იყოს: *ჟურნალი „მოამბე“* [იქვე (ფ. 11) კ. ყიფიანს „მოამბე“ უწერია]. ჟურნალი „მოამბე“ 1894 წლის იანვრიდან გამოდიოდა.

ამოგვიყვანე ზოგი-ერთს შემთხვევებს ამ საქმის შესახებ, კავკასიის არხეოგრაფიის კომისიის აკტებიდან, სადაც ფრიად ვრცლად არის მოლსენებული „კაზარმობის“ საქმე. ახლა მივპყოთ ხელი მამი ჩემის ნაამბობს.

1893 წ. ნოემბრის 22 დღესას. ქვიშხეთი“ (ხეც. დიმ. ყიფიანის არქ., საქ. №83. ფ. 17).

იქვეა (ფ. 17) კ. ყიფიანის მინანერი:

„შეთქმულები აპირობდნენ მოეყარათ თავი საქართველოში მყოფ ყველა პოლშელებს, რომელნიც მაშინ სამი ათას კაცამდის ირიცხებოდა და ყველა პატივ-ახდილ სამხედრო კაცებისა, რა რიცხვიც კარგა ბლომად იყო. ხალხის აღშფოთება უნდოდათ იმითი, რომ აპირებდნენ გამოცხადებას, რომ მთავრობა ვითომც აპირებს საქართველოში მცხოვრებლებს შორის რეკრუტების მოგროვებას. დანყებული ჰქონდათ საქმე ისე, რომ ერთს და იგივე დროს საერთო აჯანყება უნდა მომხდარიყო თბილისში, თელავში, სიღნაღში, დუშეთში და გორში“.

სიმ. ხუნდაძე თავის 1930 წლის გამოცემის წინათქმამში („რედაქტორისაგან“) შენიშნავს: „1900 წ. იმავე კ. ყიფიანს ეს ხელნაწერი ფართოდ გამოუყენებია თავის წერილში შეთქმულების შესახებ: „Из давно минувшего Грузии“ (იხ. „Кавказский Вестник“, №11, გვ. 95-116, 1900 წ.)“ (ყიფიანი 1930: VII) და დასძენს: „ამ გამოცემაში მოთავსებული „ყაზარმობა“ გადმონერლია კ. ყიფიანის თარგმანიდან, ხოლო იგი ხელმეორედ შედარებულია დ. ყიფიანის შავად დარჩენილ ხელნაწერთან“ (ყიფიანი 1930: VII).

მოგვეპოვება დოკუმენტური მასალა დიმ. ყიფიანის „მემუარების“ პირველნაბეჭდის („რუსკაია სტარინა“) ქრონოლოგიური ისტორიისათვის:

დიმ. ყიფიანს „მემუარების“ ხელნაწერი თავდაპირველად, **1885 წლის 3 მარტს**, ქვიშხეთიდან პეტერბურგში თავისი დი-

დი ხნის ნაცნობისთვის, ადოლფ ბერჟესთვის, გაუგზავნია (წერილი რუსულ ენაზეა. ვიმონმებთ შემოკლებულად):

„გიგზავნით, ძვირფასო ადოლფ პეტრეს ძე, „რუსკაია სტარინასთვის“ ჩემ მიერ დაპირებული ჩანაწერების დასაწყის ნაწილს („ყაზარმობას“ – თ. ჯ.)...“ – ჩემთვის სასურველია:

1. ჰონორარი, თქვენ მიერვე განსაზღვრული ოდენობით, და
2. ბროშურებად აკინძული ამონაბეჭდები – 15 ეგზემპლარი...

ორიოდე სიტყვაც: მომდევნო რვეულები თქვენ გამოგიგზავნოთ, თუ უშუალოდ რედაქციას მივანოდო? საჭიროა თუ არა იმის თხოვნა, რომ ყველაფერი შეუმოკლებლად უნდა დაბეჭდონ?“ (ხეც. დიმ. ყიფიანის არქ., საქ. №82, ფ. 1).

იმავე 1885 წლის 28 მარტს დიმ. ყიფიანი პეტერბურგიდან იღებს ა. ბერჟეს პასუხს – ხელნაწერს ხვალ გავუგზავნი „რუსკაია სტარინას“ რედაქციას, ხოლო რედაქტორს, მიხ. სემევსკის, მივწერ, რომ ამის შემდეგ უშუალოდ თქვენ დაგიკავშირდნენო (ხეც. დიმ. ყიფიანის არქ., საქ. №1048, ფ. 1; ჩხეტია 1947: 402).

6 აპრილს უკვე ყურნალის რედაქტორი მიხ. სემევსკი სწერს დიმ. ყიფიანს:

„პირველი რვეული თქვენი ჩანაწერებისა, კერძოდ, „1832 წლის ყაზარმობის საქმე“ ჩემდა სასიამოვნოდ მივიღე ად. პ. ბერჟეს მემკვიდრით. ამბავი საინტერესოა, თუმცა ერთობ ფრაგმენტულადაა გადმოცემული. სიამოვნებით დავბეჭდავ „რუსკაია სტარინას“ ივლისის ან აგვისტოს ნიგნებში. ჰონორარი – 35 მანეთი ნაბეჭდ ფურცელში და 20 ცალი ამონაბეჭდი“ (ხეც. დიმ. ყიფიანის არქ., საქ. №1620. ფ. 1; ჩხეტია 1947: 403).

29 აპრილს დიმ. ყიფიანი უპასუხებს მიხ. სემევსკის (ვიმონმებთ მცირეოდენი შემოკლებით): „ჰონორარსა და ამონაბეჭდების რაოდენობაზე თანახმა ვარ. მაგრამ ვისურვებდი,

ჰონორარის ანგარიშზე გამომიგზავნოთ თქვენი ჟურნალი იმდენ წელიწადს, რამდენ წელიწადსაც ამას შესაძლებლად ჩათვლით და, ამასთანავე, შემდგომაც გამითვალისწინოთ თქვენი ჟურნალის ხელის მომწერთა შორის. ნაწილი მეორე რვეულისა, დაახლოებით 85 გვერდი, რომელიც ასეა დასათაურებული „სკოლა სულისა“... დასრულებული მაქვს და შემიძლია მალე გამოგიგზავნოთ... საჭიროა თუ არა თხოვნა იმისა, რომ ტექსტი შეუმოკლებლად უნდა დაიბეჭდოს?“ (ხეც. დიმ. ყიფიანის არქ., საქ. №1620. ფ. 1; ჩხეტია 1947: 403).

7 მაისს დიმ. ყიფიანი იღებს რედაქციის მდივნის წერილს. რედაქციის მდივანი იმეორებს მიხ. სემევსკის მოსაზრებას ფრაგმენტული თხრობის შესახებ და დასძინს: „ბეჭდვას რაც შეეხება, რედაქცია გამოიყენებს ჩვეულ წესს – შეამოკლოს ტექსტი, თუ ამის აუცილებლობას დაინახავს, მაგრამ შეცვლით კი არაფერს შეცვლის“ (ხეც. დიმ. ყიფიანის არქ., საქ. №1616, ფ. 2; ჩხეტია 1947: 403).

13 აგვისტოს დიმ. ყიფიანი წერილს სწერს მიხ. სემევსკის (ვიმონმებთ მცირეოდენი შემოკლებით):

„ჩემი „ყაზარმობის საქმე“ „რუსკაია სტარინას“ ვერც ივლისისა და ვერც აგვისტოს წიგნაკებში ვერ მოხვდა... 7 მაისის წერილით რედაქციის მდივანი მატყობინებდა... ტექსტში თვითონ საქმის არსზე არაფერია ნათქვამიო. გადავამოწმე ჩემი ჩანაწერები და აღმოჩნდა, რომ გადანერისას სწორედ საქმის არსის ამსახველი მონაკვეთი მაქვს გამორჩენილი... – თქვენს აღმატებულებას მივმართავ უმორჩილესი თხოვნით, ჩემს ნაწერში საკუთარი შეხედულებისამებრ შეიტანოს მომდევნო ფურცელზე გადმოცემული დამატება:

„1832 წლის შეთქმულების მიზანი, როგორც ეს თავად იასე ფალავანდოვთან გამართულ შეკრებაზე გამოიჩვენა, იყო საქართველოს გათავისუფლება რუსეთის მმართველობისაგან. ხოლო ამ მიზნის მისაღწევად ფალავანდოვი გვთავაზობდა ბალის მონყობასა და იქ ყველა რუსის ამონყვეტას, იმავდროულად, არსენალისა

და ხაზინის ხელში ჩაგდებასა და ქალაქის მდაბიო ბრბოს ამბოხებას. – იმ ავად სახსენებელ სალამომდე მე და ავთანდილოვი იმედს არ ვკარგავდით, რომ ჩვენს შეხვედრებს ლიტერატურული ხასიათი მიეცემოდა, მაგრამ, დავკარგეთ რა ამის იმედი, ჩვენ ამგვარ შეკრებებზე აღარ გამოვჩენილვართ“ (ხეც. დიმ. ყიფიანის არქ., საქ. №82. ფ. 1; შეთქმულებაში დიმ. ყიფიანის ადგილისა და როლის შესახებ იხ. აქვე, კომენტ. 164).

იმავე **1885 წლის 12 დეკემბერს** მიხ. სემევსკი ატყობინებს დიმ. ყიფიანს: „თქვენი ჩანაწერები, როგორც ამას ადრეც გწერდით, ძალიან საინტერესოა და უსათუოდ დავებქდავ. მხოლოდ ბოდიში კი უნდა მოგიხადოთ, რომ მასალის სიმრავლის გამო ბეჭდვის გადადება მომინია, მაგრამ მარტის წიგნში აუცილებლად გამოვაქვეყნებ თქვენი ჩანაწერების თუნდაც ნახევარს. გეთაყვა, ნუ დამემდურებით დაგვიანების გამო“ (ხეც. დიმ. ყიფიანის არქ., საქ. №1621. ფ. 1; ჩხეტია 1947: 416). მიხ. სემევსკის ამ წერილზე დიმ. ყიფიანის მიხანერია: **„მივიღე 19 დეკემბერს 1885; 20 დეკ.** მაღლობის წერილი გაუფგზავნე და დავპირდი, რომ დავწერ ისეთი ფაქტების შესახებ, რომლებშიც საზოგადოებრივი ინტერესები უფრო მეტად იქნება ასახული, ვიდრე – მანამდელ ნაწერებში“ (აქ, ცხადია, იგულისხმება თავი „კერძო ცხოვრებაში“, რომელიც რედაქციას არ გამოუქვეყნებია. დარწმუნებით თქმა ძნელია, თუმცა შეიძლება ვივარაუდოთ, რომ „რუსკაია სტარინას“ რედაქციას საქართველოში რუსული მმართველობის ისტორია უფრო აინტერესებდა და არა – ისტორია ქართული საზოგადოებრივი ცხოვრებისა. თავის, „კერძო ცხოვრებაში“, გამოუქვეყნებლობის მიზეზიც, ვფიქრობთ, ეს უნდა იყოს).

ერთი სიტყვით, დიმ. ყიფიანს „რუსკაია სტარინას“ რედაქციისთვის ჯერ „1832 წლის ყაზარმობა“ გაუგზავნია, შემდეგ – „სკოლა სულისა“ და „კერძო ცხოვრებაში“, თუმცა არც „ყაზარმობა“ და არც „კერძო ცხოვრებაში“, როგორც ითქვა, ჟურნალში არ დაბეჭდილა.

დასასრულ, წინამდებარე ტომში ჩვენ ვიმეორებთ არა მარტო „მემუარების“ სიმ. ხუნდაძისეულ 1930 წლის გამოცემას, არამედ – გამომცემლის შენიშვნათა თუ კომენტართა ნაწილსაც [აქვე საგანგებოდ უნდა აღინიშნოს სიმ. ხუნდაძის განსაკუთრებული ღვაწლი დიმ. ყიფიანის ცხოვრებისა და შემოქმედების შესწავლაში. გარდა იმისა, რომ „მემუარების“ ხსენებულ გამოცემას წინ უძღვის საფუძვლიანი შესავალი ნარკვევი „დიმიტრი ყიფიანი (ნარკვევი მისი აზროვნებიდან და მოღვაწეობიდან“ – ყიფიანი 1930: IX-XLII), მასვე ეკუთვნის შესანიშნავი მონოგრაფია „დიმიტრი ყიფიანი“ (ხუნდაძე 1936; გამოიცა ავტორის გარდაცვალების შემდეგ; ერთ-ერთი თავი ამ მონოგრაფიიდან „დიმიტრი ყიფიანის ლიტერატურული მოღვაწეობა“ სიმ. ხუნდაძის „ნარკვევებშიც“ არის შეტანილი – ხუნდაძე 1941: 35-62).

¹ (გვ. 137) „მხოლოდ ორ სასწავლებელ შუა შეეძლოთ არჩევანი“ – „აქ ლაპარაკია კეთილშობილთა სასწავლებელსა და სასულიერო სემინარიასზე. აღნიშნულ პერიოდში, რომლის შესახებაც დ. ყიფიანი სწერს, მხოლოდ ეს ორი სასწავლებელი არსებობდა ტფილისში. კეთილშობილთა სასწავლებელი ფორმალურად დაარსდა 1802 წ. სექტემბერში; პ. ციციანოვის მთავარ-მართველობის დროს, 1803 წ., იგი მხოლოდ ქალაქადზე არსებობდა. იმავე ციციანოვის მეცადინეობით ხელახლა გაიხსნა 1804 წ., ხოლო გიმნაზიად გადაკეთდა 1830 წ. სასულიერო სემინარია დაარსებულ იქნა 1817 წ. ერმოლოვის მთავარ-მართველობის დროს. ამ სასწავლებლის დაარსებით რუსეთის ადგილობრივი ხელისუფლება გარკვეულ პოლიტიკას ისახავდა მიზნად: ერთი მხრივ, მას სურდა მოემზადებია კადრი გამოცდილი მოხელეებისა ადგილობრივ თავად-აზნაურობისაგან, მეორე მხრივ შეეტანა თავად-აზნაურობაში განათლება და გადაექცია იგი თავის დასაყრდენ ძალად. უნდა ითქვას, რომ ტფილისის კეთილ-შობილთა სასწავლებელში აღიზარდენ მე-19-ე საუკუნის პირველი ნახევრის

ჩვენი ცნობილი მწერლები და მოღვაწეები“ (სიმ. ხუნდაძის შენიშვნა – ყიფიანი 1930: 151).

იმის საილუსტრაციოდ, რომ „ამ სასწავლებლის დაარსებით რუსეთის ადგილობრივი ხელისუფლება გარკვეულ პოლიტიკას ისახავდა მიზნად“, შეიძლება დავიმოწმოთ ფრაგმენტი მთავარმართებელ პ. ციციანოვის 1803 წლის 27 ივნისის პატაკიდან იმპერატორ ალექსანდრე პირველისადმი: „აუცილებელია რუსული ენის მცოდნეთა მომზადება... თარჯიმანთა ნაკლებობამ და უკიდურესმა უფიცობამ აქაური თავადაზნაურობისა, რომლის უმეტესობამ მშობლიურ ენაზე წესიერად წერა-კითხვაც კი არ იცის, მაიძულა შევდგომოდი საქართველოში განათლების პირველი სხივების შეტანას – თუ მთელი ხალხისთვის არა, უკიდურეს შემთხვევაში, თავადაზნაურობისათვის მაინც, რათა თუნდაც ყრმობის ასაკის თაობა ეზიაროს იმ ნეტარებას, რომელსაც რუსული მართებლობა უმზადებს“ (აქტები 1868: 196; საკითხის შესახებ იხ. აგრეთვე თავიშვილი 1974: 189-196).

² (გვ. 138) „**სემინარიაში მიმაზარეს, შემდეგ კი... კეთილშობილთა სასწავლებელში გადაიყვანეს**“ – დიმიტრი ყიფიანი 16 წლით უფროსმა ძმამ, ქაიხოსრომ, თბილისის სასულიერო სემინარიასთან არსებულ სამრევლო სასწავლებელში შეიყვანა 1823 წლის 1 სექტემბერს, 1824 წელს იგი ჯერ სამაზრო სემინარიაში (დანელია 1993-1994: 417; ხუნდაძე 1951: 177), ხოლო 1825 წელს თბილისის კეთილშობილთა სასწავლებელში გადაიყვანეს (ხუნდაძე 1951: 9; დასვეს მეორე კლასში – ჭავჭავაძე 1887; ჭიჭინაძე 1892: 10; ჯორჯაძე 1909). კეთილშობილთა სასწავლებელი დიმ. ყიფიანმა დაასრულა 1830 წელს [ამ წელს სასწავლებელი გიმნაზიად გადაკეთდა, თუმცა დიმ. ყიფიანი „ხელმოკლეობის გამო გიმნაზიის კლასებში ვერ გადავიდა“ (ხუნდაძე 1951: 9)].

³ (გვ. 138) „**ჩემი ტკბილი დედა მასწავლიდა**“ – დიმ. ყიფიანის დედა, **ბარბარე**, იყო გორის მაზრის სოფ. მერეთიდან, აზნაურ ქაიხოსრო ფურცელაძის ასული. „[მერეთში] ერთს

ფურცელადის ოჯახში იყო ერთი ჩასიძებული სააბაშიოდან გადმოსული აზნაურიშვილი, ქოჩო ყიფიანი. ცოლად ჰყავდა ბარბარე ფურცელადის ქალი – წერს თავისი წინაპრების შესახებ დიმი. ყიფიანის უფროსი ვაჟი ნიკოლოზ ყიფიანი (ყიფიანი 1894: 69). ქოჩო (ივანე) ყიფიანი გარდაიცვალა 1814 წელს (ხეც. დიმი. ყიფიანის არქ., საქ. №511); დარჩა 8 შვილი [ქაიხოსრო, გიორგი, იოსებ, დიმიტრი, თინათინ (გათხოვების შემდეგ – მუსხელიშვილისა), ანასტასია (კვალაიაშვილისა), მარიამ (მალალაშვილისა) და მართა (მესხისა)]. ამათგან დიმიტრი ნაბოლარა იყო. შემორჩენილია ბარბარე ფურცელადის 1834 წლის 5 თებერვლის წერილი, გაგზავნილი ვოლოგდაში გადასახლებული შვილისადმი [ტექსტი სრულად აქვს გამოქვეყნებული ა. ჯორჯაძეს (ჯორჯაძე 1989⁴: 108-109); დედანი დაცულია ქლსმ-ში (№14936-ბ). ამ წერილში ნახსენები „**მამა**“ არის დიმი. ყიფიანის გამზრდელი, თბილისში მცხოვრები პრაპორშჩიკი ნიკიფორე ფიოდოროვი, ხოლო „**მარიამ ივანოვნა**“ – ფიოდოროვის მეუღლე, დიმი. ყიფიანის ნათესავი და დედობილი მარიამ ყიფიანი – საკითხის შესახებ იხ. ჯოლოგუა 2002: 29-30]. დედა-შვილის ურთიერთსიყვარული მკაფიოდ ჩანს როგორც თვითონ წერილში, ისე დიმი. ყიფიანის მინაწერში: „Моя святыня“ [„ჩემი წმიდათანმიდა“]. სხვა, ჩვენთვის ხელმისაწვდომ, დოკუმენტურ წყაროებში ბარბარე ფურცელადის კვალი არ ჩანს.

⁴ (გვ. 138) „**მგონია, ვაჰატიე; მაგრამ დავიწყება კი ვერ შევძელ**“ – ამ და მომდევნო (თუშმალოვთან დაკავშირებულ) ინციდენტებზე დაყრდნობით ილია ჭავჭავაძე აყალიბებს საინტერესო დაკვირვებას დიმი. ყიფიანის ფსიქოლოგიური პორტრეტის შესახებ:

„მე ეს, მგონია, შევუნდევეო, – ამბობს ან განსვენებული დიმიტრი: და დავიწყებით-კი ვერ დავივიწყეო“. შეუნდო ნატკენი ხორცისა, ხოლო კაცს ხორცის გარდა სულიცა აქვს და აი ამის ტკივილი ვერ დავივიწყეო. ამ სიტყვებში ნაგრძნობია გვემაც სულისა, უსა-

მართლობით შეგინებულისა, მერე მაშინ, როცა მისის ცხოვრების განთიადის პირველ ხანივე იყო. – იცით, რა არის, როცა უბოროტოს, მტრედვიით უსუსურს, უბინო ბავშვს შეუგინებენ გრძნობას სამართლიანობისას! იცით, რა წვა და დაგვაა ბაშვურის სინრფობისათვის, როცა მართალი მისდა საგრძნობელად შებლაღუულია და ტყუილისაგან ძლეულია!.. ეს ისეთი რყევია, ისეთი ძვრას სულისა და გულისა, რომ ან სრულიად გაალაყებს ბავშვს, ან ჩაჰკირავს აღდგომის კვერცხსავითა, რომ გულ და გულ, გულ-მედგრად დახედეს ყოველს ქარ-ტეხილს ცხოვრებისას. – რომ ეს ასე მოხდეს, რომ ბავშვი გამოიწვას ხალასს ოქროსავით, უბედურობის ქარ-ცეცხლში გამოჯიქდეს, გამაგრდეს შავ-ბედთან ჭიდილისათვის, თვითონ ბავშვი მაღლიანი უნდა იყოს. ასეთნი იშვიათნი არიან. უფროს-ერთსა ამისთანა განსაცდელი მიწასთან ასწორებს, სულითა ჰკლავს და მარტო ხორციით-ლა აცხოვრებს ქვეყნიერობაზედ და გვეგონია უხეირობა მჩვრად ქცეულის კაცისა ამაში უნდა ჰპოულობდეს თავის მიზეზს, თავის დასაბამს. – რაც სხვას პირველშივე გაანადგურებდა, პირ-ქვე დაამხოვდა, იმან დიმიტრი ყიფიანი გაამაგრა, ფეხზედ უფრო მკვიდრად დააყენა, ზე აახედა. აი აქ არის ნასკვი, აქ არის სათავე იმ მტკიცე და მკვიდრ ხასიათისა, რომელიც ასე ამშვენებდა დიმიტრი ყიფიანსა და იზიდავდა მის მიმართ ყოველის კაცის გულსა. – მითხრესო, ამბობს იგი: „კვლავ აღარ იყოსო!.. ან ის კი, რაც იყო, ჩემი ბრალიაო? ან ის, რაც კვლავ კიდევ იქმნება, ჩემი ბრალი იქმნებაო? ამაებს ვკითხულობდი და პასუხი არა ვისგან მივიღეო“. – სხვისაგან შეძლებული, შეგინებული, გაუპატიურებული სიმართლე მას შეუყვარებია ყრმობის დღიდგანვე...“ (ჭავჭავაძე 1887).

⁵ (გვ. 141) „**იმ დროის სამხედრო გენერალი...**“ – იყვნენ ე. წ. *სამოქალაქო გენერლებიც*. მაგალითად, ნამდვილი სამოქალაქო მრჩეველის (Действительный статский советник) ხარისხის მფლობელნი და სხვ. (იხ. აქვე, გვ. 399).

⁶ (გვ. 145) „**მ ა ნ ა ი ვ ა ნ ე ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი ს ა ს უ ლ ი, შემდეგში დედა ფელდმარშალ თავად ბარიათინსკის მეუ-**

ღლისა“ – სინამდვილეში მანანა ორბელიანი არა ალ. ბარიატინსკის, არამედ ქუთაისის გენერალ-გუბერნატორის, კონსტანტინე დადიშქელიანის მიერ მოკლული *ალექსანდრე გაგარინის* სიდედრი იყო. აქ თარგმანში უნებური შეცდომაა: დედანში წერია არა **მანანა**, არამედ **მარიამ** [ლუარსაბის ას.] ორბელიანი, სიდედრი ალ. ბარიატინსკისა („...Марья Ивановна Орбелиани, впоследствии мать супруги фельдмаршала князя А. И. Барятинского“ – ყიფიანი 1886⁶: 523).

მარიამ ორბელიანი რუსულ ტექსტებში სხვაგვარადაც იხსენიება – **მარია ივანოვნა**, „რადგან მისი მამა ლუარსაბი [ორბელიანი] რუსეთში ივანეს სახელით იყო ცნობილი“ (ბერძნიშვილი 1983: 136). მარიამი იყო მეუღლე დიმიტრი ვახტანგის ძე ორბელიანის (თეკლა ბატონიშვილის ვაჟის) და დედა ელისაბედ (ლიზა) ორბელიანისა. ალ. ბარიატინსკისა და ელისაბედ ორბელიანის სიყვარულის ისტორია სკანდალური იყო. 1862 წელს ალ. ბარიატინსკიმ დუელში გამოიწვია თავისი ადიუტანტი, ელისაბედ ორბელიანის მეუღლე, პოლკოვნიკი ვლადიმერ დავიდოვი (ზოგიერთი ცნობით, ინიციატორი დავიდოვი იყო; ამ დუელის შესახებ, სხვათა შორის, თავის მემუარებში წერს გამოჩენილი რუსი სახელმწიფო მოღვაწე სერგეი ვიტე – ვიტე 1991: 22). ამის შემდეგ, 1863 წელს, ალ. ბარიატინსკიმ იქორწინა ელისაბედზე (1863 წლის ნოემბერში, ბრიუსელში – ზისერმანი 1891: 163). ძირითადად ამ შემთხვევამ შეიწირა კავკასიის მეფისნაცვლის ბრწყინვალე სამხედრო და სახელმწიფო კარიერა – ალ. ბარიატინსკი კავკასიაში აღარ დაბრუნებულა, იმპერატორმა ალექსანდრე II-მ იგი სახელმწიფო სამსახურს ჩამოაშორა, თუმცა თავისი სიყრმის მეგობარი მაინც ვერ განირა, პოლონელ მეფეთა სკერნევიცის (ვარშავასთან ახლოს) სასახლე უბოძა და ცოლ-ქმარი ბარიატინსკები ხანგამოშვებით იქ ცხოვრობდნენ (ელისაბედის პირველი ქმარი, როგორც ითქვა, ვლ. დავიდოვი იყო და ამიტომ წყაროებსა და ლიტერატურაში იგი ზოგჯერ *ორბელიან-დავიდოვას* გვარითაა მოხსენიებული).

ელისაბედ ორბელიან-ბარიატინსკაია იყო მეტად საინტერესო, თუმცა ტრაგიკული ბედის პიროვნება: უაღრესად დახვეწილი და იდუმალებით მოსილი არისტოკრატი, რუსეთის საიმპერატორო კარის ფრეილინა, პოლიგლოტი, მთარგმნელი [ვარშავაში რამდენჯერმე გამოსცა ახალი აღთქმის სიმფონია (კონკორდანსი) – „Симфония, или Согласие на Новый Завет“]. ალ. დიუმა მასზე წერს: „როცა ამ პატარა, ჰაეროვან, ბრწყინვალე ახალგაზრდა ქალს უყურებ, ფიქრობ, კოლიბრის ბუდე ჰქონია აკვნადო“ (დიუმა 1970: 367). სიცოცხლის ბოლო წლებში ელისაბედი შეიპყრო დეპრესიამ, რაც ფსიქიკურ აშლილობაში გადაიზარდა. იგი ხანგამომეებით ევროპის ფსიქიატრიულ კლინიკებში მკურნალობდა. გარდაიცვალა გერმანიის ქალაქ აახენში, 1899 წლის 1 თებერვალს [ელისაბედ ორბელიანის, მისი ბიოგრაფიის, ალ. ბარიატინსკისთან ურთიერთობისა და სხვ. შესახებ იხ.: ბერძნიშვილი 1983: 138; უთურაშვილი 1991: 134-137; ნეკროლოგი იხ. კავკაზ 1899 (იქვეა სამგლოვიარო განცხადებაც); ხეც-ში, პაპუნა წერეთლის ფოტოკოლექციაში, დაცულია (№№330, 889) ელისაბედ ორბელიანის ფოტოპორტრეტები].

თბილისში ელისაბედ ორბელიანთან შეხვედრას თავის უაღრესად საინტერესო „მოგონებებში“ იხსენებს ელისაბედ ელიზბარის ას. ერისთავი (ეს „მოგონებები“ დაცულია ქლსმ-ში. ვრცელი აპარატით გამოქვეყნებული აქვს მ. ცერცვაძეს ჟურნალებში: „ლიტერატურა და ხელოვნება“, 2009, №10; „ჩვენი მწერლობა“, 2010, №26; 2011, №3; 2014, №2; „ქართული მწერლობა“, 2011, №3; „გელათის მეცნიერებათა აკადემიის ჟურნალი“, 2011, №11-12; 2012, №№1-2, 5-10; 2013, №№1-6, 9-10; 2014, №1-2; „ანეული“, 2014, №1; კრბ. „ლიტერატურის მატრიანე“, 2015):

„ლიზა ბარიატინსკისა დიდხანს არ ყოფილა ბედნიერი. ძალიან ნალვლობდა, რომ ცოცხალ ქმარს დაანება თავი და სხვას ნაჰყვა და ჭკუაზე შეიშალა. ახერხის საავადმყოფოში ჰყავდათ. ცო-

ტა ხნით ჩამოიყვანეს თბილისში, სასტუმროში მოათავსეს. იქ მე და მაშო ორბელიანმა ვინახულეთ. ის იყო, ეკიპაჟით ესეირნა და დალაღული იყო. ჩვენ არ გვინდოდა დიდხანს ყოფნა და მალე გამოვესალმეთ... – მალე ისევ ახერხში გაისტუმრეს, რადგანაც აქ კიდევ უფრო ცუდად გახდა, ყველაფერს იგონებდა და ძალიან ნუნებოდა. – ბარიატინსკომ დიდი სიმდიდრე დაუტოვა როგორც თავის ნათესავეებს, ისე ცოლის ნათესავეებსაც. ამასთანავე, სთხოვა იმპერატორს, დაენიშნა „ოპეკა“ და თავისი მამულები და მშენიერი ნივთეულობა გაყვეს ორად. რაც ეკუთვნოდათ ბარიატინსკებს, იმათ მიიღეს და რაც არა – ქობულაშვილებმა და ორბელიანებმა“* (ქლსმ. №13477-ბ).

⁷ (გვ. 146) „ჩემი შთამომავლობაც მართლა დაუმტკიცებელი აღმოჩნდა აზნაურობაში“ – „1830 წ. მთავრობამ აღმოაჩინა ფალსიფიკატორთა ჯგუფი, რომელიც ამზადებდა ყალბ დოკუმენტებს აზნაურობისა და თავადობის სახელწოდების მისაღებად. ამ გარემოებამ გამოიწვია უმაღლესი კომისიის დანიშვნა, რომელსაც უნდა გამოერკვია მიმდინარე საქმეებში შესული ქართული დოკუმენტებისა და ღრამატიე-

* ეს ქობულაშვილები იყვნენ თავადები კახეთის სოფ. კისისხევიდან. კისისხეველ დავით ქობულაშვილზე იყო გათხოვილი ელისაბედ ორბელიან-ბარიატინსკაიას ბიძაშვილი დარეჯან (დარია) ორბელიანი, ალექსანდრე („პუპლია“) ორბელიანის ქალიშვილი [დარია ორბელიანის მზითვის წიგნი იხ. ლომჯარია 2001: 482-486; იქვეა (გვ. 486-488) ცნობები დარია ორბელიან-ქობულაშვილის ოჯახისა და შთამომავლობის შესახებ]. ვინაიდან ელისაბედ ორბელიან-ბარიატინსკაია დედისერთა იყო, მისი სიკვდილის შემდეგ ალ. ბარიატინსკის ქონების ელისაბედისეული ნაწილი ერგოთ მის ნათესავეებს: კისისხეველ ეგგენი (გენო) დავითის ძე ქობულაშვილსა და ნიკოლოზ (კოლა) ვახტანგის ძე ორბელიანს, რომელმაც თავის მხრივ, მცირე ნაწილი თავისი წილისა მისცა დას – მარიამ (მაშო) ვახტანგის ას. ორბელიანს [ამ თემაზე ზემოხსენებულ „მოგონებებში“ წერს ელისაბედ ელიზბარის ას. ერისთავი (ქლსმ. №№13338-ბ, 13477-ბ, 13482-ბ), რომელსაც ნათესაური კავშირი ჰქონდა ეგგენი (გენო) ქობულაშვილთან, კერძოდ, იყო მისი ცოლის, ნინო ელიზბარის ას. ერისთავის, და].

ბის ღირსება; მაგრამ ამ მუშაობის დასრულებამდე შეჩერებული იქნა ის საქმეებიც, რომელიც აზნაურობისა და თავადობის ღირსების მოპოებას ეხებოდა და აგრეთვე ის დავის საქმეებიც, რომელიც მეფეების გრამოტებს ეყრდნობოდა. ამ გარემოებამ დიდი არევა-დარევა გამოიწვია საქ[ართველოს] წოდებათა ურთიერთობაში და დაბადა უკმაყოფილება თვით თავადაზნაურობაში. მხოლოდ 1844 წ. გამოიკა სენატის განკარგულებით ახალი დებულება აზნაურობისა და თავადობის ღირსების დამტკიცების შესახებ“ (სიმ. ხუნდაძის შენიშვნა – ყიფიანი 1930: 152).

თვითონ დიმ. ყიფიანი პირდაპირი შთამომავალი იყო იმ **ყიფიანისა**, რომელიც გეორგიევსკის ტრაქტატზე დართულ ქართლ-კახეთის თავადებისა და აზნაურების ნუსხაშია შეყვანილი როგორც „თავადის აბაშიძის აზნაური“ (სამართლის ძეგლები 1965: 489). გორის მაზრის თავადაზნაურობის წინამძღოლის („მარშლის“) დავით თარხან-მოურავის მიერ 1829 წელს გაცემულ ერთ „მონობაში“ (საბუთს ხელს აწერენ აგრეთვე ქართლელი თავადები: შანშე და შალვა ერისთავები, ნიკოლოზ და ზაზა ციციშვილები, აზნაური გარსევან შატბერაშვილი და სხვ.) ნათქვამია:

„მიეცა ესე ჩუენ ქვემორე ამის ხელის მომწერთაგან გორის უეზდის სახაზინო აზნაურთა, ესე იგი ქორწოს ძეთა: ქაიხოსროსა, გიორგისა, იოსებსა და დიმიტრი ყიფიანებთა, მით რომელ ესე ხსენებულნი პირნი არიან წარმოებულნი მამრობითის ხაზით სწორედ იმასა აზნაურის გვარის ყიფიანებისაგან, რომელიც ჩლპგ [1783] წელსა საქართველოს მეფისა ირაკლისა მიერ წარდგენილისა და განსვენებულის ხელმწიფა-იმპერატრიცა ეკატერინასაგან დამტკიცებულის ტრახტატსა შ[ინ]ა ხსენებულ არს გვარი ყიფიანებისა“ (სეა. ფონდ. №213. აღწ. I. საქ. №414. ფ. 7).

1836 წლის 6 დეკემბერს თავადაზნაურობის დეპუტატთა საკრებულომ აზნაურობის დამადასტურებელი დოკუ-

მენტების თანდართვით ოფიციალური თხოვნით მიმართა საქართველოს უმაღლეს მთავრობას ქაიხოსრო და დიმიტრი ყიფიანებისთვის აზნაურობის წოდების დამტკიცების შესახებ (დანელია 1993-1994: 447), თუმცა 1839 წლის სექტემბერში მთავრობის კომისიამ უარყო დოკუმენტების ნამდვილობა; ამასთანავე თვითონ კომისიას თავისი პოზიციის დასამტკიცებლად რამდენადმე ანგარიშგასანევი არგუმენტები არ წარმოუდგენია (დანელია 1993-1994: 467-469).

⁸ (გვ. 147) **„გიმნაზიის მართველება სხვა გზით შემომატარეს ... დამამტკიცეს მასწავლებლად“** – „სხვა გზით შემომატარეს“: იგულისხმება შემდეგი გარემოება – საბუთების მიხედვით, დიმ. ყიფიანი დაბადებულია არა 1814 წლის 14 აპრილს (ძვ. სტ.), როგორც ეს მიღებული და დამკვიდრებულია, არამედ 1811 წლის 14 აპრილს (ძვ. სტ.). ამაზე მეტყველებს მეტრიკა (1811 წლის 14 აპრილი) და ნათლობის მოწმობა (1811 წლის 4 ივლისი) (სეა. ფონდ. 2. აღწ. 1. საქ. №2357, ფ. 150; დანელია 1993-1994: 424-425). დაბადების გადაკეთების მიზეზი ის უნდა იყოს, რომ 1823 წლის 1 სექტემბერს, როცა უფროსმა ძმამ, ქაიხოსრო ყიფიანმა, პატარა დიმიტრი თბილისის სემინარიასთან არსებულ სამრევლო სასწავლებელში მიიყვანა, იგი მე-13 წელში იქნებოდა გადამდგარი, სასწავლებელში კი 10-12 წლის ბავშვებს იღებდნენ. უნდა ვიფიქროთ, ქაიხოსრომ ძმის დაბადების მოწმობა გადააკეთებინა და იგი სასწავლებელში ამ გზით მოახვედრა [სასწავლებელში ძმის მოსაწყობად ქაიხოსრომ „ბევრი დავიდარაბა გასწიო“ – ყრუდ წერს შვილი დიმიტრი ყიფიანისა, ნიკოლოზი (ყიფიანი 1894: 72); საინტერესოა ისიც, რომ 1832 წლის შეთქმულების საგამომძიებლო კომისიისთვის 1833 წლის თებერვალში მიცემულ ჩვენებაში დიმ. ყიფიანი ამბობს – 22 წლისა ვარო (გოზალიშვილი 1970: 249)].

გიმნაზიის მმართველებს რაც შეეხება, 1831 წლის 12 იანვარს ამიერკავკასიის სასწავლებელთა დირექტორი ე. გრუბერი მთავარმართებელ პასკევიჩს სწერს: ჩვენს ხელთ

არსებული მეტრიკისა და ნათლობის მოწმობის დედნებით დასტურდება, რომ დიმიტრი ყიფიანი ოცი წლისაა და არა – თექვსმეტის, ხოლო სხვა თარიღი [1814 წელი] ატესტატში დაუდევრობის გამო შეცდომით ჩაუნერიათო (დანელია 1993-1994: 424; ვრცლად დიმ. ყიფიანის დაბადების თარიღთან დაკავშირებით იხ.: ჯოლოგუა 2002: 30-33; საშვილიშვილო მოკავშირე... 2007: 238-240). აქვე ხაზგასმით უნდა ითქვას, რომ ზემოხსენებულ მეტრიკაზე დაყრდნობით დიმ. ყიფიანის დაბადების თარიღად 1811 წელს მიიჩნევა მაქს. ბერძნიშვილი (ბერძნიშვილი 1983: 209), ხოლო ბოლო დროს იმავე თარიღს დაუჭირა მხარი გ. ყორანაშვილმა (ყორანაშვილი 2009: 42-44).

დიმ. ყიფიანი გიმნაზიად გადაკეთებული კეთილშობილთა სასწავლებლის პედაგოგიურმა საბჭომ სათანადო გამოცდის შემდეგ უმცროსი მასწავლებლის თანამდებობაზე მიიღო 1830 წლის 1 ნოემბერს (ყიფიანი 29: 82), რაც ოფიციალურად გაფორმდა 1831 წლის 3 თებერვალს (ყიფიანი 29: 83). იგი გიმნაზიის პირველ კლასში ასწავლიდა არითმეტიკას, გეოგრაფიას, ქართულსა და რუსულ ენებს (ყიფიანი 29: 83; ქლსმ. №20838. ფ. 23), ხოლო მეორე კლასში – სუფთა წერას (ქლსმ. №20838. ფ. 23).

თბილისის სამხედრო გუბერნატორ ს. სტრეკალოვის, ამიერკავკასიის სასწავლებელთა დირექტორ ე. გრუბერისა და მთავარმართებელ ივ. პასკევიჩის მიმონერა დიმ. ყიფიანის მასწავლებლად მიღების შესახებ იხ. დანელია 1993-1994: 422-425.

⁹ (გვ. 147) „**სამი წლის შემდეგ ვოლოგდაში ამოყავ თავი სამსახურში**“ – აქ ავტორი არაფერს ამბობს იმაზე, თუ რატომ ამოყო ვოლოგდაში თავი და, შესაბამისად, გამოტოვებული აქვს დიდად მნიშვნელოვანი ნაწილი თავისი ბიოგრაფიისა. მიზეზი გასაგები ხდება, თუ გავითვალისწინებთ, რომ ამ დროისთვის მას „რუსკაია სტარინას“ რედაქციისთვის უკვე გაგზავნილი ჰქონდა „ყაზარმობა, ანუ ქართველთა 1832

წლის შეთქმულების საქმე“, თუმცა ეს უკანასკნელი ტექსტი, როგორც ზემოთ ითქვა (გვ. 403), ჟურნალში არ გამოქვეყნებულა.

¹⁰ (გვ. 149) **„ველარ გამოიჩინა წინანდელი სიმამაცე... იქ, რასაკვირველია, გამოძიებაში შესულიყვნენ... და გუბერნატორს უარით უპასუხეს“** – დიმ. ყიფიანის დანიშნაურებას სიმამაცე იმიტომ სჭირდებოდა, რომ იგი ანტისახელმწიფოებრივი შეთქმულებისთვის იყო ვოლოგდაში გადასახლებული. გამოძიებაში შესვლისთანავე ეს ფაქტი წამოტივტივდებოდა და უარის მიზეზიც, ცხადია, ეს იქნებოდა.

¹¹ (გვ. 151) **„...ძმა შემდეგში არხანგელსკში დაღუპული დამბეზლებლისა 1832 წელს“** – იგულისხმება იასე ფალავანდიშვილი, რომლის შესახებაც იხ. ქვემოთ, კომენტ. 163, 164, 169.

¹² (გვ. 152) **„გენერალი სვ. მიხ. ესპეხო“** – აქ მთარგმნელის უნებური შეცდომაა. ესპეხოს სახელი იყო არა **სვ[იმონ]**, არამედ **იეკიმ** (წყარობსა და ლიტერატურაში გვხვდება სხვადასხვა ფორმით: *იაკიმ, ეკიმ, აკიმ*). დედანში ასეა: „...генерал Еким Мих. Еспехо“ (ყიფიანი 1886^ა: 530).

¹³ (გვ. 153) **„ლინეინი ბატალიონის ოფიცრებიდან“** – *ლინეინი*, ანუ სახაზო/ხაზისა (რუს. Линеинный). ტერმინი სამხედრო სფეროშიც გამოიყენებოდა – „Линия: ...რაზმი, მწყობრი, დანყოფით მდგომი ლაშქარი ან საომარნი ხომალდნი“ (ჩუბინაშვილი 1971: 493).

¹⁴ (გვ. 154) **„...ოფიციალური გაზეთი „ტფილისის უწყების“ რედაქტორობა...“** – აქ ავტორს შეცდომა აქვს დაშვებული (დედანში ასეა: „...звание редактора официальной газеты „Тифлисские Ведомости“ – ყიფიანი 1886^ა: 533). უნდა იყოს არა „ტფილისის უწყებანი“ („Тифлиссские ведомости“), რომლის გამოცემა 1832 წელს შეწყდა, არამედ „Закавказский вестник“ [„ამიერკავკასიის მაცნე“]. უნდა ითქვას, რომ ეს შეცდომა „მემუარების“ 1990 წლის გამოცემაში გასწორებული აქვს ს. ხუციშვილს (ყიფიანი 1990: 168).

ყოველკვირეული გაზეთი „ზაკავკასკი ვესტნიკ“ თბილისში დაარსდა 1838 წელს (1856 წ. შეერწყა გაზ. „კავკასს“). 1844 წლიდან გაზეთს რედაქტორობდა პლატონ იოსელიანი. 1845-1846 წწ. ჰქონდა ქართულენოვანი ყოველკვირეული დამატება „კავკასიისა მხარეთა უწყებანი“ (სულ გამოვიდა 11 ნომერი, მოღწეულია 2). დიმ. ყიფიანმა არა მარტო მიიღო ამ გაზეთის რედაქტორად დანიშვნის შეთავაზება, არამედ დაინიშნა კიდევაც [ოფიციალურად რედაქტორად ითვლებოდა 1838 წლის 30 აპრილიდან 9 ივნისამდე (ყიფიანი 29: 88-89)], თუმცა ეს იყო საკითხის მხოლოდ ფორმალური მხარე – ამ პერიოდში დიმ. ყიფიანი ქუთაისში იმყოფებოდა, გაზეთის გამოცემაში პრაქტიკულად ვერ მიიღებდა მონაწილეობას და, როგორც რედაქტორი, არც ხელს აწერდა გაზეთს (საკითხის შესახებ იხ. აგრეთვე, ყიფიანი 2018: 408-409; უფრო ვრცლად – ჯოლოგუა 2002: 99-101).

¹⁵(გვ. 156) „**მთავარ-მართველმა კავკასიისა და ამიერ-კავკასიისა მოატყუა პატარა მოხელე?**!“ – „რუსკაია სტარინას“ რედაქციას დ. ყიფიანის ტექსტი შეუსწორებია. [მე-]8 თავის სარჩევში, სადაც ყიფიანი სწერს, რომ მთავარ-მართველი ს ი ც რ უ ი ს ახალ გაკვეთილს იძლევა, რედაქცია შლის სიტყვა სიცრუეს. იმავე თავის დასასრულში სიტყვა მ ო ა ტ ყ უ ა ს ნაცვლად სწერია: ა ლ გ ვ ი თ ქ ვ ა“ (სიმ. ხუნდაძის შენიშვნა – ყიფიანი 1930: 154).

პირველნაბეჭდში „რუსკაია სტარინას“ სარედაქციო ცვლილებების შემდეგ ეს მონაკვეთები ასე გამოიყურება: ა) „Главный начальник кавказского края дает новый урок“ [„კავკასიის მხარის მთავარმართველი იძლევა ახალ გაკვეთილს“] (ყიფიანი 1886^ა: 530); ბ) „Обещал ведь главноуправляющий кавказским и закавказским краем!“ [„აკი გვპირდებოდა/აღგვითქვამდა კავკასიისა და ამიერკავკასიის მთავარმართველი!“] (ყიფიანი 1886^ა: 534).

¹⁶(გვ. 156) „**მაშინვე მიველი მთავარ-მართველის კანცელარიის დირექტორ პავ. პეტ. ფალავანდიშვილთან**“ – აქ

მთარგმნელის უნებური შეცდომაა. უნდა იყოს არა *ფალავან-დიშვილი*, არამედ – *ტიმოფეევი*. დედანში ასეა: „...к директору канцелярии главноуправляющего, Павлу Петровичу Тимофееву“ [„...მთავარმართველის კანცელარიის დირექტორთან, პავლე პეტრეს ძე ტიმოფეევთან“] (ყოფიანი 1886^ა: 534). ეს შეცდომა „მემუარების“ 1990 წლის გამოცემაში გასწორებული აქვს ს. ხუციშვილს (ყოფიანი 1990: 30).

¹⁷ (გვ. 156) **„განყოფილების უფროსად იყო სტ. ორლოვსკი“** – უნდა იყოს *ნიკიტა სტ[ეფანეს ძე] ორლოვსკი*. დედანში ასეა: „...Никита Степанович Орловский“ (ყოფიანი 1886^ა: 534).

¹⁸ (გვ. 158) **„ეს ცვლილებანი ითვლებოდნენ სენატორ განის პროექტით ახალი ფინანსიური სისტემის შესავალად“** – „ბარ[ონი] განი 1837-41 წლებში ხელმძღვანელობდა იმ კომისიას, რომელსაც უნდა მოეხდინა კავკასიის დანესებულებათა რევიზია და შეედგინა პროექტი სამოქალაქო მმართველობის საერთო საფუძვლებზე გარდასაქმნელად. განი ძლიერ ცუდათ იცნობდა ამიერკავკასიას და ცუდათ იცნობდა თვით რუსეთის საერთო ცხოვრებასაც. მან მოინდომა ახალ მართველობის სისტემის შემოღება უკვე გამზადებული პროექტების მიხედვით და სრულიად ანგარიში არ გაუწია ადგილობრივ პირობებს. ის ფიქრობდა, რომ დღესვე შესაძლებელი არის ამიერ-კავკასიაში შემოღებული იქნეს რუსეთის მართველობის წესები უცვლელად, რადგან იქ არც კანონები და არც ნიშანწყალი კანონმდებლობისა არ არისო. სხვათა შორის განი უარყოფდა ბატონყმობის არსებობასაც საქართველოში. მისი პროექტი დამტკიცებული იქნა 1840 წელს, 1841 წლის დასაწყისში დამთავრდა ა/კავკასიის მართველობის ახალ საფუძვლებზე გარდაქმნა, მაგრამ მან მეტად დიდი არევ-დარევა გამოიწვია და უარყოფილი იქნა“ (*სიმ. ხუნდაძის შენიშვნა* – ყოფიანი 1930: 154-155).

პავლე განის მიერ საქართველოში *ბატონყმობის არარსებობის*, აგრეთვე, რეფორმის მისეული პროექტისა და შედეგე-

ბის შესახებ დიმი. ყიფიანი სხვაგანაც წერს (იხ.: ყიფიანი 2018: 12, 13, 16, 40-41, 57-58, 64; ყიფიანი 2019: 11-14, 24, 37; წყაროები და ლიტერატურა საკითხის შესახებ იხ.: ყიფიანი 2018: 401; ყიფიანი 2019: 425).

დასასრულ, ისიც უნდა ითქვას, რომ პ. განის კარიერა სწორედ ამ ჩავარდნილ რეფორმას ემსხვერპლა – 1847 წელს იგი სახელმწიფო სამსახურიდან დაითხოვეს.

¹⁹ (გვ. 158) **„გამგე ამიერკავკასიის კეთილშობილ ქალთა ინსტიტუტისა“** – ეს ინსტიტუტი თბილისში დაარსდა 1840 წელს, პრაქტიკულად ამოქმედდა 1842 წელს და იარსება 1918 წლამდე (უფრო ვრცლად იხ. ყიფიანი 2018: 410-411). რაც შეეხება ინსტიტუტის გამგეს, მისი გვარი დედნის მიხედვით, არის არა *გრაბარიჩი*, არამედ *გრაბარიგი* (ყიფიანი 1886^ბ: 536-538).

²⁰ (გვ. 161) **„სათადარიგო...“** – იგულისხმება: *განმკარგულელებელი* (დედანი: „...распорядительный“ – ყიფიანი 1886^ბ: 268).

²¹ (გვ. 162) **„გენერალ-ლეიტენანტი ვლად. ალ. გურკო ... მეორე გენერალ-ლეიტენანტი გურკო, სახელად იოსებ ალექსანდრესძე“** – პირველნაბეჭდში მეორე (იოსებ) გურკოს გვარის ნაცვლად სამი ვარსკვლავია („...генерал-лейтенант ***“ – ყიფიანი 1886^ბ: 268-269).

ამასთანავე, აზნაძე, რომელიც ქართულ ტექსტში ამას მოსდევს („*მათ შორის, გარდა ხარისხისა, მამის სახელისა და ერთგვარობისა საერთო არა იყო რა; არ იყო, როგორც მახსოვს, ნათესავობაც კი*“), პირველნაბეჭდში („*რუსკაია სტარინას*“ პუბლიკაციაში) არ არის და, დასასრულ, ამ ორი გენერლის მამის სახელთა **„ერთგვარობა“** არ არის სწორი: ვლადიმერ გურკო იყო *იოსების ძე*, ხოლო იოსებ გურკო – *ალექსანდრეს ძე*.

²² (გვ. 165) **„20-30 ჩალვადარი თათარი მთელ გურიაში აწარმოებდა გაცვლა-გამოცვლის ვაჭრობას“** – დედანი აქ და ქვემოთ დიმი. ყიფიანი წერს *თურქს/თურქებს* და არა

თათარს/თათრებს („...вели на всю Гурию меновую торговлю *тырки*“ – ყიფიანი 1886^ბ: 270; // „იფარავდნენ თავსაც და ჩვენი რაზმის ზურგსაც თათრების მონოლისაგან“, „...охраняли и себя и тыл нашего отряда от *тырецкого* натиска“ – ყიფიანი 1886^ბ: 271). **თურქი** ქართულ ენაზე **თათრად** მთარგმნელს (ნ. ტატიშვილ-ყიფიანს) აქვს გადმოღებული.

²³ (გვ. 165) **„განმეორება იმისი, რაც 1811 წ. კახეთში იყო“** – კახეთის აჯანყება 1812 წელს მოხდა.

²⁴ (გვ. 172) **„თავად-აზნაურთა ყველა ჩამომავალნი ცნობილნი იყვნენ ისეთი აქტით, როგორიც არის ტრაქტატი“** – „ავტორს აქ მხედველობაში აქვს 1783 წ. ტრაქტატი, რომლის მიხედვითაც ქართველი თავად-აზნაურობა გათანასწორებული იქნა უფლებებში რუსეთის თავადაზნაურობასთან. აქვე წარდგენილი იყო სია ქართლ-კახეთის თავად-აზნაურთა“ (სიმ. ხუნდაძის *შენიშვნა* – ყიფიანი 1930: 156).

²⁵ (გვ. 173) **„გამოვიდა უქაზი ... სპობდა ღრამატების ყალბად შედგენას შემდეგში“** – *უქაზი* (რუს. Указ): ბრძანება/ბრძანებულება (Указ: *უქაზი*, წერილობითი ბრძანება ხელმწიფისა ან უზენაესის მმართველობისა – ჩუბინაშვილი 1973: 587); *ღრამატა* (რუს. Грамота): სიგელი (აქ: ნოდებრივი ხარისხის/ღირსების დამადასტურებელი მოწმობა).

²⁶ (გვ. 174) **„1845 წ. დამდევს ტფილისში მობრძანდა გრაფი მ ი ხ. ს ი მ. ვ ო რ ო ნ ც ო ვ ი“** – „მიხ. სიმ. ვორონცოვის... მმართველობა განსაკუთრებულ ეტაპს წარმოადგენს ამიერ-კავკასიის ისტორიაში. იგი წარმომადგენელი იყო რუსეთის სავაჭრო კაპიტალისა და განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა ა/კ-ის ეკონომიურ განვითარებასა და ამ მიმართულებით რუსეთთან დაკავშირებას. მან გზების გაყვანით და მიმოსვლის გაუმჯობესებით ხელი შეუწყო ა/კ აღებ-მიცემობის განვითარებას; გამოიწერა რუსეთიდან ვაჭრები და მრეწველები; იგი აგრეთვე დიდ ყურადღებას აქცევდა სასოფლო-მეურნეობის განვითარებას, რისთვისაც დააარსა ა./კ. სასოფლო-სამეურნეო საზოგადოება და იწერდა საზღ-

ვარგარეთიდან სპეციალისტ-აგრონომებს. ვორონცოვის მე-
თაურობით დაარსდა ქართული თეატრი და ჟურნ. „ცისკარი“.
ყოველივე ამ კულტურულ-ეკონომიური მუშაობით ვორონ-
ცოვს უნდოდა: 1) ფართო ბაზარი შეექმნა კავკასიისათვის
ა/კავკასიაში; 2) საბოლოოდ მიემხრო ქართველი თავად-აზ-
ნაურობა, რომ რუსეთს მტკიცე დასაყრდენი ჰქონოდა ა/კა-
ვკასიაში“ (სიმ. ხუნდაძის შენიშვნა – ყიფიანი 1930: 156).

იმპერატორმა ნიკოლოზ I-მა კავკასიის მეფისნაცვლად
მიხ. ვორონცოვი დანიშნა 1844 წლის დეკემბერში, თუმცა სა-
ქართველოში იგი 1845 წლის მარტში ჩამოვიდა (ორჯონიკიძე
1992: 177).

მიხ. ვორონცოვზე, მის ე. წ. „კავკასიურ პოლიტიკაზე“,
აგრეთვე, წყაროები და ლიტერატურა საკითხის შესახებ იხ.
ჯოლოგუა 2011: 121-145.

²⁷ (გვ. 174) „...ხელმწიფესთან უშუალო მოხსენებებისა, თუ
უქვეშევრდომილეს წარდგენათა უფლებები“ – „ვორონცო-
ვამდე საქართველოს და ამიერ-კავკასიაში მთავარმართველო-
ბის სისტემა არსებობდა, რომელიც თავის უფლებებით სამინი-
სტროებს ემორჩილებოდა. ვორონცოვმა მინისტრის უფლებე-
ბი გამოითხოვა და ამით სამინისტროების გავლენა თავიანთი
უნყების მიხედვით სავსებით შეწყდა კავკასიაში; ამით კავკასი-
ის მართველობის საქმეს განსაკუთრებული ხასიათი მიეცა. მე-
ფის-მოადგილეს იმ საკითხების გადაწყვეტის დროს, რომელიც
აღემატებოდა მის უფლებებს და მოითხოვდა უმაღლეს ნებარ-
თვას, უფლება მიეცა გვერდი აეარა სათანადო სამინისტროე-
ბისათვის და უშუალო დამოკიდებულება დაეჭირა მეფესთან
და „კავკასიის კომიტეტის“ თავმჯდომარესთან, რომელიც იმ
ხანებში დაარსდა. 1881 წ. გააუქმეს მეფის მოადგილეობა და
შემოიღეს მთავარმართველობა. შემდეგ იგი კვლავ იქნა აღდ-
გენილი“ (სიმ. ხუნდაძის შენიშვნა – ყიფიანი 1930: 156-157).

სიმ. ხუნდაძის მიერ ნახსენები „კავკასიის კომიტეტი“ ჯერ
კიდევ 1840 წელს დააარსა ნიკოლოზ I-მა, თუმცა 1845 წელს
„კომიტეტმა“ სპეციფიკური დატვირთვა შეიძინა და არსები-

თად მიხ. ვორონცოვის წარმომადგენლობით ორგანოდ იქცა. საინტერესოა, რომ, როცა „კავკასიის კომიტეტი“ საქმეთა მმართველს, მ. პოზენს, ნიკოლოზ I-ის მიერ მიხ. ვორონცოვის მინიჭებული უფლებები წაუკითხავს, აღშფოთებით უთქვამს: „ვორონცოვს სამეფო ძალაუფლების მითვისება სურს!“ (შჩერბინინი 1876: 301). „კავკასიის კომიტეტი“ 1882 წელს გაუქმდა („კომიტეტის“ შესახებ იხ. ყიფიანი 2017: 335-336).

²⁸ (გვ. 174) **„გრაფი ვორონცოვი იყო აქ ახალგაზრდობაშიც, მთავარ-მართველი ციციანოვის დროს“** – მიხ. ვორონცოვი საქართველოში მთავარმართველ ციციანოვთან მსახურობდა 1803-1805 წწ. (შჩერბინინი 1858: 8-22; ორჯონიკიძე 1992: 177). სხვათა შორის, ლონდონიდან (სადაც აღიზარდა) ახალდაბრუნებულ მიხ. ვორონცოვს მამაც, რუსეთის ელჩი ბრიტანეთში სიმონ ვორონცოვი, სამხედრო სამსახურის კავკასიაში დაწყებასა და ადგილობრივი ცხოვრების საფუძვლიან შესწავლას ურჩევდა (ბრიკნერი 1883: 236).

²⁹ (გვ. 175) **„თვით სიაც თავის დროზე იყო წარდგენილი და ჩართული ტომთან“** – აქ ნახსენები სია (ნუსხა ქართლ-კახეთის თავადებისა და აზნაურებისა) იხ. სამართლის ძეგლები 1965: 483-492;

³⁰ (გვ. 176) **„როგორც საქართველოში, ისე იმერეთსა და გურიაში“** – საქართველოს იმდროინდელი ტერიტორიულ-ადმინისტრაციული მოწყობის მიხედვით, აქ საქართველო ნიშნავს ქართლ-კახეთს.

³¹ (გვ. 176) **„11 კაცს ჰქონდა 1804 წ. ხელმონერილი ფიცის ქალაქი რუსეთის ქვეშევრდომობაზე“** – „1804 წელს იმერეთი შევიდა რუსეთის მართველობის ქვეშ, ხოლო მეფე სოლომონმა თავის შინაურ საქმეებში დაიტოვა დამოუკიდებელი უფლებები. რაკი აღმოსავლეთ საქართველო დაიპყრო რუსეთმა, ახლა მას სურდა დასავლეთ საქართველოს დაპყრობაც, რომ ფართოდ გაეღო კარები შავი ზღვისაკენ და შეურყეველ ნიადაგზედ აეგო თავისი ბატონობა ამიერ-კავკასიაში. რუსეთის ხელისუფლება ამ შემთხვევაში დიპლო-

მატიურ გზას დაადგა და არ აიძულა სოლომონი რუსეთის ქვეშევრდომობის მიღება, ხოლო შემდეგ, როდესაც გარემოება შეიცვალა, სრულიად გაანადგურა იმერეთის დამოუკიდებლობა (1810 წელს), რასაც დიდი არეულობა მოყვა“ (*სიმ. ხუნდაძის შენიშვნა* – ყიფიანი 1930: 157).

³² (გვ. 182) **„თავად ესტ. კოცებუს“** – აქ, როგორც ჩანს, ბექდვის ლაფსუსია. უნდა იყოს: „თავად თედორე ესტ[ატეს ძე] კოცებუს“. პირველნაბეჭდში ასეა: „Фед[ор] Евст. Коцебу“ (ყიფიანი 1886^ბ: 285).

³³ (გვ. 185) **„პოდრიათებისა“ და მინოდებებისა** – *პოდრიათი* (რუს. Подряд): ნარდი, სამუშაოს აღება სანარდო ანაზღაურებით.

³⁴ (გვ. 189) **„აბაშიდან ცხენის წყალისაკენ და რომ გავიდა ამ მდინარეზე, სახლში, იმერეთში დაბანაკდა“** – სამეგრელოში ამ დროისთვის ჯერ კიდევ არ იყო დამყარებული რუსეთის **უშუალო** და **პირდაპირი** მმართველობა და ფორმალურად იგი არ შედიოდა იმპერიის ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ საზღვრებში. ამიტომ ამბობს აქ დიმ. ყიფიანი, რომ გურულების რაზმი [მილიცია] **სახლში, იმერეთში** დაბანაკდა. ამ ფაქტს ავტორი სხვა ტექსტშიც ახსენებს, კერძოდ, წერილში „ნაციონალური ჰიპნოტიზმისა და პოლიტიკური ჰალუცინაციების სამყარო“ (ყიფიანი 2017: 91).

³⁵ (გვ. 193) **„ჩემი მოხსენება წარდგენილი იყო 1855 წ. ოქტომბერში და, რასაკვირველია, მურავიოვმა იცოდა“** – დიმ. ყიფიანის მიერ *მურავიოვისთვის* 1855 წ. ოქტომბერში წარდგენილი *მოხსენება* იხ. ყიფიანი 2019: 65-109.

³⁶ (გვ. 198) **„ფოშტით მოსული უარი ყიფიანის დამტკიცებისა და ბრძანება დირექტორად კრუზენშტერნის დანიშვნისა“** – ნიკ. მურავიოვმა დიმ. ყიფიანი კანცელარიის დირექტორად 1856 წლის თებერვალში დანიშნა, უარი კი პეტერბურგიდან იმავე წლის მაისში მოვიდა (ყიფიანი 29: 103).

კანცელარიის დირექტორად დიმ. ყიფიანის დანიშვნასა და ამ ფაქტით გამონწვეულ რეზონანსზე ალ. ორბელიანი წერს:

„მურავიოვმა კიდევ კარგი საქმე ჰქმნა ქართუელებისათვის, მაგრამ კიდევ გონება დავიბრმავდა. როგორც თვითონ ქართველი, ისე ქართუელებისთვისა კეთილგამძრახველი დიმიტრი ყიფიანი თავის კანცელარიის გამგედ დააყენა... ეს ის იყო ნიშანი მურავიოვისაგან: აი, ქართუელები ასე მიყვარან, რომ ამისთანა ჩვენი დიდი კანცელარია ქართუელს ჩავაბარეო, სადაც ყოვლის მხრიდან, სხუა საქმეებს გარდა, ყოველი საიდუმლოები იქ შედის და იქიდგანვე გადის. ეს იმისთანა ჩუენგნით მოულოდნელი და უფიქრებელი ადგილი ქართუელს ჩააბარა, მაგრამ რა გითხრათ? – ასეთი ყიფინა შეიქნა ვარანცოვის დასისაგან ყიფიანზე, რომ რაღა ვთქვა... ის იმათი ლავლავი იქამდისინ წავიდა, რომ პეტერბურლიდგან უარი მოუვიდა მურავიოვს იმის დანიშვნისა“ (ორბელიანი 1999: 61-62).

სხვა ცნობებით, დიმ. ყიფიანის დამტკიცება მეფისნაცვლის კანცელარიის დირექტორად ალ. ბარიატინსკისა და „კავკასიის კომიტეტის“ საქმეთა მწარმოებელ ვლადიმერ ბუტკოვს ჩაუშლიათ (ორჯონიკიძე 1992: 237).

³⁷ (გვ. 199) „...სულ რაღაც 38 წლისას“ – ალ. ბარიატინსკი დაიბადა 1815 წლის 2/14 მაისს, ხოლო კავკასიის მეფისნაცვლად 1856 წლის აგვისტოში დანიშნეს. ასე რომ ამ დროს იგი 42-ე წელიწადში იქნებოდა გადამდგარი.

³⁸ (გვ. 199) „მისი შემოსვლა ტფილისში ისეთ ტრიუმფს წარმოადგენდა...“ – ტფილისში ალ. ბარიატინსკის მანამდე არნახული ტრიუმფით დახვედრის ერთ-ერთი მიზეზი, უნდა ვიფიქროთ, ისიც იქნებოდა, რომ ქართველი არისტოკრატია ნიკ. მურავიოვით დიდად უკმაყოფილო იყო და ამას არც მალავდა, ხოლო მიზეზი უკმაყოფილებისა იყო მკვეთრი კონტრასტი მიხ. ვორონცოვისა და ნიკ. მურავიოვის მმართველობით სტილსა და ფორმებს შორის. ახალი მეფისნაცვალის მტრულად იყო განწყობილი წინამორბედის (მიხ. ვორონცოვის) ე. წ. „კავკასიური პოლიტიკისა“ ზოგადად და, მათ შორის, კულტურულ-საგანმანათლებლო პოლიტიკის მიმართ და არსებითად ნახევრად გასამხედროებული მმართველო-

ბის აღდგენა ჰქონდა განზრახული. ამ მხრივ, საგულისხმოა, რომ „პირველი ღონისძიება, რაც საქართველოში ჩამოსვლის უმაღლეს მიზანს მუშავებდა, ეს ვორონცოვის მიერ მოწვეული იტალიური ოპერისა და ახლად დაარსებული ქართული თეატრის გაუქმება იყო“ (ორჯონიკიძე 1992: 228; კავკასიის მეფისნაცვლის პოსტზე ნიკ. მურავიოვის მმართველობის შესახებ, აგრეთვე, წყაროები და ლიტერატურა საკითხის გარშემო იხ. ორჯონიკიძე 1992: 213-230, 256-257).

³⁹ (გვ. 200) „...ყარაიაზის ველის მოსარწყავად მდ. არაგვის წყლით“ – აქ, უნდა ვიფიქროთ, ან ავტორის უნებური შეცდომაა, ან – რედაქციამ ხელნაწერში არასწორად წაიკითხა მდინარის სახელწოდება (პირველნაბეჭდშიც ასეა „... для орошения Караязской степи водами р. Арагви“ – ყიფიანი 1886^ა: 68). სინამდვილეში აქ საქმე ეხება ყარაიაზის (ყარაიას) ველის მოსარწყვას *იორის* წყლით. ამგვარი განზრახულება კი ალ. ბარიატინსკის მართლაც ჰქონდა. კავკასიის მეფისნაცვლის მიერ იმპერატორ ალექსანდრე II-ისადმი წარდგენილ 1857-1859 წწ. ანგარიშში იგი წერს, რომ ყარაიაზის ნაწილის მოსარწყავად მან გადაწყვიტა, განაახლოს ჯერ კიდევ მიხ. ვორონცოვის მიერ დაწყებული და შემდეგ შეწყვეტილი საქმე – არხის გაჭრა *იორის წყლით* ყარაიაზის ნაწილის მოსარწყავად (აქტები 1904: 1352).

ყარაიაზის ნაწილის მოსარწყავად არხი (ოღონდ მდ. მტკვრიდან) გაიჭრა მეფისნაცვალ მიხეილ ნიკოლოზის ძის დროს (დროება 1866), ხოლო საზეიმოდ გაიხსნა 1867 წლის 9 მარტს (დროება 1867^ა). არხს იმპერატორ ალექსანდრე II-ის მეუღლის, მარია ალექსანდრეს ასულის, პატივსაცემად („იმპერატრიცის პატივსაცემლათ“) „მარიამის არხი“ ეწოდა (დროება 1867^ა).

⁴⁰ (გვ. 201) „ჩვენ წარუდგინეთ თ-დს ბარიატინსკის ჩვენი მოსაზრებანი ... ამაზე ლაპარაკი შემდეგ იქნება“ – ჩვენ ამ ტექსტის (ავტორის თქმით, მოსაზრებების) შესახებ, გარდა აქ მოყვანილი ცნობისა, სხვა არაფერი ვიცით. ვფიქრობთ,

რომ სწორედ ამ საკითხს (ზოგადად საგლეხო რეფორმისთვის ნიადაგის მომზადებასა და, კერძოდ, გრ. ორბელიანისა და დიმ. ყიფიანის მიერ მომზადებულ ტექსტს) უნდა ეხებოდეს დიმ. ყიფიანის 1858 წლის 28 აპრილის წერილი გრ. ორბელიანისადმი:

„ჩემი ვალიც კი იყო, რომ მომეხსენებინა და აქამდისინ ვერა მოგახსენებთრა ამ მიზეზითა, რომ დაბოლოვებას ველოდი და ვიმედოვნებდი, როგორც სამჯობინარად მიგვანჩნდა, ისე გათავებოდა; მაგრამ რა ერთი კეთროვანი ხალხში გაერევა, ყველას გააკეთრიანებს. ინტრიგას მივანერთ, შურის ძიებასა რასმე, თუ დღევანდელის სარგებლობის სურვილსა და მომავლისათვის წინდაუხედაობას, ისეთმა კაცმა იმეცადინა და მოახერხა კიდეცა ხელის შემულა ჩვენი მმართველობის სურვილის აღსრულებაში და ჩვენის საზოგადო საქმის კეთილად-დანყობაში, რომლისაც უმთავრესი ვალი ხელის გამართვა იყო, ერთ-ერთი ხსენებული მიზეზი რომ არა ჰქონოდა. საკუთრად მე, კნიაზის (ალ. ბარიატინსკის – თ. ჯ.) დარიგებით, აღარ გავრეულვარ, მაგრამ ყოველივე შეტყობილი მაქვს, ვინ როგორ მოქმედებდენ ხალხის შესაშფოთებლად და რა ჰაზრებსა ჰსთესდენ. ალექსანდრეზედაც (თბილისის გუბერნიის თავადაზნაურობის წინამძღოლი ალექსანდრე დავითის ძე ორბელიანი – თ. ჯ.) და ჩემზედაც ისე თურმე იმუქებოდნენ ყმა და მამულის წართმევას გვიპირებენო, რომ აქაურმა პოლიციამ, ჩვენდა უცნობლად, გაფრთხილებას მიჰყო ხელი არა ავნონ რაო და მართლდაც, ალექსანდრეს რომ ისე გონიერებით არ შეეცვალა სალაპარაკო საგანი და მოსაწონარის სიტყვებით არ დაემშვიდებინა საზოგადოება, უსაცვილოდ საქმე დიდი რითიმე უსიამოვნობით დაბოლოვდებოდა. ახლა წინააღმდეგნი სირცხვილეულად ჰრჩებიან; მართალია, არც საქმე წამხდარა, მაგრამ ამჟამად კი შეიშალა“ (ყიფიანი 1993: 220-221).

⁴¹ (გვ. 201) „მეზოდა მე I-ლი ხარისხის სტანისლავის ორდენი“ – გარდა წმ. სტანისლავის I ხარისხის ორდენისა,

რომელიც დიმ. ყიფიანმა 1857 წლის იანვარში მიიღო, მას მინიჭებული ჰქონდა ორდენები: წმ. ანას I ხარისხისა (ორჯერ: 1860, 1864), წმ. ანას II ხარისხისა (ორჯერ: 1852, 1866). იგი დაჯილდოებული იყო აგრეთვე მედლებით გიორგისა (1857) და ალექსანდრეს (1864) ლენტიებზე, წითელი ჯვრისა (1879) და წარჩინების (ხუთჯერ: 1848, 1852, 1857, 1858, 1867) ნიშნებით. ამას გარდა, დიმ. ყიფიანი იყო სპარსეთის ლომისა და მზის I ხარისხის ორდენის (1857) კავალერი (იხ. დიმ. ყიფიანის ნამსახურობის სია: ყიფიანი 29).

⁴² (გვ. 203) **„იმ დროს, როდესაც სამეგრელოს მთავრინა მოსკოვში იმყოფებოდა იმპერატორ ალექსანდრე II-ის დაგვირგვინებაზე, სამეგრელოში გლეხთა მოძრაობა მოხდა“** – **სამეგრელოს მთავრინა**: იგულისხმება ეკატერინე დადიანი, რომელიც მოსკოვში ალექსანდრე II-ის დაგვირგვინებაზე (კორონაციაზე) რუსეთის საიმპერატორო კარის მიწვევით 1856 წლის აგვისტოში იმყოფებოდა [კორონაცია 26 აგვისტოს (ძვ. სტ.) შედგა]. ამის შემდეგ ეკატერინე დადიანი ალექსანდრე II-მ მიიწვია პეტერბურგში, სადაც სამეგრელოს დედოფალი 1857 წლის გაზაფხულამდე დარჩა (ბოროზდინი 1934: 70-71). **გლეხთა მოძრაობა**: იგულისხმება სამეგრელოს 1856-1857 წწ. აჯანყება.

⁴³ (გვ. 203) **„ამან გამოიწვია 1857 წელს მთავრის მთელი ოჯახობის განწვევა პეტერბურგში, რომ მცირე წლოვანი მთავარი ნიკო სათანადოთ აღეზარდათ“** – „მცირეწლოვანი მთავრის ნიკოს აღზრდის საკითხი მხოლოდ საბაბი იყო. რუსეთის მთავრობას უნდოდა სამეგრელოს მმართველობის გაუქმება და იქ ნამდვილი რუსული წესწყობილების დამყარება. ეკატერინეს განწვევით პეტერბურგში სამეგრელოს საქმეები უშუალოდ გადავიდა კავკასიის მეფის მოადგილის ხელში და 1867 წელს საბოლოოდ გაუქმდა სამეგრელოს „ავტონომია“ (სიმ. ხუნდაძის შენიშვნა – ყიფიანი 1930: 160).

სამეგრელოს „ავტონომია“ გაუქმდა 1867 წლის 4 იანვარს, იმ დღესვე, როგორც კი ნიკო დადიანი სრულწლოვანი გახდა

და იმპერატორ ალექსანდრე II-ეს წარუდგინა უქვეშევრდომილესი მოხსენება სამთავრო ტახტზე ნებაყოფლობით უარის თქმის შესახებ (საკითხის შესახებ, მათ შორის, ტექსტი მიმართვისა იხ. ყიფიანი 2017: 262-263).

⁴⁴ (გვ. 203) „**ალწერა მოახდინა 1857 წ. და 1858 წლის დამდეგს მეფის მოადგილეს წარუდგინა**“ – ხსენებული *ალწერა* (ინვენტარიზაცია) სამეგრელოს სამთავრო ქონებისა დიმ. ყიფიანმა 1857 წლის ოქტომბერ-დეკემბერში ჩაატარა, ხოლო *მეფის მოადგილეს* (მეფისნაცვალ ალ. ბარიატინსკის) 1858 წლის თებერვალში წარუდგინა (იხ. აქვე, „დღიური 1857-1858 წლებისა“).

⁴⁵ (გვ. 203-204) „**მთავრინამ აპეკუნად აირჩია სიძე თვისი ... ბარონი ა. პ. ნიკოლაი**“ – ბარონი ალექსანდრე ნიკოლაი იყო მეუღლე ეკატერინე დადიანის დის, სოფიო ალექსანდრეს ას. ჭავჭავაძისა [იქორწინეს 1850 წ.; მათი ქალიშვილი მარიამ (მაკა) ნიკოლაი იყო მეუღლე თბილისის გუბერნატორ (1888-1897) გიორგი დიმიტრის ძე შარვაშიძისა].

⁴⁶ (გვ. 207) „**შემდეგ რა ბედი ენია... ანგარიშს, მე არ ვიცი**“ – კავკასიის მეფისნაცვალ ალ. ბარიატინსკის მიერ იმპერატორ ალექსანდრე მეორისათვის წარდგენილი 1857-1859 წწ. ანგარიში კავკასიის არქეოგრაფიული კომისიის აქტებში გამოქვეყნდა 1904 წელს [Отчет ген.-фельдмаршала князя А. И. Барятинского за 1857-1859 годы – აქტები 1904: 1275-1394; ხელნაწერი ამ ანგარიშისა (ავტოგრაფი, შავი), აგრეთვე, მასალები ანგარიშისათვის იხ. ხეც. დიმ. ყიფიანის არქ., საქ. №198. ფ. 185].

⁴⁷ (გვ. 207) „**გარდა მხოლოდ ქუთაისის გენერალ-გუბერნატორისა**“ – ამ დროს ქუთაისის გენერალ-გუბერნატორი იყო გიორგი რევაზის (რომანის, რომანოზის) ძე ერისთავი.

⁴⁸ (გვ. 207) „**სამეგრელოს მაშინდელმა გამგებელმა (1859 წ.) გენერალმა კოლუბაკინმა I-მა**“ – „**კოლუბაკინი I**“: გენერალი *მიხეილ* პეტრეს ძე კოლიუბაკინი, რომელმაც 1858 წელს სამეგრელოს მმართველის პოსტზე შეცვალა ამ თანამ-

დებობაზე წინა (1857) წელს დანიშნული საკუთარი ძმა **ნიკოლოზ** პეტრეს ძე კოლიუბაკინი (*კოლიუბაკინი II*). 1861 წელს სამეგრელოს მმართველად ისევ **ნიკოლოზ** კოლიუბაკინი (II) დააბრუნეს.

⁴⁹ (გვ. 209) „**საზღვარგარეთიდან ტფილისში ასეთი ბრძანება გამოგზავნა ... მოახსენეთ თ-დ გრიგოლ დიმიტრიძეს, მის მაგიერად დანიშნოს სტარიცკი**“ – დიმ. ყიფიანი სახელმწიფო სამსახურიდან საზღვარგარეთ მყოფ ალ. ბარიატინსკის დავალებით 1862 წლის 21 ივნისს დაითხოვეს (საკითხის შესახებ, აგრეთვე, წყაროები და ლიტერატურა იხ. ყიფიანი 2018: 424-425). აქ ნახსენები *გრიგოლ დიმიტრის ძე* არის გრიგოლ ორბელიანი, რომელიც, როგორც კავკასიის მეფისნაცვლის საბჭოს თავმჯდომარე, საქართველოში ალ. ბარიატინსკის არყოფნისას მეფისნაცვლის მოვალეობას ასრულებდა.

⁵⁰ (გვ. 209) „**ცოლი წაართვა თავის ადიუტანტს და, მასთან დუელით გასწორების შემდეგ, ჯვარი დაინერა**“ – ალ. ბარიატინსკის მიერ თავისი ადიუტანტისთვის (ვლ. დავიდოვი) *ცოლის წართმევისა და დუელის* შესახებ იხ. აქვე, კომენტ. 6.

⁵¹ (გვ. 210) „**გადასახადი, რომელიც მინის ნაყოფით შემოდიოდა, ფულის გადახდით შეცვლილიყო**“ – „ნატურით გადასახადის შეცვლა ფულადი გადასახადით 40-იან წლებში შედეგი იყო იმ ეკონომიური ცვლილების, რომელიც გამოიწვია რუსეთის სავაჭრო კაპიტალის განვითარებამ ა/კავკასიაში და საქართველოში. ფულის ტრიალის განმტკიცებამ ბუნებრივად გამოიწვია ნატურალური მეურნეობის რღვევა და ახალი ურთიერთობის წარმოშობა“ (*სიმ. ხუნდაძის შენიშვნა* – ყიფიანი 1930: 161).

⁵² (გვ. 211) „**სამოქალაქო მართველობის სისტემის შეცვლა ჩვენ მხარეში ... გამორკვევა ბატონ-ყმური უფლების საფუძვლებისა საქართველოში და სხვა**“ – აქ ჩამოთვლილი საკითხების შესახებ დიმ. ყიფიანის შეხედულებები იხ.: ყიფიანი 2018: 11-127; ყიფიანი 2019: 11-43).

⁵³ (გვ. 211) „**მის მაღალ რეპუტაციას... კატკოვებიც კი ვერ შეარყევდნენ**“ – პირველნაბეჭდში კატკოვის გვარი სამი ვარსკვლავითაა შეცვლილი („...не поколебать даже и ***“ – ყიფიანი 1886^ბ: 77). ეს გარემოება ადვილი გასაგები გახდება, თუ გავითვალისწინებთ, რომ ამ დროს მის. კატკოვი რუსეთში ველიკოდერჟავული იდეოლოგიის ერთ-ერთი მეთაური და რუსეთის სამეფო კართან დაახლოებული პირია (არსებითად კარის ფავორიტია). „რუსკაია სტარინას“ რედაქცია მოერიდა ნეგატიურ კონტექსტში კატკოვის ხსენებას და მისი გვარი ვარსკვლავებით შეცვალა.

რაც შეეხება კატკოვის მიერ *მისი* (მის. ვორონცოვის) რეპუტაციის შეარყევას, როგორც ჩანს, დიმ. ყიფიანს მხედვლობაში აქვს მის. ვორონცოვის პოლიტიკის კატკოვისეული შეფასება, რომელიც გამოთქმულია ამ უკანასკნელის წერილში „მოსკოვი. 4 სექტემბერი“ (კატკოვი 1897: 553-555; ქართული თარგმანი იხ.: ყიფიანი 2017: 244-251):

„[მის. ვორონცოვის] გონებაში ადვილი არ აღმოჩნდა იმისთვის, რასაც ნაციონალური პოლიტიკა ჰქვია. მას თვითონ არ მიაჩნდა თავი რუსად. ლიბერალიზმმა მის არსებაში რუსის სახელი უგულვებელყო. სადაც არ უნდა ყოფილიყო მმართველად, ყველგან არეულ-დარეულ ვითარებას ტოვებდა. თავისი მოქმედებებით – ვთქვათ, ასეთით: ალუპკაში, თავისი სახლის მახლობლად, შესანიშნავი მეჩეთი ააშენა, და ეს მაშინ, როცა მცირე ზომის მართლმადიდებლური სალოცავი მოშორებით იყო შეფარებული – მან თვით ყირიმელი თათრების მდგომარეობა იქამდე მიიყვანა, რომ ისინი სიამაყით აცხადებდნენ: „მე რუსი კი არა, თათარი ვარ!“ ასეთივე სახელისუფლებო სისტემა შექმნა ვორონცოვმა მისთვის ჩაბარებულ ახალ მხარეში (ამიერკავკასიაში – თ. ჯ.), სადაც მისი ერთ-ერთი პირველი ღონისძიება სომხური ჟურნალის დაარსება იყო (რასაკვირველია, ხაზინის ფულით). – შედეგები ასეთი მმართველობითი სისტემისა თვალწინ გვაქვს. იგი ფართოდ გავრცელდა მთელს რუსეთის სახელმწიფოში და მმართველობის ყველა მი-

მართულებაში აისახა. სადღა არ ეძებდნენ ადგილობრივ არარუს ელემენტს, რათა მასში განკერძოებული ცხოვრებისკენ სწრაფვა გაეღვივებინათ, რუს ხალხზე უპირატესობის ყალბი, საკუთრივ მისთვისა და სახელმწიფოსთვის დამლუპველი შეგნება გაეღვიძებინათ. რუსი ყოველივე ცუდის, დამცირებულის, დაჩაგრულის სინონიმად იქცა“ [კატკოვი 1897: 554; დიმ. ყიფიანის წერილი კატკოვის წინააღმდეგ („ისევ „მოსკოვსკიე ვედომოსტის“ 194-ე ნომერში გამოქვეყნებული მონინავე სტატიის გამო“) იხ. ყიფიანი 2017: 39-49].

⁵⁴ (გვ. 212) „**საბოლოოდ უმყარდებოდა მუსლიმანთა მაღალ-წოდებას მიწის საკუთრების უფლება და ამ უფლებიდან გამომდინარე მოწესრიგება დამოკიდებულებისა მემამულეთა და გლეხთა შორის**“ – „ხანები, ბეგები, ალაღარები და მელიქები წარმოადგენდნენ მუსლიმანური პროვინციების უმაღლეს წოდებას. მაგრამ მათი უფლება მიწაზე და ამ მიწებზე დასახლებულ მცხოვრებლებზედ არ იყო განსაზღვრული საკანონმდებლო აქტებით. მიწის საკუთრებას არ სცნობდა მუსლიმანური კანონმდებლობა: მიწა ეკუთვნოდა უმაღლეს ხელისუფლებას. ამან დიდი გაუგებრობა გამოიწვია: ადგილობრივ ხელისუფლების აგენტებმა შეიმუშავეს შეხედულება, რომ ეს მიწები და საძოვრები, რომელნიც ბეგებისა და ალაღარების ხელში იყო, შეადგენდა ხაზინის საკუთრებას, ხოლო უმაღლეს წოდებას აქვს მხოლოდ დროებითი უფლება გადაახდევინოს მცხოვრებთ ჩვეულებით განსაზღვრული გადასახადი სოფლის მართვის გამო. ამ შეხედულების მიხედვით 1840 წ. გამოიცა დებულება, რომლის მიხედვით მიწები გადავიდა ხაზინის ხელში და აგრეთვე ალაღარებს ჩამოერთვათ უფლება სოფლების მართველობისა. ამ დებულებამ მუსლიმანთა უმაღლეს წოდებაში დიდი უკმაყოფილება გამოიწვია. ვორონცოვმა ამ გარემოებას არსებითი ყურადღება მიაქცია და დაიცვა მუსლიმან მემამულეთა ინტერესები. თანახმად 1846-7 წლების რესკრიპტისა მათ დაუმტკიცდათ მიწაზე კერ-

ძო საკუთრების უფლება, ხოლო ამ მიწის კერძო საკუთრების უფლების მიხედვით მუსლიმანთა დაბალი ნოდება უფრო მეტად გადაიქცა მათ საექსპლოატაციო ობიექტად. მიუხედავად თავისი ლიბერალობისა, ვორონცოვმა ბევრად გააუარესა მუსლიმან და ქრისტიან გლეხთა მდგომარეობა; ეს პირდაპირ გამომდინარეობდა მისი პოლიტიკიდან: მას სურდა თვითმპყრობელობის დასაყრდენ ძალად ა/კავკასიაში გადაექცია უმაღლესი ნოდება; მეორე მხრივ იგი დაინტერესებული იყო რუსეთის სავაჭრო კაპიტალისათვის ადგილობრივ ბაზრის შექმნაში, ხოლო ასეთად შეიძლება გადასდარიყო ეკონომიურად მძლავრი თავად-აზნაურობა და არა გალატაკებული გლეხობა. აქედან ვორონცოვის პოლიტიკაც: რაც შეიძლება უფრო ფართოდ გადაექცია საექსპლოატაციოდ მემამულეებისათვის გლეხობა, რომ შემდეგ თვით მემამულიდან დიდი შემოსავალი ქონოდა სავაჭრო კაპიტალს“ (*სიმ. ხუნდაძის შენიშვნა* – ყიფიანი 1930: 161-162).

დიმ. ყიფიანის შეხედულებები ამიერკავკასიის მუსლიმთა უმაღლესი ნოდების პიროვნული თუ ქონებრივი უფლებების შესახებ იხ. ყიფიანი 2018: 111-127.

⁵⁵ (გვ. 214) „**სმიტენის აზრს შერჩა მხოლოდ ივ. აღ. ბარტოლომეი; დანარჩენი ყველანი უკვე ჩემს მხარეზე იყვნენ**“ – *შემახის კომისიისა* და მასთან დაკავშირებული საკითხების, მათ შორის, ვ. სმიტენის *მოხსენების* შესახებ იხ. ყიფიანი 2018: 112-126.

⁵⁶ (გვ. 215) „**ამ პასუხს ხელი არ შეუშლია მისთვის, რომ რამდენიმე წლის შემდეგ თვისი ნუმინატიკური ასპარეზიდან აღექსანდრეს კავალერად ჩასულიყო საფლავში**“ – „რუსკაია სტარინას“ პირველნაბეჭდში ეს (მე-17) თავი ამ აბზაცით (თავისი სქოლიოთი) მთავრდება (ყიფიანი 1886: 80). შემდგომი აბზაცები (მე-18 თავამდე) პირველნაბეჭდში გამოტოვებულია. როცა დიმ. ყიფიანის წინამდებარე ტექსტი იბეჭდებოდა, ეგორ (იაგორ) სტარიცკი ჯერ კიდევ ცოცხალი იყო (გარდაიცვალა 1899 წ.), სერიოზულ ფიგურას წარმოა-

დგენდა რუსეთის პოლიტიკურ ცხოვრებაში (სახელმწიფო საბჭოს წევრი, სენატორი, ნამდვილი საიდუმლო მრჩეველი) და, უნდა ვიფიქროთ, მემუარების ავტორის მიერ მისი მოქმედების მკაცრი და ირონიული შეფასების გამოქვეყნებას რედაქციამ თავი აარიდა.

⁵⁷ (გვ. 216) **„გასაოცარი უსამართლობით“** – „რუსკაია სტარინას“ რედაქციას დ. ყიფიანის სიტყვები: „გასაოცარი უსამართლობით“ შეუცვლია „გასაოცარი სახით“ (*სიმ. ხუნდაძის შენიშვნა* – ყიფიანი 1930: 162).

„რუსკაია სტარინას“ პუბლიკაციაში ასეა: „...поразительным образом“ (ყიფიანი 1886^ე: 447).

⁵⁸ (გვ. 216) **„რომელშიაც შედიოდა 1867 წელს მთავრობისაგან დანიშნული მილიონის სარგებელიც“** – იმპერატორმა ალექსანდრე II-მ სამეგრელოს მთავრის ტახტზე უარის თქმის სანაცვლოდ ნიკო დადიან-მინგრელსკის *„მილიონი მანათი“* უბოძა (იხ. აქვე, გვ. 25)

⁵⁹ (გვ. 216) **„ყოფილი მთავრის, თავადი მინგრელსკის სასარგებლოდ სასამართლომ 50 000 მანეთი მომისაჯა გადასახდელად“** – „როგორც ვიცით, 1859 წ. დ. ყიფიანი დაინიშნა მცირეწლოვან ნიკო მინგრელსკის აპეკუნად, ხოლო მთავარ აპეკუნად ითვლებოდა ნიკოს დედა – ეკატერინე. დიმიტრიმ თავისი ენერგიული მოღვაწეობით მინგრელსკის მამულის შემოსავალი ერთი ასათ გაადიდა. მაგრამ მინგრელსკი, როდესაც სრულწლოვანებაში შევიდა, უკმაყოფილო დარჩა დ. ყიფიანის. იგი ამტკიცებდა, რომ 8 წლის განმავლობაში ყიფიანს არ წარმოუდგენია ანგარიში, ხოლო 1868 წ. წარმოდგენილ შემოსავალ-გასავლის ნიგნებში ზოგიერთი მომეტებული ხარჯია შეტანილიო. ყიფიანი ამტკიცებდა, რომ ის მოქმედებდა თანახმად მთავარი აპეკუნის განკარგულებისა და პასუხიც იმას უნდა მოეთხოვოსო. ყიფიანმა პირველ ინსტანციაში მოიგო საქმე, ხოლო შემდეგ წააგო და მას მინგრელსკის სასარგებლოდ დააკისრეს 50 000 მანეთის გადახდა“ (*სიმ. ხუნდაძის შენიშვნა* – ყიფიანი 1930: 162).

ხსენებული გადასახდელის, ნიკო დადიან-მინგრელსკის მიერ საჩივრის უკან წაღებისა და დიმ. ყიფიანთან შერიგების შესახებ, აგრეთვე, წყაროები და ლიტერატურა საკითხის გარშემო იხ. აქვე, გვ. 11-33, 315-316, 397-399.

⁶⁰ (გვ. 217) „...მშვიდობიანობა, დარღვეული ალექსანდრე II-ზე ბოროტი თავდასხმით პეტერბურგში 1880 წლის დამდევს, დაარსდა უზენაესი განკარგულების კომისია (Верховная распорядительная комиссия)“ – „...ნაროდნაია ვოლიას პარტიის ჩამოყალიბებით (1879 წ.) დაიწყო ახალი პერიოდი რუსეთის ნაროდნიკულ მოძრაობაში: აღნიშნული პარტია დაადგა პოლიტიკური ბრძოლისა და ტერორისტული აქტების ტაქტიკას; იგი ფიქრობდა, რომ მაღალი თანამდებობის პირების დახოცვით და ტერორისტული აქტების გახშირებით დემორგანიზაციასა და დემორალიზაციას შეიტანდა არსებულ წყობილებაში და მაშინ ადვილი გახდებოდა პოლიტიკური აპარატის დაპყრობა რუსეთში. ნაროდოვოლცებმა მიზნად დაისახეს ალექსანდრე მეორის მოკვლა. ამ მიზნით რამდენიმე უშედეგო თავდასხმა მოაწყვეს მასზე. ამ რევოლუციონერული მოძრაობით დამფრთხალმა თვითმპყობელობამ დააარსა Вер. распорядительная комиссия, რომლის მთავარი მიზანი იყო კრამოლის წინააღმდეგ ბრძოლა“ (სიმ. ხუნდაძის შენიშვნა – ყიფიანი 1930: 162-163).

ალექსანდრე II-ზე ბოროტ თავდასხმაში ავტორი გულისხმობს რევოლუციურ-ტერორისტული ორგანიზაციის, „ნაროდნაია ვოლიას“, მიერ 1880 წლის 5/17 თებერვალს განხორციელებულ თავდასხმას, რომელსაც იმპერატორი გადაურჩა, თუმცა ეს ყოველივე საბოლოოდ მაინც ალექსანდრე II-ის მკვლელობით დასრულდა (1881 წლის 1/13 მარტს).

⁶¹ (გვ. 217) „თითონ მე მაქვს თავს დატყეხილი სასამართლოს ორი საქმე“ – სასამართლოს ორ საქმეში იგულისხმება დიმ. ყიფიანის სასამართლო დავა ალექსანდრე (კობტა) აბხაზსა (იხ. აქვე, გვ. 395-396) და ნიკო დადიან-მინგრელსკითან (იხ. აქვე, კომენტ. 59).

⁶² (გვ. 218) „ჩვენი თავად-აზნაურობის პრიკაზის ვალზე“ – „პრიკაზის“ შესახებ იხ. აქვე, გვ. 328.

⁶³ (გვ. 218) „...ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებაზე“ – „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება“ („ქმნ-კგ“), 1879 წელს დაარსებული კულტურულ-საგანმანათლებლო ორგანიზაცია, რომელიც ათეული წლების განმავლობაში აარსებდა სკოლებს, ბიბლიოთეკებს, პოულობდა და თავს უყრიდა ისტორიული მნიშვნელობის სიძველეებს (ხელნაწერები, ძველნაბეჭდი წიგნები, არქეოლოგიური, ეთნოგრაფიული, ზეპირსიტყვიერებისა და სხვ. ნიმუშები), მატერიალურად და მორალურად ეხმარებოდა ეროვნულ თეატრს, გამომცემლობებს, უნიშნავდა სტიპენდიებს რუსეთსა და ევროპაში მოსწავლე ახალგაზრდობას და სხვ. („ქმნ-კგ საზოგადოების“ შესახებ იხ.: გოგებაშვილი 1990: 251-258; ხუნდაძე 1960; ხუციშვილი 1980; პაპავა 1979: 189-199; გოდერიძე 1978: 5-106; გოდერიძე 1980: 227-319; ჩხიტიანი 1980).

საქართველოს ბოლშევიზაციის შემდეგ, 1922 წელს, შეიცვალა საზოგადოების წესდება და იგი „წიგნის გამომცემელ და გამავრცელებელ ქართველთა საზოგადოებად“ გადაკეთდა (ხუნდაძე 1960: 155). 1926 წლის 26 დეკემბერს „საზოგადოების“ კრებამ გამოაცხადა თვითლიკვიდაცია, რაც გამომცემლობათა სახელმწიფო კომიტეტმა ოფიციალურად 1927 წლის 31 იანვარს გააფორმა (გოდერიძე 1980: 243-244).

დიმ. ყიფიანი იყო მთავარი ფიგურა „ქმნ-კგ საზოგადოების“ დაარსების საქმეში: დამფუძნებელთაგანი, წესდების ავტორი, პირველი თავმჯდომარე („ქმნ-კგ საზოგადოების“ დაარსებასა და მუშაობაში დიმ. ყიფიანის მონაწილეობის შესახებ იხ.: გოგებაშვილი 1990: 251-258; გოგებაშვილი 2007: 95-98; თულაშვილი 1895: 47-52; თულაშვილი 2007: 48-51; უთურაშვილი 1989: 117-121; ჯორჯაძე 1989^a: 532-539).

⁶⁴ (გვ. 219) „მესმის ჩვენი წინამძღოლის მსჯელობა!“ – დიმ. ყიფიანი თბილისის გუბერნიის (ქართლ-კახეთის) თავ-

ადაზნაურობის **წინამძღოლი** („მარშალი“) იყო 1864 წლიდან (აირჩიეს 16 თებერვალს) 1870 წლის მაისის პირველ რიცხვე-ბამდე.

⁶⁵ (გვ. 219) **„სასიამოვნო იქნებოდა დიდი მთავარი მეფის მოადგილისათვისაც“** – იგულისხმება კავკასიის მეფისნაც-ვალი (ნამესტნიკი, მეფის/ხელმწიფის მოადგილე) 1862-1881 წწ., დიდი მთავარი *მიხეილ ნიკოლოზის ძე*.

⁶⁶ (გვ. 219) **„...წევრი-დამფუძნებელი ბრძანდებით“** – „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზო-გადოებას“ ჰყავდა 126 *დამფუძნებელი წევრი* და, მათ შორის – მიხეილ ლორის-მელიქოვი (სია „ქმნ-კგ საზოგადოების“ *დამფუძნებელი წევრებისა* იხ. ნანიტაშვილი... 2004: 142-147).

⁶⁷ (გვ. 220) **„ვარშავაში ვილაც ახირებულს კაცს, ჩვენთანს plus royal, que le roi, რალაცა დაეშავებინა და ამიტომ ახლა უხერხულია ქართველების სწავლა-განათლებაზე ლაპარაკიო“** – „რუსულად დაბეჭდილში გამოტოვებულია „ჩვენთანს, plus royal, que le roi“. ამჟამად ჩვენ ხელთ არ არის ცნობა იმის შესახებ, თუ რომელი ფაქტის შესახებ ლაპარაკობს ავტორი და ან ვინ იყო ის „ახირებული ჩვენიანი კაცი“ (სიმ. ხუნდაძის *შენიშვნა* – ყიფიანი 1930: 163).

„plus royal, que le roi“ [Plus royaliste, que le roi même] – მეფეზე მეტი როიალისტი/მონარქისტი.

⁶⁸ (გვ. 221) **„თუმცა ღრმად ვარ შეურაცხყოფილი და ამ საქმით მთლად დაქცეული“** – ნიკო დადიან-მინგრელსკისა და ზოგადად სამეგრელოს სამთავრო ოჯახის მიერ დიმ. ყიფიანის *შეურაცხყოფასა* და *დაქცევაზე* იხ. აქვე – „სამეგრე-ლოს მთავრის სახლი და დიმიტრი ყიფიანი“.

⁶⁹ (გვ. 221) **„თავადი ლ ი ვ ე ნ ი ... კ ლ უ შ ი ნ ი ... და ს ტ ა რ ი ც კ ი“** – *აქ და ქვემოთ*: ჩამოთვლილი გვარები პირველ-ნაბეჭდში ინიციალითა და სამი ვარსკვლავითაა აღნიშნული („*И*** ... К*** ... С****“ – ყიფიანი 1886^ლ: 452 და შმდ.). როცა დიმ. ყიფიანის წინამდებარე ტექსტი „რუსკაია სტარინაში“

იბეჭდებოდა, სამივე ზემოჩამოთვლილი პირი ცოცხალი იყო [ლივენი გარდაიცვალა 1913 წელს, კლუშინი – 1886 წლის 4/16 ოქტომბერს (ტექსტის ეს მონაკვეთი 1886 წლის აგვისტოს ნომერში გამოქვეყნდა), ხოლო სტარიცკი – 1899 წელს]. ისინი რუსეთის საზოგადოებრივ და პოლიტიკურ ცხოვრებაში მნიშვნელოვან პერსონებს წარმოადგენდნენ და, როგორც ჩანს, რედაქციამ უარყოფით კონტექსტში მათი გვარების სრულად დაბეჭდვას თავი აარიდა.

⁷⁰ (გვ. 223) **„გრაფინია ეკატერინე ნიკოლოზის ასული ა დ ლ ე რ ბ ე რ გ ი“** – *აქ და ქვემოთ*: პირველნაბეჭდში *გრაფინიას* გვარი არ არის ნახსენები („...графиня ***“ – ყიფიანი 1886^ლ: 453 და შმდ.).

⁷¹ (გვ. 224) **„მაიორატი არ არის ჯერ დამტკიცებული“** – მაიორატის რაობის შესახებ იხ. აქვე, გვ. 389.

⁷² (გვ. 224) **„რამდენადმე მაინც რომ არკვევდეს მისი აგარაკების საზღვრებს?“** – *აგარაკები* (დედანი: „...имений“ – ყიფიანი 1886^ლ: 454) აქ *მამულს* (კუთვნილ მიწა-წყალს, უძრავ ქონებას) ნიშნავს.

⁷³ (გვ. 224) **„არაფერი არ იცოდნენ 1857 წლის აღწერილობისა“** – *1857 წლის აღწერილობის* შესახებ იხ. აქვე: „დღიური 1857-1858 წლებისა“. თვითონ *აღწერილობა* ჩვენ ვერ მოვიპოვეთ.

⁷⁴ (გვ. 226) **„ალექსანდრე აგეეს ძე (აბაზა)...“** – *აქ და ქვემოთ*: პირველნაბეჭდში („რუსკაია სტარინას“ პუბლიკაციაში) ალ. აბაზას (იგი ამ დროს რუსეთის სახელმწიფო საბჭოში ეკონომიის დეპარტამენტის თავმჯდომარეა) სახელი და გვარი მითითებული არ არის („Но теперь такие строгости, что N. N...“ – ყიფიანი 1886^ლ: 456).

⁷⁵ (გვ. 227) **„სახელმწიფო ქონებათა სამინისტროს მიმანერეს“** – *სახელმწიფო ქონებათა სამინისტროზე* *მინერისა* და 1886 წელს ამ სამსახურიდან დიშ. ყიფიანის გათავისუფლების შესახებ დოკუმენტური მასალა და ლიტერატურა იხ. აქვე, გვ. 387-388.

⁷⁶ (გვ. 230) „თავისუფლად რომ შეეძლო მისვლა გრაფ ადლერბერგთან და ბარანოვთან“ – პირველნაბეჭდში გრაფი ადლერბერგი გამოტოვებულია (ყიფიანი 1886^ლ: 459).

⁷⁷ (გვ. 231) „ის არის დაარსებული კავკ. მეფის მოადგილის ინიციატივით, რომელიც ახლა სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარეა“ – იგულისხმება დიდი მთავარი მიხეილ ნიკოლოზის ძე, რომელიც კავკასიაში მეფის მოადგილე (მეფისნაცვალი) იყო 1862-1881 წწ., ხოლო ამის შემდეგ თავმჯდომარეობდა რუსეთის სახელმწიფო საბჭოს (1881-1905).

⁷⁸ (გვ. 232) „გადავსწყვიტე წერილობით და ოფიციალურად მიმეწერა სმირნოვისათვის ... ჩემსა და თ-დ მინგრელსკის შორის ანგარიშები არ გაუუქმებიათ და ჯამაგირი არაფერი არ დაუნიშნავთ“ – დიმ. ყიფიანის მიერ თ. სმირნოვისთვის გაგზავნილი ეს წერილი იხ. აქვე, გვ. 397-399.

⁷⁹ (გვ. 234) „ეს იყო 10 ივნისს 1882 წ.“ – დიმ. ყიფიანის 1882 წლის დღიურის მიხედვით, შეხვედრა ე. ბარანოვთან, რომელიც აქ არის აღწერილი, 24 მაისს შემდგარა (იხ. აქვე, გვ. 132).

⁸⁰ (გვ. 234) „12 ივნისს გამოვედი პეტერბურგიდან“ – 1882 წლის დღიურის მიხედვით, 12 ივნისს დიმ. ყიფიანს ცხარე კამათი აქვს გამართული თ. სმირნოვთან და თვითონ შინაარსი ამ კამათისა აშკარად მიუთითებს, რომ დიმ. ყიფიანი იმავე დღეს პეტერბურგის დატოვებას არ აპირებს (იხ. აქვე, გვ. 133-134). ასე რომ, მას პეტერბურგი არა 12 ივნისს, არამედ მოგვიანებით (რამდენიმე დღეში) უნდა დაეტოვებინა. ყოველ შემთხვევაში, იმავე 1882 წლის 24 ივნისს დიმ. ყიფიანი უკვე თბილისშია და „ქშნ-კვ საზოგადოების“ გამგეობას საქმიან წერილსა სწერს (ხეც. დიმ. ყიფიანის არქ., საქ. №309).

⁸¹ (გვ. 234) „ამაზე შეჩერდა ჩემი განმეორებული მთავრობის სამსახური“ – „რუსკაია სტარინას“ რედაქციას აქ დაუსვამს წერტილი და დ. ყიფიანის ხელნაწერიდან ქვევით მოყვანილი ტექსტი ამოუშლია“ (სიმ. ხუნდაძის შენიშვნა – ყიფიანი 1930: 163).

რაც შეეხება აქ ნახსენებ მთავრობის სამსახურის შეჩერებას, ამ საკითხზე რუსეთის სახელმწიფო ქონების სამინისტროს საერთო საქმეთა დეპარტამენტის დირექტორის 1886 წ. 8 თებერვლის წერილი დიმ. ყიფიანისადმი იხ. ხეც. დიმ. ყიფიანის არქ., საქ. №41; ჩხეტია 1947: 424-425.

⁸² (გვ. 235) „სანამ სასწავლო ოლქის მზრუნველად ვ. ნ. სემიონოვი იყო, რომელიც ძალიან ცუდი თვალთ მიცქეროდა, სამსახურში დამოკიდებულება მაინც კარგი გვექონდა. ხოლო აუტანელი შეიქნა მისი მოადგილე ბარონ ა. პ. ნიკოლაისთან, თუმცა კერძო დამოკიდებულება ჩვენ შორის კარგი იყო“ – ა) პირველნაბეჭდში „რუსკაია სტარინას“ რედაქციას ეს აბზაცი გამოტოვებული აქვს (ყიფიანი 1886^ლ: 462); ბ) მის მოადგილეში იგულისხმება *შემცვლელი*, ანუ კავკასიის სასწავლო ოლქის *მომდევნო* მზრუნველი – ვ. სემიონოვმა 1852 წელს დატოვა კავკასია და სასწავლო ოლქის მზრუნველის თანამდებობაზე იგი ალ. ნიკოლაიმ შეცვალა; გ) მოიპოვება დოკუმენტური მასალა, დამადასტურებელი იმისა, რომ დიმ. ყიფიანი და ბარონი ალ. ნიკოლაი სამსახურებრივ საქმეებში ვერ ეწყობოდნენ ერთმანეთს. მეფისნაცვლის კანცელარიის დირექტორად დიმ. ყიფიანის მოსალოდნელ დანიშვნასთან დაკავშირებით 1856 წლის 17 თებერვალს ალ. ნიკოლაი სწერს თავის ძმას, გენერალ-ლეიტენანტ ლეონტი ნიკოლაის:

„არ ვიცი, რამდენად იცნობ ყიფიანს. უნარიანი ადამიანია, ისეთი, რუსეთში საქმიან კაცს რომ ვუნოდებთ, ანუ კარგად ერკვევა ბიუროკრატიულ რუტინაში. მიუხედავად ამისა, მისი დანიშვნა მიმაჩნია ქმედებად, როცა სახელმწიფოს ინტერესები პირად შეხედულებებს ეწირება. არაფერს ვამბობ იმაზე, რომ, სამართლიანად თუ უსამართლოდ, ბარონ როზენის მთავარმართებლობისას ქართველთა შეთქმულებაში მონაწილეობდა და ამის გამო რუსეთში იყო გადასახლებული. უნდა ვაღიაროთ, რომ ეს ფაქტი თავისთავად შეუძლებელს ხდის, იგი სამოქალაქო საზოგადოების

არბიტრი იყოს. მისი ნათესაური კავშირები, აზროვნების წესი, ხასიათი ამ თანამდებობისთვის შეუფერებელია. იგი დეპარტამენტის შესანიშნავი ხელმძღვანელი იქნებოდა პეტერბურგში, მაგრამ არა იმ თანამდებობაზე, რომელსაც უმზადებენ. მისი დანიშვნა ახალი, ანუ წმინდა წყლის აბორიგენტთა, ეპოქის დასაწყისია ამ ქვეყნის სამოქალაქო მმართველობაში... ეს ფაქტი სამწუხაროდ მიმანია და გამოგიტყდები, რომ ასეთი არჩევანი სევდიან ფიქრებს მგერის“ (ტექსტი დაცულია ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში. მოგვანოდა ც. ბიბილეიშვილმა. თარგმანიც მისია).

1863 წლის 13 მაისს სამეგრელოს სამთავრო ოჯახის სამეურვეო („საოპეკუნო“) საქმეებთან დაკავშირებით დიმ. ყიფიანი სწერს ეკატერინე დადიანს:

„ბარონის (ალ. ნიკოლაის – თ. ჯ.) აქ განწესებაზედ დიდი ხანია ლაპარაკობენ... მე კი გამოტყებით მოგახსენებთ, რომ ჭეშმარიტად პატიოსან კაცად ვიცნობ, მაგრამ მე იმასთან არც ოპეკუნობა შემიძლია და არც სამსახური, რაც უნდა თანამდებობა მომცენ“ (ზსი-ამ. ლ. ა. №1816. ფ. 2).

⁸³ (გვ. 236) **„ასე არ არის, კარლ ლეონტიევიჩ?“** – **კარლ ლეონტიევიჩი:** თბილისის გიმნაზიის დირექტორი (1849-1864) **კარლ ჩერმაკი.**

⁸⁴ (გვ. 236) **„...ერთი წყვილი „აპოიკიდან“ ორი წყვილი წალა გამოიჭრას?“** – **„აპოიკა“** (რუს. Опоек) ნიშნავს რბილ/მოქნილ ტყავს, თალათინს.

⁸⁵ (გვ. 239) **„ვინაიდგან გიმნაზია არის სასწავლებელი საერთო განათლებისა და არა პროფესიონალური“** – „რუსკაია სტარინას“ ფურცლებზე ამის შემდეგი ცნობები გამოტოვებულია, გარდა უკანასკნელი აბზაცისა“ (სიმ. ხუნდაძის შენიშვნა – ყიფიანი 1930: 163).

სიმ. ხუნდაძის მიერ ნახსენები უკანასკნელი აბზაცი პირველნაბეჭდში ასეა: „Предметы эти, однако, не были исключе-

НЫ ИЗ НОВОГО УСТАВА“ [„ეს საგნები მაინც არ იქნა ამოღებული ახალი წესდებიდან“] (ციფიანი 1886^ლ: 465) და შემდეგ – როგორც წინამდებარე ტექსტშია: „და იმ მომენტიდან გიმნაზიის მზრუნველად აღარ ვიყავი“.

⁸⁶ (გვ. 241) **„აჲ არას დროს არ ყოფილა ბატონ-ყმობა ... ხედავდნენ იმასვე, რაც იმათ რუსეთის შუაგულ გუბერნიებში უნახავთო!“** – ამ საკითხის შესახებ დიმი. ციფიანი თავის ერთ ადრინდელ (1847 წლის) თხზულებაში („ბატონყმობის შესახებ საქართველოში, იმერეთსა და გურიაში“) წერს:

„ვახტანგის კანონთა კრებულისადმი, როგორც დაუშლელ-დაუყოფელი მთლიანობისადმი, მიდგომამ წარმოშვა ბარონ განის შეხედულება, თითქოს ადრე საქართველოში ბატონყმობა არ არსებობდა. საქმე ისაა, რომ კრებულში შესულ სომხურ სამართალში (მუხლი 171) ნათქვამია: „აზატია დამბადებელისაგან კაცთაგანი ბუნება, მაგრამ პატრონყმობა ამისა ნდომებითა იქმნა მინისა და წყლისა. და ვისაც არა აქუს მინა და წყალი, ის კაცი აზატია, სადაც უნდა წავიდეს, არ არის სამართალი ხელმწიფეთაგან და თავადთაგან ძალად დაჭერა და დაყენება ერთ ადგილს, გინდა და არა იქ იყაო“. – თუ კარგად დავაკვირდებით ამ მუხლის აზრს, დავინახავთ, რომ ადამიანის პირადი თავისუფლების დაცულობა არ გამორიცხავს ბატონყმობის არსებობას, რადგანაც ამ მუხლში ლაპარაკია მინაზე ადამიანის დამოკიდებულების, როგორც ამ ადამიანის თავისუფლების შემზღუდავი პირობის, შესახებ. სომხური სამართლის სხვა მუხლები მკაფიოდ ადასტურებს ბატონყმობის არსებობას: ყმათა ყიდვა-გაყიდვის დაშვება (მუხლები 14 და 21), კაბალითა და ქორწინებით ყმობა (მუხლები 32, 33, 37, 75 და 76) და უფლება მემამულისა, იპოვოს და დაიბრუნოს გაპარული გლეხი (მუხლები 24 და 25). ეს კანონები, როგორც უკვე ითქვა, იხმარებოდა სხვა ქვეყნებიდან გამოსულთა და უშენ და ნაოხარ მინებზე დასახლებულთა მიმართ ყოფილ დისტანციებში: ყაზახის, შამშადილის, ბამბაკ-შურაგელისა და, ნაწილობრივ, სომხეთსა (უნდა იგულისხმებოდეს *სომხითი* – ქვემო ქართლის პროვინცია –

თ. ჯ.) და თრიალეთში. ხოლო საქართველოსა (ანუ ქართლ-კახეთში – თ. ჯ.) და თანამომქმე იმერეთსა და გურიაში საკუთრივ ქართული კანონები მოქმედებდა. ამ კანონების მიხედვით კი: ბატონს უფლება ეძლევა სხვადასხვა ფორმით გაყიდოს ან გაასხვისოს საკუთარი გლეხი (მუხლები 162, 260); – გლეხი და ყველაფერი, რაც მას მოეპოვება, მთლიანად ბატონის კუთვნილებაა (მუხლი 260). – თავისუფალი კაცი, რომელიც საკუთარი ნებით ეყმო ბატონს ან სხვა ფორმით დაექვემდებარა მას, ამ ბატონის საკუთრება ხდება (მუხლები 198-261); – თუ ყმა სხვა ბატონს მიუვიდა, ძველ ბატონს მინიჭებული აქვს უფლება, გარკვეულ ვითარებაში დაიბრუნოს იგი (მუხლები 199, 200, 201, 262); – ყმის უძრავ-მოძრავი ქონება ბატონის სრულ გამგებლობაშია (მუხლი 258). – დასასრულ, ერთადერთი შეზღუდვა ბატონისა ყმის მიმართ არის ის, რომ ხელმწიფის ნებართვის გარეშე ბატონს არ შეუძლია დანაშაულისთვის ყმის სიკვდილით დასჯა. წინააღმდეგ შემთხვევაში ბატონს ხელმწიფის რისხვა დაატყდება თავს, ხოლო გლეხსა და მის მემკვიდრეებს არა აქვთ უფლება, მოითხოვონ საზღაური (მუხლი 95). – 259-ე მუხლში სხვათა შორის ნათქვამია: „თუ ყმა მს შეიტყო, რომ ბატონს ჩემს მოვრჩებიო, ბევრი ავი იქნება“. შესაბამისად, კანონში მოცემულია გაფრთხილება, რა შეიძლება მოჰყვეს გლეხის მცდელობას, გათავისუფლდეს ბატონისაგან. – ასეთია ბატონყმობის ძირითადი დამახასიათებელი ნიშნები საქართველოში, იმერეთსა და გურიაში...“ (ყიფიანი 2018: 16-17; წყაროები და ლიტერატურა პ. განის რეფორმის შესახებ იხ. ყიფიანი 2018: 401).

⁸⁷ (გვ. 242) **„სამართლისა და სასჯელის საქართველოს ექსპედიციას (Экспедиция суда и расправы)...“** – „Экспедиция суда и расправы“ – ადგილობრივი ხელისუფლების სასამართლოს ფუნქციების აღმასრულებელი ორგანო იყო“ (სიმ. ხუნდაძის შენიშვნა – ყიფიანი 1930: 164).

⁸⁸ (გვ. 243) **„ხომ გაყვიროდენ საფრანგეთში: „la propriété est le vol“** – „საკუთრება ქურდობაა“. საფრანგეთის ცნობილი ანარქისტის პრუდონის სიტყვებშია, რომელიც გადმოღებუ-

ლი აქვს საფრანგეთის დიდი რევოლუციის მოღვაწის ბრისოსაგან...” (სიმ. ხუნდაძის შენიშვნა – ყიფიანი 1930: 164).

⁸⁹ (გვ. 243) „**მამა 1884 წ. ოდესაში გარდაცვლილი გენერალი მწერლისა**“ – იგულისხმება ამიერკავკასიის მთავარსამმართველოს საბჭოს წევრის, ანდრეი ფადეევის, შვილი – გენერალ-მაიორი, ისტორიკოსი და პუბლიცისტი **როსტისლავ ანდრეის ძე ფადეევი**, რომელიც 1883 წლის 29 დეკემბერს (ახ. სტ. 1884 წლის 10 იანვარს) გარდაიცვალა ოდესაში (იქვეა დაკრძალული).

⁹⁰ (გვ. 246) „**მრავალ რიცხოვან თავად-აზნაურობაში კრინტიც არავის არ დაუძრავს თვით ამ ბატონ-ყმობის გადაგდების წინააღმდეგ**“ – „რასაკვირველია, დ. ყიფიანის ეს მოსაზრება, რომ თავად-აზნაურობაში კრინტიც არავის დაუძრავს ბატონყმობის მოსპობის წინააღმდეგ – სრულიად არ შეესაბამება ისტორიულ სინამდვილეს, დიდი უმეტესობა თავად-აზნაურობისა წინააღმდეგი იყო ბატონყმობის მოსპობის, მხოლოდ ძლიერ მცირედი ნაწილი განათლებული ინტელიგენციისა ებრძოდა ამ რეაქციონური ნაწილის თვალსაზრისს. მაგრამ, როდესაც მთავრობამ კატეგორიულად მოითხოვა რეფორმის გატარება, თავადაზნაურობა იძულებული შეიქნა მთავრობას დასთანხმებოდა და ეზრუნა იმისთვის, რომ „რეფორმა“ მისდა სასარგებლოდ ჩატარებულიყო. ამ პოლიტიკას ადგადიმ. ყიფიანიც“ (სიმ. ხუნდაძის შენიშვნა – ყიფიანი 1930: 164)..

ქართველი თავადაზნაურობის დიდი უმეტესობა, ცხადია, სიხარულით არ შეხვედრია ბატონყმობის გაუქმების იდეას, თუმცა არც წინააღმდეგობა გაუწევია: თავადაზნაურულმა ფენამ იმპერატორ ალექსანდრე II-ის ნებით განსაზღვრული სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საქმე – საგლეხო რეფორმა – მიიღო როგორც გარდაუვალი მოცემულობა და რეფორმის პროექტის მომზადებისას სცადა, რაც შეიძლება ნაკლები უფლებრივი და ქონებრივი დანაკარგებით გამოსულიყო ამ საქმიდან (ქართლ-კახეთის თავადაზნაურობის წარმომადგენელთა შეხედულებები კარს მომდგარი საგლეხო

რეფორმის განხორციელების ფორმებისა და საშუალებების შესახებ იხ. „შეკრება ოც და ერთის ჰაზრისა ორას ორმოცთა საქართველოს მებატონეთა მიერ წარმოთქმულისა ბატონ-ყ-მობაზედ“ – ყიფიანი 2018: 306-392).

რაც შეეხება საგლეხო რეფორმის მიმართ საკუთრივ დიმ. ყიფიანის დამოკიდებულებას, ამ საკითხზე ა. ჯორჯაძე წერს: „მას (დიმ. ყიფიანს – თ. ჯ.) ასულდგმულედა ორი აზრი, – ერთის მხრით იგი აღფრთოვანებული იყო ადამიანის თავისუფლების იდეით, მეორეს მხრით, ამ დიდი იდეის განხორციელება ისე უნდოდა, რომ არ შერყეულიყო სოციალური წყობილების მშვიდობიანობა და მემამულენი ძალიან არ დაზარალებულიყვნენ. უფლებრივი თავისუფლება, ხოლო ეკონომიური დამოკიდებულება – აი ფორმულა დ. ყიფიანის პროექტისა“ (ჯორჯაძე 1989⁹¹: 442; აღმოსავლეთ საქართველოში ბატონყ-მობის გაუქმების საქმეში დიმ. ყიფიანის ადგილისა და როლის შესახებ იხ.: ჩხეტია 1950; ჯორჯაძე 1989⁹¹: 462-478; ავალიანი 1912; ხუნდაძე 1936: 120-147; უთურაშვილი 1989: 37-45).

⁹¹ (გვ. 247) **„დებულების პროექტის შედგენა თავად-აზნაურობამ მე დამავალა ... მაისში მე უარის თქმა მომიხდა ამ დავალებაზე, ხოლო სექტემბერში – ისევ ხელის მოკიდება, სიღნაღის და თელავის მაზრების თავად-აზნაურთა დაჟინებული მოთხოვნით“** – „დ. ყიფიანმა ენერგიული მუშაობა გასწია ბატონყმობის საკითხისათვის მასალების შეგროვებაში: ერთი მხრივ მან შეაგროვა რუსეთის მთავრობის ღონისძიებანი, რომელიც შეეხებოდა საქართველოში ბატონყმობის მონესრიგების საკითხს, მეორე მხრივ შეადგინა ცალკე 14 მუხლიდან შემდგარი კითხვები და დაუგზავნა ყველა მაზრის თავად-აზნაურობას, რომ გამოეთქვათ თავიანთი აზრი ბატონყმობის მოსპობის პირობებზე. დიმ. ყიფიანის მიერ შეგროვილი მასალები, რომელიც მან შესაფერისად დაალაგა სისტემატიურად, ძვირფას მასალას წარმოადგენს საქართველოს უახლოესი ისტორიის შესასწავლად“ (სიმ. ხუნდაძის შენიშვნა – ყიფიანი 1930: 164-165).

ა) დიმ. ყიფიანის მიერ შედგენილი პროექტი საგლეხო რე-
ფორმისა იხ. ყიფიანი 2018: 133-192.

ბ) დიმ. ყიფიანის მიერ ამ დავალებაზე უარის თქმის შესა-
ხებ იხ. ყიფიანი 2018: 141 (სახელმწიფო სამსახურიდან და-
თხოვნილი ვარ და ჩემმა მონაწილეობამ შეიძლება საქმე და-
აზარალოსო).

გ) „სიღნაღის და თელავის მაზრების თავად-აზნაურთა
დაჟინებული მოთხოვნის“ შესახებ იხ. ყიფიანი 2018: 141-142.

დ) სიმ. ხუნდაძის მიერ ნახსენები „14 მუხლიდან შემდგარი
კითხვები“ იხ. ყიფიანი 2018: 306-307.

ე) სიმ. ხუნდაძის მიერ ნახსენები „შეგროვილი“ და „სისტე-
მატიურად“ დალაგებული მასალები იხ. ყიფიანი 2018: 306-
392.

⁹² (გვ. 247) „**ტფილისში ახალი მეფის მოადგილე მობრ-
ძანდა**“ – იგულისხმება დიდი მთავარი *მიხეილ ნიკოლოზის
ძე*, რომელიც კავკასიის მეფისნაცვლის თანამდებობაზე 1862
წლის დეკემბერში დაინიშნა, საქართველოში კი (თბილისში)
1863 წლის 16 მარტს ჩამოვიდა (კავკაზ 1863).

⁹³ (გვ. 249) „...**იმანაც კი მიიღო 2000 მან. პენსია და 2000
დესეტინა მიწა**“ – „რუსკაია სტარინა“-ში მე-20 თავის და-
ნარჩენი ნაწილი არ არის დაბეჭდილი დანართამდე. ითარგმ-
ნება შავი ხელნაწერიდან“ (სიმ. ხუნდაძის *შენიშვნა* – ყიფიანი
1930: 165).

⁹⁴ (გვ. 250) „**უნდობლობა გამოუცხადა მის საყვარელს
წინამძღოლს**“ – *წინამძღოლი*: *ალექსანდრე დავითის ძე
ორბელიანი*, თბილისის გუბერნიის თავადაზნაურობის წი-
ნამძღოლი („მარშალი“) 1856-1864 წწ.

⁹⁵ (გვ. 250) „**გამოუცხადა გუბერნატორს...**“ – იგულისხ-
მება საიდუმლო მრჩეველი (Тайный советник) *კონსტანტინე
ორლოვსკი*, რომელიც თბილისის სამოქალაქო გუბერნატო-
რი იყო 1860-1876 წწ.

⁹⁶ (გვ. 251) „**დანართი 20-თავისათვის**“ – ეს დანართი [„რუ-
სკაია სტარინას“ პირველნაბეჭდში: ყიფიანი 1886^ა: 622-623]

წარმოადგენს ნაწილს დიმ. ყიფიანის ვრცელი მოხსენებითი ტექსტისა – „ტფილისის გუბერნიის კეთილ-შობილთ შეკრებილებისადმი ბატონ-ყმობის საქმეზედ“ (ტექსტი სრულად იხ. ყიფიანი 2018: 133-192; მონაკვეთი, საიდანაც წინამდებარე დანართია ამოღებული იხ. 2018: 185-192; რუსულ ენაზე: ჩხეტია 1950: 256-269).

⁹⁷ (გვ. 255) **„გორის მაზრის თავად-აზნაურთა წინამძღოლმა, რომლის მაზრას უფრო ვეკუთვნოდი ჩემის ცენზით...“ – ა) გორის მაზრის თავად-აზნაურთა წინამძღოლი: ალექსანდრე შანშეს ძე ერისთავი**, ძმა 1832 წლის შეთქმულების ერთ-ერთი მეთაურის, ელიზბარ ერისთავისა. ალ. ერისთავი გორის მაზრის თავადაზნაურობის წინამძღოლი („მარშალი“) იყო 33 წლის განმავლობაში და ეს ფაქტი საგანგებოდაა აღნიშნული მის ეპიტაფიაში (დაკრძალულია ქსნის ერისთავთა იკორთის საგვარეულო სამარხში): „აქა განისვენებს გვამი ფლიგელ-ადიუტანტისა პოლკოვნიკისა თავადი **ალექსანდრე შანშეს ძისა ერისთავისა** რომელიც ოცდაცამეტი წელიწადი განაგებდა გორის მაზრისა თავად-აზნაურობის წინამძღოლბასა. დაიბადა 1811 წელსა* და აღსრულდა 1883-სა წელსა აპრილის 20 დღესა. შენსას სასუფლის შვებასა“ (მეგრელიძე 1997: 57).

ბ) დიმ. ყიფიანი თავისი **ცენზით** გორის მაზრას იმიტომ ეკუთვნოდა, რომ სოფელი ქვიშხეთი, დიმ. ყიფიანის მუდმივი საცხოვრებელი ადგილი, გორის მაზრაში შედიოდა.

⁹⁸ (გვ. 255) **„ორი არისტოკრატიული სახლისა ... სახელდობრ – თავადნი ბაგრატიონ-მუხრანსკები და ორბელიანები“** – თავადაზნაურობის წინამძღოლის („მარშლის“) არჩევა საქართველოში (ქართლ-კახეთში) რუსული მმართველობის დამკვიდრების შემდეგ შემოიღეს. პირველი არჩევნები პ. ციციანოვის დროს ჩატარდა და „მარშლად“ გარსევან ჭავჭავაძე იქნა არჩეული (1803-1811). ამის შემდეგ დიმ.

* საოჯახო ქრონიკის მიხედვით, ალექსანდრე ერისთავი სინამდვილეში 1812 წლის 18 ივნისს არის დაბადებული (იხ. ჩხეიძე 2011: 32).

ციფიანის არჩევამდე (1864, 16,II) „მარშლები“ იყვნენ: კონსტანტინე ივანეს ძე მუხრანბატონი (1812-1839), დიმიტრი თამაზის (თომას) ძე ორბელიანი (1839-1855), ივანე თამაზის (თომას) ძე ორბელიანი (1855-1856), ალექსანდრე დავითის ძე ორბელიანი (1856-1864).

⁹⁹ (გვ. 255) **„უტიტულო აზნაურის კანდიდატურის წამოყენება შეუძლებელია, ეს არას დროს არ ყოფილაო“** – უტიტულო აზნაური ჩვენში, განსხვავებით რუსეთისგან, საკუთრივ აზნაურს (არათავადს) ნიშნავდა. „რუსეთში აზნაურობა (дворянство) შედგებოდა ორ თანასწორუფლებიან ფენად – ტიტულიან (თავადი, გრაფი) და უტიტულო (ჩვეულებრივ) აზნაურებად“ (კაკაბაძე 1997: 67).

¹⁰⁰ (გვ. 256) **„ერთხელ ბარონ ნიკოლაისთან მიმინვიეს“** – „რუსკაია სტარინას“ პირველნაბეჭდში *ბარონი ნიკოლაი* არ არის ნახსენები. ამის ნაცვლად წერია: „...До того был приглашен однажды к одному из представителей местной власти в Тифлисе“ [„მანამდე ადგილობრივი ხელისუფლების ერთ-ერთ წარმომადგენელთან მიმინვიეს თბილისში“] (ციფიანი 1886^ა: 625; ციფიანი 1930: 165).

¹⁰¹ (გვ. 256) **„მეფის მოადგილის სახლში...“** – „რუსკაია სტარინას“ პირველნაბეჭდში *მეფის მოადგილე* [კავკასიის მეფისნაცვალის მიხეილ ნიკოლოზის ძე] არ არის ნახსენები. ამის ნაცვლად წერია: „В некоторых домах...“ [„ზოგიერთ ოჯახში...“] (ციფიანი 1886^ა: 625; ციფიანი 1930: 165).

¹⁰² (გვ. 256) **„უპირველესად იმ პირისთვის, რომელსაც ეს ადგილი ეჭირა“** – *ეს ადგილი* იმ დროს (1858-1864 წწ.) ალექსანდრე დავითის ძე ორბელიანს ეჭირა.

¹⁰³ (გვ. 257) **„ტფილისის მაზრის თავად-აზნაურთა წინამძღოლმა...“** – იგულისხმება *ზაალ (ტატო) დავითის ძე ბარათაშვილი*. დადგენილი წესის მიხედვით, თბილისის **გუბერნიის** თავადაზნაურობის წინამძღოლის („მარშლის“) არყოფნის შემთხვევაში მის მოვალეობას თბილისის **მაზრის** თავადაზნაურობის წინამძღოლი („მარშალი“) ასრულებდა.

¹⁰⁴ (გვ. 257) „წინამძღოლად ამორჩევა არა საპატიო თავადის, არამედ უბრალო აზნაურისა, შეურაცხყოფაა მთელი საზოგადოებისათვის“ – გრიგოლ ორბელიანის სიტყვას ნიკ. ყიფიანი ასე გადმოგვცემს:

„– მოგმართავთ თქვენ, საქართველოს კეთილშობილს თავდააზნაურობასა! სად არიან დღესა სახელოვანნი გვარნი სოლალიშვილებისა, ბასტაშვილებისა? და სხვ. (აქ ჩამოთვალა რამდენიმე გვარები, რომელიც აღარ მახსოვს), განიფანტნენ, განჰქრნენ, როგორც გაჰქრა ჩვენი დიდება! აღარ გვიბრწყინვენ დღეს იგინი, ვინც უწინ ბრწყინავდნენ ქართლ-კახეთში!.. დავეცენით, დავეცირდით, წარვხდით, ვაი ჩვენს თავსა! მაგრამ, ახლა ვინცა დავრჩით წარჩინებულთა, უკეთესთა გვართა შვილნი, მოგმართავთ საქართველოს კეთილშობილსა თავდააზნაურობას, მოგმართავთ ჩვენ, თქვენი უფროსნი ძმანი, თქვენ, ჩვენს უმცროსს ძმათა, – ნუ გვაჭმევთ სირცხვილსა, ნუ დაგვასვამთ თავზედ ჩვენ, ქართლ-კახეთის გამაბრწყინებელ გვართა, აზნაურიშვილსა, აბაშიძის ნააზნაურევის შვილსა!..“ (ყიფიანი 1894: 93; საშვილიშვილო მოკავშირე... 2007: 22-23).

ანტონ ფურცელაძის ცნობით, მას შემდეგ, რაც დიმ. ყიფიანის მოწინააღმდეგეთა ფრთა დამარცხდა, გრ. ორბელიანს ასეთი (ა. ფურცელაძის შეფასებით, „ისტორიული“) ფრაზა უთქვამს: „საქართველო მაშინ დაიღუპა, როცა მე და ნვიმიტიძე ერთმანეთს შეგვასწორეს!“ (ფურცელაძე 1912; საშვილიშვილო მოკავშირე... 2007: 81).

¹⁰⁵ (გვ. 258) „...სამსახურიდან დათხოვნაზე წარმადგინა. გამოვიდა უმაღლესი ბრძანება ჩემი სამსახურიდან დათხოვნისა თ ა ნ ა ხ მ ა დ ს უ რ ვ ი ლ ი ს ა“ – დიმ. ყიფიანი სამსახურიდან (მეფისნაცვლის საბჭოს წევრობიდან) ალ. ბარიატინსკის მითითებით 1862 წლის 21 ივნისს დაითხოვეს. ამას წინ უძღოდა მიმონერა საზღვარგარეთ მყოფ ალ. ბარიატინსკისა და მეფისნაცვლის მთავარსამმართველოს

უფროს ა. კრუზენშტერნს შორის, ხოლო ალ. ბარიატინსკის ხსენებული მითითების პრაქტიკული აღსრულება კავკასიის მეფისნაცვლის მოვალეობის შემსრულებელს, გრიგოლ ორბელიანს, მოუწია (ჩხეტია 1950: 120-122; უფრო ვრცლად საკითხის შესახებ, აგრეთვე, წყაროები და ლიტერატურა იხ. ყიფიანი 2018: 424-425).

¹⁰⁶ (გვ. 258) „**ხოლო ერთხელ გამოთქმული სიტყვის ერთგული ვარ**“ – დიმ. ყიფიანს ჩანერილი აქვს მის მიერ ყრილობაზე წარმოთქმული ამ სიტყვის ტექსტი და იქ ეს ფრაზა ასეა: „მე მონა ვარ ერთხელვე წარმოთქმულის ჩემის სიტყვისა“ (ხეც. დიმ. ყიფიანის არქ., საქ. №276; ჩხეტია 1950: 312).

¹⁰⁷ (გვ. 259) „...**შედეგად გამოიტანა: თეთრი კენჭი 273; შავი – 4“ – 273** პირველნაბეჭდის კორექტურაა – ყიფიანი 1886: 627). ალ. ნიკოლაი პეტერბურგში გაგზავნილ მოხსენებაში სხვა ციფრებს ასახელებს: *მომხრე – 172, წინააღმდეგი – 7* (ჩხეტია 1950: 01). მცირეოდენი განსხვავებაა მეფისნაცვალ მიხეილ ნიკოლოზის ძის მიერ „კავკასიის კომიტეტში“ წარდგენილ მიმართვაში: *მომხრე 171, წინააღმდეგი – 7* (ჩხეტია 1950: 316). თვითონ დიმ. ყიფიანთან: *171 მომხრე და 5 წინააღმდეგი* (იხ. მისი 1864 წლის 21 თებერვლის წერილი ეკატერინე დადიანისადმი – ზსიამ. ლ. ა. №1825. ფ. 2).

წყაროები და ლიტერატურა 1864 წლის 16 თებერვლის არჩევნების შესახებ, გარდა წინამდებარე ტექსტისა, იხ.: საშვილიშვილო მოკავშირე... 2007: 20-24, 79-82, 126-127, 215-229; ჯორჯაძე 1989: 453-457; ხუნდაძე 1936: 88-95; უთურაშვილი 1989: 92-97; ჯოლოგუა 1997: 163-168.

¹⁰⁸ (გვ. 259) „**ასეთივე წესით მოხდა მეორე კანდიდატის ამორჩევაც, რომელმაც მიიღო რამოდენიმე თეთრი კენჭით მეტი შავზედა**“ – *მეორე კანდიდატი იყო გრიგოლ რევაზის ძე მაყაშვილი*, რომელიც იმავე ყრილობაზე თელავის მაზრის თავადაზნაურობის წინამძღოლად („მარშლად“) აირჩიეს. გრ. მაყაშვილმა მიიღო 124 ხმა 58-ის წინააღმდეგ (ჩხეტია 1950: 01). განსხვავებული მონაცემებია მეფისნაცვალ მიხეილ

ნიკოლოზის ძის მიერ „კავკასიის კომიტეტში“ წარდგენილ მიმართვაში: *მომხრე 128, წინააღმდეგი – 50* (ჩხეცია 1950: 316).

¹⁰⁹ (გვ. 260) „...სამი წლით: 1864-1866 წლამდე“ – დიმ. ყიფიანი თბილისის გუბერნიის თავადაზნაურობის წინამძღოლად („მარშლად“) ხელმეორედ 1867 წლის 5 მაისს აირჩიეს (მის მიერ ამ წლის არჩევნებზე წარმომთქმული სიტყვა იხ.: კავკაზ 1867; დროება 1867^ა).

¹¹⁰ (გვ. 260) „მეფის მოადგილე ნახულობდა და ამშვიდებდა, რომ ყიფიანს არ დაამტკიცებენო“ – „ეს წინადადება „რუსკაია სტარინას“ რედაქციას გამოუტოვებია“ (*სიმ. ხუნდაძის შენიშვნა* – ყიფიანი 1930: 165).

მეფის მოადგილე (დიდი მთავარი მიხეილ ნიკოლოზის ძე), გარდა იმისა, რომ მონარქიული ოჯახის წევრი იყო, ამ დროს რუსეთის სახელმწიფო საბჭოს ხელმძღვანელობდა და რედაქცია, როგორც ჩანს, ამ რანგის პერსონის ირონიულ კონტექსტში მოხსენიებას მოერიდა.

¹¹¹ (გვ. 260) „და მართლაც, უმაღლესი დამტკიცება მხოლოდ აპრილის დამლევს გამოვიდა“ – ა) დიმ. ყიფიანის თბილისის გუბერნიის წინამძღოლად („მარშლად“) არჩევა იმპერატორმა ალექსანდრე II-მ 1864 წლის 15 მარტს დაამტკიცა (ყიფიანი 29: 82), ხოლო ეს ამბავი საქართველოში აპრილის დამლევს გახდა ცნობილი; ბ) „მარშლად“ დიმ. ყიფიანის დამტკიცებას ართულებდა არა მარტო ქართლ-კახეთის არისტოკრატის ერთი, ფრიად გავლენიანი, ნაწილის წინააღმდეგობა, არამედ სახელისუფლებო და საზოგადოებრივ წრეებში გავრცელებული აზრიც იმის შესახებ, რომ დიმ. ყიფიანი გულით საქართველოს ავტონომიის ფარულ იმედს ატარებდა და, შესაძლებელია, თავისი ახალი თანამდებობა მას პოლიტიკური მიზნებისთვის გამოეყენებინა. ყოველივე ამის გამორკვევა და რუსეთის უმაღლესი ხელისუფლებისათვის კონფიდენციალური მოხსენების წარდგენა დაევალა კავკასიის მთავარსამმართველოს იმდროინდელ უფროსს, ბარონ ალ. ნიკოლაის, რომელმაც 1864 წლის 28 თებერვლით

დათარიღებული მოხსენება გავზავნა პეტერბურგში. ეს არის საფუძვლიანი ანალიზი არა მარტო კონკრეტული მოვლენისა – „მარშლად“ დიმ. ყიფიანის არჩევისა, არამედ ალ. ნიკოლაის ამ ტექსტში ცხადად ჩანს, ერთი მხრივ, ხელისუფლების დამოკიდებულება ქართველი თავადაზნაურობისადმი და, მეორე მხრივ, თვითონ ქართველი თავადაზნაურობის თვითშეგნებაში მიმდინარე ტრანსფორმაციები. ამდენად, ალ. ნიკოლაის ეს მოხსენება წარმოადგენს მნიშვნელოვან საისტორიო მასალას XIX საუკუნის საქართველოს პოლიტიკური და სოციალური ისტორიისათვის და ამიტომ ჩვენ მას აქ ვრცლად (თუმცა შემოკლებულად) ვიმონუმბთ:

„[არჩევნების] მეორე დღეს, ე. ი. 17 თებერვალს, თბილისის სამოქალაქო გუბერნატორმა დიდ მთავარს, კავკასიის მეფისნაცვალს წარუდგინა მოხსენებითი ბარათი, რომელსაც ხელს აწერენ გენერალ-ადიუტანტი, თავადი [გრიგოლ] ორბელიანი და გენერალ-ლეიტენანტი, თავადი [ივანე] ბაგრატიონ-მუხრანსკი. მათი განმარტებით... უარი თქვეს კენჭისყრაში მონაწილეობის მიღებაზე, რადგანაც ყიფიანი თავის დროზე ხელისუფლების სპეციალური განკარგულებით იყო დათხოვნილი მეფისნაცვლის საბჭოს წევრის თანამდებობიდან. ამას გარდა, მოხსენებით ბარათში ჩამოყალიბებულია მოსაზრება, რომლის თანახმადაც ყიფიანის არჩევა ხელს ვერ შეუწყობს დაქსაქსული და ურთიერთდაპირისპირებული თავადაზნაურობის გაერთიანებას და, ამდენად, ვერ მოიტანს სასურველ შედეგს... – ნამდვილმა სამოქალაქო მრჩეველმა, ყიფიანმა, თავის სამსახურებრივ და საზოგადოებრივ მდგომარეობას დაულაღავი შრომით მიაღწია. არც გვარიშვილობით, არც ქონებრივად იგი არ ეკუთვნის აქაური თავადაზნაურობის მაღალ ფენებს, მაგრამ არაჩვეულებრივი ნიჭისა და თავაუღებელი შრომის ნყალობით მან საზოგადოებაში დაიმკვიდრა ისეთი მნიშვნელოვანი ადგილი, რომელმაც წინამძღოლის არჩევნებზე გადასძალა გავლენას იმ უძველესი გვარეულობებისა, აქამდე შეუცვლელად რომ ინარჩუნებდნენ ამ მეტად საპატიო თანამდებობას. – ზნეობრივი

ღირსებები ბ-ნ ყიფიანს ყოველთვის უნარჩუნებდა სამაგალითოდ პატიოსანი კაცის რეპუტაციას, მაგრამ მეტისმეტად გამახვილებული თავმოყვარეობა ზოგჯერ მეტად ართულებდა მასთან ურთიერთობას. რაც შეეხება ბ-ნი ყიფიანის პოლიტიკურ მრწამსს, ამაზე მხოლოდ ერთი რამის თქმა შეიძლება: მას ჰყოფნის გონიერება და შეგნებული აქვს, რომ რუსეთის ხელისუფლებისადმი მორჩილება მისი სამშობლოს არსებობის ერთადერთი გარანტიაა... – საგუბერნიო წინამძღოლად ბ-ნი ყიფიანის არჩევას, შესაძლებელია, თბილისის გუბერნიაში გარკვეული მნიშვნელობა მიეცეს. რუსეთში ამ თანამდებობაზე ისეთი პირის არჩევა, რომელიც არ ეკუთვნის უმაღლეს არისტოკრატიულ გვარეულობებს, ყოველთვის იმდენად ჩვეულებრივ მოვლენად ითვლებოდა, რომ ამას საზოგადოებაში არასოდეს გამოუწვევია რაიმე გართულება თუ წინააღმდეგობა. რუსეთში საგვარეულო შტოს ძლიერება ამა თუ იმ პირს არ აძლევს არავითარ ხელშესახებ უპირატესობას არც ხელისუფლების, არც საზოგადოების წინაშე; გაცილებით უფრო ფასობს ქონებრივი მდგომარეობა და პიროვნული ღირსებები. საქართველოში კი შენარჩუნებულია გვაროვნული თვითშეგნება; იმ გვარეულობებისა, რომელთაც უძველესი ისტორიისა და იმ ადგილის გამო, ფეოდალური საქართველოს სამეფოში რომ ეჭირათ, დიდი ძალაც ჰქონდათ და – დიდი მნიშვნელობაც. თუმცა საქართველოს რუსეთთან შეერთების შემდეგ ეს ძალა გაქრა და მათმა მნიშვნელობამაც მხოლოდ გარეგნული, ფორმალური ხასიათი შეინარჩუნა. ჩვენს ხელისუფლებას აქაური უმაღლესი წოდებისათვის არ მიუნიჭებია რაიმე განსაკუთრებული უფლებები. ამასთანავე, იგი (ხელისუფლება) ცდილობდა, ხელი შეეწყოს ზოგიერთი, უძველესი ისტორიისა და ოდესღაც დიდი გავლენის მქონე, გვარეულობისათვის, შეენარჩუნებინა ხსოვნა წარსულში მოპოვებული გამორჩეული პატივისა. ნაწილობრივ ეს შემდეგი გარემოებითაც უნდა აიხსნას: ახალშემოერთებული, ენითა და ზნე-ჩვეულებებით უცხო ქვეყნის მოსახლეობასთან დაახლოება ჩვენს ხელისუფლებას უნდა დაეწყოს იმ ფენიდან, რომელიც შემდეგ ამ ქვეყანაში რუსეთის გავლენის თანდათანობითი გავრცელების იარაღად გადაი-

ქცეოდა. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ძველი საქართველოს ფეოდალები საკუთარ სამშობლოში რუსული სულისა და რუსული ზნე-ჩვეულებების ბუნებრივი დამამკვიდრებელი იყვნენ. ამას გარდა, უმაღლესი ნოდების წარმომადგენლები სხვებზე ადრე შეუდგნენ სახელმწიფო სამსახურის გზით ცხოვრების სახსრის მოპოვებას და რუსეთთან აუცილებელი კავშირის პირობებში განათლების მოთხოვნილებაც პირველებმა იგრძნეს. აზნაურობამ კი დროთა განმავლობაში სწორედ რუსული ხელისუფლებისგან მიიღო თავადობასთან უფლებრივი თანასწორობა (იმათაც კი, ვინც ადრე უმაღლესი ნოდების უშუალო დაქვემდებარებაში იმყოფებოდნენ). აზნაურობამ დაიწყო მისთვის აქამდე მიუწვდომელი სახელმწიფო სამსახურისკენ გზების ძიება, რათა ლუკმაპურიც გაეჩინა და, ამასთანავე, ქართული არისტოკრატის მანამდე დახშული წრის რღვევაც მოეხერხებინა. – ასე და ამგვარად, არა მარტო სახელმწიფო, არამედ არჩევითი ხასიათის სათავადაზნაურო თანამდებობებზეც გუშინდელმა პლებებმა პატრიციების გვერდით დაიკავეს ადგილი. უკანასკნელთა მხრიდან ამ მოვლენას რაიმე წინააღმდეგობა არ გამოუწვევია; მით უფრო, სულიერ მოთხოვნილებათა გაფართოებასთან ერთად თავადობამ იმისი საჭიროებაც იგრძნო, რომ მათ თანამოაზრეები უნდა ეძებნათ არა გვაროვნულ ნუსხებში, არამედ ნიჭიერთა და განათლებულთა შორის. მხოლოდ თავადაზნაურობის წინამძღოლის თანამდებობა რჩებოდა აქამდე მაინცადამაინც უმაღლეს ნოდებას. ეს უცილობლად ასეც უნდა მომხდარიყო, რამდენადაც თავადურ გვარეულობებში გამჯდარი იყო ჩვევა საზოგადოების სხვა ფენებზე მორალური ბატონობისა. მე ვერ შევალ იმის განსჯაში, თუ რა კვებავდა ამგვარ შეგნებას და რა შედეგები შეგვეძლო აქედან მიგველო. თავს იმის თქმის უფლებას კი მივცემდი, რომ ზემოაღნიშნული ჩვევა ნასაზრდოებია საერთოდ თავადური წრეების განსაკუთრებული მოწინებით საკუთარ გვარეულობათა უძველესი ისტორიისადმი. უკანასკნელი 25 წლის განმავლობაში ადგილობრივი ხელისუფლების მხარდაჭერით გუბერნიის თავადაზნაურობის წინამძღოლის პოსტს უცვლელად ინარჩუნებდნენ ორბელიანები. ბაგრატიონ-მუხრანსკების,

ერისთავების, ანდრონიკაშვილების მცდელობები, გამოეგლიჯათ დანიშნურებული გვარეულობისთვის ქართველი თავადაზნაურობის ბაირალი, უშედეგოდ მთავრდებოდა; ორბელიანები არ თმობდნენ ამ პატივს, ამასთანავე, მფარველს პოულობდნენ ადგილობრივ უმაღლეს სახელისუფლებო წრეებში... – საჭიროდ არ მიმაჩნია, ამ საკითხს („მარშლად“ დიმ. ყიფიანის არჩევას – თ. ჯ.) საერთოდ მიექცეს საგანგებო ყურადღება; ვინც არ უნდა იყოს თბილისის გუბერნიაში თავადაზნაურობის წინამძღოლი, თავისი მოვალეობების მეტ-ნაკლებად წარმატებული შესრულებისთვის იგი, გარდა იმავე ხელისუფლებისა, სხვა დასაყრდენს ვერ იპოვის. წარმოვიდგინოთ ნოდება, რომელსაც არა აქვს არავითარი პოლიტიკური ძალა, არავითარი მატერიალური დამოუკიდებლობა და, შეიძლება ითქვას, მხოლოდ და მხოლოდ ხელისუფლების მიერ სხვადასხვა ფორმითა და საკმაოდ უხვად აღმოჩენილი შემწეობის წყალობით არსებობს. ასეთი საზოგადოებრივი ფენის წინამძღოლი შეიძლება იყოს მარტოოდენ შუამავალი თავის ნოდებასა და ხელისუფლებას შორის, რათა ამ უკანასკნელმა ესა თუ ის წყალობა გაიღოს და ვერავითარ შემთხვევაში იგი (წინამძღოლი) ვერ გახდება რაიმე პოლიტიკური ორგანიზმის მეთაური. თუკი არსებობენ ცალკეული პირები, რომელნიც უსაქმურობის ჟამს ოცნებობენ თითქოსდა ბედნიერ ხანაზე, ან გაუქმებულ დამოუკიდებელ საქართველოზე ან კიდევ მისი ავტონომიური უფლებების* გაფართოებაზე და ამ გზით საქართველოსა და დანარჩენ იმპერიას შორის უფრო მკვეთრი მიჯნის დადებაზე, მათი ფუჭი ოცნებები შეიძლება მხოლოდ პოეზიის სფეროს მივაკუთვნოთ და ეს ოცნებები რეალობასთან ოდნავი შეხებისთანავე მყისვე დაიმსხვრევა. – საქართველო ერთ დღესაც ვერ იარსებებს რუსეთის გარეშე და სა-

* ალ. ნიკოლაის აქ მხედველობაში უნდა ჰქონდეს ის **ადმინისტრაციულ-მმართველობითი** ავტონომია, რომელიც ამიერკავკასიისთვის ჯერ კიდევ მიხ. ვორონცოვმა გამოითხოვა იმპერატორ ნიკოლოზ პირველისგან, ხოლო მოგვიანებით ალ. ბარიატინსკიმ ალექსანდრე მეორის მეშვეობით კიდევ უფრო გააფართოვა (საკითხის შესახებ იხ. ყიფიანი 2019: 460-461).

ქართველოს რუსეთთან შეერთება რომ უღმობელი რეალობაა და ამ რეალობას ვერავითარი ბუნდოვანი ოცნებები ვერ შეცვლის, ეს შეგნებული აქვს აქაურთა არა მარტო მოაზროვნე ნაწილს, არამედ – იმათაც, რომელთა ფიქრი მხოლოდ არსებობის შენარჩუნებისა და ქონებრივი უზრუნველყოფისკენაა მიპყრობილი. აქედან გამომდინარე, გუბერნიის წინამძღოლში ისეთი პიროვნების „აღმოჩენა“, რომელსაც საშუალება ექნება, გამოხატოს რაიმე პოლიტიკური იდეა ან გადაჭრას პოლიტიკური ამოცანა, ნიშნავს, ხელოვნურად შევიქმნათ სიძნელებები იქ, სადაც ეს სიძნელებები არ არსებობს. თუ ყოველივე ზემოთქმულს იმასაც დავუმატებთ, რომ: აქაური თავადაზნაურობა ყოველთვის იყო მოკლებული ერთიანი მოქმედების უნარს, აქ ჯერაც არ წარხოცილა საუკუნეობრივი გვაროვნული დაპირისპირებები, არსებობს გათიშულობა ცალკეული მაზრების ინტერესთა შორის, დაბოლოს, ამჟამად მეტად გამწვავებულია ურთიერთობა მემამულეთა და მათი მფლობელობისგან თავდაღწეულ სოფლის მოსახლეობას შორის, ძნელი არ იქნება დავრწმუნდეთ, თუ რა მცირე გავლენა ექნება გუბერნიის წინამძღოლს მოვლენათა განვითარებაზე. ასე რომ, ერთადერთი გადაწყვეტილება, რომელიც ამ საქმეს პოლიტიკური პრობლემის სახეს მისცემდა, იქნებოდა ხელისუფლების მიერ არჩევნების შედეგების გაუქმება. – არსებობს აზრი, თითქოს ბ-ნი ყიფიანი ქართული ავტონომიის თავყვანისმცემელთა რიცხვს ეკუთვნოდეს. ამჟამად მე მოკლებული ვარ შესაძლებლობას, დაბეჯითებით დავადასტურო ან უარყო ეს ხმები, მაგრამ არ შემიძლია არ აღვნიშნო შემდეგი გარემოება: ბ-ნი ყიფიანი ვერ იარსებებს ხელისუფლების მატერიალური შემწეობის გარეშე და იგი იძულებული უნდა იყოს, გულწრფელი, მაგრამ ჩვენთვის არასასურველი პოლიტიკური ოცნებები, თუკი ამგვარი რამ საერთოდ არსებობს, საკუთარი ოჯახის მკაცრ და ყოველდღიურ ნივთიერ საჭიროებებს დაუმორჩილოს. აშკარაა, რომ ამ სავარაუდო და არა დაბეჯითებით გამოთქმულ მოსაზრებას ხელისუფლებამ მხოლოდ მაშინ უნდა მისცეს მნიშვნელობა, თუკი იპოვის საბაბს, ბ-ნი ყიფიანი რომელიმე პოლიტიკური მისწრაფების გამომხატველად მიიჩნიოს... –

თავადაზნაურობის ამგვარ არჩევანში არ უნდა ვეძებოთ არც მემამულური ფენის მეტისმეტად გაზრდილი მოთხოვნილებებიდან გამომდინარე პოლიტიკური მოტივები, არც პროტესტის გამოხატვის ფორმა ბ-ნი ყიფიანის სამსახურიდან გაშვების გამო და, ბოლოს, არც აზნაურობის დაუფარავი დაპირისპირება თავადურ წრეებთან. წინააღმდეგ შემთხვევაში ჩვენ, შესაძლებელია, ბ-ნი ყიფიანს შევუქმნათ ისეთი პიედესტალი, რომელზედაც, მიუხედავად უაღრესად გამახვილებული პატივმოყვარეობისა, სხვა შემთხვევაში იგი ვერ ამალღდება... – ზემოთ უკვე აღვნიშნე, რომ აქამდე მეფისნაცვლები თავადაზნაურობას ფარული გზებით აგებინებდნენ სასურველი კანდიდატის ვინაობას, მაგრამ ამჟამად ვითარება შეიცვალა. თუკი ყოფილ მეფისნაცვლებს შეეძლოთ, მფარველობა გაენიათ ამა თუ იმ თავადური გვარეულობისათვის და ეს ხელისუფლებისათვის სასარგებლო საქმედაც კი მიეჩნიათ, ჩემი რწმენით, ასე ვერ მოიქცევა ხელმწიფის ძმა, რომელიც, დგას რა ყოველგვარ ნოდებრიობაზე მაღლა, განასახიერებს ხელმწიფურ სამართალსა და მიუკერძოებლობას და, ამდენად, წინასწარ ვერც ერთ გვარეულობას ვერ მიანიჭებს უპირატესობას. შესაბამისად, მას მართებს თავის არიდება ნებისმიერი პირდაპირი თუ არაპირდაპირი ჩარევისგან ისეთ საქმეში, რომელიც კანონითა და ხელმწიფის ნებით თავისუფალი არჩევანის უფლებას იძლევა. ამგვარი მოქმედება მრავალმხრივაა გამართლებული; მით უმეტეს, ყოველგვარი ზენოლა, ვისგანაც არ უნდა მომდინარეობდეს იგი, თავადაზნაურობამ საფუძვლიანად შეიძლება აღიქვას, როგორც საჭიროების დროს ხელმწიფესთან ურთიერთობის შემაფერხებელი გარემოება. მოცემულ შემთხვევაში კი არჩევანის თავისუფლებამ ის შედეგი გამოიღო, რომ მოშალა უმართებულო ტრადიცია, მაინცადამაინც ერთსა და იმავე თავადურ გვარეულობას სჭეროდა გუბერნიის თავადაზნაურობის წინამძღოლის პოსტი... – დასასრულ, ბ-ნი ყიფიანი შემდგენელია თავადაზნაურობის უმეტესი ნაწილის სახელით წარმოდგენილი გლეხთა გათავისუფლების პროექტისა და მასზე ხელის მოწერით, უნდა ვიფიქროთ, აქვთ იმედი, რომ შემდგენელი დაიცავს კიდევაც ამ პროექტში ჩა-

მოყალიბებულ პრინციპებს. ეს კი, ჩემი აზრით, გაამართლებს ხელისუფლების გადაწყვეტილებას, მისცეს ბ-ნ ყიფიანს აზრის გამოთქმისა და მოქმედების საშუალება. მარტო ეს უკანასკნელი გარემოება გამოორიცხავს ბ-ნი ყიფიანის მხრიდან ყოველგვარ განზრახვას, თუკი ასეთი რამ მას საერთოდ უდევს გულში, მემამულეთა წრეში შექმნას ხელისუფლების სანინალმდეგო მოძრაობა. უფრო პირიქით, წინამძღოლის თანამდებობაზე მის დაუმტკიცებლობას შეუძლია ფარული ოპოზიციის შექმნა და ეს ოპოზიცია მოიპოვებს ბ-ნი ყიფიანის ყველა ამომრჩევლის თანაგრძნობას...“ [ალ. ნიკოლაის ტექსტი სრულად დედნის (რუსულ) ენაზე იხ.: ჩხეტია 1950: 01-012; ქართული თარგმანი შენიშვნებითა და კომენტარებით იხ. საშვილიშვილო მოკავშირე... 2007: 215-229].

¹¹² (გვ. 260-261) **„ღირსი გავხდი მიველე მეფის მოადგილეს ... იმ შემთხვევაზე კი ერთი გადაკრული სიტყვაც არ თქმულა“** – მეფის მოადგილის (მეფისნაცვალ მიხეილ ნიკოლოზის ძის) მიერ დიმ. ყიფიანის მიღების ამბავს ავსებს იმავე დიმ. ყიფიანის გვიანდელი, 1864 წლის 12 ივნისის, წერილი ეკატერინე დადიანისადმი:

„როდესაც დამტკიცება გამოვიდა და რა დღესაც ველიკი კნიაზთან წარვდექე, იმავე დღეს გაუკეთე ვიზიტი გრიგ. ორბელიანს და შემდეგ თვით ივანე მუხრანსკისაც. სხვებმა ყველამ გადმიხადა ვიზიტი და ამათ კი ჯერაც არ გადაუხდიათ, მაგრამ მე ამასაც არ ვიმჩნევ და სადაც ერთმანერთს შევკბვდებით ხოლმე, თითქო ჩვენში უსიამოვნოება არა ყოფილარაო ისე ვართ ხოლმე“ (ზსიამ. ლ. ა. №1828. ფ. 1).

უნდა ითქვას, რომ წყენა პირველმა მაინც დიმ. ყიფიანმა გადალახა – იმავე 1864 წლის 31 აგვისტოს იგი წერილს სწერს გრ. ორბელიანს (საქმე ეხება სათავადაზნაურო-საადგილმამულო ბანკის დაარსების იდეას. ვიმონებთ შემოკლებულად):

„კერძობითად მე იქნება დანაშაული მიმიძლოდეს რამე ისეთი თქვენს წინაშე, რომ ღირსი ვიყო წყრომისა, – თუმცა კი

დიდის სიამოვნებით შევიანინებდი, რომ ვიცოდე; – მაგრამ რაც მოჰხდა, მოჰხდა; მარშალი ვარ ახლა და საკუთრად ამ წოდების ვალდებულებით მივმართავ თქვენს ბრწყინვალეებას: დიდს შემწეობას გვედრებით, არა ჩემთვის, არამედ საზოგადო საქმისათვის... – თუ თქვენის სახიერის გრძნობით სასარგებლოდ ჰპოვოთ ეს საქმე ჩვენის საზოგადოებისათვის, პირადად ჩემს დამდურებას ნულარ გაიხსენებთ და თვით საქმეს დაავალეთ თქვენის სიტყვითა და მონაწილეობითა“ (საე. ფონდ. 214. აღნ. I. საქ. №3366. ფ. 6; ჩხეტია 1950: 322).

¹¹³ (გვ. 261) **„გადმომცემს ბარონი ნიკოლაის დიდ ნუხილს“** – „ბარონ ნიკოლაის გვარი რუსულად დაბეჭდილში აღნიშნულია №№-ით“ (სიმ. ხუნდაძის შენიშვნა – ყიფიანი 1930: 165).

¹¹⁴ (გვ. 262) **„არაფერი არეულობა არ ყოფილა და არც შეიძლებოდა ყოფილიყო“** – ავტორი, რომლის ვინაობა ჩვენ ვერ გამოვარკვეეთ, თბილისში ბატონყმობის გაუქმების გამოცხადებასთან დაკავშირებით წერს:

„დიდი მთავარი მიხეილ ნიკოლოზის ძე მეტად ფრთხილობდა და ეჭვში იყო, რომ გლეხთა განთავისუფლება მშვიდობიანათ მომხდარიყო. ადგილობრივ მთავრობის მოხელეთა მომეტებული ნაწილი უმტკიცებდა დიდს მთავარს სასტიკი ზომების მიღების საჭიროებას. ამათ რიცხვში ქართველნიც იყვნენ და სომეხნიც. მცირე ნაწილი კი ამ მოხელეთა შორის, როგორც იყვნენ დიმიტრი ყიფიანი, მიხეილ თუმანიშვილი, ზაქარია ავთანდილაშვილი, იოსებ და კონსტანტინე მამაცაშვილები, გრიგოლ და ვახტანგ ორბელიანები და ამათი მეგობრები, უმტკიცებდნენ, რომ არავითარი შიში არ მოეღის მთავრობას ქართველთაგან. თუმცა აქაც კი იყვნენ ზოგიერთნი ქართველნი წინააღმდეგნი გლეხთა განთავისუფლების, მაგრამ ხმამაღლა და აშკარად ამის გამოცხადებას ვერ ჰბედავდნენ... – ისე იყო შემინებული მიხეილ ნიკოლოზის ძე, რომ თავის სასახლის სახურავზე ავიდა თავის ცოლ-შვილით და იქიდან უცქე-

როდა ხალხის მოძრაობას, ღრინაცელსა და უზომო მხიარულებას.
 – მე, ამ სტრიქონების დამწერი, სხვა ჩემ ტოლებს შორის ვიყავი
 ქუჩაში სასახლის წინ და ჩემი თვალითა ვნახე მიხეილ ნიკოლოზის
 ძე სასახლის სახურავზე ასული იმ დროს, როცა ჩვენი დიდკაცო-
 ბა, თავად-აზნაურნი და გლეხთა წარმომადგენლები სასახლეში
 შედიოდნენ მთავარმართველთან მადლობის გადასახდელად...
 – რუსეთში სუყველას უკვირდა, რომ საქართველოში ამ „ველურ-
 მა“ ქართველობამ სიხარულით ჩაატარა ყმების განთავისუფლება
 მონობისაგან და არავითარი წინააღმდეგობა არ გამოუჩენია, რო-
 გორც მოხდა რუსეთის ზოგიერთს გუბერნიაში“ (სახალხო გაზეთი
 1911; საშვილიშვილო მოკავშირე... 2007: 129-130).

თვითონ დიმ. ყიფიანი 1864 წლის 27 ნოემბერს თბილისი-
 დან პეტერბურგში სწერს ეკატერინე დადიანს: „ბატონყმო-
 ბის საქმე 8-ს ნოემბერს გამოცხადდა; ურიგობა და უწესოე-
 ბა სრულიად არა მომხდარარა და იმეღია, რომ არც მოხდეს“
 (ზსიამ. ლ. ა. №1834. ფ. 1).

¹¹⁵ (გვ. 262) „ახლა კი ოთხივ კუთხით შემომეხვივნენ
კითხვებით: როგორ, რაო, რატომ?“ – „რუსკაია სტარინას“
 რედაქციას მე-22-ე თავის დანარჩენი ნაწილი გამოუტოვე-
 ბია, გარდა იმ აბზაცისა, რომელშიაც ლაპარაკია ტფ. თავ-
 ად-აზნაურთა დაჯილდოებაზე 1866 წ.“ (სიმ. ხუნდაძის შენი-
 შვნა – ყიფიანი 1930: 166).

¹¹⁶ (გვ. 263) „ცხადია, რომ ცუდი თვალთ გვიცქეროდ-
**ნენ, როგორ თუ გ ა ვ ბ ე დ ე თ და ხმა ამოვიღეთ რაღაცა
 უფლებებზე და რაღაცა კანონებზე**“ – ეს აბზაცი „რუსკაია
 სტარინას“ პირველნაბეჭდში არ არის (ყიფიანი 1886^ა: 630).

¹¹⁷ (გვ. 263) „**კერძო ცხოვრებაში**“ – „...მეოთხე თავი –
 კ ე რ ძ ო ც ხ ო ვ რ ე ბ ა შ ი – „რუსკაია სტარინაში“ არ ყოფი-
 ლა დაბეჭდილი. ქართული ტექსტი გადათარგმნილია იმ შავი
 ხელნაწერიდან, რომელიც ინახებოდა დ. ყიფიანის არქივში.
 ამ ჟამად დაკარგულია“ (სიმ. ხუნდაძის შენიშვნა – ყიფიანი
 1930: 166).

¹¹⁸ (გვ. 264) „...პირველ ბიბლიოთეკაზე, რომელიც ტფილისში მხოლოდ 40-იან წლების დასაწყისში დაარსდა“ – დიმ. ყიფიანს მხედველობაში აქვს *საზოგადოებრივ* ინიციატივაზე დაფუძნებული *პირველი* ბიბლიოთეკა. მანამდე, 1830-1831 წწ. თბილისში ფუნქციონირებდა ეკატერინე კოტოვას *კომერციული* ბიბლიოთეკა (ე. კოტოვას ბიბლიოთეკის შესახებ იხ.: აქტები 1881: 23; გურგენიძე 1969: 78-83; ბერძნიშვილი 1983: 72; ლორია... 1974: 176-178; ე. კოტოვას განცხადება ბიბლიოთეკის გახსნის შესახებ, აგრეთვე, ბიბლიოთეკით სარგებლობის წესები იხ. ტიფლისკი ვედომოსტი 1830; გურგენიძე 1969: 78-82).

¹¹⁹ (გვ. 265) „ნარვუდგინე მას „ტფილისის კერძო ბიბლიოთეკის“ წესდების პროექტი ... აღარ დაგვიყოვნებია ჩვენი სურვილის განხორციელებას შევდგომოდით“ – „ტფილისის კერძო ბიბლიოთეკის“ დაარსებაზე ზრუნვა (შემდგომში მისი საზოგადოებრივ ბიბლიოთეკად გადაქცევის მიზნით) დიმ. ყიფიანს 1840 წლიდან დაუწყია (ყიფიანი 1930: 167). ოფიციალურად „ბიბლიოთეკა“ 1842 წლის სექტემბერში დაარსდა, პრაქტიკულად კი მუშაობას 1843 წლის იანვრიდან შეუდგა. მას ჰყავდა დიმ. ყიფიანის მიერ წინამდებარე ტექსტში ჩამოთვლილი 21 დამფუძნებელი წევრი. ამ საქმეში იმთავითვე მონაწილეობის სურვილი ჰქონია კიდევ რამდენიმე პირს: ივანე ანდრონიკაშვილს, იოსებ მამაცაშვილს, დიმიტრი ორბელიანსა და ალექსანდრე საგინაშვილს, თუმცა ჩვენთვის უცნობი მიზეზებით მათ ეს სურვილი ვეღარ განუხორციელებიათ (დიმ. ყიფიანის მიერ შედგენილი სია დამფუძნებელ წევრთა ხელმოწერებით იხ.: ხეც. დიმ. ყიფიანის არქ., საქ. №219; ფოტოპირი – ყიფიანი 2009: 85).

მოგვიანებით დამფუძნებელ წევრებს კიდევ 9 პირი შეემატა: ივანე აბესალომოვი, ვასილ ბელიაევი, ალექსი ბორზენკო, გიორგი რევაზის (რომანის, რომანოზის) ძე ერისთავი, კონსტანტინე ზახი (სხვა წყაროებში – ზარხი), ივანე მუხრანბატონი, ალექსანდრე ნეიდგარტი, ივანე ნაზოროვი და ალექსანდრე ჭავჭავაძე.

„ბიბლიოთეკას“ სამი დირექტორი ჰყავდა: დიმ. ყიფიანი, ზ. ფალავანდიშვილი და მიხ. თუმანიშვილი. საერთო ხელმძღვანელი იყო დიმ. ყიფიანი, რომელსაც ეხმარებოდნენ: ზ. ფალავანდიშვილი წიგნების გამონერაში, შემონირულებათა მიღება-კლასიფიკაციასა და ზოგადად წიგნადი ფონდის დაკომპლექტებაში, ხოლო მიხ. თუმანიშვილი – ფინანსური ოპერაციების წარმოებაში (1844 წელს მიხ. თუმანიშვილი, წყაროების მიხედვით, ჩამოცილებულია „ბიბლიოთეკის“ საქმეებს, 1845 წლის 10 ივლისს ზ. ფალავანდიშვილი გარდაიცვალა და ამის შემდეგ დიმ. ყიფიანი „ბიბლიოთეკას“ განაგებდა ერთპიროვნულად).

არსებობის ბოლო დღემდე (1848 წ.) „ბიბლიოთეკა“ განთავსებული იყო დიმ. ყიფიანის სახლში, წმ. სამების ეკლესიის გვერდით (ეროვნული ბიბლიოთეკის უკან). წიგნები გაიცემოდა ყოველდღიურად, გარდა კვირა- და სადღესასწაულო დღეებისა, ნაშუადღევის 3-დან 6 საათამდე („ბიბლიოთეკის“ 1843-1844 წწ. შემოსავალ-გასავლის წიგნი იხ. ხეც. დიმ. ყიფიანის არქ., საქ. №211. ფ. 7).

წესდების ზოგიერთი მუხლისა და დამფუძნებელთა მიმონერიდან ირკვევა, რომ „ბიბლიოთეკის“ მესვეურებს წმინდა წყლის საბიბლიოთეკო ინტერესებზე გაცილებით უფრო დიდი და შორს გამიზნული ამოცანები ჰქონიათ დასახული: ქართული ხელნაწერების მოძიება, თავმოყრა და დაცვა, მათი შესწავლა და გამოქვეყნება, პერიოდული ორგანოს დაარსება, მთარგმნელობითი და საკვლევამიზნული მუშაობისთვის ხელის შეწყობა...

„ტფილისის კერძო ბიბლიოთეკა“ ძირითადად დაკომპლექტებული იყო ქართველ, რუს, ევროპელ ავტორთა წიგნებით (უხვადაა ფრანგულენოვანი ლიტერატურა, რაც, თავის მხრივ, მეტყველებს 1840-იანი წლების ქართული განათლებული წრეების ფრანკოფილურ განწყობაზე, დამახასიათებელზე საერთოდ იმ პერიოდის რუსულ-ევროპული სამყაროსათვის), აგრეთვე, პერიოდული გამოცემებით (რუსული: „ბიბ-

ლიოტეკა დღია ჩტენია“, „სევერნაია პჩელა“; ფრანგული: „რევიუ დე დიუ მონდ“, „რევიუ დე პარი“, „რევიუ ბრიტანიკ“ და სხვ.). ფონდების შევსება ხდებოდა როგორც ადგილზე შექმნილი და პეტერბურგიდან გამოწერილი ლიტერატურით, ისე შემოწირულებებით (მაგალითად, „ბიბლიოთეკას“ საკუთარი ნაშრომები შესწირა მარი ბროსემ, რომელიც, ამას გარდა, ზ. ფალავანდიშვილის თხოვნით პეტერბურგში იქნდა და თბილისში გზავნიდა მრავალფეროვან ლიტერატურას).

„ტფილისის კერძო ბიბლიოთეკაში“ თავმოყრილი ნიგნების აბსოლუტური უმრავლესობა რუსული და ევროპული მხატვრული, საისტორიო, ფილოლოგიური, ფილოსოფიური, საბუნებისმეტყველო თხზულებებია. ყოველივე ეს უდავოდ მიუთითებს „ბიბლიოთეკის“ მესვეურთა სწრაფვაზე რუსულ-ევროპული კულტურისკენ (საინტერესო გარემოება: „ბიბლიოთეკაში“ უხვად იყო გეოგრაფიული და სამოგზაურო ხასიათის ლიტერატურა, რაც, თავის მხრივ, მეტყველებს რამდენიმესაუკუნოვან იზოლაციაში ნამყოფი ქვეყნის შვილთა ლტოლვაზე სამყაროს შეცნობისაკენ).

„ბიბლიოთეკამ“ გამოაცოცხლა იმდროინდელი საზოგადოების მნიგნობრული და საგანმანათლებლო ინტერესები, თუმცა კარგად დაწყებულმა საქმემ შესაფერისი გაგრძელება ვერ პოვა. ნევრთა მნიშვნელოვანი ნაწილი სამსახურის ვალდებულებამ აიძულა, გასულიყო თბილისიდან (ნაწილი „კავკასიის ომში“ წავიდა, ნ. ბარათაშვილი, როგორც ცნობილია, ლუკმაპურის მოპოვების საჭიროებამ ნახიჩევანში წაიყვანა და ა. შ.). განსაკუთრებით მძიმე და აუნაზღაურებელი იყო „ბიბლიოთეკის“ დიდი მოამაგისა და მისი ერთ-ერთი დირექტორის, ზაქარია ფალავანდიშვილის, მოულოდნელი სიკვდილი და სხვ.

მართალია, „ბიბლიოთეკის“ მესვეურებმა ვერ განახორციელეს უმთავრესი მიზანი – საგანმანათლებლო და სალიტერატურო-სამეცნიერო კერის შექმნა, თუმცა საგანგებოდ უნდა აღინიშნოს ერთი არსებითი მნიშვნელობის გარემოება:

„ტფილისის კერძო ბიბლიოთეკა“ XIX საუკუნის საქართველოში იყო **საზოგადოებრივ ინიციატივაზე** დაფუძნებული პირველი კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულება და, შესაბამისად, წინამორბედი „ქმნკ-გ საზოგადოებისა“, „ქართული დრამატიული საზოგადოებისა“ და სხვ.

ვრცლად „ტფილისის კერძო ბიბლიოთეკის“, მისი დამფუძნებელი თუ შემდეგ შემატებული წევრების, წიგნადი ფონდის (მათ შორის, პეტერბურგიდან გამოწერილი წიგნების სიები) და სხვ. საკითხების შესახებ, აგრეთვე, წყაროები და ლიტერატურა იხ.: ჯოლოგუა 2002: 74-95, 228-260).

¹²⁰ (გვ. 265) **„ზ ა ქ ა რ ი ა ე რ ი ს თ ა ვ ი, ლეკების მიერ აკუნული 1849 წ., როდესაც ის პოლკოვნიკის ჩინით ჯარო-ბელაქნის ოლქის უფროსი იყო“** – *ზაქარია გიორგის ძე ერისთავი* ყაჩაღებმა ზაქათალა-მულანლოს გზაზე მოკლეს **1850 წლის 4 აგვისტოს** (ბერძნიშვილი 1980: 189). „ზაქარია ერისთავის სიკუდილი ეხლა შევიტყე; აქამდის მიმალავდენ. – ოჰ, რა ძლიერ შემანუხა ამ ამბავმა. საბრალო მოხუცი მამა მისი! აქამდის იმიტომ იცოცხლა, რომ უკანასკნელი იმედი თავისი დამარხოს თავის ხელით... ამოიფხვრა ეგ ოჯახიცა!“ – სწერს 1850 წლის 20 სექტემბერს გრიგოლ ორბელიანი თავის რძალს, ზაქარია ორბელიანის ცოლს, ქეთევან დიმიტრი მესხიშვილის ასულს (ორბელიანი 1936: 209-210). 1851 წლის 13 სექტემბერს კი იგივე გრ. ორბელიანი თავის ძმას, ილიას, სწერს, რომ ზაქარია ერისთავის მკვლეელიც მოკლულია: „ჯერ არ ვიცი რაოდენი ჰყავს მტერსა მკუდარი, მაგრამ ერთი ასეთი მკუდარი დარჩათ, რომ ჰღირს ასს კაცსა. ეს გახლავთ ბელაქნელი ყაჩაღი ლ ა ლ ა ა ბ დ უ ლ - ქ ე რ ი მ ო ლ ლ ი, ერისთავის მკულელთაგანი, დიდი ვაჟკაცი და ბელადი. აქაურობა აყროლებული იყო ამისაგან. ზაქარიას შინლის ვოროტნიკი თანა ჰქონდა“ (ორბელიანი 1937: 21). არაერთ ხელნაწერ კრებულში შესული ლექსი „ვიმ რა გვიამას ხმაზედ სათქმელი“ („დავკარგე ფერთა მდიდრად შემკული, ვტირ, მიმეფარა...“) ერთხანს გიორგი იესეს ძე ერისთავს მიენერებოდა (ბერძნიშვილი 1980: 229) და

იგი თითქოს ავტორმა შვილის, ზაქარიას, სიკვდილის გამო დაწერა, სინამდვილეში კი ლექსის ავტორი გიორგი ეგნატეს ძე თუმანიშვილი (1774-1837) აღმოჩნდა (ქუთათელაძე 1959: 131-137) და ზაქარია ერისთავის დაღუპვა აქ არაფერ შუაშია (ზ. ერისთავის ეპიტაფია იკორთაში იხ. მეგრელიძე 1997: 57-58; ეპიტაფიაში ზაქარიას გარდაცვალების თარიღად მითითებულია 1851 წლის 4 აგვისტო, რაც შეცდომაა. უნდა იყოს: 1850 წლის 4 აგვისტო).

რაც შეეხება **ჯარო-ბელაქანს** (უნდა იყოს: **ჭარ-ბელაქანი**), შეცდომის წყარო ამ გეოგრაფიული სახელის რუსული დაწერილობაა – *Джаро-Белокан*.

¹²¹ (გვ. 265) **„ელიზბარ ერისთავი, გარდაცვლილი 80-იან წლებში“** – სინამდვილეში ელიზბარ ერისთავი 1871 წელს გარდაიცვალა [გარდაცვალების თვეზე ორი მონაცემი არსებობს: გ. გოზალიშვილის მიხედვით – 11 იანვარი (გოზალიშვილი 1970: 40), ხოლო ელიზბარ ერისთავის ასულის, ნინო ქობულაშვილის, მიხედვით – 11 ივნისი (გოზალიშვილი 1970: 42)]. ელიზბარ ერისთავი ისევე, როგორც მისი მეუღლე ქეთევან ერისთავი, დაკრძალეს გორის საკრებულო ტაძრის („სობორო“) გალავანში, თუმცა საბჭოთა წლებში ტაძარი დაანგრიეს და საფლავები დაიკარგა.

¹²² (გვ. 265) **„ნიკოლოზ (ტატო) ბარათაშვილი, ქართველი დიდებული პოეტი, ქ. ელისავეტპოლში გარდაცვლილი“** – „როგორც სხვა მასალებიდან სჩანს დ. ყიფიანი კარგად იცნობდა ნ. ბარათაშვილსა და მის ოჯახობას. კოტე ყიფიანი, შვილი დიმიტრისა, ცნობილი არტისტი და საზოგადო მოღვაწე, გადმოგვცემს თავისი დედის სიტყვებს: Нико, называли его т а т о, был большой друг моего Димитрия и всё время пропадал у нас с утра и до поздней ночи, и обедал у нас и ужинал, только не ночевал (იხ. ნ. ბარათაშვილი: „ლექსები“, გვ. 245, 1922 წ.). სამწუხაროდ, დ. ყიფიანი თავის მემუარებში მხოლოდ გაკვრით იხსენიებს ნ. ბარათაშვილს. თვით პოეტი თავის კერძო წერილში (1841 წ.) გრ. ორბელიანისადმი სწერს

ყოფიანზე: „ჩვენმა ლიტერატურამ ორი კარგი თარგმანი იშოვა. – კიპიანმა გადმოთარგმნა *Ромео и Джулиетта* – შექსპირის ტრალედია, და მე ვთარგმნე *Юлий Тарентский* ტრალედია ლეიზევიცისა (იქვე, გვ. 94). დ. ყოფიანის ნათარგმნი რომეო და ჯულიეტა შემდეგში „ცისკარში“ დაიბეჭდა“ (სიმ. ხუნდაძის შენიშვნა – ყოფიანი 1930: 166-167).

დიმ. ყოფიანისა და ნ. ბარათაშვილის ურთიერთმიმართების შესახებ სიმ. ხუნდაძის შენიშვნა შეიძლება ორიოდ ფაქტით შეივსოს: ა) 1854 წელს დაწერილ თხზულებაში „რამდენიმე მოსაზრება საქართველოს ისტორიის მასალებზე“ დიმ. ყოფიანი ნ. ბარათაშვილს საქართველოს საუკეთესო პოეტებს შორის (რუსთველი, ჩახრუხაძე, ბესიკი, ალ. ჭავჭავაძე, გრ. ორბელიანი და სხვ.) ასახელებს (ყოფიანი 2017: 205); ბ) 1865 წლის 5 აპრილის წერილით დიმ. ყოფიანი თბილისიდან პეტერბურგში უპასუხებს თავისი შვილის, ნიკოლოზის, კითხვას – იცნობდა თუ არა ნიკოლოზ ბარათაშვილს? და ამ პასუხში მოცემულია მნიშვნელოვანი ცნობები პოეტის შესახებ (დიმ. ყოფიანის წერილი იხ.: ქლსმ. №14920. ავტოგრაფი. რუსულ ენაზე. ფ. 4; გ. ლეონიძის ქართული თარგმანი და პუბლიკაცია იხ. ლეონიძე 1940: 407-411).

რაც შეეხება სიმ. ხუნდაძის მიერ ნახსენებ „რომეო და ჯულიეტას“ დიმ. ყოფიანისეულ თარგმანს, იგი ივ. კერესელიძის „ცისკარში“ დაიბეჭდა 1859 წელს (№№5, 6; თარგმანისა და ბეჭდვის ისტორიის შესახებ, აგრეთვე, წყაროები და ლიტერატურა საკითხის გარშემო იხ.: ყოფიანი 2016: 438-439; უფრო ვრცლად – ჯოლოგუა 2002: 160-163).

¹²³ (გვ. 266) „**პოლ. სოვეტ. სერგეი ვასილკოვსკი...**“ – უნდა იყოს: *სტატ[სკი] სოვეტ[ნიკი] სერგეი ვასილკოვსკი* (ეს ხარისხი მიიღო 1843 წ. – აქტები 1884: XVII).

¹²⁴ (გვ. 266) „**აქვე მოგვყავს 1842 წ. გენერალ გოლოვინის მიერ დამტკიცებული წესები**“ – „აღნიშნული წესდება დ. ყოფიანის ხელნაწერში არ აღმოჩნდა. უკვე ტექსტი დაბეჭდილი იყო, როდესაც დ. ყოფიანის არქივის ხელმეორე გადასინჯვის

დროს... იგი აღმოჩნდა სხვა ქალაქებში ჩართული. იგი დაბეჭდილია ერთ თაბახ ქალაქზე შემდეგი სახელწოდებით: *П р а в и л а Тифлисской частной библиотеки*. ეს წესდება უმთავრესად შეეხება წიგნებით სარგებლობის წესებსა და წევრების უფლებებსა და მოვალეობას. ტექნიკურ მიზეზების გამო ამ წესდების თარგმანს ვერ ვათავსებთ შენიშვნაშია“ (*სიმ. ხუნდაძის შენიშვნა –* ყიფიანი 1930: 167).

ხეც-ში, დიმ. ყიფიანის პირად არქივში, დაცულია „ტფილისის კერძო ბიბლიოთეკის“ წესდების როგორც ხელნაწერი (№207. ავტოგრაფი. ხელმოწერა: *ტიტულარული მრჩეველი ყიფიანი*. რუსულ ენაზე. ფ. 2), ისე ნაბეჭდი/ტიპოგრაფიული (№218. უთარილო. რუსულ ენაზე. ფ. 5) ვარიანტები.

„ბიბლიოთეკის“ წესდება პირველად დედნის (რუსულ) ენაზე კოტე ყიფიანმა გამოაქვეყნა (ყიფიანი 1899), ქართული თარგმანი დაბეჭდა იაკობ ბალახაშვილმა (ბალახაშვილი 1940: 175-179), საიდანაც იგი გადმოღებული აქვს ნანა გურგენიძეს (გურგენიძე 1969: 107-111). ი. ბალახაშვილის პუბლიკაციაში (შესაბამისად, ნ. გურგენიძის პუბლიკაციაშიც) არ არის ტექსტის პრეამბულა და თარგმანში აქა-იქ ზოგიერთი შეუსაბამობაც გვხვდება. ამიტომ ჩვენ დიმ. ყიფიანის ავტოგრაფული ხელნაწერი წესდებისა (ე. გოლოვინის მიერ ვიზირებულია 1842 წლის 22 სექტემბერს) თავიდან ვთარგმნეთ (ჯოლოგუა 2002: 80-84) და ამ თარგმანს წინამდებარე პუბლიკაციაში ვიმეორებთ.

¹²⁵ (გვ. 267) „...არ უნდა აღემატებოდეს ოცდაათს“ – წესდების გვიანდელ (ნაბეჭდ) ვარიანტს, რომელსაც თავფურცელზე დიმ. ყიფიანის ხელით აწერია (რუსულ ენაზე): „აქ ჩამოყალიბებული წესების საფუძველზე ბიბლიოთეკა იწყებს ხელმოწერებს 1846 წლისათვის“, ბოლოში დართული აქვს მისივე მინაწერი: „ბიბლიოთეკის დამფუძნებლებმა... პირველ პუნქტს დაუმატეს შემდეგი: ხელმოწერებს პირველ ორ წელიწადს შემოაქვთ 30 მან. ვერცხლით, შემდეგ ორ წელიწადს – 15, ამის შემდეგ კი – 10 მან. ვერცხლით“ (*П р а в и л а Тифლის-*

ской частной библиотеки. ხეც. დიმ. ყიფიანის არქ., საქ. №218. ფ. 5).

¹²⁶ (გვ. 267) „სასწავლო და სამეცნიერო წიგნებზე...“ – ეს სიტყვები ავტოგრაფულ ხელნაწერში ასეა: „...для книг классических“, ნაბეჭდ ვარიანტში კი – „...для книг учёных и учебных“, რომელიც დიმ. ყიფიანს გადაუშლია და თავზე დაუწერია: „... для книг научных“.

¹²⁷ (გვ. 269) „...წევრები საკუთარი რიგებიდან მის მონაცვლედ სხვა პირს ირჩევენ“ – ეს პუნქტი წინა კომენტარებში ნახსენებ ბეჭდურ ვარიანტში მთლიანად არის ამოღებული და მის ნაცვლად წერია: „**ბიბლიოთეკის სამუშაო წელი ნებისმიერ პირობებში მთავრდება 1 იანვარს**“ (კურსივი ჩვენია – თ. ჯ.).

¹²⁸ (გვ. 269) „...საგარანტიოდ დატოვებენ გირაოს – 10 მანეთს ვერცხლით“ – ზემოხსენებულ ნაბეჭდ ვარიანტში ეს პუნქტი დიმ. ყიფიანს გადაუხაზავს, ბოლოში კი მიუწერია: „საკუთარი გამოცდილების გათვალისწინებით, ბიბლიოთეკის დამფუძნებლებმა გადაწყვიტეს, [წესდებიდან] საერთოდ ამოიღონ მე-15 პუნქტი“.

¹²⁹ (გვ. 270) „ამ წელს მეფის მოადგილის მთავარ-მართველობამ თავის კანცელარიასთან გახსნა ბიბლიოთეკა“ – მეფის მოადგილის [მეფისნაცვალ მიხ. ვორონცოვის] კანცელარიასთან ბიბლიოთეკა დაარსდა **1846 წელს** (სახელწოდება: „მეფისნაცვლის კანცელარიასთან არსებული საჯარო ბიბლიოთეკა“), თუმცა **საჯარო** მას მხოლოდ ნომინალურად ერქვა და მკითხველთა წრეებისთვის ბიბლიოთეკა მიუწვდომელი იყო (ბერჟე 1861: V). 1848 წელს ბიბლიოთეკამ პრაქტიკულად, თუმცა შეზღუდულად, დაიწყო ფუნქციონირება, ხოლო მკითხველთა ფართო წრეებისთვის იგი 1852 წლიდან, სპეციალური შენობის აგების შემდეგ, გაიხსნა [ბერჟე 1861: X; ამავე წელს ბიბლიოთეკას ჩამოსცილდა *მეფისნაცვლის კანცელარიის* სახელი და ეწოდა **თბილისის საჯარო ბიბლიოთეკა** (Тифлисская публичная библиотека); თბილისის საჯარო

ბიბლიოთეკის (ამჟამად საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა) ისტორიის, აგრეთვე, მისი მოამაგისა და პირველი დირექტორის, გაბრიელ ტოკარევის (გარდ. 1854; ნეკროლოგი იხ. კავკაზ 1854), შესახებ იხ.: უზნაძე 1957; ბერუე 1861: IV-XXIII; ბერძნიშვილი 1941: 159-166; ბერძნიშვილი 1983: 183; გურგენიძე 1969: 137-143; ლორია... 1974: 189-195; მიქაძე 1998: 106-107; ახვერდიანი 2002].

¹³⁰ (გვ. 270) „**1840 წლიდან ვანარმოებდი...**“ (ჩართულია ნერილი)“ – „ეს წერილი არ აღმოჩნდა ხელნაწერში. არქივში ნახულ დ. ყიფიანის წერილში სხვათა შორის ვკითხულობთ: с 1840 года я занимался составлением частной библиотеки, с целью образовать из неё со временем общественную. С 1846 года служебные мои обязанности с одной стороны и недостаток способов с другой – заставили меня прекратить занятия мои по этой библиотеке“. შემდეგ ჩამოთვლილია პირობები, რომლის მიხედვითაც დ. ყიფიანი დასთანხმდა გადაეცა თავისი ბიბლიოთეკა საჯარო ბიბლიოთეკისათვის“ (სიმ. ხუნდაძის შენიშვნა – ყიფიანი 1930: 167).

სტ. საფონოვისადმი გაგზავნილი ეს წერილი არ არის ხეც-ში დაცულ დიმ. ყიფიანის არქივში და მის კვალს ვერც სხვაგან მივაგენით. რაც შეეხება ბიბლიოთეკისათვის გადაცემულ წიგნებთან დაკავშირებულ პირობებსა და სტ. საფონოვისადმი გაგზავნილი ზემოაღნიშნული წერილის მოკლე შინაარსს, ამის შესახებ იხ. აქვე, კომენტ. 134.

¹³¹ (გვ. 270) „**1849 წ. 10 იანვ. ასეთი პასუხი მივიღე საფონოვისაგან**“ – „არც ეს წერილი იყო დედანთან და იგი შემდეგ აღმოჩნდა არქივში“ (სიმ. ხუნდაძის შენიშვნა – ყიფიანი 1930: 167).

სტ. საფონოვის ეს წერილი ამჟამად დაცულია ხეც-ში (დიმ. ყიფიანის არქ., საქ. №224. თარიღი: 10.1, 1849. რუსულ ენაზე. ფ. 2). წინამდებარე პუბლიკაციაში „მემუარების“ ნაკლებად გილს ვავსებთ ჩვენ მიერ თარგმნილი ტექსტით (საკითხის შესახებ იხ. აგრეთვე: დარჩია 1999: 171-172; დარჩია 2016: 231-232).

¹³² (გვ. 271) „1854 წლის დამდეგს ბიბლიოთეკის ახალმა გამგემ...“ – თბილისის საჯარო ბიბლიოთეკის დირექტორის თანამდებობაზე გ. ტოკარევი 1851 წელს შეცვალეს ჯერ პეტერბურგის რუმიანცევის ბიბლიოთეკის ბიბლიოთეკარმა ავგუსტ დე სენ ტომამ (აპრილი-ავგისტო), ხოლო შემდეგ (1851-1857 წწ.) – მისმა შვილმა ვლადიმერ დე სენ ტომამ (თბილისის საჯარო ბიბლიოთეკასთან დაკავშირებით ვლ. დე სენ ტომას წერილები დიმ. ყიფიანისადმი, დათარიღებული 1854-1855 წლებით, იხ. ხეც. დიმ. ყიფიანის არქ., საქ. №№1300-1302. ფ. 3).

¹³³ (გვ. 271) „ვისთხოვე ... მ. პ. შჩერბინინს, დაებრუნებიათ ჩემი წიგნები, მაგრამ მტკიცე უარი მივიღე“ – აქ ნახსენები წერილი დიმ. ყიფიანისა მიხ. შჩერბინინისადმი დაცულია ხეც-ში (დიმ. ყიფიანის არქ., საქ. №851. ასლი. უცნობი ხელით ნაწერი. რუსულ ენაზე. ფ. 1).

¹³⁴ (გვ. 271) „ამაზე 1857 წელს 12 თიბათვეს საჩივრით მივმართე სტატს-სეკრეტარს კრუზენშტერნს“ – აქ ნახსენები წერილი დიმ. ყიფიანისა ა. კრუზენშტერნისადმი დაცულია ხეც-ში (დიმ. ყიფიანის არქ., საქ. №739. ავტოგრაფი. შავი. რუსულ ენაზე. ფ. 1). წერილში დიმ. ყიფიანი ახსენებს სტ. საფონოვისათვის 1849 წ. 10 იანვარს გაგზავნილ წერილს და იმონმებს იმ პირობებს, რა პირობებითაც ბიბლიოთეკისათვის თავისი წიგნები ჰქონდა გადაცემული: „ა) თუკი დროთა განმავლობაში ჩემი წიგნების ბიბლიოთეკიდან უკან გატანის სურვილი გამიჩნდება, ვიტოვებ უფლებას, დავიბრუნო ორი მესამედი ამ წიგნებისა, დანარჩენი კი შევწირო ბიბლიოთეკას; და ბ) ბიბლიოთეკარი ვალდებულია, დროდადრო მომანოდოს ცნობები ბიბლიოთეკაში შესული ახალი წიგნების შესახებ (ვითხოვდი შეტყობინებას, უკიდურეს შემთხვევაში, თვეში ერთხელ მაინც)“.

¹³⁵ (გვ. 271) „1000 მანეთი მომცეს, მაგრამ მალე თანვე მოაყოლეს ბრძანება, რომ ამ თანხით დავკმაყოფილებულიყავი“ – ავტორს აქ მხედველობაში აქვს ა. კრუზენშტერნის 1859

ნლის 9 ოქტომბრის წერილი დიმ. ყიფიანისადმი (ხეც. დიმ. ყიფიანის არქ., საქ. №1415. ავტოგრაფი. რუსულ ენაზე. ფ. 2). ამავე წერილში ჩანს, რომ თბილისის საჯარო ბიბლიოთეკისთვის დიმ. ყიფიანს გადაუცია 510 ტომი. იგივე რაოდენობაა დასახელებული (233 თხზულება, 510 ტომი) ა. ბერჟეს მიერ შედგენილ კატალოგშიც (ბერჟე 1861: VII). აქ ერთი გარემოებაც არის გასათვალისწინებელი: ჩვენს ხელთ არსებული წყაროებით [იხ. ბიბლიოთეკის მესვეურთა მიმონერა პეტერბურგში წიგნით მოვაჭრეებთან და იქიდან მიღებული წიგნების სიები (ხეც. დიმ. ყიფიანის არქ., საქ. №№209, 210-217 და სხვ.), აგრეთვე, ზ. ფალავანდიშვილისა და მარი ბროსეს მიმონერა (ბუაჩიძე 1983: 134-135) და სხვ.; ვრცლად იხ. ჯოლოგუა 2002: 87-93] ეჭვიმუტანლად დასტურდება, რომ „ბიბლიოთეკის“ წიგნადი ფონდი გაცილებით მრავალრიცხოვანი იყო. უნდა ვიფიქროთ, „ბიბლიოთეკის“ წევრებს უსარგებლიათ წესდების მესამე პუნქტით, რომლის მიხედვითაც, წევრს „ბიბლიოთეკიდან“ ჩამოშორების შემდეგ უფლება ჰქონდა, საკუთარი წიგნები უკან წაეღო. ასე გამოდის, რომ დიმ. ყიფიანის მიერ საჯარო ბიბლიოთეკისთვის გადაცემული წიგნები მისი პირადი საკუთრება იყო და არა – „ტფილისის კერძო ბიბლიოთეკისა“.

¹³⁶ (გვ. 272) „შენიშვნას ვაკეთებ განსაკუთრებით რედაქციისათვის“ – „ლაპარაკია „Русская старина“-ს რედაქციაზე“ – (სიმ. ხუნდაძის შენიშვნა – ყიფიანი 1930: 167).

¹³⁷ (გვ. 272) „თქვენს მამულში მცხოვრებთადმი“ – 1884 წ. 16 მარტით დათარიღებულ დედანში დაკონკრეტებულია მამულის ადგილმდებარეობა: „თქვენს ბორჯომის მამულში“ [ხეც. დიმ. ყიფიანის არქ., საქ. №319. ავტოგრაფი. შავი. რუსულ ენაზე. ფ. 1; (კურსივი ჩვენია – თ. ჯ.); ჩხეცია 1950: 480].

¹³⁸ (გვ. 273) „ბახმანლიარის მამულის (სახელი გამოგონილია)“ – „როგორც სჩანს, ოფიციალურ ჟურნალში დ. ყიფიანს არ სურდა დიდი მთავარი მიხეილ ნიკოლოზის ძე დაესახელებია და ამიტომ მას ფსევდონიმის ქვეშ იხსენიებს. ბახმანლიარის მამული – ბორჯომის მამული, რომელიც მიხეილ

ნიკოლოზის ძეს ეკუთვნოდა“ (სიმ. ხუნდაძის შენიშვნა – ყიფიანი 1930: 167).

¹³⁹ (გვ. 273) „**მიენდოს ჩვენი სოფლის კაცებს – შუქიურას და სალახას იმ უფლებით, რომ მეორე პირს გადასცენ, ვისაც მოისურვებენ**“ – დედანში მითითებულია გამოგონილი სახელების, *შუქიურასა და სალახას* ნამდვილი ვინაობა: *შაქარა ჩადუნელი და სოლო პატარიძე* (ჩხეტია 1950: 477).

¹⁴⁰ (გვ. 273) „**განაჩენით ხელში მივიდნენ ამ მოხსენების შემდგენელთან**“ – დედანში *მოხსენების შემდგენელი* დაკონკრეტებულია: „...к соседственному землевладельцу Д. И. Кишиани“ [„...მეზობელ მინათმფლობელთან, დ. ი. ყიფიანთან“] (ჩხეტია 1950: 477).

¹⁴¹ (გვ. 274) „**...რისთვისაც ბახმანლიარის მოურავს შემდეგი წერილით მიჰმართა**“ – დედანში დაკონკრეტებულია როგორც მოურავის ვინაობა (*ვახილიყვი*), ისე წერილის დაწერის თარიღი: *1883 წლის 19 თებერვალი* (ჩხეტია 1950: 477).

¹⁴² (გვ. 274) „**შემოუხვიოთ ჩემთან მამულში**“ – დედანში დაკონკრეტებულია მამულის ადგილმდებარეობა: „*сел. Квишхети*“ (ჩხეტია 1950: 478).

¹⁴³ (გვ. 274) „**მოსალაპარაკებლად ამოვირჩიოთ ერთ-ერთი, თქვენ მამულთან უახლოესი პუნქტი, მაგალ... სადგური, ან... დაბა**“ – დედანში სადგური და დაბა დაკონკრეტებულია: „...*напр. Михайлово или Ахалдабь*“ (ჩხეტია 1950: 478).

¹⁴⁴ (გვ. 275) „**ოთხი კაცი: შუქიური, ხუდალი, ჯანთემირი და სალახი**“ – დედანში მითითებულია აქ დასახელებულ პირთა ნამდვილი ვინაობა: *შაქარა ჩადუნელი, ივანე ხრიკაძე, ივანე ჯვანგობეგაშვილი და სოლო პატარიძე* (ჩხეტია 1950: 478).

¹⁴⁵ (გვ. 276) „**ერთმანეთი ვნახოთ სადგურზე 1 მარტს**“ – დედანში *სადგური* დაკონკრეტებულია: *Михайлово* (ჩხეტია 1950: 478).

¹⁴⁶ (გვ. 277) „**მიბოძეთ ვიქონიო იმედი...**“ – დიმ. ყიფიანისა და იაკობ ვასილიყვის მიმონერის დედნები იხ. ხეც. დიმ. ყიფიანის არქ., საქ. №№718, 719, 1353.

¹⁴⁷ (გვ. 279) „**პირველ ქართველს და ჩემის სახით მთელ ქართველობას დეისტვიტელნი სტატსკი სოვეტნიკობის მიღებას გვილოცავდა**“ – დიმ. ყიფიანი იყო პირველი ქართველი **აზნაური** (იხ. აქვე, გვ. 73), რომელსაც ნამდვილი სამოქალაქო მრჩევლის (Действительный статский советник) ჩინი ებოძა (1854 წ. 13 დეკემბერს – ყიფიანი 29: 100). მანამდე ქართველი თავადებიდან ეს ჩინი არაერთს ჰქონდა მიღებული, ხოლო პირველი ნამდვილი სამოქალაქო მრჩეველი, რამდენადაც ვიცით, **გარსევან ჭავჭავაძე** იყო (1801 წ. – იხ. ცქიტიშვილი 1982: 163-164).

¹⁴⁸ (გვ. 280) „**ახლა ვითვლები ერთი უმაღლესი კომისიის ნევრად სანკტ პეტერბურგში**“ – „აქ დ. ყიფიანი გულისხმობს ნ. მინგრელსკის მამულის შესახებ 80-იან წლებში შემდგარ კომისიას, რომლის შესახებაც საუბარი მემუარების პირველ ნაწილში იყო (იხ. აქვე: გვ. 221-234; აგრეთვე: გვ. 123-134 – თ. ჯ.)“ (სიმ. ხუნდაძის შენიშვნა – ყიფიანი 1930: 168).

¹⁴⁹ (გვ. 280) „**1866 წლის დამდეგს პარიჟში მომიხდა მე ყოფნა**“ – დიმ. ყიფიანი ეკატერინე დადიანთან ერთად პარიზში იმყოფებოდა 1866 წლის იანვრიდან [იხ. დიმ. ყიფიანის წერილი, გამოგზავნილი პარიზიდან შვილისადმი (ნიკოლოზისადმი). ხეც. დიმ. ყიფიანის არქ., საქ. №811] იმავე წლის 19 მაისამდე [ამ დღეს დატოვა პარიზი (ზსიამ. ლ. ა. №1862. ფ. 1) და ვენის, ოდესის, ქერჩისა და ფოთის გამოვლით თბილისში ივნისის შუა რიცხვებში ჩამოვიდა (ზსიამ. ლ. ა. №1860. ფ. 1)].

¹⁵⁰ (გვ. 281) „**ეს ის ურკხარტია, რომელიც ... რუსების ერთ უმთავრეს მოძულედ ითვლებოდა**“ – „**ურკვორტი** – ინგლისელი მოღვაწე და ჟურნალისტი იყო, რომელიც 30-იან წლებში რუსეთის საწინააღმდეგო წერილებს ათავსებდა ინგლისის გაზეთებში. თავის წერილებში ეხებოდა საქართველოს საკითხსაც, რომელშიაც იგი აღნიშნავდა, თუ რუსეთმა როგორ გამოსტაცა ხელიდან ინგლისს ისეთი დიდი სავაჭრო გზა და ბაზარი, როგორსაც წარმოადგენდა საქართველო. ეს წერილები გამოხატავდა იმ ბრძოლას, რომელსაც ინგლისის

სამრეწველო კაპიტალი აწარმოებდა რუსეთის სავაჭრო კაპიტალის პოლიტიკის წინააღმდეგ როგორც სხვა სამეურნეო ცენტრებში, ისე ამიერ-კავკასიაშიაც. მ. პოკროვსკის „რუსეთის ისტორიაში“ მოყვანილია ურკვორტის რამოდენიმე ციტატა, რომელშიაც იგი ეხება საქართველოსაც (იხ. ტ. IV, გვ. 37-8)“ (სიმ. ხუნდაძის შენიშვნა – ყიფიანი 1930: 168).

¹⁵¹ (გვ. 286) „...მიიღოს საქართველო თავის უშუალო მმართველობაში და ამით მოასვენოს ქვეყანა გარეშე მტრებისგანაც და შინაურული არეულობისგანაცაო“ – იგულისხმება გიორგი XII-ის მიერ იმპერატორ პავლე პირველისთვის გაგზავნილი „სათხოვართა პუნქტები“, რომლის მიხედვითაც, ქართლ-კახეთის მეფე თავის სამეფოს რუსეთის უშუალო გამგებლობაში გადასცემდა („უმსხვერპლეთ ყოველი სამეფო და სამფლობელო ჩემი უზაკველითა და ქრისტიანებრითა ჭემმარიტებითა მსხვერპლებითა და დაუდევით არა თუ მფარველობასა ქვეშე უდიდებულესსა დიდსა რუსეთისა საიმპერატოროსა ტახტსა, არამედ დაანებეთ სრულსა ნებასა და მზრუნველობასა მათსა, რათა ამიერითგან დაიდვას სამეფო ქართლოსიანთა საიმპერიოდ რუსეთისად წესითა მით, ვითარცა სხვანი იგი რუსეთსა შინა პყრობილნი პროვინციანი სარგებლობენ“ – იოსელიანი 1936: 92). გიორგი XII-ის „სათხოვართა პუნქტების“ საფუძველზე პავლე I-მა 1800 წლის 18 დეკემბერს გამოსცა მანიფესტი, რომლითაც უქმდებოდა ქართლ-კახეთის სამეფო და აქ რუსეთის უშუალო მმართველობა მყარდებოდა, თუმცა იგი არ ყოფილა რატიფიცირებული და, შესაბამისად, მას არავითარი იურიდიული საფუძველი არ გააჩნია – მხოლოდ ისტორიის ფურცელია (საკითხის შესახებ, აგრეთვე, წყაროები და ლიტერატურა იხ. ყიფიანი 2016: 407-409).

¹⁵² (გვ. 286) „იმპერატორმა ალექსანდრემ, ჯერ კი უარზე დამდგარმა...“ – ალექსანდრე I-მა, სანამ 1801 წლის 12 სექტემბრის მანიფესტს გამოსცემდა, საკითხი განსახილველად სახელმწიფო საბჭოს რამდენჯერმე გადასცა. საბჭო იმპერ-

ატორს ქართლ-კახეთის სამეფოს გაუქმებისა და იქ რუსეთის უშუალო მმართველობის დამყარების აუცილებლობას ასაბუთებდა, თუმცა ალექსანდრე I მაინც ორჭოფობდა. ქართლ-კახეთში შექმნილ ვითარებაზე წარმოდგენის შესაქმნელად მან გამოგზავნა გენერალი კ. კნორინგი, რომელსაც ძირითადად ორი საკითხი უნდა გამოერკვია: ა) იყო თუ არა რუსეთთან შეერთების სურვილი ქართლ-კახეთში საყოველთაო; ბ) შეეძლო თუ არა ქართლ-კახეთს მეზობელ სახელმწიფოთა აგრესიასთან გამკლავება და დამოუკიდებლობის შენარჩუნება. კ. კნორინგმა იმპერატორს წარუდგინა დასკვნა, რომლის მიხედვითაც, ხალხი ერთსულოვანი იყო რუსეთთან შეერთების საკითხში და ქართლ-კახეთის სამეფოს ამონურული ჰქონდა დამოუკიდებლობის შენარჩუნების რესურსი. ყოველივე ამას საბოლოოდ 12 სექტემბრის მანიფესტი მოჰყვა (საკითხის შესახებ იხ.: ბერძენიშვილი 1965: 253-257; კაკაბაძე 1997: 61-62; გურული 2017: 72-84).

¹⁵³ (გვ. 286) „...**დღესაც აქვს ასეთი შთაბეჭდილება ამ მანიფესტის წაკითხვის დროს**“ – ალექსანდრე I-მა, გააუქმა რა პავლე პირველის 1800 წლის 18 დეკემბრის მანიფესტი, 1801 წლის 12 სექტემბერს გამოსცა ახალი მანიფესტი ქართლ-კახეთის სამეფოს გაუქმებისა და მისი რუსეთის იმპერიისთვის უშუალო დაქვემდებარების შესახებ. მანიფესტში ვკითხულობთ: „არა აღორძინებისათვის ძალთა, არა ნივთათათვის, არა განვრცვლებისათვის საზღვართა, და ესრეთსა უკვე ვრცვლისა ქვეყანასა ზედა იმპერიასა შინა, მივიღებთ ჩვენთვის ზედა ტვირთსა საქართველოს სამეფოსა მართებლობისასა. მხოლოდ პატივი და კაცობრიობა სდებენ ჩვენზედა საღმრთოსა ვალსა, მსმენმან ვნებულთა ვედრებისა განსადევნელად შეჭირვებათა მათთა დავანესო საქართველოსა შინა მმართველობა, რომელსაცა ეძლოსცა დამყარება მართლმსაჯულებისა, ნივთისა და საქონლისა უშიშროებისა, და მიცემად თვითოეულისა დაცვა სჯულისა“ (იოსელიანი 1936: 237-238) და სხვ. [12 სექტემბრის მანიფესტი დედნის (რუსულ)

ენაზე იხ. აქტები 1866: 432-433; რუსულ-ქართული პარალელური ტექსტი – იოსელიანი 1936: 234-239].

¹⁵⁴ (გვ. 287) „...ისეთი სიტყვების წარმოთქმა, რომელიც იმათთვის უდიდეს ცინიზმს გამოჰხატავდა“ – „არეულობა მანიფესტის გამოცხადების დროს გამოიწვია არა მანიფესტის სიტყვებმა, არამედ თვით შინაარსმა და გამოცხადების წესმა. როგორც ცნობილია, მანიფესტზე „ორ წყება ჯარის“ საშუალებით მიაღებეს ფიცი; მეორე მხრივ საქ.-ში მეფობის მოსპობამ დიდი უკმაყოფილება და არეულობა გამოიწვია გაბატონებულ წოდების დიდ ნაწილში. პირველი მნიშვნელოვანი არეულობა მოხდა 1802 წ.“ (სიმ. ხუნდაძის შენიშვნა – ყიფიანი 1930: 169).

თბილისში, რუსული ჯარით ალყაშემორტყმულ სიონის ტაძარში, ალექსანდრე I-ის მანიფესტი გამოცხადდა 1802 წლის 12 აპრილს, პრაქტიკულად კი რუსული მმართველობა ქართლ-კახეთში იმავე წლის 8 მაისიდან ამოქმედდა (ბერძენიშვილი 1965: 261; გურული 2017: 93-96).

¹⁵⁵ (გვ. 288) „ასეთი აზრი კოვალენსკის მოუვიდა პირველად და მთავრობისგან დანიშნული ფულით დააარსა ტფილისში სასწავლებელი“ – იგულისხმება თბილისში 1802 წელს დაარსებული კეთილშობილთა სასწავლებელი, რომელიც მალევე დაიხურა. „დახურვის მიზეზი იმაში მდგომარეობდა, რომ, პირვანდელი განზრახვის წინააღმდეგ, ის გამოდგა არა რუსულ-ქართული, არამედ წმინდა რუსული სასწავლებელი. მოსწავლეებს არა ესმოდათ-რა არც თავისი მასწავლებლისა, არც სკოლისა საერთოდ და იძულებული იყვნენ მალე მიეტოვებინათ იგი“ (თავიშვილი 1974: 198). მთავარმართებელმა პ. ციციანოვმა კეთილშობილთა სასწავლებელი ხელმეორედ 1804 წელს დააფუძნა (თბილისის კეთილშობილთა სასწავლებლის შესახებ იხ.: თავიშვილი 1974: 202-209; ხუნდაძე 1951: 5-21).

¹⁵⁶ (გვ. 288) „ციციანოვს დიდი ხნის ბრძოლა დასჭირდა, სანამ კოვალენსკის საქართველოს საქმეთა მმართველ-

ლობიდან გადააყენებდა“ – პ. ციციანოვის დაბეჯითებული მოთხოვნით პ. კოვალენსკი საქართველოდან გაიწვიეს 1803 წლის შემოდგომაზე (ბერძნიშვილი 1983: 69), მანამდე კი, იმავე 1803 წლის 10 თებერვალს, ციციანოვი სწერს კოვალენსკის: „თქვენ თქვენი უსულგულობითა და ქართველი თავადაზნაურობისადმი უდიერი დამოკიდებულებით ადგილობრივი ხელისუფლება ხალხს იმ ზომამდე შეაძულეთ, რომ მე ვიხილე რუსული მმართველობისადმი აქაურთა შემზარავი დამოკიდებულება“ (აქტები 1868: 20).

¹⁵⁷ (გვ. 288) **„სასტიკ ზომას მიმართეს და არ დაერიდნენ საქართველოს სამეფო ოჯახის წევრების განდევნასაც რუსეთისაკენ“** – ქართლ-კახეთის ტახტის აღდგენისა და მასზე ასვლის პრეტენზია და პერსპექტივა რომ არ ჰქონოდათ, ახალი (რუსული) ხელისუფლება სხვადასხვა ხერხით – „საკუთარი ნებითა“ თუ ძალდატანებით, „მიპატიჟებითა“ თუ მოტყუებით, ოჯახითა თუ ოჯახის გარეშე – ბატონიშვილთა განდევნას რუსეთში (პეტერბურგი, მოსკოვი, ბელგოროდი, ოლონეცი, ტულა, ვორონეჟი და სხვ.) 1801 წლიდანვე შეუდგა (ჩამონათვალი ბატონიშვილებისა განდევნის დროისა და ადგილის მითითებით იხ. ჯოლოგუა 2013: 143-145).

რუსეთში განდევნილ ბატონიშვილთა საერთო ტრაგედია მკაფიოდ ჩანს პეტერბურგში გარდაცვლილი და იქვე დაკრძალული 24 წლის ჯიბრაილ გიორგი XII-ის ძე ბატონიშვილის ეპიტაფიაში: „გარემოებამ სოფლისამ მეც მცა ხუედრი და მწარე მყო უცხო უცხოთა ქუეყანასა [...] მოვედით მეცნო სიყრმისა ჩემისანო[,] ნახეთ ნალკოტი განხუდრებული ჩემი[,] ყუავილი ძირათ ბაგრატიონთ ნაცვივი[,] ვარდ მენამული ნარდიონ შროშან-რთული[,] და ამის ლოცუას ჰყოფდეთ ჩემთვის მეჭურეტინ“ [ჯოლოგუა 2013: 145; სრულად – ხეც. S-388, ფ. 5-7; განმარტებისათვის: **ნარდიონი** – სურნელოვანი ყვავილის, ნარდის (სუმბულის), ზეთი].

¹⁵⁸ (გვ. 289) **„ბატონიშვილი დავითი ... პირველი გაიწვიეს სანკტ-პეტერბურგში სამეფო ინვესტიტურის მისაღებად“**

– „ბ ა ტ ო ნ ი შ ვ ი ლ ი დ ა ვ ი თ – ძ ე გ ი ო რ გ ი X I I I -ისა, თანახმად რუს[ეთ]თან დადებული ხელშეკრულებისა, უნდა გამხდარიყო მამის გარდაცვალების შემდეგ საქ. მეფედ. 1800 წ. 28 დეკემბ., როდესაც გარდაიცვალა გიორგი X I I I -ე ლაზარევმა არ დართო ნება დავითს სათანადო განკარგულების მიღებამდე გამოეცხადებინა თავი მეფედ. იგი საქართველოს მართავდა როგორც სამეფოს რეგენტი, სამეფოს მოსპობის შემდეგ იგი განვეულ იქნა რუსეთში. დავითი ევროპიულად განათლებული პიროვნება იყო და მასთანვე მნიგნობარიც“ (სიმ. ხუნდაძის *შენიშვნა* – ყიფიანი 1930: 169-170).

¹⁵⁹ (გვ. 290) „...**ასულნი მისნი მცირეწლოვანნი თამარი და მარიაში**“ – შვილი, სახელად *მარიაში*, მარიამ დედოფალსა და გიორგი X I I -ს არ ჰყოლიათ. როგორც ჩანს, ეს არის ანა ბატონიშვილი (ზოგიერთ წყაროში *ანასტასიას* სახელით იხსენიება – ბერძნიშვილი 1983: 91). იგი 1803 წელს დედასა და და-ძმებთან ერთად რუსეთში, კერძოდ, ბელგოროდში, გადასახლეს, 1811 წელს კი დედასთან ერთად მოსკოვში ცხოვრების უფლება მისცეს: „ანა თავად აბაშიძეზე [ეს არის ესტატე გიორგის ძე აბაშიძე – თ. ჯ.] იყო გათხოვილი და მოსკოვში ცხოვრობდა. იქვე გარდაიცვალა, დასაფლავებულია მოსკოვში, პოკროვსკის მონასტერში (გონიკაშვილი 1986: 181). ანა ბატონიშვილის გარდაცვალების თარიღად მაქს. ბერძნიშვილს მითითებული აქვს 1821 წელი (ბერძნიშვილი 1983: 89), ინტერნეტწყაროების მიხედვით კი იგი 1850 წლის 26 მაისს გარდაიცვალა (ინტერნ. 2; ინტერნ. 3).

¹⁶⁰ (გვ. 290) „**ეს მკვლელობა დედოფალმა თავის-თავზე მიიღო და ამის გამო რამდენიმე ათეული წლობით რომელიღაც მონასტერში გაგზავნეს, ტამბოვის გუბერნიაში**“ – ივანე ლაზარევის მკვლელის ვინაობის შესახებ არსებობს რამდენიმე ვერსია: ოფიციალური (გენერალი ხანჯლით მოკლა თვითონ მარიამ დედოფალმა) და არაოფიციალური [გენერალი მოკლა ნიკოლოზ ხიმშიაშვილმა, რომელიც ამის შემდეგ თბილისიდან გაიქცა და თავი შეაფარა ახალციხეს,

სადაც მოკვდა 1807 წელს. პ. იოსელიანის ცნობით, ნიკ. ხიმ- შიაშვილის მიერ ლაზარევის მოკვლის ამბავი მისთვის თვი- თონ მარიამ დედოფალს უამბია – იოსელიანი 1936: 119-120, 254). არაოფიციალურ ვერსიას იმეორებენ ნინო გიორგი XII- ის ასული, საქართველოს არქიეპისკოპოსი პაფნუტი, ალ. ორბელიანი და სხვ. (ბერძნიშვილი 1983: 91). ზოგი ცნობით, ლაზარევის მკვლელობა ჯიბრაილ ბატონიშვილსაც მიეწერე- ბა – გონიკაშვილი 1986: 184].

თამარ და აკაკი პაპაევი საკითხის შესახებ არსებული წყაროებისა და ლიტერატურის შეჯერების შემდეგ დაასკვ- ნიან – ლაზარევი მარიამ დედოფალმა მოკლაო (პაპაევა 1956: 160-171, 269-270).

რაც შეეხება ტამბოვის გუბერნიაში გაგზავნის ამბავს, დაჭრილი და ჯარით გარშემორტყმული მარიამ დედოფალი ლაზარევის მკვლელობის დღესვე, 1803 წლის 19 აპრილს, შვილებიანად გაიყვანეს თბილისიდან და კურსკის (და არა ტამბოვის, როგორც დიმ. ყიფიანი წერს) გუბერნიის ქალაქ ბელგოროდში გადასახლეს, იქ რამდენიმე წლით დედათა მონასტერში გამოკეტეს, ხოლო 1811 წელს მოსკოვში გა- დაიყვანეს. 1849 წელს ნიკოლოზ I-მა მარიამს საქართველოში დაბრუნების უფლება მისცა, თუმცა ქართლ-კახეთის უკა- ნასკნელი დედოფალი სამშობლოში გამომგზავრებამდე, 1850 წლის 30 მარტს, მოსკოვშივე გარდაიცვალა. იმავე წლის ივ- ნისში მიხ. ვორონცოვის ინიციატივით მარიამის ცხედარი სა- ქართველოში ჩამოასვენეს და დედოფლის საკადრისი პატი- ვით სვეტიცხოვლის ტაძარში მეუღლის გვერდით დაკრძალეს (კაკვაზ 1850; უფრო ვრცლად მარიამ დედოფლის შესახებ, აგრეთვე, წყაროები და ლიტერატურა საკითხის გარშემო იხ.: ჯოლოგუა 2013: 136-138).

¹⁶¹ (გვ. 297) „მათ არც საერთო ხელმძღვანელი ჰყავდათ ... ცალ-ცალკე ჯგუფებად შეიკრიბებოდნენ ხოლმე და გა- მოსთქვამდნენ მას, რაც გულში ჰქონდათ“ – სინამდვილეში მეთქმულთა მიერ აჯანყება წლების განმავლობაში გეგმაზო-

მიერად მზადდებოდა და მთელ ამ პროცესს მკაფიოდ ჩამოყალიბებული ვერტიკალი ხელმძღვანელობდა: დიმიტრი ბატონიშვილი, რომლის წრეშიც ჩაისახა და ჩამოყალიბდა იდეა აჯანყებისა (პეტერბურგი. 1825 წ.), ოქროპირ ბატონიშვილი, რომელმაც 1826 წ. შექმნა შეთქმულთა „მოსკოვის უჯრედი“, შეთქმულების კოორდინაციისა და საერთო ხელმძღვანელობისთვის თბილისში 1829 წ. მოვლენილი თამარ იულონის ას. ბატონიშვილი, პრაქტიკულ მოქმედებებს კი თბილისში საერთო ხელმძღვანელობას უწევდნენ ელიზბარ ერისთავი, ალექსანდრე ორბელიანი, სოლომონ დოდაშვილი და გამცემი შეთქმულებისა – იასე ფალავანდიშვილი (საკითხის შესახებ, აგრეთვე, ნყაროები და ლიტერატურა იხ.: ჯოლოგუა 2013: 13-14, 179-183; ჯოლოგუა 2017: 58-59).

¹⁶² (გვ. 298) „...რომელშიაც ამჟამად მის მაღალ ყოვლად უსამღველოესობა საქართველოს ექსარხოსი სცხოვრობს“ – როცა ეს ტექსტი იწერებოდა, საქართველოს ეგზარქოსი იყო პავლე (ლებედევი).

¹⁶³ (გვ. 298) „...ისეთი სისხლისმსმელი ადამიანი, რომლის მსგავსი ჩემს სიცოცხლეში არავინ არ შემხვედრია“ – იასე ფალავანდიშვილი მართლაც *სისხლისმსმელი ადამიანი* რომ იყო, მარტო ამ ფაქტიდანაც ჩანს – იგი ფარულ შეკრებებზე დაბეჯითებით მოითხოვდა საკუთარი ძმის, ნიკოლოზ ფალავანდიშვილის, ლიკვიდაციას და, თუ ამას სხვა ვერ გაბედავდა, ძმის მოკვდინებას („მოკვლას“, „მონამვლას“, „საიქიოს გასტუმრებას“) თვითონ კისრულობდა (გოზალიშვილი 1970: 458; გოზალიშვილი 1976: 72, 73, 86, 87...), შეთქმულები კი ნიკ. ფალავანდიშვილისთვის ფინანსთა მინისტრის პოსტის შეთავაზებას აპირებდნენ (გოზალიშვილი 1935: 134, 167).

აქვე უნდა ითქვას, რომ გავრცელებული ვერსია, თითქოს იასე საკუთარმა ძმამ, ნიკოლოზ ფალავანდიშვილმა, აიძულა, გაეცა შეთქმულება, დოკუმენტურად არ დასტურდება (სხვას ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, ერთ-ერთ ჩვენებაში იასე საგამომძიებლო კომისიას უხსნის მიზეზს, თუ რატომ

არ გაუმჟღავნა საკუთარ ძმას, იმდროინდელ „ღრაჟდანსკი ლუბერნატორ“ ნიკოლოზ ფალავანდიშვილს, შეთქმულების ამბავი – გოზალიშვილი 1935: 258). ნიკ. ფალავანდიშვილს შეთქმულების გაცემასი რაიმე წვლილი რომ ჰქონოდა შეტანილი, ეს ყველაზე უკეთ თვითონ საგამომძიებლო კომისიას ეცოდინებოდა და, ამდენად, კომისიას არც იმის გამორკვევა დასჭირდებოდა, რატომ არ გაუმჟღავნა იასე ფალავანდიშვილმა შეთქმულების ამბავი საკუთარ ძმას. შესაბამისად, ასე გამოდის, რომ დასმენა იასე ფალავანდიშვილის ინდივიდუალური გადაწყვეტილება იყო (უფრო ვრცლად ამ საკითხის შესახებ წყაროებისა და ლიტერატურის მითითებით იხ. ჯოლოგუა 2013: 200-202).

¹⁶⁴ (გვ. 298) **„ფალავანდოვმა შეატყო ყველას, რომ გული აუცრუვდათ დაწყებულ საქმეზე ... 1832 წელს, დეკემბრის დამდეგს ყველანი დააბეზლა მთავრობასთან, რის გამოც მაშინვე დაუნყეს დაპატიმრება“** – აქ შეთქმულების გაცემა ერთობ გამარტივებულად არის წარმოდგენილი. სინამდვილეში იასე ფალავანდიშვილის მიერ შეთქმულების გაცემას სულ სხვა **მოტივაცია** ჰქონდა: გარემოებათა გამო აჯანყების თარიღი შეთქმულთა საორგანიზაციო ჯგუფმა რამდენჯერმე შეცვალა, საბოლოო თარიღად კი 1832 წლის 20 დეკემბერი დაადგინა. მანამდე, დეკემბრის დასაწყისში, სპარსეთში (სალმასტი) მყოფ ალექსანდრე ბატონიშვილთან გაგზავნილი შიკრიკი ჩავარდა ბორჩალოში და იქ მაშინვე გავრცელდა ხმა მოსალოდნელი არეულობების შესახებ. ამ ხმამ თბილისში სწრაფად ჩამოაღწია და შეთქმულთა რიგებში დეზორგანიზაცია შეიტანა. იასემ გადაწყვიტა, აჯანყების საქმე განწირულიყო და, თავი რომ გადაერჩინა, 9 დეკემბერს კავკასიის კორპუსის შტაბის უფროსის მოვალეობის შემსრულებელთან, გენერალ ვლადიმერ ვოლხოვსკისთან, გამოცხადდა და გასცა შეთქმულება. მიუხედავად დასმენისა, იასე ფალავანდიშვილს სამუდამო გადასახლება მიესაჯა და ეს სასჯელი საგამომძიებლო კომისიის მიერ ასეა დასაბუთებული: სინამ-

დვილეში თავის გადარჩენა სურდა, თორემ ბოროტგანზრახულობის გამჟღავნების სურვილი რომ ჰქონოდა, ამას ორი წლის წინაც მოახერხებდაო (აქტები 1881: 407).

საგანგებოდ უნდა ითქვას, რომ „მემუარებში“ ასევე გამარტივებულად არის წარმოდგენილი თვითონ დიმ. ყიფიანის ადგილი და როლი 1832 წლის შეთქმულებაში. შეთქმულთა მიერ საგამომძიებლო კომისიისთვის მიცემული ჩვენებების შეჯერება ასეთ სურათს იძლევა: შეთქმულების ერთ-ერთი ხელმძღვანელი ალ. ორბელიანი დიმ. ყიფიანს ასახელებს ყველაზე აქტიურ 12 (საკუთარი თავის ჩათვლით) შეთქმულს შორის და აცხადებს: „აი ჩვენი ძლიერი საზოგადოება, და ჩვენ გვსურდა, რომ საქართველო განგვეთავისუფლებინა“ (გოზალიშვილი 1935: 389), დიმ. ყიფიანმა იცის ფილადელფოს კიკნაძის მიერ შემუშავებული საიდუმლო ანბანი (გოზალიშვილი 1935: 33), ერთ-ერთი პირველი ეცნობა მისსავე „აკტი გონიურს“ (გოზალიშვილი 1935: 248-249; გოზალიშვილი 1970: 379, 380), დებს ერთგულების ფიცს (გოზალიშვილი 1935: 409; გოზალიშვილი 1970: 380; გოზალიშვილი 1976: 47), მონაწილეობს იმ გეგმის განხილვაში, რომლის მიხედვითაც რუსებს 1831 წელს აჯანყებული ვარშავა უნდა დაემორჩილებინათ (გოზალიშვილი 1970: 301), ესწრება საუბარს, როცა სპარსეთში მიმავალ ს. რაზმაძეს ალექსანდრე ბატონიშვილთან კავშირს ავალებენ (გოზალიშვილი 1970: 129, 218; გოზალიშვილი 1976: 380), მზად არის, წავიდეს რუსეთში (პეტერბურგი, მოსკოვი) და შეხვდეს შეთქმულების ინიციატორებსა და იდეურ ხელმძღვანელებს, დიმიტრი და ოქროპირ ბატონიშვილებს (გოზალიშვილი 1970: 186, 187; გოზალიშვილი 1976: 49), მას ს. დოდაშვილსა და ი. მამაცაშვილთან ერთად ავალებენ აჯანყების ღამეს გასაგრძელებელი პროკლამაციის შედგენას (გოზალიშვილი 1970: 126, 210, 219), მისი მონაწილეობით მუშავდება აჯანყების ღამეს ყაზარმების, არსენალის, ჰაუბტვახტის, ხაზინისა და სასურსათო ობიექტების ხელში ჩაგდებას გეგმა (გოზალიშვილი 1970: 128, 216, 251, 287; გოზა-

ლიშვილი 1976: 75-76, 86, 325, 332, 348) და შეთქმულნი დიმი. ყიფიანის თანდასწრებითვე მსჯელობენ იმაზე, თუ რა საქმე ჩააბარონ მას აჯანყების ღამეს (გოზალიშვილი 1970: 307; გოზალიშვილი 1976: 75; უფრო ვრცლად საკითხის შესახებ იხ. ჯოლოგუა 2002: 58-73). ასე რომ, არ დასტურდება გავრცელებული თვალსაზრისი, თითქოს დიმი. ყიფიანი არ იყო აქტიურად ჩართული შეთქმულებაში, იგი შეთქმულთა მხოლოდ რიგით ან მხოლოდ ლიტერატურული ჯგუფის წევრს წარმოადგენდა და, როცა შეიტყო, რომ საქმე სისხლის ღვრით უნდა დასრულებულიყო, ჩამოშორდა შეთქმულებას (აბაშიძე 1905: 35; აბაშიძე 1998: 406; ჯორჯაძე 1989: 405; ხუნდაძე 1936: 61 და სხვ.). შეცდომის მიზეზი კი, ჩანს, ის არის, რომ საკითხის მკვლევრები მხოლოდ დიმი. ყიფიანის ჩვენებებს ეყრდნობოდნენ (დაპატიმრებული, სასჯელის მომლოდინე და, რაც მთავარია, „დანაშაულის“ დაფარვითა და სხვათა გაუცემლობით დაინტერესებული პირის ჩვენებები, ცხადია, სანდო წყაროდ ვერ ჩაითვლება) და მხედველობაში არ იქნა მიღებული ფართული ორგანიზაციის სხვა წევრთა ჩვენებები შეთქმულების ცალკეულ ეპიზოდებში დიმი. ყიფიანის მონაწილეობის შესახებ.

შეთქმულებაში მონაწილეობის ამგვარი გამარტივებისა თუ შემსუბუქების **მიზეზი** კი, უნდა ვიფიქროთ, შემდეგი გარემოება იყოს: იმ დროს, როცა „მემუარები“ იწერებოდა, 1832 წლის შეთქმულებიდან ნახევარ საუკუნეზე მეტი იყო გასული, ავტორის პოლიტიკური მსოფლმხედველობა ზოგადად და, კერძოდ, დამოკიდებულება ეროვნული საკითხისადმი – შესაბამისად, ამ ისტორიული მოვლენის მისეული შეფასებაც – დიამეტრულად იყო შეცვლილი (იხ. ყიფიანი 2016: 13-19).

¹⁶⁵ (გვ. 304) „**საქმეში გარეული იყო ას კაცზე მეტი**“ – საგამომძიებლო კომისიამ 145 შეთქმული გამოავლინა (გოზალიშვილი 1935: 37), თუმცა ეს მონაცემი სწორი არ ჩანს. ალ. ორბელიანი თავის ერთ გვიანდელ მოგონებაში ამბობს: „ბევრი კარგები ერივნენ ჩვენ საქმეში, მაგრამ ვისიც ამბავი და

სახელი იასემ იცოდა, იმათი გამოჩნდა და ვისიც არა იცოდა რა, **უფრო მომეტებულია** (ხაზი ჩვენია – თ. ჯ.), იმათი არა გამოჩნდა რა, ისე დაფარულად დარჩა იმათი საქმე“ (გოზალიშვილი 1935: 7; დ. შველიძე ვარაუდობს, რომ შეთქმულების მონაწილეთა რაოდენობა „500 კაცამდე მაინც აღწევდა“ – შველიძე 2014: 10).

¹⁶⁶ (გვ. 305) **„ფელდმარშალმა თავადმა ბარიატინსკიმ ამისი ქალი ცოლად შეირთო“** – ალ. ბარიატინსკის მიერ ელისაბედ დიმიტრის ას. ორბელიანის ცოლად შერთვის შესახებ იხ. აქვე, კომენტ. 6.

¹⁶⁷ (გვ. 305) **„გიორგი დავითის ძე ერისთავი (გლუხარჩი) ... გადაიყვანეს იმავე ჩინით პირველ ქვეითა ჯარის კორპუსში, სადაც გრიგოლ ორბელიანი იყო“** – გიორგი დავითის ძე ერისთავი გაამწესეს „პირველ ფეხოსანთა კორპუსის ერთ-ერთ რაზმში“ (გოზალიშვილი 1976: 428). 1833 წ. 30 დეკემბერს კავკასიის მთავარმართებელი, გრაფი როზენი პრაპორშჩიკ ოლშევსკის სწერს: „დაპატიმრებული პრაპ. თ. გიორგი ერისთავი უზენაესი გადაწყვეტილებით გადაყვანილია სამსახურში ნოვონგერმანლანდიის ფეხოსანთა რაზმში, სადაც ის ამ დღეებში უნდა გაიგზავნოს. მის დანიშნულ ადგილამდე გამყოლად დავნიშნე თქვენი კეთილშობილება, რის გამოც მოგიწერ გაემგზავროთ პრაპ. თ. გ. ერისთავთან ერთად ქ. ვილნოში...“ (გოზალიშვილი 1935: 511-512). რაც შეეხება გრიგოლ ორბელიანს, თავიდან იგი „კავკასიის ხაზზე მოქმედ ჯარში გაგზავნეს. აქედან ის შემდეგ გაამწესეს ნევის საზღვაო პოლკში, რომელიც ვილნოში (დღევანდელ ვილნიუსში – თ. ჯ.) იყო დაბანაკებული“ (ბერძინიშვილი 1983: 136).

¹⁶⁸ (გვ. 305) **„...სოლომონ რაზმაძე, – ერთ-ერთ შუა რუსეთის გუბერნიაში“** – თავრიზში დაპატიმრებული სოლომონ რაზმაძე გაგზავნეს ვოლგისპირეთში, ქ. პენზაში, სადაც ოჯახს მოეკიდა და სამუდამოდ იქ დარჩა (დაკრძალულია იქვე).

¹⁶⁹ (გვ. 307) **„პატივი დასდეს იმის მიერ დაბეზლებას მთავრობასთან და ფინლანდიის კორპუსში დანიშნეს უნ-**

ტერ-ოფიცრად, სადაც ის დაიღუპა, როგორც მახსოვს, ქალ. არხანგელსკში – იასე ფალავანდიშვილს შეთქმულების გაცემისთვის ის პატივი დასდეს, რომ: ა) სამხედრო სასამართლოზე არ გაიყვანეს; ბ) თავადური წოდება შეუნარჩუნეს [გოზალიშვილი 1976: 428; საბუთის თარგმანში **აზნაურობა** წერია. მთარგმნელს რუსული *дворянский* (თავადაზნაურული) ამ ფორმით გადმოუღია. სინამდვილეში ფალავანდიშვილები ზოგადად და, მათ შორის, იასეს შტო თავადები იყვნენ (საკითხის შესახებ არსებულ ვერსიებზე იხ. ბერძინიშვილი 1983: 190-191)]. სხვა შელავათები იასესთვის არ გაუნევიათ – მას საქართველოდან სამუდამო გადასახლება და ჰელსინგფორსში, დღევანდელ ჰელსინკში, განლაგებულ დისციპლინურ ბატალიონში უნტერ-ოფიცრად გამწესება მიესაჯა (გოზალიშვილი 1976: 428). მკაცრი სასჯელის მიზეზს საგამომძიებლო კომისია, როგორც ზემოთ გვაქვს აღნიშნული (კომენტ. 164), პირდაპირ ასახელებს – თავის გადარჩენა სურდა, თორემ ბოროტგანზრახულობის გამჟღავნების სურვილი რომ ჰქონოდა, ამას ორი წლის წინაც მოახერხებდაო.

ჰელსინგფორსში სასჯელის მოხდის შემდეგ იასე ფალავანდიშვილი მოხვდა არხანგელსკის გუბერნიის პეჩორის მხარის სოფ. უსტ-ცილმაში, სადაც ტყის მცველად მსახურობდა და იქაურთა გულწრფელი სიყვარული, ღრმა პატივისცემა, აგრეთვე, ადმინისტრაციულ ცენტრებსა თუ ადგილობრივ მოსახლეობაში ურყევი ავტორიტეტი ჰქონდა მოპოვებული. ეს ყველაფერი აღწერილი აქვს რუს ეთნოგრაფსა და მწერალს, სერგეი მაქსიმოვს, რომელიც იასეს 1850-იან წლებში უსტ-ცილმაში შეხვედრია (მაქსიმოვი 1887: 168-208; მაქსიმოვი 1890: 430-449). იასე ფალავანდიშვილი უსტ-ცილმაში გარდაიცვალა სავარაუდოდ 1871-1884 წლებს შორის (ჯოლოგუა 2013: 19-20). დაკრძალეს იქვე, წმ. ნიკოლოზ სასნაულმოქმედის ეკლესიის გალავანში (სხვა ცნობით – ეკლესიაშივე).

ამჟამად საფლავი დაკარგულია (იასე ფალავანდიშვილის შესახებ, აგრეთვე, ს. მაქსიმოვის მოგონების თარგმანი იხ. ჯოლოგუა 2013).

¹⁷⁰ (გვ. 307) **„არტილერიის პორუჩიკი თ-დი ელიზბარ შალვას ძე ერისთავი“** – უნდა იყოს: ა) *პოდპორუჩიკი* (გოზალიშვილი 1976: 428); ბ) *შანშეს ძე* (შანშე ერისთავის შესახებ იხ.: ცერცვაძე 2012: 26-28).

¹⁷¹ (გვ. 307) **„თავადი ალექსანდრე ვახტანგის ძე ორბელიანი... გაამწესეს ალექსანდროვის ფორტში, კასპიის ზღვის აღმოსავლეთის კიდეზე...“** – ალექსანდრე ორბელიანი თავიდან პრაპორშჩიკის ჩინით ორენბურგში გაამწესეს (თბილისიდან 1834 წლის ივნისში გაამგზავრეს), 1838 წელს „კავკასიის ხაზზე“ გადმოიყვანეს, ხოლო 1840 წლის იანვარში ნიკოლოზ I-მა მის საქართველოში დაბრუნებას მოაწერა ხელი (ბერძნიშვილი 1983: 125-126).

¹⁷² (გვ. 308) **„გვარდიის როტმისტრი თ-დი მაკარ (მამუკა) თომას ძე ორბელიანი ჩარიცხეს კავკასიის ლინეის ყაზახთა ჯარში“** – მაკარ (მამუკა) ორბელიანი გაამწესებულ იქნა „1-ლ მალოროსიის ყაზახთა პოლკში“ და ამის აღსრულება დაევალა „კავკასიის ხაზის ჯარების უფროსს, გენერალ-ლეიტენანტ ველიამინოვს“ (გოზალიშვილი 1976: 437).

¹⁷³ (გვ. 308) **„გუმბრში იყო მაზრის უფროსად“** – სინამდვილეში მამუკა (მაკარ) ორბელიანი იყო *ელიზავეტპოლის (განჯის) მაზრის უფროსი* (ბერძნიშვილი 1983: 153).

¹⁷⁴ (გვ. 308) **„...შეუძლიან მიმართოს „არქეოგრაფიული კომისიის აქტების“ მე-VIII ტომს“** – კავკასიის არქეოგრაფიული კომისიის აქტების VIII ტომში სათაურით „Дело о Грузинском заговоре“ შესულია მხოლოდ მცირე და ფრაგმენტული ნაწილი 1832 წლის შეთქმულებასთან დაკავშირებული დოკუმენტური მასალისა (აქტები 1881: 391-423), თუმცა *ქრონოლოგიის* თვალსაზრისით ეს მასალა არსებითად მოიცავს პერიოდს იასე ფალავანდიშვილის 1832 წლის 9 დეკემბრის დასმენიდან საბრალდებო დასკვნების ჩათვლით.

და მონებიანი

აბაშიძე 1905: აბაშიძე კ. პოლიტიკური რომანტიზმი. „მოამბე“, 1905, №1 (განყ. II).

აბაშიძე 1998: აბაშიძე კ. პოლიტიკური რომანტიზმი. გ. აბაშიძის პუბლიკაცია მისივე შესავალი წერილით „კიტა აბაშიძის „პოლიტიკური რომანტიზმი“. „ლიტერატურული ძიებანი“. XIX. 1998.

ავალიანი 1912: ავალიანი ს. დიმიტრი ყიფიანი და ბატონყმობის გაუქმება ტფილისის გუბერნიაში. „სახალხო გაზეთი“, 1912, №568.

ავალიშვილი 1871: Авалов А. Заседание Тифлисского окружного суда 9 апреля 1871 года по делу князя Николая Мингрельского с ДСС Димитрием Кипиани о 112 967 р. 14 к. Тифлис: Типография Меликова и К^о. 1871.

ასათიანი 1995: ახალმონამენი. ქუთათელ-გაენათელი მიტროპოლიტი ნაზარი (ცხოვრება და მოღვაწეობა). ტექსტი გამოსაცემად მოამზადა და შესავალი წერილი დაურთო გ. ასათიანმა. თბილისი: 1995.

აქტები 1866: Акты, собранные Кавказской археографической комиссией. Т. I. Напечатан под редакцией председателя комиссии А. Берже. Тифлис: Типография главного управления Наместника Кавказского. 1866.

აქტები 1868: Акты, собранные Кавказской археографической комиссией. Т. II. Издан под редакцией председателя комиссии А. Берже. Тифлис: Типография главного управления Наместника Кавказского. 1868.

აქტები 1881: Акты, собранные Кавказской археографической комиссией. Т. VIII. Тифлис: Типография Главного Управления Наместника Кавказского. 1881.

აქტები 1884: Акты, собранные Кавказской археографической комиссией. Т. IX. Тифлис: Типография Главного Управления Наместника Кавказского. 1884.

აქტები 1885: Акты, собранные Кавказской археографической комиссией. Т. X. Тифлис: Типография Главного Управления Наместника Кавказского. 1885.

აქტები 1888: Акты, собранные Кавказской археографической комиссией. Т. XI. Тифлис: Типография Главного Управления Наместника Кавказского. 1888.

აქტები 1904: Акты, собранные Кавказской археографической комиссией. Т. XII. Тифлис: Типография канцелярии Главного Начальства гражданского частую на Кавказе. 1904.

ახვერდიანი 2002: ახვერდიანი რ. გავრილ ტოკარევი – დაუმსახურებლად მივიწყებული დირექტორი. გაზ. „ქართული წიგნი“, II, 2002, №2.

ბალახაშვილი 1940: ბალახაშვილი ი. ლიტერატურული წრეები და სალონები საქართველოში (XIX საუკუნის პირველი ნახევარი). თბილისი: საბლიტგამი. 1940.

ბენდიანიშვილი 1970: ბენდიანიშვილი ალ. საქალაქო თვითმმართველობანი 1875-1905 წწ. ერობის შემოღების საკითხი. // საქართველოს ისტორიის ნარკვევები (რვა ტომად). V (ტომის რედაქტორი ი. ანთელავა). თბილისი: საბჭოთა საქართველო. 1970.

ბერეჟ 1861: Краткий каталог Тифлисской публичной библиотеки (1846-1861). Составлен и напечатан под редакцию Ад. Берже. Тифлис: Типография главного управления наместника Кавказского. 1861.

ბერძენიშვილი 1965: ბერძენიშვილი ნ. საქართველო XIX ს. პირველ მეოთხედში (წინასიტყვაობა). // ნ. ბერძენიშვილი. საქართველოს ისტორიის საკითხები. წგნ. II. თბილისი: მეცნიერება. 1965.

ბერძენიშვილი 1941: თბილისის საჯარო ბიბლიოთეკის ისტორიისათვის. „ბიბლიოგრაფიის მოამბე“, 1941, №2-3.

ბერძენიშვილი 1980: ბერძენიშვილი მაქს. მასალები XIX საუკუნის პირველი ნახევრის ქართული საზოგადოებრიობის ისტორიისათვის. I. თბილისი: მეცნიერება. 1980.

ბერძენიშვილი 1983: ბერძენიშვილი მაქს. მასალები XIX საუკუნის პირველი ნახევრის ქართული საზოგადოებრიობის ისტორიისათვის. II. თბილისი: მეცნიერება. 1983.

ბოროზდინი 1934: ბოროზდინი კ. სამეგრელო და სვანეთი. 1854-1861. მოგონებანი. თარგმნილი თ. სახოკიას მიერ. თბილისი: სახელმწიფო გამომცემლობა. 1934.

ბოსტაშვილი 1991: ბოსტაშვილი ნ. რატომ დაიხურა გაზეთი „დროება“? – ივანე მაჩაბელი და მეფის ცენზურა. „საისტორიო მოამბე“. [ტ.] 61-62. 1991.

ბრიკნერი 1883: Брикнер А. Г. Письма С. Р. Воронцова к сыну, графу М. С. Воронцову. „Вестник Европы“. 1883. №3.

ბუაჩიძე 1983: Буачидзе Г.С. Мари Броссе. Страницы Жизны. Тбилиси: Мерани. 1983.

გოგებაშვილი 1990: გოგებაშვილი ი. როგორ დაარსდა „წერა-კითხვის საზოგადოება“. // ი. გოგებაშვილი. რჩეული თხზულებანი (ხუთ ტომად). ტ. III. თბილისი: განათლება. 1990.

გოგებაშვილი 2007: გოგებაშვილი ი. როგორ დაარსდა „წერა-კითხვის საზოგადოება“. // საშვილიშვილო მოკავშირე – დიმიტრი ყიფიანი (მასალები XIX საუკუნის ქართული საზოგადოებრივი აზრის ისტორიისათვის). შეადგინა, რუსული ტექსტები თარგმნა, გამოსაცემად მოამზადა, წინასიტყვა, ბიბლიოგრაფიული შენიშვნები, კომენტარები და საძიებლები დაურთო თ. ჯოლოგუამ. [ტ.] II. თბილისი: ზეკარი. 2007.

გოდერიძე 1978: გოდერიძე ლ. მასალები ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ისტორიისათვის (1879-1900). „საისტორიო მოამბე“. [ტ.] 37-38. 1978.

გოდერიძე 1980: გოდერიძე ლ. მასალები ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ისტორიისათვის (1901-1920). „საისტორიო მოამბე“. [ტ.] 41-42. 1980.

გოზალიშვილი 1935: გოზალიშვილი გ. 1832 წლის შეთქმულება. ტ. I. ტფილისი: სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა. 1935.

გოზალიშვილი 1970: გოზალიშვილი გ. 1832 წლის შეთქმულება. ტ. II. თბილისი: მერანი. 1970.

გოზალიშვილი 1976: გოზალიშვილი გ. 1832 წლის შეთქმულება. ტ. III. თბილისი: საბჭოთა საქართველო. 1976.

გომართელი 1966: გომართელი ივ. კონსტანტინე დიმიტრის ძე ყიფიანი. // ივ. გომართელი. რჩეული თხზულებანი (ორ ტომად). შეადგინა, ნარკვევი და ბიბლიოგრაფია დაურთო ვ. ნონელიამ. ტ. II. თბილისი: ლიტერატურა და ხელოვნება. 1966.

გონიკაშვილი 1986: გონიკაშვილი მ. ბაგრატიონთა დასახლება და მოღვაწეობა რუსეთში. თბილისი: მეცნიერება. 1986.

გუგუშვილი 1959: გუგუშვილი პ. საქართველოსა და ამიერკა-

ვკასიის ეკონომიკური განვითარება XIX-XX საუკუნეებში. ტ. III. თბილისი: საბჭოთა საქართველო. 1959.

გურგენიძე 1969: გურგენიძე ნ. ძველი წიგნსაცავები საქართველოში. თბილისი: საბჭოთა საქართველო. 1969.

გურული 2017: გურული ვ. საქართველოს ახალი ისტორია (1801-1918). წგნ. I. თბილისი: ქართული უნივერსიტეტი. 2017.

დანელია 1993-1994: დანელია ფ. „მსგავსი კაცები ერთობ იშვიათად იბადებიან“. დიმიტრი ყიფიანი საქართველოს რესპუბლიკის ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივის მასალების მიხედვით. „საისტორიო მოამბე“. [ტ.] 65-66. 1993-1994.

დარჩია 1999: დარჩია ლ. მასალები დიმიტრი ყიფიანის „მემუარების“ შესავსებად. „კლდეკარი“, 1999, №3.

დარჩია 2016: დარჩია ლ. მასალები დიმიტრი ყიფიანის „მემუარების“ შესავსებად. // დიმიტრი ყიფიანი (ცხოვრებისა და მოღვაწეობის, შემოქმედების ამსახველი წერილები, გამოკვლევები, მოგონებები, მისდამი მიძღვნილი ლექსები). შეადგინა, ბიბლიოგრაფიული შენიშვნები და პირთა საძიებელი დაურთო თ. ლაცაბიძემ. წგნ. I. თბილისი: ოაზისი. 2016.

დიუმა 1970: დიუმა ალ. კავკასია (მოგზაურობის შთაბეჭდილებანი). თარგმანი ფრანგულიდან თ. ქიქოძისა. რედაქცია, შესავალი წერილი და შენიშვნები ა. განერელიასი. თბილისი: მერანი. 1970.

დროება 1866: არხი რიშა-ყალა. „დროება“, 18/30.III, 1866, №3.

დროება 1867^ა: არხის გახსნა ყარაიაში. „დროება“, 24.III/5.IV, 1867, №12.

დროება 1867^ბ: კეთილშობილთ კენჭის-ყრაზედ ტფილისის გუბერნიაში. „დროება“, 16/28.VI, 1867, №24.

დროება 1879: დღიური („კვირას, 11 მარტს...“). „დროება“, 13.III, 1879, №55.

დროება 1882^ა: დღიური („პეტერბურლის გაზეთებში დაბეჭდილია...“). „დროება“, 13.II, 1882, №31.

დროება 1882^ბ: დღიური („როგორც ქართულ დრამმატიულ დასს...“). „დროება“, 28.I, 1882, №20.

დროება 1882^გ: ტელეგრამმა („პეტერბურლი, 22 იანვარს...“). „დროება“, 24.I, 1882, №17.

დროება 1882^დ: დღიური („როგორც დღევანდელს ნომერში დაბეჭდილის...“). „დროება“, 24.I, 1882, №17.

დროება 1884: სვანეთის მთავარი კოსტანტინე დადიშკელიანი. „დროება“, 5.II, 1884, №27.

დროება 1885^ა: ქუთაისის კეთილ-შობილთა წინამძღოლი ქუთაისში (წერილი ქუთაისიდან). „დროება“, 31.V, 1885, №113.

დროება 1885^ბ: „ქუთაისიდან გვაცნობებენ...“ „დროება“, 25.V, 1885, №108.

დროება 1885^გ: შინაური ქრონიკა. „დროება“, 14.VII, 1885, №150.

დროება 1885^დ: ქუთათური მემატანე. ქუთაისი, მაისის 23-ს. ქუთაისი, მაისის 24-ს. „დროება“, 28.V, 1885, №110.

ვიტე 1991: Витте С.Ю. Избранные воспоминания (1849-1911гг.). Москва: Мысл. 1991.

ზისერმანი 1891: Зиссерман А.Л. Фельдмаршал князь Александр Иванович Барятинский. 1815-1879. Т. III. Москва: Университетская типография. 1891.

თავზიშვილი 1974: თავზიშვილი გ. სახალხო განათლება და პედაგოგიკური იდეები მე-19 საუკუნის პირველი ნახევრის საქართველოში. // გ. თავზიშვილი. რჩეული ნაწერები. ტ. I. ი. ბოცვაძის რედაქციით. თბილისი: განათლება. 1974.

თაყაიშვილი 2017: თაყაიშვილი ე. არქეოლოგიური ექსპედიცია ლეჩხუმ-სვანეთში 1910 წელს. // ე. თაყაიშვილი. თხზულებანი. მთავარი რედაქტორი რ. მეტრეველი. 3 (ტომის რედაქტორი კ. კუდავა). თბილისი: არტანუჯი. 2017.

თეატრი და ცხოვრება 1915: წვრილი ამბები („ნინო ყიფიანმა დიმ. ყიფიანის ხელთნაწერებიდან...“). ჟურნ. „თეატრი და ცხოვრება“, 24.X, 1915, №43.

თეატრი და ცხოვრება 1917^ა: წვრთნა სულისა დიმ. ყიფიანისა, მისი ხელნაწერიდან გამოკრებილი ნინო ყიფიანის მიერ. ჟურნ. „თეატრი და ცხოვრება“, 14.I, 1917, №3.

თეატრი და ცხოვრება 1917^ბ: წვრთნა სულისა. დიმ. ყიფიანის ხელნაწერებიდან გამოკრეფილი ნინო ყიფიანის მიერ. ჟურნ. „თეატრი და ცხოვრება“, 29.I, 1917, №5.

თულაშვილი 1895: თულაშვილი ვ. შენიშვნა (ბ-ნ ნ. დ. ყიფიანის წერილის გამო: „დიმიტრი ყიფიანის ცხოვრება“). „მოამბე“, 1895, №5, განკ. II.

თულაშვილი 2007: თულაშვილი ვ. შენიშვნა (ბ-ნ ნ. დ. ყიფიანის წერილის გამო: „დიმიტრი ყიფიანის ცხოვრება“). // საშვილიშვილო მოკავშირე – დიმიტრი ყიფიანი... II. თბილისი: ლომისი. 2007.

თუმანოვი 1913: Туманов Г. М. Характеристики и воспоминания. Кн. I. Тифлис: Тифлисский журнал. 1913.

ივერია 1887: ახალი ამბავი („კვირა დღეს, 8-ს ნომბერს...“). „ივერია“, 10.XI, 1887, №235.

ივერია 1888: ახალი ამბავი („მთავრობას მიუწერია...“). „ივერია“, 22.VI, 1888, №129.

ივერია 1889: სტავროპოლის ოლქის სასამართლო (დომიტრი ივანეს ძის ყიფიანის მოკვლის საქმე). „ივერია“, 5-29.VIII, 1889, №№165, 167, 171-173, 175, 178, 181, 183.

ივერია 1891: ქალაქის საბჭო. „ივერია“, 16.I, 1891, №11.

ივერია 1891: ტფილისი. 6 მარტი. „ივერია“, 7.III, 1891, №50.

იოსელიანი 1936: იოსელიანი პ. ცხოვრება გიორგი მეცამეტისა. ა. განერელიას შესავალი წერილებით, რედაქციითა და შენიშვნებით. ტფილისი: ფედერაცია. 1936.

კაკვაზ 1850: Мцхет. „Кавказ“, 21.VI, 1850, №48.

კაკვაზ 1854: „Тифлис. Вчера, в 9 часов утра...“ „Кавказ“, 11.VIII, 1854, №62.

კაკვაზ 1863: „Тифлис, марта 17-го...“ „Кавказ“, 17.III, 1863, №22.

კაკვაზ 1867: О дворянских выборах в Тифлисской губернии. „Кавказ“, 8(20).VI, 1867, №44.

კაკვაზ 1882: Хроника („Газета *Дროზда* сообщает...“). „Кавказ“, 29.I, 1882, №27.

კაკვაზ 1899: Княгиня Е. Д. Барятинская. „Кавказ“, 7.II, №35.

კაკაბაძე 1997: კაკაბაძე ს. ქართველი ხალხის ისტორია (1783-1921). თბილისი: ნეკერი. 1997.

კალანდაძე 1985: კალანდაძე ალ. ქართული ჟურნალისტიკის ისტორია. ტ. III (1863-1871). თბილისი: განათლება. 1985.

კატკოვი 1897: Катков М. Н. Собрание передовых статей Московских Ведомостей (1865 г.). Москва: Издание С. П. Катковой. 1897.

კეზევაძე 2009: ქუთაისის გუბერნიისა და მაზრის თავადაზნაურთა წინამძღოლები (დოკუმენტების კრებული). შეადგინა და გამოსაცემად მოამზადა მ. კეზევაძემ. ქუთაისი: საგამომცემლო ცენტრი. 2009.

კინწურაშვილი 1974: კინწურაშვილი კ. ალექსანდრე ცაგარელი. თბილისი: განათლება. 1974.

კლდიაშვილი 1947: კლდიაშვილი დ. ჩემი ცხოვრების გზაზე. //

დ. კლდიაშვილი. მოთხრობები და პიესები. თბილისი: სახელგამი. 1947.

ლეონიძე 1940: ლეონიძე გ. ნიკოლოზ ბარათაშვილის გარშემო. „ლიტერატურის მატრიანე“. წგნ. 1-2. 1940.

ლომჯარია 2001: ლომჯარია ზ. მზითვის წიგნი. „ლიტერატურული დიებანი“. XXII. 2001.

ლორია... 1974: ლორია ალ., გურგენიძე ნ. საბიბლიოთეკო საქმე საქართველოში (1921 წლამდე). თბილისი: მეცნიერება. 1974.

მაკალათია 1941: მაკალათია ს. სამეგრელოს ისტორია და ეთნოგრაფია. თბილისი: საქართველოს მხარეთმცოდნეობის საზოგადოება. 1941.

მანსვეტაშვილი 1936: მანსვეტაშვილი ი. მოგონებანი. ნახული და გაგონილი. ლ. ასათიანის რედაქციით, წინასიტყვაობით და შენიშვნებით. ტფილისი: ფედერაცია. 1936.

მაქსიმოვი 1887: Максимов С. В. Печорский князь. „Русская мысль“, 1887, №12.

მაქსიმოვი 1890: Максимов С. В. Год на Севере (четвёртое, дополненное издание). Москва: Издание П.К. Прянишникова. 1890.

მალრაძე 1963: მალრაძე ე. მეველე (დათა მიქელაძე). თბილისი: საბჭოთა საქართველო. 1963.

მაჩაბელი 1912: ვასილ მაჩაბლის მოგონება დიმიტრი ყიფიანის შესახებ (ნანყვეტი „ჩემი თავგადასავალიდან“). „თემი“. 5.XI, 1912, №96.

მახათაძე 1967: მახათაძე ნ. ქართული კულტურის კერა პეტერბურგში (XVIII-XIX სს.). თბილისი: საბჭოთა საქართველო. 1967.

მეგრელიძე 1997: მეგრელიძე ი. სიძველეები ლიახვის ხეობაში (პატარა ლიახვის, ფრონის, ფანისა და ჯეჯორის ხეობები). წგნ. II. თბილისი: სამშობლო ფორტე. 1997.

მეუნარგია 1939: მეუნარგია ი. სამეგრელოს სამთავროს უკანასკნელი პერიოდი და დავით დადიანი (მასალები და დოკუმენტები). სოლ. ცაიშვილის რედაქციით. თბილისი: ტექნიკა და შრომა. 1939.

მიქაძე 1998: მიქაძე გ. ქართული წიგნის სავაჭრო კატალოგების ისტორიისათვის. „მწიგნობარი-98“. 1998.

მიქაძე... 2016: დიმიტრი ყიფიანი და მისი შთამომავალნი (ფოტოალბომი. მასალები ექვსი თაობის საოჯახო არქივიდან). პროექტის ავტორი თ. მიქაძე. შეადგინეს თ. მიქაძემ და ს. ისაკაძემ. თბილისი: სპეკალი. 2016.

მჭედლიძე 1869: მჭედლიძე მ. სვანეთიდან. „დროება“, 17 (29) აპრილი, 1869, №16.

ნანიტაშვილი... 2004: ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება. თანამედროვეთა მოგონებები. შემდგენელი ლ. ნანიტაშვილი. წინასიტყვაობა, რედაქცია, ბიბლიოგრაფია და შენიშვნები, სახელთა საძიებელი ს. ხუციშვილისა. თბილისი: რჩეული. 2004.

ნიკოლაძე 1964^ა: ნიკოლაძე ნ. დიმიტრი ივანეს-ძე ყიფიანი. // ნ. ნიკოლაძე. თხზულებანი. დ. გამეზარდაშვილის რედაქციით და შენიშვნებით. ტ. 4. თბილისი: საბჭოთა საქართველო. 1964.

ნიკოლაძე 1964^ბ: ნიკოლაძე ნ. საკვირაო. // ნ. ნიკოლაძე. თხზულებანი. დ. გამეზარდაშვილის რედაქციით და შენიშვნებით. ტ. 4. თბილისი: საბჭოთა საქართველო. 1964.

ნიჟარაძე 1879: თავისუფალი სვანი [ნიჟარაძე, ბესარიონ]. სვანეთიდან, 15 სექტემბერს. „დროება“, 4.X, 1879, №204.

ნიჟარაძე 1885: თ-ი სვანი [ნიჟარაძე, ბესარიონ]. ხმა სვანეთიდან. „დროება“, 8.V, 1885, №96.

ორბელიანი 1936: ორბელიანი გრ. წერილები (1832-1850). ა. განერელიას რედაქციით და შენიშვნებით. კ. გორდელაძის წინასიტყვაობით. ტ. I. ტფილისი: სახელმწიფო გამომცემლობა. 1936.

ორბელიანი 1937: ორბელიანი გრ. წერილები (1851-1859). ა. განერელიას რედაქციით და შენიშვნებით. ტ. II. ტფილისი: სახელმწიფო გამომცემლობა. 1937.

ორბელიანი 1999: ორბელიანი ალ. რუსების დასი ქართუელები ჩემზედ. // ალ. ორბელიანი. სიტყვა მამულის ტრაპეზზედ. შემდგენელი ნ. ვახანია. თბილისი: ლომისი. 1999.

ორჯონიკიძე 1970: ორჯონიკიძე ე. ყირიმის ომი და სამთავროების გაუქმება საქართველოში. // საქართველოს ისტორიის ნარკვევები (რვა ტომად). V (ტომის რედაქტორი ი. ანთელავა), თბილისი: საბჭოთა საქართველო. 1970.

ორჯონიკიძე 1992: ორჯონიკიძე ე. რუსული მმართველობის დამყარება საქართველოში (XIX ს. პირველი ნახევარი). თბილისი: მეცნიერება. 1992.

პაპავა 1956: პაპავა თ. და ა. მარიამ უკანასკნელი დედოფალი საქართველოსი. ბუენოს აირეს. 1956.

პაპავა 1979: პაპავა ნ. ქართველთა შორის წერა-კითხვის გამა-

ვრცელებელი საზოგადოება (დაარსების 100 წლისთავის გამო). „მაცნე“ (ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია). №2. 1979.

პოპედონოსცევი 1923: К.П. Победоносцев и его корреспонденты. Письма и записки. Т. I. Полутом 2. Москва: Госиздат. 1923.

პოპედონოსცევი 1926: Писма Победоносцева к Александру III (с приложением писем к В. Кн. Сергею Александровичу и Николаю II). Т. II. Москва: Новая Москва. 1926.

რამიშვილი 2012: რამიშვილი ი. მოგონებები. გამოსაცემად მოამზადეს, წინასიტყვაობა, ბიოგრაფიული ცნობები და საძიებლები დაურთეს გ. საითიძემ და ქ. რამიშვილმა. თბილისი: არტანუჯი. 2012.

რატინი 1984: რატინი პ. თერგდალეულთა რევოლუციური მოღვაწეობის ისტორიიდან. // პ. რატინი. რჩეული ნაწერები (სამტომად). ტ. I. თბილისი: საბჭოთა საქართველო. 1984.

რუბიკონი 1923: დიმიტრი ყიფიანის მემუარები. გაზ. „რუბიკონი“, 21.I, 1923, №1.

რუსულ-ქართული ლექსიკონი 1983: რუსულ-ქართული ლექსიკონი. სარედაქციო კოლეგია ქ. ლომთათიძის თავმჯდომარეობით. თბილისი: საბჭოთა საქართველო. 1983.

სამართლის ძეგლები 1965: ქართული სამართლის ძეგლები. ტ. II [საერო საკანონმდებლო ძეგლები (X-XIX სს.)]. ტექსტები გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ი. დოლიძემ. თბილისი: მეცნიერება. 1965.

საშვილიშვილო მოკავშირე... 1997: საშვილიშვილო მოკავშირე – დიმიტრი ყიფიანი (მასალები XIX საუკუნის ქართული საზოგადოებრივი აზრის ისტორიისათვის). შეადგინა, გამოსაცემად მოამზადა, რუსული ტექსტები თარგმნა, წინასიტყვა, ბიბლიოგრაფიული შენიშვნები, კომენტარები და საძიებლები დაურთო თ. ჯოლოგუამ. II. თბილისი: ზეკარი. 2007.

საშვილიშვილო მოკავშირე... 2007: საშვილიშვილო მოკავშირე – დიმიტრი ყიფიანი... II. თბილისი: ზეკარი. 2007.

სახალხო გაზეთი 1911: №. გლახთა განთავისუფლება და დიმიტრი ყიფიანი. „სახალხო გაზეთი“, 1911, №236.

სახალხო გაზეთი 1912: მიწერ-მონერა დიმიტრი ყიფიანთან. „სახალხო გაზეთი“, 2.VIII, 1912, №665.

ტიფლისკიე ვედომოსტი 1830: Объявление. „Тифлиссские ведомости“, 21.VI, 1830, №50.

ტორაძე 1984: ტორაძე გ. რუბინშტეინი ანტონ გრიგოლის ძე. // ქსე. 8. თბილისი: 1984.

უზნაძე 1957: Узнатдзе В.В. История Тифлиссской публичной библиотеки (1846-1917 гг.). Тбилиси: Издательство Академии наук Грузиской ССР. 1957.

უთურაშვილი 1989: უთურაშვილი ი. დიმიტრი ყიფიანი. თბილისი: საბჭოთა საქართველო. 1989.

უთურაშვილი 1991: უთურაშვილი ი. თეკლა ბაგრატიონი. თბილისი: მეცნიერება. 1991.

ურუშაძე 2017: Урушадзе А. Сванетская междуусобная война XX века: имперский порядок и княжеская вендетта. <https://dergipark.org.tr/tr/download/article-file/351569> (11.VIII.2020)

ვირცხალავა 1988: მოგონებათა ფურცლები. ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, წინასიტყვაობა, შენიშვნები და პირთა საძიებელი დაურთო ლ. ნანიტაშვილმა. თბილისი: საბჭოთა ხელოვნება. 1988.

ფურცელაძე 1912: Пурцеладзе А. Наши общественные дела и участие в них Вахтанга Тулаева. „Закавказская речь“, 16.XI, 1912, №132.

ქეგლ 1964: ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი. არნ. ჩიქობავას საერთო რედაქციით. ტ. VIII. თბილისი: მეცნიერება. 1964.

ქუთათელაძე 1959: ქუთათელაძე ლ. ერთი ლექსის ავტორის საკითხისათვის. // აკად. ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამზე. XX-V. 1959.

ყიფიანი 29: დიმ. ყიფიანის ნამსახურობის სია [1831-1864 წწ.]. ხეც. დიმ. ყიფიანის არქ., საქ. №29.

ყიფიანი 1868: [Кипиани Д. И.] Мингрельский княжеский дом и Дмитрий Кипиани. Тифлис.: Типография Меликова и К^о. 1868.

ყიფიანი 1869: სამეგრელოს მთავრის სახლი და დიმიტრი ყიფიანი. [ტფილისი]: კერესელიძის სტამბა. 1869.

ყიფიანი 1886^ა: Записки Дмитрия Ивановича Кипиани (с 1820 г.). // Русская старина. [Кн. 3]. Март. 1886.

ყიფიანი 1886^ბ: Записки Дмитрия Ивановича Кипиани (с 1820 г.). // Русская старина. [Кн. 5]. Май. 1886.

ყიფიანი 1886^გ: Записки Дмитрия Ивановича Кипиани (с 1820 г.). // Русская старина. [Кн. 7]. Июль. 1886.

ყიფიანი 1886^ა: Записки Дмитрия Ивановича Кипиани (с 1820 г.). // Русская старина. [Кн. 8]. Август. 1886.

ყიფიანი 1886^ბ: Записки Дмитрия Ивановича Кипиани (с 1820 г.). // Русская старина. [Кн. 9]. Сентябрь. 1886.

ყიფიანი 1894: ყიფიანი ნიკ. დიმიტრი ყიფიანის ცხოვრება. „მოამბე“, 1894, №4 (აპრილი). [განყ.] X.

ყიფიანი 1899: Кипиани К. Публичная библиотека в гор. Тифлисе. „Новое обозрение“, 23.III, 1899, №5224.

ყიფიანი 1911: ყიფიანი ნ. დიმიტრი ყიფიანი კერძო ცხოვრებაში. „თემი“, 11.IV, 1911, №14.

ყიფიანი 1930: ყიფიანი დიმ. მემუარები. სიმ. ხუნდაძის რედაქციით, შენიშვნებით და წინასიტყვაობით. ტფილისი: 1930.

ყიფიანი 1964: ყიფიანი კ. ჩემი არტისტობის თავგადასავალი. // კ. ყიფიანი. მოგონებები. წერილები. მასალები შეკრიბა და წინასიტყვაობა დაურთო ლ. ხუციშვილმა. თბილისი: ლიტერატურა და ხელოვნება. 1964.

ყიფიანი 1990: ყიფიანი დიმ. მემუარები. რედაქცია, შენიშვნები და პირთა სახელების საძიებელი ს. ხუციშვილისა. თბილისი: საქართველო. 1990.

ყიფიანი 1993: დიმიტრი ყიფიანის რამდენიმე პირადი წერილი. პუბლიკაცია მოამზადა თ. ჯოლოგუამ. ჟურნ. „კლდეკარი“, 1993, №1.

ყიფიანი 1995: ყიფიანი დიმ. 20 ბარათი გადასახლებიდან. // დიმ. ყიფიანი. რა ხალხია ქართველები? (სერია: რჩეულთა ბიბლიოთეკა. 13). შეადგინა, რუსული ტექსტები თარგმნა, შენიშვნები და ბოლოსიტყვა დაურთო თ. ჯოლოგუამ, გ. ალხაზიშვილისა და რ. ჩხეიძის რედაქციით. თბილისი: ლომისი. 1995.

ყიფიანი 2007^ა: ყიფიანი კ. დიმიტრი ყიფიანის მკვლევლობა. // საშვილიშვილო მოკავშირე – დიმიტრი ყიფიანი (მასალები XIX საუკუნის ქართული საზოგადოებრივი აზრის ისტორიისათვის). შეადგინა, რუსული ტექსტები თარგმნა, გამოსაცემად მოამზადა, წინასიტყვა, ბიბლიოგრაფიული შენიშვნები, კომენტარები და საძიებლები დაურთო თ. ჯოლოგუამ. II. თბილისი: ზეკარი. 2007.

ყიფიანი 2007^ბ: ყიფიანი ნიკ. დიმიტრი ყიფიანის ცხოვრება. // საშვილიშვილო მოკავშირე – დიმიტრი ყიფიანი... II. თბილისი: ზეკარი. 2007.

ყიფიანი 2007^ა: ყიფიანი ნ. დიმიტრი ყიფიანის ცხოვრებიდან (მოგონება). // საშვილიშვილო მოკავშირე – დიმიტრი ყიფიანი... II. თბილისი: ზეკარი. 2007.

ყიფიანი 2007^ბ: ყიფიანი ნ. დიმიტრი ყიფიანი კერძო ცხოვრებაში. // საშვილიშვილო მოკავშირე – დიმიტრი ყიფიანი... II. თბილისი: ზეკარი. 2007.

ყიფიანი 2007^გ: ყიფიანი ნატ. მოგონება. //საშვილიშვილო მოკავშირე – დიმიტრი ყიფიანი... II. თბილისი: ზეკარი. 2007.

ყიფიანი 2009: დიმიტრი ყიფიანი. ცხოვრება და მოღვაწეობა. ფოტომატიანე. იდეისა და პროექტის ავტორი თ. მიქაძე. შემდგენლები: თ. მიქაძე. თ. ჯოლოგუა, თ. ციციშვილი. თ. ჯოლოგუას საერთო რედაქციითა და შესავალი წერილით. თბილისი: 2009.

ყიფიანი 2016: ყიფიანი დიმ. თხზულებანი (ათ ტომად). ტ. I (პოეზია. პროზა. თარგმანები). შეადგინა, რუსული ტექსტები თარგმნა, შენიშვნები, კომენტარები და საძიებლები დაურთო თ. ჯოლოგუამ. თბილისი: არტანუჯი. 2016.

ყიფიანი 2017: ყიფიანი დიმ. თხზულებანი (ათ ტომად). ტ. II (პუბლიცისტიკა. ლიტერატურული წერილები. საისტორიო თხზულებები). შეადგინა, რუსული ტექსტები თარგმნა, შენიშვნები, კომენტარები და საძიებლები დაურთო თ. ჯოლოგუამ. თბილისი: ეროვნული ბიბლიოთეკის გამომცემლობა. 2017.

ყიფიანი 2017^ა: ყიფიანი დიმ. პრინცესა ეკატერინე დადიანის შესახებ. // დიმ. ყიფიანი. თხზულებანი (ათ ტომად). ტ. II... თბილისი: საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა. 2017.

ყიფიანი 2017^ბ: ყიფიანი დიმ. ადგილ-მამულის მდგომარეობისათვის საქართველოში. // დიმ. ყიფიანი. თხზულებანი (ათ ტომად). ტ. II... თბილისი: ეროვნული ბიბლიოთეკის გამომცემლობა. 2017.

ყიფიანი 2017^გ: დიმ. ყიფიანი. პასუხი ვლადიმერ მიქელაძეს. // ტ. II... თბილისი: საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა. 2017.

ყიფიანი 2018: ყიფიანი დიმ. თხზულებანი (ათ ტომად). ტ. III (ბატონყმობა. საბანკო-საკრედიტო საქმე. იურიდიული თხზულებები). შეადგინა, რუსული ტექსტები თარგმნა, შენიშვნები, კომენტარები და საძიებლები დაურთო თ. ჯოლოგუამ. თბილისი: საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა. 2018.

ყიფიანი 2019: ყიფიანი დიმ. თხზულებანი (ათ ტომად). ტ. IV

(ადმინისტრაციულ-მმართველობითი საქმე. რეცენზიები. „ახალი ქართული გრამმატიკა“). შეადგინა, რუსული ტექსტები თარგმნა, შენიშვნები, კომენტარები და საძიებლები დაურთო თ. ჯოლოგუამ. თბილისი: საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა. 2019.

ყორანაშვილი 2009: ყორანაშვილი გ. დიმიტრი ყიფიანი ახალი დიმიტრი თავდადებული. თბილისი: ინოვაცია. 2009.

შველიძე 1960: შველიძე ზ. რევოლუციურ-ხალხოსნური მოძრაობა საქართველოში. თბილისი: საბჭოთა საქართველო. 1960.

შველიძე 2014: შველიძე დ. 1832 წლის შეთქმულებრივი მოძრაობის ისტორიიდან. თბილისი: უნივერსალი. 2014.

შერბაკოვი 1884^ა: Щербakov А. Из воспоминаний прошлого. Убийство в 1857-м году Кутаисского генерал-губернатора князя Гагарина, чиновника особых поручений при нем Ильина и переводчика поручика Ардишвили – владельцем Сванетии князем Константином Дадешкилиани. „Кавказ“, 22.I, 1884, №18; 24.I, 1884, №19.

შერბაკოვი 1884^ბ: შერბაკოვი ა. მკვლელობა 1857 წელსა ქუთაისის გენერალ-გუბერნატორის თავადის გაგარინისა, იმის ჩინოვნიკის ილინისა და პორუჩიკის არდიშვილისა – სვანეთის მფლობელის თავად კოსტანტინე დადიშკელიანისაგან. „ივერია“, 1884, №2.

შერბაკოვი 1884^გ: [შერბაკოვი ა.] სვანეთის მთავარი კოსტანტინე დადიშკელიანი. „დროება“, 5.II, 1884, №27.

შერბინინი 1858: Щербинин М.П. Биография генерал-фельдмаршала, князя Михаила Семеновича Воронцова. Санкт-Петербург: 1858.

შერბინინი 1876: Щербинин М.П. Воспоминания. „Русский архив“. 1876. III.

ჩუბინაშვილი 1971: ჩუბინაშვილი ნ. რუსულ-ქართული ლექსიკონი. ალ. ლლონტის რედაქციითა და წინასიტყვაობით. I. თბილისი: საბჭოთა საქართველო. 1971.

ჩუბინაშვილი 1973: ჩუბინაშვილი ნ. რუსულ-ქართული ლექსიკონი. ალ. ლლონტის რედაქციითა და წინასიტყვაობით. II. თბილისი: საბჭოთა საქართველო. 1973.

ჩხეიძე 2011: საბა სულხანიშვილი [ჩხეიძე, როსტომ]. საოჯახო ლოცვანი და ელიზბარ ერისთავის დაბადების თარიღი. „ჩვენი მწერლობა“, 2011, №4.

ჩხეტია 1947: ჩხეტია შ. მასალები დიმიტრი ყიფიანის მკვლევლობაზე. „საისტორიო მოამბე“. [ტ.] 3. 1947.

ჩხეტია 1950: ჩხეტია შ. საგლუხო რეფორმის ისტორიისათვის საქართველოში. თბილისი: საქართველოს სსრ შსს საარქივო სამმართველო. 1950.

ჩხეტია 1963: ჩხეტია შ. აფხაზეთის სამთავროს ისტორიისათვის (1853-1856). „საისტორიო მოამბე“. [ტ.] 15-16. 1963.

ჩხიტუნძიე 1980: ჩხიტუნძიე თ. ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების საბიბლიოთეკო და საგამომცემლო მოღვაწეობა. თბილისი: მეცნიერება. 1980.

ცაიშვილი 1962: ცაიშვილი სოლ. დავით მიქელაძე (მეველე). // სოლ. ცაიშვილი. ლიტერატურული ნარკვევები. თბილისი: საბჭოთა საქართველო. 1962.

ცერცვაძე 2012: ცერცვაძე მ. ელიზბარ ერისთავის ოჯახური წრე და შთამომავლობა. გელათის მეცნიერებათა აკადემიის ჟურნალი. 2012, №9-10.

ცნობის ფურცელი 1902: კრუზენშტერნისა და კოლიუბაკინის მიწერ-მოწერა, „ცნობის ფურცელი“, 30.III, 1902, №1767.

ზაქარია ჭყონდიდელი (დგებუაძე) – სამეგრელოს ეპისკოპოსი (1853-1854), სამეგრელოს სამთავროს სამმართველო საბჭოს წევრი – 358-359

ზახი (ზარხი) **კონსტანტინე** – „ტფილისის კერძო ბიბლიოთეკის“ წევრი – 464

ზისერმანი არნოლდ (1824-1897) – სამხედრო ისტორიკოსი, მემუარისტი, პოლკოვნიკი; 1842 წლიდან მსახურობდა კავკასიაში, კერძოდ, თბილისში – 414, 494

ზნაჩკო-იავორსკი მიხეილ – კავკასიის მეფისნაცვლის კანცელარიის უფროსი ჩინოვნიკი (1846-1847), შემდეგ წლებში – გუბერნატორის საგანგებო დავალებათა მოხელე სტავროპოლში, ერევნის გუბერნიის პროკურორი (1850-იანი წწ.) – 265

ზორაია – პერსონაჟი მინკუის ბალეტისა „ზორაია ანუ მავრიტანელი ქალი ესპანეთში“ – 126, 389

ზუბოვი ვალერიან (1771-1804) – ინფანტერიის გენერალი, გენერალ-ანშეფი – 284, 285

თ. ჯ. – 64, 68, 132, 212, 281, 301, 324, 326, 339, 340, 349, 352, 361, 367, 368, 374, 378-380, 382, 386, 387, 399, 405, 407, 416, 430, 434, 444, 446, 448, 450, 458, 481, 487; იხ. აგრეთვე: **ჯოლოგუა თამაზ**

თ-ი სვანი – იხ. ნიჟარაძე ბესარიონ

თავზიშვილი გიორგი (1902-1963) – ისტორიკოსი, ლიტერატურათმცოდნე – 411, 479, 494

თავისუფალი სვანი – იხ. ნიჟარაძე ბესარიონ

თამარ გიორგი XII-ის ას. ბატონიშვილი (1788-1851) – დედასთან, მარიამ დედოფალთან, ერთად რუსეთში გადაასახლეს 1803 წლის აპრილში (ჯვრის უღელტეხილზე ფეხები მოეყინა და სამუდამოდ დახეიბრდა). ცხოვრების უმეტესი ნაწილი გაატარა მოსკოვში. 1850 წ. საქართველოში ცხოვრების უფლება მოიპოვა, 1851 წ. გაზაფხულზე საქართველოში გამოემგზავრა, მაგრამ გზაში (ვორონეჟის ქალთა მონასტერში) გარდაიცვალა. დაკრძალეს იქვე. მოგვიანებით გადაასვენეს სვეტიცხოვლის ტაძარში – 290

თამარ იულონის ას. ბატონიშვილი (1791-1857) – რუსეთის საიმპერატორო კარის ფრელინა; 1829 წ. ჩამოვიდა საქართველოში და სათავეში ჩაუდგა შეთქმულების ორგანიზებას (გამარჯვების შემთხვევაში დროებით უნდა ასულიყო ქართლ-კახეთის სამეფო ტახტზე). საგამომძიებლო კომისიის დასკვნით, მას თბილისში დიმიტრი ბატონიშვილის მაგივრობა უნდა გაენია. დააპატიმრეს 1833 წ. 24 თებერვალს, ჩამოართვეს ბატონიშვილის ტიტული და ქ. სიმბირსკში გადასახლება მიუსაჯეს. 1836 წ. აგვისტოში ნიკოლოზ I-მა სასჯელი მოუხსნა. გარდაიცვალა თბილისში, დაკრძალულია სვეტიცხოვლის ტაძარში – 304, 483

თამარი (დაახლ. 1160-1213) – საქართველოს მეფე 1184 წლიდან (გიორგი III-ის თანამოსაყდრე 1178-1184 წწ.) – 152

თარხან-მოურავი დავით (1762/1765 – 1839) – ერეკლე II-ის მიმბაში, გორის მაზრის თავადაზნაურობის წინამძღოლი (1820-1830-იანი წწ.), პოლკოვნიკი, 1832 წლის შეთქმულების მონაწილე (ვერ დაუმტკიცეს და ძიება შეწყვიტეს), დაკრძალულია ერთანწინდის ტაძარში – 417

თაყაიშვილი ექვთიმე (1863-1953) – ისტორიკოსი, არქეოლოგი, ეთნოგრაფი, ნუმისმატი, ლიტერატურათმცოდნე, ფოლკლორის-

ტი, ლინგვისტი, „საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების“ დამაარსებელი (1907) და პირველი თავმჯდომარე; 1921-1945 წწ. ემიგრაციაში (საფრანგეთში) მეთვალყურეობდა და პატრონობდა საქართველოს დემოკრატიული მთავრობის მიერ უცხოეთში გატანილ ეროვნულ განძს. დაკრძალულია მთაწმინდის პანთეონში – 363, 494

თედო – 132, 400

თეკლე (თეკლა) ბატონიშვილი (1776-1846) – ერეკლე II-ისა და დარეჯან დედოფლის ასული, პოეტი. მონაწილეობდა 1832 წლის შეთქმულებაში; გადაასახლეს კალუგაში (სამშობლოში დაბრუნდა 1835 წ.). დაკრძალულია მცხეთის სვეტიცხოვლის ტაძარში – 302, 304, 307, 414, 499

თემურლენგი (ლანგ თემური) (1136-1405) – გათურქებული მონღოლი, მხედართმთავარი, ემირი (1370-1405). 1386-1403 წწ. რვაჯერ ილაშქრა საქართველოში – 66

თეოფანე ეპისკოპოსი (გაბუნია) (1803-1859) – სამეგრელოს ეპისკოპოსი 1854-1859 წწ. – 382

თვარაძე რევაზ (1928-2006) – ლიტერატურათმცოდნე, მემუარისტი, მთარგმნელი – 402

თულაშვილი ვახტანგ (1834-1910) – პუბლიცისტი, თეატრალური და საზოგადო მოღვაწე, „ქმნ-კგ საზოგადოების“ დამაარსებელთაგანი (1904 წლიდან საპატიო წევრი) – 345, 346, 439, 494, 499

თუმანიშვილი (თუმანოვი) გიორგი ევნატეს ძე (1774-1837) – პოეტი, კალიგრაფი, „ვეფხისტყაოსნის“ ინტერპოლატორი, გიორგი XII-ის მდივან-მწიგნობარი – 468

თუმანიშვილი (თუმანოვი) გიორგი მიხეილის ძე (1854-1920) – ჟურნალისტი, პუბლიცისტი, კრიტიკოსი, მის. თუმანიშვილის (1818-1875) შვილი; დაკრძალულია თბილისში, ხოჯავანქის სომხურ სასაფლაოზე – 338

თუმანიშვილი (თუმანოვი) მიხეილ ბირთველის ძე (1818-1875) – მწერალი, ჟურნალისტი, თეატრალური კრიტიკოსი, ეთნოგრაფი, საიდუმლო მრჩეველი (Тайный советник); 1830-იან წწ. თბილისის გიმნაზიის მოწაფეთა ლიტერატურული ჯგუფის ხელმძღვანელი, ივ. კერესელიძის „ცისკარში“ გამოქვეყნებული „სალაყბოს ფურცლების“ ერთ-ერთი ავტორი. დაკრძალულია თბილისში, ხოჯავანქის სომხურ სასაფლაოზე – 266, 462, 465, 494

თუმანიშვილი (თუმანოვი) მიხეილ იოსების ძე – სახელმწიფო მოხელე – 179

თურქისტანიშვილი – ეკატერინე დადიანის მოვალე – 32

თუშმალიშვილი (თუშმალოვი) მირზა ჯაფარი – მასწავლებელი თბილისის კეთილშობილთა სასწავლებელში (1820-იანი წწ.) – 139-142, 412

ი

იანოვსკი კირილე (1822-1902) – კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველი (1878-1899). გარდაიცვალა სოხუმში, იქვეა დაკრძალული – 37, 44, 327, 332, 338

იესო ქრისტე – ძე ღვთისა, ქრისტიანული რელიგიის ფუძემდებელი – 59, 66, 508

ივანოვი ნიკოლოზ (1813-1873) – გენერალ-ლეიტენანტი, ქუთაისის სამოქალაქო გუბერნატორის მოვალეობის შემსრულებელი (1852-1858); მეუღლე ეკატერინე იაკობის ას. ორბელიანისა (1824-1875) – 364

ილინი ნიკოლოზ (გარდ. 1857) – ჩინოვნიკი ქუთაისის გუბერნიაში – 363, 364, 366, 367, 502

ინდრენიუსი ბორის (ბერნგარდ) (1812-1884) – გენერალ-ლეიტენანტი, ინფანტერიის გენერალი, კავკასიის ცალკე კორპუსის შტაბის უფროსი (1855-1856), ვიბორგის გუბერნატორი (1856-1862), ფინეთის სენატის წევრი, გარდაიცვალა პეტერბურგში – 184, 186, 187

ინდუტნოვ-სპაფარიევეს ივანე – საკანცელარიო მოხელე ამიერკავკასიის მმართველობაში – 157

ინსარსკი ვასილ (1814-1882) – საიდუმლო მრჩეველი (Тайный советник), მემუარისტი, კავკასიის მეფისნაცვლის კანცელარიის დირექტორი (1857-1862); 1862 წ. დატოვა კავკასია. 1866-1872 წწ. იყო მოსკოვის ფოსტის დირექტორი – 378, 380, 382, 384

იოსებ – იხ. ნიჟარაძე იოსებ

იოსებ ალექსანდრეს ძე – იხ. გურკო იოსებ

იოსელიანი პლატონ (1809-1875) – ისტორიკოსი, ფილოლოგი, ფოლკლორისტი, ჟურნალისტი, გამომცემელი, ათენის არქეო-

ლოგიური საზოგადოების ნამდვილი წევრი – 421, 477-479, 482, 495

ირაკლი II – იხ. ერეკლე II

ისაია – იხ. ფურცელაძე ისაია

ისაკაძე სოფიო – დიმ. ყიფიანის შთამომავალი, ელისაბედ (ვეტა) ნიკოლოზის ას. ყიფიანის (1876-1943) შვილთაშვილი – 496

ისიდორე (ერისკაცობაში – იაკობ ნიკოლსკი) (1799-1892) – საქართველოს ეგზარქოსი (1844-1858); 1858 წლიდან კიევის, ხოლო 1860 წლიდან ნოვგოროდისა და სანქტ-პეტერბურგის მიტროპოლიტი და ფინეთის ეგზარქოსი; რუსეთის წმ. სინოდის წევრი – 195

იულიუს ტარენტელი (პერს.) – 469

კ

კაკაბაძე სარგის (1886-1967) – ისტორიკოსი, ფილოლოგი, სიძველეთა დაცვის კომიტეტის ხელმძღვანელი (1924-1934) – 450, 478, 495

კალანდაძე ალექსანდრე (1916-1996) – მწერალი, ლიტერატურათმცოდნე; მეორე მსოფლიო ომში იბრძოდა პოლონელებისა და ფრანგების წინააღმდეგობის მოძრაობაში – 319, 495

კარლ ლეონტიევიჩი – იხ. ჩერმაკი კარლ

კარლგოფი ნიკოლოზ (1806-1877) – კავკასიის ცალკე კორპუსის ობერკვარტირმეისტერი 1850-იან წწ. – 109, 189

კატკოვა სოფიო (1832-1913) – მიხ.კატკოვის (1818-1887) მეუღლე, წარმომობით ქართველი (შალიკოვა) – 495

კატკოვი მიხეილ (1818-1887) – ჟურნალისტი, პუბლიცისტი, მთარგმნელი (პ. ჰაინე, ე. ჰოფმანი, უ. შექსპირი და სხვ.), გაზ. „მოსკოვსკიე ვედომოსტის“ რედაქტორი (1851-1856; 1863-1887); დედით ქართველი (თულაევა); ასიმილაციის იდეოლოგი. თავის გაზეთში კარი გაუღო ქართველთა ეროვნული ღირსების შემლახველ პუბლიკაციებს, რასაც ქართველ მოღვაწეთა (დიმ. ყიფიანი, ნ. ნიკოლაძე, ი. ჭავჭავაძე, ლ. მაღალაშვილი და სხვ.) მწვავე რეაქცია მოჰყვა – 211, 434, 435, 495

კაცია II დადიანი – ოდიშის მთავარი (1758-1788) – 107

- კახანოვი სიმონ** (1787-1857) – გენერალ-ლეიტენანტი, საქართველოს სამოქალაქო გუბერნატორი (1839 წლიდან) – 160, 166
- კეზევაძე მერაბ** – ისტორიკოსი, ქუთაისის ცენტრალური არქივის დირექტორი – 327, 495
- კეზელი დავით** (1854-1907) – მწერალი, პუბლიცისტი (ძირითადი ფსევდ.: „ზოილი“), რევოლუციონერ-ხალხოსანი, დაკრძალულია დუშეთში – 390
- კეკელიძე კორნელი** (1879-1962) – ლიტერატურათმცოდნე, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ერთ-ერთი დამაარსებელი – 1, 508
- კერესელიძე ივანე** (1829-1892) – მწერალი, ჟურნალისტი, პუბლიცისტი, თეატრალური და საზოგადო მოღვაწე, ჟურნალ „ცისკრისა“ (1857-1875) და გაზეთ „ცისკრის“ (1887) რედაქტორ-გამომცემელი. დაკრძალულია დიდუბის პანთეონში – 314, 469, 499
- კვალიაშვილი ანასტასია** – დიმ. ყიფიანის და – 412
- კიკნაძე ფილადელფოს** (ერისკაცობაში – **ნიკიფორე კიკნაძე**) (1793-1833) – სასულიერო პირი (ბერი), 1832 წლის შეთქმულების მონაწილე (ავტორი შეთქმულთა წესდებისა – „აკტი გონიური“, საიდუმლო ანბანის შემქმნელი). გასამართლებამდე გარდაიცვალა საპატიმროში. დაკრძალულია თბილისში, დარიის მონასტრის გალავანში – 485
- კინწურაშვილი კორნელი** – ისტორიკოსი, ჟურნალისტი – 320, 495
- კიპიანი** – 469; იხ. აგრეთვე: **ყიფიანი დიმიტრი**
- კლდიაშვილი დავით** (1862-1931) – მწერალი, საზოგადო მოღვაწე. დაკრძალულია მთანმინდის პანთეონში – 327, 495, 496
- კლიროვი მაქსიმე** – ქუთაისის გენერალ-გუბერნატორ ალ. გაგარინის მზარეული – 364
- კლუშინი პავლე** (1814-1886) – რუსეთის სახელმწიფო საბჭოს წევრი, სენატორი, კავკასიის მეფისნაცვლის მთავარსამმართველოს უფროსი (1875-1876) – 123, 128, 220, 228, 231, 440, 441
- კნორინგი კარლ** (1746-1820) – გენერალ-ლეიტენანტი, ბარონი, საქართველოში მყოფი რუსული ჯარების პირველი მთავარსარდალი (1799 წლიდან) და სამოქალაქო საქმეთა მმართველი (1801-1802) – 478
- კობაძე ბონდო** – პროექტის ავტორი და შემდგენელი კრებულებისა: „აკაკი წერეთელი – 170“ (თბ.: 2010), „დიმიტრი ყიფიანი – 200“ (თბ.: 2014) და სხვ. – 314, 402, 402

კოვალენსკი პეტრე (1766-1827) – რუსეთის წარმომადგენელი (მინისტრი) გიორგი XII-ის კარზე (1799 წლიდან), საქართველოს მმართველი (1802-1803) – 285, 286, 288, 479, 480

კოლა – იხ. **ყიფიანი ნიკოლოზ (ნიკო)**

კოლიუბაკინი მიხეილ (1806-1872) – გენერალ-ლეიტენანტი, ნიკოლიუბაკინის (1810-1868) ძმა. ჭარ-ბელაქნისა და ყარაბაღის მაზრების უფროსი, თბილისისა და ქუთაისის ვიცე-გუბერნატორი, სამეგრელოს მმართველი, ბაქოს სამხედრო გუბერნატორი – 323, 432, 503

კოლიუბაკინი (კოლუბაკინი, კოლუბაკინი I) ნიკოლოზ (1810-1868) – გენერალ-ლეიტენანტი, სენატორი; ქუთაისის ვიცე-გუბერნატორი და სამეგრელოს მმართველი (1857), ერევნისა (1858-1861) და ქუთაისის (1861-1862) სამხედრო გუბერნატორი. 1862 წ. გაიწვიეს კავკასიიდან. სიცოცხლის ბოლო წლებში იყო ვლ. ოდოევსკის ლიტერატურული წრის წევრი – 81-83, 86, 88, 90, 96, 113, 114, 116, 118, 207, 317, 321, 323, 355, 359-361, 373, 377, 378, 433

კონსტანტინე (მურზაყან) დადიშქელიანი (1826-1857) – სვანეთის უკანასკნელი მთავარი – 94, 97, 99-102, 104, 105, 362-368, 372-374, 414, 494, 502

კოსტომაროვი ნიკოლოზ (1817-1885) – უკრაინელი ისტორიკოსი, ეთნოგრაფი, მწერალი, კიევისა და პეტერბურგის უნივერსიტეტების პროფესორი; ტარას შევჩენკოსა და სხვებთან ერთად „კირილე-მეთოდეს [საიდუმლო] ორგანიზაციის“ დამაარსებელი – 129, 130

კოსტუკა – იხ. **ყიფიანი კონსტანტინე (კოტე)**

კოტოვა ეკატერინე – 1830-იან წწ. დასაწყისში თბილისში ჰქონდა კერძო კომერციული ბიბლიოთეკა და წიგნის მაღაზია; თბილისის გიმნაზიის ბიბლიოთეკის გამგის, კოტოვის, მეუღლე – 464

კოცებუ თედორე – რუსი სახელმწიფო მოღვაწე. 1826 წლიდან მსახურობდა კავკასიაში. კარიერა დაასრულა 1860 წ. კავკასიის მეფისნაცვლის საბჭოს წევრის თანამდებობაზე – 182, 243, 265, 427

კოცებუ ჰავლე (1801-1884) – გენერალ-ლეიტენანტი, ინფანტერიის გენერალი, სახელმწიფო საბჭოს წევრი. 1821 წლიდან მსახურობდა კავკასიაში, რუსეთ-ოსმალეთის 1828-1829, 1853-1856 წწ. და

სხვ. ომების მონაწილე, 1837 წლიდან დანიშნული იყო კავკასიის ცალკე კორპუსის შტაბის უფროსად – 160, 166, 182, 265

კრუზენშტერნი ალექსი (1813-1887) – სახელმწიფო მდივანი (Статс-секретарь), 1830-1831 წწ. პოლონეთის აჯანყების ჩახშობისა და რუსეთ-ოსმალეთის 1853-1856 წწ. ომის მონაწილე, 1850 წლიდან – კავკასიის მეფისნაცვლის კანცელარიის ვიცე-დირექტორი, 1856 წლიდან – დირექტორი, 1858 წლიდან ასრულებდა ამიერ-კავკასიის მხარის სამოქალაქო სამმართველოს უფროსის მოვალეობას – 81, 194, 196, 198, 201, 203, 250, 254, 271, 373, 427, 452, 473, 503

კუდავა ბუბა – ისტორიკოსი – 494

კუზმინი სტეფანე – ვოლოგდის გუბერნატორი 1834 (21.II)-1836 (16.II) წწ. – 147-149

ლ

ლაბუნსკი – ქუთაისის გუბერნიის ჟანდარმთა კორპუსის შტაბოფიცერი – 364, 366

ლადინსკი პეტრე (1784-1865) – გენერალ-ლეიტენანტი, ამიერკავკასიის სამოქალაქო ნაწილის უფროსი (1845-1847; კავკასიაში მსახურობდა 1803 წლიდან); 1847 წ. გავიდა სამსახურიდან და დაბრუნდა თავის მამულში, სოფ. პეტროვსკოეში (ქერჩთან), იქვე გარდაიცვალა და იქვეა დაკრძალული – 169, 177-179, 211-213

ლაზარევი ივანე (1763-1803) – გენერალ-მაიორი. გიორგი XII-ის გარდაცვალების შემდეგ ცოტა ხნით ფაქტობრივად მართავდა ქვეყანას, ხოლო 1801-1802 წწ. სათავეში ედგა ადგილობრივ დროებით მმართველობას. დაკრძალულია თბილისის სიონის ტაძარში – 285, 286, 289, 290, 481, 482

ლაიზევიცი (ლეიზევიცი) იოჰან ანტონ (1752-1806) – გერმანელი დრამატურგი – 469

ლალა აბდულ ქერიმ-ოღლი – იხ. **ქერიმ-ოღლი ლალა აბდულ**

ლანგთემური – იხ. **თემურლენგი**

ლალიაშვილი იოსებ (სოსო) (1866-დაახლ. 1913) – თბილისის სასულიერო სემინარიიდან გარიცხულმა 1886 წ. 24 მაისს მოკლა სემინარიის რექტორი პავლე ჩუდეციკი, რისთვისაც ოცნლიანი კატორღა მიუსაჯეს. სასჯელს იხდიდა კუნძულ სახალინზე, სა-

პორტო ქალაქ კორსაკოვში, საიდანაც გაიქცა. ამერიკის შეერთებულ შტატებში ცხოვრობდა თომას კოკის სახელით. გარდაცვალა იქვე – 327, 332, 342, 504

ლაცაბიძე თამაზ – ისტორიკოსი, ხაშურის სამუზეუმო გაერთიანების ხელმძღვანელი, ავტორი ნაშრომებისა: „იტრია“ (თამარ ლაცაბიძესთან ერთად; 2010), „ხაშურის რაიონის ისტორია ტოპონიმებში“ (2010) და სხვ.; შეადგინა დიმ. ყიფიანის ბიბლიოგრაფია („ხაშურის მუზეუმის მოამბე“. III. 2011) – 493

ლებედევი პეტრე – იხ. **პავლე ეგზარქოსი**

ლეგოპოიტოვი ვასილ – ამიერკავკასიის მთავარმართებლობის საბჭოს წევრი (1840-იანი წწ.) – 241

ლეიზეიცი – იხ. **ლაიზეიცი იოჰან ანტონ**

ლეონიძე გიორგი (1899-1966) – მწერალი, მეცნიერი, საზოგადო მოღვაწე – 1, 469, 496, 508

ლეენი ანდრეი (1839-1913) – რუსეთის სახელმწიფო ქონების მინისტრი (1877-1881) – 215, 221, 226, 228, 230, 387, 388, 440, 441

ლისაცევი – მონაწილეობდა 1882 წ. პეტერბურგში მოსწავლე სტუდენტების მიერ დადგმულ საქველმოქმედო სპექტაკლში – 126

ლოკა (ლოკუნა) – იხ. **ლორთქიფანიძე ელენე**

ლომთათიძე ქეთევან (1911-2007) – ენათმეცნიერი, აკადემიკოსი – 498

ლომჯარია ზეინაზ – ფილოლოგი, კრიტიკოსი – 416, 496

ლორთქიფანიძე ანტონ (1847-1894) – ვეკილი, ბიბლიოფილი, ელენე დიმიტრის ას. ყიფიანის (1855-1890) მეუღლე. დაკრძალულია ქუთაისში, წმ. გიორგის ეკლესიაში (გორის უბანი) – 124, 133, 388

ლორთქიფანიძე ელენე (ლოკა) (1855-1890) – თეატრალური და საზოგადო მოღვაწე, დიმ. ყიფიანის ქალიშვილი, ანტონ ლორთქიფანიძის (1847-1894) მეუღლე; მოღვაწეობდა ქუთაისში, დიდი ამაგი დასდო ქართული ხალხური სიმღერებისა და სასულიერო საგალობლების შეკრებასა და ნოტებზე გადატანას. მისი ინიციატივით გამოიცა „თარგმანნი საამო საკითხავთა თხზულებათა“ (1872), აღმანახ „ქართული ბიბლიოთეკის“ (ქუთაისი, 1883 წ.) ერთ-ერთი დამაარსებელი და რედაქციის წევრი. გარდაიცვალა ქუთაისში, დაკრძალულია იქვე, წმ. გიორგის ეკლესიაში (გორის უბანი) – 126, 127, 388, 391

ლორთქიფანიძე ირაკლი (გარდ. 1881) – პოეტი, ეკატერინე დადიანის მდივანი, შემდეგ – სამეგრელოს სამთავრო მამულების მოურავი; გარდაიცვალა ქუთაისში – 324

ლორია ალექსანდრე – მწერალი, ბიბლიოგრაფი – 464, 472, 496

ლორის-მელიქოვა ელისაბედ – იხ. **ნოლკენი ელისაბედ**

ლორის-მელიქოვა მარიამ – იხ. **ნოვიკოვა მარიამ (მარია)**

ლორის-მელიქოვა ნინო – იხ. **არლუთინსკაია-დოლგორუკოვა ნინო**

ლორის-მელიქოვა სოფიო (1862-1863) – მიხ. ლორის-მელიქოვის (1825-1888) ქალიშვილი – 401

ლორის-მელიქოვი მიხეილ (1825-1888) – კავალერიის გენერალი, გენერალ-ადიუტანტი, სახელმწიფო საბჭოს წევრი, რუსეთის I კონსტიტუციის პროექტის ფაქტობრივი ავტორი, რუსეთის შინაგან საქმეთა მინისტრი და უნდარმთა შეფი (1880-1881); სანქტ-პეტერბურგის საიმპერატორო მეცნიერებათა აკადემიის საპატიო წევრი; „ქმნ-კვ საზოგადოების“ დამფუძნებელი წევრი, ქართული ლიტერატურის ისტორიაში შესულია, როგორც ი. ჭავჭავაძისა („კიდევ გამოცანები“) და ა. წერეთლის („ჩვენი მიხაკა“) გამანადგურებელი სატირის ობიექტი. გარდაიცვალა საფრანგეთში (ნიცა), დაკრძალეს თბილისში, ვანქის ეკლესიის გალავანში – 131-133, 199, 217, 218, 220, 221, 223, 225-227, 232, 233, 243, 256, 261, 399-401, 440

ლუკაში ნიკოლოზ (1796-1868) – გენერალ-ლეიტენანტი, საიდუმლო მრჩეველი (Тайный советник), სენატორი, თბილისის გუბერნატორი (1855-1857) – 192

მ

მ. ტ-ჩ (მიხ. ტ-ჩ, მიხ. ტარ-ჩი) – იხ. **ლორის-მელიქოვი მიხეილ**

მათე – დიმი. ყიფიანის თანმხლები პირი 1867 წ. პეტერბურგიდან თბილისში მგზავრობისას – 121, 122

მაკალათია სერგი (1893-1974) – ისტორიკოსი, ეთნოგრაფი. დაკრძალულია დიდუბის პანთეონში – 355, 496

მაკალინსკი პავლე (1834-1899) – პეტერბურგელი იურისტი, ადვოკატი – 131, 133, 397

მამაცაშვილი იოსებ (1810-1874) – საზოგადო მოღვაწე, ნამდვილი სამოქალაქო მრჩეველი (Действительный статский советник); მონაწილეობდა 1832 წლის შეთქმულებაში (გადაასახლეს ვიატკაში, სადაც სასჯელს ს. დოდაშვილთან ერთად იხდიდა). სამშობლოში დაბრუნებული (1836 წ. მარტი) გორში დამკვიდრდა და დიდხანს იმსახურა მაზრის მოსამართლედ – 305, 462, 464, 485

მამაცაშვილი კონსტანტინე (1818-1900) – გენერალ-ლეიტენანტი, „ქმნ-კგ საზოგადოების“ დამფუძნებელი წევრი, მემუარისტი (გამოქვეყნებული აქვს მოგონებები ნ. ბარათაშვილზე; გამოუქვეყნებელი დარჩა მოგონებები (1025 ხელნაწერი გვერდი), რომელიც დაცულია პეტერბურგში, „პუშკინის სახლში“. გარდაიცვალა თბილისში, დაკრძალულია დიდუბის პანთეონში – 462

მამია V გურიელი (1789-1826) – გურიის უკანასკნელი მთავარი (1809-1826), რუსეთის არმიის გენერალ-მაიორი. დაკრძალულია შემოქმედის მონასტერში – 378

მანასეინი ელპიდიფორ (1795-1833) – განაგებდა „კავკასიის გუბერნიის“ ჩრდილოეთ ნაწილის სკოლებს (1819-1827), პარალელურად (1826 წლიდან) – თბილისის კეთილშობილთა სასწავლებლის დირექტორი, 1828 წ. იანვარში სანქტ-პეტერბურგშია და სასწავლებელთა მთავარ სამმართველოში მსახურობს, მოგვიანებით კი ყაზანის უნივერსიტეტის პროფესორია. გარდაიცვალა სარატოვში – 142-144

მანსვეტაშვილი იაკობ (1855-1939) – მწერალი, მემუარისტი, პუბლიცისტი, ნავთობის მრეწველი (ბაქო), ქველმოქმედი. „ქმნ-კგ საზოგადოების“ მდივანი, 1912 წლიდან – საპატიო წევრი. გარდაიცვალა თბილისში და იქვე, ვაკის სასაფლაოზე, დაკრძალეს – 348, 349, 390, 391, 394, 496

მარვან II იბნ მუჰამადი (*მურვან ყრუ*) (688-750) – არაბთა უკანასკნელი ხალიფა ომაიანთა დინასტიიდან (744-750). 735-736 წწ. დალაშქრა და ააოხრა საქართველო (როგორც აღმოსავლეთი, ისე – დასავლეთი). გამოირჩეოდა განსაკუთრებული სისასტიკით, რის გამოც ქართულ წყაროებში „მურვან ყრუს“ სახელითაა შესული – 66

მარია ალექსანდრეს ას. (1824-1880) – იმპერატორ ალექსანდრე II-ის მეუღლე – 429

მარიამ გიორგი XII-ის ას. ბატონიშვილი – იხ. **ანა ბატონიშვილი მარიამ დედოფალი (ციციშვილი)** (1768-1850) – გიორგი XII-ის მე-ულლე, ქართლ-კახეთის უკანასკნელი დედოფალი. გარდაიცვალა მოსკოვში. დაკრძალულია მცხეთის სვეტიცხოვლის ტაძარში – 289, 481, 482, 497

მასნე ყიულ (1842-1912) – ფრანგი კომპოზიტორი – 389

მატინოვი ალექსანდრე (1843-1909) – თბილისის ქალაქისთავი (მოურავი) 1879-1891 წწ.; გარდაიცვალა პარიზში (თავისი ქონება უანდერძა თბილისს, თვითონ კი უშვილოდ გადაეგო), დაკრძალულია თბილისში, ვანქის ტაძრის გალავანში – 338

მაქსიმე – იხ. **კლიროვი მაქსიმე**

მაქსიმოვი სერგეი (1831-1901) – რუსი ეთნოგრაფი, მწერალი, ჟურნალისტი, პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემიის საპატიო წევრი, გამოქვეყნებული აქვს მოგონება იასე ფალავანდიშვილზე – 488, 489, 496

მალალაშვილი მარიამ – დიპ. ყიფიანის და – 412

მალრაძე ელგუჯა (1927-1999) – მწერალი, კრიტიკოსი, მთარგმნელი – 340, 496

მაყაშვილი (მაყაევი) გრიგოლ – თელავის მაზრის თავადაზნაურობის წინამძღოლი (1864-1867) – 453

მაჩაბელი დავით (1814-1873) – პოეტი, მთარგმნელი, ბიბლიოფილი; ცხოვრობდა მშობლიურ თამარაშენში, სადაც 1873 წ. 10 ოქტომბერს მოკლეს საკუთარ სახლში, ცხედარი კი დაწვეს. მკვლელობის მიზეზზე არსებობს ორი ძირითადი ვერსია: ძარცვა და მიტოვებული ცოლის შურისძიება – 315

მაჩაბელი ვასილ (1845-1918) – ნაფიცი ვექილი, მემუარისტი, ივ. მაჩაბლის (1854-1898) ძმა. გარდაიცვალა თბილისში, დაკრძალეს ვერის წმ. ნიკოლოზის ეკლესიის გალავანში – 128, 129, 394-396, 399, 496

მაჩაბელი ივანე (ვანო) (1854-1898) – მწერალი, ჟურნალისტი, პუბლიცისტი, თეატრალური და საზოგადო მოღვაწე, „ივერიის“ თანარედაქტორი (1882-1883; ი. ჭავჭავაძესთან ერთად), „დროების“ რედაქტორი (1883-1885), „ვეფხისტყაოსნის“ 1888 წ. „ქართველიშვილისეული“ გამოცემის ფაქტობრივი რედაქტორი, ერთ-ერთი წამყვანი თანამშრომელი თბილისის სათავადაზნაურო-საადგილმამულო ბანკისა, „ქმნ-კგ საზოგადოებისა“, „ქარ-

თული დრამატიული საზოგადოებისა“. უმაღლესი განათლება მიღებული ჰქონდა პეტერბურგის, ჰოპენჰაიმის, სორბონის უნივერსიტეტებში. უ. შექსპირის მთარგმნელი („ჰამლეტი“, „ოტელიო“, „იულიუს კეისარი“ და სხვ.) – 390, 394, 492

მაჭავარიანი – ეკატერინე დადიანის მოვალე – 32

მახათაძე ნინო (1926-2012) – ლიტერატურათმცოდნე, მემუარისტი – 321, 496

მაჰმუდ II (1785-1839) – ოსმალეთის სულთანი (1808-1839) – 291

მეგრელიძე იოსებ (1909-1996) – რუსთველოლოგი, ენათმეცნიერი, ფოლკლორისტი – 450, 468, 496

მეველე – დავით (დათა) მიქელაძის ფსევდონიმი – 496, 503; იხ. აგრეთვე: **მიქელაძე დავით (დათა)**

მელაძე კარლო (1911-1938) – ლიტერატორი, შეენირა ბოლშევიკურ რეპრესიებს – 504

მელიქიშვილი ლევან (1817-1892) – გენერალ-ლეიტენანტი, კავკასიის მეფისნაცვლისა და მთავარსარდლის მოადგილე (1880 წლიდან), „ქმნ-კგ საზოგადოების“ დამფუძნებელი წევრი – 131, 255, 265, 397

მელიქიშვილი სტეფანე (1841-1887) – გაზეთ „დროების“ გამომცემელი (1866-1883), პუბლიცისტი, თავისი ავლადიდება შესწირა „დროების“ გამომცემას. სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულა აშხაბადში – 490, 499

მელნიკოვი ანდრეი (გარდ. 1836) – 1832 წლის შეთქმულების მონაწილე, მელანია ერისთავის (ელიზბარ ერისთავის დის) მეუღლე, თბილისის პოლიცმაისტერი, 1832 წლის შეთქმულების მონაწილე (გათავისუფლეს, თუმცა პოლიციის მკაცრი მეთვალყურეობა დაუნესეს), 1836 წ. 8 აგვისტოს მოკლეს ქოლაგირში – 306

მენგრელსკი – იხ. **დადიან-მინგრელსკი ნიკოლოზ (ნიკო)**

მერკვილაძე იოსებ (სოსიკო) (1854-1934) – გამომცემელი, ფოლკლორისტი, ბუკინისტი – 331

მესხაძე ნანიკა – ლენჩხუმის სოფ. ლაილაშის მკვიდრი – 98, 99, 365

მესხი მართა – დიმი. ყიფიანის და – 412

მესხიშვილი (გარდ. 1856) – იუნკერი – 376

მესხიშვილი (ალექსი-მესხიშვილი) ქეთევან – ზაქარია ორბელიანის (1806-1847) მეუღლე – 467

მეტრეველი როინ – ისტორიკოსი, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი (1991-2004), საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი – 494

მეუნარგია იონა (1852-1919) – მწერალი, პუბლიცისტი, საზოგადო მოღვაწე, „ქმნ-კგ საზოგადოების“ მდივანი. დაკრძალულია მშობლიურ სოფ. ცაიშში – 374, 375, 496

მეფისტოფელი – ბოროტი სული, დემონი, სატანა, რომლის მხატვრული სახე სხვადასხვა ვარიაციით დამუშავებულია ლიტერატურაში (გოეთე, დოსტოევსკი, თ. მანი...), მუსიკაში (ბერლიოზი, გუნო, ბოიტო...), კინემატოგრაფიაში (მელიესი, საბო...) და სხვ. – 126, 389

მინგრელსკი – იხ. **დადიან-მინგრელსკი ნიკოლოზ (ნიკო)**

მინკუსი ლუდვიგ (1826-1917) – კომპოზიტორი, დირიჟორი, მევიოლინე – 389

მირზა ჯაფარი – იხ. **თუშმალოვი მირზა ჯაფარი**

მიურატი სალომე – იხ. **დადიანი-მიურატი სალომე**

მიქაბერიძე – ზუგდიდის ოლქის მმართველის თანამემწე (მოადგილე) 1850-იან წწ.; 1870-1880-იან წწ. ზუგდიდის მაზრის უფროსი და მაიორის ჩინი აქვს – 112-114

მიქავა უტუ (1812-1878) – 1856-1857 წწ. სამეგრელოს აჯანყების მეთაური, გადაასახლეს არხანგელსკის გუბერნიაში, საიდანაც 1867 წ. დაბრუნდა – 360

მიქაძე გივი (1924-2008) – ლიტერატურათმცოდნე, ლექსიკოგრაფი – 472, 496

მიქაძე თამარ – ფილოლოგი, მწერალი, დიპ. ყიფიანის შთამომავალი [ელისაბედ (ვეტა) ნიკოლოზის ას. ყიფიანის (1876-1943) შვილთაშვილი] – 351, 496, 501

მიქელაძე ალექსანდრე (1818-1881) – პოლკოვნიკი, მულახ-იფარისა (1847-1848) და ზემო სვანეთის (1852-1858) პრისტავი (ბოქაული), ყირიმის ომის (1853-1858) მონაწილე, ქუთაისის გუბერნიის თავადაზნაურობის წინამძღოლი (1864-1867) – 46, 104

მიქელაძე დავით (დათა) (1843-1918) – ყურნალისტი, პუბლიცისტი, მწერალი (ძირითადი ფსევდ. „მეველე“), გაზ. „დროშის“ (1873, პარიზი) გამომცემელი (ნ. ნიკოლაძესა და პ. იზმაილოვთან ერ-

თად). გარდაიცვალა ქუთაისში, იქვეა (მწვანეყვავილაზე) დაკრძალული – 46-48, 340, 496, 503

მიქელაძე ვლადიმერ (1856-1926) – პოეტი, კრიტიკოსი, პუბლიცისტი, საზოგადო მოღვაწე – 501

მიქელაძე კონსტანტინე – ლენხუმის ოლქის უფროსი – 359

მიხეილ ნიკოლოზის ძე (რომანოვი) (1832-1909) – დიდი მთავარი, კავკასიის მეფისნაცვალი (1862-1881), რუსეთის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარე (1881-1905) – 7, 34, 38, 44, 61, 74, 129, 272, 279, 319, 325, 326, 334, 338, 396, 397, 429, 440, 442, 449, 451, 453, 454, 461-463, 474-475

მიხეილ პავლეს ძე (1798-1849) – დიდი მთავარი, იმპერატორ პავლე I-ის ძე – 389

მიხეილ (ჰამუთ-ბეი) შარვაშიძე (1806-1866) – აფხაზეთის უკანასკნელი მთავარი (1822-1864), გენერალ-ლეიტენანტი; გარდაიცვალა ვორონეჟში. დაკრძალულია მოქვის ტაძარში – 188, 192, 193, 378

მოგუნდასოვი საბრა – სალიანის (აზერბაიჯანი) მსხვილი იჯარადარი თევზჭერის საქმეში, სოვდაგარი და ქველმოქმედი ინდოელთა ასტრახანის თემიდან – 156, 157

მოლა ზამანა – იხ. **ზამანა**

მორდოვცევი (მორდოვცოვი) დანიელ (1830-1905) – მწერალი, პუბლიცისტი, ისტორიკოსი; წერდა უკრაინულ და რუსულ ენებზე – 130

მურავიოვი ნიკოლოზ (1794-1866) – კავკასიის მეფისნაცვალი (1854-1856) – 188, 189, 191-194, 196-198, 200, 355, 427-429

მურვან ყრუ – იხ. **მარვან II იბნ მუჰამადი**

მურზაყან – იხ. **კონსტანტინე (მურზაყან) დადიშქელიანი**

მუსხელიშვილი თინათინ – დიმ. ყიფიანის და – 412

მუხრანბატონები (ბაგრატიონ-მუხრანსკები, მუხრანსკები) – ფეოდალური საგვარეულო (XVI-XIX სს), რომელიც ფლობდა მუხრანს (სამუხრანოს, სამუხრანბატონოს) – 255, 450, 457

მუხრანბატონი (ბაგრატიონ-მუხრანსკი, მუხრანსკი) გიორგი (1821-1877) – საიდუმლო მრჩეველი (Тайный советник), სენატორი, ერეკლე II-ის შვილთაშვილი, 1872 წ. გამოქვეყნებულ თხზულებაში „О существе национальной индивидуальности и об образовательном значении крупных народных единиц“ ამტკიცებ-

და გაბატონებულ ერებში მცირერიცხოვან ერთა ასიმილაციის ისტორიულ კანონზომიერებას, რასაც ი. ჭავჭავაძის, ს. მესხის, გაბრიელ ეპისკოპოსისა და სხვ. მწვავე რეაქცია მოჰყვა. გარდაიცვალა პარიზში. დაკრძალულია სვეტიცხოვლის საგვარეულო სამარხში – 192, 200, 213, 238, 243

მუხრანბატონი (ბაგრატიონ-მუხრანსკი, მუხრანსკი) ივანე (იოანე) (1812-1895) – გენერალ-ლეიტენანტი, ქუთაისის გუბერნიის სამხედრო გუბერნატორი (1853-1856), თბილისის გუბერნიის თავადაზნაურობის წინამძღოლი (1885-1891), „ქმნ-კგ საზოგადოების“ დამფუძნებელი წევრი (თავმჯდომარე 1882-1885 წწ.). დაკრძალულია სვეტიცხოვლის ტაძარში – 200, 247, 254, 255, 258, 378, 455, 461, 464

მუხრანბატონი კონსტანტინე (1779-1842) – თბილისის გუბერნიის თავადაზნაურობის წინამძღოლი („მარშალი“) 1812-1838 წწ.; დაკრძალულია მცხეთის სვეტიცხოვლის ტაძარში – 451

მუხრანბატონი (მუხრანსკი) ლევან – თბილისის კეთილშობილთა სასწავლებლის მონაწივე (1820-იანი წწ.) – 138

მუხრანსკი – იხ. მუხრანბატონი

მჭედლიძე მიხეილ – სვანეთში მოღვაწე სასულიერო პირი (ბლადოჩინი) – 371, 372, 497

მხეიძე – იმერელი აზნაური – 253

მხეიძეები – თავადური გვარეულობა იმერეთში (იყვნენ აზნაურებიც) – 27

6

ნაზარი (ერისკაცობაში – იოსებ ლეჟავა) (1872-1924) – ქუთათელი მიტროპოლიტი; შეენირა ბოლშევიკურ რეპრესიებს; საქართველოს ეკლესიის მიერ წმინდანად შერაცხილი – 337, 490

ნაზორი ივანე (გარდ. 1859) – 1828-1829 წწ. რუსეთ-ოსმალეთის ომისა და 1830-1831 წწ. პოლონეთის აჯანყების ჩახშობის მონაწილე. 1842 წ. ამიერკავკასიის მთავარსამმართველოს საბჭოს წევრია და განაგებს „კავკასიისა და ამიერკავკასიის საფოსტო ნაწილს“; ერევნის გუბერნატორი (1850 წლიდან). დიმ. ყიფიანის ქვისლი (1845 წ. 22 იანვარს ერთსა და იმავე ეკლესიაში დაინერეს ჯვარი დებზე: დიმ. ყიფიანმა წინო, ხოლო ი. ნაზოროვმა ელისა-

ბედ ყიფიანებზე); 1859 წ. 11 მარტს ქოლერამ იმსხვერპლა პეტერბურგში, დაკრძალულია იქვე – 464

ნაკაშიძე ივანე (1848-1917) – გენერალ-ლეიტენანტი. ცხოვრობდა პეტერბურგში – 126

ნაკაშიძე მელიტონ (1850-1906 წ. შემდეგ) – რევოლუციონერი (სხვადასხვა დროს: ხალხოსანი, ანარქისტი, ანარქისტ-კომუნისტი); რამდენჯერმე იყო გადასახლებული (სიმფეროპოლი, ოდესა); 1885 წ. სტამბოლში გაიქცა, შემდეგ ცხოვრობდა საფრანგეთში, საიდანაც 1890-იან წწ. დაბრუნდა ოზურგეთში, გახდა ტოლსტოველი; 1899 წ. დაატოვებინეს კავკასია. სასჯელის მოხდის შემდეგ ისევ გურიაში დაბრუნდა და რევოლუციურ პროცესებში ჩაერთო (1906 წლიდან მისი კვალი არ ჩანს) – 46-48, 52, 340

ნაკაშიძე პეტრე (1838-1895) – მწერალი, პუბლიცისტი, „თერგდალეული“. მწერალ ილია ნაკაშიძის (1866-1923) მამა; ქართულ ენას ასწავლიდა მოსკოვის ლაზარევის აღმოსავლურ ენათა ინსტიტუტსა და მოსკოვის უნივერსიტეტში. 1870-იანი წლებიდან ცხოვრობდა ქუთაისში. ოზურგეთის მაზრის თავადაზნაურობის წინამძღოლად აირჩიეს 1885 წ. 24 მაისს. გარდაიცვალა ბორჯომში, დაკრძალეს იქვე – 53, 54

ნანიტაშვილი ლეილა – მკვლევარი, ლიტერატორი, გამომცემელი – 440, 497, 499

ნეიდგარტი ალექსანდრე (1784-1845) – კავკასიის მთავარმართებელი (1842-1844) – 158, 159, 161, 168, 464

ნეპენინი იაგორ (ეგორ) – ჩინოვნიკი რუსეთის ქალაქ ვოლოგდაში (1830-იანი წწ.) – 149, 150

ნიკოლაი ალექსანდრე (1821-1899) – ბარონი, სენატორი, სახელმწიფო მდივანი (Стар-секретарь). სხვადასხვა წლებში: კავკასიის მეფისნაცვლის საბჭოს წევრი და სასწავლო ოლქის მზრუნველი, კიევის სასწავლო ოლქის მზრუნველი, კავკასიის მეფისნაცვლის მთავარსამმართველოს უფროსი, რუსეთის სახელმწიფო საბჭოს წევრი, განათლების მინისტრი, სახელმწიფო საბჭოს კანონთა დეპარტამენტის თავმჯდომარე; მეუღლე სოფიო ალექსანდრეს ას. ჭავჭავაძისა. გარდაიცვალა ბეთანიაში, საკუთარ მამულში; მეუღლესთან ერთად დაკრძალულია მშობლიურ ქ. ვიბორგში – 28, 30, 36, 37, 203-204, 207, 215, 234, 235, 238, 243, 254, 256, 261, 262, 315-317, 432, 443, 444, 451, 453-455, 458, 461, 462

ნიკოლაი ლეონტი (1820-1891) – გენერალ-ლეიტენანტი, „კავკასიის ომების“ მონაწილე. 1860-იან წწ. შეწყვიტა ბრწყინვალე სამხედრო კარიერა, მიიღო კათოლიკობა, გრენობლის (საფრანგეთი) მახლობლად კარტეზიანელთა ორდენის მონასტერში ბერად შედგა და იქვე გარდაიცვალა – 443

ნიკოლაი მარიამ (მაკა) (1859-1919) – ბარონ ალ. ნიკოლაის (1821-1899) ქალიშვილი, თბილისის გუბერნატორ მიხეილ დიმიტრის ძე შარვაშიძის (1847-1918) მეუღლე; დაკრძალულია ქაშვეთის ეკლესიის გალავანში – 432

ნიკოლაი სოფიო – იხ. **ჭავჭავაძე სოფიო**

ნიკოლაძე ნიკო (1843-1928) – ჟურნალისტი, პუბლიცისტი, კრიტიკოსი, ჟ. „კრებულის“ (1871-1873) ფაქტობრივი რედაქტორი, გაზეთის „Одзир“ (1878-1880) დამაარსებელი და რედაქტორი, გაზეთის „Новое издание“ რედაქტორი (1887-1891), ფოთის ქალაქისთავი (1894-1912), საქართველოს ეროვნული საბჭოსა (1917-1918) და დამფუძნებელი კრების (1919-1921) წევრი ეროვნულ-დემოკრატიული პარტიიდან. დაკრძალულია მთაწმინდის პანთეონში – 316, 365, 368, 394, 425, 426, 458, 497

ნიკოლოზ I (1796-1855) – რუსეთის იმპერატორი (1825-1855) – 64, 176, 304, 358, 482, 489

ნიკოლოზ II (1868-1918) – რუსეთის უკანასკნელი იმპერატორი (1894-1917), 1917 წ. 2 (15) მარტს გადადგა ტახტიდან, 1918 წ. 17 ივლისს დახვრიტეს ქ. ეკატერინბურგში – 498

ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე – იხ. **მურავიოვი ნიკოლოზ**

ნიკოლოზი (წმ.) (257-351) – საკვირველმოქმედი, მირონ-ლუკიის მთავარეპისკოპოსი – 488

ნინო ბატონიშვილი (1772-1847) – გიორგი XII-ის ასული, სამეგრელოს დედოფალი [გრიგოლ დადიანის (1770-1804) მეუღლე], 1811 წლიდან ცხოვრობდა პეტერბურგში, დაკრძალულია იქვე, წმ. ალექსანდრე ნეველის ლავრის თედორეს ეკლესიაში – 482

ნიჟარაძე ალმასხან (გარდ. 1890) – პოდპოლკოვნიკი, ქუთაისის მაზრის თავადაზნაურობის წინამძღოლი (1879-1885) – 337, 347-349

ნიჟარაძე ბესარიონ (1852-1919) – პუბლიცისტი, ეთნოგრაფი, ფოლკლორისტი, ლექსიკოგრაფი; დაკრძალულია უშგულის ლამარიას ეკლესიის გალავანში – 369, 371-373, 497

ნიჟარაძე დავით – იხ. **ნიჟარაძე ალმასხან**

ნიჟარაძე იოსებ – კონსტანტინე ნიჟარაძის ძმა – 322

ნიჟარაძე კონსტანტინე – სამეგრელოს სამთავროს საქმეთა მმართველი (1860-იანი წწ.) – 19, 20, 22, 29, 321, 322

ნიჩკა (ნიჩურკა, ნიჩუროჩკა) – იხ. **ჭილაშვილ-ყიფიანი ნინო**

ნოდია იაკობ – მეგრელი აზნაური – 111, 112

ნოვიკოვა მარიამ (მარია) (1858-1916) – მიხ. ლორის-მელიქოვის (1825-1888) ქალიშვილი – 401

ნოლკენი ელისაბედ (1872-19168) – მიხ. ლორის-მელიქოვის (1825-1888) ქალიშვილი – 401

ო

ოლგა თეოდორეს ასული (1839-1891) – კავკასიის მეფისნაცვალ მიხეილ ნიკოლოზის ძის მეუღლე – 38

ოლშეესკი – სამხედრო პირი (1830-იან წწ. პრაპორშჩიკია) – 487

ომერ-ფაშა (ლატასი მიხაილ) (1806-1871) – სერბული წარმოშობის ავსტრიელი ოფიცრის შვილი, რომელმაც ისლამი მიიღო და შთამბეჭდავი კარიერა შეიქმნა ოსმალეთის სამხედრო ძალებში; ყირიმის 1853-1856 წწ. ომში ჯერ მთავარსარდლობდა ოსმალეთის ჯარს რუსების წინააღმდეგ დუნაის მიმართულებით, შემდეგ კი (1855) მისი ჯარი გადასროლილ იქნა საქართველოსკენ: აფხაზეთიდან შეიჭრა სამეგრელოში, აიღო ზუგდიდი, გადაწვა დადიანების სასახლე, მოაოხრა ახლო-მახლო სოფლები, მაგრამ გრიგოლ დადიანის საერთო ხელმძღვანელობით გაშლილ პარტიზანულ ბრძოლებს ვერ გაუძლო და იძულებული გახდა, უკუქცეულიყო; ივო ანდრიჩის რომანის „ომერ ფაშა ლატასი“ მთავარი პერსონაჟი – 188-193, 375-377

ონიკაშვილი (ონიკოვი) ალექსანდრე (გარდ. 1885) – მნიგნობრივსა და კალიგრაფის, ნიკოლოზ ონიკაშვილის, ძე; 1832 წლის შეთქმულების მასალების მიხედვით, იგი, მინიმუმ, შეთქმულების კურსში იყო; „ქმნ-კვ საზოგადოების“ დამფუძნებელი წევრი, ბიბლიოფილი – 265, 403

ორბელიანები (ორბელიშვილები, ყაფლანიშვილები, ჯამბაკური-ორბელიანები) – ფეოდალური საგვარეულო აღმოსავლეთ საქართველოში – 255, 416, 450, 457, 458

ორბელიანი ალექსანდრე დავითის ძე (გარდ. 1869) – გენერალ-მაიორი, მანანა ორბელიანის (1808-1870) ვაჟი, „კავკასიის ომის“ მონაწილე, თბილისის გუბერნიის თავადაზნაურობის წინამძღოლი (1856-1864; ამ პოსტზე დიმ. ყიფიანმა შეცვალა). ცხოვრების უკანასკნელი წლები გაატარა პეტერბურგში, სადაც ფლიგელ-ადიუტანტის ჩინით იმპერატორ ალექსანდრე II-ის ამაღლაში ირიცხებოდა. გარდაიცვალა იალტაში. დაკრძალულია კუმიისის წმ. სამების ეკლესიაში – 200, 246, 251, 430, 449, 451

ორბელიანი ალექსანდრე ვახტანგის ძე (1802-1869) – მწერალი, ისტორიკოსი, ერეკლე II-ის შვილიშვილი (თეკლა ბატონიშვილის უფროსი ვაჟი), 1832 წლის შეთქმულების ერთ-ერთი ხელმძღვანელი (გადაასახლეს ორენბურგის გუბერნიაში); დაკრძალულია სიონის ტაძარში – 416, 427, 428, 482, 483, 485, 486, 489, 497

ორბელიანი ანასტასია (ტასო) (1826-1907) – მანანა ორბელიანის (1808-1870) ქალიშვილი, ალ. გაგარინის (1801-1857) მეუღლე – 362, 374

ორბელიანი გრიგოლ (1804-1883) – პოეტი, გენერალ-ადიუტანტი, ინფანტერიის გენერალი, თვალსაჩინო ფიგურა „კავკასიის ომში“, კავკასიის მეფისნაცვლის საბჭოს თავმჯდომარე (ხანგამოშვებით ასრულებდა მეფისნაცვლის მოვალეობას), თბილისის გენერალ-გუბერნატორი, „ქმნ-კგ საზოგადოების“ დამფუძნებელი წევრი. დაკრძალულია ქაშვეთის ტაძარში – 160, 166, 201, 209, 247, 254, 255, 257, 258, 260, 266, 297, 305, 430, 433, 452, 453, 455, 461, 462, 467-469, 487

ორბელიანი დარეჯან (დარია) (1828-1884) – ალექსანდრე ორბელიანის (1802-1869) ქალიშვილი, გათხოვილი კისისხევში თავად დავით ქობულაშვილზე (1813-1889). გარდაიცვალა 1884 წ. დეკემბერში, გაასვენეს თბილისის სიონის ტაძრიდან, დაკრძალულია კახეთის შუამთაში – 416

ორბელიანი დიმიტრი ვახტანგის ძე (1808-1882) – ალექსანდრე (1802-1869) და ვახტანგ (1812-1890) ორბელიანების ძმა. 1832 წლის შეთქმულების მონაწილე. დაკავშირებული იყო შეთქმულთა როგორც თბილისის, ისე პეტერბურგისა და მოსკოვის წრებთან (გადაასახლეს კალუგაში). დაკრძალულია ქაშვეთის ტაძარში – 304, 414, 462, 464

ორბელიანი დიმიტრი თამაზის (თომას) ძე (1797-1868) – გენერალ-ლეიტენანტი; თვალსაჩინო ფიგურა „კავკასიის ომში“ (მეთაურობდა ქართულ მილიციას; ამ ფაქტს უძღვნა ნ. ბარათაშვილმა ლექსი – „ომი საქართველოს თავად-აზნაურ-გლეხთა..“), 1832 წლის შეთქმულების წევრი (ვერ დაუმტკიცეს და გაათავისუფლეს), თბილისის გუბერნიის თავადაზნაურობის წინამძღოლი 1839-1855 წწ. – 240, 242, 451

ორბელიანი ელისაბედ (ლიზიკო) (1835-1899) – დიმიტრი ორბელიანის (1808-1882) ასული, კავკასიის მეფისნაცვალ ალ. ბარიატინსკის მეუღლე – 414-416, 487, 495

ორბელიანი ვახტანგ (1812-1890) – პოეტი, სამხედრო და საზოგადო მოღვაწე, 1832 წლის შეთქმულების მონაწილე (გადაასახლეს კალუგაში), „ქმნ-კვ საზოგადოების“ დამფუძნებელი წევრი. დაკრძალულია თბილისის სიონის ტაძარში – 265, 302, 308, 315, 462

ორბელიანი ზაქარია (1806-1847) – პოლკოვნიკი, გრ. ორბელიანის ძმა. მონაწილეობდა 1828-1829 წწ. რუსეთ-ოსმალეთის ომში, 1830-1831 წწ. პოლონეთის აჯანყების ჩახშობაში, „კავკასიის ომში“. გარდაიცვალა 1847 წ. 11 ივნისს დაღესტანში, ქოლერით. დაკრძალულია ქაშვეთის ტაძარში – 265, 467, 468

ორბელიანი ივანე დავითის ძე (1825-1893) – გენერალ-მაიორი, მანანა ორბელიანის ვაჟი (კერძო მიმონერაში ხშირად „მანანიჩად“ იხსენიება), „კავკასიის ომის“ მონაწილე, ალ. ბარიატინსკის ადიუტანტი (1858-1862). დაკრძალულია თბილისში, ქაშვეთის ტაძარში – 266

ორბელიანი ივანე თამაზის (თომას) ძე (1809-1866) – თბილისის გუბერნიის თავადაზნაურობის წინამძღოლი 1855-1856 წწ.; დაკრძალულია თბილისის სიონის ტაძარში – 451

ორბელიანი ილია (1818-1853) – გენერალ-მაიორი, გრ. ორბელიანის ძმა, „კავკასიის ომის“ მონაწილე, შამილთან ტყვედ ნამყოფი (1842), დაიღუპა რუსეთ-ოსმალეთის 1853-1856 წწ. („ყირიმის“) ომში, ბაშკადიკლართან გამართულ ბრძოლაში. დაკრძალულია თბილისში, ქაშვეთის ტაძარში – 467

ორბელიანი ლუარსაბ (რუსულ წყაროებში – ივანე) ზურაბის ძე (1770-1827) – სამხედრო პირი (1807 წ. პოდპოლკოვნიკია), ბავშვობაში თურქთა ტყვეობაში ნამყოფი, კახეთის 1812 წ. აჯანყე-

ბის ჩახშობის მონაწილე, დიმიტრი ორბელიანის (1808-1882) სი-
მამრი – 414

ორბელიანი ლუარსაბ ივანეს ძე (1794-1835) – მაიორი, რუსეთ-
ირანის (1826-1828), რუსეთ-ოსმალეთისა (1828-1829) და „კავკა-
სიის“ ომების მონაწილე; 1832 წლის შეთქმულების წევრი. 1834 წ.
იენისში ნიკოლოზ I-ის შეწყალების საფუძველზე გაათავისუფ-
ლეს პატიმრობიდან – 306

ორბელიანი მამუკა (მაკარ) (1800-1871) – გენერალ-მაიორი; მო-
ნაწილეობდა 1826-1828 წწ. რუსეთ-ირანის, 1828-1829 და 1853-
1856 წწ. რუსეთ-ოსმალეთის, „კავკასიის“ ომებში; 1832 წლის
შეთქმულების მონაწილე (მიესაჯა სამსახური „მალოროსიულ
ყაზახთა პოლკში“); გარდაიცვალა თბილისში. დაკრძალულია
თბილისის სიონის ტაძარში – 308, 315, 489

ორბელიანი მანანა (1808-1870) – 1832 წლის შეთქმულების მონა-
წილე (ვერ დაუმტკიცეს და გაათავისუფლეს, თუმცა მეთვალ-
ყურეობა დაუნიშნეს). 1840-იან წწ. თბილისში ჰქონდა ლიტერა-
ტურული სალონი, რომელშიც ჩამოყალიბდა ქართული პროფე-
სიული თეატრისა და გიორგი ერისთავის „ცისკრის“ დაარსების
იდეა. დაკრძალულია კუმისის წმ. სამების ეკლესიაში – 145, 304,
362, 413, 414

ორბელიანი მარიამ (მამო) ვახტანგის ას. (1852-1941) – საზოგადო
მოღვაწე, ქველმოქმედი, ვახტანგ ორბელიანის (1812-1890) ასუ-
ლი – 416

ორბელიანი მარიამ ლუარსაბის ას. (1812-1866) – დიმიტრი ორბელი-
ანის (1808-1882) მეუღლე, მეფისნაცვალ ალ. ბარიატინსკის სი-
დედრი – 414

ორბელიანი ნიკოლოზ (კოლა) (1845-1925) – იურისტი (ვექილი),
საზოგადო მოღვაწე. გარდაიცვალა ლუქსემბურგში (ამჟამად
ბოლნისი), იქვეა დაკრძალული – 416

ორბელიან-დავიდოვა ელისაბედ – იხ. **ორბელიანი ელისაბედ**
(ლიზიკო)

ორლოვი ალექსანდრე (1787-1862) – კავალერიის გენერალი, გე-
ნერალ-ადიუტანტი, რუსეთის იმპერიის ჟანდარმთა შეფი (1845-
1856), „კავკასიის კომიტეტის“ თავმჯდომარე (1856-1861) – 209

ორლოვსკი კონსტანტინე (1810-1876) – თბილისის სამოქალაქო
გუბერნატორი (1860-1876) – 266, 449

ორლოვსკი ნიკიტა – კავკასიის მთავარმართებლის კანცელარიის განყოფილების უფროსი (1840-იანი წწ.) – 156-158, 422

ორჯონიკიძე ეთერ (1927-2007) – ისტორიკოსი – 355, 365, 425, 426, 428, 429, 497

ოსტენ-საკენი ფაზიან (1752-1837) – გენერალ-ფელდმარშალი, გრაფი (ესტლანდიიდან) – 148

ოსტროვსკი მიხეილ (1827-1901) – რუსეთის იმპერიის სახელმწიფო ქონების მინისტრი (1881-1893) – 125, 127, 128, 388

ოქროპირ ბატონიშვილი (1794-1857) – გიორგი XII-ის ძე. 1832 წლის შეთქმულების ერთ-ერთი ინიციატორი (დიმიტრი ბატონიშვილთან ერთად). 1803 წ. გადაასახლეს ბელგოროდში, რამდენიმე წლის შემდეგ გადაიყვანეს პეტერბურგში, საბოლოოდ კი მოსკოვში დამკვიდრდა. საგამომძიებლო კომისიამ იგი მიიჩნია „ბოროტგანზრახულების დასაბამის მიმცემად“ და კოსტრომაში გადასახლება მიუსაჯა; რამდენიმე წელიწადში ხელისუფლებამ შეინყა და მოსკოვში დააბრუნა. დაკრძალულია იქვე, პოკროვის სამონასტრო კომპლექსის წმ. იონა მიტროპოლიტის ეკლესიაში – 304, 483, 485

3

პავლე I (1754-1801) – რუსეთის იმპერატორი (1796-1801). 1800 წ. 18 დეკემბერს გამოსცა მანიფესტი ქართლ-კახეთის სამეფოს გაუქმების შესახებ – 285, 477, 478

პავლე ეგზარქოსი (ერისკაცობაში – **პეტრე ლებედევი**) (1827-1892) – საქართველოს ეგზარქოსი და ქართლ-კახეთის არქიეპისკოპოსი (1882-1887), რუსეთის წმ. სინოდის წევრი. 1887 წ. გადაიყვანეს ყაზანისა და სვიაჟსკის არქიეპისკოპოსად; გარდაიცვალა ყაზანში, იქვეა დაკრძალული – 327, 332, 335, 343, 483

პალმერსტონი ჰენრი ჯონ (1784-1865) – დიდი ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრი (1830-1834, 1835-1841, 1841-1851), პრემიერ-მინისტრი (1855-1858, 1858-1865) – 281, 282

პაპავა აკაკი (1890-1964) – მწერალი, ისტორიკოსი, პოლიტიკური მოღვაწე (ფედერალისტი); 1922 წლიდან ცხოვრობდა ემიგრაციაში (გერმანია, ავსტრია, არგენტინა); გარდაიცვალა ბუენოს-აირესში, დაკრძალულია ლევილის ქართველთა სასაფლაოზე – 482, 497

პაპავა თამარ (ქალიშვილობის გვარი – **გოგოლაშვილი**) (1888-1976) – მეცნიერი, მწერალი; 1923 წლიდან მეუღლესთან, აკაკი პაპავასთან, ერთად ცხოვრობდა ემიგრაციაში (გერმანია, ავსტრია), საბოლოოდ დამკვიდრდა არგენტინაში, ბუენოს-აირესში; გარდაიცვალა იქვე, დაკრძალულია ლევილის ქართველთა სასაფლაოზე – 482, 497

პაპავა ნანული – ისტორიკოსი – 439, 497

პასკევიჩი ივანე (1782-1856) – ფელდმარშალი, კავკასიის მთავარმართებელი (1827-1831) და ჯარების სარდალი (1826-1831) – 160, 161, 264, 291, 418, 419

პატარიძე სოლო – ბორჯომის ხეობის მცხოვრები (1880-იანი წწ.) – 475; იხ. აგრეთვე: **სალახა (სალახი)**

პაულუჩი (პაულიჩი) ფილიპ (1779-1849) – მარკიზი, გენერალ-ლეიტენანტი, ინფანტერიის გენერალი (ეროვნებით იტალიელი), კავკასიის მთავარმართებელი (1811-1812); კახეთის 1812 წ. აჯანყებისას მზად იყო დათმობებისთვის, რის გამოც გაიწვიეს კავკასიიდან. გარდაიცვალა ნიცაში, დაკრძალულია იტალიის ქ. მირანდოლაში – 291

პაუშენკო დიმიტრი (დაბ. 1793) – ტიტულარული მრჩეველი (Титулярный советник), ნაპოლეონის წინააღმდეგ ომის მონაწილე, საქართველოში მსახურობდა 1824 წლიდან, დუშეთის სამაზრო პოლიციის უფროსი, 1832 წლის შეთქმულების აქტიური წევრი, მიესაჯა ქ. ასტრახანში გადასახლება – 306

პაფნუტი (ხოზიაშვილი) (1773-1823) – სხვადასხვა წლებში: არქიმანდრიტი, თირის მონასტრის წინამძღვარი, მოქვის (სამურზაყანოს) არქიეპისკოპოსი, 1804 წ. ხელისუფლებამ მთიულეთის აჯანყების დასაშოშმინებლად გაგზავნა, თუმცა ამბოხებულებმა უკან დაჭრილი და შერცხვენილი (ვირზე შესმული) გამოისტუმრეს, 1811 წ. რუსეთში გაჰყვა ნინო ბატონიშვილს (1772-1847), სამეგრელოს მთავარ გრიგოლ დადიანის (1770-1804) მეუღლეს, 1815 წ. დაბრუნდა საქართველოში, თუმცა აქ ფეხი ვერ მოიკიდა და ისევ რუსეთში დაბრუნდა; გარდაიცვალა მოსკოვის „ჩუდოვის მონასტერში“ (ალ. ფრონელი), იქვეა დაკრძალული – 482

პემსნ – იხ. **პალმერსტონი ჰენრი ჯონ ტემპლ**

პეტიპა მარიუს (1818-1910) – ფრანგი ბალეტმაისტერი, მოღვაწეობდა სანქტ-პეტერბურგში – 388, 389

პეტრე I დიდი (1672-1725) – რუსეთის უკანასკნელი მეფე (1682-1721) და პირველი იმპერატორი (1721-1725) – 185

პოპედონოსცევი კონსტანტინე (1827-1907) – რუსეთის წმ. სინოდის ობერპროკურორი (1880-1905), საფრანგეთის აკადემიის ნამდვილი წევრი – 60, 66, 342, 343, 345, 498

პოზენი მიხეილ (1798-1871) – სახელმწიფო მდივანი (Статс-секретарь), 1840-1842 წწ. წევრი იყო სპეციალური კომიტეტისა, რომელიც ამიერკავკასიის გარდაქმნა-მონყობის საკითხებზე მუშაობდა, 1843-1845 წწ. ხელმძღვანელობდა იმპერატორ ნიკოლოზის I-ის კანცელარიის დროებით განყოფილებას, რომელშიც ამიერკავკასიასთან დაკავშირებული საქმეები იყრიდა თავს – 426

პოკროვსკი მიხეილ (1868-1932) – ისტორიკოსი, დაკრძალულია კრემლის კედელში – 477

პომპეუსი გნეუს მაგნუს (ძვ. წ. 106-ძვ. წ. 48) – რომაელი სარდალი და პოლიტიკური მოღვაწე, ძვ. წ. 65 წელს ილაშქრა ქართლსა და კოლხეთში – 319

პრიანიშნიკოვი პ. – რუსი გამომცემელი – 496

პრუდონი პიერ ჟოზეფ (1809-1865) – ფრანგი ფილოსოფოსი, ეკონომისტი, პუბლიცისტი, პოლიტიკური მოღვაწე, ანარქიზმის თეორეტიკოსი – 446

პუნი ცეზარ (1802-1872) – იტალიელი კომპოზიტორი; დაკრძალულია პეტერბურგში – 388

პუშკინი ალექსანდრე (1799-1837) – რუსი მწერალი – 401

ჟ

ჟერამეკი – ლუვრის სასტუმროს გენერალური (მთავარი) ეკონომოსი (მწე) – 280-283

ჟურავლიოვი – კავკასიის მთავარმმართველობის საბჭოს წევრი (1840-იანი წწ.) – 241

რ

რაზმაძე სოლომონ (1897-1860) – პოეტი, მთარგმნელი, 1832 წლის შეთქმულების წევრი; მსახურობდა ირანში, რუსეთის საელჩო-

- ში, დავალებული ჰქონდა ალექსანდრე ბატონიშვილთან კავშირი (გარკვევით არ ჩანს, შეძლო თუ არა მან ამ დავალების შესრულება). დააპატიმრეს თავრიზში, გაასამართლეს თბილისში და გადაასახლეს რუსეთის ქ. პენზაში, სადაც ოჯახს მოეკიდა და სამუდამოდ დარჩა; მამა მოსკოვის კონსერვატორიის პროფესორ ალექსანდრე რაზმაძისა (1845-1896) – 305, 485, 487
- რამიშვილი ისიდორე (1859-1937)** – ქარველ სოციალ-დემოკრატთა ერთ-ერთი ლიდერი, საქართველოს დამფუძნებელი კრების წევრი (1919-1921), მემუარისტი; შეენირა ბოლშევიკურ რეპრესიებს – 342, 498
- რამიშვილი ქეთევან** – ისტორიკოსი – 498
- რატინი პროკოფი (1914-1987)** – ისტორიკოსი, ფილოლოგი – 319, 498
- რეადი ნიკოლოზ (1792-1855)** – კავალერიის გენერალი; 1854 წ. დროებით კავკასიის მეფისნაცვლის მოვალეობას ასრულებდა; დაიღუპა რუსეთ-ოსმალეთის („ყირიმის“) ომში – 184, 186-188,
- რეუტი იოსებ (1786-1855)** – გენერალ-ლეიტენანტი (ეროვნებით პოლონელი), ამიერკავკასიის მთავარმმართველობის საბჭოს წევრი, ვ. ბებუთოვის თბილისში არყოფნისას ასრულებდა სამოქალაქო ნაწილში მხარის მმართველის თანამდებობას. გარდაიცვალა თბილისში – 185
- როზენი გრიგოლ (1782-1841)** – ინფანტერიის გენერალი, გენერალ-ადიუტანტი, ბარონი, კავკასიის მთავარმართველი (1831-1837) – 150-152, 155, 160, 161, 295, 443, 487
- როზმორდუკი ჟანტი დე** – ფრანგი მრეწველი, გრაფი – 108, 374-376
- როზოვი** – იურისტი, რუსეთის იმპერიის იუსტიციის სამინისტროს თანამშრომელი – 180-183, 192
- რომეო (პერს.)** – 469
- როსტომი** – 131, 400
- რტიშჩევი ნიკოლოზ (1754-1835)** – საქართველოს მთავარმართველი (1812-1816) – 291
- რუბინშტეინი ანტონ (1829-1894)** – რუსი პიანისტი, კომპოზიტორი და დირიჟორი – 129, 130, 397, 401, 499
- რუბინშტეინი (ქალიშვილობის გვარი – ჩეკუანოვა) ვერა (1841/1844-1909)** – ანტონ რუბინშტეინის (1829-1894) მეუღლე, მომღერალი, მემუარისტი – 129

- რუმინანცევი ნიკოლოზ** (1754-1826) – მეცენატი, კოლექციონერი, რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრი (1810-1812) – 473
- რუსთველი (რუსთაველი) შოთა** – პოეტი, ავტორი „ვეფხისტყაოსნისა“ – 199, 469
- რჩეულიშვილი გრიგოლ** (1820-1877) – მწერალი, ივ. კერესელიძის „ცისკრის“ თანამშრომელი – 315

ს

- სმ. – იხ. სმირნოვი თედორე**
- საბა სულხანიშვილი** – 502; იხ. აგრეთვე: **ჩხეიძე როსტომ**
- საგინაშვილი ალექსანდრე** (1808/1810-1887) – გენერალ-ლეიტენანტი, ი. ჭავჭავაძის დის, ელისაბედ (ლიზა) ჭავჭავაძის მეუღლე, „ქმნ-კგ საზოგადოების“ დამფუძნებელი წევრი – 259, 464
- საითიძე გოჩა** – ისტორიკოსი – 498
- საკენი ფაბიან** – იხ. **ოსტენ-საკენი ფაბიან**
- სალახა (სალახი)** – 275, 277, 475; იხ. აგრეთვე: **პატარიძე სოლო**
- სალტიკოვ-შჩედრინი (სალტიკოვი) მიხეილ** (1826-1889) – რუსი მწერალი – 129, 130
- საფროვი სტეფანე** (1808-1862) – კავკასიის მეფისნაცვლის კანცელარიის დირექტორი (1840-იანი წწ.) – 180, 183, 270, 472, 473
- სახოკია თედო** (1868-1956) – მწერალი, ჟურნალისტი, პუბლიცისტი, ეთნოგრაფი, ფოლკლორისტი, პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწე, პარიზის ანთროპოლოგიური საზოგადოების წევრი. 1903-1905 წწ. რედაქტორობდა (ა. ჯორჯაძესა და გ. ლასხიშვილთან ერთად) პარიზში გამოშვებულ სოციალისტ-ფედერალისტთა გაზეთ „საქართველოს“ – 491
- სემევეკი მიხეილ** (1837-1892) – ჟ. „რუსკაია სტარინას“ რედაქტორი (1870-1892) – 407-409
- სემიონოვი ვასილ** (1801-1863) – სახელმწიფო მოხელე, ლიტერატორი. 1827-1836 წწ. პეტერბურგში მსახურობდა ცენზორად. თბილისში გადმოიყვანეს 1842 წ. დეკემბერში და დანიშნეს ამიერკავკასიის მთავარმმართველობის საბჭოს წევრად. 1847 წლიდან – კავკასიის სასწავლო უწყების ხელმძღვანელი. 1848 წლიდან – კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველი. 1852 წ. იანვარში გავიდა სამსახურიდან და რუსეთში დაბრუნდა – 169, 177-180, 208, 209, 235, 243, 443

- სენ ტომა ავგუსტ დე** (1779-1851) – რუსეთში მოღვაწე ფრანგი ლიტერატორი, ჟურნალისტი, ფრანგული ენის მასწავლებელი თბილისის გიმნაზიასა და კეთილშობილ ქალთა ინსტიტუტში (1843 წლიდან), თბილისის საჯარო ბიბლიოთეკის დირექტორი (1851) – 473
- სენ ტომა ვლადიმერ დე** (1829-1857) – ლიტერატორი, ეთნოგრაფი, ნუმისმატი, თბილისის საჯარო ბიბლიოთეკის დირექტორი (1851-1857) – 473
- სერგეი ალექსანდრეს ძე** (1857-1905) – დიდი მთავარი, იმპერატორ ალექსანდრე II-ის (1818-1881) ძე – 498
- სერვანტეს საავგედრა მიგელ დე** (დაახლ. 1547-1616) – ესპანელი მწერალი – 381
- სიპიაგინი ნიკოლოზ** (1785-1828) – გენერალ-ლეიტენანტი, რედაქტორი გამოცემისა – „Военный журнал“ (გამოდიოდა პეტერბურგში), თბილისის სამხედრო გუბერნატორი (1827-1828). გარდაიცვალა თბილისში, დაკრძალეს ქაშვეთის ტაძარში – 263, 264
- სიჭინავები** – სამეგრელოს სოფელ ლესიჭინეს მკვიდრნი – 107
- სლივიცკი ივანე** (1819-1874) – სამხედრო პირი, ჟურნალისტი, ლიტერატორი, ფოლკლორისტი, გაზეთ „კავკაზის“ რედაქტორი (1850-1854, 1868-1872). გარდაიცვალა თბილისში – 315
- სმეკალოვი ალექსი** (1838-1890) – გენერალ-ლეიტენანტი, ბათუმის ოლქისა (1881-1883) და ქუთაისის გუბერნიის (1883-1887) სამხედრო გუბერნატორი. 1887 წლიდან გარდაცვალებამდე იყო თერგის ოლქის უფროსი და კაზაკთა ჯარის დანიშნული ატამანი – 42, 43, 45-49, 52, 53, 75, 327, 337
- სმირნოვი თედორე** – ნიკო დადიან-მინგრელსკის მაიორატის საქმეთა დროებითი სახელმწიფო კომისიის მდივანი – 123-131, 133, 215, 221, 223-225, 227-233, 316, 388, 397, 399, 400, 442
- სმიტენი ვასილ** (1807-1866) – ნამდვილი სამოქალაქო მრჩეველი, კავკასიაში (თბილისში) ჩინოვნიკად მსახურობდა 1833 წლიდან, შემახის ვიცე-გუბერნატორი (1846 წლიდან), 1857 წლიდან კავკასიის მთავარმმართველობის (1859 წლიდან – მეფისნაცვლის) საბჭოს წევრი – 210, 213, 214, 436
- სოკოლოვი** – იმერეთში (შორაპნის მაზრაში) მცხოვრები სამხედრო პირი (მაიორი) – 253
- სოლალიშვილები** – იხ. **სოლოლაშვილები**

სოლომონ II (1772-1815) – იმერეთის მეფე (1789-1810) – 176, 378, 379, 426, 427

სოლოლაშვილები (სოლადაშვილები, სოლაღიშვილები) – თავადური გვარეულობა – 452

სროტინსკი პეტრე – რუსული ენისა და არითმეტიკის მასწავლებელი თბილისის კეთილშობილთა სასწავლებელში (1820-იანი წწ.) – 138

სტანისლავი (წმ.) – კრაკოვის ეპისკოპოსი, 1079 წ. მონამებრივად აღსრულებული – 201, 354, 430

სტარიცკი ეგორ (იაგორ) (1825-1899) – რუსეთის სახელმწიფო საბჭოს წევრი, სენატორი, თბილისის კომერციული სასამართლოს თავმჯდომარე (1850-1870), კავკასიის მეფისნაცვლის საბჭოს წევრი; სიცოცხლის ბოლო წლებში იყო რუსეთის სახელმწიფო საბჭოს საკანონმდებლო დეპარტამენტის თავმჯდომარე – 37, 128, 209, 210, 213, 215, 221, 228, 230, 231, 433, 436, 440, 441

სტრეკალოვი სტეფანე (1782-1856) – გენერალ-ლეიტენანტი, ნამდვილი სამოქალაქო მრჩეველი, თბილისისა (1828-1831) და ყაზანის (1831-1841) სამხედრო გუბერნატორი – 419

სტრეპეტოვი გრიგოლ (დაბ. 1844) – დიმ. ყიფიანის ერთ-ერთი მკვლელი (თედორე შულგინთან ერთად). 1889 წ. სტავროპოლის საოლქო სასამართლომ თორმეტწლიანი კატორღა მიუსაჯა – 331

